

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემია  
ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

# ფილოსოფიური ძიებანი

კრებული ოცდამეორე

ექვეყნება საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის დამფუძნებლის  
ფილოსოფოს სერგი ავალიანის  
დაბადებიდან 95 წლის იუბილეს

**PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS**  
COLLECTED ARTICLES VOLUME TWENTY- EIGHT

DEDICATED TO THE 95 TH ANNIVERSARY OF THE BIRTH  
OF PHILOSOPHER **SERGI AVALIANI**  
THE FOUNDER OF THE GEORGIAN ACADEMY OF  
PHILOSOPHICAL SCIENCES



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2024

ISSN 1512-2468  
UDC (უაკ) 1 (479.22)  
(061.2) ფ. 562

„ფილოსოფიური ძიებანის“ ოცდამეორე კრებული ტრადიციულად სხვადასხვა თაობის ფილოსოფოსთა ნაშრომებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიურ კვლევა-ძიებას ასახავს.

მთავარი რედაქტორი: **ირაკლი კალანდია**  
რეცენზენტები: **რევაზ ბალანჩივაძე**  
**ანზორ ბრეგაძე**  
**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები**

#### სარედაქციო საბჭო

ბრეგაძე ანზორი (თბილისი, საქართველო), ბერძენიშვილი ამირანი (თბილისი, საქართველო), ბურჯალიანი არსენ (თბილისი, საქართველო), გახოკიძე რამაზი (თბილისი, საქართველო), დოლიძე მამუკა (თბილისი, საქართველო), ვერდუჩი დანიელა (მარჩრატა, იტალია), იმედაძე ირაკლი (თბილისი, საქართველო), კიულე მაია (რიგა, ლატვია), კალანდია ირაკლი **{მთ. რედაქტორი}** (თბილისი, საქართველო), კვარაცხელია ნაპო (თბილისი, საქართველო), მადათლი ეინულა იადულა ოლი (ბაქო, აზერბაიჯანი), პეტროვი ვესელინი (სოფია, ბულგარეთი), რეი ანტონიო დომინგეს (მადრიდი, ესპანეთი), ფანჯიკიძე თეიმურაზ (თბილისი, საქართველო), ქეცბაია კახა **{მთ. რედაქტორის მოადგილე}** (თბილისი, საქართველო), ხასაია ზურაბ (თბილისი, საქართველო).

**ლიტ. რედაქტორები:** მარინე ამბოკაძე (თბილისი, საქართველო), ჯემალ შონია (თბილისი, საქართველო).

#### EDITORIAL BOARD

Bregadze Anzor (Tbilisi, Georgia), Berdzenishvili Amiran (Tbilisi, Georgia), Burjaliani Arsen (Tbilisi, Georgia), Gakhokidze Ramaz (Tbilisi, Georgia), Dolidze Mamuka (Tbilisi, Georgia), Imedadze Irakli (Tbilisi, Georgia), Kalandia Irakli **{Ch. Editor}** (Tbilisi, Georgia), Kule Maija (Riga, Latvia), Kvaratskhelia Napo (Tbilisi, Georgia), Panjikidze Teimuraz (Tbilisi, Georgia), Ketsbaia Kakha **{Dep. Ch. Editor}** (Tbilisi, Georgia), Khasaia Zurab (Tbilisi, Georgia), Madatli Einula Iadula Ogli (Baky, Azerbaijan), Petrov Vesselin (Sofia, Bulgarian), Rey Antonio Dominguez (Madrid, Spain), Verducci Daniella (Macherata, Italy).

**Lit. Editor** – Marine Ambokadze (Tbilisi, Georgia),  
Jemal Shonia (Tbilisi, Georgia).

გამომცემლობა „**UNIVERSALI**“, 2024

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 16 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

## მთავარი რედაქტორის წინათქმა

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო ორგანო „ფილოსოფიური ძიებანი“-ს მორიგ XXVIII ტომში კვლავინდებურად სხვადასხვა თაობის ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომები იბეჭდება.

არაფილოსოფიური დროების მიუხედავად, საქართველოში ფილოსოფიის გადასარჩენად, კვლავაც ენთუზიაზმის საფუძველზე აგრძელებს საქმიანობას საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია და მისი ბეჭდური ორგანო „ფილოსოფიური ძიებანი“.

„ფილოსოფიური ძიებანი“-ს XXVIII ტომი მისი დამფუძნებლის და პირველი პრეზიდენტის, ფილოსოფოს სერგი ავალიანის დაბადებიდან 95 წლის იუბილეს ეძღვნება, რომლის ფილოსოფიური მემკვიდრეობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც სათანადო მოპყრობასა და დაფასებას იმსახურებს.

ქართველმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ 2023 წელს დიდი დანაკლისი განიცადა. მის რიგებს გამოკლდნენ ფილოსოფოსები: **გურამ (გური) ასათიანი, მიხეილ მახარაძე და აკაკი ყულიჯანიშვილი**. ამ დიდ დანაკლისს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია გამოსათხოვარი წერილებით ეხმიანება.

უკვე მესამე წელია, რაც სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები შემოემატა, რაც საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავება – გაფართოებას ნიშნავს. პირველი ნაბიჯები გადაიდგა კრებულის საერთაშორისო მეცნიერომეტრულ ბაზებში მოსაქცევად, რისი დადასტურებაც კრებულის ინდექსირება Google Scholar-ში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ფილოსოფიური ძიებანი“ რეგისტრირებულია ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროფესიულ სამეცნიერო ორგანიზაციაში, როგორცაა „ფილოსოფიური დოკუმენტაციის საერთაშორისო ცენტრი“ (აშშ).

აღსანიშნავია, რომ „ფილოსოფიურ ძიებანს“ უკვე ელექტრონული მისამართი გააჩნია და დაინტერესებულ მკითხველს მისი ნახვა შეუძლია ელ.მისამართზე: <http://socium.ge/index.php/socium-ge-library/philodzi-all>. ყოველივე ამას საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიე-

რებათა აკადემია ენთუზიაზმით, ფილოსოფიისადმი ერთგულებითა და სიყვარულით, ქართველი ფილოსოფიური საზოგადოების ძირითადი ნაწილის მხარდაჭერითა და კრებულ „ფილოსოფიური ძიებანის“ ავტორთა დახმარებით ახერხებს.

„ფილოსოფიური ძიებანის“ მორიგი – XXVIII ტომის მთავარი რედაქტორის ტრადიციული წინასიტყვაობა გვინდა დავასრულოთ ამონარიდით **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ერთ-ერთი ქადაგებიდან, რომელშიც ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საჭიროებაზეა ყურადღება გამახვილებული: „ადამიანს სჭირდება ანალიტიკური აზროვნება. როცა რაღაცას აკეთებს ადამიანი, უნდა გაანალიზოს ის დადებითია თუ არა, განხორციელდება თუ არა. ამიტომ ანალიტიკური აზროვნება აუცილებელია. ამის შესახებ 30 წელია ვლაპარაკობთ და მაინცდამაინც ვერ გავიგეთ, რომ ეს აუცილებელია. ფსიქოლოგია, ლოგიკა, ფილოსოფია, როგორც საგანი, ისევე, როგორც მათემატიკა, ქართული ენა, ისე უნდა ისწავლებოდეს პირველიდან მეთორმეტე კლასამდე. ასე მივიღებთ ახალგაზრდობას, რომელიც არ დაუშვებს შეცდომას და უნარი ექნება ფილოსოფიური, ანალიტიკური და განყენებული აზროვნებისა.“**

სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები და სხვ. (რომელთაც არაერთხელ მივმართეთ თხოვნით) სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ფილოსოფიის საჭიროებას, ამიტომაც ჩვენში ფილოსოფია მხოლოდ მისი ერთგული და მოყვარული ადამიანების იმედად არის დარჩენილი.

**ირაკლი კალანდია**  
**თბილისი, 2024 წლის 17 იანვარი**

# ნაწილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის

## ცნობარი

2024

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსები**

1. ბალანჩივაძე რევაზ
2. ბერძენიშვილი ამირან
3. ბრეგაძე ანზორ
4. ბურჯალიანი არსენ
5. გახოკიძე რამაზ
6. გოლეთიანი რობერტ
7. გურგენიძე ვაჟა
8. დოლიძე მამუკა
9. იმედაძე ირაკლი
10. კალანდია ირაკლი
11. კვარაცხელია ნაპო
12. მთიბელაშვილი თეიმურაზ
13. სარჯველაძე ნოდარ
14. ფანჯიკიძე თეიმურაზ
15. ფაჩულია თეიმურაზ
16. ფორჩხიძე ბადრი
17. ქეცბაია კახა
18. ჩანტლაძე რაულ
19. ხალვაში მიხეილი
20. ხასაია ზურაბ

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმი**

1. პრეზიდენტი – **ირაკლი კალანდია**
2. ვიცე-პრეზიდენტი – **არსენ ბურჯალიანი**
3. აკადემიკოსი-მდივანი – **კახა ქეცბაია**
4. ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ნაპო კვარაცხელია**
5. მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **რამაზ გახოკიძე**
6. პოლიტიკური ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ბადრი ფორჩხიძე**
7. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ანზორ ბრეგაძე**
8. ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **მამუკა დოლიძე**
9. რელიგიის ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **თეიმურაზ ფანჯიკიძე**
10. სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ამირან ბერძენიშვილი**
11. ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ზურაბ ხასაია**
12. კულტურის ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **თეიმურაზ მთიბელაშვილი**

**FIRST PART**

**REFERENCE BOOK**

**OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL  
SCIENCES OF GEORGIA**



**ACADEMICIANS OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL  
SCIENCES OF GEORGIA**

1. BALANCHIVADZE REVAZ
2. BERDZENISHVILI AMIRAN
3. BREGADZE ANZOR
4. BURJALIANI ARSEN
5. CHANTLADZE RAUL
6. GAKHOKIDZE RAMAZ
7. GOLETIANI ROBERT
8. GURGENIDZE VAJA
9. DOLIDZE MAMUKA
10. IMEDADZE IRAKLI
11. KALANDIA IRAKLI
12. KVARATSKHELIA NAPO
13. KETSBAIA KAKHA
14. KHALVASHI MIKHEIL
15. KHASAIA ZURAB
16. MTIBELASHVILI TEIMURAZ
17. SARJVELADZE NODAR
18. PANJIKIDZE TEIMURAZ
19. PACHULIA TEIMURAZ
20. PORCHKHIDZE BADRI

**PRESIDIUM OF THE ACADEMY  
OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA**

- 1. PRESIDENT – KALANDIA IRAKLI**
- 2. VICE- PRESIDENT – BURJALIANI ARSEN**
- 3. ACADEMICIAN SECRETARY – KETSBAIA KAKHA**
- 4. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF ONTOLOGY, GNOSEOLOGY AND LOGIC – KVARATSKHELIA NAPO**
- 5. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF SCIENCE – GAKHOKIDZE RAMAZ**
- 6. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF POLITICAL PHILOSOPHY – PORCHKHIDZE BADRI**
- 7. ACADEMICIAN SECRETARY OF DEPARTMENT OF PHILOSOPHYCAL ANTHROPOLOGY – BREGADZE ANZOR**
- 8. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT ETHICS AND OF AESTHETIC – DOLIDZE MAMUKA**
- 9. ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF RELIGION AND THE STUDY OF RELIGION – PANJIKIDZE TEIMURAZ**
- 10. ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY – BERDZENISHVILI AMIRAN**
- 11. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF GEORGIAN AND FOREIGN PHILOSOPHY – KHASAIA ZURAB**
- 12. ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF CULTURE – TEIMURAZ MTIBELASHVILI**

**ნაწილი მეორე**  
**ფილოსოფიური ძიებანი**

**SECOND PART**  
**PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS**

**ონტოლოგია,  
გნოსეოლოგია, ლოგიკა**

**ONTOLOGY, GNOSEOLOGY,  
LOGIC**

---

**არსენ ბურჯალიანი** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. ძირითადად მუშაობს ფილოსოფიის ისტორიის, ქართული და უცხოური ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროში. მათ შორის სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები

---

## **მატერიალურისა და იდეალურის მიმართება ტრანსცენდენტალურ იდეალიზმში**

### **(II ნაწილი\*)**

ორი დაპირისპირებული მომენტი წარმოიდგინება როგორც დაპირისპირებული მიმართულებები. ამასთანავე დაშვებულია ერთ-ერთი ამ მიმართულებათაგანის უსასრულო ბუნება. ისმება კითხვა, ხომ არ ეწინააღმდეგება თავის თავს მიმართულების მქონე უსასრულო დაშვება. როგორც ცნობილია, შელინგს აქ მხედველობაში აქვს გაფართოების ფენომენის მსგავსი მოქმედება, რომელიც ყველა მიმართულებით მიისწრაფის. მისი აზრით, უსასრულო მოქმედებას შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ასეთი გაგება; მაშინ ასეთი დადებითი მოქმედების საპირისპირო მოქმედებას უნდა წარმოადგენდეს ისეთი მოქმედება, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება რაიმე მიმართულებას, ანუ გაფართოებას. ასეთი რამ შელინგის აზრით არის წერტილი. დადებითი მიმართულება ამ შემთხვევაში განზიდულობის ძალაა, ხოლო მისი საწინააღმდეგო იქნება მიზიდულობა, ანუ წერტილი. ისევე, როგორც უსასრულო მოქმედება ერთის მხრივ, და საზღვარი, მეორეს მხრივ, წარმოადგენენ შემოქმედი ქვერეტის მომენტებს, ასევე განზიდულობისა და მიზიდულობის ძალები წარმოადგენენ მატერიის აღნაგობის მომენტებს. მატერიის აღნაგობის ხსენებული ორი მომენტი ერთიანდება მე-ს სინთეზურ მოქმედებაში. შელინგის აზრით, კანტის მიერ მატერიის აღნაგობის წარმოდგენა არასრული სახისაა. კანტი აღიარებდა მატერიის ორ ძირითად ძალას: მიზიდულობასა და განზიდულობას. შელინგი თვლის, რომ ამ ორ ძალას უნდა დაემატოს მესამე. მისი აზრით, ეს მესამე ძალა, რომელიც აერთიანებს პირველ ორს, უნდა იყოს სიმძიმის ძალა.

---

\* | ნაწილი იხ. კრ. „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. 27. თბ. 2023.

მხოლოდ და მხოლოდ სიმძიმის ძალაში პოულობს თავის დასრულებას მატერიის აგება...“<sup>1</sup> შელინგის აზრით, მატერიის აგების ასეთი მეთოდისგან უნდა მოვითხოვოთ აგრეთვე იმის ახსნა, თუ რატომ ვიაზრებთ მატერიას სამ განზომილებიან სივრცეში; ამაში, მისი აზრით, უნდა დაგვეხმაროს მატერიის აღნაგობის ის სამი ძირითადი ძალა, რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, პირველად ორივე დაპირისპირებული ძალა იგულისხმებოდა ერთ ნერტილში. განზომილების ძალა, როგორც ვიცით ვრცელდება ყველა მიმართულებით. დაპირისპირებული მიმართულება იძლევა შეზღუდვის ნერტილებს, რომლებიც შელინგის აზრით, იგივეურია მაგნიტში არსებული ნერტილებისა. ეს ნერტილები შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს: თუკი A ნერტილი წარმოადგენს დაპირისპირებული პოლუსების წონასწორობის ნერტილს, მაშინ AC იქნება, ვთქვათ, დადებითი ძალის სამფლობელო, ხოლო შესაბამისად, AB იქნება უარყოფითი მიმართულების მქონე ძალის სამფლობელო. მაშასადამე, სიგრძის (ხაზის) დედუქცია თავის თავში გულისხმობს მატერიის ისეთ პირველადი თვისების დედუქციას, როგორცაა მაგნეტიზმი. თუ დავუკვირდებით შელინგის ამ აზრებში საქმე გვაქვს ფილოსოფიის ისტორიულ სინთეზთან, კერძოდ, პითაგორეიზმი და ნატურფილოსოფია, გეომეტრია და ფიზიკა.

ამ დედუქციის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ მაგნეტიზმი წარმოადგენს იმის ნათელ სურათს, თუ როგორ ერთდება ერთ ნერტილში ორი ურთიერთდაპირისპირებული მიმართულება. მაგნეტიზმი წარმოადგენს მატერიის გამსჭვალავ ფენომენს – ფიქრობს შელინგი. მაგნეტიურ მოვლენებში მატერია გვეძლევა მისი კონსტრუირების პირველ ეტაპზე. მაგნეტიზმის კონსტრუირების შემდეგ შელინგი განიხილავს მატერიის კონსტრუირების მეორე ეტაპს – ესაა ელექტრობა.

ამ დედუქციის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ მაგნეტიზმი წარმოადგენს იმის ნათელ სურათს თუ როგორ ერთდება ერთ ნერტილში ორი ურთიერთდაპირისპირებული მიმართულება. მაგნეტიზმი წარმოადგენს მატერიის გამსჭვალულ ფენომენს – ფიქრობს შელინგი. მაგნეტიურ მოვლენებში მატერია გვეძლევა მისი კონსტრუირების პირველ ეტაპზე. მაგნეტიზმის კონსტრუირების შემდეგ შელინგი განიხილავს მატერიის კონსტრუირების მეორე ეტაპს – ესაა ელექტრობა. მისი აზრით თუკი ზემოთ განხილულ CAB-ს წარმო-

---

<sup>1</sup> Шеллинг, Система..., გვ. 152

ვიდგენთ როგორც ორი ხაზისგან შემდგარს (CA და AB) საქმე უფრო კარგად წავა. კერძოდ: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ ხაზთან, მაშინ დაპირისპირებული მიმართულება წარმოქმნის წერტილთა სიმრავლეს (ვინაიდან ამ შემთხვევაში ხაზი CA ან AB წარმოადგენს განზიდულობის ძალას), რომელიც ვრცელდება ყველა მიმართულებით, მას კვლავ დაუპირისპირდება საპირისპირო მიმართულების მქონე ძალა, რომელიც წარმოქმნის წერტილს. აი სწორედ ამის წყალობით იქმნება სიგანის განზომილება, რომელსაც შელინგის აზრით შეესაბამება ელექტრობა, ვინაიდან ელექტრობა უბრალოდ სიგრძეში კი არ ვრცელდება, არამედ სხეულის ზედაპირზეც. ამის შემდეგ უნდა გაჩნდეს მისწრაფება შემდეგი შეერთებისაკენ, რომელიც მოხდება მესამე გამაერთიანებელი ძალის საფუძველზე. ჩნდება მესამე განზომილება სისქე. ამ მესამე ეტაპს ბუნებაში შეესაბამება ქიმიზმი. ქიმიზმი პირველი ორისაგან განსხვავებით მოქმედებს ყველა მიმართულებით. მასში სხეულები ერთმანეთს მსჭვალავენ, ერთმანეთში გადადიან. მაშასადამე, აქ ჩვენ ცხადად ვხედავთ დიალექტიკას მატერიის აგებისას, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: პირველ ეტაპზე საქმე გვაქვს ერთი სხეულის ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარესთან (მაგნეტიზმი), მეორეზე – ორ სხვადასხვა სხეულთან (ელექტრობა), მესამეზე – კვლავ პირველი ორის სინთეზთან (ქიმიზმი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ტრიადულობა, წამოსული კანტიდან, ზუსტად იგივე დასაბუთების წყალობით აერთიანებს სამად დაყოფილ ფილოსოფიას: თეორიულს, პრაქტიკულს და ესთეტიკურს. კერძოდ: შელინგის აზრით, თეორიულ ფილოსოფიაში საქმე გვაქვს ურთიერთდაპირისპირებულ მიმართულებებთან (მე და თავისთავადი ნივთი), პრაქტიკულში ორ სუბიექტთან, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ ინტელიგენციებს, ხელოვნების ფილოსოფიაში კი საქმე გვაქვს პირველი ორის სინთეზთან. ტრიადულობა მსჭვალავს შელინგის მთელს ფილოსოფიას, მაგრამ ეს ტრიადულობა სხვადასხვა კონკრეტული ფორმით ვლინდება მე-2 კონსტრუირების სხვადასხვა პოტენციაში, ანუ ეტაპზე. მე-ს კონსტრუირების პირველი ეტაპი ფიზიკაში მაგნეტიზმია, გეომეტრიაში სწორი ხაზი, ფილოსოფიაში კი თეორიული ფილოსოფია. მეორე პოტენცია შესაბამისად, ფიზიკაში – ელექტრობაა, გეომეტრიაში სიგანე, ხოლო ფილოსოფიაში კი – პრაქტიკული ფილოსოფია; მესამე პოტენცია – ფიზიკაში ქიმიზმია, გეომეტრიაში სისქე და ფილოსოფიაში ესთეტიკა. მართალია, ამ პერიოდში შელინგი ჯერ არ მსჯელობს პოტენცირების შესახებ, ამ აზრს იგი მოგვიანე-

ბით გამოთქვამს, მიუხედავად ამისა, ეს აზრები მასთან ჯერ კიდევ ნატურფილოსოფიასა და ფიხტეანელობის პერიოდშიც გვხვდება.

აზრთა ზემოთ აღნიშნული მსვლელობიდან ცხადზე უცხადესად ჩანს ის გარემოება, რომ „მე, აგებს რა მატერიას, აგებს, საკუთრივ რომ ვთქვათ, თავის თავს“.<sup>1</sup> მატერიის აგების სამი მომენტი ინტელიგენციის, მე-ს სამი აქტია, ამით შელინგს ლაიბნიცის მსგავსად ბუნების ძალები დაჰყავს წარმოდგენილ ძალებზე. ლაიბნიცი როგორც ცნობილია, მატერიას მთვლემარე მონადებად თვლიდა, რითაც იგი ძალიან ახლოს დგას ტრანსცენდენტალიზმთან. შელინგის აზრით, ვერც ერთი თეორია ვერ ახსნის მატერიას ტრანსცენდენტალიზმზე უფრო ჭეშმარიტად. მაგალითად, ატომისტური თეორია უძლურია ახსნას მატერია, როდესაც იგი ნანამძღვრულ ატომს უშვებს. შელინგის აზრით, ატომები თვით არიან მატერიები, ამიტომ მათი საშუალებით მატერიის ახსნა წრეს წარმოადგენს.

მატერიის დედუქციით, მისი შემადგენელი მომენტების ჩამოყალიბებით მთავრდება თვითცნობიერების პირველი ეპოქა, ეტაპი. თვით პირველი ეპოქა არაა მარტივი რამ, არამედ როგორც ვნახეთ სტრუქტურული ხასიათის მქონეა და თვით შეიცავს აქტს, რომლიდანაც პირველის დროს განიჭვრიტებოდა მე, როგორც მხოლოდ ობიექტი, მეორე აქტში იგი განიჭვრიტება როგორც სუბიექტი, ხოლო მესამე აქტში იგი სუბიექტ-ობიექტს ობიექტის რანგში ჭვრეტს. მაგრამ შელინგის აზრით, ეს ასეა ფილოსოფოსისათვის და არა თვით მე-სთვის, მე ამ ეპოქაში ჯერ კიდევ არ ჭვრეტს თავის თავს, როგორც სუბიექტ-ობიექტს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მიუახლოვდა ინტელიგენციის, ანუ რეფლექსიის ეპოქას, ეტაპს, მაგრამ არ მიუღწევია მისთვის. ამ საფეხურზე მე-ს არ გაუცნობიერებია საკუთარი მოქმედება. „ამის საპირისპიროდ, როგორც აღნიშნავს ნ. ჰარტმანი, მეორე ეპოქის გაბატონებული მომენტია თვითგრძნება (selbstgeföhle). იწყება საკუთარი მოქმედების გაცნობიერება“.<sup>2</sup> თვითშემეცნების დაწყების პროცესში მე-ს მჭვრეტელობითი საქმიანობა იყოფა ორ ნაწილად, ვინაიდან თვით მე იქცევა საკუთარი თავის ობიექტად. მჭვრეტელობითი მოქმედების ის მხარე, რომელიც მიიმართება თვით მე-სკენ აღინიშნება, როგორც მარტივი ჭვრეტა, ხოლო ის მხარე, რომელიც ასე ვთქვათ მიიმართება მე-ს გარეთ თვით მე-სკენ, ერთდროულად აღინიშნება, როგორც შედგე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 161

<sup>2</sup> N. Hartmann, Die Philosophie des deutschur idealismus, Berlin und Np2, 1923, გვ. 144



ნილი ჭვრეტა. ეს უკანასკნელი, ვინაიდან იგი გადის მე-ს ფარგლებს გარეთ, წარმოგვიდგება, როგორც გარეგანი ჭვრეტა, ხოლო მარტივი ჭვრეტა არ გადის მე-ს ფარგლებს გარეთ, მას ეწოდება შინაგანი ჭვრეტა. შელინგის აზრით, მარტივ და რთულ, ანუ შესაბამისად, შინაგან და გარეგან ჭვრეტას შორის საზღვარს წარმოადგენს საზღვარი მე-ს და თავისთავად ნივთს შორის. გარეგან და შინაგან ჭვრეტას შორის მყარდება გარკვეული მიმართება. გარეგანი ჭვრეტა, შელინგის აზრით, წარმოადგენს შინაგანი ჭვრეტის შეზღუდვას. გარეგანი ჭვრეტა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამასთანავე წარმოადგენს შინაგან ჭვრეტას, მაგრამ არა პირიქით. შინაგანი და გარეგანი ჭვრეტის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას შელინგი გარკვეულ ასპექტში იზიარებს კანტის შეხედულებებს დროისა და სივრცის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. შელინგი არ ღალატობს ფიხტენგლობის პერიოდში წამოყენებულ შეხედულებებს დროისა და სივრცის შესახებ, და აღრმავებს მას ამ ორ ფენომენს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევით. თუ გავიხსენებთ კანტის შეხედულებებს დროისა და სივრცის აპრიორული ჭვრეტის ფორმების შესახებ (ცხადი ხდება შემდეგი:

1. კანტისათვის დროისა და სივრცის აპრიორული ფორმები ემპირიული ჭვრეტის ფორმებია, შელინგისთვის კი დრო და სივრცე ისაა ინტელექტუალური ჭვრეტის ფორმები.

2. კანტისათვის დროისა და სივრცის აპრიორული ფორმები ურთიერთდამოკიდებულია, შელინგისათვის კი გარეგანი ჭვრეტა ამავე დროს შინაგანი ჭვრეტაა.

3. კანტისათვის დროისა და სივრცის აპრიორულ ფორმებს შორის საზღვარი არაა მოცემული, მასთან საერთოდ არაა მსჯელობა დროისა და სივრცის ურთიერთშემოსაზღვრის შესახებ, შელინგთან კი შინაგან და გარეგან ჭვრეტას შორის საზღვარი ის საზღვარია, რომელიც იქმნება მე-სა და თავისთავად ნივთს შორის.

4. კანტისათვის დროსა და სივრცეს არავითარი უშუალო დამოკიდებულება არა აქვს თავისთავად ნივთთან, შელინგისთვის კი გარეგანი ჭვრეტის სპეციფიკურობას სწორედ თავისთავადი ნივთი ქმნის. გარეგანი ჭვრეტა სხვა არაფერია თუ არა ობიექტი<sup>1</sup>.

5. და ბოლოს, კანტისათვის დროისა და სივრცის აპრიორული ფორმები ცალკე სფეროს ქმნიან კატეგორიებთან მიმართებაში, შელინგისათვის კი დროისა და სივრცის აპრიორული ფორმები, ანუ

---

<sup>1</sup> Шеллинг, Система... გვ. 174

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაგანი და გარეგანი ჭვრეტა წინ უსწრებს განსჯის ლოგიკურ ფორმებს – კატეგორიებს; ეს უკანასკნელნი დედუციონდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე გააცნობიერებს ჭვრეტის ძირითად ფორმებს – გარეგან და შინაგან ჭვრეტას. შელინგი აჩვენებს თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს, ანუ როგორ ხდება გადასვლა ჭვრეტის ძირითადი ფორმებიდან ძირითად ლოგიკურ ფორმებზე, რასაც არ ჰქონდა ადგილი კანტის ფილოსოფიაში.

შელინგის მიერ დროისა და სივრცის დედუქცია უთუოდ უნდა განიცდიდეს კანტის მიერ „წმინდა გონების კრიტიკაში“ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებების ანალიზის გავლენას. მხედველობაში გვაქვს შელინგის მიერ სივრცისა და დროის, შესაბამისად, როგორც ინტენსივობისა და ექსტენსივობის დახასიათება.

შელინგის განსაზღვრებით, „სივრცე ესაა ობიექტქმნილი გარეგანი გრძნობა, ხოლო დრო – ობიექტივირებული შინაგანი გრძნობა“.<sup>1</sup> სივრცისა და დროის შელინგისეული ანალიზისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ კანტის ცნობილი დებულება სივრცისა და დროის შესახებ – დრო და სივრცე ემპირიულად რეალურია და ტრანსცენდენტალურად იდეალური. თუკი ამ დებულების ბედის დადგენას მოვისურვებთ შელინგის ფილოსოფიაში, ჩვენის აზრით, იგი მიიღებს შემდეგ სახეს – დრო და სივრცე ტრანსცენდენტალურად რეალურია, ხოლო ემპირიულად იდეალურია. ეს მოსაზრება ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებას: დრო და სივრცე ჭვრეტის ძირითადი ფორმებია შელინგის მიხედვით, ამიტომ მათ რეალობა უკვე გააჩნია, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს ემპირიის სამფლობელო, უფრო მეტიც, დროსა და სივრცეს რომ არ გააჩნდეთ ტრანსცენდენტალური რეალობა, მაშინ ემპირია საერთოდ არ იარსებებს. ემპირიაში კი შეუძლებელია დროისა და სივრცის ტრანსცენდენტალური ბუნების დანახვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემპირიიდან შეუძლებელია დროისა და სივრცის აპრიორულ-ტრანსცენდენტალური ბუნების აბსტრაქტირება. ემპირიაში მოცემული გვაქვს დროისა და სივრცის კონკრეტული ისტორიული მოდიფიკაციები, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვნახავთ დროსა და სივრცეს, როგორც ასეთს. დრო და სივრცე, როგორც ასეთი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ჭვრეტის ძირითადი ფორმები, წინ უსწრებენ და ქმნიან ყოველგვარ ემპირიას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ კანტის ზემოთხსენებული დებულება

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 181

შელინგის ფილოსოფიაში ტრანსფორმირდება შემდეგი სახით: ვინაიდან დრო და სივრცე ჭვრეტის ძირითადი ფორმებია, რომლებიც წინ უსწრებენ ყოველგვარ ემპირიას და განაპირობებენ მას, ამიტომ დრო და სივრცე ტრანსცენდენტალურად რეალურია, ვინაიდან მისი დედუქცია ხდება ემპირიამდე და ემპირიულად იდეალურია, ვინაიდან მათი, როგორც ასეთის ძებნა ემპირიის სფეროში უაზრობაა.

„დრო და სივრცე შელინგის მიხედვით წარმოადგენენ ინტენსიურობისა და ექსტენსიურობის თვისების მატარებელ ჭვრეტის ძირითად ფორმებს. ინტენსიურობა ესაა ის, რაც ობიექტში შეესაბამება შინაგან გრძნობას, ხოლო ექსტენსიურობა კი ის, რაც შეესაბამება გარეგან გრძნობას. ექსტენსიურობა და იმტენსიურობა ისევე განსაზღვრავენ ერთმანეთს, როგორც დრო და სივრცე. ობიექტი სხვა არაფერია თუ არა დრო, დაფიქსირებული მის ანმყოფში, რაც შესაძლებელია სივრცის წყალობით, მაგრამ ავსებული სივრცისა, ეს ავსება კი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმ დროის წყალობით, რომელიც თვით უკვე აღიარა სივრცეში, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ განფენილობას“.<sup>1</sup> შელინგმა მოამზადა ნიადაგი კატეგორიებზე გადასასვლელად. ამას იგი შემდეგნაირად ახორციელებს: ის რაც ობიექტში მიეკუთვნება შინაგან გრძნობას, ანუ დროს, შელინგი მას უწოდებს აქციდენციას, ხოლო იმას, რაც ობიექტში გარეგანი გრძნობისეული ანუ სივრცისეულია, შელინგის აზრით „სუბსტანციური უნდა იყოს. ის, რაც არსებობს დროში, იცვლება, ამიტომ იგი აქციდენციურია, ხოლო ის, რაც არსებობს მხოლოდ სივრცეში და არ ექვემდებარება ცვალებადობას, სუბსტანციურია. იმისდა მიხედვით, რომ ობიექტი ერთდროულად ექსტენსიურიცაა და ინტენსიურიც, ასევე იგი ერთდროულად სუბსტანციაცაა და აქტიდენციაც“.<sup>2</sup> ჩვენის აზრით, შელინგი აქ მყარად დგას არისტოტელისზმის ნიადაგზე სუბსტანციისა და აქციდენციის გაგების საკითხში – ობიექტში მოცემულია სუბსტანციაც და აქტიდენციაც.

სუბსტანციის და აქტიდენციის კატეგორიებს უკავშირდება მიზეზობრიობის კატეგორია, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს აუცილებლობის კატეგორიას. შელინგი არ თვლის საჭიროდ კატეგორიათა სრული სახის ანალიზს, ვინაიდან, ჩვენის აზრით, იგი კატეგორიათა სისტემას ჩამოყალიბებულად თვლის კანტის ფილოსოფიის სახით. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მთავარი კატეგო-

---

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> იქვე, გვ. 182

რია ესაა მიმართების კატეგორია, რომელიც ასე ვთქვათ, მსჭვალავს ყველა სხვა კატეგორიას. კატეგორიების დედუქციით თავდება თვითშემეცნების განვითარების მეორე ეპოქა, ეტაპი. მეორე აპოქაში მე-ს ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია თავისი თავი როგორც შემეცნებელს, იგი ამას აღწევს მესამე ეპოქაში, რომელიც თვითშემეცნების ისტორიაში უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს; ამის შემდეგ თეორიული ფილოსოფიის სამფლობელო თავდება და იწყება პრაქტიკული ფილოსოფიის სფერო.

შელინგი, ისევე, როგორც კანტი, ფიქრობს, რომ საჭიროა ერთმანეთთან კავშირში განვიხილოთ დროისა და სივრცის ჭვრეტის ძირითადი ფორმები და კატეგორიები, რაც შედეგად მოგვცემს სქემას, რომელიც წარმოადგენს ყოველივე მსჯელობის საფუძველს. შელინგის აზრით, მსჯელობა უნდა განვიხილოთ არა როგორც ცნებათა კავშირი, არამედ როგორც ცნების კავშირი ჭვრეტის ფორმებთან. მისი აზრით, სქემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავურიოთ ხატს ან სიმბოლოს. ხატში, შელინგის აზრით, ისე დიდია სიცოცხლე და გარკვეულობა, რომ ძნელია მისი განსხვავება საგნისაგან; განსხვავებას ქმნის სივრცის იმ ნაწილის არარსებობა ხატში, რომელშიაც იმყოფება თვით საგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხატს და საგანს სავსებით იდენტური ნიშნები აქვთ, გარდა სივრცის იმ ნაწილისა, რომელშიც იმყოფება საგანი განსხვავებით ხატისაგან. ხატისაგან განსხვავებით სქემა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ იმ ხერხის ჭვრეტას, რომლის მიხედვითაც შეიძლება აგებულ იქნეს ესა თუ ის განსაზღვრული საგანი.<sup>1</sup> აქ საქმე არა გვაქვს ცნებასთან, არამედ თვალსაჩინოებასთან. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა მოსაშუალებ რგოლი საგანსა და ცნებას შორის. შელინგის აზრით, სქემის უკეთ გაგება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუკი მოვიყვანთ ხელოსნის მაგალითს, კერძოდ როდესაც მას გააცნობენ ზოგად ცნებას და იმას, თუ როგორი უნდა იყოს საგანი ცნების მიხედვით. ამის შემდეგ ოსტატი განჭვრეტს წინდაწინ, თუ როგორ უნდა გაფორმდეს რეალურად ეს საგანი. აი სწორედ ის ხერხი უნდა წარმოადგენდეს სქემას, ფიქრობს შელინგი. ტრანსცენდენტალური სქემის გარდა შელინგი ანსხვავებს აგრეთვე ემპირიულ სქემას. თუკი ტრანსცენდენტალური სქემა წარმოადგენს განსაზღვრულის საგნის აგების ზოგად წესს, სამაგიეროდ ემპირიული სქემის თანახმად, საგანი შეიძლება ემპირიულად იქნეს გაგებული, ეს

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 231

სქემა წარმოადგენს საგნის გრძობადად ჭვრეტის წესს. ტრანსცენდენტალური სქემა წარმოადგენს შელინგის აზრით ისეთ რამეს, რაც „პირველდანიყებითად აერთიანებს შინაგან და გარეგან გრძობას“.<sup>1</sup> ასეთი რამ კი შელინგის აზრით, არის დრო. ეს აზრი, როგორც ცნობილია, არ არის ორიგინალური, იგი თავის დროზე კანტმა გამოთქვა. შელინგი იმეორებს კანტის აზრს დროის ორმაგი – ტრანსცენდენტალური და ემპირიული ბუნების შესახებ, მაგრამ შესაბამისი განვითარებითა და გაღრმავებით, რომელიც ეყრდნობა აბსოლუტურის ფილოსოფიას. დროის სქემა ერთმანეთთან აკავშირებს კატეგორიებსა და ობიექტთა სამყაროს, მაგ.: თუკი ჩვენ სიდიდეს დავუკავშირებთ დროს, მივიღებთ რიცხვს, რიცხვი კი ახასიათებს ობიექტთა სფეროს. თუკი ამ სინთეზს გავაანალიზებთ უკუსვლით, ნათლად დავინახავთ, რომ ის ცნობილი კატეგორიალური სინთეზი, რომელიც კანტს პოსტულირებული ჰქონდა ტრანსცენდენტალურ ანალიტიკაში (მხედველობაშია ის ფაქტი, რომ ყოველი მესამე კატეგორია წარმოადგენს პირველი ორის სინთეზს), არ იყო კანტის მიერ სათანადოდ დასაბუთებული. შელინგი კი სწორედ კატეგორიალური სინთეზის დასაბუთებას ცდილობს, როდესაც იგი ამბობს, რომ რიცხვი არის ერთიანობისა და სიმრავლის კატეგორიის სინთეზი, რომელიც ხორციელდება დროის ტრანსცენდენტალური სქემის საფუძველზე. „ამგვარად, დროის მომენტი შემოიტანება მხოლოდ და მხოლოდ მეორე კატეგორიის (სიმრავლის კატეგორიის) დახმარებით, რადგანაც ჩვენ თვლას მხოლოდ მაშინ ვინყებთ, როცა სახეზეა, რომ სიმრავლეა იქ, სადაც არ ვითვლით. იქ ყველაფერი ერთია. ერთიანობა მხოლოდ და მხოლოდ სიმრავლის საფუძველზე გარდაიქმნება რიცხვად“.<sup>2</sup>

თუკი დროის სქემა წარმოადგენს განხვავებულთა სინთეზს, განსხვავების საფუძველს წარმოადგენს ტრანსცენდენტალური აბსტრაქცია. ეს უკანასკნელი პირველდანიყებით ჭვრეტაში ერთმანეთისაგან განაცალკევებს ცნებას და ჭვრეტას ისე, რომ ერთ პოლუსზე რჩება წმინდა ჭვრეტას მოკლებული ცნება, ხოლო მეორეს მხრივ ცნებას მოკლებული ჭვრეტა. ტრანსცენდენტალურ აბსტრაქციას დაქვემდებარებულ საფეხურს წარმოადგენს ემპირიული აბსტრაქცია, რომელიც აბსტრაჰირებას ახდენს ხატებისაგან ისე, რომ უარყოფს რა ყოველგვარ სხვა ნიშნებს, ტოვებს ზოგადს. მაშასადამე ეს

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 240

<sup>2</sup> იქვე, გვ. 246

ემპირიული ხერხი ზოგადის დანახვისა, გულისხმობს წესს, რომლის საფუძველზეც ხდება ეს დანახვა. ე.ი. ცნების...<sup>1</sup> როდესაც ამ აზრებს ვეცნობით, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ლოგიკური წრე იმისათვის, რომ დავადგინოთ ზოგადი. მე უნდა მქონდეს ზოგადი, რომელიც ჩვენის აზრით კარგად აიხსნება შელინგის ფილოსოფიის ზემოთ ხსენებული მსჯელობით. მაშასადამე, იმისათვის, რომ ემპირიული აბსტრაქციით დავადგინოთ ზოგადი ცნება, ამისათვის ჯერ ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის მიერ უნდა განსხვავდეს ცნება ჭვრეტისაგან, ვინაიდან პირველდანიებით ჭვრეტაში ცნება და ჭვრეტა ერთმანეთთანაა შერწყმული. ჩვენის აზრით, უფრო ნათელი გახდება შელინგის აზრის ეს მსვლელობა თუ ვიტყვით, რომ ტრანსცენდენტალური აბსტრაქციით ერთმანეთისაგან განსხვავდება კატეგორია და ჭვრეტა, ხოლო ემპირიული ხდება მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული, ასე ვთქვათ ჩვეულებრივი ცნების, არაგვარეობითი ცნების დადგენა. როგორც ჩანს, შელინგი მკაცრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან ცნებასა და კატეგორიას. მათი განსხვავების საფუძველი კი აბსტრაქციის თვისობრიობაშია. აქ ნათლად გამოიკვეთა შელინგის პოზიცია ცნების გაგების საკითხში: იმისათვის, რათა დადგინდეს ცნება, საჭიროა უნინ დადგენილ იქნეს კატეგორიათა სისტემა, რის საფუძველზეც შესაბამისი ზოგადი ნიშნის ძიება უკვე აღარ იქნება ლოგიკური წრე, არამედ ეს იქნება სვლა უმაღლესი აბსტრაქციიდან უმდაბლესისკენ. ჩვენის აზრით, ასეთი ლოგიკური წრით დაავადებული იყო ცალმხრივი ემპირიული ინდუქცია, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული შელინგის ზემოთხსენებული აზრთა მსვლელობა ამ პრობლემის გარშემო; უნდა ითქვას, რომ გამოსული შელინგის პოზიციებიდან, ეს არგუმენტაცია მიზანს აღწევს.

ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის საფეხურზე ასვლით, შელინგის აზრით, უნდა დასრულდეს თეორიული ფილოსოფიის საზღვრები, ვინაიდან ტრანსცენდენტალური აბსტრაქცია წარმოადგენს უმაღლესი საფეხურის აბსტრაქციას, სადაც მე აღწევს იმ საფეხურს, სადაც იგი აბსტრაგირდება როგორც ობიექტისაგან, ასევე თავისი თავისაგან, როგორც მჭვრეტელისაგან. მაშასადამე, ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის საფეხურზე მე ჭვრეტს თავის თავს, როგორც სუბიექტ-ობიექტს, მაშინ როცა ემპირიული აბსტრაქციის

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 236

დროს იგი აბსტრაჰირდება მხოლოდ და მხოლოდ ობიექტისაგან, ანუ თავისი თავისაგან, როგორც ობიექტისაგან.

ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის გაცნობიერებით მე ამალღდება ყოველი ობიექტურობისაგან და შეიცნობს საკუთარ თავს, როგორც ინტელიგენცია, მაშასადამე აბსოლუტური აბსტრაქციის (ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის) საფუძველზე მე თავის თავს ამონურავს თეორიულ პლანში და იგი უნდა გადავიდეს სხვა სფეროში – პრაქტიკულ ფილოსოფიაში. ტრანსცენდენტალური აბსტრაქციის განხორციელებით, მე თითქოსდა გვერდიდან ჭვრეტს მთელს თავის სტრუქტურულ მთლიანობას. თვითგამორკვევის ეს აქტი წარმოადგენს ნებას, მაგრამ არა ისეთ ნებას, რომელიც გულისხმობს ობიექტის არსებობას, არამედ ტრანსცენდენტალურ თვითგამორკვევას. ასეთი რამ კი სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს თუ არა თავისებურება, მისი პირველდანწყებითი აქტი. ისმება კითხვა, რა მიმართებაშია თვითგამორკვევის ეს უკანასკნელი აქტი პირველდანწყებითისაგან? პირველ აქტში ჩვენ საქმე გვქონდა უბრალოდ დაპირისპირებასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა განმსაზღვრელსა და განმსაზღვრავს შორის. თვითგამორკვევის უმაღლესი აქტის დროს კი განსაზღვრული და განმსაზღვრელი ორივე ერთი ძალით უპირისპირდება მჭვრეტელს. პირველი აქტის სიმარტივე იმით აიხსნება, რომ ამ მომენტში მე ეს ეს არის წარმოიშვა, როგორც თავის თავის ობიექტი, აქ ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი მე-ს ტრანსცენდენტალურ ექსპრესიას; რაც შეეხება მეორე აქტს, შეიძლება ითქვას, რომ მე-მ დაამთავრა თეორიულ პლანში განვითარება და მიაღწია ნების საფეხურს, საიდანაც ცხადად ჩანს მე-ს მთელი შინაგანი ერთობლიობა.

მე-ს აბსოლუტური თვითგამორკვევა (მეორე რიგის აქტი) წარმოადგენს ავტონომიის პრინციპს. ეს უკანასკნელი შელინგის აზრით, უნდა წარმოადგენდეს თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიების შემაკავშირებელ რგოლს. მაგრამ თვით ავტონომიის პრინციპს გააჩნია გამოვლენის სხვადასხვა ფორმა. შესაბამისად, თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიების ავტონომიის პრინციპის გამოვლენისას საქმე გვაქვს შემდეგ გარემოებასთან: პირველდანწყებითი აქტის წყალობით, მე-ს აბსოლუტურიზმი განსაზღვრავს თავის თავს. ამ ეტაპზე იგი არ არის კიდევ გაცნობიერებული როგორც ასეთი. ამ ეტაპზე იგი გვევლინება კანონმდებლადაც და კანონის განმახორციელებლადაც, ისე, რომ არ აქვს გაცნობიერებული საკუთარი კანონმდებელი ხასიათი. პრაქტიკულ ფილოსოფიაში მე უპი-

რისპირდება როგორც საკუთარ იდეალურ, ისევე რეალურ მოქმედებას ერთდროულად. ამის გამო თვლის შელინგი, რომ პრაქტიკული ფილოსოფია ეყრდნობა ერთის მხრივ იდეალების დამდგენ მაიდეალიზებელი მოქმედებისა და მარეალიზებელი მოქმედების ორმაგობას.

პრაქტიკულ ფილოსოფიაში ავტონომიის პრინციპი, ანუ აბსოლუტური თავისუფლება ვლინდება ცნობიერად, წინააღმდეგ თეორიული ფილოსოფიისა, სადაც თვით მე-სთვის ავტონომიის პრინციპი არაცნობიერია; აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს ასეა თვით მე-ს პოზიციიდან და არა ფილოსოფიისა. პრაქტიკულ ფილოსოფიაში ჩვენ ერთი განპირობებულიდან მეორისაკენ მივდიოდით, რაცა ვარ შეიძლება საბოლოო ჯამში არ მივიყვანეთ რაიმე უპირობოსთან, რომელიც აღარ ემორჩილება განსაზღვრებას. მაგრამ ეს განუსაზღვრელობა არაა აბსოლუტური ხასიათის, არამედ შეფარდებითია. ამგვარად, აქ ადგილი აქვს წინააღმდეგობას, ერთდროულად განსაზღვრება უნდა განხორციელდეს მე-ს საფუძველზე და ამავე დროს ეს შეუძლებელია, ვინაიდან გასული ვართ ინტელიგენციის ფარგლებიდან. ამგვარად, აქ შელინგი აყალიბებს გასხვისების იმ ფორმას, რომელსაც შეიძლება ჩვენის აზრით ენოდოს მე-ს თვითგასხვისება პრაქტიკული ფილოსოფიის პლანში. თეორიული ფილოსოფიის მსვლელობამ გაგვიყვანა თეორიული ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ ანუ, რაც იგივეა ინტელიგენციის გაღმა, ტრანსცენდენტურის სფეროში. „ზემოხსენებული რალაც, რომელიც ემსახურება თავისუფალ თვითგამორკვევას, უნდა წარმოადგენდეს ინტელიგენციის შემოქმედებას, მაგრამ უარყოფითი მხრივ განისაზღვრება რალაც მის გარეთ მყოფით“.<sup>1</sup> აქ დილემასთან გვაქვს საქმე: ამ დებულების პირველი ნაწილი ძალაშია იმის გამო, რომ ინტელიგენცია წარმოადგენს მონადას, რომელსაც არა აქვს კარ-ფანჯარა და რომელშიც ამის გამო არაფერი არ შეიძლება მოხდეს, ხოლო დებულების მეორე ნაწილი იმით გამართლდება, რომ იგი არ აიხსნება ინტელიგენციის საფუძველზე. ყველაზე ნათლად თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მიჯნაზე ჩანს შელინგის კავშირი ლაიბნიცთან, რომელსაც იგი დიდი სიამაყით აღიარებდა. მაგრამ შელინგი ბრმად არასოდეს არ ლებულობდა რომელიმე ფილოსოფიური თეორიის რომელიმე იდეას, არამედ მას ყოველთვის საკუთარ პრიზმაში ჭვრეტდა და შესაბამის დასკვნებს აკეთებდა. მხედველო-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 271



ბაშია ის გარემოება, რომ ლაიბნიცის მიხედვით მონადებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, მათ არ შეუძლიათ ერთიმეორეზე ზემოქმედება მათი იდეალურობის გამო; შელინგი ამ საკითხზე სხვაგვარი აზრისაა – როგორც ეს ზემოთ დავინახეთ ინტელიგენციაში არაფერი არ შეიძლება გარედან მოხვდეს იმის გამო, რომ ყველაფრის საფუძველი თვით მასშია, მაგრამ ვინაიდან შემოქმედმა ჭვრეტამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, მან თავის თავს ასე ვთქვათ გვერდიდან შეხედა და დაინახა მასში ისეთი მომენტის აჩრდილი, რომლის ავტორი თვით ინტელიგენცია არ არის, ვინაიდან მან უკვე ამოწურა თავისი თავი და ჭვრეტს თავის თავს როგორც ასეთს. ვინაიდან ზემოთხსენებული რალაც განისაზღვრება, როგორც ქმედების არარსებობა და ამასთანავე გამოიწვევა ინტელიგენციის არაქმედებით, იგი ისეთი რამე უნდა იყოს, რაც გამოირიცხება უკანასკნელის ქმედებით და შეიძლება ამ უკანასკნელის გამო შეუძლებელი გახდეს, თვით უნდა წარმოადგენდეს ქმედებას და ამასთანავე გარკვეულს.<sup>1</sup> შელინგის აზრით, ასეთი რამ უნდა შეიცავდეს რალაც პოზიტიურსაც და ასკვნის, რომ ქმედების არსებობიდან აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდეს გარეშე ინტელიგენციის არსებობა, რომელიც ნოვაციას წარმოადგენს. თუ დავუკვირდებით დასაწყისშივე შეიძლება პატარა დასკვნის გაკეთება. ჩვენის აზრით შელინგის პრაქტიკული ფილოსოფია წარმოადგენს პრაქტიკული ფილოსოფიის თეორიულ დაფუძნებას, ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ ნაცადია პრაქტიკული ფილოსოფიის ტრანსცენდენტალური ანალიზი, დაფუძნება. ჩვენის აზრით, შელინგი აქ ცდილობს არა ნორმატიული სისტემის დადგენას, როგორც ეს კანტთან იყო, არამედ ნორმატიული სისტემის ტრანსცენდენტალურ დაფუძნებას. მართალია, მოყვანილი აზრი შეიძლება ერთის შეხედვით არამართებული ჩანდეს ჩვენის მხრიდან, მაგრამ არგუმენტად შეიძლება და ვიყენებთ მთელს აქამდელ მსჯელობას, სადაც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ქცევის არც ერთ ნორმაზე. შელინგის ხსენებული მიზანი – გამოიკვლიოს ნორმატიულობის ანუ ღირებულების ტრანსცენდენტალური საფუძვლები, არ შეიძლება არ გვახსენებდეს თანამედროვე ფენომენოლოგიის მამამთავრის ე. ჰუსერლის ადრეულ შეხედულებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს ნორმატიულობის ტრანსცენდენტალური (ლოგიკური) საფუძვლების ძიება.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 272

შელინგის პრაქტიკული ფილოსოფიის მიზანია ახსნას ის, რაც ვერ ახსნა კანტმა – კერძოდ, რა პირობების დაცვითაა შესაძლებელი კატეგორიული იმპერატივი; რატომ უნდა მოვიქცე მე ისე, რომ ჩემი ქცევა იყოს საყოველთაო სამოქმედო წესი? შელინგი უპასუხებს, იმიტომ, რომ მე და სხვა ადამიანებს შორის არსებობს პრესტაბილური ჰარმონია, ანუ მე და არა – მე პრაქტიკულ პლანში განხილული, მსგავსნი არიან, მე-ს თვითგამორკვევის საფუძველს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა წარმოდგენს, რომელიც სხვა არაფერია თუ არა – მე.

თვითგანსაზღვრის აქტი, შელინგის აზრით, აიხსნება სხვა გარეშე ინტელიგენციის ზემოქმედების წყალობით. როდესაც მე ჩემს თავში ვნახულობ მოქმედებას, რომლის მიზეზი მე არა ვარ, აქედან მე ვასკვნი, რომ იგი უნდა იყოს სხვა, რეალურად არსებული ინტელიგენციის ზემოქმედების შედეგი. ინტელიგენციის არსებობის დარწმუნების შემდეგ მე ვრწმუნდები იმაში, რომ თუ იგი ინტელიგენციაა, მაშასადამე, მას იგივე სამყარო უნდა გააჩნდეს, რაც მე გამაჩნია. ამ აზრთა მსვლელობისას მე არ გამაჩნია სხვა საშუალება – იარაღი, თუ არა ჭვრეტა, რომელიც თეორიულ მე-ზე დაყრდნობით ცდილობს პრაქტიკული მე-ს ჭეშმარიტი სურათის დადგენას. ჭვრეტის ერთ-ერთ სახესხვაობას შელინგთან, ჩვენის აზრით, უნდა წარმოადგენდეს ანალოგიის მეთოდი, სხვა გზა შელინგს არა აქვს. ანალოგიის მეთოდი მჭიდროდ უკავშირდება პრესტაბილური ჰარმონიის ლაიბნიცისეული პრინციპის შელინგისეულ გამოყენებას. ისევე, როგორც მონადებს ლაიბნიცთან აერთიანებდა სამყაროს წარმოდგენა, ასევე შელინგისათვის პრესტაბილური ჰარმონიის საფუძველს წარმოადგენს ინტელიგენცია სამყაროების ერთობა. ინტელიგენციას, რომლებიც ჩაძირულნი იქნებოდნენ სრულად სხვადასხვა სამყაროთა ჭვრეტაში, საერთოდ არ ექნებოდათ არაფერი საერთო და არ ექნებოდათ შეხების არავითარი წერტილი, სადაც მათ შეეძლოთ შეჯახება.<sup>1</sup> მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შელინგი პრესტაბილური ჰარმონიის მოქმედებას ამ სფეროში უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან მისი აზრით სხვა ინტელიგენტი არის რა თავისუფალი, ამ თავისუფლებით ზღუდავს ჩემს თავისუფალ ქმედებას. ამ აზრით, ინტელიგენტი არის რა თავისუფალი, თავისუფლად მოქმედებაში ჭვრეტს თავის თავს შეზღუდულად სხვა თავისუფლების მიერ. ეს უკანასკნელი სახის ჭვრეტა იძლება ინდივიდუუმებს. ნ. ჰელ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 278

ტნერის აზრით, მართალია ინტელიგენციებს უნდა გააჩნდეთ წარმოდგენების ერთნაირი სამყარო, მაგრამ მათ შორის სხვაობაც უნდა აღინიშნებოდეს. ამ განსხვავებას ინდივიდუალობა ქმნის, რომელსაც მე „სამმაგი“ შეზღუდვით აღწევს: პირველად იგი არის წმინდა, შემდეგ ინტელიგენტი და ბოლოს ინდივიდუალობა.<sup>1</sup> ინდივიდუალობა, ესაა ინტელიგენტი შეზღუდული მის თავისუფალ ქმედებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდი არის ნებით შეზღუდული ნება; იზუდება ქმედება, რომელიც ნების გამოხატულებაა. ინდივიდუალობა, როგორც სინთეზური ერთიანობა (თავისუფლები-სა და შეზღუდვის ერთიანობა) წარმოადგენს შელინგის აზრით, „შემობრუნების წერტილს თეორიულ და პრაქტიკული ფილოსოფიისაკენ“.<sup>2</sup>

ინდივიდისათვის სხვა ინტელიგენციები წარმოადგენს სამყაროს ობიექტურობის საფუძველს, სხვა ინტელიგენციათა წარმოდგენები, ჭვრეტა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ჩემი წარმოდგენების ობიექტურობის საფუძველს, წარმოადგენს ამასთანავე ჭეშმარიტების საფუძველს. ამგვარად ჭეშმარიტების ცნება შელინგთან გვარეობითს წარმოადგენს და ჩემი წარმოდგენების სხვისადმი თანხმობაში მდგომარეობს. მაგალითად, როდესაც ინტელიგენტი ხვდება რაიმე უცნობ მოვლენას, მაშინ სხვათა წარმოდგენები ამ მოვლენის შესახებ ეხმარებიან მას შეიმუშაოს შესაბამისი წარმოდგენა ამ მოვლენის შესახებ. უფრო მეტიც, გარეგანი ობიექტები, რომლებსაც რალაცნაირად ჭვრეტს ინტელიგენცია, წარმოადგენენ სხვა ინტელიგენციებს. ჩვენთვის აქ საყურადღებოა ის, რომ ვინაიდან ყველაფერი და მასთან ერთად ჭვრეტაც ჩვენი მე-სთვის ობიექტურნი ხდებიან გარეგანი ობიექტების წყალობით, ეს გარეგანი ობიექტები კი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ჩვენს გარეშე არსებულ ინტელიგენციებს... (ყოველი ობიექტი ხომ ჩვენი მჭვრეტელი ინტელიგენციაა).<sup>3</sup> აქედან შელინგი აკეთებს საკმაოდ პროგრესული ხასიათის დასკვნას – იზოლირებულ ადამიანს არა აქვს უნარი არც შემეცნებისა და არც თავისუფლებისა. ინდივიდის კავშირს სხვა ინტელიგენციებთან მივყავართ ცნობიერების განსაზღვრებების დასრულებამდე, რაც სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა ნებას, რომელიც ცნობიერების მიერ მთლიანად მოცემული ჭვრეტაა.

---

<sup>1</sup> H. Heltner, Schelling, Stuttgart, ჰრომმანს ვერაგ, 1954. გვ. 87

<sup>2</sup> Шеллинг, Система... გვ. 289

<sup>3</sup> იქვე, გვ. 295

ნების არარსებობის საფუძველზე წარმოიქმნება წინააღმდეგობა თავისუფლების გაცნობიერებასა და შეზღუდულობას, რეფლექსიას შორის, ამ წინააღმდეგობის გამო უნდა გაჩნდეს მოსაშუალო კომპლექსი, რომელიც იმოქმედებს სასრულობასა და უსასრულობას შორის, შეზღუდულობასა და თავისუფლებას შორის – წარმოსახვის ძალა. წარმოსახვის ძალა, მისი მოსაშუალო ბუნების გამო წარმოქმნის ასეთივე მოსაშუალო ბუნების მქონე პროდუქტს. ასეთ პროდუქტს წარმოადგენს იდეა. იდეა შელინგის მიხედვით არის წარმოსახვის ძალის ობიექტი, რომელიც თავის კონკრეტულ სახეს – იდეალობას იძენს სასრულობასა და უსასრულობას შორის მერყეობით და მიეკუთვნება გონების (Vernunft) სფეროს. ორბუნებოვნობის გამო იდეები არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს განსჯის სფეროში, ვინაიდან მივყავართ გადაუჭრელ ანტიონიმიებთან, რაც თავის დროზე გაარჩია და დაამტკიცა კანტმა წმინდა გონების კოსმოლოგიური იდეების განხილვისას. განსჯის სფეროში როგორც ცნობილია რაიმე დგინდება, ან არ დგინდება, ე.ი. უარიყოფა. წარმოსახვის ძალის მოქმედებისას ჩვენ საქმე არ გვაქვს არც რაიმეს მტკიცებასთან და არც რაიმეს უარყოფასთან. ამიტომ იდეების შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია არც რაიმე ვამტკიცოთ და არც რაიმე უარყუოთ. „...ზემოთხსენებული იდეები აუცილებლად წარმოადგენს წარმოსახვის ძალის ქმნილებებს, ე.ი. ისეთი მოქმედებისა, რომელიც არ ბადებს არც სასრულობას და არც უსასრულოს“.<sup>1</sup> მე ნებელობაში ახდენს გადასვლას იდეიდან ობიექტისაკენ, რაც შელინგის აზრით, შეუძლებელია კვლავ მოსაშუალო რგოლის არსებობის გარეშე. ისევე როგორც ცნებასა და მოვლენას შორის მოსაშუალო რგოლს წარმოადგენს სქემა, ასევე იდეასა და ობიექტს შორის მისაშუალო რგოლს უნდა წარმოადგენდეს იდეალი. იდეალი იდეისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი იდეისაგან განსხვავებით თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს ანმყოფათვის; იდეა კი იდეალისაგან განსხვავებით უსასრულობაში რეალიზებადია, რაც თავის მხრივ განპირობებულია თვითცნონიერების უსასრულო სწრაფვით შემეცნებისაკენ.

თვით ნება შელინგს დიეალექტიკურად აქვს გაგებული – „იგი წარმოადგენს რეალური და იდეალური მოქმედების ერთიანობას. რეალურ, ანუ ობიექტურ მხარეს ნებაში წარმოადგენს ჭვრეტა, რომელიც მიმართულია რაღაც გარეგანზე. იდეალური, ანუ უფრო ზუსტად, წმინდა იდეალური მოქმედება თავის ობიექტად იხდის

---

<sup>1</sup> იქვე. გვ. 298

როგორც რეალურ, ასევე იდეალურ მოქმედებას, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საერთოდ თვითგანსაზღვრას. მაშასადამე, იდეალური მოქმედების ობიექტი ნებაში სხვა არაფერია, თუ არა თვით წმინდა თვითგანსაზღვრა, ანუ თვით მე<sup>1</sup>. წმინდა იდეალური მოქმედება თვითაა რეალური მოქმედების საფუძველი, რომელიც მიიმართება გარეთ ნებისაკენ გარეშე ნებისა კი სხვა არაფერი არსებობს თუ არა წმინდა მე, ანუ იდეალურისა და რეალურის აბსოლუტური იგივეობა. აბსოლუტური იგივეობა წარმოადგენს შელინგის აზრით არაცნობიერს, რომელიც არასოდეს არ შეიმეცნება. შეიმეცნება ყოველთვის გულისხმობს ვითარებას, რომელიც არ არსებობს აბსოლუტურ იგივეობაში. მართალია, შელინგის აზრით, აბსოლუტი არ შეიმეცნება, იგი არ შეიძლება დახასიათდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც წარმოადგენს სუბიექტურისა და ობიექტურს შორის ჰარმონიის საფუძველს თავისუფალი მოქმედებისა არა მხოლოდ ინდივიდში, არამედ მთელს გვარში...<sup>2</sup> ამდენად, აბსოლუტური მსჭვალავს ისტორიის მთელს მსვლელობას. თუ ეს წინასწარმონწყობილი ჰარმონია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არ არის გაცნობიერებული საქმე გვაქვს ფატალიზმთან. თუ რეფლუქსია იმართება სუბიექტურისაკენ, მაშინ ჩვენს წინაშე იქნება ათეიზმი. ანუ თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ ვოლუნტარიზმი. სულ სხვა მდგომარეობასთან გვექნება საქმე, როდესაც რეფლუქსია ამაღლება ორივე ცალმხრივობაზე და განხილვის საგნად აბსოლუტს გაიხდის. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება განგებასთან (Vorschuny), რომელიც შელინგის აზრით ჭესმარიტი რელიგიის საფუძველია. აბსოლუტის მომენტების განხილვის თანმიმდევრობის თავისებური გადაჯაჭვებით შელინგი გვთავაზობს ისტორიის ფილოსოფიის შემდეგ სურათს; საერთოდ ისტორიის მსვლელობა სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა აბსოლუტის, ღვთაების გამოვლენის, გამოცხადების უწყვეტ და უსასრულო თანმიმდევრობას. ღმერთო კი არა არსებობს (არსებობა გაგებულია ობიექტური სამყაროს არსებობის სახით. სამყარო არსებობს, ღმერთი კი ცხადდება), არამედ ცხადდება. თვით ადამიანის არსებობა, შელინგის აზრით აუცილებლად მიუთითებს ღმერთის არსებობაზე, მაგრამ ამის დასაბუთება შეიძლება იმ შემთხვევაში თუკი დამთავრდება ისტორიული განვითარება. როდესაც შელინგის ამ აზრებს ვეცნობით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 316

<sup>2</sup> იქვე, გვ. 359

კ. იასპერსის შეხედულებებიც ღმერთის გამოცხადების შესახებ, რომელთა თანახმად სამყარო შედგება შიფრებისაგან, რომელთა უკან ღვთაება იმალება.<sup>1</sup>

მართალია, ისტორიის საკითხის განხილვისათვის შელინგს არ მიუძღვნია სპეციალური ნაშრომი, მაგრამ როგორც ეს ჰ. ცელტნერს მიაჩნია, ისტორიის პრობლემა შელინგთან საკმაო დამაჯერებლობითა და საინტერესოდაა განხილული. „არც ერთ მოაზროვნეს, რომელიც წინ უძღოდა მას, ყოველი არსებულის ისტორიულობის ცნობიერება ისე არ ჰქონია განვითარებული, როგორც მას. შელინგმა იმით შექმნა ეპოქა ისტორიის ფილოსოფიაში, რომ მან პირველმა ჰეგელზე უწინ გაკვალა გზა ამ თვალსაზრისისათვის“.<sup>2</sup> შელინგი ისტორიის პრობლემას განიხილავს არა მხოლოდ ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემაში“, არამედ იგი ამ საკითხებით ჯერ კიდევ ფისტუნელობის პერიოდში დაინტერესდა. კითხვაზე თუ როგორაა შესაძლებელი ისტორიის ფილოსოფია, იგი უარყოფითად პასუხობდა, რაც კანტის ფილოსოფიის ზეგავლენით, აიხსნებოდა, კანტის მიხედვით ბუნება და ისტორია ერთმანეთის დაპირისპირებული სფეროებია. ბუნება მიეკუთვნება თეორიული ფილოსოფიის სფეროს, ხოლო ისტორია პრაქტიკული ფილოსოფიას. მათ შორის არ შეიძლება რაიმე საერთო არსებობდეს თეორიული განგების სფეროში მომხდარი ცდომილებები კანონზომიერ განხილვას ექვემდებარებიან, მათში ბატონობს მკაცრი კანონზომიერება. ისტორია კი ამისდა საპირისპიროდ თავისუფლების სფეროს მიეკუთვნება, სადაც ზედმეტია საუბარი ყოველგვარი კანონზომიერების, ყოველგვარი კანონზომიერი განხილვის შესახებ. ისტორიის მეცნიერების საგანი ცვალებადია და დროულია, რის გამოც მას არ გააჩნია ციკლები, ბუნების კანონზომიერება გამოიხატება a priori, ხოლო ისტორიის მსვლელობა არ აღინიშნება ასეთით.

ტრანსცენდენტალური იდეალიზმის პერიოდში შელინგი არსებითად ცვლის ამ თვალსაზრისს ახალი დიალექტიკური თვალსაზრისით, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ნატურფილოსოფიის პერიოდში ამზადებს. ახლა შელინგის თვალსაზრისით უეჭველია, ბუნებასაც უნდა გააჩნდეს ისტორია. ცნობილია, რომ ორგანული ბუნება არაორგანულისაგან, ანუ პირველდანყებითისაგან ძლიერ განსხვავებულია. ეს განსხვავებულობა მაშინ იქნება გასაგები, თუ ბუნებას აბსოლუ-

<sup>1</sup> K. Hespers, Der Phile sephisihe Uleure anersichts der Offenberung. გვ. 237

<sup>2</sup> H. Heltner, Shelling, Shtutgard, Frummans Verlay, 1954, გვ. 148

ტურ თავისუფლებაში გავიგებთ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნება, როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ, შელინგს ესმის როგორც ძალა ხარისხების უსასრულო ევოლუცია და თუ ეს ასეა, ეს სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ ბუნება ისტორიულია და ისტორია ბუნებრივია. ეს იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ბუნების გაგება ისტორიულობის გარეშე აბსტრაქტულია, ხოლო ისტორიის გაგება ბუნების, ანუ კანონზომიერების აუცილებლობისა და ხდომილებები შემთხვევითობის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია. ჩვენის აზრით, ისტორიის ბუნებრივობის მოთხოვნა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შელინგმა ისტორიაში დაუშვა როგორც კანონზომიერების, ასევე შემთხვევითობის არსებობა და რომ შემთხვევითობა კანონზომიერების გამოვლენის, მისი სიცოცხლის ფორმაა.

---

*Arsen Burdjaliani* – Doctor of Philosophical Sciences. Vice President of Sakartvelo Philosophical and Medical Academy, Sakartvelo Professor of Technical University. He mainly works on the history of philosophy, Georgian and foreign problems. Gamokvekne-Buli has many scientific works in this field of science. Between textbooks and monographs.

---

## **Interrelation of the Material and the Ideal in Transcendental Idealism (Part II)**

### **Abstract**

The article deals with such significant aspects of transcendental idealism as the issues of the interrelation of the ideal and the material, the conscious and the unconscious intellect in the word, nature and man as discussed by F.W.E. Schelling -an immediate predecessor and rival of the great German philosopher, one of the most important representatives of the German idealism Hegel.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებამ.*

---

**ირაკლი გოგიჩაძე** – ფილოსოფიის მაგისტრი, ავტორი მრავალრიცხოვანი სტატიებისა თეორიული ფილოსოფიის სფეროში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განხრით; ადმინისტრირებას უწევს პირველ ქართულ ფილოსოფიურ ინტერნეტ საიტს – [www.philosophya.ge](http://www.philosophya.ge)-ს.

---

## არსი და ცნობიერება

„ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა:  
არსებულთა, რომ ისინი არიან და – არარსებულთა,  
რომ ისინი არ არიან“.

**პროტაგორა**

წინამდებარე სტატია, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, თემატურად უნდა დათმობოდა იმ კრიტიკულ მიდგომას იდეათა თეორიისადმი, რომელიც თავად პლატონმა წამოიწყო საკუთრი პოზიციის მიმართ დიალოგ „პარმენიდეში“. შემდგომ ეს ხაზი კრიტიკისა, როგორც ვიცით, განაგრძო არისტოტელმა. შუა საუკუნეების ფილოსოფიამ, პლატონისგან და არისტოტელისგან მიღებული მემკვიდრეობა ამ კრიტიკისა, გადაიყვანა ე.წ. „უნივერსალების პრობლემის“ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში უდიდესი მოაზროვნეები ეჭიდებოდნენ ამ საკითხს, როგორც ნიკოლაი ჰარტმანი აღნიშნავს, პრობლემა დღემდე პრობლემად რჩება. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვვარაუდობდით, რომ ამ თავსატეხს წერტილს დავუსვამდით, მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში ჩემი სტატიების ციკლის თემატიკა ძირითადად იყო ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური, უფრო ზუსტად, ყველა საკითხს განვიხილავდი ხოლმე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კონტექსტში. პლატონურ-არისტოტელური დისკუსიაც, რომელიც მოკლედ რომ ვთქვათ – „ყოფიერების პრობლემას“ წარმოადგენს, როგორღაც უნდა განმეხილა იმ ანთროპოლოგიურ პრიზმაში, რომელიც ჩამოყალიბდა „ფილოსოფიურ ძიებანში“ გამოქვეყნებულ სტატიათა საკმაოდ ვრცელ ციკლში. თუმცა, როგორც ჟარგონზე იტყვიან „სად ბანაობ“. საკითხმა უზარმაზარი მეტაფიზიკური ხახა დააფრინა და ის სულ უფრო იზრდებოდა სათანადო ლიტერატურის გაცნობისდა კვალად. აღმოჩნდა, რომ დასახული ამოცანის განხორციელებამდე განსახილველ-დასალაგებელი იყო არამხოლოდ ის ზღვა მასალა, რომელიც ყოფიერების პრობლემას უკავ-



შირდებოდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გარკვევა იმ ტერმინოლოგიურ და ცნებით აპარატში, რომელთაც ეს თემატიკა ეყრდნობა. პირდაპირ ვიტყვი, მე აღმოვჩინე ამ ცნებათა და ტერმინთა გაუვალ, გადახლართულ, გაურკვეველ, არაერთმნიშვნელად ჯუნგლებში. როცა ამგვარი ფაქტის წინაშე დავდექი, მივხვდი, რომ ამ ვითარებაში სტატიისთვის თავის მობმა გართულდებოდა, მაგრამ ახალ თემაზე გადართვაც უკვე გვიანი იყო. წლის განმავლობაში დაწერილ-აკრეფილ ესკიზებს თავი მოვუყარე და სტატიად წარმოვადგინე მკითხველის წინაშე. თუ რამდენად გავართვი თავი ყოველივეს, ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ ერთ რამეს ნათლად ვხვდები, ეს სტატია ამ საკითხებზე მუშაობის მხოლოდ დასაწყისია.

\*\*\*

ფილოსოფოსობის მნიფობის ყამი, როგორც ჰეგელი ამბობს, მოდის პარმენიდეს მოღვანეობაზე და უკავშირდება კითხვას – **რა არსებობს? რა არის?** საკითხის დაყენებამ საუკუნეების განმავლობაში მიაღწია ონტოლოგიისა თუ მეტაფიზიკის ძირეულ საგნამდე – **ყოფიერებამდე**. სანამ ამ ფუნდამენტური ცნების მიმოხილვაზე გადავალთ, წინდანი ვთქვათ მოკლედ თუ რა პასუხს სცემდა კითხვას – რა არის? ზოგიერთი მოაზროვნე: არის **არსი** (პარმენიდე); არის **იდეა** (პლატონი); არის **ინდ. სუბსტანციები**, მათი **თვისებები** და **ურთიერთმიმართებები** (არისტოტელე); არის იერარქიულ კიბეზე მდგარი რეალიები – **ერთიანი- ტო ენ, გონი – ნუსი, მსოფლიო სული – ფსიუხე** (პლოტინი); ერთის მხრივ, არის **ინდ. სუბსტანცია – არსი**, რომელიც ორი წყვილადი კომპონენტისგან – მატერია და ფორმა, შექმნილ ერთობას წარმოადგენს და, მეორეს მხრივ, არის **ყოფიერება (ესსე), არსება (ესენცია)** და **აბსოლუტი**, ღმერთი, შეუქმნელი მიზეზი, წმინდა ყოფიერება, ესსე, რომელიც უნდა დავწეროთ დიდი ასოთი (თომა აქვინელი); არის **Cogito**(დეკარტი)...სხვა მოაზროვნეთა პასუხებს კიდევ შევხვებით ქვემოთ. აქ რაც მოვიყვანეთ მაგალითად, ეს ემსახურებოდა იმის ჩვენებას თუ როგორ მდიდრდებოდა მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური დებატები შინაარსობრივად ფილოსოფიის ისტორიის განმავლობაში. მთელი ის ცნებით ტერმინოლოგიური მარაგი, რომლითაც ოპერირებს ფილოსოფია, არ შექმნილა პარმენიდეს მიერ ერთი ხელის მოსმით. ამ მარაგს დიდი შემოქმედებითი მუხტის მატარებელი ფილოსოფოსები ქმნიდნენ – ზოგს თავად იგონებდნენ, ზოგსაც ყოველდღიუ-

რი სმეტყველო ლექსიკიდან იღებდნენ და შინაარსობრივად ატრანსფორმირებდნენ. ყველა დიდი ფილოსოფოსი ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემოქმედებითი უნარის წყალობით შემორჩა. მათ შექმნეს ფილოსოფიის ენა. ამ საკითხებით დაინტერესებულ პირს გაუგებრობას უქმნის ის გარემოებაც, რომ ჩვენ ვოპერირებთ ჩვენთან ისტორიულად უფრო ახლო მდგომი, განვითარებული ტერმინებითა და თეორიებით, რაც ძველი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ტერმინოლოგიური აპარატისა თუ თეორიების გაგებას ართულებს.

საბოლოოდ გამოიკვეთა, ჩემის აზრით, ოთხი ყველაზე უფრო ხშირად მოხმარებადი ცნება რომელთა შინაარსის განსაზღვრა, ურთიერთმიმართებების დადგენა, საფუძველ-შედეგიანობის განსაზღვრა, რომელიმე მათგანის უპირატესობის წარმოჩენა და მასზე სისტემის დამყარება და ა.შ. შეადგენდა და შეადგენს ონტოლოგიური დებატების კვინტესენციას (ყოველ შემთხვევაში, ეს ეხება კლასიკურ, ან ძველ ონტოლოგიას, რამეთუ ახალმა, მაგ., ჰაიდეგერისა და ჰარტმანის მემკვიდრეობაში სხვა განმსაზღვრელი ასპექტები დაიმატა). ესენია: **ყოფიერება, არსება, არსი და არსებობა**. ყველაფერ იმას, რაც ამ ცნენების შინაარსის განსაზღვრას თუ ურთიერთმიმართებების დადგენას ეხება, ერთობლივად ვუნოდოთ **ყოფიერების პრობლემა**. მაინც რატომ პრობლემა? იმიტომ, რომ როგორც ნ. ჰარტმანი აღნიშნავს (თავის გამოსასვლელ სიტყვაში, ესპანეთში 1949 წელს გამართულ ფილოსოფიურ კონგრესზე) – თავად **ყოფიერებას ვერც განვსაზღვრავთ და ვერც ავხსნივთ**. კი მაგრამ, მაშინ რად გვინდა საერთოდ მეტაფიზიკა და ონტოლოგია? რას მივალწევთ ამ მიმართულებით აქტიურობისას? ამაზე ჰარტმანი ასეთ პასუხს იძლევა – **შეიძლება გავმიჯნოთ, განვარჩიოთ ყოფიერების სახეობები და გავაანალიზოთ ისინი...**

ყოფიერების საკითხი ფილოსოფიის უძველეს საკითხს წარმოადგენს და ალბათ ყველა ზეფუნდამენტური და მოცულობითია სხვა საკითხებთან შედარებით. თუმცა, თავის მხრივ, არანაკლები მნიშვნელობისაა **ცნობიერების**, გნებავთ გონების ან სულაც Cogito-ს პრობლემა, ვინაიდან ის თითქმის ყოველთვის განსაზღვრავდა მეტაფიზიკისა თუ ონტოლოგიის ძირეულ საკითხებზე – რა არის და რა არ არის (პარამენიდე)? რა არის ქვეშარიტად და რა – მოჩვენებითად (პლატონი)? როგორ გვესმის არსებული როგორც არსებული (არისტოტელე)?

რა არის შექმნილი და რა – შეუქმნელი შემქმნელი (სქოლასტიკა)? რა არის ყოფიერება (ჰაიდეგერი)?.. გაცემული პასუხების ბუნებას. ამიტომ, მართებულად გვესახება პროტაგორას დებულების შემდეგი პერიფრაზი: **ცნობიერება არის საზომი ყველა საგანთა: არსებულთა, რომ ისინი არიან, და – არარსებულთა, რომ ისინი არ არიან.** გასათვალისწინებელია ის საქმის ვითარებაც, როცა თავად ცნობიერება ან გონი გაიგება როგორც აბსოლუტური ყოფიერება (ჰეგელი), ან რაღაც გაგებით არსებული, რაც (ამგვარი გაგება) სრულიად ლეგიტიმურად უნდა ჩაითვალოს. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვემზრობით პოზიციას, რომლის თანახმადაც, არსის ანალიზი, ანუ **ტრანსცენდენტ-მეტაფიზიკა** აზრს იძენს მხოლოდ ცნობიერების ანალიზიდან, ანუ **იმანენტ-მეტაფიზიკიდან** ამოსვლის შემთხვევაში, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, **არსი** ყოველგვარ აზრსა თუ ღირებულებასაა მოკლებული **ცნობიერების** მასზე **მიმართულობის** გარეშე; თუ ცნობიერება ელიმინირებულია, მაშინ ელიმინირებულია არსიც როგორც ასეთი. ანუ, ჩვენ ვიზიარებთ იმ პოზიციის შერბილებულ, სქოლასტიკურ-დეკარტულ ვარიანტს, რომელიც მონისტურ-მატერიალისტური პოზიციის საწინააღმდეგოდ, არათუ არ ახდენს Cogito-ს ელიმინირებას, არამედ პირიქით, სწორედ ეს უკანასკნელი გამოჰყავს დომინანტურ არსად გონისა და სხეულის სუბსტანციალურ დისპოზიციასში.

ამდენად **მეტაფიზიკა** უნდა ვიაზროთ ორი განხრის გამაერთიანებელ ფილოსოფიურ დისციპლინად – **ტრანსცენდენტური მეტაფიზიკა**, ანუ ონტოლოგია (როგორც ქრისტიან ვოლფი იტყოდა, თავისი-გენარალური და სპეციალური ონტოლოგიებით) და **იმანენტური მეტაფიზიკა**, ანუ ცნობიერების თეორია, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი დარგიც იქნება, მაგ., გნოსეოლოგია.

\*\*\*

თანამედროვე ქართულ მეტყველებასა თუ ფილოსოფიურ ლექსიკაში რომ ვერაა დალაგებული სიტუაცია ისეთ ტერმინებთან მიმართებაში როგორცაა: არსი, არსებული, არსებობა, არსება, ყოფიერება, გონი, აზროვნება, განსჯა, ცნობიერება, მე, პიროვნება და სხვა, ეს ქართული ენის ან მხოლოდ ქართველ ფილოსოფოსთა ბრალეულობის გამო კი არაა ასე, არამედ მთელი ევროპული ფილოსოფიის თანმდევი შტრიხია. ბერძნული ტერმინები, რომელიც როგორც ანტიკური ისე შემდგომდროინდელი ფილოსოფიის ბაზისს, ორიგინალს ქმნის, ჯერ

განმარტებულ-გადათარგმანებული იქნა ლათინურად, რამაც მათ სხვა ელფერი შესძინა, ხოლო შემდგომ, ლათინურზე დაფუძნებულმა სქოლასტიკურმა ტრადიციებმა ევროპის ეროვნულ ენებზე (განსაკუთრებით გერმანულზე, რამეთუ ინგლისურში, ფრანგულში თუ იტალიურში, ძირითადად ლათინურენოვანი ტერმინები დამკვიდრდა) თარგმანითა და კრიტიკული განვითარებით, კიდევ უფრო მეტი ათინათები დაიმატა. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით ჰეგელის „გონის ფილოსოფიის“ ქართულად მთარგმნელი ნ.ნათქე და წინასიტყვაობის ავტორი თ.ბუაჩიძე – *ჰეგელის ნააზრევი დასრულებათა იმ ღრმა ფილოსოფიური ძიებებისა, რომელთაც სათავე კანტმა მისცა... გზა, რომელიც იწყება კანტიდან, გადის ფიხტესა და შელინგის მოძღვრებებს და სრულდება ჰეგელის სისტემით... ჰეგელიცა და მისი წინამორბედებიც თავიანთ ფილოსოფიას თავიანთ დედაენაზე არსებითად ახლად ქმნიან და ნაკლებ არიან სხვა ენებზე არსებული ფილოსოფიის გაგრძელებანი ან გადაძვლებანი...*

ცხადია, რომ ეს დიდი ლინგვისტური (ბერძნული, ლათინური, ეროვნული ენები) და ეპოქალურ-მსოფლმხედველობრივი გადატრიალებები თავის წარუშლელ გავლენას ახდენს ფილოსოფიის ისტორიაში ტერმინოლოგიის მრავალმნიშვნელობიანობისა და ფილოსოფოსობის სტილისტური თავისებურებების აკუმულირების თვალსაზრისით.

ისეთი მეტაფიზიკურად მნიშვნელადი ცნებები, როგორიცაა „იდეა“ ან „ეიდოსი“ უკვე მისი დამამკვიდრებელიდან, პლატონიდან მოყოლებულია ორაზროვანი. ს. წერეთელი (თავის წიგნში „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. I ანტიკური ფილოსოფია“), პირდაპირ აცხადებს, რომ „პლატონი ხმარობს ორ ტერმინს: „იდეასა“ და „ეიდოსს“. პირველს – იშვიათად, მეორეს – ხშირად. თვითონ პლატონი ხმარობს ამ ტერმინებს უსისტემოდ. იდეა და ეიდოს ხან გვარს აღნიშნავს ხან სახეს, ხან სუბსტანციას (უსია), ხან აზრს (ლოგოს), ხან ნამდვილად არსებულს (ონტოს ონ), ხან თვითარსებულს, თავის თავთან ტოლად დარჩენილს, აზრისეულს, აზრის საგანს (ეიდოს ნოეტონ), ხან კიდევ ჰიპოთეზისს (ჰიუპოთეზის)...ასე რომ, პლატონთან ამ მხრივ დიდი გაურკვეველობა გვაქვს“.

ამგვარი ორაზროვნების ვითარება რომ საყოველთაო ხასიათს ატარებს, ამას მონობსეტიენ ჟილსონის სიტყვებიც მისი ფუნდამენტური ნაშრომიდან „ყოფიერება და არსება“: „...ამ უცვლელობას, ამ

მუდმივ თვითიგივეობრიობას ყოფიერებისა, პლატონი უწოდებს უსიას... ფრანგულად ამ უკანასკნელს თარგმნიან ხან როგორც *etre* (არსი) ხან როგორც *essence* (არსება). ხშირად კი ჩნდება ცდუნება იმისა, რომ ის თარგმნონ როგორც *realite* (რეალობა)...სხვათა შორის, ქრთულ ლიტერატურასა თუ ზეპირმეტყველებაშიც **არსისა** და **არსების** ცნებათა აღრევის შემთხვევებს ყველაზე ხშირად შეხვდებით.

თუ იდეის ცნებით შინაარსს გავიგებთ ცალსახად, მაგ., როგორც (1) **ემპირიულად** მოცემულ, წარმავალ, ერთეულ საგან-მოვლენათა, ანუ **არსთა** (2) **გონით-სანვდომ**, მარადიულ **პირველხატს**, ანუ **არსებას**, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ არიან ნაზიარები (1)-ნი, მაშინ ის სრულიად განსხვავდება **ვიდოსის** ცნებითი შინაარსისგან, რომელიც ეტიმოლოგიურად სწორედ რომ ემპირიულ, წარმავალ, კონკრეტულ არსთასახიერებასნიშნავდა, და რომელიც და სწორედ რომელიც შეესატყვისება ლათინურ „ფორმას“ თანამედროვე სამეტყველო გაგებით. ტერმინოლოგიურმა უსისტემობამ გამოიწვია ის, რომ **იდეას** და **ვიდოსს**(სხვათა შორის უსიასაც) ერთობლივად მოიხსენიებენ ხოლმე **ფორმად**. ამან ამ ორი ბერძნული სიტყვის ფილოსოფიურ-ცნებითი შინაარსი ერთმანეთს გაუიგივა, რაც ფილოსოფიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველის დაბნევას იწვევს. ს. წერეთელის ხსენებულ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ *იმას, რასაც პითაგორელები უწოდებდნენ მონადას (ერთეული), ლევიკიპემ და დემოკრიტემ გარდათქვეს ატომად (განუყოფელი) და ხშირად მოიხსენიებდნენ აგრეთვე „ფორმად“, „სახედ“*(ანუ **ვიდოსად** იმიტომ, რომ „ფორმა“ ბერძნული კი არა ლათინური ტერმინია – შენიშვნა ჩვენია, ი. გ.). *თავის მხრივ, პითაგორელების „ფორმები“*(ანუ **ვიდოსი**, შენიშვნა ჩვენია, ი. გ.), **პლატონმა „იდეებად“** გადააქცია.

ამდენად, იდეა არც როგორც ყოველდღიური სიტყვათხმარების მნიშვნელობით (სადაც ის ნიშნავდა **„ხედვას“**) და არც პლატონის მთავარი ფილოსოფიური აზრ-მიმართულობის მნიშვნელობით (სადაც ის ნიშნავს **გონების თვალით დანახულს...**) არ ედარება ვიდოსის ცნებით შინაარსს, რომელსაც იმის აღმნიშვნელის დატვირთვა აქვს, რაც ემპირიულად თვალმოკრულისხატებაში დაინახვება (დიალოგ „პარმენიდეს“ კითხვისას, მე, მაგალითად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ვიდოსს ორადი მნიშვნელობა აქვს – 1. გრძობად-აღქმადის, ანუ როგორც არსი გვეძლევა ემპირიულად დასურათ-ხატებულად და 2.

ინტელექტუალურად განჭვრეტილის, რასაც შეიძლება ვუნოდოთ არსებაც, უსიაც, ცნებაც, აბსრაქტიც და ა.შ. ეს უკანასკნელი მხოლოდ აზრობრივი თვალისთვის არსებობს და არა ემპირიული თვალისთვის და სწორედ ამ მნიშვნელობითაა ეიდოსი იდეა). რაც შეეხება ლათინურ **ფორმას**, მან, ერთის მხრივ, არსის **სტრუქტურულობის** მნიშვნელობა დაიმკვიდრა, ხოლო, მეორეს მხრივ, ლოგიკის მეცნიერების განვითარებისდა კვალად, დაიმკვიდრა **შინაარსისადმი ინდეფერენტულის მნიშვნელობა**, რასაც გულისხმობს **ორგანონის** თანამედროვე სახელწოდება „**ფორმალური ლოგიკა**“. დაახლოებით იგივე – შინაარსისთვის მნიშვნელობის არმინიჭების – აზრით მოიხმარება ტერმინი „ფორმა“ კანტის ე.წ. „**ფორმალურ ეთიკასთან**“ მიმართებაშიც.


რაც შეეხება ტერმინ „იდეა“, ის, დიდი ტრანსფორმაციული ქართვეილების შემდგომ, თანდათან ჩამოხსნილ იქნა მიუწვდომელი პლატონისეულ სიმალეებიდან და მისი სახელით მოიხსენიებდნენ მაგ., **წარმოდგენებს**, რომელნიც ასოციაციურ კავშირ-მიმართებებში იმყოფებიან ჩვენს გონებაში, ასევე მიაწერდნენ ამ ტერმინს **გრძნობადი მონაცემებით შექმნილ ხატებს** თუ **მსოფლმხედველობრივი პარადიგმების განმსაზღვრელ ორიენტირებს**... მეტიც, ეს ტერმინი საბოლოოდ გასცდა ფილოსოფიის ფარგლებს და დამკვიდრდა ყოველდღიურ საერთაშორისო სიტყვათხმარებაში, როგორც **თავში სხარტად მოსული აზრი**, მაგ., „ბიზნეს იდეა“ ან სატელევიზიო შოუ-პროექტის სათაურის შემადგენელი – „იდეა, ფული და ერთი შანსი“...მასზე, ვისაც ერთობ სხარტად მოსდის ხოლმე თავში სარფიანი აზრები, იტყვიან – აუ რა მაგარი იდეინი ტიპიაო.

ამ ტრანსცენდენტურ-მეტაფიზიკური ტერმინოლოგიური ქაოსის გვერდით ბობოქრობდა აგრეთვე იმანენტურ-მეტაფიზიკური ტერმინოლოგიური ქაოსი. ისეთ ძველ ბერძნულ ტერმინებს, როგორიცაა ფილოსოფიაში დამკვიდრებული – ლოგოსი, დიანოია, ნუსი, პნემა... – სხვადასხვა ფილოსოფოსის მიერ ხან განსხვავებული მნიშვნელობები მიენერებოდა და ხან ერთმნიშვნელოვნადაც მოიხმარებოდა. და, რაც მთავარია, ყოფიერების მსგავსად, ცნობიერებაც ისეთი რამაა, რომ – *არავის შეუძლია გასცეს ყველასთვის მისაღები პასუხი კითხვაზე „რა არის ცნობიერება?“*. იგი იმდენად რთულია, რომ *სხვადასხვა პასუხის შესაძლებლობას იძლევა* (ასეთია, მეტაფიზიკური ბუნების საგნების სპეციფიკა, მეცნიერული შემეცნების საგნების-

გან განსხვავებით. შენიშვნა და ხაზგასმა ჩვენია ი. გ.)*მეცნიერები და-  
ობენ იმაზე, ერთი და იგივეა თუ არა „ცნობიერება“, „გონება“, „გონ-  
ნი“ (ანუ ცნობიერი სული). ზოგი მათ აიგივებს, ზოგი კი ასხვავებს...*  
(ს. ავალიანი, კ. ქეცბაია „ფილოსოფია ყველასათვის“).

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ს. პრისტი, ცნობიერებისა და მეცნიერების დამოკიდებულების თაობაზე ამბობს, რომ – *ცნობი-  
ერების არსებობა თუ ბუნება შეუძლებელია მოხელთებულ იქნეს  
სამყაროს რაიმენაირი ფიზიკური აღწერით* (ს. პრისტი „ცნობიერე-  
ბის თეორიები“). ე. ი., მცდარი არ ქნება დავასკვნათ, რომ ცნობიერება  
1. არაა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ-მეცნიერული შემეცნების სა-  
განი; 2. ცნობიერება წარმოადგენს ფილოსოფიური შემეცნების ისეთ  
მეტაფიზიკურ საგანსაც, რომლის პრობლემებზეც მრავალი და არაა-  
მონურავ-სისტემური პასუხები გაიცემა. მეტიც, არაერთი სციენტის-  
ტურ-ფსიქოლოგიურად ორიენტირებული ფილოსოფიური მოძღვრე-  
ბა ან საერთოდ უარყოფს ცნობიერების არსებობას ან აიგივებს მას  
მატერიასთან, ტვინში მიმდინარე ბიო-ქიმიურ-ნეირონულ პროცესებ-  
თან. თუმცა პრობლემა პრობლემად რჩება და მათი „რედუქციულ-  
ელიმინაციური ხრიკები“*საქმეს ვერ შველის: ფილოსოფიაში ლოგი-  
კური ბიჰევიორიზმისა და მისი მოკავშირეების – იგულისხმება ვიტ-  
გენშტაინი, თავისი „პირადი ენის“ არგუმენტით, ცნობიერებისა და  
ტვინის იგივეობის თეორიის ვერსიები, ფუნქციონალიზმი, ნეომა-  
ტერიალიზმის სახესხვაობანი და ა. შ. – მცდელობები, ესაა მცდე-  
ლობა მრგვალ ლიობებში კვადრატული ლურსმნების ჩაჭედებისა...*  
ცნობიერების პრობლემა მეტაფიზიკური პრობლემაა და ფსიქოლო-  
გიაში ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, განვითარ-  
ების ფსიქოლოგია და კოგნიტიური ფსიქოლოგია – ყველა ეს არის  
უიმედო მცდელობა იმისა, რომ ცნობიერებასთან მიმართებაში კონ-  
სტრუირებულ იქნეს ერთგვარი დისციპლინა, როგორც პოზიტიურ-  
მეცნიერული რამ. ფილოსოფიის ცენტრალური პრობლემები გარ-  
დუვალად ამოჩნდებიან ნებისმიერი მეცნიერული ფსიქოლოგიის  
გზაზე (ს. პრისტი „მიმდინარე სამეცნიერო რევოლუცია“). ქვემოთ შე-  
ვეცადე დამესურათხატებინა პრისტისეული „ალეგორია“, სადაც წრე,  
ანუ „მრგვალი ლიობი“ ცნობიერებას გამოხატავს, ხოლო კვადრატი,  
ანუ „კვადრატული ლურსმანი“ – ყველა იმ მეცნიერულობის პრეტენ-  
ზიით შქმნილ ფსიქო-კოგნიტიურ მოძღვრებას, რომელიც ცნობიერე-  
ბის ცალსახად ახსნას ცდილობს. კვადრატი ნაწილობრივ ფარავს

წრეს, ანუ მეცნიერება ნაწილობრივ ხსნის ცნობიერების „მარტივ პრობლემებს“, მაგარამ კარგად ხედავთ, თუ რამდენი რამ რჩება მას არათუ მხოლოდ ამოუხსნელი, არამედ უგულებელყოფილი იმიტომ, რომ ამ „რთული პრობლემების“ სივრცეებზე მეცნიერული მზერა ვეღარ ვრცელდება:



იგივე ვითარება დამკვიდრდა ლათინურ და თანამედროვე ევროპულ ენებშიც. აზროვნება, ფიქრი, გონი, სული, მე, პიროვნება, ცნობიერება, განსჯა... ან ერთობლივად და ერთმნიშვნელოვნად იგულისხმება ხოლმე **მენტალურის** ცნების ქვეშ (ეს უფრო ბოლოდროინდელი ტენდენციაა) ან რომელიმე მათგანს ესა თუ ის ფილოსოფოსი ისეთ კოსმიურ მნიშვნელობას მიანიჭებს ხოლმე (მაგ., ჰეგელი – გონს, როგორც თარგმნიან ქართულად გერმანულ „გაისტს“), რომ იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის გამიჯვნა სრულიად კარგავს მნიშვნელობას.

ბარემ აქვე უპრიანი იქნებოდა დიაგრამით გამოსახული პრობლემის თაობაზე ჩალმერსის – თანამედროვე ავსტრალიელი ფილოსოფოსის – თვალსაზრისის მოხმობა და ჩვენეული ინტერპრეტაცია. ჩალმერსის პოზიციის თანახმად, არსებობს მენტალურის ორი განზომილება – ფსიქიკური და ფენომენალური. თანამედროვე სციენტისტური ორიენტაციის მქონე თეორიები, მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე – იგულისხმება კოგნიტიური მეცნიერება, ბიჰევიორიზმი, ფუნქციონალიზმი – დაყრდნობით მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევენ თავს მენტალურთან დაკავშირებული პრობლემების ახსნას. ოღონდაც, ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ ფსიქიკურ განზომილებას და არა ფენომენალურს. ფსიქიკური გულისხმობს „ცნობიერების მარტივ პრობლემებს“ ხოლო ფენომენალური – „ცნობიერების რთულ პრობლემას“. სირთულეში იგულისხმება მეტაფიზიკური ასპექტი. ფენომენალური განზომილება მეტაფიზიკურ პრობლემას წარმოადგენს, განსხვავებით



ფსიქიურისგან, რომელიც ემპირიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. სწორედ მეტაფიზიკურობა განსაზღვრავს პრობლემათა სირთულეს და ფილოსოფიურობას ზოგადად და მათ შორის ცნობიერების პრობლემის სირთულესაც. სციენტისტურ-ფსიქოლოგიურად განწყობილი მკვლევარები რამდენადაც წარმატებით ხსნიან მენტალურის ფსიქიურ მხარეს, იმდენად უგულვებლყოფენ მენტალურის ფენომენოლოგიურ მხარეს, რაც ჩალმერსის აზრით, იოტისოდენადაც კი ვერ ჰყვენს ნათელს ცნობიერების რთულ პრობლემას.

ცნობიერების რთული, ფენომენალური პრობლემის საკითხი ჩალმერსს ასე აქვს ჩამოყალიბებული – რას ნიშნავს ცნობიერ მდგომარეობად ყოფნა? როგორ განვიცდით ჩვენ იმ შინაგან მდგომარეობას ცნობიერად ყოფნა რომ ჰქვია? საერთოდ რატომ ვართ ხოლმე ცნობიერი განცდის შინაგან მდგომარეობაში? რატომ სდევს ჩვენს შინაგან, მენტალურ ლავირებას ან ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტივობას ცნობიერი განცდა? რატომ არ მიმდინარეობს მენტალური პროცესები, ასე ვთქვათ, „სიბნელეში“, მაშინ როცა ასეთი რამ ლოგიკურად სრულიად წარმოსადგენია?

საკითხის ამგვარად დაყენების არსს რომ ადეკვტურად ვწვდეთ შვეაპირისპიროთ ის საკითხის ფსიქოლოგიური ასპექტით დაყენებასთან. ფსიქოლოგიური პრობლემა ეხება, ვთქვათ იმას, თუ როგორ ფუნქციონირებს ჩემი ალქმა, მაგ., მწვანე ფერის ალქმა, ჩემი ფსიქიური მდგომარეობიდან გამომდინარე? რა ფსიქოლოგიური მექანიზმი განაპირობებს ჩემს დარწმუნებულობას იმაში, რომ მე აღვიქვამ მწვანეს? ხომ არ ვიმყოფები ჰალუცინაციების ტყვეობაში? იქნება, იმ საგნობრივ სიტუაციაში, რომელსაც თითქოსდა აღვიქვამ, მწვანე საერთოდ არ ფიგურირებს და მე ის მეჩვენება? როგორ ვიქცევი მე იმ დროს, როცა არაფერიც არ მეჩვენება და ყველაფერს ადეკვტურად აღვიქვამ და როგორც მაშინ – როცა ჰალუცინაციების ტყვეობაში ვარ? რა დასკვნები შეიძლება გააკეთოს ამ დროს, ჩემს რეაქციებზე დაკვირვებით, ბიჰევიორისტმა, ჩემს შინაგან ფსიქიკურ მდგომარეობაზე?...

ფენომენოლისტი საკითხს ასე აყენებს – არ აქვს მნიშვნელობა იმას, მეჩვენება მწვანე თუ მართლა აღვიქვამ, რა მოქმედებებს ვახორციელებ ერთ შემთხვევაში და რას – მეორეში, ეს საკითხი გადავდოთ გვერდზე. საკითხავია შემდეგი – თუ მწვანის ალქმას თან სდევს განცდა, რომ მე ვხედავ მწვანეს, როგორია მწვანის ხედვის ეს ცნობი-

რი მდგომარეობა? საინტერესოა, თუ რატომ სდევს თან მწვანის აღქმას იმის ცნობიერი განცდა, რომ მე აღვიქვავ მწვანეს?

მწვანის ხედვა, ნამდვილად თუ ჰალუცინაციურად, გულისხმობს ემპირიულად დაკვირვებად ფაქტორებს, მაგ., ფიზიოლოგიურად აქტიურ ქმედებებს, ქცევებს ან ექსპერიმენტულად დაკვირვებად ფუნქციონალურ მექანიზმებს, უფრო ზუსტად ენცეფალოგრამულ იმპულსებს, მაგრამ განცდა იმისა, თანაც მე-ს ცნობიერი შინაგანი განცდა, თუ როგორია მწვანის ხედვის მდგომარეობა, ემპირიულად დაუკვირვებადია, მეტაფიზიკურია, ანუ ფენომენალურ-მენტალური პრინციპულად განსხვავებულია ფსიქიურ-მენტალურისგან. არცერთ ტვინში წარმოქმნილ იმპულსს არ „ანერია“ – მე ვაცნობიერებ, მე განვიცდი და არა სხვა.

სწორედ აქედან გამომდინარე, ჩალმერსი ამბობს, რომ მე მთელი ის წლები, როცა სწავლა-განათლებას ვიღებდი და შემდგომ, როცა ნაშრომებს ვწერდი, გაჟღენთილი ვიყავი სციენტისტურ-ფსიქოლოგიური მრწამსით ცნობიერების პრობლემასთან დაკავშირებით. ანუ ის ვერ მიჯნავდა ერთმანეთისგან ფსიქოლოგიურ-მენტალურსა და ფენომენალურ-მენტალურს. მაგრამ რა ჟამსაც ეს დიფერენციაცია გავი-აზრეო და სხვადასხვა მხრიდან შევხედეო ცნობიერების პრობლემას, დიდი ენთუზიაზმის გარეშე ვთქვი უარი სციენტისტურ-ფსიქოლოგიური მრწამსის ერთადერთობასა და უტყუარობაზეო. ოღონდ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ჩალმერსი განუდგება მეცნიერებას, არა, ის უარს ამბობს ტრადიციულ მიდგომებზე და ეძიებს ახალ ფუნდამენტურ მეცნიერულ მიდგომას.

შემდეგი ნაბიჯი, რომელსაც ჩალმერსი ცნობიერების პრობლემურობის სირთულის დასახვის გზაზე დგამს, არის კიდევ ერთი დიფერენციაცია. მას შემოქავეს „სუპერვენტობის“ ცნება და განარჩევს ერთმანეთისგან „ლოგიკურ სუპერვენტობას“ და „ემპირიულ სუპერვენტობას“. ასევე, „გლობალურ სუპერვენტობას“ და „ლოკალურ სუპერვენტობას“... საგნობრივი სინამდვილის ერთი წყება, აღვნიშნოთ B-თი, სუპერვენტულია საგნობრივი სინამდვილის მეორე წყების მიმართ, ავლნიშნოთ A-თი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე გვაქვს ორმაგი ურთიერთმიმართება – 1. A მოიცავს უფრო მარტივ, მაგრამ ფუნდამენტურ წყებას (მაგ., ფიზიკურს) საგნობრივი სინამდვილისა, ხოლო B

უფრო რთულს (მაგ., ბიოლოგიურს), 2. A განაპირობებს B-ს, ან ინ-ვეს მას.

თავის მხრივ, ბიოლოგიური საგნობრივი ვითარება სციენტისტ-ფსიქოლოგისტიკების მიერ დასახულია მენტალურის განმსაზღვრელის, განმაპირობებლის, გამომწვევის რანგში, ანუ მენტალური სუპერვენ-ტულია ბიოლოგიურთან მიმართებაში, ხოლო ბიოლოგიური – ფიზი-კურთან მიმართებაში. ასე აყალიბებენ ისინი იერარქიულ გზას მარ-ტივიდან რთულისკენ. მარტივიდან რთულის კაუზალური ახსნა სცი-ენტისტურ კრიტერიუმებს შემეცნებისა ნამდვილად აკმაყოფილებს, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში ეს ეხება მენტალურის მხოლოდ ფსიქო-ლოგიურ განზომილებას და არა ფენომენალურს. ფენომენალური, რომელიც გულისხმობს ემპირიულად დაუკვირვებად მენტალურ გა-მოცდილებას, ამგვარი მიდგომისთვის თან მიუწვდომელია და თან უგულვებელყოფილია. ეს მხარე მენტალურისა ან რედუცირებულია ტვინში მიმდინარე პროცესებზე ან ელიმინირებულია, რაც ჩალმერსის თქმით ცნობიერების პრობლემის გადწყვეტის ყველაზე მარტივი გზაა.

ემპირიულ-ფსიქოლოგიური ასპექტით, საქმე შეიძლება გვექონ-დეს სამ მომენტთან – 1. შინაგანი, მენტალური მდგომარეობა, 2. ემ-პირიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება, 3. ყურადღების კონცენ-ტრირება ჯერ ერთ ობიექტზე, შემდეგ მეორეზე და ა.შ. რიგის მიხედ-ვით.ე.ი. ჩვენ შეიძლება ვიმყოფებოდეთ გარკვეულ შინაგან მდგომა-რეობაში, მაგ., „მონყენილობა“-ში, შეიძლება ვიღებდეთ ემპირიულ ინ-ფორმაციას იმის შესახებ, მაგ., რომ „წვიმს“ იმაზე დაკვირვებით, რომ ა) ისმის ჭექა-ქუხილისა და ფანჯრის მინაზე დაცემული მსხვილი წვე-თების ხმები, ბ) ვხედავთ ელვის ნათებასა და შავ, მოქუფრულ ღრუბ-ლებს... და ა.შ. რიგის მიხედვით. მეტიც, შეიძლება დარწმუნებულებიც ვიყოთ იმაში, რომ ჩვენი მონყენილობის მიზეზი სწორედ წვიმა და უა-მინდობაა, რომელიც გარეთ გასვლის სურვილს გვიკლავს და გართო-ბის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ ეს ყველაფერი არ სცდება ფსი-ქიკურ-მენტალურის ფარგლებს. ამ ფარგლებს გავცდებით მაშინ, რო-ცა გამოვიმუშავებთ ჩვენ შინაგან მდგომარეობაზე – „მონყენილობა-ზე“ – დაკვირვების გამოცდილებას და შევეცდებით ვუპასუხოთ კით-ხვას: როგორია მონყენილად ყოფნის ცნობიერი გამოცდილება, რო-გორია ელვის ნათებით აღქმული ფერების განცდის ცნობიერი გამოც-

დილება, როგორია ყურადღების კონცენტრაციაზე დაკვირვების ცნობიერი გამოცდილება... ე.ი. პირველ შემთხვევაში ჩვენ რაიმე შინაგან მდგომარეობას კი არ განვიცდით პასიურად (მე შეიძლება მოწყენილი ვიყო, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდე რას განვიცდი), არამედ აქტიურად ვაკვირდები-ვაცნობიერებ ამ შინაგანი მდგომარეობის განცდას – როგორია მოწყენილად ყოფნა; მეორე შემთხვევაში, მე პასიურად კი არ აღვიქვავ ელვის ნათებასა და მის ფერებს ან ჭექა-ქუხილის ხმას, არამედ ვაკვირდები-ვაცნობიერებ ჩემს მიერ ამ ფერებისა და ხმების აღქმით გამოწვეულ მდგომარეობას – როგორია ის მდგომარეობა, როცა ამ ფერებსა და ხმებს აღიქვავ; მესამე შემთხვევაში, მე უბრალოდ კი არ ვკონცენტრირდები ან ემპირიულ ობიექტთაგან რომელიმეზე ან ჩემს მენტალურ მდგომარეობებზე, რიგის მიხედვით, არამედ ვაკვირდები-ვაცნობიერებ ჩემს მიერ ამა თუ იმ ტიპის (ემპირიულზე ან მენტალურზე) ობიექტზე ყურადღების კონცენტრირების მდგომარეობას – როგორია ყურადღების კონცენტრირების მდგომარეობაში ყოფნა. ამ და მხოლოდ ამ გზით ვიძენთ ჩვენ განსაკუთრებულ, მხოლოდ ჩვენეულ ფენომენალურ ცნობიერ გამოცდილებას, რაც გამოცდილების სრულიად სხვა ფორმაა, ვიდრე ფსიქოლოგიური გამოცდილება.

ყველაფერი (რა თქმა უნდა, ყველა სხვა უამრავ ნიუანსთან ერთად, რომელსაც ის თავის ნაშრომში ნარმოგვიდგენს) ეს ჩალმერს სჭირდება იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ფენომენალური ცნობიერება არ იმყოფება იმ რანგობრივ შკალაზე, რომელზეც იმყოფება ემპირიული ცნობიერება, ანუ მატერიალურის შკალაზე. მართალია, ის არ უარყოფს ფენომენალური ცნობიერების პრობლემის შემეცნების (თუნდაც მეცნიერული შემეცნების) შესაძლებლობას, მაგრამ ეს მეცნიერება არ იქნება ის მეცნიერება, რომელიც ემპირიულ-მენტალურის შემეცნებას ემსახურება, არამედ იქნება სრულიად სხვა.

მაშ ასე, ჩალმერსმა ერთის მხრივ გამიჯნა ემპირიულ-მენტალური და ფენომენალურ-მენტალური, ხოლო მეორეს მხრივ ლოგიკური სუპერვენტობა და ემპირიული სუპერვენტობა, ლოგიკური შესაძლებლობა და ემპირიული შესაძლებლობა... მას კიდევ ბევრი დიფერენციაცია შემოაქვს, მაგრამ ფენომენალური ცნობიერების სპეციფიურობის საჩვენებლად აქ არავითარი აუცილებლობა (არც საშუალება.

ეს ცალკე ნაშრომის საქმეა) არ არსებობს ყველა ნიუანსის განხილვისა.

ფენომენალური ცნობიერება რომ სუპერვენტული იყოს ბიოლოგიურთან და, თავის მხრივ, ფიზიკურთან მიმართებაში, მაშინ საგნობრივი ვითარება, როგორც მას ადგილი აქვს ჩვენს სამყაროში A და B დონეებზე, იგივეობრივი უნდა იყოს ყველა ანალოგიური ბაზისის მქონე სამყაროში (როგორც ლოგიკურად ისე ემპირიულად (საერთოდ, „ემპირიული სუპერვენტობა“ მას „ლოგიკური სუპერვენტობის“ ქვესახედ მიაჩნია)). ეს რომ ასეა ემპირიულად A დონეზე (ვთქვათ ფიზიკურზე) ამის სადემონსტრაციოდ მას მოაქვს გაზების მაგალითი: გარკვეული გაზის აირის წნევა სუპერვენტულია ამ აირის რაოდენობრივ პარამეტრებსა და ტემპერატურაზე. ანუ, წნევას განაპირობებს მოცულობა და ტემპერატურა. ეს ასეა ყველა შესაძლო სამყაროში, რომელიც ისეთსავე ფიზიკურ ფუნდამენტს ფლობს, როგორსაც – ჩვენი, და ეს ემპირიული ჭეშმარიტებაა. რადგანაც ეს უკანასკნელი ემპირიულია, ამდენად ლოგიკურად შესაძლებელია, რომ განსხვავებული ფიზიკური ფუნდამენტის მქონე სამყაროში გაზის მოცულობითა და ტემპერატურით არ განისაზღვრებოდეს გაზის წნევა, არამედ რაღაც სხვით – საგნობრივ ვითარებასო, ამბობს ჩალმერსი, განაპირობებს არა მხოლოდ ის, რაც ჩვეულებრივ ფაქტობრივად ადგილის მქონეა, რაც ხდება, არამედ ისიც, რაც არ ხდებაო.

თუ ფიზიკური საქმის ვითარება ერთგვარია ორ ან მეტ შესაძლო სამყაროში, მაშინ ბიოლოგიური საქმის ვითარებაც მსგავსი უნდა იყოს. თავის მხრივ, თუ ბიოლოგიური საქმის ვითარება ერთგვარია ორ ან მეტ შესაძლო სამყაროში, მაშინ მის მიმართ სუპერვენტული მენტალური საქმის ვითარებაც მსგავსი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ასეთ ლოგიკურ დასკვნას აკეთებს სციენტისტურ-ფსიქოლოგისტური ორიენტაციის მქონე ფრთა ფილოსოფოსებისა თუ მკვლევარებისა.

ეს ვერ იქნება სრული ჭეშმარიტება, ჩალმერსის აზრით, იმიტომ, რომ I. ამგავარ დასკვნას არ უძევს საფუძვლად ლოგიკური შესაძლებლობა-აუცილებლობისა და ემპირიული შესაძლებლობა-აუცილებლობის გამიჯვნა. თუ გლობალურად სუპერვენტული სამყარო ლოგიკური აუცილებლობით ააგო ღმერთმა, მაშინ მათი დასკვნა სწორია რომელიღაც ერთი, კონკრეტული ტიპის შესაძლო სამყაროს შემ-

თხვევაში. მაგრამ სხვა ტიპის ლოგიკურად აუცილებელი შესაძლო სამყაროს წარმოდგენაც, რომელშიც მენტალური არ იქნება სუპერვენტული ბიოლოგიურისა და, შესაბამისად, ფიზიკურის მიმართ, ასევე ლეგიტიმურია. საერთოდ, თუ ღმერთი ლოგიკური აუცილებლობით შეკრულ სუპერვენტულ სამყაროს ქმნის, მაშინ მისი ქმედება ერთჯერადია და მხოლოდ ფუნდამენტურ A დონეს მიემართება, ხოლო შემდგომი, A-ს მიმართ სუპერვენტული დონეები ავტომატურად პირობდებიან მისით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ღმერთი სამყაროს ქმნის არა „ლოგიკური სუპერვენტობის“, არამედ „ემპირიული სუპერვენტობის“ მოდელით, მაშინ მას ფუნდამენტური დონის შექმნის შემდეგაც „ბევრი სამუშაო“ მოუწევს რათა სხვა, უფრო რთული დონეების საგნობრივი ვითარება მოაწესრიგოს და განაპირობოს. 2. ე.ი. იმ შემთხვევაში კი, თუ ყველა ფიზიკურ-ბიოლოგიურად მსგავს სამყაროში, და ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ემპირიული სამყაროს შემთხვევაში, თუ მენტალობის მქონე არსებებს ექნებათ ერთნაირი ფსიქო-ფიზიოლოგიური რეაქციები და ქცევები, ამ რეაქციებსა და ქცევებზე დაკვირვებით ვრავინ დაადგენს ტრადიციული სციენტისტური მეთოდებით იმას, რომ ამ არსებებს გააჩნიათ იგივეობრივი ფენომენალური გამოცდილება. ამის გამოსარკვევად კიდევ „ბევრი სამუშაო“ იქნება შესასრულებელი. ე.ი. „ფენომენალური გამოცდილება“ ავტომატურად როდი განპირობდება ფიზიკურ-ბიოლოგიური და ფსიქიკური დონეების დაგვარობით. ყველა და ყველგან როდი აკვირდება იმას და ისე, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, და რაც და მხოლოდ რაც იძლევა ფენომენალურ გამოცდილებას. ამ მხრივ, ხატოვნად რომ ვთქვათ „აირის წნევა“, ანუ ფენომენალური გამოცდილების ხარისხობრივ-თვისებრივი (ან მისივე ტერმინით რომ ვთქვათ, კვალიტეტური) მაჩვენებლები არ იქნება იგივეობრივი. 3. ამ ორი შენიშვნის საფუძველზე, და იმ პროგრესის გათვალისწინებით რაც ციფრულ-კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის პირობებში შეინიშნება, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ჩალმერსის ფუნდამენტური დებულება – ცნობიერება „ლოგიკურად სუპერვენტული“ კი არაა, არამედ „ემპირიულად სუპერვენტულია“, რამეთუ ა. ხელოვნური ინტელექტის სახით საქმე გვაქვს ცნობიერებასთან „მე განვიცდი“- ს გარეშე, ბ. ლოგიკურად სრულიად წარმოსადგენია ცნობიერების მქონე (მხოლოდ ემპირი-

ული ცნობიერების მატარებელი) არსება „ფენომენალური ცნობიერების“ გარეშე.

გამომდინარე აქედან, ჩალმერსი „ფენომენალურ ცნობიერებასაც“ სრულიად ნატურალისტურ, თუმცა არამატერიალურ, მოცემულობად თვლის, რომელთანაც პირადი მიმართება მხოლოდ ერთ, მის მატარებელ ინდივიდს აქვს და არავის სხვას, გარდა ღმერთისა (თუ, რა თქმა უნდა თეისტები ვართ).

ბოლოს დავსძენ იმას, რომ ამ მოკლე მონახაზის სულისკვეთება, ჩვენის აზრით, ერთგვარდ მოგვაგონებს ჰუსერლისეული ფენომენოლოგიის მოთხოვნას – ე.წ. „ნატურალისტური განწყობის“ (რომელთანაც ახლოს დგას, მაგ. ბიჰევიორიზმისა და ფუნქციონალიზმის მენტალურისადმი მიდგომა) გადართვას „ეიდეტურ განწყობაზე“, რომელიც ჩალმერსის ფენომენალურ-მენტალურის „დანახვის“ საშუალებას იძლევა.

ჩვენის აზრით, ფენომენალურისა და დედანის ურთიერთმიმართების თაობაზე ლოგიკურად შესაძლებელია შემდეგი დამოკიდებულებანი: 1. ფენომენი და დედანი ერთი და იგივეა. რა მონაცემებსაც გვანვდის ჩვენი ემპირიული გამოცდილება ობიექტური საქმის ვითრებაც მისი იგვეობრივია. ესაა ე.წ. გულუბრყვილო რეალიზმის პოზიცია; 2. ფენომენი და დედანი სხვადასხვაა. ემპირიული გამოცდილება, მაგ., გვეუბნება, რომ მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო, თუმცა სინამდვილეში ვითარება სხვაგვარია. ეს, ასე ვთქვათ, მეცნიერული პოზიცია და მიდგომაა, რომელიც, ცხადია, ემპირიულ გამოცდილებას ეყრდნობა, მაგარამ ბრამად არ ენდობა მას და ექსპერიმენტული დაკვირვებების წნეხში ატარებს. შემდეგ კი ცდილობს, რომ ექსპერიმენტისა და დაკვირვების მონაცემები ლოგიკურად არანინაალმდეგობრივ სისტემად შეკრას. მიუხედავად ამისა, შეცდომები აქ მაინც იჩენს ხოლმე თავს და ამის შედეგად იცვლება ხოლმე მეცნიერული პარადიგმები; 3. მესამე პოზიცია კანტიანურ-კრიტიცისტულია, რომელიც განასხვავებს, არ აიგივებს ერთმანეთთან ფენომენსა და დედანს, მაგრამ განსხვავებით მეცნიერული პოზიციისგან აგნოსტიკურად უყურებს დედანის, „თავისთავად ნივთის“ შემეცნების შესაძლებლობას; 4. მეოთხე პოზიცია ჰუსერლიანურ-ფენომენოლოგიურია. ის არც აიგივებს ფენომენსა და დედანს, არც – ასხვავებს მათ, და არც დედანის შემეცნება-შეუმეცნებლობაზე ამბობს რაიმეს. ის ამგვარი პოზიციებისგან

თავს იკავებს; მიმართავს „ეპოქეს“ დედანის საერთოდ არსებობა არ არსებობის თაობაზე. ჩვენ მოცემული გვაქვს ფენომენი და ეს სავსებით საკმარისია ფილოსოფოსობისთვის.

\*\*\*

ე.ი. ერთეული, განუყოფელი, პირველხატი, მარადიული, ნამდვილად არსებული, არსება, სუბსტანცია, აზრის საგანი, ჰიპოთეზისი, ესენცია, ფორმა, ლოგოსი, ნუსი, აზროვნება, ფიქრი, სპირიტუალური, მენტალური, კოგიტატური, ფსიქიური, ცნობიერება და ა.შ. პლუს ამ ბერძნულ-ლათინურ მნიშვნელობებს დამტებული გერმანულენოვანი მნიშვნელობები ქმნის ფილოსოფიურ-ტერმინოლოგიურ ქაოსს, რაც ქართულ ფილოსოფიურ თუ ყოველდღიურ სიტყვათხმარებაზეც აისახება. ჩვენ აქ შევეცდებით მოკლედ და ცალსახად მოვხაზოთ ქართულენოვანი ტერმინების მნიშვნელობები, რომელთაც ჩვენს ფილოსოფიურ სიტყვათხმარებაში თამამად შეუძლიათ დაიმკვიდრონ დამოუკიდებლად ხმარების სტატუსი. პირველ ჯერზე ჩამოვთვლით ისეთ ცნება-ტერმინებს რომელნიც მიესადაგებიან კითხვას – რა **არის** რაეალებად? ხოლო შემდეგ ჯერზე – ცნება-ტერმინებს, რომელნიც მიესადაგებიან კითხვას – რა **მიემართება** (თეორიულად თუ პრაქტიკულად) იმას, რაც არის რეალებად? რა ადგენს იმას, რომ რაიმე არის და რა სტატუსით არის რეალებად? პირველთ ვუნოდოთ ტრანსცენდენტური, ხოლო მეორეთ – იმანენტური:

(ა) ტრანსცენდენტური:

1. ტო ეინაი (ბერძ.) – ესესე (ლათ.) – ბიტეი (რუს.) – ბეინგ (ინგ.) – ზეინ (გერმ.) – ყოფიერება.
2. უსია (ბერძ.) – ესენცია (ლათ.) – სუშნოსტ (რუს.) – ვეზენ, ვეზენჰეიტ, სოზეინ (გერ.) – არსება (ი. პეტრინი)
3. ტო ონ (ბერძ.) – ენს (ლათ.) – სუშჩე (რუს.) – ენტიტი (ინგ.) – ზეიენდე (გერმ.) – არსი (აობა, მყოფი / ი. პეტრინი)
4. ჰიპარქსის (ბერძ.) – ექსისტენცია (ლათ.) – სუშჩესტვოვანიე (რუს.) – დაზეინ (გერმ.) – არსებობა.
5. ენერგეია (ბერძ.) – აქტუს (ლათ.) – დეისტვიტელნოსტ (რუს.) – ვირკლიჩკეიტ (გერმ.) – სინამდვილე.
6. დიუნამის (ბერძ.) – პოტენცია (ლათ.) – ვაზმოჟნოსტ (რუს.) – შესაძლებლობა.



(ბ) იმანენტური:

1. ლოგოს (ბერძ.) – ინტელექტუს (ლათ.) – გონი (ი. პეტრინი/სულხან საბას განმარტებით – გონების ნაკვეთი).
2. მენტალ (ლათ.) – კალკირებულთა ევროპულ ენებში ლათინურიდან და გულიხმობს აზროვნებასაც, გონიერებასაც, აზროვნების ხასიათსა და განსაკუთრებულობას, სულიერ წყობას...
3. პნევმა (ბერძ.) – მენტე (ლათ.) – მენტე (იტალ.) – მაინდ (ინგ.) – ესპრიტ (ფრანგ.) – ესპრიტუ (ესპ.) – სოზნანიე (რუს.) – გაისტ (გერმ.) – გონი, სული, ცნობიერება.
4. ნუსი (ბერძ.) – კოგიტაციო (ლათ.) – თოუჯთ (ინგ.) – გე-დანკე (გერმ.) – მისლ (რუს.) – აზრი.
5. ტო აუტექსუსიონ (ბერძ.) – ვოლუნტას (ლათ.) – ვილლე, ვოლლენ (გერმ.) – ვილლ (ინგ.) – ვოლონტე (ფრანგ.) – ნება (აღრჩევა ერთისა რასამე მრავალთა მათგან. სულხან საბა)

აქვე მინდა დავსძინო რამდენიმე შენიშვნა გარკვეულ ტერმინებთან მიმართებაში:

ა) რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან ტრანსცენდენტურ-მეტა-ფიზიკურ ტერმინს, როგორცაა „რეალობა“ (ბერძნულში მას ალბათ უნდა შეეფასებინათ (ა)/5-ე), ის შემუშავებულ იქნა ლათინურში დუნს სკოტის მიერ. მანამდე ამის მცდელობები ჰქონდა ანსელმ კენტერბერიელს, რომელმაც შეიმუშავა ორი ტერმინი 1. „ესე ინ ინტელექტუმ“ და 2. „ესე ინ რე“. ალბათ ამ უკანასკნელში ხმარებულმა „რე“-მ (ნივთი) შეუწყო ხელი ანსელმისეული „რეალობის“ წარმოშობას. ქართული ტერმინი „სინამდვილე“, რომელიც ხშირად იხმარება „რეალურის“ სინონიმად, მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგულისხმება „ნივთობრივი სინამდვილე“, რამეთუ „რე“ სწორედ ნივთობრივის ეტიმოლოგიას გულისხმობს, მაშინ როცა ნამდვილი შეიძლება ითქვას ნივთობრივზეც და არანივთობრივზეც, მაგ., ღირებულებაზე, ოცნების ასრულებაზე, აზრზე, ცნობიერებაზე და საერთოდ მენტალურ ფაქტებზე. „რა არის რეალური“ და „რა არის ნამდვილი“ მთლად იდენტური საზრისის მატერებლად არ უნდა ჩავთვალოთ.

ბ) ალსანიშნავია, რომ (ა)/2-ეს შემთხვევაში ჩვენ შეგნებულად არ ვიხმარეთ ლათინური ტერმინი „სუბსტანცია“, რომელიც გარკვეული აზრით ეთანადება ბერძნულ „უსიას“. ის არ ვახსენეთ ამ უკანასკნელთან მიმართებაში იმიტომ, რომ ტერმინი „სუბსტანცია“ ალბათ ყველაზე უფრო მეტად დაიტვირთა ფილოსოფიური, თეოლოგიური და მეცნიერული შინაარსებით: დანყებული თვითარსებულით, ინდივიდუალურით, აბსოლუტურით, გონიერით, მატერიალურით, ღმერთით, რისი მოაზრებისთვისაც სხვა რამის მოაზრება არაა საჭიროთი, ის რაშიც არსი და არსება ერთმანეთს ემთხვევათი... და დამთავრებული რაიმე ქიმიური ნაერთით, ყველაფერ იმას ნახევრადაც ვერ ამონურავს, რაც ტერმინ „სუბსტანციაში“ უგულისხმიათ საუკუნეების განმავლობაში.

გ) ყოფნა და ყოფიერება, არსი და არსებობა შეიძლება ითქვას, რომ გულისხმობს ერთსა და იგივეს ოღონდ განსხვავებულ გრამატიკულ მოდიფიკაციებში. უფრო სწორად, გულისხმობდა, ყოველ შემთხვევაში, ჰაიდეგერამდე მანც, რომელმაც ევროპული მეტაფიზიკა განსხვავებულ რეესტრში აიყვანა. მან ყოფიერება და არსებული, არსი რადიკალურად გამიჯნა ერთმანეთისგან და ევროპულ მეტაფიზიკას ყოფიერების დავინყებაში დასდო ბრაღი.მატ-ნაკლებად საქმეში ჩახედულმა მკითხველმა უნყის ის, რომ ჰაიდეგერი კითხვის – რა არის ყოფიერება (ზეინ) და რა არსებული (ზეინდე) ან არსებობა(ექსისტენცე), ადრესატად სახავს მხოლოდ ერთადერთ არსებულს (ზეინდე-ს). ეს ისეთი არსებულია, რომელსაც და მხოლოდ რომელსაც გააჩნია დაზეინ-ის (**აი-ყოფიერის**) სტრუქტურა (დაზეინს ქრთულად თარგმნიან ხოლმე „მუნ-ყოფიერებად“. „მუნ“ სულხან საბას ლაქსიკონში ნიშნავს „იქ“-ს. დაზეინ-ი შეიძლება იყოს აქაც და იქაც, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ დაზეინ-ი არის. ჩვენს მიერ ნახსენები „აი“-ყოფიერი უფრო ადექვატურად მიგვარჩნი, რამეთუ ის აქ იხმარება იგივე აზრით, როგორც „დედა-ენა“-ში ითქმის „აი ია“. ვთქვათ მივდივართ ნაირგვარი ყვავილებით მოყენილ ველზე და, შევნიშნავთ რა მას, წამოვიძახებთ „აი ია“, აი ისიც ყველა ამათ შორის. ასევე ადამიანის შემთხვევაში, შევამჩნევთ რა მას სხვა არსთა შორის, ვიტყვით „აი-ყოფიერი“, რა თქმა უნდა, თავისი განსაკუთრებული შინაგანი სტრუქტურის გათვალისწინებით). ეს უკანასკნელი კი რა წამს ამოქაჩავს თავის თავს „მან“-ის ყოველდღიურობის, ონტიურად ყოფ-

ნის წესიდან და ქვემარტი ფილოსოფიური აზროვნებით გამოიხედავს ონტოლოგიური განზომილების ფანჯრიდან, მაშინვე დაინახავს ფუნდამენტურ ქვემარტივებას, რომ ის თავად და ნებისმიერი არსიც (რომელთანაც კი მას შეიძლება რაიმენაირი მიმართება ჰქონდეს, აღიარებდეს მას არსად) ამავედროულად, უკვე მოცულია ყოფიერებით, როგორც ია, სხვა ყვავილებთან ერთად, მოცულია ველით. ყოფიერებით მოცულობაა ის, რისი ძალითაც არსი არის არსებული – ყოფიერება არის ის, რაც არსს არსებულად ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდეგერის ენობრივ-გადმოცემითი სტილი ურთულესი ფენომენია, მიმაჩნია, რომ სწორედ მისი ნაშრომების კითხვისას ეფინება ნათელი ონტოლოგიური ტერმინების დემარკაციას. ამის საილუსტრაციოდ მოვიხმოთ მისი პასაჟი „ყოფიერება და დრო“- დან: ... *ყოფიერების საკითხის ძვ. ბერძნული გაგება მიმდინარეობდა იმ გზამკვლევი პრინციპების შემეცნების გარეშე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ყოფიერების ონტოლოგიურ გაგებამდე. ასევე ის მიმდინარეობდა დროის ფენომენის იმ ფუნდამენტური ონტოლოგიური ფუნქციის გარკვევის გარეშე, რაც მას აკისრია ყოფიერებასთან მიმართებაში. მეტიც, დროს ასეთი ფუნქცია საერთოდ გააჩნია, თუ არა, ამის შესაძლებლობის საკითხიც კი არ ჰქონდათ დაყენებული...*

*...ბერძნები დროს უყურებდნენ როგორც ერთ-ერთ არსს სხვა არსთა შორის...*

*...პირველი ვინც დროის შესახებ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა იყო არისტოტელე. მისგან მოყოლებული, ბერგსონის ჩათვლით, დროის ფენომენის განხილვა მიმდინარეობდა არისტოტელურ კალაპოტში... თვით კანტმაც კი, რომელმაც ამ საკითხს სხვა რეესტრული უღერადობა შესძინა, განაგრძო არსისტოტელური ხაზით მსვლელობა...*

*...ყოფიერების საკითხისთვის ნათელის მოფენის გზაზე დროის ანტიკური გაგებით ხელმძღვანელობა, წარმატებას ვერ მოგვიტანს, ყოფიერების თაობაზე ადეკვატური მოძღვრების ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება.*

თუ ამ ბოლო დებულებებთან ერთად გავითვალისწინებთ ჰაიდგერის ბრალდებას ევროპული მეტაფიზიკის მიმართ ყოფიერების დავინყების თაობაზე და ასევე ე. ჟილსონის ზემოხსენებულ შესანიშნავ

ნაშრომს, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ინტერპრეტაცია იმისა, თუ როგორ გავიგოთ ჰაიდეგერის პოზიცია: უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ (ა) ანტიკური მეტაფიზიკის მიდგომა, ჰაიდეგერისავე ტერმინით რომ ვთქვათ, ონტიურია. ეს მიდგომა გულისხმობს ერთი არსის მეორე არსთან (არსებთან) ურთიერთმიმართებების დადგენას. ესაა მეცნიერულ-პოზიტივისტური მიდგომა. აკი არც დიდად განირჩევა არისტოტელესთან მეცნიერება და ფილოსოფია. ფიზიკაც ფილოსოფიაა, ოღონდ მეორე ფილოსოფია, ხოლო მეტაფიზიკა პირველი ფილოსოფიაა. არისტოტელეს ონტოლოგია სწავლობს არსს როგორც არსებულს. ჰაიდეგერის ფუნდამენტურ ონონტოლოგიური მიდგომა კი არკვევს ყოფიერების პრობლემას, იმას რაც ყველა არსს აქვს საერთო – მყოფობა; იძიებს იმ ყოფიერებას, რომელიც არისტოტელეს არსს არსებულად ხდის; (ბ) პლატონის იდეაცადა არისტოტელის უსიაც – ჩემთვის ამ ორივე ტერმინის მიმართ მისაღებია ქართული ტერმინის, **არსება**-ს, გამოყენება – დროის ფენომენზე მალლა დგანან და, ჰაიდეგერის მართებული შენიშვნით, კვლევისას არც ითვალისწინებს დროის ფენომენის როლს. პლატონის იდეა დროზე, დროულ ცვალებადობაზე, წარმავლობაზე და ა.შ. მალლა დგას აბსოლუტური მნიშვნელობით. არისტოტელის უსია, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს დროზე მალლა მდგომად, ოღონდ არა აბსოლუტური გაგებით, რამეთუ, როგორც თავად არისტოტელს მიაჩნდა, უსია, რომელიც ყოველ კონკრეტულ არსში ან ადამიანშია მოცემული იმანენტურად, უცვალებელია მხოლოდ ამ არსის სიკვდილამდე (შეიძლება ითქვას, რომ უსია კონკრეტული ინდ. სუბსტანციის ამა და ამ გარკვეულობის შემნარჩუნებელი მიზეზია ამ არსის დაბადებიდან სიკვდილამდე. ამგავარ „მიზეზს“ თომა აქვინელი უწოდებდა **კაუზა ესსენდი**-ს). სიკვდილის შემდეგ უსიაც კარგავს თავის კონკრეტულობას, განსხვავებით პლატონის იდეისგან. თუმცა, ამ უკანასკნელი დებულების დასაბუთება მეცნიერული სიზუსტით შეუძლებელია. ეს, მართლა ასეა თუ არა, არავინ უწყის – ეს რწმენის კომპეტენციაა. არისტოტელს სწამდა ასე, სხვას – სხვაგვარად და ა.შ.. ე.ი. თუ არისტოტელს მცდარად მიაჩნდა, რომ უსიაც „მოკვდავია“, და სინამდვილეში ის სხეულის გარეშეც ინარჩუნებს თავის მყოფობას (ვთქვათ ღმერთის გონებაში), მაშინ არისტოტელის მიდგომა, მსგავსად პლატონისა, აბსოლუტურია. ამდენად **იდეა** და **უსია** არის, განსხვავებით **არსისგან** (რომელიც უნდა წრმო-

ვიდგინოთ ან იდეასთან ნაწილობრივ ნაზიარებად ან უსიას დროებით იმანენტურად მატარებელად), ნამდვილად არსებული, დროს არ დაქვემდებარებული წარუვალა **არსება**, რომელსაც ეს მოაზროვნეები, ჰაიდეგერის აზრით, აიგივებდნენ ყოფიერებასთან.

(გ) რამდენადაც ჰაიდეგერმა მიდგომის რაკურსი რადიკალურად შეცვალა, ეს ნიშნავს, რომ რომ მან იდეა და უსია, ანუ არსება კი არ უნდა მიიჩნიოს ყოფიერების საიდუმლოს გასაღებად (პირიქით, ამ მიდგომით ყოფიერება კიდევ უფრო გაუგებარი და ბნელით მოსილი ხდება), არამედ არსის არსებობა (ექსისტენცია). არსის არსებობა, განსხვავებით არსებისგან (იქნება ის წარმოდგენილი ტრანსცენდენტურად, როგორც პლატონის იდეა თუ იმანენტურად, როგორც არისტოტელის უსია), დროული ფენომენია, კაფკას ტერმინით რომ ვთქვათ, **პროცესია** (სხვათა შორის, პროცესუალურობის ცნება უმთავრესია ნ.ჰარტმანის ონტოლოგიაშიც), რომელიც დროში, ისტორიულობაში მიმდინარეობს. არსი, აი-ყოფიერების (Da-sein) სახით, არის ყოფიერების (Sein) მჩენი. თუ რა არის ყოფიერება, ამის თაობაზე მხოლოდ Da-sein-ის „დაკითხვამ“ შეიძლება მოგვცეს ცნობები.ყოფიერების დაფარულობიდან გამომდინარე Da-sein-ი იდეასავით და უსიასავით ზედროულად, სრულად, ერთხელ და სამუდამოდ წინასწარგანსაზღვრული და თვითიგივობრივი როდია!

ჰაიდეგერის ონტოლოგია, რომელიც არის ფილოსოფიური დისციპლინა ყოფიერების შესახებ, წარმოგვიდგება როგორც **არსის არსებობის ონტოლოგია**, ხოლო ძველი ონტოლოგია, ყოველ შემთხვევაში ანტიკური ონტოლოგია – **არსების ონტოლოგიაა**. ე.ი. პირველ შემთხვევაში ყოფიერება არის არსის, არსებობის განმსაზღვრელი ყოფიერება – ყოფიერება არის ის, რაც **არსს არსებულად ხდის** (ჰაიდეგერი), ხოლო მეორე შემთხვევაში, ყოფიერება არსების (უსიას) ყოფიერებაა, ანუ ყოფიერება არის ის, რაც **არსებას ხდის არსებულად**, „ჭეშმარიტად არსებულად“. ამ უკანასკნელში, ყოფიერება და არსება ერთმანეთს ემთხვევა.სხვათა შორის ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებით სინტერესო შენიშვნას ვპოულობთ ჰანს გეორგ გადამერის ერთ-ერთ მოხსენებაში, სათაურით „ჰაიდეგერი და ბერძნები“: ის ამბობს, *ჩემთვის ერთგვარი აღმოჩენა იყო იმის გაგება ჰაიდეგერისგან, რომ ბერძნებისთვის „ყოფიერების“ გამომხატველი ტერმინი იყო „უსია“; რომელსაც იყენებდნენ პლატონი და არისტოტელი;* და

რომ ის აღნიშნავდა თავდაპირველი ეტიმოლოგიით გლეხის ქონებას, მის ადგილ-მამულს, მიწის ნაკვეთს. მოკლედ, ყველაფერ იმას, რასაც ფლობს გლეხი თავისი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას.

ამდენად, როცა ჰაიდეგერი ამბობს, რომ ტრადიციულმა მეტაფიზიკამ **ყოფიერება** (ისევე, როგორც დრო) დასახა არსებულად, ანუ გაუიგივა **არსს**, ეს უკანასკნელი (არსი) გულისხმობს არა ინდივიდუალურ სუბსტანციას, ყოფიერ-ქმნილ ერთეულ საგანს (მათ შორის ანთროპოსსაც), არამედ მის **არსებას**. ცოტა არ იყოს და სანამ ამ დასკვნამდე მივალთ, რომელიც ერთობ თავგზა ამრევი შეიძლება გვეჩვენოს, ყველაფერი პირიქით გვგონია – ტრადიციული მეტაფიზიკა ყოფიერებას უიგივებს არსს და ამით ივიწყებს მას. არადა საქმის ვითარება სინამდვილეში ისეთი ჩანს, როგორც ამბობს „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი პერსონაჟი – *უკუღმა ასინეთა, უკუღმა...*


ამგვარი ინტერპრეტაციის მართებულად მიჩნევას, ჩვენის აზრით, კიდევ ერთი გარემოება უწყობს ხელს. როცა ამ უკანასკნელ დებულებებამდე მივდივართ და მათგან მეორეს უკუვაგდებთ, ლოგიკურად რჩება ორი ალტერნატივა: 1. არსება ან სრულიად ელიმინირებული უნდა იქნეს ან 2. არსება უნდა წარმოვადგინოთ რალაც ეპიფენომენალურად, მეორად, წარმოებულ ფენომენად. სწორედ ამ მეორე ალტერნატივის ხორცმესხმას აქვს ადგილი სარტრის ცნობილ დებულებაში – **არსი წინ უსწრებს არსებას**, რაც მას ეგსისტენციალიზმის კვინტესენციად ესახებოდა. რაც შეეხება თავად ჰაიდეგერს, რომელიც თავს შორს იჭერდა სარტრისეულად ინტერპრეტირებული ეგზისტენციალიზმისგან, უპირატესობას პირველ ალტერნატივას ანიჭებდა – მისი აზრით, სამყაროში გადაგდებულია არსი, რომელიც ყოფიერებამ არსად, არსებულად წაროაჩინა, „გახადა“. მის არსებობას – იგულისხმება Dasein-ს სტრუქტურის მქონე არსი – არავითარი წინასწარ განსაზღვრულობა და მიზანი არ გააჩნია ობიექტურად. ერთადერთი საზრისი, გამართლება ამ არსებობისა იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ მან „**გაიგონოს ყოფიერების ძახილი**“ ანუ განჭვრიტოს, იხილოს დაფარულობაში მყოფი ჭეშმარიტება და მათ შორის საკუთარი მყოფობის ჭეშმარიტებაც (ჭეშმარიტების, ანუ ყოფიერების დაფარულობიდან გამორჩენაში, **ალეთიაში**, ყველაზე კარგად ჩანს ყოფიერებისა და დროის ჰაიდეგერისეული იგივეობა). არსებობს ასეთი ჭეშმარიტება? ამაზე ზუსტი პასუხი არავინ უწყის. ერთი რამაა მხო-

ლოდ ცნობილი, რომ Dasein-ი თავის ყოველდღიურ Man-ყოფიერებაში მყოფობს არაჭეშმარიტებაში. ასეა იმიტომ, რომ ის არ ცხოვრობს თავის ცხოვრებას, არამედ უკვე ბევრჯერ გათამაშებული სათამაშო პარტიების გადათამაშებითაა დაკავებული სიკვდილამდე – ცხოვრობს ისე, ან არსებობს ისე, როგორც საერთოდ ცხოვრობენ და არსებობენ. როგორც ფილმის, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, მთავარი გმირი, აგული ერისთავი, ამბობს – *ისეთი შეგრძნება მაქვს, ვითომ ამ ქვეყნად მე კი არა ვილაც სხვა ცხოვრობს ჩემს მაგივრად.*

თუ ამ გარემოების გაცნობიერება მოახდინა მავანმა და ამან ის სასონარკვეთაში ჩააგდო, მაშინ თავზარდაცემა მას ამოაგდებს ყოველდღიური Man-ყოფიერების ჭაობიდან და მის წინაშე **ყოფიერება** დააფრენს **არარას** „ძირგავარდნილ“ ხახას, რაც Man-ური საზრისების ამოებასა და ნგრევასაც გულისხმობს. მავანი ამის შემდეგ ან ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჩვეულებრივ იქცევიან ხოლმე – მიეცეს თავდავინწყებას, რაც დალუპვის გზაა: ლოთობა, ნარკოტიკები, აზარტულ თამაშები, გარყვნილება თუ რაიმე სახის ფანატიზმიდა ექსტრიმი ისეთივე არაჭეშმარიტი გზაა, როგორც ის გზა ცხოვრებისა, რომელმაც ამოების უფსკრულამდე მიგვიყვანა. მეორე გზა ფილოსოფოსობის გზაა და ის პირდაპირ უფსკრულში ეშვება და თანაც ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რომ იქ ფსკერად ჭეშმარიტება დაგვხვდება და მის მიერ დაგებულ რბილ ლეიბზე მოვადენთ ზღართანს. ასეთი ალეგორიებით გვიხატავს ჰაიდეგერი არსებობის განუსაზღვრელობას, არარაულობას თავის „მეტაფიზიკის შესავალში“.

ზემოთ ყოფიერება და **არარა** ხაზგასმით აღვნიშნეთ იმიტომ, რომ რაოდენ გასაოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ჰაიდეგერი არაერთხელ შენიშნავს, რომ **ყოფიერება არის არარა** (აქ ძალაუფლებურად გვახსენდება ჰეგელი, რომელიც მიიჩნევდა წმინდა ყოფიერებას, ან იდეას თუ გონს, ყოველგვარი გარკვეულობებისგან თავისუფლად. რამდენადაც მას არ გააჩნია თავიდან რაიმე გარკვეულობა ის არის არარა), ისევე როგორც, რომ – **ყოფიერება არის დრო**... პირველი დებულება განსაკუთრებით აბსურდული ჩანს, მაგრამ გერმანელი ფილოსოფოსი მასში სრულიად კონკრეტულ აზრ-გაგებას დებს: 1. ყოფიერება, რამდენადაც ის არ გვხვდება არსთა შორის, როგორც ერთ-ერთი არსთაგანი, ამდენად ის არის არარა (ვხედავთ, რომ ჰაიდეგერის გაგება განსხვავდება ჰეგელისეულისგან); 2. ძველი, პარმენიდედან

მოყოლებული მეტაფიზიკის სანინალმდეგოდ, რომელსაც მიაჩნდა, რომ ა) არსი და აზრი ერთია და, რომ ბ) არარსი არ მოიაზრება, ჰაიდეგერი მიიჩნევს, რომ, მართალია, არარსი, არარა არ მოიაზრება, მაგრამ, განიცდება, მაგ., „ძრწოლის“ ეგზისტენცში; ძრწოლაში არარა შემოდის ჩვენს გამოცდილებაში და ის ისეთივე რალურია როგორც არსი; 3) თუ ჰაიდეგერს დავყვებით იმაში, რომ ყოფიერება არის ის, რაც არსს არსებულად ხდის, მაშინ უნდა დავასკვნათ ლოგიკურად, რომ არარა არის ის, რაც არსს ართმევს არსებობას, რაც აარარავებს. თუ ყოფიერება არ გვხვდება სხვა არსთა მსგავსად, მაშინ არც არარა უნდა იყოს რიგითი არსი სხვა არსთა შორის. და გამოდის, რომ ან ყოფიერება და არარა ურთიერთგანსხვავებულია, ორია, და ეს ორი რამ სხვა, ჭეშმარიტი სამყაროს ხიზნები არიან, ანდა, რომ ყოფიერება და არარა ერთია. სხვა არსთა სამყაროს დაშვება, რომელთაც ჭეშმარიტი არსებობა მიეწერებოდა კლასიკურ მეტაფიზიკაში ჩარჩენას მოასწავებს. ამიტომ ჰაიდეგერი იღებს ორიენტაციას მეორე ალტერნატივაზე. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ყოფიერება არის კომპლექსური ცნება, რომელსაც ჰაიდეგერი გამოხატავდა ორი პოლარული ღერძის გადაკვეთით მოცემულ სქემაში. ღერძებს გააჩნია ზენაარი პოლუსი და ქვენაარი პოლუსი და ისინი ერთმანეთს კვეთენ დიაგონალურად:



გადაკვეთის წერტილში ჰაიდეგერი ათავსებს **ნივთს** (Ding). კვეთის ზედა მხარეს თავსდება **ზეცა** და **ღვთაება**, ქვედა მხარეს კი – **მინა** და **ადამიანი**. ზეცა წარმოგვიდგება მინასთან პოლარულობაში მყოფი ღერძის თავში, ხოლო ღვთაებრივი – ადამიანთან პოლარულობაში მყოფი ღერძის სათავეში. აი ამ ყველაფრის მომცველობაა ის, რასაც შეიძლება ვუნოდოთ ყოფიერება. გვიანდელი ჰაიდეგერის მიხედვით, მათი ერთმანეთთან შეხვედრის ადგილი, როგორც ვთქვით არის



ნივთი, ანუ ძველი მეტაფიზიკის ტერმინოლოგიით – არსი (მაგ., დიალოგ „პარმენიდში“, რომელიც ამ ფუნდამენტურ ონტო-მეტაფიზიკურ საკითხებზე მსჯელობის პიკად წარმოგვიდგება, ვერ შეხვდებით ისეთ ტერმინს, როგორცაა „ნივთი“). რაც შეეხება ტერმინ „ყოფიერებას“, მას ჰაიდეგერი წერს დიაგონალურად გადახაზული ფორმით. ძველ და ახალ ტერმინოლოგიაზე ყურადღების გამახვილება სწორედ რომ არაა უადგილო საქმე. ის მახასიათებლები, რომლებსაც ჰაიდეგერი მიაწერს, მაგ., ზეცას და მიწას, ჩემის აზრით, იმასაც გულისხმობს რასაც გულისხმობდა კლასიკური არსება (უსია, იდეა) და არსი (ონ). ვატყობ სიტყვა ძალზე მიგრძელდება ჰაიდეგერის შეხედულებებთან დაკავშირებით და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე ჩამთრევი ლონისძიებაა, ჯობს აქ შევჩერდეთ.

მხოლოდ ერთსღა დავსძენ ბოლოს; ჰაიდეგერმა, უკუაგდო რა კლასიკური სტილი ფილოსოფოსობისა, რომელიც ემყარებოდა ცნებებით ოპერირებას და ლოგიკურ-კატეგორიულ ანალიზს, შემოგვთავაზა, ასე ვთქვათ, არქაული ფილოსოფოსობის მოდელი, რომელიც უარს ამბობს ცნებებსა და კატეგორიებზე, ტექსტის სკურპულოზურ-სქოლასტიკურ-ლოგიკურ უზადობაზე და ა.შ. ის გველაპარაკება ექსისტენციალების –პირადი, სიღრმისეული გამოცდილებით მიღებული „ცოდნის“ პარადიგმაში, ოღონდ ტერმინების ფილოსოფიამდელი მნიშვნელობების ენაზე: **გადაგდებულობა, ძრწოლა, ზრუნვა, სიკვდილისკენ ყოფნა...** ალბათ სწორედ ამაშია მისი მიმზიდველობა და ქარიზმატულობა – შეიძლება იყოს იმაზე უფრო დამაინტრიგებელი რამ, ვიდრე ფილოსოფიამდელი ფილოსოფოსობაა?!

შენიშვნა (გ) იმიტომ მოვიხმეთ (რომელიც ძალზე გაგვიგრძელდა), რომ მართებულად მიგვაჩნია შემდეგი – როგორც კოპერნიკის მერე აღარ შეიძლება მხოლოდ პტოლომეს ასტრონომიის ამარა კვლევების წარმოება ასტრონომიაში, ხოლო აინშტაინის მერე მხოლოდ ნიუტონის ამარა კვლევების წარმოება ფიზიკაში, ისე ჰაიდეგერის მერე აღარ ეგების ყოფიერების საკითხის განხილვა მხოლოდ ჰაიდეგერამდელ ონტო-მეტაფიზიკურ კონტექსტში.

\*\*\*

მიუხედავად ჰაიდეგერის ფილოსოფიის მომნუსხველობისა, ის ფონი „დადანაშაულებისა“ და ბრალდებები ძველი ფილოსოფიის მიმართ, მაინც გაზვიადებულად მეჩვენება. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ონ-

ტოლოგიურ-მეტაფიზიკური ტერმინოლოგია, მათი ურთიერთმიმართებები და სხვა ნიუანსები ერთი ხელის მოსმით არ შექმნილა და დადგენილა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბერძნებმა ნიადაგი შამაზადეს, სქოლასტიკამ დარგო და დათესა, მოდერნიზმმა გასხლა და გამარგლა, პოსტმოდერნიზმმა კი, მოსავლის მომკა-შენახვაზე უარი თქვა. კრიტიკულად მოჯეგა ხოდაბუნები, ანუ დაადეკონსტრუქცია და „ახალი ონტო-მეტაფიზიკის შექმნის გზას დაადგა“, რომელმაც ვირტუალურის რეალურობის აღიარებამდე მიგვიყვანა. ჰაიდეგერი სწორედ ამ უკანასკნელი წამოწყების ინიციატორია. ბრჭალებში ეს მაღალფარდოვანი ფრაზა იმიტომ ჩავსვი, რომ მართებულად მეჩვენება ნ.ჰარტმანის კიდევ ერთი განცხადება – *ყველა ამ წამოწყებაში (ის ასახელებს გიუნტერ იაკობის, კონრად მარტიუსის, მეინონგს, შელერს, ჰაიდეგერს) საითაც გავიხედავ, მომავლის ონტოლოგიაზე მხოლოდ ხმამაღლა გაიძახიან, მაგრამ არსად ჩანს მისი შექმნის რეალური მცდელობა-ო (ნ.ჰარტმანი – „ონტოლოგიის პირველსაფუძველები“.*

მართლაც, რა ნამუსით უნდა გავაუფასუროთ თუნდაც სქოლასტიკური ნიაღვრეები ყოფიერების პრობლემასთან მიმართებაში. თუ ევროპელმა და თუ აზიური წარმოშობის მოაზროვნეებმა ამ ეპოქაში უდიდესი მემკვიდრეობა შექმნეს, სადაც ფილოსოფიური დისკურსი განუზომელ სიღრმისეულობას იძენს. იგივე თომა აქვინელის მიერ მიღებულ-განაზრებულ-გაკრიტიკებული ავეროესისა (იბნ რუშდის) და ავიცენას (იბნ სინა) მოძღვრებები რად ღირს. ამ განაზრებების საფუძველზე დაასკვნა თომა აქვინელმა სწორედ, რომ ე.წ. ინდ. სუბსტანციას საკუთარი მყოფობისა და ამგვარდემყოფობის, გარკვეულობად ყოფნის საფუძველი თავის თავში კი არ აქვს, არამედ ტრანსცენდენტში, რომ ის შექმნილია შეუქმნელი აბსოლუტის მიერ, რომ მის არსს ყოფიერება (Esse) ხდის არსებულად, ხოლო მის კონკრეტულ, გარკვეულ არსად ყოფნას არსება (Essencia) განაპირობებს, რომ **არსს ყოფიერებისა და არსების გარეშე არსებობა (exsistencia) ვერ მიენერება...**

ჩვენ ვეთანხმებით ნ.ჰარტმანს, რომელიც ამბობს, რომ – *კამათი უნივერსალიების შესახებ არაა დასრულებული. ის არ შეიძლება ჩაითვალოს შორეულ წარსულში დამთავრებულ საქმედ. რა გვაიძულებს დღეს ჩვენ იმას, რომ თვალი მოვხუჭოთ ამაზე და შეგნებული დაცინვით ავუაროთ გვერდი ამ პრობლემას, თითქოს ის იყოს ატა-*

ვიზმი. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ კამათი უნივერსალიების თაობაზე წარმოადგენს ძიების ფორმას, რომლის ფარგლებშიც უდიდესი მოაზროვნეები, არისტოტელედან ლაიბნიცამდე, ცდილობდნენ მოეხელთებინათ რალაც პრინციპულად მყარი, მდგრადი და უცვლელი ამ სამყაროში. ეს დებატები ჩვენთვის განსაკუთრებით ჭკუისსასწავლებელია, რამეთუ მის ნიადაგზე მიაღწია სიმნიფეს ყოფიერების ყველაზე ძირეულმა კატეგორიებმა (ნ.ჰარტმანი, „ონტოლოგიის პირველსაფუძვლები“).

ბარემ აქვე უპრიანი იქნება მაღალი სქოლასტიკის უპირველესი წარმომადგენლის თომა აქვინელის შეხედულებების მოკლედ მოხაზვა. თომა ოპირირებს როგორც არისტოტელური მეტაფიზიკის ცნებებით, ისე სქოლასტიკის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიით, რომელნიც გამომუშავებულ იქნენ ისეთ მსოფლმხედველობრივ პარადიგმაში, რომლის ძირეულ დებულებებსაც არათუ არ იზიარებდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, არამედ საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდათ მასზე. ისინი, მაგ., არ იცნობდნენ სამყაროს კრეაციონისტულ მოდელს. მათთვის სამყარო მარადიულად არსებობდა. ყველა და ყველაფერი ამ სამყაროშია. მის გარეთ არვინ და არაფერია ისეთი, ვინც სამყაროს შექმნიდა. სამაგიეროდ, შუა საუკუნეების ფილოსოფია იცნობდა ამ მოდელს და დეტალურად ამუშავებდა მას ფილოსოფიურად და ლოგიკურად. თომა ეყრდნობა შექმნილი და შეუქმნელი არსის შუასაუკუნეობრივ პოლარიზაციას და, თავის მხრივ იყენებს, ისეთ არისტოტელურ ცნებებსაც როგორცაა, მაგ., შესაძლებლობა და სინამდვილე, ფორმა და მატერია...

რაც შეეხება უნივერსალიების პრობლემას, როგორც ვიცით, თომა იკავებს მომრიგებლურ პოზიციას რეალისტებთან, ნომინალისტებთან და კონცეპტუალისტებთან მიმართებაში. ის მიიჩნევდა, რომ უნივერსალიები არსებობენ ante res (ნივთებამდე, ანუ ღმერთის გონებაში), in rebus (ნივთებში), post res (ნივთების შემდგომ, ანუ ადამიანის გონებაში). ეს საკითხი, რომელიც სათავეს პლატონისა და არისტოტელეს დროიდან იღებს დასაბამს, თომასეულად ვერ გადაწყდებოდა შუასაუკუნეობრივ-ქრისტიანულ კრეაციონიზმზე დაყრდნობის გარეშე. ანუ ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს თეორია შეუქმნელ და შემქმნელ არსზე, ერთის მხრივ, და შექმნილ არსზე, მეორეს მხრივ. აქვინელი, თავის ტრაქტატში „არსისა და არსების შესახებ“ გვეუბნება, შეუძლებელია,

რომ ნივთის ყოფიერება უშუალოდ წარმოდგებოდეს მისი ფორმისგან (არსებისგან, ბუნებისგან, რაობისგან – ამ ტერმინებს ის სინონიმურად იყენებს. შენიშვნა ჩვენია, ი.გ.), რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში ინდ. სუბსტანციები, ნივთები იქნებოდნენსაკუთარი არსებობის მიზეზნი, ანუ საკუთარი თავისთვის ყოფიერების მიმნიჭებელნი – რაც შეუძლებელია. ყველა ნივთი, რომლის ყოფიერებაც არის რაღაც სხვა, ვიდრე მისი არსება, ყოფიერებას, არსებობის სახით, უნდა იღებდეს სხვისგან. რამდენადაც ყველა არსი არსებობს სხვისი წყალობით, ამდენად ისინი დამოკიდებულნი არიან მასზე, რაც არსებობს საკუთარი თავის წყალობით. ასეთი არის პირველმიზეზი, **წმინდაყოფიერება** (esse tantum).

ასე გაგებული ღმერთი წარმოგვიდგება **წმინდა აქტუალობადც**. მის მიერ ყოფიერება ქმნილი არსები კი, სწორედ ზოგად-უნივერსალური სახით, ჯერ მოცემულია ღმერთის გონებაში, ანუ შესაძლებლობაში. ე.ი. ეს უნივერსალური ფორმები, წმინდა ყოფიერებასთან, წმინდა აქტუალობასთან მიმართებაში არიან **წმინდა პოტენციები**. ეს პოტენციები აქტუალობას იძენენ წმინდა ყოფიერებისგან და ეს გამოიხატება იმაში, რომ გარკვეულობა, ამაღ და ამაღ ყოფნა შეაქვთ ინდივიდუალურ სუბსტანციებში. ამის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ინდ. სუბსტანცია შედგება იმისგან რასაც წარმოადგენს თვითონ, ანუ მისი არსებით (quid est) და იმისგან, რისი წყალობითაც ის არის ამქვეყნად მყოფი (quo est). იმას, რისი წყალობითაც ნივთი არის, ამბობს თომა, ბოეციუსიდან მოყოლებული იწოდება ყოფიერებად. გამოდის, რომ უნივერსალური ფორმა ნივთში გარდაისახება მის არსებად, გარკვეულობად, ხოლო წმინდა ყოფიერება ინდ. სუბსტანციას ანიჭებს მყოფობას. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ, ფრედერიკ კოპლსტონის აზრითარის შემდეგი: *ალ-ფარაბი მიიჩნევდა არსებობას აქციდენციად, რომელიც თან დაერთვება უკვე სახეზე მყოფ არსებას. თომა ამ პოზიციას კატეგორიულად უარყოფდა. მისი აზრით, როცა ნივთი იძენს ყოფიერებას, ის მას იძენს იმაში რაც ერთდროულ შეხებაშია მის არსებასთანაც და არსებობასთანაც. ეს ორი რამ არ უსწრებს ერთმენეთს, მაგრამ სწორედ ყოფიერებითი აქტით ხდება არსებაც არსებული. არცერთი წარმავალი არსი არ არსებობს აუცილებლობით საკუთარი არსების წყალობით. მხოლოდ ღმერთშია არსება და არსებობა იგივეობრივი. ღმერთი წმინდა აქტუალო-*

**ბა.** ის არაა ჯერ პოტენცია და შემდეგ აქტუალობა, როგორც ამას ადგილი აქვს წარმავალი არსის შემთხვევაში. ამ უკანასკნელის გაგება თომას გადმოცემული აქვს მატერიისა და ფორმის ცნებებითაც, სადაც კარგად ჩანს ფორმისა და არსების იგივეობა. **მატერია წმინდა პოტენციაა**, ფორმა აქტია, რომელიც სუბსტანციას ხდის იმად, რაც ის არის, ანუ რაც ის არის თავის არსებით.

ახლა თვალი გავადევნოთ აქვინელის მსჯელობას ფორმისა და მატერიის ტერმინოლოგიურ კონტექსტში, რათა შექმნილისა და შეუქმნელის სპეციფიკა სხვა მხრივაც დავინახოთ: სულში და პირველმიზეზში, განსხვავებით სხეულებრივი სუბსტანციებისგან, შეუძლებელია მოცემული იყოს მატერიისა და ფორმის კომპოზიცია. ფორმით გადაეცემა ყოფიერება მატერიას და ამიტომ შეუძლებელია მატერიის არსებობა ყოველგვარი ფორმისგან დამოუკიდებლად, მაგრამ არა პირიქით – ფორმა შეიძლება არსებობდეს მატერიისგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, მატერიალური ან ინდივიდუალური სუბსტანციების არსებას წარმოადგენს ფორმა. ფორმები, რომელნიც მოცემულია მხოლოდ მატერიალურ სუბსტანციებში, მოშორებულნი არიან პირველსაწყისისგან, ანუ წმინდა პირველი აქტისგან – აქტუს ესსენდისგან, ყოფიერების მწყალობელისგან.

ფორმები, რომელნიც, პირიქით, არ არიან გამოყოფილნი, სხვა ინსტანციებით გაშუალებულნი, წარმოადგენენ ფორმებს არსებულთ მატერიისგან დამოუკიდებლად. ეს უკანასკნელნი არსებობენ უშუალოდ ღმერთის გონებაში და მათი, როგორც არამატერიალური სუბსტანციების არსებას წარმოადგენს არაფერი სხვა თუ არა მათივე ფორმა – ანუ, განსხვავებით მატერიალური სუბსტანციებისგან, მათი არსი და არსება ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად შედგენილი სუბსტანციის არსება, განსხვავებით მარტივი სუბსტანციის არსებისგან, წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმის, არამედ ფორმისა და მატერიის ერთობლიობის, სუბსტრატის არსებას. ხოლო მარტივი სუბსტანციის (ფორმა მოცემული ღმერთის გონებაში) არსება არის მხოლოდ ფორმა. როგორც ჩანს, ყოფიერება წარმოადგენს რაღაც განსხვავებულს არსებასთან, რაობასთან შედარებით (პირველი ღმერთია, მეორე – მის გონებაში მოცემული აზრი). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი – პირველარსი, ღმერთი, რომლის არსებაც არის თავად მისი ყოფიერება.

\*\*\*

(ა)/2+(ა)/3= (ა)/5 შერწყმა (ონტოლოგიურ ტერმინთა ჩამონათვალში), ანუ როგორც პეტრინი იტყოდა – „წარმომჩენელი როცა აობასა და არსებას მისცემს წარმომჩენილსა“ – უდრის „ენტ-უსიაცმნილს“ (მისივე ტერმინია), ანუ ნამდვილ არსს. ჩვენის აზრით, ანთროპოსის შემთხვევაში ეს ნიშნავს გონიერ-არსებას-არსში. ამ უკანასკნელს, მაგ, არისტოტელეს ფილოსოფიისადმი მიძღვნილ სტატიებზეა თუ ნარკვევებში მოიხსენიებენ ხოლმე „ინდივიდუალურ გონიერ სუბსტანციად“. კანტი ხმარობს „ტრანსცენდენტალურ სუბიექტს“. ჰაიდელგერი „დაზაინს“...

ჩვენ უკვე საკმაოდ დიდი ხანია აქცენტირებას ვაკეთებთ ხოლმე წინამორბედ სტატიებში ტერმინზე – **პიროვნება**, რომელიც აქ ნახსენები ცნებების შინაარსობრივ შტრიხებს, რა თქმა უნდა, შეიცავს, მაგრამ თავის ორიგინალურ ნიშნებსაც ატარებს, რაც შეგიძლიათ იხილოთ ხსენებულ სტატიათა ციკლში. პიროვნების ცნებას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ტრანსცენდენტურ კონტექსტშიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ სიღრმესა და შინაარსს სძენს იმანენტური ტერმინების შინაარსობრივი დატვირთვის მისადაგება. სწორედ იმიტომ ვანიჭებთ უპირატესობას ამ უკანასკნელს, რომ პიროვნების ცნების ჩვენეული გაგება, ამ ცნებას ორმხრივად (ტრანსცენდენტურად და იმანენტურად) მოქნილად და ფუნდამენტალურად წარმოგვიდგენს. ამგვარ ხასიათს მას სძენს იმანენტური ტერმინების რიგიდან (ბ)/1+(ბ)/5 შერწყმა – **გონი+ნება=პიროვნებას**.

გონებას სულხან საბა ასე განმარტავს – „გონება არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა, ხედვა უხორცო და დაუმრთმელი, მომვლელი ყოვლისა“. ამ განმარტებიდან კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი სხვაობაა გონებასა და აზროვნებას ან განსჯას შორის. აზროვნება და განსჯა, ყოველშემთხვევაში პოზიტიურ-მეცნიერული აზროვნება და განსჯა, არ არის „მომვლელი ყოველისა“. მას გააჩნია სრულიდ გარკვევით დემარკირებული საგნობრივი სინამდვილე, რომლის და მხოლოდ რომლის შემეცნებასაც ის ესწრაფვის რაღაც გარკვეული ასპექტითა და მეთოდით. მას ნაკლებ აინტერესებს თუნდაც მისი შესამეცნებელი საგნობრივი სინამდვილის ყოველმხრივი შემეცნება. ფიზიკა ამ სინამდვილის მხოლოდ ფიზიკურ მხარეს სწავლობს, ქიმია – ქიმიურს, ბიოლოგია – ბიოლოგიურს და ა.შ. გონება, გონი კი, როგორც ამას მკაფიოდ გადმოგვცემს კანტი თა-

ვის ცნობილ ანტინომიებში, ესწრაფვის სამყაროს ისეთი ფუნდამენტური განმსაზღვრელების შემეცნებას, როგორცაა კოსმოსი, სული და ღმერთი. მათი შემეცნება წმინდა მეტაფიზიკის პრეროგატივაა და, ამდენად, მათთან დაკავშირებული პრობლემატიკა ვერ წყდება ისე ცალსახად, როგორც მეცნიერული აზროვნება წყვეტს თავის პრობლემებს; რის გამოც საერთოდ უარყოფს მეტაფიზიკას.

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ამ განმარტებაში ნახსენებ ტერმინზე – საცნაური, რომელსაც სულხან საბა ასე განმარტავს – **საცნაური ენოდების საცნობელსა, ხოლო მცნობელი თვით მის მიერ ცნობილსა**. რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ამ ტერმინზე? იმიტომ რომ ის კარგად ესადაგება ტერმინ – ცნობიერების ჩვენეულ მნიშვნელობას. რადგან ტერმინ – ცნობიერების – განმარტებას სულხან საბას ლექსიკონში ვერ ვხვდებით, ხოლო სხვა ძველ ქართული ლიტერატურიდან ამ ტერმინს გონმიუხდელის, არაგულწასულის, სრულ ჭკუაზე მყოფის ანუ არა-ხელად-ქმნილის (ვეფხისტყაოსნიდან) მნიშვნელობა ჰქონდა, ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ პუნქტს სწორედ ტერმინ „საცნაურის“ სულხან საბასეული მნიშვნელობა ავსებს. მართლაც, განა „ცნობიერება“ არ გულისხმობს „საცნობელისა“ (ანუ „სხვის“) და „მცნობელის“ (ანუ „მე“-ს) გამმიჯნავ ინსტანციას? გულისხმობს კი არადა, პრველ რიგში გულისხმობს სწორედ.

\*\*\*

აქ უკვე გასარკვევ-ჩამოსაყალიბებელია იმ ფილოსოფიურ მიდგომათა სისტემატიკა ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთმართების საკითხში, რომელნიც გარკვეულ ფუნდამენტურ როლს თამაშობენ ამა თუ იმ ფილოსოფიურ მოძღვრებაში. ცხადია, ჩვენ არ ვაპირებთ მათ სრულ დეტალურ განხილვას ამ სტატიის ფარგლებში. ეს საქმე წარმატებით განახორციელა არა ერთმა ფილოსოფოსმა თუ ფილოსოფიის ისტორიკოსმა. ჩვენ მათზე დაყრდნობით უბრალოდ დავაკლასიფიცირებთ ამ მიდგომებს და მოკლე თაზისებად გადმოვცემთ მათ საზრისს.

ამ მიდგომათა მრავალფეროვნება, სისტემურ ფილოსოფიურად, ძალზე ბევრ დაჯგუფებად ლაგდება. დუალიზმი, ფენომენოლოგიზმი, იდეალიზმი, მატერიალიზმი, ფუნქციონალიზმი, ლოგიკური ბიპევიორიზმი, ორასპექტიანობის თეორია და ა.შ. რამდენადაც ცნობიერების ფილოსოფია შედარებით ახალ ფილოსოფიურ დისციპლინას წარმოადგენს და კვლევები ამ მიმართულებით სულ უფრო და უფრო იშლება

და ისახსრება, უნდა ველოდოთ, რომ დოქტრინალურ მიდგომათა რაოდენობა კიდევ გაიზრდება მომავალშიც. მაგრამ, ისე ჩანს, რომ ამ მიდგომათა რაოდენობა იზრდება იმ მიღწევების კვალად, რომელსაც ადგილი აქვს კოგნიტიურ მეცნიარებებსა და ფსიქოლოგიაში, ნევროლოგიასა და ფსიქიატრიაში... მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მიდგომა საზრდოობს კერძო მეცნიერებათა მიღწევებით ყველა მათგანზე მაინც არ ითქმის, რომ ის მატერიალიზმის კერძო შემთხვევაა – ზოგი მათგანი მატერიალისტურ სულისკვეთებას ამჟღავნებს, მაგრამ არა ყველა. და მაინც, ტრადიციული ფილოსოფიური თვალსაზრისით აქ მოვიხიშობთ მხოლოდ სამ ძირითად მიდგომას – დუალიზმი, იდეალიზმი და მატერიალიზმი. ეს უკანასკნელი უპირისპირდება არა მხოლოდ იდეალიზმს, როგორც ეს წარმოდგენილი იყო მარქსიზმ-ლენინისტურ დიალექტიკურ მატერიალიზმში, არამედ დუალიზმსაც, რომელიც მატერიალიზმისგან და იდეალიზმისგან განსხვავებით არაა მონისტური მოძღვრება. ანუ თუ მატერიალიზმი ყოველივეს საფუძვლად მატერიას აღიარებს, ხოლო იდეალიზმი – იდეას, ანუ ორივე ერთი საფუძვლიდან ამოდის, დუალიზმი აღიარებს ორ საწყისს – მატერიალურსაც და იდეალურსაც.

ე.ი. ცნობიერების საკითხთან დაკავშირებით 1. მატერიალიზმი გვეუბნება, რომ ცნობიერება არის მეორეული, ეპიფენომენალური წარმონაქმნი, რომელიც მატერიის ორგანიზებულობა-განვითარებულობის რთული შედეგია; რომ ყველაფერი ამ სამყაროში და მათ შორის ცნობიერებაც მატერიისგან წარმოდგება; 2. იდეალიზმი გვეუბნება, რომ ყველაფერი ამ სამყაროში არის უზუნაესი იდეის, ანუ ისეთი წმინდა ცნობიერების სხვად ყოფნის მდგომარეობა, რომელშიც არსი და არსება ერთმანეთს ემთხვევა. ანუ, რომ ყველაფერი მატერიიდან კი არა ცნობიერებიდან წარმოდგება; 3. დუალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ იდეალურის მიმართ ჭარბ სიმპატიებს ამჟღავნებს და ცნობიერების კვარცხლბეკიდან გადმოჰყურებს სამყაროს, უარს ვერ ეუბნება მატერიალური სუბსტანციის არსებობის აღიარებასაც, რომელიც მას ჭეშმარიტების წვდომის გზაზე ბარიერად წარმოუდგენია. მაგ., პლატონს მიაჩნდა, რომ სული, ცნობიერება ალბათ მაშინ მისწვდება ჭეშმარიტებას, როცა სხეულის სიკვდილის შემდგომ განშორდება მას. ამ მიდგომების სისუსტეებზე ჩვენ ვისაუბრებთ ქვემოთ.



\*\*\*

თავდაპირველად, პარმენიდემყოფიერებისსაკითხი, როგორცვი-  
ციტასედააყენა – **არსი არის და არ არსი არ არის**. ესაა მისი მსჯელო-  
ბისა მოსავალიც და დასკვნაც. პარმენიდეს თხზულებების მწირი მო-  
ნარჩენებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, მკაფიოდ ჩანს, რომ  
მის მიერ დაყენებული მთავარი ონტოლოგიური საკითხი არ ემყარება  
ამ საკითხის ცნობიერების საკითხთან მიმართებაში გარკვევას. **არსი  
არის** არა იმიტომ, და **არარსი არ არის** არა იმიტომ, რომ ის ჩემს ცნო-  
ბიერებაშია რაიმენაირად მოცემული ან არანაირად არ არის მოცემუ-  
ლი, არამედ ეს ასეა **არსისა და არარსის** ცნებათა ლოგიკური ანალი-  
ზის შედეგად გამოვლენილი შინაარსის ძალით. ცხადია, თვალშისაცე-  
მია პარმენიდესეული მიდგომის როგორც ონტოლოგიური ნოვატო-  
რობა, ისე – ნაიფურობა. კი, მაგრამ, **არსი და არარსი** როგორც ცნება  
სად გვაქვს მოცემული? ემპირიულად მოცემული გვაქვს, როგორც  
არისტოტელე იტყვის „ინდივიდუალური სუბსტანციები“, კონკრეტუ-  
ლი საგნები და არაა **არსი** და **არარსი** როგორც ასეთი. ანუ, იმის ადგი-  
ლი, რაზეც ლაპარაკობს პარმენიდე (არსისა და არარსის **ცნება**) და  
რისი ძალითაც ლაპარაკობს (**ცნებათა ლოგიკური ანალიზი**) მხოლოდ  
ცნობიერებაშია და როგორ შეიძლება მისი (Cogito-ს) მხედველობაში  
არ მიღების გარეშე იმ საკითხის გადანყვეტა რაც მან დასვა?

ამ გარემოების გათვალისწინება კიდევ ერთ მნიშვნელოვან დას-  
ტურს იძლევა იმ თვალსაზრისის გასამყარებლად, რომ პარმენიდე წი-  
ნამორბედ მოაზროვნეთაგან მემკვიდრეობად მიღებულ ფიზიკალიზმს  
ინერციით ავრცელებს თავის მოძღვრებაზეც, თუმცა კი თავისი მიდ-  
გომა და აზრთა მსვლელობის სტილი სულ სხვა რეესტრში აჰყავს. მი-  
უხედავად ამის, ს. პრისტისეული განცხადება, რომ პარმენიდე მატე-  
რიალისტია, მეტისმეტად ხმამაღალ განცხადებად მიგვაჩნია. უფრო  
ზომიერ შეფასებას იძლევა ე. ჟილსონი, რომლის თანახმადაც ... *პარ-  
მენიდე არ საუბრობს მაინცა და მაინც „ყოფიერებაზე“, არამედ უფ-  
რო იმაზე – „რაც არის“*. ეს ჩვენ ვთარგმნით ხოლმე მის ნათქვამს  
უფრო განვითარებული ონტოლოგიის ენაზე, მივანერთ რა ამით,  
პარმენიდეს აბსტრაქტული ყოფიერების თაობაზე საკითხის დაყე-  
ნებას... ის „რაც არის“ და რასაც მოიაზრებდა პარმენიდე, პირიქით,  
აბსტრაქტული კი არა, არამედ ყველაზე უკონკრეტულის რეალიაა  
რეალობიდან. აშკარაა, რომ პარმენიდე ყოფიერებას უწოდებს სამ-  
ყაროს თავის მთლიანობაში... მიუხედავად ამისა, თვისებები, რო-

მელთაც პარმენიდე მიაწერს ყოფიერებას – სრული, ერთგვაროვანი, უძრავი, სფეროსებრი ... – მიყენებადია ნებისმიერი სახით წარმოდგენილი ყოფიერებისადმი... შევადარებთ რა პარმენიდესეულ დებულებებს გრძნობად გამოცდილებაში მოცემულ არსებს, დავინახავთ, რომ პარმენიდე ერთმანეთს უპირისპირებს ყოფიერებასა და არსებობას (*existence*): ის, რაც არის (ყოფიერება) არ არსებობს (ალბათ როგორც გრძნობად გამოცდილებაში მოცემული არსი). მე ეს ასე მესმის – ყოფიერება (როგორც აბსტრაქტულად მოაზრებული ცნება თავისი ლოგიკური შინაარსით) არის, ხოლო არსი (როგორც გრძნობად გამოცდილებაში მოცემული არსი) არ არსებობს (როგორც სრული, ერთგვაროვანი, უძრავი და ა.შ.). ამგვარი განაზრებებიდან გამომდინარე, ძენონმა დაასაბუთა, რომ ლოგიკურად წინააღმდეგობრივია მაგ., მოძრაობის არსებობის დაშვება და ამდენად მოძრაობა არც არსებობს ნამდვილად.

პარმენიდეს დებულება, სხვათა შორის, ჭეშმარიტების განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს იმის მიხედვით თუ როგორ თარგმნიან მას. ცხადია, ამაზე გავლენას ახდენს იმ დებატების ცოდნაც, რომელიც ფილოსოფიაში მიმდინარეობდა პარმენიდეს შემდეგ. ქართულ ლიტერატურაში ორი ძირითადი ვარიანტია დამკვიდრებული: 1. „არსი არის და არარსი არ არის“; 2. „რაც არის არის და რაც არ არის არ არის“. პარმენიდეს შემდგომდროინდელი დოქტრინების გათვალისწინებით, ჩვენის აზრით, (1)-ლი ვარიანტი „მცდარია“, ხოლო – მეორე „ჭეშმარიტი“. ამგვარი დამოკიდებულების საფუძველს გვაძლევს კლასიკური ონტო-მეტაფიზიკური დებულება იმის თაობაზე, რომ „არსი არის ფორმისა და მატერიის ერთობლიობა“. მაგ. თომა აქვინელის მიხედვით, ცალკე წმინდა მატერიაზე შეუძლებელია ითქვას, რომ ის არსებობს, მაშინ, როცა ფორმა არსებობს მატერიისგან დამოუკიდებლად ლმერთის გონებაში. ამდენად, დებულება „არარსი არ არის“, გულისხმობს მხოლოდ ისეთი რამის არარსებობას, რაშიც მატერია ფიგურირებს. მაგრამ რაშიც მატერია არ ფიგურირებს ის, მართალია, არსი არ არის (ვთქვათ იდეაა, ლმერთის აზრია. არსი ხომ მატერიისა და ფორმის ერთობლიობაა?), მაგრამ მასზე ვერ ვიტყვი, რომ ის არ არსებობს. ე.ი. არსი რაღაც ნივთობრივია, მატერიალიზებულია და ის არის, მაგრამ ის, რაც ნივთობრივი არ არის, შეიძლება არსებობდეს, ოღონდ არამატერიალიზირებულის აზრ-გაგებით. ასეთი იქნება არა

მხოლოდ ღმერთის გონებაში არსებული ფორმები, არამედ ანთროპოგენური ფენომენებიც, მაგ., ღირებულებები, ცნობიერება, მე, პიროვნება, იმედი და მოლოდინი, სიზმარი, აზრი, სიყვარული, მეგობრობა, თავდადება და ა.შ. ამ უკანასკნელთა მიმართ ისინი არის, მაგრამ ისინი არ არის არსი. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, ჭეშმარიტად (2)-ე ვარიანტი, მაშინ როცა (1)-ი ვარიანტი მხოლოდ ნაწილობრივიაა ჭეშმარიტი. ჭეშმარიტია ამ კონიუნქციის პირველი ნაწილი – „არსი არის“, მეორე ნევრი კონიუნქციისა – „არარსი არ არის“, კი მცდარია და, მაშასადამე, მცდარია მთელი კონიუნქციაც.

რაც შეეხება პლატონს ის დიდადაა დავალებული ამ, პლატონისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოაზროვნისგან, რომელიც ერთდროულად მოწინებთაც განგვანყობს მის მიმართ და თავზარსაც გვცემს. პარმენიდესეულ ფორმულირებებს პლატონი მემკვიდრეობით იღებს, მიუხედავად იმისა, მიენერება ყოფიერება პარმენიდეს **ერთგვაროვან სფეროს** თუ პლატონის **იდეას**. პლატონის მეტაფიზიკა სიღრმისეულად განსხვავდება პარმენიდეს ფიზიკისგან, მაგრამ მათი ონტოლოგია ექვემდებარება ერთ და იმავე კანონს. ჟილსონის ეს შენიშვნა კარგი გზამკვლევია პარმენიდეს შემდგომდროინდელი ონტოლოგიის გაგებისთვის, უპირველესად კი პლატონისა და არსისტოტელეს გაგებისთვის. ამ უკანასკნელთა გზები მიდის არა „არსის“, არამედ „არსების“ პრობლემასთან. პარმენიდემ ყოფიერების დიდი გამოცანის ამოხსნა „არსის“ საკითხის წამოყენებით დაიწყო და შესანიშნავად გაართვა მას თავი. „არსის“ ბუნება მის „არარსთან“ შეპირისპირების ფონზე სრულყოფილად იქნა გამომზეურებული პარმენიდესა და ძენონის მიერ. მათ მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობამ პლატონსა და არისტოტელესაც გაუადვილა „არსის“ შემეცნება, მაგრამ „არსების“ ცნებას გაუკვალავ გზაზე მსვლელობით სჭირდებოდა შეცნობა. ამომწურავ შეცნობამდე კი ჯერ ის იყო დასაადგენი საერთოდ არის, თუ არა, და სად არის ასეთი რამ. პარმენიდემ რომ თქვა „არსი არის და არ არსი არ არისო“ დაასაბუთა კიდეც ის, რომ ორივე ერთად – არსიც და არარსიც – ვერ იარსებებს, რომ არსი ერთია, უძრავია და ა.შ. მაგრამ „არსებასთან“ დაკავშირებით მას არაფერი უთქვამს. პლატონს სწორედ ეს სიმძიმე აწვებოდა მხრებზე – „რასება არის?“ და თუ არის, „რავგარად არის და სად არის?“.

პლატონმა იცის, რომ პარმენიდეს „არსი“ აბსოლუტურად გაურკვეველი ერთი არსია, მას არ გააჩნია ხელშესახები და დაკვირვებადი ნიშან-თვისებები, ის არ იცვლება და ვითარდება, არ იბადება და არ კვდება... ასეთი ერთი არსი ჩვენ არ გვხვდება ამ სამყაროში. პირიქით, რასთანაც კი შეხება გვაქვს რაღაც გარკვეულობას ფლობს. ეს „ფლობა“ არაა აბსოლუტური. არსის გარკვეულობა დროებითი და ცვალებადია, ის იცვლება პერმანენტულად და საბოლოოდ ქრება.

გარკვეულობა რალაცნაირად დაკავშირებული უნდა იყოს ისეთ რამესთან, რასაც საბოლოოდ დაუმკვიდრდება „არსების“ ფუნდამენტალურ-ონტოლოგიური სტატუსის ცნების სახელი. თუმცა პლატონი ამ დაკანონების გზის დასაწყისში დგას (სხვათა შორის, მისი ოპოზიციონერი მოსწავლეც – არისტოტელიც, რომელმაც პლატონის აზრთა მსვლელობის ყველა მისახვევ-მოსახვევი კარგად იცოდა). პლატონი ხვდება, რომ „არსის“ ეს დროებითი გარკვეულობა არ შეიძლება მომდინარეობდეს „არსის“ პარმენიდესეულად დადგენილი გაურკვეველობიდან. ასე გაგებული „არსი“ განძარჩულია ნიშან-თვისებებისგან, მრავალფეროვნებისგან და საერთოდ სიმრავლისგან. მაშადასმე, „არსთა“ მატერიალურ გარემომცველობაში, რომელსაც ემპირიულად აღვიქვავთ, გარკვეულობა უნდა შეჰქონდეს რაღაც სხვას და სწორედ ამ „რაღაც სხვის“, „არსისგან“ განსხვავებულის აღსანიშნად შემოაქვს პლატონს „იდეა“. „იდეა“ მარადიული გარკვეულობის მატონეა, სრულია... „არსთა“ ემპირიულად დაკვირვებად, წარმავალ სიმრავლეს აჩრდილივით ფეხდაფეხ დაჰყვება რაღაც მარადიული. ეს უკანასკნელი ემპირიული თვალთ არ დაინახვება, მსგავსად „არსისა“, მაგრამ „არსთა“ დანახვა-დაკვირვებისას მოიაზრება.

პლატონს ამგვარი სპეკულაციისთვის შესანიშნავ მასალას აძლევს გეომეტრია, რომელსაც პლატონი დიდ პატივს მიაგებდა. ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ და გამოვხატოთ დაფაზე ნებისმიერი ზომის წრე, თუმცა კი ვიცით, რომ წრე როგორც ასეთი, როგორც გეომეტრიული ფიგურა, ბუნებაში არ არსებობს. მაშ რას წარმოვიდგენთ და ვხაზავთ? ჩვენს წარმოდგენას საფუძვლად უდევს წრის განსაზღვრება, რომელიც ეკკლიდური გეომეტრიის სისტემაში ჭეშმარიტია – „წრე არის გეომეტრიული ფიგურა, რომლის ყოველი წერტილი თანაბარი მანძილითაა და შორებული მისი ცენტრისგან“. ეს დებულება გვიქმნის პირობით წარმოდგენას იმ ფიგურაზე, რომელსაც თვალსა-

ჩინოებისთვის გამოვსახავთ ხოლმე დაფაზე, თუმცა სრულიად ვაცნობიერებთ იმას ამ დროს, რომ ჩვენს მიერ გამოსახული ფიგურა არაა წრე საერთოდ. წრის განსაზღვრება ისეთი გარკვეულობაა, რომელიც არსებობს არა „არსის“ მსგავსად, არამედ როგორც ყველა შესაძლო დახაზული წრის გარკვეულობის არჩილი, მისი იდეა. ასეთი იდეა-გარკვეულობები, რადგან არ გვხვდებიან აშკარად ამ სამყაროში, უნდა არსებობდნენ „გონით სანვდომ“ სამყაროში. ეს იდეა-არსება ერთია ყველა ზომის წრისთვის, ყველა მათგანის „პირველ-ხატია“, ყველა მასთანაა „ნაზიარები“. ოღონდ ერთი კია, გეომეტრია არაა ყველა მიმართულებით სამაგალითო. გეომეტრიული ობიექტები, განსხვავებით ემპირიული „არსისგან“, ამ იდეებისგან მარადიულად და ცალსახადაა განსაზღვრული. ემპირიულ „არსს“ იდეასთან მხოლოდ დროებითი ნათესაობა აკავშირებს. ამიტომ, იდეა „ჭეშმარიტად“ არსებობს, ხოლო მასთან მხოლოდ „ნაზიარები“ არსი – კი „მოჩვენებითად“.

არისტოტელე ყველაფერში უპირისპირდება თავის მასწავლებელს. ის პირდაპირ აცხადებს თავის „მეტაფიზიკაში“, რომ „არსება“ იდეასავით ერთი კი არაა მრავალი კონკრეტული „არსისთვის“, „თვითოეულს ერთი აქვს“ (ნ.5/თ.14) და, რომ „თვითოეული საგნის არსება არის ის, რასაც ეს საგანი წარმოადგენს“ (ნ.5/თ.17). ამ დებულებებზე დაყრდნობით ის მიდის მისი ფილოსოფიის კარდინალურ დადგენილებაზე – „არსება“ „არსისგან“ მონყვეტილად კი არ უნდა არსებობდეს იდეალურ სამყაროში, არამედ თავად ამ კონკრეტულ „არსში“, „ინდივიდუალურ სუბსტანციაში“ უნდა იყოს მოცემული, რადგან რეალურად მხოლოდ ეს უკანასკნელი არსებობს და სხვა არაფერი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფუძველი ჩვენს მიერ ხსენებული „ტრემინოლოგიური ქაოსისა“ მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტული არსი არისტოტელთან მოიხსენიება ლათინურ „სუბსტანციად“; არადა ეს უკანასკნელი შინაარსობრივად შეესაბამებს „არსებას“. ამიტომ ზემომოყვანილ ტერმინთა ჩამონათვალში ჩვენ ვახსენებთ არა სუბსტანციას, არამედ – „ესენციას“.

„არსი“ როგორც „სუბსტანცია“ არისტოტელე-ლოგიკოსისთვის არის ერთგვარი „ატომი“. მასზე შეიძლება გამოითქვას ყველაფერი, ჭეშმარიტიც და მცდარიც, მაგრამ, თავად ის არაფერზე გამოითქმება – თვისება, მდგომარეობა, რაოდენობა, ადგილი, დრო და სხვა კატეგორიალური განსაზღვრულობები მასთანაა მიმართებაში. თუმცა ამ-

გვარ აბსოლუტურ „ატომარულობას“ ვერ ვხვდებით არისტოტელეს ონტოლოგიაში, რომელზეც მისი ლოგიკისტური მანტიის მოსხმა ინვეს ხსენებულ გაუგებრობებს. ონტოლოგიაში სუბსტანცია იშლება ფორმად და მატერიად – ატომი გახლენილია. ლოგიკაში ჩვენ მასზე ვმსჯელობთ როგორც ქვემარტივზე და მცდარზე, ონტოლოგიაში ეს დაუშვებელია, ასე პლატონი მსჯელობდა „ქვემარტივად“ და „მოჩვენებითად“ არსებულზე. დაუშვებელია მასზე მსჯელობა ასევე როგორც შემთხვევითზე. პირიქით, მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმდენი აზრით რამდენიცაა კატეგორია. კატეგორია კი ფუნდამენტურად აუცილებელს გულისხმობს და არა შემთხვევითს. თუმცა კატეგორიათა არისტოტელისეულ ნუსხაში არის ერთი – **არსების** კატეგორია (**უსია**), რომელზეც ყველაზე „მეტად“ ითქმის, რომ ის არის, არსებობს. სხვა ყველა არსებობს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მეორადად, ჯერ სუბსტანცია და მერე ისინი. კითხვები: „რამსიმალღია?“, „რას განიცდის?“, „სად იმყოფება?“, „როდის არის?“ და ა.შ. შეეხება სუბსტანციას, სუბსტანციით აქვთ ლეგიტიმურობა, მისით განისაზღვრება პასუხები. სულ სხვა ხასიათისაა „არსების“ კატეგორიის კითხვითი ფორმითგამოყენება – „რა არის ის?“. ამ კითხვაზე პასუხი იძლევა „არსის“ განსაზღვრებას და სწორედ ამით ვიგებთ „თუ რაა სუბსტანციის არსება“ (ნ.7/ თ. 2). რა არის ეს? ეს არის ადამიანი, ეს არის ცხენი... ამგვარი პასუხ-განსაზღვრებებით გამოვთქვამთ „არსის“ არსებას.

ფაქტობრივად არისტოტელემ „არსის“ და „არსების“ შუა იგივეობის ნიშანი დასვა და ეს სიმბიოზი „ფორმის“ (ძვ. ბერძნულად „მორფე“) სახელით მონათლა.

საინტერესოა ჟილსონის დამოკიდებულება „ტერმინოლოგიური ქაოსის“ მიზეზებისადმი. კი ბატონო, ყოფიერების მახასიათებლებიდან გამომდინარე, როგორც ძენონი ასკვნის, არ უნდა არსებობდეს არც მოძრაობა და, შესაბამისად, არც ის, რაც მოძრაობს. მაგრამ აშკარაა, რომ ამას ადგილი აქვს ამ სამყაროში. საკითხავია რა სტატუსით აქვს ამ ყველაფერს ადგილი აქ, ამ სამყაროში და სად და რა სტატუსით აქვს ადგილი იმგვარ ყოფიერებას რასაც მიენერება სისრულე, ერთგავაროვნება, უძრაობა და ა.შ.? *პლატონი მთელი თავისი ფილოსოფიურ-შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში ცდილობს განსაზღვროს ე.წ. ონტოს ონ, რომელსაც ლათინურად თარგმნიან როგორც *vere ens*, ხოლო ფრანგულად – როგორც *veritablement etre*,*

ანუ „ჭეშმარიტად არსებული. თუმცა ამ თარგმანებში იკარგება ბერძნულისთვის დამახასიათებელი „ძირის გაორმაგება“, რომელიც შენარჩუნების შემთხვაში მოგვცემდა „რეალურად რეალურს“. „რეალურად რეალურობა“, პლატონის მიხედვით, გულისხმობს „საკუთარ თავად ყოფნის ფლობას“. ანუ ონტოს ონ-ის ფუნდამენტური მახასიათებელია „საგნის იგივეობა საკუთარ თავთან“. ე.ი. ვიღებთ იმ გარდუვალ მიმართებას იგივეობასა და რეალობას შორის, რომელსაც უკვე აკონსტიტუირებდა პარმენიდე... ეს, ერთი შეხედვით, უშინაარსო დახასიათება მაშინვე შეიძენს აზრს, თუ ვიკითხავთ – რას შეიძლება ნიშნავდეს ჩვენთვის „სხვად გახდომა“? თუ ჩვენ აღარ ვიქნებით ის, რაც ვართ? ნებისმიერი არსის საკუთარ თავთან იგივეობის გაუქმება ნიშნავს ამ არსის განადგურებას... მიუხედავად იმისა, რომ ე. ჟილსონი ადექვატურადაა ჩახედული საქმის ვითარებაში, მგონია, რომ მისი ბოლო დებულება მაინც არაა მისაღები ბუკვალურად. მაგ., ემპირიული არსის თვითიგივეობის გაუქმება არ უნდა ნიშნავდეს მაინცა და მაინც მის განადგურებას. ყოველ შემთხვევაში, ლოგიკურად მოაზრებადია ერთი ემპირიული არსის მეორე და ა.შ. არსად გარდაქცევა – მეტამორფოზა, თავი რომ დავანებოთ ამგვარ ფაქტებს ბიოლოგიაში. თუმცა ონტოს ონ-თან მიმართებაში ამგვარი მეტამორფოზის ალტერნატივა მხოლოდ ერთია. თუნდაც ამ ერთი მომენტის გასაგებად, აუცილებელია ისეთი ტერმინების გამიჯვნა და დაზუსტებით ხმარება, როგორიცაა ყოფიერება და არსი. თუ არსი თავისი პირვანდელი იდენტურობის დაკარგვით შეიძლება არ განადგურდეს, არამედ სხვა არსად გარდაისახოს, ყოფიერება, თუ მისი იდენტობის ელიმინირებას მოვახდენთ, გარდაიქცევა არარად. ამდენად ე. ჟილსონის ეს კონკრეტული შენიშვნა მართებულია არა ემპირიულ არსთან, რომელსაც პლატონი მე ონ-ს უწოდებდა, არამედ მხოლოდ ონტოს ონ-თან, ყოფიერებასთან (ამ სიტყვის უმაღლესი ონტოლოგიურ-მეტაფიზიკური გაგებით) მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ყოფიერება აუცილებლობით წარმოგვიდგება ისეთ რამედ, რაც ერთიანია, თვითიგივეობრივია, მარტივია (ანუ არ შედგება ნაწილებისგან – შენ. ჩვენია ი.გ.) და ამორთულია ყოველგვარი ცვალებადობისგან. მაშასადამე, ცვლილება ნიშნავს ყოფნის გაუქმებას და, ამდენად, ყოფიერება სრული უფლებით იწოდება უცვალებლად.

პლატონი სწორედ ამ საკითხს სძენს განსაკუთრებულ ელფერს, რომელიც ტიპიურ დუალისტად წარმოგვიდგება. მართალია, პლატონის სახელის ხსენებაზე მაშინვე გვიჩნდება იდელისტურის ასოციაციები, თუმცა ის ნაკლებადაა იდელისტი „გერმენული იდეალიზმის“ აზრგაგებით. პლატონი როგორც ვიცით აღიარებს ორ რეალობას ე.წ. იდეებსა და ემპირიულად მოცემულ საგნებს. იდეცა და მასთან ნაზიარები გრძნობად-კონკრეტული საგანიც არსებობს არა იმიტომ, რომ იდეას ჩემი გონების თვალი სწვდება, ხოლო გრძნობად საგანს – ჩემი ბიოლოგიური თვალი, არამედ ერთიცა და მეორეც არსებობს ჩემი გონებისგან, და საერთოდ, ჩემგან დამოუკიდებლად. ე.ი. არსიც არსებობს და არსებაც, ოღონდ არსი არსებობს არანამდვილად, მოჩვენებითად, ხოლო არსება იდეალურად – ჭეშმარიტად, ნამდვილად (ეგსისტენცი-ალიზმმა, როგორც ვნახეთ სწორედ ეს გარემოება შეცვალა). ასეთია პლატონის პოზიცია და ამიტომ მოვიხსენიებთ მას დუალისტად და არა იდეალისტად. თუმცა, ახალი დროის ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი იდეალიზმი პლატონის ფილოსოფიაშიცაა მეტ-ნაკლებად გამოსახული. ეს ასპექტი თავს იჩენს იქ სადაც პლატონი ლაპარაკობს ხოლმე იმაზე, მაგალითად, რომ ვინმეს საქციელის, მოქმედების კეთილქმედებად დაკვალიფიცირებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ სიკეთის იდეით. ყველას როდი შეუძლია კომპეტენტური პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. მხოლოდ მას, ვინც გონების თვალთ უკვე წვდომია სიკეთის იდეას, შეუძლია სწორად დააკვალიფიციროს მავანის ქმედება როგორც კეთილქმედება ან ბოროტქმედება. ანუ ემპირიულად დაკვირვებადი მოვლენის ბუნებას განსაზღვრავს იდეების ჭვრეტაში დაბრძენებული ფილოსოფოსის ცნობიერების შუქქვეშ ამ მოვლენის დაყენება, რაც იდეალიზმია.

პლატონი საკითხს ასე აყენებს – **რა არის ნამდვილად არსებული და რა მოჩვენებითად.** მაგალითად, იდეა, ანუ არსება თუ მასთან ნაზიარები ინდივიდუალური საგანი ანუ არსი – კონკრეტული მშვენიერი მანდილოსანი თუ მშვენიერება როგორც ასეთი. პლატონის მიხედვით, იდეა, არსება, მშვენიერება თავის თავად არსებობს ჭეშმარიტად. რის საფუძველზე ვამბობთ რომ არსება არსებობს ჭეშმარიტად ხოლო არსი – არაჭეშმარიტად? ესაა დასადგენი და არა ის, რომ არსი არის და არარსი არ არის. ე.ი. ერთია, რომ რაღაც არის და მეორეა – თუ რაგვარად არის, ან როგორია იმის არსება, რაც არის. (მაგ., დეკარტი, თავისი მეთოდოლოგიური სკეპტიციზმის საფუძველზე ჯერ ადგენს იმას, თუ



რა არის უეჭველად – ასეთია აზროვნება, ცნობიერება, Cogito, ხოლო შემდეგი მედიტაციებისას ადგენს იმას თუ როგორ არსებობს ეს უეჭველად არსებული, როგორია მისი არსება და მას საბოლოოდ წარმოგვიდგენს როგორც ინტელექტუალურ სუბსტანციას). ამდენად, პლატონი სერიოზულ ნაბიჯს დგამს პარმენიდესეულ გზაზე და მთელი ევროპული მეტაფიზიკის სამომავლო სქემას მოხაზავს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პლატონმა მკაფიოდ გამოკვეთა ონტოლოგიურის გნოსეოლოგიურად ან, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ტრანსცენდენტურის იმანენტურით დაფუძნების ტენდენცია, რასაც ჩვენ ვხვდებით ახალი დროის ფილოსოფიაშიც მაგ., დეკარტთან და კანტთან. სხვაგვარ ტენდენციებს (ე.ი. ონტოლოგიურის მხოლოდ ონტოლოგიის ბაზაზე და ფარგლებში დაფუძნებას) მივყავართ ან ვუღვარულ მატერიალიზმთან, რომელიც დოგმატიზმის ერთერთი სახესხვაობაა და რომელიც მატერიალურს აცხადებს ყველაფრის არსებობის დამოუკიდებელ საფუძვლად, ან ჰეგელისეულ ობიექტურ იდეალიზმამდე, რომელიც ყველაფერს – აზრისეულსაცა და მატერიალურსაც – აბსოლუტურ გონზე, ღმერთზე აფუძნებს, ან პლოტინის ნეოპლატონიზმამდე და შემდგომ ჰაიდეგერისეულ და სარტრისეულ ექსისტენციალიზმამდე, რომელიც ყველაფერს თან ყოფიერებაზე და თან მის უარყოფაზე, არარაზე აგებს. პლოტინის ე.წ. „ერთიანი“, რომელიც იმ გონს უსწრებს წინ იერარქიულ შკალაზე უკვე ყოფიერება რომ მიეწერება, ხომ ყოფიერების საწინააღმდეგო ან ყოფიერებამდე-ლია, მას არ ეხება ყოფიერება ანუ მასთან შედარებით არარაა. სარტრის მიხედვით, ცნობიერება ხომ აარარავებს ყველაფერს, რასთანაც კი შეხებაში მოდის? ცნობიერება ყოველივეს გვაცნობიერებინებს არა ისე, როგორც ეს რალაც არის თავისთავად, არამედ ისე, როგორც ის არის ცნობიერებისთვის, ცნობიერების-დაგვარად. ცნობიერება კი არის არა თავის-თავად, არამედ თავის-თვის. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ – ყველაფარი, რაც კი ცნობიერებაში არეკლილა, არეკლილა არაჭეშმარიტად, არანამდვილად. ეს ხდება იმიტომ, რომ თავად ცნობიერებაა რალაც ნაკლოვანი, არანამდვილი, არაბუნებრივი, არა არსისდაგვარი, რომელიც უნაკლოა; ყოველ შემთხვევაში არის გულგრილია საკუთარი ყოფიერების ნაკლოვანება-უნაკლოლობისადმი, მას არ ამოძრავებს, მაგ., სურვილები როგორც ეს ახასიათებს ყოფიერებას თავისთვის, რაც ამ უკანასკნელის ნაკლოვანების დამადასტურებე-

ლია. ის, რასაც მიეწერება ყოფნა თავისთავად უნაკლოა იმ გაგებითაც, რომ მას არ გააჩნია საჭიროება საკუთარი ყოფიერების დაფუძნებისა, ის ამის მიმართ ინდეფერენტულია. თავის-თავის მყოფი ცნობიერებასკი, რომელიც სურვილების ტყვეა, პირიქით, უპირველეს ყოვლისა, ამოძრავებს იმ ყოფიერების დაფუძნება რომელშიც ის იმყოფება და რომელიც თვითონ არის. მისი ნაკლოვანობა შეიძლება გამოეთქვათ ასეც – **ის არასოდეს ემთხვევა თავის თავს**; ამას გულისხმობს სარტრისეული დებულება, რომ – ადამიანი არის საკუთარი თავის პროექტი, რომელიც ჩვეულებრივ არ რეალიზდება, ანუ ის არასოდეს არის ის, რაც არის არსების მიხედვით. ის ყოველთვის არის ისე, რომ მისი არსება ყოველთვის მერე უნდა მოსდევდეს მას. მისი არსება, რომ წინასწარ იყოს დადგენილი, მაშინ ის მის არსს, არსებობას დაემთხვეოდა და ის იქნებოდა არა ყოფიერება თავის-თავის, არამედ ყოფიერება თავის-თავად. არაჭეშმარიტი და არანამდვილი კი, პლატონიდან მოყოლებული, მიიჩნევა მოჩვენებით-არსებულად, ან ნამდვილობას მოკლებულ არსებულად.

დაახლოებით იგივე ლოგიკურ ხაზს ვხვდებით ჰაიდეგერთანაც, რომელიც გვეუბნება, რომ ონტიურად, ანუ ჩვეულებრივი, ყოველდღიური არსებობის დონეზე Dasein-ი არის ის, რაც ის არ არის თავის ნამდვილობაში (ანუ ონტოლოგიურ დონეზე). ის ყოველთვის თავს გვიჩვენებს იმად, რაც ის არ არის. ეს სხვა არაფერია, თუ არა საწყისი, პარმენიდესეული ხაზის თავდაყირა დაყენება – **არარსი არის და არსი არ არის**.

\*\*\*

ძალზე მნიშვნელოვანია არსის კატეგორიული შინაარსის გაგებისთვის არარსის შინაარსობრივი მხარის ნათელყოფაც. ჩვენის აზრით, არარსი, არარსებული ლოგიკურად წინააღმდეგობრივი ცნებაა. როცა ჩვენ ვაცხადებთ – არ არის, არ არსებობს, არარსი... – ვგულისხმობთ ან იმას, რომ 1. არაფერი არ არსებობს, ან იმას, რომ 2. რაიმე კონკრეტული არ არსებობს. აქედან ორივე ალტერნატივა ალოგიკურია თავისი ბუნებით. პირველ შემთხვევაში, თუ არაფერი არ არსებობს, მაშინ ვინ აცხადებს იმას, რომ არაფერი არ არსებობს. ვინც ამას აცხადებს ის ხომ არსებობს?

მეორე შემთხვევაში, თქვენ უნდა გამოთქვათ და აღწეროთ ის კონკრეტული რამ, რაზეც ამბობთ, რომ არ არსებობს. სხვამ ხომ უნდა

გაიგოს, რაზე ამბობთ, რომ არ არსებობს. თუ თქვენ ამ აღწერილობას იძლევიტ, მაშინ ის სულ მცირე თქვენს წარმოდგენასა და ფანტზიაში მაინც არსებობს. თუ ჩვენ ვამბობთ, მაგ., რომ სირინოზი არ არსებობს, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ის არ არსებობს ემპირიულად, მატერიალურ-ფიზიკური მოცემულობის სახით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ სირინოზის ქანდაკება დგას დანიამი ერთერთ სანაპიროზე დიდი მეზღაპრის, ჰ.ქ. ანდერსენისა და მისი ცნობილი ზღაპრის გმირის უკვდავსაყოფად). მაგრამ, სირინოზის ხატება, როგორც ორი ცნების სინთეზით – ქალიშვილი და თევზი – წარმოშობილი მენტალურ-ნაქრმოსახვითი მოცემულობა არსებობს ჩვენს გონებაში, ანდერსენის ზღაპარსა თუ სხვა წიგნებში, მულტფილმებსა და ნახატებში და ა.შ. ანუ სირინოზი არ არსებობს მხოლოდ რალაც გაგებით და არა საერთოდ. ან რაც იგივეა, სირინოზი არსებობს უამრავი გაგებით, მაგრამ არა ბიო-ფიზიკურ-მატერიალურად (თუმცა გენო-ინჟინერიის ეპოქაში არც ეს უკანასკნელია გამორიცხული).

არარსი, არ არსებობა – მხოლოდ იმასთან მიმართებაშია ლოგიკური და საზრისიანი, რაც არსებულის არსებობას (რაიმე ერთი ფორმით მაინც) აძლევს დასტურს. ესაა ცნობიერება, გნებავე – გონება, გონი. მართალია, ცნობიერება გონის ბუნებას მთლიანად არ ამოწურავს, გონი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ცნობიერება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი გონება იქნება ეს თუ ჰეგელის აბსოლუტური გონი, ცნობიერების ნიშნის გარეშე ის უბრალო ბუნებრივ სტიქიაზე აღმატებული არაფრით არ არის. გონება ცნობიერების გარეშე ესაა შოპენჰაუერისეული ბრმა და უაზრო ლტოლვა არსებობისა და სიცოცხლისა, არსებობის **ნება**, რომელიც თავის არსებობას ვერანაირ საზრისს (ანუ არსებობის გამართლებას) ვერ უძებნის – **უბრალოდ მინდა ვიყო და მორჩა**-ს გარდა.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ცნობიერებასთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ის არ არსებობს, თუ ის მართლა არ არსებობს. წარმოვიდგინოთ შესაძლო სამყარო, თუნდაც მხოლოდ ისეთი გონიერი არსებებით დასახლებული, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ არაცნობიერი, ამ სიტყვის ფსიქონალიზური გაგებით. ანუ არ არსებობს არცერთი ფსიქონალიტიკოსი, რომელიც ფსიქონალიზური კურსის ჩატარებით ამ არსებებს გააცნობიერებინებდა თავიანთი კომპლექსებისა და ფსიქიური პრობლემების ნამდვილ მიზეზებს, ანუ სამზეოზე

გამოიტანდა არაცნობიერის შინაარსებს და დააყენებდა ცნობიერების შუქ ქვეშ. ასეთ შემთხვევაში, ვინ გასცემდა დასტურს რაიმეს არსებობაზე (არსებობის რა ფორმაზეც გინდა იყოს საუბარი)? მხოლოდ ასეთ სამყაროში აქვს აზრი იმის განცხადებას, რომ – რალაც არ არსებობს. კერძოდ კი არ არსებობს ცნობიერება. მაგრამ, ეს თუ ვინმეს შუუძლია განაცხადოს, მას უნდა ჰქონდეს ცნობიერება. ამდენად მივედით ისეთ წრემდე, რომელიც არაა მანკიერი, არამედ არის აუცილებელი. ამ აუცილებლობაში იგულისხმება ის, რომ ცნობიერება და მხოლოდ ის, არის არსებობის დასტური, რომ ყველაფერი არსებობს მასში ან მასთან მიმართებაში, რომ ცნობიერებისთვის, მისი სახეზე ყოფნის შემთხვევაში, არარსებობა უაზრო და ალოგიკურია.

**თუ არსებობს ცნობიერება არსებობს ყველაფერი რასთანაც მას რაიმენაირი ინტენცია შეიძლება ჰქონდეს, და თუ არ არსებობს ცნობიერება, მაშინ არ არსებობს ცნობიერება.**

ამდენად, ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ სარტიკულ პოზიციას, რომლის თანახმადაც არ არსებობს ე.წ. არაცნობიერი ფსიქონალიტიკური გაგებით (რომელიც მხოლოდ ფსიქონალიტიკოსს გამოჰყავს სააშკარაოზე), მაგრამ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით მას იმაში, რომ ცნობიერება ყველაფერს აარარავებს. პირიქით, სწორედ ცნობიერება გვესახება არსებობის დამადასტურებელ ერთადერთ ინსტანციად.

თავის მხრივ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ე.წ. „ვულგარული მატერიალიზმი“, რომელიც ყოველგვარი მეცნიერული ღირსების გარეშე აცხადებს 1. მატერიას გონებასა თუ ცნობიერებაზე ადრე და მარადიულად არსებულად, ანუ ცნობიერებას მატერიის განვითარებას რალაც ეტაპზე მატერიისგან წარმოშობილად; 2. მატერიალიზმს წმინდა საბუნებისმეტყველო, მეცნიერულ მსოფლმხედველობად.

საიდან უნდა დადგინდეს, რაგვარი დაკვირვებითა თუ ექსპერიმენტით, მეცნიერულად, რომ მატერია არსებობს უწინარესად. მის არსებობას ვერავინ ვერ სცნობს და აღიარებს. არ არსებობს ასეთი მალე-არებელი ინსტანცია. ანუ, მატერია არავისთვის არ არსებობს, მათ შორის არც ემპირიული მოცემულობის ფორმით, რაც ერთერთი უმთავრესი კრიტერიუმია სციენტისთვის. ეს პოზიცია არაფრით არ განსხვავდება რელიგიური მრწამსის მქონე ანთროპოსის პოზიციისგან, რომელსაც გულწრფელად სწამს, რომ ღმერთი არსებობს უწინარესად

და რომ მისგან არს ყოველივე. მატერიალისტს თავისი პოზიციის დასტურად მხოლოდ რწმენა გააჩნია და მეტი არაფერი.

მატერიალისტის პოზიციის ჩამოყალიბებისას ხაზგასმით აღვნიშნეთ ცნება „განვითარება“ და „მარადიული“. არავითარი ლოგიკურ-ფილოსოფიური განათლება არაა საჭირო იმის ინტუიციურად მიხვედრისთვის, რომ ეს ორი ცნება ვერ ეთავსება ერთმანეთს. აღიარებდნენ მატერიას მარადიულ და თან განვითარებად რამედ, ესაა ან ხუმტური და აკვიატება, ან უღირსი ზრახვებით ფარული მიზნების მიღწევის ფანდი... მარდისობა არ საჭიროებს არავითარ განვითარებას. განვითარება ნიშნავს იმის რაღაც სანყისი, პრიმიტიული მდგომარეობიდან, ათვლის წერტილიდან სვლას, რის განვითარებაზეცაა საუბარი, რაღაც საბოლოო, დამაგვირგვინებელ წერტილამდე, ე.ი. დასაწყისსა და დასასრულს. მარდისობას არ გააჩნია არავითარი დასაწყისი და დასასრული. ამდენად მის განვითარებაზე საუბარი აბსურდია.

აი ასეთ აბსურდულ გარემოებებს ეხდება ფარდა სციენტისმიმის დროშას ამოფარებული მატერიალიზმის (და გნებავთ ემპირიზმისა თუ პოზიტივიზმის) ზედაპირული კრიტიკისას. მეცნიერება ან უნდა ზრუნავდეს მის მიერ აგებულ მსოფლმხედველობრივ სურათში აბსურდული გარემოებების გამოორიცხვაზე, და თავს შორს იჭერდეს სციენტისტური განწყობის მქონე „ფილოსოფოსებისგან“ ან საერთოდ არ უნდა ცდილობდეს მსოფლმხედველობრივი სურათის აგებას, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ ამ სურათში ბევრი არაა აშკარად დაკვირვებადი, არავერიფიცირებადი რამ ხვდება, რაც მეცნიერულობის კრეტერიუმების ლალატად წარმოგვიდგება.

\*\*\*

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ფილოსოფიის ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვუნოდეთ ონტოლოგიურის გნოსეოლოგიურით ან, უფრო ზუსტად, ტრანსცენდენტურის იმანენტურით დაფუძნების მცდელობა. რამდენადაც ცნობიერებას ვალიარებთ ისეთ რაიმედ, რომლის ბუნებაც არსებობის (რისი და რა ფორმით არსებობაზეც არ უნდა იყოს საუბარი) აღიარებაში, დამონებაში, დადასტურებაში მდგომარეობს, ამდენად, ცხადია, რომ სახეზე ვიღებთ გაცნობიერების პროდუქტებს, მოცემულობებს, როგორც ასე თუ ისე არსებულებს. რაიმეზე არსებობის დასტურის გაცემა უკვე ცოდნაა. ცოდნა შემეცნების ნაყოფია. ცნობიერე-

ბის მიერ რაიმეს არსებობის დამონმება უკვე შემეცნებაა, შემეცნების დასაწყისია თანაც აუცილებელი დასაწყისი. მის გარეშე შემეცნება ვერ აკრიფავს თავის ოპტიმალურ სიჩქარეს. ცხადია, შემეცნება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე შემეცნების საგნის არსებობის დამონმებაა, მაგრამ ამის გარეშე ვრანაირი შემეცნება ვერ აიღებს სტარტს.

შემეცნება, რომელიც იძლევა ცოდნას, წარმოუდგენელია შემეცნების საგნის გარეშე (რომლის არსებობის დადასტურებასაც იძლევა ცნობიერება იმის ძალით, რომ შემეცნების საგანი მოცემულია ცნობიერებისთვის ამა თუ იმ ონტოლოგიური სტატუსით მაინც – ფიზიკურ-მატერიალურით, ფსიქიურით, კატეგორიულით, წარმოსახვითით, ვირტუალურით...), მაშინაც კი, როცა საქმე ეხება გნოსეოლოგიას; ამ უკანასკნელის შემთხვევაში შემეცნების საგანი თავად შემეცნებაა, რომელიც, მართალია, სულ სხვა რანგის, მაგრამ მაინც საგანია. შემეცნება იმიტომაც შემეცნება, რომ რალაცას იმეცნებს (სხვა საკითხია, თუ რისი, როგორ, რა გზითა და მეთოდით ხდება შემეცნება). **ეს რაღაცაა** შემეცნების საგანი, ანუ შემეცნების მოუცილებელი ატრიბუტი. **შემეცნების ცნება** აუცილებლობით გულისხმობს **შემეცნების საგანსაც**. თუ შემეცნების საგანი არ გვაქვს, მაშინ არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ის, რაც ხდება, რაზეც მივუთითებთ, არის შემეცნება. გნოსეოლოგიის შემთხვევაში შემეცნების საგანი (ანუ შემეცნება) და ამ საგნის შემეცნება ერთმანეთს ემთხვევა. რაც, მაგ., ჰეგელს აბსურდად მიაჩნდა.

ამდენად, მართებულია თქმა იმისა, რომ:

1. შემეცნება **არის**? ე.ი. საგანიც **არის**.
2. შემეცნება **არის** საგნის შემეცნება.

პირველი შემთხვევა იქნება იმპლიკაცია: თუ A მაშინ B, ხოლო მეორე – A არის B.

ამ ორ წინადადებაში **არის**-ი სხვადასხვა დატვირთვით იხმარება; პირველ მათგანში მას ონტოლოგიური დატვირთვა აქვს – ანუ გარკვეული პირობის შემთხვევაში რალაცის არსებობას ადასტურებს, მეორეში კი – ლოგიკური, ანუ რალაცას მიაწერს გარკვეულ ნიშანთვისებას – **A არის B**. ე.ი. პირველში ადგილი აქვს ეგზისტენციალურ **არის**-ს, მეორეში – **არის**-ს როგორც **კოპულას**.

ონტოლოგიური **არის**-ი რასაც მოიცავს თავის დაფარვის არეში, არაა მხოლოდ და აუცილებლად დროულ-ვრცობილი ან ობიექტურ-

რეალური იმ გაგებით, როგორც ეს ცნებანი ესმის ე.წ. პოზიტიურ მეცნიერებას. შემეცნების საგანი გნოსეოლოგიაში, ანუ შემეცნება როგორც გონითი აქტი, არ არის ისეთივენაირად, როგორც არის მაგ., ფიზიკის, ბიოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის და ა.შ. საგანი; შემეცნება საერთოდ არ არის საგანი, ანუ რაღაც სივრცობრივი, მასის, სიმკვრივის და სხვა ფიზიკური თვისებების მქონე.

მართალია, შემეცნებაც არის, როცა საქმე ეხება საგნის შემეცნებას, მაგრამ არა ისეთივენაირად არის, როგორც, მაგ., აი ეს კონკრეტული ქვა. ანუ, შემეცნების საგანი, როგორც კონკრეტული მოცემულობა არის არა აუცილებლად ისე, როგორც არის მისი შემეცნება. მათი ონტოლოგიური სტატუსი შეიძლება განსხვავებული იყოს.

არის, მაგ., „ფეხბურთიც“ როგორც ასეთი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს აი ამ კონკრეტულ საფეხბურთო მატჩს. ე.ი. ფეხბურთიც არ არის ისეთივენაირად, როგორც არის აი ეს ქვა. ფეხბურთიცა და შემეცნებაც, რა თქმა უნდა, ხდება აი ამ ადგილას და აი ამ დროს, მაგრამ ფეხბურთი და შემეცნება არც აი ამ ადგილას ძვეს როგორც, მაგ., ძვეს აი ეს ქვა და არც დროის რომელიმე საწყის ერთეულშია ამომწურავად ფიქსირებული.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ჩამონათვალის სახით ჩავწეროთ შემეცნების საგანთა ყოფიერებითი რეგიონები, გნებავთ ყოფიერებითი სტატუსები: 1. ფიზიკური ობიექტები; 2. ბიოლოგიური ობიექტები; 3. კულტურულ-ისტორიული ობიექტები და მოვლენები; 4. მეტაფიზიკური ობიექტები და მოვლენები.

(1)-ი და (2)-ე ტიპის ობიექტები მოცემულნი არიან სივრცესა და დროში, (3)-ე ტიპის ობიექტებიც, მაგ., ქანდაკება, ლიტერატურული ნაწარმოები და ა.შ. გაქრკვეული სახით მოცემულნი არიან სივრცესა და დროში; რაც შეეხება მოვლენებს, ისტორიო-კულტურულ მოვლენებს, მაგ., დიდგორის ბრძოლა ან პუნიკური ომები, თეატრალური წარმოდგენები ძველ საბერძნეთში და ა.შ. მოცემულნი იყვნენ დროსა და სივრცეში. (4)-ე ტიპის ობიექტები, მაგ., შემეცნება, სინდისის ქენჯნა (იგივე ცნობიერება სიკეთისა და ბოროტებისა), მუზა ანუ კრეატიული შთაგონება, სიყვარული, სულიერ-გონითი განზომილების ინტიმურ-იმანენტური საუბარი საკუთარ თავთან (იგივე ფიქრი და სიზმარი) და ა.შ. შეიძლება მიმდინარეობს დროში, მაგრამ არა ფიზიკურ

დროში (ეს ცალკე საკითხია), მაგარამ ისინი არც არიან დარც ყოფილან მოცემული სივრცეში.

ე.ი. შემეცნება, რის შემეცნებასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, ყოველთვის **არის** არამატერიალურ-ობიექტურად, მისი საგანი კი შეიძლება იყოს როგორც მატერიალურ-ობიექტურად ისე არამატერიალურ-ობიექტურად. არამატერიალურ-ობიექტურად **არის** ის, მაგ., მაშინ, როცა საქმე ეხება შემეცნების შემეცნებას – გნოსეოლოგიას. ეს, რომ უდიდესი სიძნელეების წინაშე გვაყენებს, დიდი ხანია შეამჩნიეს ფილოსოფოსებმა. კანტის შემხედვარე ჰეგელი ამბობდა, რომ კანტს სურს ცურვის სწავლა ნყალში შეუსვლელად. შემეცნების შემეცნებით შემეცნება, აი წრე, რომელიც გაურღვეველი ჩანს. მე ვიტყვოდი, რომ შემეცნების შემეცნება არის არა რალაც ლოგიკური შემეცნება და პარადოქსი, არამედ მისტიური საიდუმლოება. ეს ჯერ კიდევ პლოტინმა გააცნობიერა მთელი სიგრძე-სიგანით. როცა პლოტინი ამ პროცესს აღწერს მეორე ჰიპოსტაზის – გონის – დონეზე, გვექმნება შთაბეჭდილება რომ გონის ეს გაორება, შემეცნებად და შესამეცნებად, სუბიექტად და ობიექტად, რომელიც ერთდროულადია, შეუძლებელია საერთოდ ადგილის მქონე იყოს ამ სამყაროში, მაგრამ, ის მაინც არის, ის ხდება და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი საერთოდ ხდება, არის სწორედ ეს – თვითშემეცნება. თვითშემეცნება შემეცნებლისა შემეცნებით, ერთი და იგივეს ერთდროულად ყოფნა სუბიექტად და ობიექტად, აი დიადი ფილოსოფიური გამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ სოკრატემ დასახა. ამ ურთულესი ამოცანის დასახვა სოკრატემ კი მოახერხა, მაგრამ მისი წარმატებით, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა ალბათ ვერა. იმიტომაც გაიძახოდა არაფერი ვიციო. და თუ მოახერხა, ეს იყო იმდენად იდეალური მისტიური გამოცდილება, რომლის გადმოცემაც რაციონალურ ენაზე შეუძლებელი აღმოჩნდა და ის სამუდამოდ ჩაიყოლა საფლავში ათენელმა ბრძენმა.

ფეხბურთის შემეცნება, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთიც, მსგავსად შემეცნებისა, **არის** მხოლოდ მაშინ, როცა მიმდინარეობს აი ეს კონკრეტული მატჩი (შემეცნება **არის**, როცა ხდება აი ეს კონკრეტული შემეცნების აქტი), არ გვაყენებს მსგავსი სიძნელეების წინაშე. ეს ასეა იმიტომ, რომ შემეცნება და ფეხბურთი სხვადასხვა არსებია. შემეცნება (აღვნიშნოთ A -თი), ფეხბურთი (აღვნიშნოთ B-თი). შემეცნების შემეცნებისას გვექნება, რომ „**A იმეცნებს A-ს**“, ხოლო ფეხბურთის შემთხვევაში



გვეჩვენება, რომ „**A იმეცნებს B-ეს**“. საქმის ვითარება მეორე ფორმულის მსგავსი იქნება მაშინაც, თუკი ფეხბურთის ადგილას ჩავსვამთ ქვას, ანუ ნებისმიერ ისეთ საგანს, რომელიც, განსხვავებით ფეხბურთისა და მისი მსგავსი რეალებისა, **არის** მატერიალურ-ობიექტურად.

მაშასადამე, **ა რ ი ს**-ი შეიძლება ვთქვათ ფეხბურთზეც, შემეცნებაზეც და აი ამ ქვაზეც, ოღონდ განსხვავებული მოდალური დატვირთვით. ცხადია, აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს **ა რ ი ს**-ი ონტოლოგიური, გნებავთ ეგზისტენციალური გაგებით. ამგვარი დიფერენციაცია რომ დავაფიქსიროთ ქვის **ა რ ი ს**-ს ვუნოდოთ **ფაქტუალურ-ონტოლოგიური**, ხოლო ფეხბურთისა და შემეცნების **ა რ ი ს**-ს **პროცესუალურ-ონტოლოგიური**. პროცესუალურ-ონტოლოგიური რეალობა გულისხმობს ერთ „საგანს“ მაინც ისეთს, რომელიც ონტოლოგიურის სტატუსის გარდა ფლობს გნოსეოლოგიურის სტატუსსაც და ესაა ისეთი არსებული (პროცესუალური), რომელსაც ჩვენ ვუნოდებთ შემეცნებას.

ფაქტუალურ-ონტოლოგიური დატვირთვით ხმარებული **ა რ ი ს**-ი ონტოლოგიურ კონტექსტში ადექვატურობას, ანუ ჭეშმარიტების მნიშვნელობას იძენს აი ამ კონკრეტულ საგანთან კავშირში. ზოგადად თქმა – ქვა **ა რ ი ს**, თუმცა გრამატიკულად აზრიანია, მაგარამ ფაქტუალურად მისი დადასტურება შეუძლებელია. ფაქტუალურ-ონტოლოგიურად **ა რ ი ს** აი ეს ან ის კონკრეტული ქვა და არა **ქვა** როგორც ასეთი. მაშასადამე, ფაქტუალურ-ონტოლოგიური დატვირთვით გამოყენებული **ა რ ი ს**-ი მხოლოდ კერძობით წინადადებაში თუ იქნება ჭეშმარიტების მნიშვნელობის მატარებელი.

თუ ზოგადად ქვის **არის**-ზე მაინც ვისაუბრებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ფაქტუალურ ონტოლოგიურის ფარგლებიდან გავდივართ **კონცეპტუალურ-ონტოლოგიურის** ფარგლებში, რომელიც ონტოლოგიური **ა რ ი ს**-ის კიდევ ერთი მოდალობაა.

## 2.

**არის**-ზე ან არსებობაზე როგორც პრედიკატზე, ე.ი. ონტოლოგიურად, შ. ნუცუბიძის მიხედვით, ლაპარაკი შეიძლება ა) განყენებაში (ანუ ზოგადად, კონცეპტუალურად), როდესაც მსჯელობის საგნად აღებულია ცნება და ბ) კონკრეტულად. იგი ასკვნის, რომ პირველ შემთხვევაში იმთავითვე ცხადია, რომ რეალობა არაა და არც შეიძლება იყოს პრედიკატი. მეორე შემთხვევა კი განსხვავებულია პირველისგან იმით, რომ ამ

შემთხვევაში საუბარი შეეხება აი ამ კონკრეტულ საგანს, რომელიც ინდივიდუალური გარკვეულობის უკვე ქონებით უპირისპირდება და ლახავს, უარყოფს **შესაძლო** (პოტენციურ) არსებობას და განიმტკიცებს **ნამდვილ არსებობას** (აქტუალურს, ფაქტობრივს) (გვ. 211- 212).

მაშ ასე, ლოგიკური დატვირთვით **ა რ ი ს**-ი კოპულაა, ხოლო ონტოლოგიურით – პრედიკატი.ამ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი ფილოსოფიის უძველეს საკითხთა რიგს განეკუთვნება. მთელი სიგრძე-სიგანით მათი კვლევა არისტოტელის სახელს უკავშირდება, მაგრამ თავად არისტოტელის ფილოსოფიაში ის დაკავშირებულია პლატონის იდეათა თეორიის კრიტიკასთან, რომელიც თავად პლატონმა დაიწყო დიალოგ „პარმენიდეში“.

მიუხედავად სხვაობისა, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს შორის, ამკარაა მემკვიდრეობითი კავშირებიც. არისტოტელის ფილოსოფია პლატონის ფილოსოფიის კრიტიკული გაგრძელებაა. ეს კრიტიკა, როგორც ითქვამს, თავად პლატონმა დაიწყო, და იგი შეეხება, უპირველეს ყოვლისა იდეების პრობლემას (რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ცნობილია „უნივერსალიების პრობლემის“ სახელით). საქმე ეხება იდეის არსებობის სტატუსს (ონტოლოგია) და იდეის შემეცნების შესაძლებლობას (ეპისტემოლოგია).

პრობლემა იკვეთება მაგ., მაშინ, როცა საკითხი დგება ასე – ყველა ამქვეყნიურ საგანს გააჩნია იდეა? მაგ., თუ სიმწვანის იდეა არის ის, რაც საერთოა ყველა მწვანე საგნისთვის, ანუ მწვანეობა, მაშინ უნდა ითქვას, რომ თავად სიმწვანის იდეაც უნდა იყოს მწვანე, და როგორც ყველა მწვანე საგანს, მასაც უნდა გააჩნდეს ის საერთო, რომლითაც ყველა მწვანე საგანია ერთმანეთთან დაკავშირებული – მწვანეობა. ე.ი. აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელსა და მწვანე საგნებს უნდა უნდა გააჩნდეთ საერთო იდეა, რომელიც ასევე მწვანე უნდა იყოს და ასე უსასრულოდ.

ამგვარი ტიპის არგუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც „მე-სამე ადამიანის“ არგუმენტი უწოდებს, უკვე პლატონს უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე – აქვს თუ არა იდეა ყველა ამქვეყნიურ საგანს, მაგ., თმას, ტალახს და ა.შ.აქ წინსწრებით უნდა დავაფიქსიროთ შემდეგი: მწვანე, თმა თუ ტალახი განსხვავდება როგორც ონტოლოგიური სტატუსით ისე გარამატიკულითაც. მწვანე არის ზედსართავი სახელი, ხოლო თმა და ტალახი – არსებითი. მწვანე, როგორც ფერი, ობიექტუ-

რად, თავისთავად, დამოუკიდებლად განვითარებული, ფერებად მაღი-ფერენცირებელი, რთული ცენტრალური ნერვული სისტემით მართული გრძნობადი აღქმის ორგანოს არსებობისგან (თვალისგან) დამოუკიდებლად არ არსებობს. ფერი არსებობს თვალისთვის (ოღონდ არა ყველა თვალისთვის), და არა თავისთავად. თმა და ტალახი კი, ან უფრო ზუსტად, ის, რასაც თმასა და ტალახს ვუწოდებთ, არსებობს ჩვენი გრძნობის ორგანოსგან დამოუკიდებლად. თმა და ტალახი იმიტომ კი არ არსებობს რომ მას ხედავს ჩემი თვალი...

ეს ერთი მომენცია, რაზე ხაზგასმაც შეიძლება; მეორე მომენცია ეხება იმას, რომ „მწვანე“ – მსჯელობაში თავისი ბუნებრივი არსით წარმოადგენს პრედიკატს, ხოლო „თმა და ტალახი“ – სუბიექტს. კი ბატონო, შეიძლება გამოვთქვათ მსჯელობა, რომ მაგ., „მწვანე არის ფერი“, და აქ მწვანე აღმოჩნდება სუბიექტის ადგილზე, თუმცა თვალში საცემია, რომ ზედსართავი სახელების დასმა სუბიექტის ადგილზე მსჯელობას ხელოვნურს, არაბუნებრივს, ან ტავტოლოგიურს ხდის და არაფერს იძლევა ცოდნის ზრდის თავალსაზრისით. ფერი რომ წინასწარ ვიცით, თუ რაც არის, იმიტომ ვიცით, თუ რაც არის მწვანე და არა პირიქით. ფერი როგორც ცნება უფრო მაღალ ზოგადობის ხარისხს ატარებს, ვიდრე – მწვანე. ანუ ჩვენ ვიცით ჯერ რალაც უფრო ზოგადი, ხოლო შემდეგ ნაკლებ ზოგადი. თუ არ გამაჩნია ცოდნა ფერის ცნებითი შინაარსის თაობაზე, საიდან მეცოდინება მაშინ, რომ მწვანე ფერია? და ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მე მინახავს მწვანე და არა ფერი. მაგრამ, ცხადია, რომ აქაც ვერაა საქმე მთლად „საათივით“ – მე არსოდეს მინახავს მწვანე როგორც ასეთი, არამედ მინახავს აი ეს კონკრეტული მწვანე მდელო ჩემს სოფელში, აი ეს კონკრეტული ცაცხვის ფოთოლი და ასე შემდეგ. ამგავარი ზოგადობის კლებითი კონკრეტიზაციით, ჩვენ ყოველთვის მივალთ არსებით სახელამდე და დავშორდებით ზედსართავ სახელს, თუ გავანალიზებთ იმ მსჯელობას, რომელშიც მეტნაკლები ზოგადობის ხარისხის მატარებელი ზედსართავი სახელი იქნება დასმული მსჯელობის სუბიექტად.

ზედსართავი სახელების სუბიექტის ადგილზე არალეგიტიმური დასმით ვიღებთ არაჭეშმარიტ, მცდარ, პარადოქსალურ მსჯელობებს, მაგ., „ტკბილი არის ვაშლი“, „ცივი არის თოვლი“ და ა.შ., მაშინ როცა მათი შებრუნების შემთხვევაში ვიღებთ სრულიად მართებულ მსჯელობებს: „ვაშლი არის ტკბილი“, „თოვლი არის ცივი“ და ა.შ.

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ, არაა აუცილებელი, რომ ყველაფერს გააჩნდეს **საკუთარი იდეა**; მაგ., მათ, რაც მოიაზრება ზედსართავ სახელებში, ან მსჯელობის პრედიკატებში – მწვანე, ცივი და ა.შ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არსი შეიძლება იყოს სამი ძირითადი ტიპის: 1. იდეალური ან, თუ გნებავთ, აბსოლუტური; 2. ბუნებრივი, ან, თუ გნებავთ, რელატიური; და 3. ხელოვნური ან, თუ გნებავთ, ანთროპოგენური.

იდეალურ-აბსოლუტურ არსს საკუთარი არსებობისთვის არ სჭირდება არც იდეა და არც მასთან ზიარება. ის არსებობს ყველაფერისგან დამოუკიდებლად. იდეალურ-აბსოლუტური არსის სამყაროს ხიზანია, მაგ., გეომეტრიული ობიექტები (მაგ., წერტილი, ხაზი, სამკუთხედი და ა.შ.), ლოგიკურ-მათემატიკური ობიექტები (მაგ., რაოდენობა, სიმრავლე, იგივეობა, ჭეშმარიტება და მცდარობა), აქსიოლოგიური, ეთიკური თუ ესთეტიკური ობიექტები თუ ღირებულებები (მაგ., სიკეთე, მშვენიერება და ა.შ.).

ბუნებრივ ან რელატიურ ობიექტებს მიეკუთვნება დროულ-სივრცობრივად განსაზღვრული ობიექტები; ყველაფერი ის რაც მატერიალურია და წარმავალია. მათი არსებობის საფუძველი არასოდესაა თავად მათზე დამოკიდებული და ამიტომაც სჭირდებათ მათ ზე-დროულ-ვრცულითან, ანუ აბსოლუტურითან ზიარება, რათა მოიპოვონ წარმავალი არსებობა მაინც. იდეალურითა თუ აბსოლუტურით მათი განსაზღვრულობის საიდუმლოს წვდომა აღემატება მოკვდავი ანთროპოსის სულიერ-გონით შესაძლებლობებს. ეს კავშირ-ზიარება, რომლის თაობაზეც ვასკვნით (მაგ., პლატონი აკეთებს ასეთ დასკვნას) მესამე ტიპის ობიექტების ბუნების ანალოგიიდან გამომდინარე, უნდა მიენერეოს ღვთაებრივ არსებას, რომლის აბსოლუტურ გონშიც მოცემულია პირველი ტიპის ობიექტები და ის განაპირობებს მეორე ტიპის ობიექტების წარმოებას იდეების შესაბამისად.

ეს ანალოგია მომდინარეობს იქედან, რომ მესამე ტიპის ობიექტებს, ხელოვნურ ობიექტებს ანთროპოსი ქმნის საკუთარი, ანთროპული გონების კარნახის ძალით. მას გააჩნია თავისი გონითი ხედვები, რომელთაც ის ასხამს ხორცს ხელოვნებაში, მრენველობაში, კანონებში, სახელმწიფო წყობაში და ა.შ. ამ ტიპის ობიექტებს არ შეუძლიათ არსებობა ანთროპული გონების მიერ „დანახული“, მოაზრებული

იდეა-პროექტებისგან დამოუკიდებლად, ისინი მათი ხორცშესხმანი არიან.

თვისებები ანუ პრედიკატები (ზედსართავი სახელებით გადმოცემული ნიშნები) ახასიათებთ მხოლოდ მეორე და მესამე ტიპის ობიექტებს. პირველი ტიპის ობიექტებისთვის თვისებების მიწერა ან მათში ამ თვისებების ამოკითხვა ფუჭი წამოწყებაა – ნერტილი, სამკუთხედი, სიმრავლე თუ იგივეობა არც მწვანეა და არც ცივი.

ამდაგვარ კრიტიკას აწარმოებდა პლატონიც, მაგრამ არისტოტელე იდეას უფრო განიხილავდა როგორც ცნებას, რომელთანაც შეიძლება მივიდეთ კერძო, ერთგვარი საგნებისგან აბსტრაქციონის გზით, მათი საერთო, იგივეობრივი ნიშნის გამოყოფით. ანუ ქვევიდან ზევით. მაშინ როცა პლატონი „მოძრაობდა“ პირუკუ – ზევიდან ქვევით, იდეიდან საგნებისკენ. პლატონის მიხედვით, საგანთა ერთგვაროვნების ძიება და საერთოს დანახვა შეუძლებელია, თუ იდეას უკვე არ ვართ ნაზიარები როგორღაც. მაგ., იგივეობა, როგორც ასეთი, არ არსებობს მსგავსად ბალახისა, ფოთლისა, ხაფისა და ა.შ. ამ უკანასკნელთაგან აბსტრაქციონით კი მივალთ სიმწვანის ცნებამდე, მაგრამ, როგორ მივალთ იგივეობის ცნებამდე (ან იდეამდე). ამიტომ, პლატონის აზრით, ხდება პირიქით – იგივეობის იდეა რომ არსებობს და მე, როგორც გონიერი არსება როგორღაც ვხედავ მას გონების თვალთ, ნაზიარები ვარ მასთან, იმიტომ შემიძლია იგივეობრივის დანახვა ბალახში, ფოთოლსა თუ ხაფსში.

იგივეობის, ტოლობის თუ სხვა მათემატიკური ობიექტების თაობაზე ამგვარ მსჯელობებს პლატონი გამოთქვამდა ჯერ კიდევ „ფედონში“ და მას არავითარი ეჭვი და მერყეობა არ ეტყობოდა. „პარმენიდეშიც“, სანამ ის მთელ თავის დიალექტიკურ მსჯელობათა ციკლს არ გადმოღვრის ისეთ მათემატიკურ ობიექტთან დაკავშირებით, როგორიცაა რიცხვი, კერძოდ კი „ერთი“ და „სიმრავლე“, ეს მერყეობა არ ჩანს – სოკრატე თავდაჯერებულად პასუხობს, რომ მათემატიკური ობიექტებისთვის არსებობს იდეები. იგივე თავდაჯერებულობა იგრძნობა როცა მას იგივეს ეკითხებიან მშვენიერებისა და სიკეთის თაობაზე (უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელნიც არ არსებობენ მსგავსად ბალახისა, ფოთლებისა და ხაფისისა).

მაგრამ, მიდგება რა საქმე ტალახსა და თმაზე, ეს თავდაჯერებულობა ქრება. რატომ, რაშია საქმე? საქმე იმაშია, ალბათ (და ეს

ერთ-ერთი ინტერპრეტაცია), რომ თმაცა და ტალახიც არსებობს ისე, როგორც ბალახი, ფოთოლი და ხავსი. ჩვენ შეგვიძლია ერმანეთს შევადაროთ ბავშვის, ქალის, კაცის, ცხენის, მაიმუნის და ა.შ. თმა და დავადგინოთ ის აბსტრაქტული ცნება, რომლის შინაარსშიც მოცემული იქნება მათთვის საერთო.

ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პლატონის მხარესაა სიმართლე მაშინ, როცა საქმე ენება აბსტრაქტულ ობიექტებს (იგივეობას, ტოლობას, სიკეთეს, მშვენიერებას თუ ჭკმმარიტებას) და მათ შესაბამის იდეებს. აბსტრაქტულ ობიექტებს ახასიათებთ მხოლოდ იდეალური არსებობა, ანუ ისინი თავად არიან იდეები და მათ მიმართ იმის კითხვა – გააჩნიათ თუ არა მათ იდეა არამართებულია. მსგავსი იდეებით ხელმძღვანელობენ გონების თვალთ დაჯილდოვებული ადამიანები.

რაც შეეხება თმასა და ტალახს, ფოთოლსა თუ ბალახს, ესენი კონკრეტული საგნებია და მათ, არისტოტელეს თქმისა არ იყოს აქვთ რალაც იგივეობრივი ნიშნები, რომელთა ამოკითხვის საშუალებასაც გვაძლევენ იდეები. ამ ამოკითხულს, ანუ იგივეობრივს, მაგ., სიმწვანეს ჩვენ ვაერთიანებთ ცნებაში. ცნება ჩვენი გონითი მოქმედების შედეგია და ის არაა იდეა, რომელიც ჩვენი გონის მოქმედების ბაზისი და მაორიენტირებელია.

გამომდინარე აქედან, არისტოტელე მართალია მხოლოდ იმ საგნებთან მიმართებაში, რომელნიც ემპირიულად გვეძლევიან. მათთვის არ არსებობს იდეები იგივენაირად, როგორც მაგ., მართკუთხა და ტოლგვერდა სამკუთხედისთვის არსებობს სამკუთხედის როგორც ასეთის იდეა.

---

**Irakli Gogichadze** – Master of Philosophy, the author of numerous articles in theoretical philosophy field, mostly on philosophical anthropology. He also manages first Georgian philosophical website [www.philosophya.ge](http://www.philosophya.ge).

---

## **Entity and Consciousness**

### **Abstract**

In this article, we first wanted to develop our view about the criticism of The Theory of Forms, which was given rise to by Plato in the dialogue "Parmenides", and later by Aristotle. In medieval philosophy, it was called the problem of "universals".

Our undertaking was complicated by familiarization with relevant literature. It became necessary to discuss those doctrines from the history of philosophy and to define the terminological apparatus, that has touched the so-called "Problem of Being" – Parmenides, Plato, Aristotle, Plotinus, Thomas Aquinas, Hegel, Heidegger, Sartre... It is impossible to fully analyze the metaphysics of all of them within the framework of one article, but when discussing the "Problem of Existence", we had to refer to them in one way or another. As a result, an impenetrable jungle surrounded by "terminological chaos" unfolded in front of us and a rather large part of the article was devoted to clarification and sorting of it.

The history of discussion of this topic is almost the entire history of philosophy itself. This history can be reduced to one question – what is? what exists? The first person who tried to answer this question thoroughly was Parmenides, who concluded that "whatever is, and what is not cannot be." He and his disciple, Zeno, found out what "essence" is through logical analysis, and in this sense left a remarkable legacy to Plato and Aristotle. However, the entire terminological arsenal – essence, idea, being, absolute, presence, cogito, mind, transcendental, immanent, a priori, existence and many others – with which we are armed today in the study of the "Problem of Existence" was not created with one stroke. This was done by the philosophers we listed at the expense of criticizing the legacy of their predecessors. This led to the enrichment of the content of old terms and the establishment of new terms, which gave us a modern picture, that is closer to us and more understandable, to envision these issues. This makes it difficult to understand old theories and categories. We have tried to clarify all of this and left it to the readers to judge. We expect competent remarks from them.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებამ.*

---

**მანანა ჩიტეიშვილი** – ფილოსოფიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მუშაობს რელიგიისა და ხელოვნების, რელიგიისა და ეთიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს ნიშნები: „რელიგიის ისტორიის საკითხები“ (ქუთაისი, 2004); „ქართული ქრისტიანული ხელოვნების საკითხები“ (ქუთაისი, 2005); „ეთიკის საფუძვლები ბიზნესისათვის“ (ქუთაისი, 2008); „ტაძრის ეგზისტენციალური და რელიგიური ასპექტები“ (ქუთაისი, 2013); „ხელოვნების ფილოსოფიის პრობლემები“ (ქუთაისი, 2017); ავტორია ფილოსოფიის პრობლემებზე სამეცნიერო სტატიების.

---

## **ტაძრული ცნობიერების ლოგიკა და არისტოტელეს ტოპიკა**

კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ტაძრის სწორი გაგება, მასში (ტაძარში) შესვლის წესების განუხრელი დაცვა, კერძოდ, ტაძარში სწორად შესვლა და ცოდნა, იქედან სწორად აღმოსვლის. დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა, მასალის ანალიზისა და აღწერის სპეციალური მეთოდის გამოყენება, რომელიც ეყრდნობა არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებულ კანონს, ნივთების ტოპოლოგიური ურთიერთქმედების შესახებ. არისტოტელეს თანახმად, ტოპოლოგია, როგორც დიალექტიკური მეთოდი, ყოველივე ცოდნის პირველწყაროს შემეცნების ხერხია“ (1:377).

ა. ლოსევი, ახასიათებს რა ტოპოლოგიურ მეთოდს, ამტკიცებს, რომ ტოპოლოგია „დარწმუნების მეცნიერებაა“ (3:258). სიტყვა *Topos*, რაც ნიშნავს („ზოგადი“) ადგილს, გამოიყენება იმათ მიმართ, რაც ასე თუ ისე, დანიშნულია და დანიშნულია ლოგიკურ კავშირში რაიმე სხვასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტოპ“ არის ერთგვარი მიმართულება, ზოგადი გზავნილი, იმ ურთიერთობის გასარკვევად, თუ რაზეა საუბარი. ტოპოსი შეიძლება იყოს ცალკეული რეალია (ნივთი, ფაქტი, მოვლენა, ცნება, მოტივი, სიუჟეტი და ა.შ.).

ტოპოლოგიას შეიძლება შემეცნების აქსიოლოგიური მეთოდი ვუნოდოთ. სწორედ ტოპოლოგიური გავრცელების ლოგიკა გვაძლევს საშუალებას, რეალურად ვიმსჯელოთ მხატვრული გამოთქმის ანცობის წესებსა და შესაძლებლობებზე, იქნება ეს ლიტერატურული ნაწარმოებები, თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ტრაქტატი და ა.შ. კულტურის ყველა სფეროში. ტოპოლოგიური გავრცობის ლოგიკა,



უცხო კულტურულ ტრადიციებში, მხატვრული აზროვნების ჩასახვის, გენეზისის, სტრუქტურის შესწავლის საშუალებას გვაძლევს.

აღსანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში, სიტყვა „ტოპოს“-ს, ხანდა-ხან იერუსალიმის ტაძრის მნიშვნელობა ეძლეოდა (მათე, 24:15; იოანე, 11:48; შესაქმეთა, 6:13,14; 7:7; 21:28). ამ შემთხვევაში იგი (ტოპოსი) მოიაზრება, როგორც განსაკუთრებული ტრადიციით გამოყოფილი არქიტექტურული ადგილი, ანუ „წმინდა ადგილი“.

ცნება ტოპოსი წარსულში გამოიყენებოდა ადგილგანლაგების აღსანიშნავად, ანუ სინმინდის ყოფნის მისანიშნებლად. იერუსალიმის ტაძრის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ მას გააჩნია საერთო ადგილის თვისებაც. გამოთქმული თვალსაზრისი, მცირედ ხსნის ცნება ტოპოსის ფართო მნიშვნელობას. ძირითადი და მითითებული მნიშვნელობის გარდა, სიტყვას კიდევ სხვა დატვირთვაც აქვს – დაკრძალვის ადგილი, მაგ., სააღმშენებლო არქიტექტურული თვალსაზრისით, ოთახი სახლში და ა.შ. ფილონ ალექსანდრიელთან ნათქვამია: „Antos hotheos Raleitai topos“ (თვით ღმერთი იწოდება ტოპოსად). მ.ა.შ. ცნება ტოპოსი შესაძლოა გამოდგეს ონტოლოგიური სისრულის მახასიათებლადაც და ტრანსცენდენტურობის უკიდურეს ზღურბლადაც, თვით ღმერთის მნიშვნელობამდე. ამ შემთხვევაში, ტოპოსი და ლოგოსი თანაბარმნიშვნელოვანი არ არიან. თუმცა, ტოპოსი ხსნის ღმერთის შესაძლო აღმოჩენის ადგილს ახლა, ამ მომენტში და ამ აზრით, ტოპოსი არის ლოგოსი. ასე ჩნდება აზრი, ვისაუბროთ არა უბრალოდ ტოპოსზე და ტოპოლოგიურ ლოგიკაზე, არამედ აზრთა ტოპოლოგიურობაზე. აღნიშნული თვალსაზრისი გამოითქვა მ. არკუნის მიერ, როცა მსჯელობა ეხებოდა გამოცხადების რელიგიათა ერთიან წყაროებს.

ტოპოლოგიური აღწერის წესები უცვლელი რჩება ტერმინოლოგიისათვის. მოვიყვანოთ ტოპოლოგიური ლოგოსის გამოყენების შესაძლებლობის მაგალითი ძველი აღთქმიდან, მაგ., მოსეს მიერ სკინიის (მიშკანის) აღმართვის წინა პროცედურა. მოსე ავიდა სინას მთაზე, უფლის დიდების მანათობელ ღრუბლებში, სადაც მას ებოძა სკინიის წინასახეობა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსესათვის ბოძებული გეგმის აღწერა, მიშკანის მორთვისა და მოწყობის შესახებ, გახდა არა მარტო წყარო მისი აღმართვისათვის, არამედ სკინიის (მიშკანის) სახე, იდეა, მისთვის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობაში. შემოქმედებითად ამ ნიშნების ერთობლიობა უდრის თვით მიშკანის იდეას, რო-

გორც ეს ძველი აღთქმისეული ისტორიიდან გამომდინარეობს მიზეზობრივად და ფორმალურად, მისი ზეციური პროტოტიპის განუყოფელია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიშქანის პროტოტიპია მისი აღწერა, რომელიც გადაეცა მოსეს და შემდეგ შეიძინა სოლომონ მეფის იერუსალიმის ტაძრის ვერიფიკაცია. მიშქანი არ იყო ზეციური პროტოტიპის ნიშანი, მაგრამ იყო ტოპოლოგიური.

თუ ტოპიკა არის რიტორიკული კლუტურის მოცემულობა, მაშინ ტოპოლოგიური ლოგიკა აფიქსირებს მხატვრული დისკურსიის გაშლის კანონზომიერებას და წარმოდგება ტოპიკისადმი მიპყრობის, როგორც რიტორიკული, ჰერმენევტიკული ხერხი – თეოლოგების, ფილოსოფოსების, პოეტების, არქიტექტორებისა და მხატვრებისათვის. თუმცა, ბუდიზმის, ქრისტიანობის და ისლამის კულტურები იმის მოწმობაა, რომ ნაციონალური, სულიერი და მხატვრული ღირებულებები იძენდნენ რა ზოგად სტატუსს, ითვისებდნენ წინააღმდეგობით სავსე სხვა კულტურათა სამყაროს. ამ შემთხვევაში, ტოპიკის კლუტურის ცოდნა აშკარად არასაკმარისია. რაც შეეხება სიმბოლოს, ის შემოტანილია გარედან იმისათვის, რომ გავიგოთ ამა თუ იმ მოვლენის არანწინააღმდეგობრივი ბუნება. გრიგორი პალამა მიმართავს იმას, რასაც ჩვენ თემენოლოგიას ვეძახით და განიხილავს სკინიის სიმბოლურ სახესაც. სკინია არ არის სიმბოლო თავისთავად, არამედ წინასახეობის აზრითაა. აქედან გამომდინარე, სიმბოლო საინტერესოა არა თავისთავად, არამედ როგორც დამოუკიდებელი და გამოყოფილი სახე შემდგარი, ტოპოლოგიური დისკურსისათვის. საყურადღებოა ასევე წინასწარმეტყველ მუჰამედის კვერთხი და მისი თემენოლოგიური ასპექტი. კვერთხი, ის ნივთია, რომელიც მკაფიოდ ასოცირდება ტაძართან და უშალოდ ტაძრის ცნობიერების წყაროებთან (მაგ., კვერთხი, როგორც ტაძრისკენ მომლოცველთა გაუნყოფელი ატრიბუტი).

ამა თუ იმ ტოპოლოგიური ფორმებისა და აზრების გარკვევისას ვაწყდებით არსებული ტოპოლოგიური წარმონაქმნების სახელდების აუცილებლობას. ასე წარმოიქმნება ისეთი დეფინიციები, როგორიცაა, ენობრივ-არქიტექტურული კონსტრუქცია, ტაძრის სხეული, ტაძრისეული ცნობიერება და სხვ. „ტაძრისეული“ („ტაძრული“) დაკავშირებულია იმასთან, რაც ასე თუ ისე, ტაძრის ცნებას განეკუთვნება, ხოლო „ცნობიერება“ მოცემულ კონტექსტში, განმარტებას მოითხოვს. ამ მიზნით, გამოვიყენებთ, ყ. დერიდას მსჯელობებს, რომ ცნობიერე-

ბა მოიზარებს თავის თავს, როგორც თავისთავის არსებობას. ამ აზრით, კულტურის გაგება შეიძლება მხოლოდ ტაძრის სუბიექტური გაცნობიერების ნიალიდან და იმ ფარგლებში, რომელიც შექმნილია კატეგორიული მნიშვნელობის სტრუქტურით. ტრადიციულ კულტურებში, აზრის კატეგორიათა ცნება ჩამოყალიბებულია უპირატესად, წმ. წერილებში, მ. ა. შ. ტაძრის იდუმალებაში.

აბრაამისეული ციკლის ყველა კულტურას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ტოპოსების ნაკრები, რომელიც სხვადასხვა ლოგიკურ სტატუსს იძენს (გვარობითი, ან სახეობითი). მაგ., ის, რაც ძველი აღთქმისეული ტაძრული ცნობიერების ნორმებით იყო წამოწეული წინა პლანზე, შესაძლოა, ქრისტიანულ ტაძრულ თეოლოგიაში, მეორე პლანის რეალიად გამხდარიყო, ხოლო ისლამურ თემ-ნოლოგიაში კვლავ აქტუალობა დაებრუნებინა.

ტაძრული ცნობიერება მოიცავს ტაძრის სახეობის მთელ ტოპოლოგიურ წარმოდგენას და აუცილებლად ერთვება ევოლუციური ტოპიკის ჩარჩოებში. ეს უკნანასკნელი ნიშნავს, რომ ტაძრული ცნობიერების ტოპოლოგიური ნიშნები შესაძლოა აღმოვაჩინოთ საკუთრივ, ტაძრიდან შორს, თუმცა, ამავე დროს დარჩეს არსებითად, ტაძრული იდეის მონაწილედ. მაგ., საყოფაცხოვრებო ნივთების კეთება (რაიმედან), საცეცხლური, რომელიც გარეგნულად გუმბათიან ნაგებობას გავს; ხელნაწერი ფურცლის გაფორმება გუმბათიანი არქიტექტურის ნაგებობის ნიშნებით, პოეტური სიტყვის ორგანიზება არქიტექტურული ტოპიკის მსგავსად და ა. შ. აღნიშნული ტაძრის სახეობის მყოფობის კვალია.

საყურადღებოა გონების განვითარება მოსეს მიშკანიდან და ახალაღთქმისეული სკინიდან, მეჩეთამდე. კითხვაზე, რა არის მეჩეთი? პასუხი არა იმდენად ცნებათა სიბრტყეშია, არამედ ფუნქციონალურობისა და შენობის განსაზღვრის ტექნიკურ მახასიათებელში. მეჩეთი, როგორც ცნება, საკრალურია და წარმოადგენს თემის სოციალური და რელიგიური ცხოვრების ცენტრს, გამომდინარეობს სიტყვა მასჯიდ (მეჩეთი) მნიშვნელობიდან. მეჩეთი უფლის სახლია და გააჩნია ზეციური პროტოტიპი. ის აღებულია ტოპოლოგიურ კავშირში იუდეურ და ქრისტიანულ ცნებებთან, სკინიის შესახებ. მასჯიდი ლოცვის ადგილია, სადაც თაყვანს სცემენ ერთიან ღმერთს. თავად სიტყვა ნიშნავს ქედის მოხრას, ლოცვას თაყვანისცემით. არამეულში მასჯიდის

მნიშვნელობა „ნმინდა ბოძი“, ან „თავანისცემის ადგილია“, ეთიოპურში – ტაძარი, ეკლესია. საყურადღებოა სუნას მონაცემები განსხვავებული ჟანრის ისლამურ ტექსტებში, სადაც სიტყვა მეჩეთი მოიხზრება ქრისტიანულ ეკლესიას და იუდეურ სინაგოგას. ყურანის ერთ–ერთ აიათში (22:41), არა სიტყვა, არამედ ცნება, მეჩეთი, გამოიყენება იმავე სინტაქსურ და სემნტიკურ რიგში, სადაც სინაგოგა და ეკლესიაა (რადგან ყველა ამ სახლში კეთილზნეობრივები თაყვანს სცემენ ერთიან ღმერთს). შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იერუსალიმური მეჩეთი, ტაძრის მთაზე (მასჯიდ–ალ–აქსა), მყარად ასოცირდება სოლომონის ტაძართან, რომელც ასევე იწოდება მასჯიდ–ალ–აქსა.

ისლამის საკულტო არქიტექტურის იკონოგრაფიული პროგრამის ფორმულირება გაპირობებული იყო არა მარტო ისლამის ტაძრული თეოლოგიის საკრალური ამოცანებით, არამედ ამოდიოდა უკვე არსებული საალმშენებლო პრაქტიკიდან და წინამორბედი საკულტო ხუროთმოძღვრების სახეობითი სისტემიდან (საკულტო არქიტექტურის მდიდარი ახლოაღმოსავლური მემკვიდრეობა მუსლიმს აძლევდა არჩვანის უფლებას, ჰიპოსტილური დარბაზიდან დაწყებული, ბაზილიკური ტიპის ნაგებობამდე გათავებული).

ქრისტიანობა მოითხოვდა ტაძრის ვერტიკალური სტრუქტურის განვითარებას, ხოლო ბაზილიკიდან ცენტრალურ ჯვარ–გუმბათიან ნაგებობაზე გადასვლა და გუმბათისქვეშა სივრცის განსაკუთრებული ლიტურგიული მნიშვნელობა კარგად ხსნის ქრისტიანობის თეოლოგიურ პროგრამას. ისლამში, მსახურების ხელმძღვანელი, ვერასდროს მოხვდება მეჩეთის ცენტრში, რადგან ისლამის მიმდევართათვის სწორება კედელი–ქიბლაა და რიტუალური ნიშა–მიჰრაბი, რომელიც მიმართულია მექას მხარეს. შესაბამისად, მუსლიმთა არჩევანი ერთმნიშვნელოანია – შენობები ორიენტირებულია ჰორიზონტალური ღერძის მიმართულებით. მეჩეთის პირველი და კლასიკური არქიტექტურული ტიპია ჰიპოსტილური (არაბული ტიპის) ნაგებობა, რომელიც ფორმალურად წარმოდაგენდა მოდიფიცირებულ ბაზილიკას, ფართოდ გაშლილი, მრავალკოლონიანი შიგა სივრცით. ცენტრალური ნეფის გამოჩენა და მრავალი კოლონის აღმართვა, ავსებს და აბოლოვებს მეჩეთის შიგა სივრცეს, რასაც წინ უძღვის ღია ეზო გალერეებით. თუმცა, მეჩეთის მშენებლობისას, ადრეულ ეტაპზე, იამოვნებით იყენებდნენ ბაზილიკურ ნაგებობებს. ბაზილიკის ადაპტაცია ახალი რელიგიის მოთხოვნილებათა შესაბამისად (რაც დაკავშირებული იყო ლოცვის მიმარ-

თულების ორიენტაციის შეცვლასთან, ჰორიზონტალურ ღერძზე), მშენებლებს აიძულებდა არსებით გადაკეთებაზე წასვლას. ტაძრის მთლიანობის სახე, აბრაამისეული ტრადიციების რელიგიებში, გამომდინარეობს აშკარად გამოკვეთილი ორნამენტული სტრუქტურადან: სამლოცველო-სათავსო (ნაოსი) და ეზო (ატრიუმი). მეჩეთის იკონოგრაფიული პროტოტიპია მედინაში წინასწარმეტყველი მუჰამედის სახლი. თუმცა, ის პირველი მეჩეთი არ ყოფილა, ასეთად მოიაზრება მედინას საზღვრებში არსებული მეჩეთი, ქუბაში (ყურანი, 9:107,108). მეჩეთი, როგორც ასეთი, გაჩნდა ქააბის ისლამიზაციამდე. რაც შეეხება მუჰამედის საფლავს (განლაგებულია მედინაში, მეჩეთის აღმ. ნაწილში), გახდა მამხადების (მავზოლეუმების) შექმნის პირდაპირი საბაზი (უშუალოდ მეჩეთის სიახლოვეს).

არსებობს მოსაზრება, რომ ორნამენტული (ღრმა და დაჩრდილული სივრცეების თანაგანლაგება) სტრუქტურის შექმნა მეჩეთში და მისი (მეჩეთის) არქიტექტურული ტიპის შემდგომი კანონიზაცია, სემანტიკური თვალსაზრისით, ფორმალურად ემთხვევა სკინიის (მიშკანის) აღწერას, რომელიც უფალმა გადასცა მოსეს, სინას მთაზე (გამოსვლათა 27:9-14). ტაძარი ხელთქმნილია (შეიძლება დაინგრეს კიდევც). მიშკანი კი არსებობდა როგორც განხორციელებული იდეა, რომელიც დროის დამანგრეველ ზემოქმედებას არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, მიშკანი მოთავსებული იყო ტაძრის შიგნით, მის იდუმალებაში. მიშკანი ტრანსცენდენტური ცნებაა, ხოლო ტაძარი სამყაროს ონტოლოგიური განხორციელება.

ქრისტიანებმა დაძლიეს რა მოსეს მიშკანის მნიშვნელობა, შემოიღეს სოლომონის ტაძარი. ამიერიდან ცნება ტაძარი ვრცელდებოდა მრავალრიცხოვან საკულტო ნაგებობებზე, რომელიც პასუხობდა საზოგადოდ მიღებულ სიმბოლურ და მხატვრულ-კონსტრუქციულ კანონების მოთხოვნას. რაც შეეხება ქააბას, ის, წარღვნამდე, ჩარდახში, სამოთხეში იყო დამალული, წარღვნის შემდეგ, დედამიწაზე ჩამოაბრძანეს. ყველა მეჩეთში არსებობს კედელი ქიბლა, რომელიც მექის მხარესაა მიმართული და ცენტრალურ მეჩეთთან ყოველწლიური რიტუალური მსვლელობა მიმდინარეობს. ამ პროცესს სათავეში ედგა სპეციალურად აღმართული ჩარდახი (მაჰმალა) და მასში (შიგნით) მოთავსებული იყო კიდობანი – ყურანი. მეჩეთის მონახულების შემ-

დეგ, მაჰმალს უკან აბრუნებდნენ და რიტუალურად აკურთხებდნენ ტაძრულ სივრცეს.

აღნიშნულიდან გამოდინარეობს, რომ ისლამში, ტაძრული სივრცე უპირატესად ცენტრიდანულია და წელიწადში ერთხელ ხდება ცენტრისკენული. ამ უკანასკნელის მოთხოვნა (ცენტრისკენულობა) გულისხმობს ნებისმიერი მეჩეთის, აღთქმული მეჩეთის მხარის მიმართულების აუცილებლობას. მუსლიმი ფლობს სივრცეს ტაძარში, აქ მხედველობაშია სალოცავი ნოხის ფენომენი, რომელიც გაიშლება ლოცვისას და ნებისმიერ ადგილას (რაც თავისუფლების ნების გამოვლენაა, რიტუალური დროის განმავლობაში) და შემოიფარგლება თავისი ინტოლოგიური სტატუსით. მას გააჩნია ერთგვარი ჩაკეტილობაც. ნოხზე მარჯვენათი შედიან და მარცხენათი ჩამოდიან. უფრო ზუსტად, სამლოცველო ნოხის დროულ-სივრცულ ერთიანობაში შედიან და იქედან გამოდიან.

აქედან გამომდინარეობს ისლამურ ფერწერაში ყოველგვარი პერსპექტივის არქონა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. არისტოტელე, ტოპიკა, თბ., უნივერსიტეტის გამოცემა, 1978
2. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989
3. ლოსევი ა., ანტიკურობის ისტორიის ესთეტიკა. არისტოტელე და გვიანი კლასიკა, 1975.

---

---

**Manana Chiteishvili** – Doctor of Philosophy, Associate Professor of Akaki Tsereteli State University; works about religious, art and ethics matters. Her books include: “Historical Matters of Religions” (Kutaisi, 2004); “Georgian Christian Art Matters” (Kutaisi, 2005); “Ethics Foundations for Business~ (Kutaisi, 2008); “Existential and Religious Aspects of the Temple” (Kutaisi, 2013); “Problems of Art Philosophy” (Kutaisi, 2017); the author of some scientific articles about the problems of philosophy.

---

---

## **The Logic of the Temple Consciousness and Aristotle's Topic**

### **Abstract**

It is important for the history of culture to understand the temple correctly. Strict adherence to the rules of entering the temple and exiting from there properly. To complete the task, it is necessary to analyze the material and use a special description method, which is based on the law on topological interactions of matter formulated by Aristotle. With Aristotle, topology, as a dialectical method, is a way of knowing the primary source of all kinds of knowledge.

According to A. Losev, topology is the science of persuasion.

In the past, the term topos was used to refer to a location, or to indicate the presence of holiness.

All cultures of the Abrahamic cycle have their own set of universal topos, which acquire different logical statuses.

What was brought to the fore by the norms of the Old Testament temple consciousness, perhaps, in the Christian temple theology, it became a secondary reality, and in the Islamic themenology, it returned to its relevance. Topological signs of temple consciousness may be found far from the temple, but at the same time may remain essentially part of the temple idea. Also noteworthy is the development of thought from the Mishkan of Moses and the New Tabernacle to the Mosque.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებაში.*

**მეცნიერების ფილოსოფია**

**PHILOSOPHY OF SCIENCE**



---

**თერ ორმოცაძე** – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტი-პროფესორი. მუშაობს მეცნიერების ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და წიგნები: „დეტერმინაცია ბუნებისმეცნიერებასა და ფილოსოფიაში“ (თბ., 2005), „სივრცისა და დროის ფილოსოფია“ (თბ., 2013), „ზოგადი უნარები. ფორმალურ-ლოგიკური დავალებები (თეორია და ამოხსნის მეთოდისა)“, (ქუთ., 2013), „ი. გომართელი – „ნება და ზნეობა“ (ქუთ., 2017).

---

## **ალბათური აუცილებლობა და თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერება (კვანტური თეორია და ბიოლოგია)**

მატერიალური სინამდვილის კანონზომიერების შესახებ ძველი (კლასიკური) წარმოდგენების ცვლილებები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კვანტური მექანიკის წარმოშობასთან. ე.წ. მცირე განზომილებების სამყაროში მოქმედი კანონზომიერება. განსხვავებული აღმოჩნდა მაკროსამყაროს კანონზომიერებებისაგან, რის გამოც, კლასიკური ფიზიკის მიერ მარადიულ და აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნეული მთელი რიგი ცნებები ძირეულად შეიცვალა. იმ კლასიკური იდეებიდან, რომლებმაც ფიზიკის განვითარების კვალობაზე ცვლილებები განიცადეს, ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ აუცილებლობისა და მიზეზობრიობის ცნებები.

ელემენტარული ნაწილაკების კვლევის შედეგებმა გამოამყარა თანამედროვე მექანიკური დეტერმინიზმის შეზღუდულობა; დაასაბუთა, რომ აბსოლუტური აუცილებლობის ცნება, რომელსაც მექანიციზმი ემყარებოდა, ობიექტური სინამდვილის ასახვას არ წარმოადგენს. ბუნებაში არ არსებობს აბსოლუტური, ფატალური აუცილებლობა. ასევე, ახალმა კონცეფციამ შეცვალა ალბათობის კლასიკური გაგებაც; კლასიკური წარმოდგენებით შემთხვევითი ობიექტურად არ არსებობს, იგი, როგორც შემცვლელი უნარის სასრულობის შედეგი, წმინდა სუბიექტური კატეგორიაა. ამავე მიზეზით, ლაპლასთან უარყოფილი გამოდის ალბათობა, როგორც ადამიანური ცოდნის ობიექტური შინაარსი. ამიტომ მასთან ალბათობა, როგორც ობიექტურობას მოკლებული,

არ წარმოადგენს რეალურის ასახვას. ასეთი ცოდნა კი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი.

მექანიკური მიზეზობრიობა, რომელსაც ლაპლასის დეტერმინიზმი მიზეზობრიობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად თვლიდა, უვარგისი აღმოჩნდა მიკროსამყაროს კანონზომიერების აღწერისთვის. კვანტურ სფეროში მოქმედ მიზეზობრიობას აღმოაჩნდა არაერთნიშნა ხასიათი. ასე მაგალითად, სტატისტიკურ მექანიკაში განაწილების ფუნქცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს დროის მომდევნო მომენტისათვის ნაწილაკის კოორდინატისა და იმპულსის მნიშვნელობის ალბათობა. სადაც, კოორდინატი და იმპულსი განიხილება როგორც გარკვეული აზრით შემთხვევითი სიდიდეები, რომლებიც არ არის ცალსახად დეტერმინირებული.

ფიზიკური სინამდვილის კანონზომიერებების ალბათურ აღწერას საფუძველი ჩაუყარა მოლეკულურმა ფიზიკამ. კერძოდ, პირველი წარმოდგენა ისეთ კანონზომიერებებზე, რომლებშიც შემავალი სიდიდეები არაერთნიშნად იქნებოდნენ დაკავშირებულნი, ეკუთვნის მაქსველს. მან სწორად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მოლეკულები ქაოსური მოძრაობის გამო მოცემულ მაკროსკოპულ პირობებში უნდა ემორჩილებოდეს ალბათურ კანონს, რომელიც ადრე მათემატიკოსებმა შემოიტანეს შემთხვევითი (აზარტული თამაშები) მოვლენების ანალიზის პროცესში. მართლაც, მოლეკულათა განაწილება შემთხვევითი ფლუქტუაციების ობიექტური გარემოების გამო არ შეიძლება აიხსნას კლასიკური ტიპის მიზეზობრიობის კანონით, მაშინ როცა იგი კარგად იხსნება ალბათობის ცნების საფუძველზე.

სტატისტიკურ კანონებში მოქმედი ალბათობა არის მიზეზობრიობის ახალი ფორმა, რომელსაც ალბათური მიზეზობრიობა ეწოდება. „ატომურ ფიზიკაში“, – წერს ვ.ა. ფოკი, – დეტერმინისტული მიზეზობრიობა (ლაპლასის დეტერმინიზმი) შეცვლილია ალბათური მიზეზობრიობით“ (1,52). დინამიკური სახის მიზეზობრიობა ალბათური მიზეზობრიობის კერძო შემთხვევას წარმოადგენს. თვით ალბათური მიზეზობრიობის ცნება გაგებულია, როგორც მეცნიერული დეტერმინიზმის ქვაკუთხედი.

კვანტურ მოვლენებში მოქმედი მიზეზობრიობის ახალი სახე ალბათური ნიშნის მიუხედავად აუცილებლობის მატარებელიცაა (მიზეზი და შედეგი აუცილებელ კავშირში იმყოფებიან, იმ განსხვავებით, რომ აქ აუცილებლობა არ შეიძლება იყოს ფატალური ხასიათის, რომ-

ლის მიხედვითაც იარსებებდა მხოლოდ შემთხვევითი, ან, მხოლოდ აუცილებელი მოვლენები). „ბუნებას მართავს, წერდა მ. ბორნი, – მიზეზობრიობისა და შემთხვევითობის გარკვეული ნარევი“ (2,3).

მიკროსამყაროში მოქმედი ალბათური აუცილებლობა აუცილებლობის გამოხატვის ახალი ფორმაა, რომელსაც ატომური მოვლენების ასახსნელად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ალბათური აუცილებლობა არ გამოირიცხავს აუცილებლობასა და მიზეზობრიობას. იგი ორგანულად აერთიანებს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ნიშნებს. ამასთანავე აღნიშნული ერთიანობა არაა ხელოვნური. იგი მიკროსამყაროს მოვლენების ორმაგი ბუნების (კორპუსკულური და ტალღური) ასახვაა. ამის გამო ალბათური აუცილებლობის ცნების გარეშე სუბატომურ სფეროში კანონზომიერებათა კვლევა წარმოდგენილია. ყოველი კანონზომიერება, რომელიც ელემენტარულ ნაწილაკებში მიმდინარეობს, წარმატებით აიხსნება ალბათური აუცილებლობის თეორიის ცნების საფუძველზე. ეს კი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული კატეგორია არაა სუბიექტური შინაარსის; მას სავსებით რეალური სახე გააჩნია, რაც კარგად ჩანს, აუცილებლობის ალბათურ გამოხატულებაში.

ამრიგად, ალბათური აუცილებლობა, როგორც ალბათური, ერთი მხრივ მექანიკური ტიპის დეტერმინიზმის უარყოფაა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც აუცილებლობა, ინდეტერმინიზმის უარყოფა, ვინაიდან, როგორც მექანიციზმისათვის, ისე ინდეტერმინიზმისათვის განმსაზღვრელი ცნებებია შესაბამისად აბსოლუტური აუცილებლობა და აბსოლუტური შემთხვევითობა. სინამდვილის არც ერთ სფეროში არ გვხვდება მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი, ან მხოლოდ აბსოლუტურად შემთხვევითი მოვლენები. ამდენად მცდარია არა მარტო კლასიკური დეტერმინიზმი, არამედ ინდეტერმინიზმიც.

ალბათური აუცილებლობა არაა მხოლოდ მიკროსამყაროს კანონზომიერების დამახასიათებელი. იგი სხვადასხვა ხარისხით მოქმედებს მთელ სინამდვილეში. კერძოდ, მაკროსამყაროში დინამიკური კანონზომიერების ფორმას იღებს და აბსოლუტური აუცილებლობის სახით წარმოდგება, მაშინ, როცა მიკრომოვლენებში მას სტატისტიკური კანონზომიერების სახე აქვს.

თანამედროვე დეტერმინიზმი, როგორც შემეცნების სწორი მეთოდოლოგია, თავის ასახვას პოულობს ბიოლოგიურ მეცნიერებაშიც.

ბიოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები სავსებით შეესატყვისება დეტერმინიზმის თანამედროვე კონცეფციას.

სტატისტიკური მეთოდის გამოყენება მეცნიერებამ დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. გამონაკლისს არც ბიოლოგიური მეცნიერება წარმოადგენდა. გ. მენდელმა საფუძველი ჩაუყარა გენეტიკას – მეცნიერებას მემკვიდრული თვისებების კანონზომიერების შესახებ. მემკვიდრეობითობის შესწავლისას იგი სარგებლობდა კვლევის სტატისტიკური მეთოდით, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკა, ქვანტური მექანიკის მსგავსად, სტატისტიკური ხასიათის მეცნიერებას წარმოადგენს. კერძოდ, როგორც ა.ვ. იაბლოკოვი წერს: „აღბათური, შემთხვევითი პროცესები ახასიათებენ მემკვიდრეობითობის ყველა ძირითად კანონზომიერებას“ (3,75). ადამიანის ბიოლოგიური სახის უპირველესი განმსაზღვრელია გენური სტრუქტურა. გენების საშუალებით მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებები გადაეცემიან თაობიდან თაობას. გენების სტრუქტურა განსაზღვრავს ორგანიზმის ბიოლოგიურ თვისებურებებს, მის ნორმალურ თუ დეფექტურ განვითარებას, თმის, თვალის, კანის ფერის და ა.შ. ის რაც, ზრდასრულ ორგანიზმში მოცემულია, წინასწარ განსაზღვრულია და გადმოცემულია მშობლების გენური სტრუქტურით. ეს განსაზღვრულობა აუცილებლობის ხასიათისაა, თანაც ეს აუცილებლობა მკაცრი აუცილებლობის მატარებელია. გენებში ყველაფერი წინასწარ დაპროგრამებულია, მისგან გადახვევა გამორიცხულია. მაშასადამე გენები, რომელიც ჩანასახს გადაეცემა, ცალსახად განსაზღვრავენ ინდივიდის ბიოლოგიურ თვისებურებებს. ამით გენური სტრუქტურა (გენური დეტერმინაცია) ამართლებს თავის არსებას – გენის ცნებას.

აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა აზრი, რომ გენების საფუძველზე მკაცრად განსაზღვრულია ადამიანის ბიოლოგიური თვისებურებანი, რომელიც მის სოციალურ მოქმედებასაც კი განაპირობებენ.

გენური სტრუქტურით მკაცრი განსაზღვრულობა ეწინააღმდეგება ცოცხალი სამყაროს ევოლუციის ფაქტს. გამოდის, რომ გენური დეტერმინაცია მემკვიდრული ნიშნების შენახვა – გადაცემასთან ერთად დასაბამს აძლევ მასში არსებული თვისებების განვითარებას ისეთი სახით, რაც წინასწარ მასში არ იყო „ჩადებული“. ეს კი შესაძლებელია გენური სტრუქტურის არაერთნიშნა დეტერმინაციის შემთხვევაში. გენური დეტერმინაციის მკაცრი განსაზღვრულობა შეიძლება შეც-

ვლილ იქნეს არა მარტო გენების შინაგანი დეტერმინაციით, არამედ გარემო პირობებითაც.

მუტაცია არის გადახვევა გენური განსაზღვრულობიდან. სხვა-ნაირად, იგი არის თაობათა რომელიმე განშტოებაში ისეთი თვისებების გამოჩენა, რასაც წინა თაობებში ადგილი არ ჰქონია. გენები მუტაციას განიცდიან დროის დიდი შუალედის განმავლობაში. ე.წ. მცირე შუალედებში გენები შედარებითი სიმყარით ხასიათდება, ასე, რომ გენი არ არის სუბსტანცია, განუსაზღვრელი ( უცვლელი) და მხოლოდ სხვისი განმსაზღვრელი.

ის მიზეზები, რომლებიც მუტაციას განაპირობებენ, ობიექტურია და ამდენად აუცილებელიცაა. მუტაცია, როგორც ახალი თვისებების მიზეზი, გენური დეტერმინაციის პროცესისათვის წარმოადგენს შემთხვევითს. მაგრამ ეს შემთხვევითი, როგორც გარკვეული მიზეზების (უჯრედის ქრომოსომული სტრუქტურის ცვლილების) შედეგი აუცილებელიცაა. იგი აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა, რაც საფუძვლად უდევს ცოცხალი სამყაროს ევოლუციას.

ამრიგად გენური დეტერმინაციის შედარებითი სიმყარე ამო-რიცხავს დროის დიდი შუალედების მანძილზე ინდივიდუალური თავისებურებების მკაცრ განსაზღვრულობას. ხოლო დროის მცირე შუალედებში გენები სიმყარით ხასიათდებიან. ისინი მკაცრად განსაზღვრავენ ბიოლოგიურ ნიშნებს. ამის მიზეზი ის არის, რომ გენები შინაგან დეტერმინაციას იშვიათად ატარებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ შეიძლებადა ყოფილიყვნენ მემკვიდრული თვისებების მატარებელნი.

მოცემული თაობისათვის დამახასიათებელი ნიშნებისაგან განსხვავებული თვისებებების გამოჩენის მიზეზი, მუტაციის გარდა შეიძლება იყოს გარემო პირობებიც. მოცემული მემკვიდრული თვისება მთელი სისრულით, მხოლოდ შესაბამის პირობებში გამოვლინდება ე.ი. გენური დეტერმინაცია შეიძლება შეცვლილ იქნეს. ესა თუ ის გარემო, გენური დეტერმინაციის, როგორც აუცილებლობის მიმართ შემთხვევითია. ეს უკანასკნელი კი აუცილებლობას თავისებური სახით გამოავლენს. ამრიგად, გენურ დეტერმინაციას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი, რითაც იგი განსხვავდება ლაპლასის ტიპის დეტერმინიზმისაგან.

გენები, მით უმეტეს, არ არის ადამიანის სოციალური ჯგუფის ქცევის განმსაზღვრელი. ბიოლოგიური და სოციალური სინამდვილის განვითარების განსხვავებული ფორმებია. სოციალურის, როგორც მაღალი ფორმის სპეციფიკა არ შეიძლება აიხსნას დაბალი (ბიოლოგიური) ფორმის საფუძველზე. თანამედროვე გენეტიკის მიხედვით, ადამიანის გენური სტრუქტურა სიმყარით ხასიათდება (ადამიანი გენეტიკურად მისი წარმოშობიდან დღემდე არსებითად არ შეცვლილა), სოციალურად კი განიცადა და განიცდის ცვალებადობას. ამიტომ არ შეიძლება გენური სამყარო სოციალური ცვალებადობის მიზეზი იყოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ გენეტიკური დეტერმინაცია არაა აბსოლუტური, გარდაუვალი. ადამიანის აღზრდა უმეტესწილად სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული. გარემო გამოავლენს ან არ გამოავლენს გენის მოქმედებას (აქ ჩანს ის, რომ ადამიანი ერთდროულად არის როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური არსება). ამიტომ გენეტიკური დეტერმინიზმი არაა არც ფატალური და არც ლაპლასის ტიპის დეტერმინიზმი. იგი ალბათური მიზეზობრიობის ტიპისაა, რაც საფუძველად უდევს ადამიანის თავისუფლებას.

### ლიტერატურა:

1. Фок В. (1964). Дискуссии с Нильсом Вормом, „Вопросы философии“, N8.
2. Born M. (1949). Natural philosophy of cause and chance, Oxford.
3. Яблоков А. (1976). Некоторые аспекты проблемы случайности биологической эволюции “Вопросы философии“, N9.

---

---

*Eter Ormocadze* – Doctor of Philosophy, Assistant Professor of Kutaisi ac. Tsereteli State University, works on science and nature-philosophical problems; She has published scientific articles and books: “The Determination in natural sciences and philosophy” (Tb.2005); “The Philosophy of Space and Time” (Tb.2013); “General skills, The formal-logical assignments” (Qut., 2013); "I. Gomarteli-will and morality" (Qut., 2017).

---

---

**Probabilistic causation and modern natural science  
(quantum theory and biology)**

**Abstract**

After quantum mechanics there was created a theory of Probabilistic Causation, which denied the absolutism of time, space, and absolute motion. Probabilistic Causation is characterized by multi-meaning and multi-value. They also are the descriptive concept of regularity of microcosm, for which it is not fundamentally important to reject randomness. Probabilistic Causation works and affects all reality in different ways. It is a feature of the current legality of microcosm and biological fields as well.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.*

**პოლიტიკის ფილოსოფია**

**PHILOSOPHY OF POLITIC**



---

**თეიმურაზ ფაჩულია** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური ფილოსოფიის, ფილოსოფიის ისტორიის, კულტუროლოგიის, აქსიოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის, გეოპოლიტიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი და სტატია, მათ შორის 5 მონოგრაფია, ვტორია 12 რომანისა და 2 პოეტური კრებულის. არის საქართველოს კრიმინოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

---

## **ლიბერალური ტოტალიტარიზმი**

მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ტოტალიტარიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა საბოლოოდ ჩამოვიდა სცენიდან და ისტორიის კუთვნილებად იქცა, რომლის რეანიმაცია შეუძლებელია. სამწუხაროდ, მსგავსი მსჯელობა ნაადრევი გამოდგა, რადგან ტოტალიტარიზმი იმაზე სიცოცხლისუნარიანი და გამძლე აღმოჩნდა, ვინემ კაცობრიობის დიდ ნაწილს წარმოედგინა. მან შეძლო XXI საუკუნის რეალიზებთან ადაპტირება და სრულიად ახალი ფორმით მოველინა გულარხეინად მყოფ სამყაროს, რომელსაც იგი დიდი ხნის წინათ ჩამოწერილი და უტილიზებულ ეგონა. ყველასათვის მოულოდნელად მან მიიღო ლიბერალური ტოტალიტარიზმის ფორმა, რაც გარეგნულად, ერთის შეხედვით, ამკარა შეუსაბამობა და ნონსენსია, რომელიც ეწინააღმდეგება საღ აზრსა და ლოგიკას, მაგრამ სინამდვილეში, სრულ შესაბამისობაშია ჭეშმარიტებასთან. იგი ჩვენს თვალწინ იშვა და ახლაც წარმატებით აგრძელებს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ეწინააღმდეგება სოციალოლოგიურ კანონზომიერებებსა და ფორმალურ ლოგიკას. იგი ერთგვარად ჰგავს ისეთ მითოლოგიურ არსებებს, როგორებიცაა კენტავრი, სფინქსი, გრიფონი და ა. შ. რომლებიც ადამიანური და ცხოველური ორგანიზმების სიმბიოზს წარმოადგენენ, რაც მეცნიერულად და რეალურად დაუშვებელი და შეუძლებელია. კენტავრის ანუ ცხენისა და ადამიანის სინთეზირება შეუძლებელია, რადგან მათი ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია და ა. შ. ურთიერთგამომრიცხველია. იგივე ითქმის სფინქსის, გრიფონისა და სხვათა შესახებ, რომელთა ფიზიკა და მეტაფიზიკა სრულ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან.

ლიბერალური ტოტალიტარიზმი წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებების სისტემას, რომელიც იმართება ტოტალიტარული მეთოდოლოგიით, რაც მიუხედავად იმისა, რომ ოსტატურადაა შეფუთული და კამუფლიაჟირებული, სინამდვილეში აშკარა სოციოლოგიური ფარსიაა. მის ფასადს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული ინსტიტუციები, რომელთა უკან იმალება ტოტალიტარული რეჟიმი მთელი თავისი სისასტიკითა და რეპრესიებით, რომელიც შორს დგას ჰუმანიზმისა და ტოლერანტობისაგან. ესაა სიტყვით ლიბერალური, მოჩვენებითად თავისუფალი საზოგადოება, რომელიც საქმით ანტილიბერალური და მონობაზე დაფუძნებულია. ესაა დეკლარირებული თავისუფლების საზოგადოება, რომელიც სინამდვილეში შორს დგას თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიისგან. როგორც ცნობილია, კლასიკური ტოტალიტარიზმის ფორმებს – კომუნიზმსა და ფაშიზმს ახასიათებს საერთო ნიშნები, რომელთა შორის აღსანიშნავია ძალაუფლების კონცენტრაცია, ვოჟდიზმი, სერვილიზმი, მონოპარტიულობა, ტერორი, ათეიზმი, სციენტიზმი, ინტერნაციონალიზმი, მილიტარიზმი, ჰეგემონიზმი. კომუნიზმი და ფაშიზმი მხოლოდ ორი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისგან, დანარჩენში კი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. თუ კომუნიზმს ახასიათებს სციენტიზმი, ფაშიზმისთვის დამახასიათებელია ოკულტიზმი, ხოლო პირველისთვის მახლობელ ინტერნაციონალიზმს ფაშიზმში ცვლის უკიდურესი რასიზმი ნაციონალ-სოციალიზმის რასობრივი თეორიის სახით, რომლის მიხედვითაც არიული რასა ცხადდება უმაღლეს საკაცობრიო მიღწევად, რომელსაც უნდა მოერგონ და მიესადაგონ დანარჩენი ერები და კულტურები. რაც შეეხება სხვა ნიშნებს, მათში კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის სრული თანხმობაა, რომლის მიხედვითაც ისინი ახდენენ ძალაუფლების ყველა რგოლის კონცენტრაციას ერთი ინსტანციის ხელში, რაც საბოლოოდ ინვეს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო რგოლების თავმოყრას ერთი პიროვნების ხელში, რომელიც ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას, რასაც ვერ ზღუდავს ვერანაირი ინსტიტუცია და ძალა. ასეთი ძალაუფლებით აღჭურვილი პიროვნება არის ბელადი, ვოჟდი, რომელიც მაღლა დგას ყველაზე და ყველაფერზე, რომელიც არის უმაღლესი ავტორიტეტი, ერთგვარი სოციალური ფეტიში, ფსევდო აბსოლუტი, რომელიც სოციალური პირამიდის მწვერვალზე დგას და მას

ემორჩილება ყველა და ყველაფერი. მისი სიტყვები თუ დირექტივები განხილვასა და კრიტიკას არ ექვემდებარება და როგორც წესი, სავალდებულოა ყველასათვის. მას ემორჩილებიან და ეთაყვანებიან როგორც ცოცხალ ღმერთს, რომელმაც თავისი მოვლინებით გააბედნიერა კაცობრიობა, რაც სხვა არაფერია თუ არა სერვილიზმის ანუ მონობის ჭეშმარიტი გამოვლინება. მას ახასიათებს აპერსონალიზმი, კრიტიკული აზროვნების გამორიცხვა, მასობრივი ცნობიერების დიქტატი, სტერეოტიპებითა და კლიშეებით ოპერირება, ტვინის გამორეცხვა, ავტორიტეტისადმი, ფსევდოაბსოლუტისადმი უსიტყვო მორჩილება. მათგან არსებითია მასობრივი ცნობიერების ბატონობა, რომელიც გამორიცხავს კრიტიკულ აზროვნებას და ყველაფერი დაჰყავს გაცვეთილ ტრაფარეტებამდე, რომლითაც იმართება სერვილური „საზოგადოება“, რომელშიაც მთავარია თუ რას ამბობს ბელადი და მისი ერთგული ხალხი და არა რომელიმე ესა თუ ის კონკრეტული პერსონა. ესაა მონოპარტიული სისტემა, რომელიც საფუძველშივე გამორიცხავს ოპოზიციურ აზრსა და მრავალპარტიულობას, სადაც კეთდება არჩევანი კარგსა და ცუდს შორის, რაც საზოგადოების განვითარებასა და ოპტიმიზაციის საუკეთესო საშუალებაა, რითაც ხდება ხელისუფლების მშვიდობიანი როტაცია, რაც სოციალური რყევებისა და რევოლუციებისგან იცავს საზოგადოებას. მონოპარტიული სისტემა არ ცნობს მსგავს ინსტიტუციას, რადგან იგი დიქტატურაა, რომელიც ტერორის გზით მართავს ქვეყანას, სადაც დიქტატორის გარდა ყველა მონაა, თუმცა საბოლოო ჯამში არც უკანასკნელია თავისუფალი, რადგან იქ, სადაც ყველა მონაა, შეუძლებელია ვინმე იყოს თავისუფალი. დიქტატორი მონაა საკუთარი რეჟიმის, მის მიერვე შექმნილი სისტემის, რომლის გარეშე არსებობა არ შეუძლია და გულის კანკალით აკვირდება მის გამართულ მუშაობას, რომ არაფერი დაუზიანდეს და დაემართოს. ესაა ათეისტური სისტემა, საიდანაც განდევნილი და უარყოფილია ჭეშმარიტი ღმერთი, ხოლო მისი ადგილი დაკავებული აქვს დიქტატორს, ტირანს, რომელიც ტერორისა და რეპრესიების გზით მართავს სახელმწიფოს და თავს ასალებს სოციალურ კერპად, ფსევდოაბსოლუტად, რომლის ძალაუფლება მხოლოდ მოცემული ქვეყნითაა შემოფარგლული. იგი რელატიური ღმერთია, დროსა და სივრცეში შეზღუდული ინდივიდია, რომელსაც პრეტენზია აქვს აბსოლუტურობაზე, მაგრამ მისი ძალაუფლება ეფემერული და წარმავა-

ლია. იგი ზის ჩარჩოებში, რომელთა გააბსოლუტება შეუძლებელია და მის შესაძლებლობებს აღემატება. აქედან იწყება მისი ტრაგედია, რომელიც ადამიანობის ფინალურობაზე გადის, რომლის შეცვლა არავის ძალუძს, რაც მართალია, ბევრმა მოინადინა, მაგრამ შედეგი ყველასათვის დღემდე უცვლელია, თუმცა მონადინეთა შორის დგანან ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ფრიდრიხ დიდი, ნაპოლეონ ბონაპარტი, იოსებ სტალინი. მათ, მართალია, ეპოქები შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ მათ ავტორიტეტსა და დანატოვარს მაშინვე წყალი შედგა, როგორც კი ამ დიდმა ისტორიულმა პიროვნებებმა სიკვდილის შემდეგ დატოვეს პოლიტიკური ასპარეზი, რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სტალინთან დაკავშირებული მოვლენები.

ტოტალიტარიზმისათვის ასევე დამახასიათებელია მილიტარიზმი, რაც ნიშნავს სადაო საკითხების გადაჭრას ომის, შეიარაღებული კონფრონტაციის გზით, რისთვისაც ეს რეჟიმი გამალებულად და მიზანმიმართულად ემზადება. ფაშისტურმა გერმანიამ ყველა ტერიტორიულად სადაო საკითხი თავის მეზობლებთან, ავსტრიის ანშლუსით დაწყებული, პოლონეთით დამთავრებული იარაღის ძალით გადაწყვიტა რის შედეგადაც მესამე რაიხის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ სუდეტის, გდანსკის, კლაიპედას, ავსტრიის ტერიტორიები, რომლებზედაც ჰიტლერს გააჩნდა ისტორიული პრეტენზიები. ინგლისმა და საფრანგეთმა მიუნხენის გარიგებით ხელი შეუწყვეს მათ დაკმაყოფილებას, რასაც, ცხადია, ფიურერი არ დასჯერდა და წამოიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც მოჰყვა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის ოკუპაცია, რაც მოგვიანებით გადაიზარდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, რამაც გამოიწვია ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაცია. მილიტარიზმით გამოირჩეოდა ტოტალიტარიზმის მემარცხენე ფრთა ანუ კომუნიზმი, რომელიც რუსული კომუნიზმის სახით ახორციელებდა მეზობელი ქვეყნების ოკუპაციას, რის მაგალითსაც წარმოადგენდნენ უკრაინა, ბელორუსი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა. შ. რომლებიც ადრე შედიოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და აქედან გამომდინარე ნითელ რუსეთს მათზე ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები. მართალია, პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი დროებით გადაურჩნენ რუსულ ანექსიას, მაგრამ ბალტიისპირეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა

სსრკ შემადგენლობაში, ხოლო პოლონეთი შეყვანილ იქნა სოციალისტური ორიენტაციის ბანაკში, რაც ფაქტობრივად მის ანექსიას ნიშნავდა. ფინეთმა თითქოსდა მოახერხა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაგრამ სისხლისმღვრელი ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა მას ჩამოაჭრა კარელიის დიდი ტერიტორია და აიძულა გამოეცხადებინა ნეიტრალიტეტი, რის გამოც იგი ფაქტობრივად დამოკიდებული გახდა სსრკ-ზე, რომელთანაც შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ფინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ტოტალიტარიზმი გულისხმობს ჰეგემონიზმს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისკენ, რასაც უნდა მოჰყვეს მისი გაბატონება მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე, ევროპიდან დაწყებული ამერიკითა და ავსტრალიით დამთავრებული, რაც შესანიშნავად იყო გამოსახული საბჭოთა კავშირის ჰერალდიკაზე, რომლის წითელ დროშაზე კიაფობდა ოქროსფერი ნამგალი და ურო, რომელთა თავზე ეკიდა ხუთქიმიანი ოქროს ვარსკვლავი. ნამგალი და ურო განასახიერებდა პროლეტარიატისა და გლეხობის ძალაუფლებას, რომელიც უნდა დამყარებულიყო მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე, პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის გზით, რაც გულისხმობდა იარაღისა და ომების მეშვეობით ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, რასაც ეტაპობრივად ახორციელებდა საბჭოთა კავშირი. მსოფლიოზე ტოტალური კონტროლის დაწესებას ისახავდა მიზნად გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, რომელიც მილიტარიზმის მეშვეობით ცდილობდა არიული რასის ბატონობის დამყარებას მთელ პლანეტაზე, რასაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ლიბერალურმა ტოტალიტარიზმმა მემკვიდრეობით მიიღო ტოტალიტარიზმის ყველა ეს ნიშანი, რომელთაგან ზოგიერთი მეტ-ნაკლები ვარიაციით განავითარა. მაგალითად, ტოტალიტარიზმის პირველი ნიშანი, რომელიც ხელისუფლების ყველა რგოლის კონცენტრაციას გულისხმობს, ლიბერალურმა ტოტალიტარიზმმა შენიღბულად, ერთგვარი კომუფლიაჟით განახორციელა. თუ კლასიკური ტოტალიტარიზმი ფაშიზმისა და კომუნისმის სახით, ხელისუფლების რგოლების ღია, დაუფარავ კონცენტრაციას ახორციელებდა, ლიბერალური ტოტალიტარიზმი მას შეფარულად, შენიღბულად ახორციელებს, რომლის დროსაც ხელისუფლების შტოები გარეგნულად თითქოსდა ავტო-

ნომიურობასა და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, რითაც დაცულია დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნა, რაც სინამდვილეში სრულ ფარსსა და დემაგოგიას წარმოადგენს, რის უკანაც ტოტალიტარიზმის ავბედითი სახე იმალება. ლიბერალურ ტოტალიტარიზმს დემოკრატიის ყალბი ფასადი გააჩნია, რომელიც გარეგნულად, ფორმალურად იცავს დემოკრატიულ სტანდარტებს, მაგრამ სინამდვილეში შორს დგას მათგან. რაც შეეხება ვოჟდიზმს, აქაც შენიღბულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელიც გარეგნულად თითქოსდა ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ბელადისა და ფიურერის კულტს, მაგრამ რეალურად ამყარებს ისეთ მდგომარეობას, რაც ვოჟდიზმისთვისაა დამახასიათებელი. ესაა საზოგადოებრივი აზრის უალტერნატივო, შეუზღუდავი ბატონობა, რომელიც არ უშვებს და სდევნის კრიტიკულ აზროვნებასადა მის ადეპტებს. ესაა სერველიზმის ერა, რომელიც საყოველთაო მონობითაა გაყვნილი, რომლის წევრებსაც ტვინი იმდენად აქვთ გამორეცხილი, რომ ვერ გრძნობენ და ვერ აცნობიერებენ საკუთარი მონობის ხარისხსა და სავალალო მდგომარეობას. ესაა, ქცევის ზოგადი წესების ხარისხში აყვანილი ტრაფარეტებისა და შაბლონების ეპოქა, რომელშიაც ადამიანს დაკარგული აქვს პიროვნული, ინდივიდუალური სახე და გადაქცეულია უსახური მასის რიგით წევრად, რომელიც გაიგივებულია ნომერთან, საიდენტიფიკაციო რიცხვთან.

მართალია, ლიბერალური ტოტალიტარიზმი გარეგნულად წაგავს მრავალპარტიულ სისტემას, რომელსაც ახასიათებს პლურალიზმი, მაგრამ სინამდვილეში ესეც მოჩვენებითია, რადგან პარტიათა სიჭრელის მიღმა მონოპარტიულობის ფენომენი იმალება, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პარტიები ფაქტობრივად ერთსა და იმავეს ამბობენ და მათი პროგრამები ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს. დღეისათვის უკვე ძნელია ერთმანეთისგან განასხვაო ლეიბორისტებისა და რესპუბლიკელების იდეები, რადგან შინაარსობრივი სხვაობა მათ შორის არ არსებობს, რის გამოც ისინი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან. რაც შეეხება ტერორს, აქაც საქმე გვაქვს კომუფლიაჟთან, რომლის დროსაც გარეგნულად თითქოსდა დაცულია დემოკრატიული სტანდარტები, მაგრამ რეალურად ხორციელდება სხვაგვარად მოაზროვნეთა მასობრივი შევინროება, დევნა, ბუღინგი, ფსიქოლოგიური ზეწოლა. აქ მოქმედებს პრინციპი, ვინც ჩვენთან არ არის – ჩვენი მტერია, რომლის დროსაც სამიზნეს წარმოადგენენ ისი-

ნი, ვინც ლგბტ სტანდარტებით არ აზროვნებენ, ვინც აკრიტიკებს და უარყოფს იმ ფსევდოლიბერლებებს, რომლებიც ნეოლიბერალიზმის საფუძველშია. ასეთების გასანეიტრალეზად და გასაჩუმებლად ნებადართულია ყოველგვარი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ლახავენ ადამიანის უფლებებს, რაც აბსოლუტურად არ აღეგებს ლიბერალური ტოტალიტარიზმის ადეპტებს, რომლებიც მაშინვე ასტეხენ ხმაურსა და ვაი-უშველელს როგორც კი მსგავს მეთოდებს მათ წინააღმდეგ გამოიყენებენ. გამოდის, რომ მათთვის ნებადართული და დასაშვებია ყველაფერი, ხოლო მოწინააღმდეგეებისათვის მსგავსი ქმედებები დაუშვებელია. სწორედ მსგავსი იდეოლოგიით იყო გამსჭვალული მუსოლინი, როდესაც ამბობდა, რომ მეგობრებისა და თანამოაზრეებისათვის დასაშვებია ყველაფერი, ხოლო მტრებისათვის – არაფერი.

რაც შეეხება ათეიზმს, ლიბერალური ტოტალიტარიზმი ზუსტად იმეორებს და იყენებს იმ მეთოდებს, რაც კლასიკური ტოტალიტარიზმისათვის იყო დამახასიათებელი ეკლესიასთან პირდაპირი დაპირისპირებით დაწყებული რელიგიური ღირებულებების უარყოფით დამთავრებული. იგი ცდილობს ეკლესიის ავტორიტეტის დისკრედიტაციასა და შელახვას, რადგან ეკლესია მიაჩნია ხელშემშლელ ფაქტორად საკუთარი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის გაბატონების გზაზე. განხეთქილების შეტანა ეკლესიის შიგნით, საეკლესიო პირების დისკრედიტაცია, პატრიარქის განქიქება და შეურაცხყოფა, პერმანენტული იერიშები საეკლესიო დოგმებსა და ლიტურგიკაზე ნეოლიბერალების ანტირელიგიური კამპანიის განუწყრელი ნაწილია, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ბოლშევიკების ყბადაღებულ ანტირელიგიურ პროცესებს XX საუკუნის ოციან და ოცდაათიან წლებში. კომუნისტებისა და ტროცკისტებისათვის რელიგია იყო მთავარი სამიზნე, რომელიც ხელს უშლიდა მათი მიზანთროპული იდეალების რეალიზაციას. ამ ბრძოლაში კომუნიზმი დამარცხდა, ისევე როგორც ფაშიზმი, ხოლო ქრისტიანობა კიდევ უფრო გაძლიერდა და გამყარდა. ნეოლიბერალიზმი ოსტატურად იყენებს და ირგებს სციენტეიზმს, რომელსაც აცხადებს კაცობრიობის უმაღლეს მიღწევად, რაც სავალდებულო და აუცილებელი უნდა გახდეს ყველასთვის. მისთვის მეცნიერებამ უკვე დიდი ხანია გადაფარა და ჩანაცვლა რელიგია, როგორც ცნობიერების უფრო დაბალი ფორმა და ფაქტობრივად დაიკავა მისი ადგილი. XX საუკუნის ადამიანისათვის მეცნიერება გახდა რელიგიის

ახალი ფორმა, რომლის მიღწევები და ტექნოლოგიები იმდენად ღრმად დამკვიდრდადამიანთა ყოფაში, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის არსებობა. მეცნიერება ავიდა იმ დონეზე, რომ უკვე რეალური გახდა ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის არა მარტო გაზრდა, არამედ უკვდავების მიღწევაც, რასაც ემსახურება თანამედროვე გენური ინჟინერია, რომელიც წარმატებით ახორციელებს ადამიანის ცალკეული ორგანოების აღდგენა-განახლებასა და ტრანსპლანტაციას. თანამედროვე მედიცინა განვითარდა იმ დონემდე, რომ მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ადამიანისათვის სქესის შეცვლა, რაც ნეოლიბერალების აზრით დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის არჩევანსა და ნება-სურვილზე. ყველაზე საგანგაშო და დამაფიქრებელი ამ მიმართულებით ისაა, რომ ნეოლიბერალები მსგავს ტრანსფორმაციებს ნერგავენ არასრულწლოვანთა შორის, რაშიაც კატეგორიულად იკრძალება მშობლების ჩარევა. საკმარისია არასრულწლოვანმა განაცხადოს და მიმართოს სამედიცინო კლინიკებს სქესის შეცვლის შესახებ, რომ მისი თხოვნა სასწრაფოდ იქნება დაკმაყოფილებული. მსგავსი მეტამორფოზის შესახებ იხარჯება მილიონობით დოლარები, რომლებიც ბიუჯეტიდან იფარება და ზედმეტად ტვირთად აწევა გადასახადების გადამხდელთა ჯიბეს. ყველაზე შემადრწუნებელი ამ ამბებში ისაა, რომ არასრულწლოვანებს უმეტეს შემთხვევაში გაცნობიერებული არცა აქვთ საკუთარი არჩევანის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც ხშირად სავალალოდ მთავრდება თავად არასრულწლოვანთათვის, რადგან ბუნება, ფიზიოლოგია ვერ ითმენს, ვერ ეგუება მსგავს ჩარევებს, რაც ტრაგიკულად მთავრდება ტრანსფორმაციის ობიექტებისთვის.

ლიბერალური ტოტალიტარიზმი ინტერნაციონალურია და განკუთვნილია არა რომელიმე გამორჩეული, განსაკუთრებული თვისებების მატარებელი ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის განურჩევლად რასისა და ეთნიკური წარმომავლობისა. ამ მხრივ იგი განსხვავებულია გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისგან, რომელიც მხოლოდ არიული რასისათვის ისახავდა მიზნად სოციალიზმის სიკეთეების მოხმარებას. ნეოლიბერალიზმი გარეგნულად თითქოსდა ქადაგებს ხალხთა შორის თანასწორობას, მაგრამ სინამდვილეში იგი მისი წინააღმდეგია, რადგან ყველა იმ ხალხსა და ეთნოსს, რომელიც ნეოლიბერალური იდეოლოგიის მონინააღმდეგეა, ჩამორჩენილისა და ჰო-



მოფობის იარლიყს აკრავს, რითაც მათ არასრულფასოვნებასა და არასრულყოფილებაზე მიუთითებს. მსგავსი მიდგომები განსაკუთრებით თვალმისაცემია მართლმადიდებლების, მუსლიმებისა და სხვა ტრადიციული კონფესიების მისამართით, რომლებიც მტკიცედ იცავენ საკუთარ ღირებულებებსა და რწმენას, რაც საპირისპირო და განსხვავებულია ლიბერალური ფსევდოღირებულებებისგან.

ლიბერალური ტოტალიტარიზმი საკუთარი პოზიციების გასამყარებლად იყენებს მილიტარიზმს, რითაც დიდად არ განსხვავდება კლასიკური ტოტალიტარიზმის ფორმებისგან. სადაო საკითხების გადაწყვეტა მასაც იარაღის გამოყენებით ურჩევნია, რომლის დროსაც ცდილობს მონინააღმდეგის შესუსტებასა და განადგურებას. ხელისუფლებაში იგი მოდის ყბადაღებული ფერადი რევოლუციების მეშვეობით, რის მაგალითსაც წარმოადგენს უკრაინაში, საქართველოსა და ყაზახეთში განვითარებული მოვლენები, სადაც გამოყენებული იქნა იარაღი, თვით საკუთარი მომხრეების წინააღმდეგ, რათა ამ გზით მიეღწიათ მასების რადიკალიზაციასა და ვითარების უკიდურეს გამწვავებას, რაც საბოლოო ჯამში, ძველი ხელისუფლების დამხობითა და ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ძალაუფლების დამყარებით დასრულდა, რომელმაც მალე ტოტალიტარული რეჟიმის სახე მიიღო. ლიბერალური ტოტალიტარიზმი იმითაც ჰგავს ფაშიზმსა და კომუნისტებს, რომ არ სჯერდება ძალაუფლების ხელშიჩაგდებას ერთ რომელიმე ქვეყანაში და ცდილობს მის გავრცელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ახასიათებს პლანეტარული ჰემონიზმი, რითაც გამოირჩეოდნენ კლასიკური ტოტალიტარიზმის ფორმები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალურ ტოტალიტარიზმს აქვს ნეოლიბერალური იდეოლოგიის ფორმა, რომელიც XXI საუკუნის ყველაზე აგრესიულ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ამით მტკიცდება, რომ თეზისი იდეოლოგიური ბრძოლების ამონაურვის შესახებ, რაც ამერიკელ ფილოსოფიის ს. ჰანტინგტონს ეკუთვნის, რბილად რომ ვთქვათ გადახედვას ექვემდებარება, რადგან იდეოლოგიური დაპირისპირებები კი არ ქრებიან, არამედ უფრო მძაფრდებიან და ახალ სასიცოცხლო ენერჯიას იძენენ. ამისი მაგალითია ნეოლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის ბრძოლა, რითაც გამსჭვალულია თანამედროვე ეპოქის პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ა. შ. პერიპეტიები. ყოველი იდეოლოგიის უკან გარკვეული ღირებულებ-

ბები დგას, რაც იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიის ხერხემალს აქსიოლოგია წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიო ღირებულებათა ბრძოლის ასპარეზია, სადაც ნეოლიბერალურ აქსიოლოგიას სხვა, უფრო პროგრესული აქსიოლოგიები უპირისპირდება, რასაც ისტორიის ლოკომოტივი არა ისტორიის დასასრულისკენ, არამედ ახალი ჰორიზონტების დასალაშქრავად მიჰყავს.

---

---

**Teimuraz Pachulia** – Doctor of Philosophical Science. Works on social philosophy, history of philosophy, culturology, axiology, political science, ethics, aesthetics, geopolitics. Has published more than 100 papers and articles, including 5 monographs. Author of 12 novels and 2 collections of poetry, is an academician of the Academy of Philosophy, an academician of the Georgian Academy of Criminology, a member of the Creative Union of Writers of Georgia.

---

---

## **Liberal totalitarianism**

### **Abstract**

Totalitarianism, which many philosophers, sociologists, historians, and political scientists thought belonged to history, revived again in the XXI century in the form of neoliberalism and gained wide spread.

It has in common with classical totalitarianism such signs as – concentration of power, vohzdism, servility, mono-partyism, terror, atheism, scientism, internationalism, militarism, hegemonicism, which it does not present openly, but masks with an imaginary facade of democracy.

In the form of liberal totalitarianism, we are dealing not with the end of the ideological confrontation, but with the rekindling of it in a new form and scale, which is one of the main conflicts of the modern world.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.*

---

**გურამ აბესაძე** – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელი; მრავალი სამეცნიერო ნაშრომის (90-ზე მეტი) ავტორი პოლიტიკის თეორიაში, მათ შორის გამოირჩევა მონოგრაფია: „პოლიტიკური კულტურა: კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები“ (2015), რომელშიც თანამედროვეობის ბევრი აქტუალური პრობლემაა განხილული.

**ნოდარ აბესაძე** – სოციალური მეცნიერებების დოქტორი, 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობების საკითხებზე; მისი კვლევითი თემა ეხება საქართველოს ეკლესიის როლს თანამედროვე ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში.

---

## **სოციალიზაცია და პოლიტიკური ერის ფორმირება საქართველოში**

თანამედროვე მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკურ ტრანზიციის თავისებურებები საქართველოში სოციალიზაციის პრობლემას სრულიად ახალ განზომილებას ანიჭებს. პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე მოდელი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს და რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებს; შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის პოლიტიკური სოციალიზაცია რაციონალურობისა და იდენტობის ელემენტების დეგრადირებას განიცდის, რომელიც მისი კრიზისის მაჩვენებელია. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება უმნიშვნელოვანესი გამოწვევების წინაშე აყენებს სოციალიზაციის აგენტებს. მთავარ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირება, რომელიც უპირველესად ევროპული ღირებულებების გაზიარებასა და ეროვნულ პირობებში მის რაციონალურ გამოყენებას გულისხმობს; იგი სოციალიზაციის შედეგად ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესს წარმოადგენს, რომლის შედეგი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო იდენტობის ფორმირება უნდა იყოს. ამდენად, პოლიტიკური ერი – ეს არის სახელმწიფოებრივ და სამოქალაქო იდენტობაზე დამყარებული ერთობა; ეს პრობლემა სოციალიზაციის პროცესში წინა პლანზე დგას, რადგანაც ევროპული ინტეგრაცია მკაცრ ღირებულებით მოთხოვნებს აყენებს. ამიტომ, სო-

ციალიზაცია და პოლიტიკური ერის ფორმირება პოლიტიკური მეცნიერებების უმნიშვნელოვანეს პრობლემად გადაიქცა.

მსოფლიო წესრიგის ცვლილებამ და გეოპოლიტიკურმა გამონვევებმა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ეროვნული იდენტობის პრობლემა პრიორიტეტულ პროცესად აქცია; მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმა რადიკალურად ცვლის ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და მისი ტრანზიციის კრიტერიუმებს, რომლებსაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე გაგებაში. ის ერები, რომლებიც უმკლავდებიან პოლიტიკურ ტრანზიციას, უფრო რაციონალურ მიმართულებას აძლევენ ერის სოციალიზაციის პროცესს. პოლიტიკური სოციალიზაცია ისეთი პროცესია, რომლის გარეშე ერის პოლიტიკური გარდაქმნა და სოციალური მეობის ახლებური გააზრება შეუძლებელია. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ორი დროითი ფაქტორი მოქმედებს: პირველი, შიდასახელმწიფოებრივი განვითარების ტენდენციები, რომლებიც ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რაციონალური და ირაციონალური პროცესების თანაფარდობით განისაზღვრება და მეორე, საგარეო ფაქტორებით, რომლებსაც მსოფლიო წესრიგის ცვლილებები და ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიციები განსაზღვრავს. ამიტომ, ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელი თავისი ინსტიტუციური და ლირებულებითი ცვლილებებით გამოირჩევა. **შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაცია – ეს არის ახალი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ინსტიტუციურ და კულტურულ-იდეოლოგიურ ტრანზიციას ემყარება და მიზნად ისახავს პოლიტიკური ერის ფორმირებას. ე.ი. პოლიტიკური სოციალიზაცია ერის პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას წარმოადგენს, რომლის აგენტები არსებული პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურით განისაზღვრება.**<sup>1</sup>

პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე მოდელის ირაციონალურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ერმა პოლიტიკურ

---

<sup>1</sup> გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. იანვარი-ივნისი, N1, 2022, გვ.32. /ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. [www.b-k.ge/https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/](http://www.b-k.ge/https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/)

ტრანზიციიაში ვერ გამოკვეთა თავისი პოლიტიკური მეობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე რთული პროცესი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა აღმოჩნდა. ქართველმა ერმა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში ვერ მოახდინა საკუთარი თავის ადაპტაცია და პოლიტიკური ფუნქციის აღდგენა. პოლიტიკური ფუნქციის აღდგენაში ვგულისხმობთ ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებას, რომელიც პოლიტიკური ერის არსებითი განზომილებაა. ამას თან დაერთვის კიდევ ერთი მეტად საშიში ტენდენცია, როდესაც ერი ზედმეტად დაკავებულია შიდა პოლიტიკური დაპირისპირებით და საგარეო საფრთხეები და გამოწვევები მთელი სერიოზულობით არ აღიქმება; ეროვნული თვითგადარჩენის რისკები და გამოწვევები უფრო და უფრო იზრდება, რაც სათანადოდ არ არის შეფასებული ერის პოლიტიკური ელიტის მიერ ე.ი. თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრება პოლიტიკური სოციალიზაციის განმსაზღვრელ განზომილებად ვერ გადაიქცა, რომლის შედეგადაც ქართველი ერი თანდათანობით კარგავს თავისი თვითდამკვიდრების ელემენტებს. სწორედ ეს არის თანამედროვე ქართველი ერის სოციალიზაციის კრიზისის მაჩვენებელი პარადიგმა, რომელიც სერიოზულ ტრანზიციას საჭიროებს.

პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე მოდელის უმნიშვნელოვანესი პარადიგმა უნდა გახდეს პოლიტიკური ერის ფორმირება საქართველოში. ეს არის პოლიტიკური მეობის კრიტერიუმებით შექმნილი და შეკავშირებული ერთობა, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი პოლიტიკურ-ისტორიული მისია და უმკლავდება პოლიტიკური დროის გამოწვევებს. პოლიტიკური ერი სამოქალაქო კულტურული რეზერვებით მაღალ დონეს ემყარება და პოლიტიკურ სივრცეში სტაბილური დემოკრატიულობით გამოირჩევა. ქართველი ერი ჯერჯერობით ვერ ამაღლდა პოლიტიკური ერის გაგებამდე, რადგანაც ეროვნული მეობის გააზრების კულტურა ძალიან დაბალია.

პოლიტიკური ერი სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და სტაბილური პოლიტიკური სივრცის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ერი პოლიტიკურ თვითმყოფად განვითარებასა და სრულყოფილ ინტეგრაციას პოლიტიკურ სივრცეში აღწევს, რომლის ინსტიტუციური და ღირებულებითი გამოხატულებაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული პოლიტიკური იდენტობის გააზრება.

პოლიტიკური ერის უპირველესი ნიშანია პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი დონე და პოლიტიკური საზოგადოების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას; მას ახასიათებს სამოქალაქო კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები, რომლებიც სოციუმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრაგმატულობაში გამოვლინდება.

პოლიტიკური ერის ფორმირების ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება, რომელშიც თითოეული ერის გენეტიკური და „ისტორიის ერთობით“ თანაცხოვრების ფორმები, ღირებულებითი და ინტელექტუალურ-კულტურული თვითდამკვიდრების პრიორიტეტები აისახება. ერის პოლიტიკური ინტერესები, სასიცოცხლო ღირებულებითი პრიორიტეტები, ისტორიული თანაცხოვრების ფორმები და გენეტიკური ტრადიციები ეროვნულ ცნობიერებაში აისახება და თვითდამკვიდრების პროცესში თანდათანობით გამოვლინდება. ეროვნულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ერის პოლიტიკური ინტერესები და მიზნები აისახება, რომლებიც ეროვნული პოლიტიკური იდეოლოგიის სახეს იღებს; ეროვნულ პოლიტიკურ იდეოლოგიაში ერის თვითმყოფადი განვითარების იდეები, კონცეფციები, პარადიგმები და მოდელებია გადმოცემული. პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი მყარი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ეროვნული პოლიტიკურ-ღირებულებითი და კულტურულ-ინტელექტუალური სივრცე ქმნის.

სახელმწიფოებრიობა პოლიტიკური ერის ფორმირების ძირითადი ინსტიტუციური და კულტურულ-ღირებულებითი პირობაა, მაგრამ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება ჩამორჩება პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესების მოთხოვნებს; ქართული სახელმწიფო პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეს უნდა ემყარებოდეს. სამწუხაროდ, გოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი-საგან მიღებულმა მემკვიდრეობამ მძიმე კვალი დაამჩნია ქართულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. დამკვიდრდა ე.წ. „მტრის ხატი“-სა და „კლასობრივი მტრის“ სინდრომი, რომელიც არა მხოლოდ სოციუმში, არამედ პოლიტიკურ ელიტაშიც გამოვლინდება და პერმანენტული პროცესის ხასიათს იძენს. განსაკუთრებით, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს აფერხებს საზოგადოების პოლარიზების გაღრმავება, რასაც პოლიტიკური ძალების ნაწილი ახდენს. ინტეგრაციის გარეშე

პოლიტიკური ერი ვერ უზრუნველყოფს თავისი მისიის შესრულებას და უცხო ძალების მოსამსახურე ერად იქცევა. ეს საფრთხე უკვე რეალურად ჩანს, რომელიც პოლიტიკური იდენტობის ფორმებს უკარგავს ქართველობას.

პოლიტიკური ინსტიტუციური და ღირებულებითი წესრიგი და სტაბილურობა სახელმწიფოებრივი ერის ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ერის თვითრეალიზაციის ფორმებს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ერი ფორმირების პროცესშია, რაც გარკვეულ პოლიტიკურ წესრიგს ემყარება; ეს წესრიგი კი ინსტიტუციურად არამდგრადია და მოსალოდნელი არასტაბილურობის ელემენტებს ყოველთვის მოიცავს; სამწუხაროდ, პოლიტიკური სისტემა, რომელიც ინსტიტუციურად და კულტურულ-იდეოლოგიურად სუსტია, პოლიტიკური გაუცხოების პერმანენტულ საშიშროებას წარმოშობს; ასეთი არასტაბილურობის საშიშროების სინდრომი თანამედროვე პოლიტიკური ერის ფორმირებას ხელს უშლის და აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი თავისთავად დაკავშირებულია პოლიტიკური საზოგადოების არსებობასთან, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჯერჯერობით სუსტია. პოლიტიკური საზოგადოება – ეს არის ინსტიტუციურად მდგრადი და სახელმწიფოებრივად ინტეგრირებულ ადამიანთა ერთობა, რომელიც თავის პოლიტიკურ მისწრაფებებს რაციონალურობასა და პრაგმატიზმზე აგებს და პოლიტიკური დემოკრატიის ძირითად პრინციპად პლურალიზმი და სახელმწიფოებრივი ინტერესები მიაჩნია. პოლიტიკური საზოგადოების ფორმირება პოლიტიკური თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს და ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების დიდ გამოცდილებას ეფუძნება. ქართულ სინამდვილეში მისი სისუსტე გამოვლინდება ირაციონალურობასა და პოლარიზებაში, რომელმაც მუდმივი სინდრომის სახე მიიღო. კლანური პოლარიზება ანგრევს პოლიტიკურ საზოგადოებას და ამკვიდრებს მუდმივი დესტრუქციულობის სინდრომს.

**შიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური ერი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე ერთობას, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური საზოგადოებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მაღალი დონე და პოლიტიკური კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები; პოლიტიკური ერი სამოქალაქო რა-**

ციონალურობის მქონე პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანებაა, რომელიც ფართოდ იყენებს პოლიტიკური ინტეგრაციის მდგრად ინსტიტუციურ ფორმებს და უზრუნველყოფს ლეგიტიმურ პოლიტიკურ წესრიგსა და დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას პოლიტიკურ სივრცეში.<sup>1</sup>

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი მოდელის ფორმირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია ერის პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიცია. პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური გაუმართავობა და პოლარიზება, თავისთავად პოლიტიკური კულტურის დეგრადაციასაც იწვევს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ამკარად იგრძნობა პოლიტიკური კულტურის დეფიციტი, რომელიც უკიდურეს აგრესიულ ფორმებს იძენს. კულტურულმა და ინტელექტუალმა ნიჰილიზმმა ერის პოლიტიკურ-ღირებულებითი სივრცე უაღრესად გააღარიბა. ამიტომაც არის, რომ ექსტრემისტული აზროვნება პოლიტიკური ქცევის ელემენტი გახდა, რომელიც კონსენსუსისა და დიალოგის კულტურას გამოირიცხავს. პოლიტიკური კულტურიზაციისა და სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ნაბაძვას. ქართულ სინამდვილეში, პოლიტიკურ პროცესში ისეთი აქტორები არიან წინა პლანზე წამოწეულნი, რომლებიც თავისი პოლიტიკური და ინტელექტუალური დონით არ გამოირჩევიან და დესტრუქციული ქცევებით სურთ პოლიტიკური თვითდამკვიდრება. სამწუხაროდ, საზოგადოების ექსტრემისტული ნაწილიც ამ ნაბაძვით ამკვიდრებს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის სტილს. ასეთი სიტუაცია აფერხებს პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესს საქართველოში.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი მკვეთრად ცვლის პოლიტიკური ერის თვითდამკვიდრების კრიტერიუმებსა და მიდგომებს. ახალი წესრიგის უპირველესი ნიშანი გახდა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომლებიც სამხრეთკავკასიურ რეგიონსაც შეეხო. ამასთან ერთად, იზრდება დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა, რომელმაც წინა პლანზე ერი-სახელმწიფოების მა-

---

<sup>1</sup> გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. ტ. XIX. 2020-2021 წელი, თბ. 2023, გვ. 678.

DOI: <https://doi.org/10.52340/sou.2023.19.43>



ნიპულირების სხვადასხვა იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური ფორმა და საშუალება წამოსწია; საერთაშორისო პოლიტიკაში განსაკუთრებით გააქტიურდა რელიგიური ფაქტორი, რომელიც ზენოლის – ე.წ. „რბილი ძალის“ ერთ-ერთი იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ელემენტი გახდა. ასეთ სიტუაციაში, საქართველოს ეკლესიის როლი, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მკვეთრად იზრდება, რაც უალრესად განონასწორებულ და დიალოგზე აგებულ ურთიერთობებს გულისხმობს. **ერთი მხრივ**, ტრანსპლანტაციური პროცესების გაძლიერებით, სახეზეა მართლმადიდებლური ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული ღირებულებითი სივრცის უცხო ელემენტებით გაჯერება; **მეორე მხრივ**, თვით საქართველოს ეკლესიის გამოყენებით მოხდეს ეროვნული ორიენტაციის შეცვლა და ზესახელმწიფოების მიერ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევა. ამ გაგებით, საქართველოს ეკლესიის გეოპოლიტიკური კონტექსტი უფრო უნდა გამოიკვეთოს და გაძლიერდეს. ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფონზე თანამედროვე სამყაროში ყველაზე მწვავე პრობლემას მშვიდობისათვის ზრუნვა წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ეკლესია უპირველეს ამოცანად მიიჩნევს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საშობაო ეპისტოლეში მიუთითებს, რომ „**სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის**“.<sup>1</sup>

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ღირებულებით ტრანსფორმაციებს თავისი რაციონალური და პრაგმატული მიდგომებით უმკლავდება და ღირსეულად იცავს ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების ტრადიციულ გენეტიკურ-ღირებულებით ფორმებს. ქართული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელიც ევროპულ ღირებულებებთან დაახლოებას გულისხმობს, მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ მენტალურ და რელიგიურ ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს. საქართველოს ეკლესია

---

<sup>1</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2024. <https://www.interpressnews.ge/ka/article/783499-patriarkis-sashobao-epistole>

არ იზიარებს ზედმეტ ტრანსპლანტაციურ ღირებულებით პროცესებს, რომლებიც უპირისპირდება ეროვნულ-პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ქართველი პოლიტიკური ერი ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველზე გამოხატავს თავის პოლიტიკურ-აქტორულ პოზიციასა და ფუნქციურ თავისთავადობას მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სამობაო ეპისტოლე. 2024. <https://www.interpressnews.ge/ka/article/783499-patriarkis-sashobao-epistole>

2. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. ტ. XIX. 2020-2021 წელი, თბ. 2023, გვ. 669-681. DOI: <https://doi.org/10.52340/sou.2023.19.43>

3. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. იანვარი-ივნისი, N1, 2022, გვ.31-39 /ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. [www.b-k.ge](http://www.b-k.ge) <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/>

4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირება. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეექვსე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა Corpe diem. თბ., 2022, გვ. 52-62 <https://scholar.google.com/citations?user=Wd5WQU8AAAAJ&hl=en&authuser=9>

5. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N2, 2023, გვ. 25-34 /ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. [www.b-k.ge](http://www.b-k.ge) <http://ojs.bk.ge/index.php/bk/article/view/806>

6. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პრაგმატიზმი-პოლიტიკური ტრანზიციის პარადიგმა. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N3, 2023, გვ. 7-12

/ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar.  
[www.b-k.ge](http://www.b-k.ge) <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/820/794/>

---

---

**Guram Abesadze** – Doctor of Political Sciences, Professor of Sukhumi State University, Head of the Department of Political Sciences; Author of more than 90 scientific works in political theory and comparative politics.

**Nodar Abesadze** – doctor of social sciences, author of more than 30 scientific works on the issues of religion and politics; His research topic concerns the role of the Georgian Church in the process of forming the modern national-political identity.

---

---

## **Socialization and formation of a political nation in Georgia**

### **Astragt**

In modern Georgia, political socialization is a determining condition for the transition of the political nation and its identity. Two factors affect modern political socialization: 1. rational and irrational processes of domestic political transition and 2. the change of the world order, which is characterized by a new geopolitical transition. The modern Georgian model of political socialization is the process of institutional and cultural-ideological changes of the political system, the goal of which is the political transformation of the nation.

The process of European integration requires the formation of a political nation. The modern Georgian political space is highly polarized, which prevents the process of forming a political nation. The formation of state consciousness should become the main characteristic of the nation. Achieving national consolidation and integration remains a problem. The modern political nation in Georgia is a multi-cultural and poly-ethnic unity; Its main feature is state thinking and civic identity. The most important actor in the formation of the political nation is the Georgian Orthodox Church.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.*

---

---

**ტატანა გვილავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის ასპირანტი. გააჩნია დიდი პედაგოგიური გამოცდილება სხვადასხვა დონეზე. აქვს გამოცემული მეცნიერული ნაშრომები როგორც ფილოლოგიის დარგში, ასევე გენდერულ საკითხებთან მიმართებაში.

---

---

## **საქართველო- ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა – გამოწვევები და პერსპექტივები**

2023 წელი საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგა. როგორც ცნობილია, ამა წლის დეკემბერში საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის. სწორედ ამგვარი პროცესების პარალელურად, ქართულმა სახელმწიფომ გადააღწია ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ქვეყანამ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა ჩინეთთან. როგორც ვიცით, ჩინეთი რეგიონის და მათ შორის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა, როგორც პოლიტიკური გავლენების, სამხედრო თუ ეკონომიკური შესაძლებლობებით. რა თქმა უნდა, ეკონომიკურად ასეთ მძლავრ სახელმწიფოსთან სტრატეგიული პარტნიორობა ბევრ შესაძლებლობას უხსნის ქვეყანას. ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო არის სახელმწიფო, რომელესაც სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება აკავშირებს ორ სახელმწიფოსთან: ამერიკასთან და ჩინეთთან. რასკვირველია, ისევე როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე მის შიგნით არ წყდება დავა, კამათი ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ავკარგიანობაზე. მაგრამ ფაქტია, ქვეყანამ ნაბიჯები უკვე გადააგდო და ახლა მთავარია ამ ყველაფრისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გლობალურ და რეგიონალურ პოლიტიკურ ამინდს, სადაც ახლა არსებობა გვიწევს. საინტერესოა, საბოლოო ჯამში სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთთან რა დივიდენდებსა და გამოწვევებს მოუტანს საქართველოს.

საქართველოსა და ჩინეთს შორის დადებული სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება მოიცავს ოთხ ძირითად და საკვანძო საკითხს, ესენია: ეკონომიკური საკითხი, გლობალური ანუ საერთაშორისო, ორი ქვეყნის ხალხებს შორის კულტურის გაღრმავება და პოლიტიკური განზომილება. ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, სტრატეგიული პარტნიორობის პირობებში უმნიშვნელოვანესია ორივე ქვეყანამ აღიაროს ერთმანეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. საქართველომ აშკარა მხარდაჭერა დააფიქსირა ერთიანი ჩინეთის პოლიტიკის მიმართულებით. საპირისპიროდ საქართველომაც მიიღო ჩინეთისგან პატივისცემა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოც და ჩინეთიც საკუთარი საგარეო პოლიტიკის განვითარებას ერთმანეთთან ურთიერთობაში ხედავენ, რაც პარტნიორობის ხელშეკრულებაშიცაა გათვალისწინებული.

როდესაც ვსაუბრობთ ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, რა თქმა უნდა, ამ შეთანხმების ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი, ეკონომიკური ნაწილია. მოგეხსენებათ ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი ეკონომიკის მატარებელი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში და მისი განვითარების ტემპები სულ უფრო და უფრო მზარდია. შესაბამისად საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ჩინეთისნაირ ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, მათი გამოცდილების გაზიარება და ათვისება, რაც ქვეყანას ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდაში დაეხმარება. ჩინეთზე და მის ეკონომიკაზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს აბრეშუმის გზა. მოგეხსენებათ, ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოვლენის ნაწილია საქართველოც. სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „სარტყელი და გზის“ პოლიტიკის მხარდაჭერა ორივე მხრიდან. ეს პროექტი 2013 წელს შეიმუშავა ჩინურმა მხარემ აბრეშუმის გზის ალტერნატიულ გზასთან დაკავშირებით. ეს პროექტი ითვალისწინებს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის აღდგენას. რაც ჩინეთსა და რეგიონის ქვეყნებს მთელ რიგ ეკონომიკურ პროგრესს მოუტანდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მრავალრიცხოვანი პროდუქტის შეთავაზება შეუძლია მთელი მსოფლიოსთვის, მაგალითად: ჩაი, ციტრუსი, თხილეული, და

რაც მთავარია, როგორც ვაზის სამშობლოს, საქართველოს ექსპორტზე ღვინის გატანა შეუძლია. ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულება კი საქართველოს აძლევს საშუალებას თავისი პროდუქცია გაიტანოს ჩინურ ბაზარზე, რაც ბუნებრივია ქვეყნის ეკონომიკური ნახალისება- განვითარებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. პლუს, ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ ჩინური საზოგადოების სიმრავლეს, ქართული ეკონომიკის მოგების შანსები ერთი-ორად იზრდება.

როგორც ჩინეთი, ასევე საქართველო უძველესი კულტურის ქვეყნებია. ჩინეთი აზიის ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეული კულტურის მატარებელი სახელმწიფოა. ასევე საქართველოც ერთ-ერთი გამორჩეული ევროპული ცივილიზაციაა, რომელიც არ დაგვავიწყდეს, ძველი წელთაღრიცხვით მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ურთულესი ტურბულენტობის ფონზე ცდილობდა იდენტობა შეენარჩუნებინა და ახერხებდა ამ ყველაფერს. ასეთი ისტორიული ბეგრაუნდის შემდეგ, რა თქმა უნდა სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ხალხთაშორისი კულტურული დაახლოება და იდეების გაცვლა უმნიშვნელოვანესია. თანამედროვე სამყაროში ჩინეთი სუპერ სახელმწიფოს სტატუსთან ალბათ, ძალიან ახლოსაა, შესაბამისად მათგან საქართველოს ბევრი რამის სწავლა შეუძლია ,მაგრამ ასევე ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ მაგალითი მათთვის თუ როგორ შეიძლება ასეთმა პატარა ქვეყანამ შექმნას იმხელა ისტორია, როგორიც ბევრ მეტად დიდ სახელმწიფოებს ვერც კი წარმოუდგენიათ.

საერთაშორისო თვალსაზრისითაც ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ისინი მხარს დაუჭერენ გაეროს ფუნდამენტური წესების დაცვასა და პატივისცემას ასევე, ახალი ნორმების დანერგვას, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიო მშვიდობის მხარდაჭერისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამ კუთხით მართლაც შეუძლია გამოცდილება გაუზიაროს ჩინეთს. საქართველომ რეგიონალური მშვიდობისათვის ბრძოლაში საკმაოდ დიდი დიპლომატიური ვწვლილი შეიტანა, როდესაც სამხედრო კონფლიქტში მყოფ სომხებსა და აზერბაიჯანელებს მოლაპარაკების მაგიდასთან შუამავლობა შესთავაზა. უნდა ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული ეს პროცესები იყო საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული რეგიონში. ქვეყანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონალური სიმშვიდის ხელშეწყობაში. არ დაგვავიწყდეს სამხრეთ კავკასიაში სიმშვიდე

და სტაბილურობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთი შეიჭრა. რასაკვირველია, საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობები უმთავრესია, ამ პროცესებმა არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ გლობალური მნიშვნელობა და ინტერესი დამსახურა.

საქართველო სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ნმადვილად გამორჩეული სახელმწიფოა. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა გააჩნია როგორც ამერიკასთან, ასევე ჩინეთთან. ის მთელ რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს, როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან, ასევე ჩინეთთან. საქართველოს ნაბიჯს ჩინეთთან დაკავშირებით სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მაინც რატომ მოჰყვა ასეთი რეაქცია ამ პროცესებს? მთავარი კითხვა, რაც სკეპტიკოსებს უჩნდებათ, რა თქმა უნდა, არის ის, რომ შეიცვლება თუარა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია? ისმება კითხვა- შეძლებს კი საქართველო ორ სკამზე ჯდომას?- იგულისხმება ამერიკასა და ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა. ჩემი აზრით, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს უზენაესი კანონი, კონსტიტუცია, სადაც ნათალადაა ჩანანერი გაკეთებული, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს ევრო- ატლანტიკური ინტეგრაცია, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ქვეყნის ორიენტაცია განსაზღვრულია და დაცულია კონსტიტუციით.

ჩინეთთან ურთიერთობების ახალ ეტაპს კითხვის ნიშნები მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოებაში, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კუთხით. მაგალითად, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო „სარტყელისა და გზის“ პოლიტიკას უჭერს მხარს, ეს პოზიცია განსხვავდება მთელი რიგი სახელმწიფოების აზრისგან. ისინი თვლიან, რომ ჩინეთი ამ კუთხით ცდილობს მიიღოს ჰეგემონია რეგიონში, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კუთხით და ორივე თვალსაზრისით რეგიონის ნქვეყნები ჩინეთზე დამოკიდებული გახდებიან.

„თუკიდდეს ხაფანგის“ პირობებში, რაც გულისხმობს ამომავალი ძალის დაპირისპირებას არსებული ძალის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ჩინეთის დაწინაურება რეგიონში არ მოსწონს ამერიკას. საბო-

ლოოდ თუკიდიდეს ხაფანგის პირობებში ბევრი გამოწვევაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და საერთაშორისო. მაგალითისთვის, ჩინეთი, რომელიც გაეროს მუდმივმოქმედი წევრი ქვეყანაა, ცდილობს თავისი როლი უფრო გაზარდოს გაეროსა და შესაბამისად, საერთაშორისო პოლიტიკაში. ეკონომიკურად ამერიკაც და ჩინეთიც უმძლავრესი სახელმწიფოებია და მუდმივად კონკურენციაში არიან. ამ ყველაფრის ფონზე თუკიდიდეს ხაფანგმა საქართველომდეც მოაღწია. დაპირისპირება ამომავალ ძალებსა და არსებულ ძალებს შორის თავისებურად საქართველოზეც გადის. ყველაფერთან ერთად, საქართველო ორივე აღნიშნული სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორია. იმის ფონზე, როდესაც ურსულა ფონ დერ ლაინმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა, საქართველოს მისცა რეკომენდაცია კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ამას მოჰყვა საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება. სულ მალე კი ევროკავშირმა მოითხოვა ჩინეთის პოლიტიკის დაბალანსება მსოფლიოში და გარკვევა იმისა თუ რას ილწვის ეს სახელმწიფო. პროცესები საქართველოს ირგვლივ მართლაც საკმაოდ კომპლექსურია, სადაც საქიროა ბალანსის დაცვა.

ხშირად გარკვეული ჯგუფები აპელირებენ, რომ საქართველოს უკვე ჰყავდა სტრატეგიული პარტნიორი და შესაბამისად ეს გაურკვევლობაში აგდებს ქვეყანას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად ამერიკა ცდილობს სტაბილური ურთიერთობა ჰქონდეს ჩინეთთან, ასევე ახლახანს სინ ძინპინი ამერიკაშიც იმყოფებოდა. შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობა ჩინეთთან არ უნდა უშლიდეს ხელს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. და რაც მთავარია, მითითება სუვერენულ სახელმწიფოზე იმასთან დაკავშირებით ვის უნდა ეურთიერთოს და ვის არა, უკვე შიდა საქმეებში ჩარევაა, რაც დემოკრატიულ საზოგადოებას არ ახასიათებს. ბოლოს და ბოლოს ევრო ატლანტიკური სივრცე ხომ ზუსტად ის სივრცეა, სადაც სუვერენიტეტსა და დემოკრაციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

დასკვნის სახით აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ საქართველო ძალიან საინტერესო პროცესებშია ჩაბმული. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საინტერესო ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან არ ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვანი“ ორ სკამზე ჯდომის“ პოლიტიკის პირობებში არის ბალანსის დაცვა. რაც გუ-



ლისხმობს ერთის მხრივ, მაქსიმალურად გამოყენებას ყველა შესაძლებლობისა, რათა განვითარდეს ქვეყანა და მისი პოზიციები გაძლიერდეს და რაც მთავარია, დავიცვათ ხალხის ნება და კონსტიტუცია, რაც გულისხმობს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. გამონწევები მართლაც დიდია, „თუკიდიდეს ხაფანგიც“ ასე ახლოდან არასდროს გვინახავს, როგორც ახლა, შესაბამისად, გააზრებული, წინდახედული პოლიტიკა საშუალებას მისცემს ქვეყანას ამ პროცესებიდან ბევრად ძლიერი და დამოუკიდებელი გამოვიდეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პერტაია, ლ. (2023, აგვისტო 1). საქართველოს 6 პრობლემა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაში. ალბუღია: <https://www.radiotavisupleba.ge/>
2. გუჯაბიძე, ს. (2023, აგვისტო 9). ი. ლარიბაშვილის შეხვედრა ჩინეთის „სამაგალითო ლიდერთან“ და სტრატეგიული პარტნიორობა. ალბუღია: <https://www.amerikishma.com/a/strategic-partnership-between-georgia-and-china/7217390.html>
3. ჭიკაიძე, შ. (2023, აგვისტო 1). საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა: არაფერი და ყველაფერი. ალბუღია.

---

---

*Tatiana Gvilava* – PHD candidate of Georgia technical university social science. Aspirant of the faculty of Georgian philology in Shota Rustaveli scientific academy. She has huge pedagogical experience on the different levels. She also has researches in philological issues also gender and political issues.

---

---

## **Strategic partnership between Georgia and China – perspectives and challenges**

### **Abstract**

For our country the new strategic partnership with China is the most interesting, challenging and may be controversial step in our foreign policy. Of course it has so many advantages and as I have already mentioned some challenges, especially in terms of strategic relationship with United States. Why is so challenging? Because in contemporary world Thucydides trap is so harsh. As we know Thucydides trap is a political process when rising power challenges existed power. And now Georgia has strategic partnership with both of them, China and United States. Strategic partnership with China has important context especially after Georgia gain recommendation for the candidate status from Euro commission. For our country is extremely important to catch balance between this two strategic partnership and gain more benefits and avoid some misunderstandings. One of the most interesting question is that can such a small country as Georgia has a two strategic partner and will be a successful it. We have lots of questions that need answers. But most interesting and challenging is how Georgia could catch balance.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებაში.*

**სოციოლოგია და სოციალური  
ფსიქოლოგია**

**SOCIOLOGY AND SOCIAL  
PSYCHOLOGY**

---

**ამირან ბერძენიშვილი** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

---

## **მასობრივი კომუნიკაციის გავლენა კრიტიკული თეორიის შუქზე**

მასობრივი კომუნიკაციის კვლევების განვითარებაზე სერიოზული გავლენა იმ ნაშრომებმა იქონია, რომლებიც კრიტიკული თეორიის ჩარჩოებში იქნა შესრულებული. მხედველობაში ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტის წამყვანი წარმომადგენლების: მაქს ჰორკჰაიმერის (1895-1975), თეოდორ ადორნოს (1903-1969) და ჰერბერტ მარკუზეს (1898-1979) მოღვაწეობა გვაქვს. ამ ავტორების შრომებში XX საუკუნის პირველი ნახევრის კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის და უფრო ფართოდ სულიერი წარმოების ინსტიტუტების როლის გამოკვლევაა ნაცადი. მათ ანალიზის ისეთი რაკურსი შემოგვთავაზეს, რომელშიც ერთ მთლიანობად: „*მასობრივი კულტურის პროდუქციის „ინდუსტრიული“ წარმოების თავისებურებების, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ტექსტთა შინაარსის სპეციფიკის, აუდიტორიის მიერ მასობრივი კულტურის მასალების აღქმის და ამ დროს წარმოქმნილი სოციალური ეფექტების ანალიზი გაერთიანდა*“ (Назаров, 2003: 82).

კრიტიკული ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმის კვლევას უთმობს, თუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ისევე როგორც სულიერი წარმოების სისტემის სხვა ელემენტები, სიმბოლური ძალადობის, ძალაუფლების და დომინირების რეალიზაციას ხელს როგორ უწყობს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ფრანკფურტის სკოლის თეორეტიკოსების საქმიანობა მნიშვნელოვანი ზომით ფაშიზმის როგორც თანამედროვე ცივილიზაციის ტრაგიკული გამოცდილების გააზრების ამოცანებთან იყო დაკავშირებული. ადორნომ და ჰორკჰაიმერმა ფაშიზმის წარმოშობა ინდუსტრიული კაპიტალიზმის, როგორც ასეთის, „ფაშიზოიდურობას“ დაუკავშირეს. მათი თანამედროვე ეპოქა ძალადობრივი და ტოტალიტარული ტენდენციების ზეობის და, შესაბამისად, ინდივიდისა და მისდა-

მი აპელირებადი კულტურის სრული და საბოლოო დამარცხების პერიოდად წარმოგვიდგება.

### **ფრანკფურტის სკოლა: ადორნო, ჰორკჰაიმერი, მარკუზე**

ჰორკჰაიმერის და ადორნოს ძირითადი ნაშრომი, რომელიც ჩვენი ინტერესის სფეროს, მასობრივ კომუნიკაციას ეხება, „განმანათლებლობის დიალექტიკაა“, რომელიც 1947 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომის ცალკე თავში: – „კულტურის ინდუსტრია: განმანათლებლობა როგორც ტოტალური სიცრუე“ – ავტორები თანამედროვე საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის ადგილსა და როლს სპეციალურად განიხილავენ.

ძირითადი კითხვა, რომელსაც ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები სვამდნენ, თანამედროვე ეპოქაში რაციონალურობის შედეგების შეფასებას ეხებოდა. როგორც ცნობილია, განმანათლებლობის პროექტი, როგორც ის XVIII საუკუნეში მოიაზრებოდა, კაცობრიობის პროგრესის, ადამიანური რაციონალობის შესაძლებლობაზე იყო დაკავშირებული. შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ რაციონალური ძალები გაიმარჯვებდნენ და ბუნების ძალებზე იბატონებდნენ. მეცნიერების მიღწევები აყვავებას მოგივტანს და საზოგადოებაში სამართლიანობის და წესრიგის დამყარება შესაძლებელი იქნება.

განსხვავებული პოზიცია ეკავათ ადორნოს და ჰორკჰაიმერს, რომელთა აზრითაც კაპიტალიზმის პირობებში, ინსტრუმენტალური რაციონალიზმის გამოყენება, სტიმულს უკუტენდენციებს აძლევს. იგულისხმება, რომ ქვეყანა ტექნიკური რეგულირების საგანი, ხოლო თავად ადამიანი – ტექნიკური რაციონალური განვითარების პროცესებზე დამოკიდებული, ამ სამყაროს თავისებური „გაგრძელება“ ხდება. ამავე დროს სოციალური დომინირების ფორმები სულ უფრო დახვეწილი და ეფექტიანი ხდება.

ავტორთა აზრით, ადამიანი მზარდი ტექნიკური რაციონალობის პროცესებზე სულ უფრო დიდი ხარისხით ხდება დამოკიდებული. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება ყველა მისი გამოვლინებებით ადამიანთა იზოლაციით და ყოვლისშემძლე ტექნოლოგიური ფორმების დომინირებით ხასიათდება. ავტორების ცენტრალური დებულება მდგომარეობს შემდეგში, რომ საქონლის, მომსახურების და იდეების მასობრივი წარმოების სისტემა მთლიანობაში, ტექნიკური რაციონა-

ლობისადმი, „კალკულირებულობის“ და მოხმარებისადმი მისი ერთგულებით არსებული სისტემის „ადეკვატურია“. ამ კავშირში მნიშვნელოვან როლს „კულტურის ინდუსტრია“ თამაშობს. აღნიშნული ტერმინი ავტორებმა კულტურული ფორმების ახალი თვისებების დასახასიათებლად გამოიყენეს, რომლებიც მათ მეოცე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული გართობისა და მოხმარების ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად შეიქმნეს. კულტურინდუსტრიის ძლიერება წარმოებულ მოთხოვნილებებთან მისი ერთიანობითაა განპირობებული. გართობა გვიანი კაპიტალიზმის პირობებში შრომის პროლონგაციად(გაგრძელებად) იქცევა. მას ეძებს ის, ვინც ცდილობს მექანიზებული შრომის რიტმს თავი აარიდოს, რათა შემდეგ კვლავაც ამ რიტმის განმგებლობაში მოქცევა შეძლოს.

ადორნო განიხილავს, თუ როგორ შეუწყო ხელი კულტურის ინდუსტრიამ გონების კოლაფსს, კულტურის გაიგივებას „მაღალ ხელოვნებასთან“. ადორნო აღწერს კულტურას, როგორც პროტესტის ფორმას „გაქვავებული ურთიერთობების წინააღმდეგ“ (ადორნო 1991:100), რომლის ქვეშაც ცხოვრობენ ინდივიდები. კულტურის მიზანია შეუძლებელი შესაძლებელი გახადოს, არსებულ სოციალურ პირობებს ალტერნატივა შესთავაზოს. რამდენადაც კულტურა (ხელოვნება)მოგების მოტივისაგან თავისუფალია, მას შეუძლია საკუთარი შინაგანი ლოგიკის მიხედვით განვითარდეს და ამით არსებული სოციალური ყოფიერების კრიტიკა გამოთქვას. მაგრამ მოწინავე საზოგადოებებში კულტურა ინდუსტრიის სინონიმი გახდა და, შესაბამისად, ეფექტური წარმოებისა და სტანდარტიზაციის წესს დაექვემდებარა, რაც უკვე მის დამახასიათებელ ნიშანად იქცა. მასობრივ კულტურასა და ინდივიდს შორის ურთიერთობა გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობას დაემსგავსა. თუმცა, „მომხმარებელი არ არის მეფე, როგორც კულტურის ინდუსტრიას სურს გვჯეროდეს, არა მისი სუბიექტი, არამედ მისი ობიექტია“ (ibid.:99). ინდივიდებს, თავად წარმოების ობიექტებს, საშუალება ეძლევათ მასობრივი წარმოების, წინასწარ შეფუთული იდეები მოიხმარონ, რომლებიც არაკრიტიკულ კონსენსუსს ნერგავს, რითაც დამკვიდრებულ ავტორიტეტს აძლიერებს. ჰიტ სიმღერები და ფილმები არის არა პოპულარული გემოვნების, არამედ მარკეტინგული კომპანიების შექმნილი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ პოტენციურად „დარღვევის“ ალტერნატივების გამორიცხვისას თუ რას მოისმენენ და ნახავენ. იმის გამო, რომ კულტურა ახლა

მანქანის და არა წარმოსახვის პროდუქტია, მას არ შეუძლია კულტურული ინდუსტრიის მიერ წარმოქმნილი მჩაგვრელი შესაბამისობის უარყოფა. არც მასობრივ კულტურას შეუძლია სოციალური ურთიერთობების გაბატონებული ნიმუშები გააკრიტიკოს, რომლებიც, ანალოგიურად, მანქანების წარმოების ანარეკლია. კულტურა აღარ უწყობს ხელს – ის ამშვიდებს: „კულტურის ინდუსტრიის კატეგორიულ იმპერატივს აღარაფერი აქვს საერთო თავისუფლებასთან. კულტურის ინდუსტრიის ძალა ის არის, რომ კონფორმულობამ შეცვალა ცნობიერება. მისგან წარმოშობილი წესრიგი არასოდეს ეწინააღმდეგება იმას, რასაც ის, ადამიანთა რეალური ინტერესების შესაბამისად აცხადებს. (იქვე: 104). მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ინდუსტრია აცხადებს, რომ არის არჩევანის, თავისუფლებისა და ინდივიდუალური იდენტობის მწარმოებელი, ის თავის მომხმარებლებს ტოტალიტარულ, კონფორმისტულ სოციალურ ლანდშაფტს აძლევს. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კულტურის ინდუსტრიაში, ადორნო და ჰორკჰაიმერი არა მხოლოდ წარმოების პროცესს, არამედ საქონლის სტანდარტიზაციას და კულტურული პროდუქციის გავრცელების ხერხებისა და საშუალებების რაციონალიზაციასაც მოიაზრებდნენ. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ კულტურული პროდუქციის უცილობელ და არსებით მახასიათებლებს: სტანდარტიზაცია, მასობრიობა და სტერეოტიპულობა წარმოადგენს. ავტორების მოსაზრების მიხედვით, მატერიალური კულტურის შექმნასა, წარმოებასა და გავრცელებაში მთავარ როლს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები თამაშობს.

ამასთან კავშირში ერთ-ერთი გადამწყვეტი გარემოების სახით, ავტორები მიუთითებენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში, საბაზრო კანონები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა, მათ შორის კულტურის სფეროს განმსაზღვრელი ხდება. ამგვარად, კულტურის მასალები საქონლის ფორმას იძენენ, რომლებიც გასაყიდად და მოგების მოტანის მიზნითაა შექმნილი. მათი ღირებულება მხატვრული ღირსებებით კი არა, არამედ საქონლის წარმოებისა და გაცვლის ლოგიკით განისაზღვრება.

კულტურის ინდუსტრიის უკეთ გასაგებად განვიხილოთ ის შენიშვნა, რომელიც ადორნოს გვიანდელ ნაშრომშია მოცემული. შენიშვნა ტერმინ „მასმედიის“ ინტერპრეტაციას ეხება. მისი აზრით, ტერმინ „მასმედიის“ გამოყენების მიმართ ადორნოს უარყოფითი

დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ ტერმინი მედიის (ანუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები) ჭეშმარიტ არსს ამახინჯებს. მისი აზრით, ტერმინის თავდაპირველი საზრისი ისაა, რომ მასები რომელიღაც სუბიექტად გვევლინება, რომლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეც მიმართულია მედიის საქმიანობაც. სინამდვილეში მასები მხოლოდ ობიექტს წარმოადგენენ. მასები იმას კი არ იღებენ, რაც მათ სურთ, არამედ იმას, რასაც სთავაზობენ. ნაწილობრივ „კულტურის ინდუსტრიის“ ტერმინის გამოყენების საზრისიც სწორედ ამაში მდგომარეობს.

კულტურის ინდუსტრიის ინსტიტუტები, ადორნოს და ჰორკჰაიმერის აზრით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმდენად, რამდენადაც ისინი ფართო მასებში იმ ფასეულებებისა და ღირებულებების გავცრელების ამოცანას ასრულებენ, რომლებიც არსებული სახელმწიფო-მონოპოლისტურ წესრიგის შენარჩუნებასთანაა დაკავშირებული. ერთის მხრივ, ღირებულებების როგორც ასეთის მნიშვნელობის შესუსტების პირობებში ცნობიერების ინდუსტრიამ წარმატებით შეცვალა რელიგია და მეტაფიზიკა, მათ ისეთ მთავარ ფუნქციაშიც კი როგორც ბატონობის ლეგიტიმაცია, ე.ი. დაკანონებაა, გამართლებაა. მეორეს მხრივ, ლიბერალურ – ბურჟუაზიული ღირებულებების ტრანსფორმაცია მოხდა. ამის ერთ-ერთი გამოვლენა კულტურის ინდუსტრიის აპოლოგეტიკასა და ადამიანთა აზრებსა და ქმედებებზე მის მიერ განხორციელებულ კონტროლს უკავშირდება.

კულტურული ინდუსტრიის მეორე თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არა იმდენად მანიპულირებს, რამდენადაც მაქსიმალურად ზუსტად და ნათლად იმ მასალებს გადაცემს, რომლებიც ტექნოლოგიური რაციონალობის და ბაზრის ტოტალური ბატონობის ღირებულებებს ასახავს. ჰორკჰაიმერისა და ადორნოს აზრით სწორედ ეს არის არსებული წყობილების სტაბილურობის საწინდარი და გარანტი: „მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმი ზედნაშენის სფეროში მმართველი წრეების სასრგებლოდ წარმოებულ კონტროლის მექანიზმის სახით მოქმედებას აგრძელებს“.

კაპიტალისტური წარმოება მომხმარებლს, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, ისე ადვილად და მყარად იმონებს/აკაბალებს, რომ ისინი ყოველგვარი წინააღმდეგობის განწევის გარეშე იმის მსხვერპლი ხდებიან, რასაც სთავაზობენ.... მოტყუებული მასები გა-



ცილებით დიდი ხარისხით, ვიდრე ისინი, ვინც წარმატების მიღწევა შეძლო, წარმატების შესახებ მითის მსხვერპლნი ხდებიან. ისინი ხომ თავისი საკუთარი სურვილებით ხელმძღვანელობენ. და ამიტომ მედგრად იცავენ სწორედ იმ იდეოლოგიას, რომლითაც მათ იმონებენ(მონებად აქცევენ“ (ჰორკჰაიმერი მ., ადორნო თ. ვ., 2012: 198). ავტორები ასევე ხელოვნების მასალების მასობრივ კულტურულ პროდუქციად ტრანსფორმაციის შინაარსის შესახებ საკითხსაც ეხებიან. თუ კი ადრე ხელოვნების სფერო ბაზართან მიმართებაში გარკვეულ ავტონომიურობას ინარჩუნებდა, რაც მას საზოგადოებაში კრიტიკული ფუნქციის შესრულების საშუალებას აძლევდა, მაშინ დღეს, სასაქონლო გაცვლის ლოგიკისადმი კულტურის მორჩილების/დაქვემდებარების პირობებში სასაქონლო პირობებში, ეს ავტონომია ქრება. ხელოვნების ნაწარმოებები, თავისი ახალი, საქონლის სახით ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება, რაც უცილობლად ამ ნაწარმოებების აუთენტური მხატვრული ღირებულების გაქრობასა და დაკარგვას იწვევს. აქედან მომდინარეობს ავტორთა ის არგუმენტიც, რომ კულტურული ღირებულებები როგორც ასეთი, ერთის მხრივ, და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საქმიანობა – მეორეს მხრივ, ერთმანეთთან არანაირად შეპირაპირებით, ურთიერთდაკავშირებად მოვლენებს არ წარმოადგენენ. კულტურის ინდუსტრიის კონცეფციის ჩარჩოში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების და აუდიტორიის ურთიერთდამოკიდებულება როგორ ინტერპრეტაციას იღებს?

ადორნოსა და ჰორკჰაიმერის აზრით, კულტურულ ფორმების მასობრივი წარმოება *ინდივიდუალური განსაკუთრებულობის უნიფიკაციას გვთავაზობს. ეს უკანასკნელი უპირატესად, აუდიტორიის, როგორც ერთგვაროვანი მასის გაგებასთანაა დაკავშირებული, რომელსაც „დაშტამპულ“ და წინასწარ აპრობირებულ მასალებს სთავაზობენ.*

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზეც ავტორები ყურადღებას ამახვილებენ, *პასიურობის და კონფორმიზმის თვისებების მქონე აუდიტორიის ფორმირებაზე აქცენტია.* ამ კუთხით საჩვენებელს შემდეგი შენიშვნა წარმოადგენს: „ თანამედროვე საზოგადოებაში საჯაროობას არ აძლევენ საქმეს რაიმე ყურადსაღებ ბრალდებაამდე მივიდეს, როდესაც ეს მაინც ხდება, მათი ტონალობის მიხედვით ფაქიზ სმენას ყოველგვარი სიძნელის გარეშე, თავისუფლად შე-

უძლია ის გავლენის მქონე წრეები გამოიცნოს, რომელთა ეგიდითაც მემბოხეთა დანყნარება – გაჩუმება ხდება“((ჰორკჰაიმერი მ., აღორნო თ. ვ., 2012: 164) .

კულტურის ინდუსტრიის ჩამოყალიბება ასევე საზოგადოების ატომიზაციასთანაა დაკავშირებული. მასობრივი კომუნიკაციის ტექნოლოგიები ისეთია, რომ ხშირად მათ რეზულტატს ადამიანების ერთმანეთისაგან იზოლაცია წარმოადგენს. ავტორთა აზრით, ნათელია ის, რომ მათ მიერ შესწავლილი მედია პიროვნებათაშორისი ურთიერთობების აქტიურობის, ადამიანებს შორის სოციალური და მორალური სოლიდარობის შესუსტებას უწყობს ხელს. „იყო დაკმაყოფილებული, ნიშნავს იყო თანახმა. ეს მხოლოდ მთლიანად სოციალური პროცესისაგან ჰერმეტიული იზოლაციის წყალობითაა შესაძლებელი. სიამოვნების მიღება მუდამ ნიშნავდა: არ გაბედო რაიმეზე ფიქრი, არაფერზე იფიქრო, დაივიწყე ტანჯვა-წამება იქ და მაშინაც კი, სადაც და როდესაც მას აჩვენებენ“ (იქვე, 181).

აუდიტორიის კომუნიკაციური მოქმედების თავისებურებების შესახებ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ ავტორები კულტურის ინდუსტრიის მეშვეობით შესრულებულ “მანიპულაციის“ და “სიმბოლური ძალადობის“ მექანიზმს როგორ ინტერპრეტაციას აძლევენ. აქ შემდეგი ეტაპები გამოიყოფა: – თავდაპირველად მოქმედების განსაზღვრული ტიპი იქმნება; შემდეგ, – აუდიტორიაზე ინფორმაციული ზეწოლით მოქმედების ამ ტიპის ჩვეულებრივ ბუნებრივ ჩვევად ტრანსფორმირება, ხოლო ბოლო ეტაპზე

– კულტურის ინდუსტრიის ტირაჟირებადი პროდუქციის ტირაჟირების მეშვეობით ამ ჩვევის ფიქსაცია ხდება.

აუდიტორაზე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენა, ასევე კულტურის მასალების მზარდ სტერეოტიპიზაციასთანაა დაკავშირებული. ავტორები აღნიშნავენ, რომ მთელი სამყარო კულტურინდუსტრიის ფილტრში გატარებული აღმოჩნდება. „ემპირიული რეალობის კულტურინდუსტრიის ტექნიკების მეშვეობით გაორება რაც უფრო მჭიდრო და ფართე ხდება, მით უფრო ადვილია იმ ილუზიის დამკვიდრება, რომ გარე სამყარო მხოლოდ იმის გაგრძელებაა, რასაც კინოთეატრებში ეცნობიან და თვალს ვერ ამორებენ“ (ჰორკჰაიმერი მ., აღორნო თ. ვ., 2012: 157). ნაშრომში, რომელიც ტელევიზიის ზემოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებების ანაღზს

ექვნიება, აღორნო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტერეოტიპი ინდივიდის გამოცდილების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. და ამიტომ, პრობლემა სტერეოტიპში როგორც ასეთში არაა. მით უფრო, რომ სატელევიზიო წარმოების ტექნოლოგიას, თავისი ბუნების გამო, არ შეუძლია არ გამოიყენოს სტერეოტიპები და მის გარეშე იოლას გავიდეს. პრობლემა კი იმ ფუნქციონალურ ცვლილებებში მდგომარეობს, რომლებიც კულტურის ინდუსტრიას ადამიანის ცხოვრებაში შეაქვს. ტელევიზიის მასალებში სულ უფრო მკაცრი და გაუცხოებულ სტერეოტიპების გამოყენებას საქმე იქამდე მიყავს, რომ აუდიტორია, აღორნოს აზრით, ფაქტობრივად კლიშედ იქცევა. ამის შედეგად ადამიანები რეალობის შესახებ ჭეშმარიტ წარმოდგენას კარგავენ, რეალური გამოცდილება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ კლიშედ ქცეულ/კლიშირებულ პროდუქციასთან კონტაქტების მეშვეობით მიღებული დამახინჯებული გამოცდილებით იცვლება.

თანამედროვე სამყაროში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლის კრიტიკული შეფასება ასევე ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენლის – ჰერბერტ მარკუზეს შრომებშია მოცემული. მის ცნობილ შრომაში „ერთგანზომილებიანი ადამიანი“, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ხელოვნურად ფორმირებული სოციალური თანხმობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის თუ აგენტის სახით განიხილება, რომელიც ადამიანის ნამდვილ/ჭეშმარიტ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს უარყოფს.

სხვათა შორის, კულტურის ინდუსტრიის დახმარებით ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ ჰ. მარკუზეს მხრიდან „ერთგანზომილებიანი“ საზოგადოების სახელი დაიმსახურა. „თანამედროვე საზოგადოებამ კაპიტალისტური ცივილიზაციის ძირეული მანკიერებების უარყოფისა და გაუქმების გარეშე, მათი ტრანსფორმირება მოახდინა. ყოფილი კლასიკური პროლეტარიატი ახლა როგორც მატერიალური, ისე სულიერი პროდუქციის აქტიური (და საკამაოდ მრავალმხრივად) მომხმარებელია, და ასეთი სახით, სამეურნეო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებით დაინტერესებულია..... ახლა იგი ერთი განზომილების, იმ განზომილების ადამიანი ხდება, რომელსაც მას მოხმარების საზოგადოება აძლევს“ (Маркузе Г. Одномерный человек. Киев. 1994).

დღევანდელმა საზოგადოებამ კაპიტალისტური ცივილიზაციის ტრანსფორმირება მოახდინა. ყოფილი კლასიკური პროლეტარიატი ახლა როგორც მატერიალური, ისე სულიერი პროდუქტების აქტიურ

მომხმარებელს წარმოადგენს და ნორმალური სამეურნეო სისტემის ფუნქციონირებით დაინტერესებულია. ტექნიკური რაციონალობა, როგორც ტექნიკური ცივილიზაციის საფუძველი, მარკუზეს აზრით, მთელი რიგი ილუზორული თავისუფლებებისა და შესაძლებლობების არსებობას გულისხმობს. ამ ილუზორულ შესაძლებლობებს იგი მონოპოლიურად დადგენილი ფასების არსებობისას „თავისუფალ კონკურენციას“, თავის თავის ცენზურის დამნეხებელ „თავისუფალ პრესას“, საქონლის მარკებს შორის, რომლის მოთხოვნილება რეკლამის მიერაა თავსმოხვეული, „თავისუფალ არჩევანს“ გულისხმობს.

ფრანკფურტის სკოლის მთელი რიგი სხვა წარმომადგენლებიდან ვალტერ ბენიამინის (1892 – 1940) ნაშრომებს გამოვეყოფთ. პრობლემატიკის განხილვის კონტექსტში, ჩვენთვის მთავარია ის დებულება, რომ ბენიამინმა თანამედროვე კულტურაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალების როლი, ადორნოსგან განსხვავებულად შეაფასა. კულტურის ინდუსტრიის განვითარება, ბენიამინის აზრით, არა უარყოფით, არამედ დადებით ტენდენციებსაც ატარებს. ყველაზე ნათელი ფორმით ეს დასაბუთებულია ესეში: „ხელოვნების ნაწარმოებები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“. (ბენიამინი ვალტერ. საგა, თბილისი, 2013).

ავტორის აზრით, ხელოვნების ნაწარმოები ამა თუ იმ გზით, მაინც ექვემდებარება კვლავწარმოებას. თანამედროვე ეპოქაში ხელოვნების ნაწარმოების „ტექნიკური რეპროდუცირების“ შესაძლებლობა, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ტექნიკური რეპროდუქციების საშუალებები (ფოტო, კინო) პუბლიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენენ. ორიგინალის ტექნიკურ კვლავწარმოებას, ე.ი ტირაჟირებას „ორიგინალის მსგავსება შეუძლია გადაიტანოს სიტუაციაში, რომელიც თავად ორიგინალისათვის მიუწვდომელია. უწინარეს ყოვლისა იგი ორიგინალს საშუალებას აძლევს პუბლიკის შესახვედრად მოძრაობა დაიწყოს...“

ადორნოს მიხედვით, ხელოვნებას წარმოშობიდანვე ნაწარმოების როგორც ასეთის, ერთეულობის, განუმეორებლობის, უნიკალობის ძალით, ელიტიზმის რომელიღაც აურა თან ახლავს, ახასიათებს. ბენიამინი კი, რეპროდუცირების მასობრივი საშუალებების განვითარებაში სწორედ იმას ხედავს, რაც ამ აურის ტრანსფორმირებას ახდენს, კულტურის მასალების მისანვდომობას არაჩვეულებრივად ადემოკრატიულებს, ანუ ხალხისათვის მისანვდომს ხდის. ე.ი. მხატვრული

ნანარმოების უნიკალურობა მისი რეპროდუქციის(ასლის) მიღების გზით გადაილახება.

ბენიამინი ამბობს, რომ ხელოვნების უძველესი ქმნილებების აურა წინასწარ მათი ტრადიციის კონტექსტში „ჩანსულობით“ იყო განსაზღვრული. აქ ხელოვნება მნიშვნელოვან რიტუალურ ფუნქციებს, თავიდან მაგიურ, ხოლო შემდეგ რელიგიურს ასრულებდა. მაგრამ, ტექნიკური კვლავნარმოების მასობრივი ფორმების არსებობას ნანარმოების ნამდვილობის, დედნის, ორიგინალობის შესახებ საკითხის მოხსნასთან მივყავართ. ეს კი თავის მხრივ, მთლიანად ხელოვნების სოციალურ ფუნქციებში ცვლილებებს აანონსებს და წინასწარ განსაზღვრავს. ახლა, რიტუალური ფუნქციის ადგილს პოლიტიკური ფუნქცია იკავებს. „რიტუალის წიაღიდან“ სახვადასხვა სახის მხატვრული პრაქტიკების გამოთავისუფლების პარალელურად ნანარმოების პუბლიკასთან დაახლოება ხდება. ბენიამინის აზრით, ექსპოზიციური შესაძლებლობების ბალანსში რაოდენობრივი ძვრები ფართო მასების მიერ ნანარმოებების აღქმაში თვისებრივად ახალ მოვლენებს წინასწარ განსაზღვრავს. კინოსთან მიმართებაში, ავტორი მიუთითებს, რომ თავად ამ საშუალების ბუნება „კამერის მეშვეობით-კამერით“ თითქოსდა მაყურებელთა ფართო წრეს მასალების შექმნის პროცესში უშუალოდ რთავს.

ანალოგიურ ტენდენციას ბენიამინი პრესასთან დაკავშირებითაც გამოყოფს: „პრესის სწრაფმა განვითარებამ, რომელმაც მკითხველი პუბლიკასათვის სულ ახალი პოლიტიკური, რელიგიური, მეცნიერული, პროფესიონალური, ადგილობრივი ბეჭდური გამოცემების შეთავაზება დაიწყო, მიიყვანა იმასთან, რომ მკითხველთა სულ უფრო მეტმა რაოდენობამ – დასაწყისში შემთხვევიდან შემთხვევამდე – თავი ავტორთა რიგებში ამოყო“.

კომუნიკაციური პროცესების მონაწილეთა რაოდენობის თვისებრივ ზრდას მასობრივი აუდიტორიის მონაწილეობის ფორმის ცვლასთან მივყავართ. ამასთან დაკავშირებით ბენიამინი აანალიზებს წინააღმდეგობას, რომელიც ერთის მხრივ, ყურადღების კონცენტრაციასა და მეორე მხრივ, გასართობების ძიებასთანაა დაკავშირებული. თანამედროვე კომუნიკაციური პროცესების თავად ბუნების ძალით, მისი მასალებისადმი მიმართული ყურადღება „გაფანტული“ აღმოჩნდება, რომელიც კონცენტრაციას არ გულისხმობს, არ საჭიროებს. მნიშვნელოვანია ასევე ითქვას, რომ კულტურის ნანაროებებს და

მათ მომხმარებელს შორის შუამავალი არ არსებობს და მასები, თავად გამოდიან ექსპერტების როლში. სწორედ „ხელოვნების ნაწარმოებთა ტექნიკური კვლავნარმოება ცვლის ხელოვნებისადმი მასების დამოკიდებულებას. .... პროგრესული დამოკიდებულებებისთვის მაცურებლის სიამოვნების, ექსპერტული შეფასების პოზიციიდან თანაგანცდასთან შერწყმა დამახასიათებელი.“ ამასთან დაკავშირებით, ბენიამინი განსაკუთრებულად, კინოს გამოყოფს, სადაც მისი აზრით კრიტიკული და ჰედონისტური განწყობები ერთმანეთს ემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ აღორნომ მუსიკალური და მხატვრული გამოხატვის პოპულარულ ფორმებში ფეტიშიზებული „სტანდარტიზაცია“ დაინახა, რომელიც სოციალურ კონფორმულობას აყალიბებდა, ბენიამინი მათ პოლიტიკის პოტენციურად რევოლუციურ ფორმად აღიქვამდა. თავის კლასიკურ ნარკვევში ბენიამინი ამტკიცებდა, რომ ტექნოლოგიური მიღწევები ხელოვნების ელიტიზმის განადგურებას გვპირდება (ელიტიზმი, რომლის ადვოკატირებაში თავად აღორნო იყო დამნაშავე). კონკრეტულად, ლითოგრაფიამ, ფოტოგრაფიამ და ფილმმა, ხელოვნების ნიმუშების მექანიკური რეპროდუქციის წარმოებისას, გაანადგურა მანძილი ან განცალკევება, რომელიც ამ დრომდე ახასიათებდა ხელოვნებასა და მათ, ვინც მას ათვალთვლებდა. ამით ის ძირს უთხრიდა ხელოვნების აურას ან სინმინდის წყაროს და, თავის მხრივ, გამოწვევდა ხელოვნების კონსერვატიულ, ელიტარულ გაგებასა და გამოყენებას. (ენდი უორჰოლის ნამუშევარი და დებატები მის მხატვრულ ღირსებაზე ბენიამინის არგუმენტს კარგად ასახავს.) ავთენტურობა, რომელიც "ნამდვილი ხელოვნების" ნიშნად განიხილება, მოძველებულია, რადგან სურათების უსასრულოდ რეპროდუქცირება – პოპულარიზაცია – და, ამრიგად, "მასების" მიერ მათი ათვისება შესაძლებელია.“ ბენიამინის (1936/1968) სიტყვებით: რეპროდუქციის ტექნიკა ამორებს რეპროდუქცირებულ ობიექტს ტრადიციის სფეროდან. მრავალი რეპროდუქციის შექმნით იგი ანაცვლებს ასლების სიმრავლეს უნიკალურ არსებობას. და როდესაც რეპროდუქცირებას აძლევს საშუალებას შეხვდეს დამთვალთვრებელს ან მსმენელს მის კონკრეტულ სიტუაციაში, ის ხელახლა ააქტიურებს რეპროდუქცირებულ ობიექტს. ამ ორ პროცესს მიყვავართ ტრადიციის უზარმაზარ რღვევამდე, რაც კაცობრიობის თანამედროვე კრიზისისა და განახლების ნინაპირობაა.

ამგვარად, კულტურის ინდუსტრიისათვის დამახასიათებელი ტირაჟირების ტენდენცია უკვე პოზიტიურია იმიტომ, რომ ხელოვნების ნიმუშებით „მოხიბვლა“ ცდება გალერიების, საკონცერტო დარბაზების კედლებს და არსებობის ფართო, მასობრივ ფორმებს იძენენ. კვლავწარმოების ტექნიკურ საშუალებებს ხელოვნების ნიმუშები ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოაქვთ, რითაც ინტერპრეტაციის შესაძლებლობების არაჩვეულებრივ დემოკრატიზაციას უწყობენ ხელს. ფართო მისაღდგომობა ხელოვნების ნაწარმოებებისადმი ადრე დამახასიათებელი ელიტარულობის ნგრევას ნიშნავს. ამგვარად, ბენიამინის მიხედვით, მიღწევები ელიტისტურის ნგრევას ნიშნავს. მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების წყალობით, ხელოვნების ნიმუშები უბრალო ადამიანების ცხოვრებაში იკავებენ ადგილს, ყველაზე ფართო მასების ურთიერთობათა პროცესების გასამდიდრებლად შესაძლებლობები ჩნდება.

ფრანკფურტის სკოლის თეორეტიკოსების ნაშრომები თანამედროვე საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის როლისა და ადგილის ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. კულტურის ინდუსტრიის როლი პირველად სწორედ ამ მიდგომის ჩარჩოებში იქნა გამოკვლეული. ნაჩვენებია, რომ კომუნიკაციის მასობრივი საშუალებები თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში მზარდ, ცენტრალურ როლს თამაშობს. ამავდროულად, პოლიტიკური რეალობის შუამავლის, სოციალიზაციის აგენტის, მოცალეობითი საქმიანობის საშუალების როლს ასრულებს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დასკვნა კულტურის ინდუსტრიის თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებისადმი მიკუთვნების შესახებ. სკოლის ნაკლოვანებად იქნა მიჩნეული ის, რომ თეორეტიკოსებმა მასობრივი კომუნიკაციის მასალების წარმოებისა და გავრცელების პროცესებს დიდი ყურადღება დაუთმეს, საზოგადოების მიერ მისი აღქმის საკითხს კი გვერდი აუარეს. სწორედ ამის გამო ფრანკფურტის სკოლის შრომების კრიტიკოსები გვთავაზობენ წამოყენებული არგუმენტები აუდიტორიაზე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ეფექტურობისა და მოხმარების თავისებურებების ემპირიული კვლევის მონაცემების შუქზე შევაფასოთ.

გარდა ამისა, ამ მიმართულების შრომებისათვის უპირატესად ინდივიდის, როგორც კულტურის ინდუსტრიის ზემოქმედების ობიექტის განხილვაა დამახასიათებელი. მაშინ როდესაც, რეალურ ადამიანს ავტონომიის მნიშვნელოვნად მაღალი ხარისხი და დონე ახასიათებს.

კაპიტალიზმის თანამედროვე განვითარების ეტაპთან მიმართებაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე შემოთავაზებული კონცეფცია დეცენტრალიზაციის პროცესების გავრცელებასთან, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მრავალსახეობა-მრავალფეროვნების ზრდასთან მიმართებაში დაზუსტებას მოითხოვს. ავტორებს, მასობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტების საქმიანობის პოლიტიკურ-ეკონომიკური შემადგენლების უფრო კონკრეტული კვლევის ამოცანები ყურადღების გარეშე დარჩათ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბენიამინი ვ. (2013). ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ. საგა, თბილისი.
2. ჰორკჰაიმერი მ. ადორნო თ. (2012). განმანათლებლობის დიალექტიკა, საგა, თბილისი.
3. Давыдов Ю. (1996). Критика социально-философских воззрений Франкфуртской школы. М. .
4. Маркузе Г. (1994). Одномерный человек. Киев.
5. Назаров М. (2003). ассовая коммуникация и общество. Введение в теорию и исследованию. М.
6. Хоркхаймер М. Адорно Т. (1997). Диалектика просвещения. Философские фрагменты М.
7. Adorno. T. (2001). The Culture Industry. Selected Essays on Mass Culture. Routledge classics. London and New York.
8. Scott Appelrouth, Laura Desfor Edles, Classical and Contemporary Sociological Theory . 4th Edition. Los Angeles London New Delhi Singapore Washington DC Melbourn© 2021 by SAGE Publications.



---

---

*Amiran Berdzenishvili* – Doctor of Philosophical Sciences, Professor of Tbilisi Iv. Javakishvili State University. Prof. Berdzenishvili works in the field of Social and Political Philosophy and Sociology. He has published many scientific works in science fields, including monographs and textbooks.

---

---

## **Understanding mass communication in the light of critical theory**

### **Abstract**

The development of the studies concerning mass communication was seriously influenced by the works created within the framework of critical theory. We mean work done by the leading figures of the Frankfurt Institute for Social Research: Max Horkheimer, Theodor Adorno and Herbert Marcuse. In their works, these authors attempted to study the role of mass communication and, more generally, the institutions of spiritual production within the capitalist society of the first half of the 20<sup>th</sup> century. Works of the theoreticians of the Frankfurt school are one of the first attempts to analyze the role and place of mass communication in contemporary society. It is within this approach that the role of the industry of culture was analyzed for the first time. It is shown that the means of mass communication play an increasing and central role in the life of present-day man. At the same time, they perform the role of a mediator of political reality, an agent of socialization, and a means of leisure activity. In this relation, the conclusion appertaining the industry of culture to the most important institutions of contemporary society is rather significant. The fact that the theoreticians of this school paid great attention to the processes of producing and disseminating materials of mass communication and neglected the issue of accepting them by society is considered a failure of this school. It is a reason why the critics of the works created at the Frankfurt school suggest assessing the offered arguments against the background of the data obtained via empirical study of the effectiveness of the impact of mass communication and the peculiarities of putting it into service.

In addition, the works in this direction are mainly distinguished by discussing an individual as an object of influence of the industry of culture. But a real man is characterized by a rather high degree and level of autonomy. Considering the present stage of the development of capitalism

the proposed conception of mass communication is to be specified regarding the spread of the processes of decentralization and growth of diversity and variety in the sphere of mass communication. The authors neglected the necessity of a more particular study of the political-economic constituents of the mass communication institutions.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ამირან ბერძენიშვილი** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

**კახა ქეცბაია** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

---

## **სოციოლოგიის მეცნიერული სტატუსი (ენტონი გიდენსისა და ნილ სმელზერისეული სოციოლოგიის დეფინიციის კრიტიკული რეცეფცია)\***

**„სოციოლოგია თვითმყოფადი და  
დამოუკიდებელი მეცნიერებაა.“  
ემილ დიურკემი**

### **შესავალი**

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ს. ფრანკი 1930 წელს წერდა, რომ სოციოლოგიის შესახებ დაგროვილი უზარმაზარი ლიტერატურის მიუხედავად, ამ მეცნიერებას „დღემდე არ გააჩნია არც ზუსტად განსაზღვრული საგანი, არც საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები და მეცნიერული ტრადიციები. დღეისათვის გვაქვს სოციოლოგია, არა როგორც გარკვეული მეცნიერება, არამედ თითქმის იმდენივე ცალკეული „სოციოლოგია“, რამდენი სოციოლოგიც არსებობს“ [3. გვ. 19]. ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. „საკითხი სოციოლოგიის საგნის შესახებ დღემდე გადაუწყვე-

---

\* სტატია პირველად რუს. ენაზე გამოქვეყნდა ჟურნალში „Наука и образование сегодня“ № 1 (36), 2019, მ. ამჟამად წარმოდგენილია მისი ქართული ვერსია (ა. ბერძენიშვილი, კ. ქეცბაია).

ტელია“ და კვლავ პრობლემად რჩება [შდრ. 4]. სოციოლოგიის მეცნიერული სტატუსის შესახებ საკითხი, პირველ რიგში, მისი საგნის შესახებ საკითხის გარკვევას საჭიროებს, რაც სოციოლოგიის დღევანდელი მდგომარეობისა და პოპულარობის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება.

### **წყაროები და მეთოდები**

სტატია ლოგიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით საკითხის თეორიულ-სოციოლოგიურ კვლევას წარმოადგენს, რომელიც საკვლევი თეორიული პრობლემის შესახებ არსებულ პირველად (ე. გიდენსი, ნ. სმელზერი, ს. ფრანკი და სხვ.) და მეორად წყაროებს ემყარება.

### **კვლევის შედეგები**

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი ე. გიდენსი თავის წიგნში „სოციოლოგია“ (1999 წ. რუსული თარგმანი) სოციოლოგიის შემდეგ დეფინიციას იძლევა: „სოციოლოგია შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანთა საზოგადოებების სისტემური შესწავლა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ინდუსტრიულ სისტემებს“ [1. გვ. 39]. მეორეგან ნათქვამია „Социология – это наука о социальной жизни групп и обществ людей“ [1. გვ. 24]. სოციოლოგიის გიდენსისეული დეფინიცია ამ მეცნიერების შესწავლის საგნად აცხადებს საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს პირველყოფილი და მომდევნო საზოგადოებებიდან დაწყებული, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებით დამთავრებული. იგი არკვევს თითოეული მათგანის თავისებურებებს, სტრატეგიკაციულ სტრუქტურას, სახელმწიფო მართვის ფორმებს და პოლიტიკურ ორგანიზაციას, სოციალური ინსტიტუტების არსსა და ფუნქციებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სოციალურ ცვლილებებზე, სოციალური რეალობის გლობალიზაციაზე, თანამედროვე ურბანიზმსა და დემოგრაფიულ ძვრებზე, რევილუციებსა და სოციალურ მოძრაობებზე და კიდევ უამრავ მსგავს საკითხზე, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

სოციოლოგიის ამგვარი განსაზღვრება საშუალებას აძლევს ავტორს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე აღძრას დარგობრივი და გამოყენებითი სოციოლოგიის საკითხები და მათი მიღწევები გაითვალისწინოს სოციოლოგიის ერთიანი სასწავლო კურსის გააზრების საქმეში. მაგალითად, როდესაც გიდენსი ადგენს დევიანტურ მოქმედებათა თავისებურებებს ინდუსტრიამდელ და ინდუსტრიულ საზოგადოებებში, აფასებს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ თეორიებს მათ შესახებ, იძლევა მკვლევლობების და სხვა მიმე დანაშაულებათა და დამნაშავეთა დასჯის ფორმების და სანქციების დესკრიფციებს, არკვევს დამნაშავეობის დონეებს ქალებსა და მამაკაცებს შორის, სახელმწიფოს დამოკიდებულებას ფსიქიკური დაავადებების მიმართ, ამ დაავადებათა დიაგნოსტიკებისა და მათი მკურნალობის მეთოდებს და სხვ. მსგავსი მიდგომითაა განხილული გენდერისა და სექსუალობის პრობლემა. ამ ცნებათა დეფინიციის შემდეგ სქესთა უთანასწორობების ადრინდელი მდგომარეობის დეტალურ ანალიზთან ერთად, წარმოდგენილია ფემინიზმის იდეებისა და ქალთა მოძრაობების ისტორია, სახვადასხვა საზოგადოებებში სექსუალური პრაქტიკის და ქალისადმი ძალადობის სურათები და გამოთქმულია მოსაზრებები ჰომოსექსუალობის, პროსტიტუციის, მისი ტიპებისა, მათ შორის ბავშვთა პროსტიტუციისა და სხვა საკითხებზე.

ანალოგიური წესით განიხილება ეთნიკური მიკუთვნებულობის, რასის, განათლების, ოჯახის, პიროვნების, კულტურის, რელიგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის და ა. შ. პრობლემები. უდავოდ ღრმა საფუძლიანობითა და დამაჯერებლობით არის დახასიათებული და გადმოცემული ამ სფეროებში მოქმედი სოციალური ტენდენციები როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ასპექტებით. ძნელია კაცმა მოძებნოს სოციოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც ესოდენ მდიდარ მასალას შეიცავს მსოფლიოს ყველა კონტინენტის ხალხთა ცხოვრებაზე. საგულისხმოა ის კულტურული ექსპედიცია, რომელსაც ავტორი ინტელექტუალურ დონეზე მიმართავს რათა კოლუმბის მსგავსი ლაშქრობა გაიმეოროს.

ე. გიდენსის მსგავსად განმარტავს სოციოლოგიას ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ნ. სმელზერი. მის მიხედვით, სოციოლოგია „შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოებისა და სოციალურ ურთიერთობათა შესწავლა“ [2. გვ. 14] (სოციოლოგია, რუსული თარგმანი, 1994). „სოციოლოგია ერთ-ერთია იმ საზოგადოებრივ მეცნიე-

რებათა შორის, რომლებიც შეისწავლიან ადამიანის ქცევას და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას“ [2. გვ.20].

სმელზერისეული ეს დეფინიცია უდევს საფუძვლად საზოგადოების ძირითადი სფეროების ანალიზს. ასეთია კულტურა, სოციალური სტრუქტურა, სოციალიზაცია, სოციალური ინტერაქცია, ორგანიზაციები, დევიაცია და სოციალური კონტროლი, ადამიანთა დასახლებითი ერთობები – ქალაქი და სოფელი; სოციალური უთანასწორობის პრობლემები, სოციალური ინსტიტუტები: ოჯახი, განათლება, რელიგია, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები და ბოლოს განხილულია მსოფლიოში მიმდინარე სოციალური ცვლილებები და ძვრები და ა. შ.

თუ წიგნის ამ უკანსკნელ მანილს არ მივიღებთ მხედველობაში, გიდენსისაგან განსხვავებით, სმელზერი ხშირად ამერიკის სოციალური პრობლემებით შემოიფარგლება და განზე რჩება ევროპულ სოციოლოგთა გამოკვლევების შედეგები სოციოლოგიის მრავალ საკვანძო საკითხზე.

როგორც ჩანს, სოციოლოგიის ის დეფინიცია, რომელსაც გიდენსი და სმელზერი საფუძვლად უდებენ სახელმძღვანელო კურსს, მათ არ ზღუდავს, რომ საფუძვლიანი ახსნა-განმარტებებით მოიცვან საზოგადოების, სოციალური ჯგუფების და სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები საუცხოოდ მიმზიდველი პალიტიკით. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მათ სახელმძღვანელოებში დაყენებული საკითხები, მათი თანმიმდევრობა, შინაარსი და მეთოდური მიდგომები, ასევე ცალკეული დებულებები და დასკვნების ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ადასტურებს, რომ სოციოლოგიის მათ მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრებანი თითოეულ მათგანს აზრის თავისუფლების დიდ გასაქანს აძლევს.

გიდენსისა და სმელზერის მიერ შემოთავაზებული სოციოლოგიის დეფინიცია პრაქტიკულად ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ სოციოლოგიის სახელმძღვანელოში უფრო ვრცლად და სრულად, ვიდრე არის, ყოფილიყო წარმოდგენილი შრომის, ახალგაზრდობის, ცნობიერების, თუნდაც სპორტისა და დასვენების და სხვ. დარგობრივი სოციოლოგიების კვლევითი მონაცემები და შედეგები. ამ დარგების რიცხვი დღეისათვის ძალზე დიდია.

ასევე შესაძლებელი იყო უფრო ვრცლად დახასიათებულიყო სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, რათა ნათელი გამხდარიყო,

რომ ამ მეთოდების გამოყენების გარეშე საუბარი საზოგადოების მეცნიერულ შესწავლაზე უსაფუძვლოა.

საერთოდ, რომ ვთქვათ, სოციოლოგიის დეფინიციას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს მისი მეცნიერული სტატუსისათვის, როგორც სამეცნიერო ცოდნის გარკვეული სისტემის გადმოცემისა და შესაბამისი პარამეტრების დადგენისათვის.

ცხადია, საქმე ეხება არა მარტო განხილული ან განსახილველი პრობლემების რაოდენობრივ მხარეს. მეცნიერების ნებისმიერ დარგში პრაქტიკულად ვერ შეიქმნება სახელმძღვანელო ყველა საკითხის გარკვევის პრეტენზიით. ჩვენთვის მთავარია, სოციოლოგიის განსაზღვრების თავისთავადი მეცნიერული ღირებულება, რამდენადაც იგი უნდა ასახავდეს ამ მეცნიერების არსს, სპეციფიკას სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით.

თუ ამ უკანსკნელ მომენტს გავითვალისწინებთ, სოციოლოგიის გიდენსისა და სმელზერისეული დეფინიციები სრულყოფილ განმარტებებად არ გვეჩვენება.

თავისთავად სწორია დებულება, რომ სოციოლოგია მეცნიერულად შეისწავლის საზოგადოებას, სოციალურ ჯგუფებს, საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ა. შ. მაგრამ ეს დებულება ხომ ცნების განსაზღვრების ლოგიკური წესებით არ არის შესრულებული. ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ ყველაფერი ამ წესს დავუქვემდებაროთ, მაგრამ აქ საუბარია მეცნიერებაზე და მეცნიერულ ტერმინზე და საერთოდ, ძნელია უკრიტიკოდ მივიღოთ ზემოაღნიშნული დეფინიციები.

ე. გიდენსისა და ნ. სმელზერის მიერ შემოთავაზებული სოციოლოგიის განსაზღვრება უაღრესად ფართოა. იგი თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებაზე იქნება ეს ისტორია თუ ანთოპოლოგია, ეთნოგრაფია თუ ეკონომიკა, რამდენადაც თითოეულ მათგანს საზოგადოებისა და ადამიანთა ურთიერთობების ამა თუ იმ ასპექტით შესწავლასთან აქვს საქმე.

გარდა ამისა წარმოდგენილი განსაზღვრება ტავტოლოგიურია, რადგანაც კითხვაზე თუ რას შესწავლის სოციოლოგია – მოძღვრება საზოგადოებაზე – გაცემულია პასუხი, რომ იგი საზოგადოებას და საზოგადოებრივ ურთიერთობებს შეისწავლის.

ზემოთმოყვანილი განსაზღვრებით არ მოიაზრება სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესასწავლი ობიექტის სპეციფიკა, კერძოდ

ის, თუ საკვლევი ობიექტის კონკრეტულად რა ასპექტების კვლევით არის იგი დაინტერესებული სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან განსხვავებით. ამის გარეშე რა აზრი აქვს მსჯელობას სოციოლოგიაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე.

ცხადია, მოცემულ განსაზღვრებაში აქცენტი კეთდება სოციოლოგიის მიერ საზოგადოების შესწავლაზე და არა სოციოლოგიის შესწავლის საგანზე. თქმა იმისა, რომ სოციოლოგია მეცნიერულად შეისწავლის საზოგადოებას, საზოგადოებრივ ჯგუფებს და ურთიერთობებს, გამოხატავს მხოლოდ ჩვენს შემეცნებით-მეცნიერულ მიმართებას შესასწავლი ობიექტისადმი, მაგრამ არა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების არსს.

ცნობილია, რომ მეცნიერება კანონზომიერებას ადგენს და სწავლობს, რაც სოციოლოგიის დეფინიციაში პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც ასახული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გაგვეცლება სოციოლოგია, როგორც მეცნიერება. ამიტომ სასურველი იქნებოდა სოციოლოგიის დეფინიციები ამ ფაქტის დაფიქსირება. კერძოდ იმის თქმა, რომ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, სოციალური წარმონაქმნების, თუნდაც პიროვნების და ა. შ. როგორც მთლიანი წარმონაქმნების არსებობის, ფუნქციონირების და ცვალებადობის **კანონებსა და კანონზომიერებებს**.

ცოდნის ყოველი სისტემა მეცნიერულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებს: ა) თუ მას აქვს კვლევის საკუთარი, სპეციფიკური ობიექტი; ბ) თუ მას გააჩნია მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესწავლის თავის ობიექტს; გ) თუ იგი ადგენს კანონებს, ობიექტურად აუცილებელ, არსებით და განმეორებად კავშირებს, რომლებსაც მისი შესწავლის სფეროში შემავალი მოვლენები და პროცესები ექვემდებარება; დ) თუ მის მიერ ფორმულირებული დებულებები და დასკვნები, ასევე მათი განმამატკიცებელი არგუმენტები სარწმუნოა, ე. ი. ობიექტურ ვითარებას შეესაბამება.

ეს მოთხოვნები საყოველთაო უნდა იყოს როგორც ბუნების, ისე საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებებისათვის. სწორედ მსგავსი მეცნიერული პათოსით იყო დამუხტული სოციოლოგიის არაერთი კლასიკოსის შემოქმედება (კონტი, სპენსერი, დიურკემი და სხვ). ყვე-



ლამ ვიცით, რომ ბუნება და საზოგადოება სამყაროს ორი თვისებრივად განსხვავებული რეალობაა, მაგრამ ეს მეცნიერების არსს როდი ცვლის. ცოდნის დამოუკიდებელ სისტემად თითოეული მეცნიერების ჩამოყალიბება მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი თუ კვლევის საგნად იქცევა სინამდვილის გარკვეული სფეროსათვის, მოვლენების და პროცესების ამა თუ იმ ჯგუფისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, მათი შეცნობისათვის გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სამეცნიერო მეთოდები, დებულებებისა და დასკვნების სახით ჩამოყალიბდება ვერიფიცირებადი სისტემური ცოდნა, რომელიც კვლევის ობიექტის საგნობრივ ბუნებასთან იქნება შესაბამისობაში. სოციოლოგია პოეზია ან ფილოსოფია ხომ არ არის? ამიტომ მის დეფინიციაში ეს ყოველივე გათვალისწინებული უნდა იყოს. გიდენსის მიერ დასმულ კითხვაზე: „არის თუ არა სოციოლოგია მეცნიერება?“ ყველაფერი დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ საერთოდ როგორ გავიგებთ მეცნიერებას.

მეცნიერება, გიდენსის განმარტებით, როგორც ინტელექტუალური საქმიანობა, არის „კვლევის სისტემური მეთოდების, თეორიული აზროვნების და არგუმენტების ლოგიკური შეფასების გამოყენება გარკვეული საგნის შესახებ ცოდნის განვითარების მიზნით“ [1. გვ. 35]. სხვა საქმეა დავეთანხმებით თუ არა მეცნიერების ამ დეფინიციას. მთავარია ის, რომ გიდენსი დასმულ კითხვას დადებითად პასუხობს. მისი თვალსაზრისით, „სოციოლოგია, სხვა საზოგადოებრივი“ „მეცნიერებების“ მსგავსად, წარმოადგენს მეცნიერულ დისციპლინას იმ აზრით, რომ მას გააჩნია მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის სისტემური მეთოდები, დასაბუთებებისა და ლოგიკური არგუმენტების გზით თეორიათა შეფასების მეთოდები [1. გვ. 39]. იგი სხვა სოციალურ მეცნიერებათა დარად ფაქტებსა და ლოგიკურ არგუმენტებს ემყარება.

ამ პუნქტში სოციოლოგიის მეცნიერული პროფილი, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებისა არ განსხვავდება ფიზიკური ობიექტების შემსწავლელი მეცნიერებების პროფილისაგან. ორივე შემთხვევაში ობიექტის შესწავლის პროცედურა ერთი და იგივეა. კერძოდ, სოციოლოგიც, ისევე როგორც ბუნების მკვლევარი, მისი ობიექტის შესწავლის მიზნით ჯერ გარკვეულ ჰიპოთეზას აყალიბებს, შემდეგ აგრო-

ვებს ფაქტებს, და ბოლოს, ანალიზებს მათ, იმისათვის რომ შეამოწმოს თავის ჰიპოთეზის სისწორე.

ყოველივე ამის საფუძველზე გიდენსს სოციოლოგია შეჰყავს არა უბრალოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის, არამედ საპატითო პირველ ადგილს მიუჩენს მას სოციალურ მეცნიერებათა შორის [1. გვ. 35]. თანაც დიდი მნიშვნელობას ანიჭებს მას თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური პროგრამების შემუსავების, დაცვისა და პროპაგანდის, საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფების მასშტაბით მიმდინარე ცვლილებების ანალიზის, კულტურულ ღირებულებათა დადაგენისა, სოციალური სიტუაციის სწორი გაგების, პოლიტიკური ინიციატივების და მოქმედებების შეფასების, აქტორის თვითშემცენების გაღმავების და სხვა სოციალურად აუცილებელ საქმეში.

დღეს თითქმის არავინ დავობს იმაზე, არის თუ არა სოციოლოგია მეცნიერება. საბჭოთა დროებამაც აღიარა იგი დამოუკიდებელ მეცნიერებად.

ე. გიდენსის მიერ სოციოლოგია საზოგადოების მეცნიერულ შესწავლად არის მიჩნეული და არა როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ. იგივე მოსაზრებას გამოთქვამს სმელზერიც. ვფიქრობთ, რომ ასეთ თვალსაზრისს ბუნებისა და საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებების განსხვავებულობა უდევს საფუძვლად. კერძოდ, ბუნების პროცესებსა და მოვლენებს მეცნიერებანი შეისწავლის მათს ობიექტურ მოცემულობაში, სიზუსტით, ადამიანის სუბიექტური მინარევებისაგან განწმენილი, რაფინირებული სახით, ე. ი. იმ სახით, როგორც ისინი სინამდვილეში არსებობს. აქედან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უნარი შენევთ შეიმუშაონ და განავითარონ სარწმუნო ცოდნა მათი შესასწავლი ობიექტების შესახებ.

სოციალური მეცნიერებები და მათ შორის სოციოლოგია, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულებით ხასიათდებიან. საზოგადოებაში ცხოვრობენ და მოქმედებენ საზრისის, მიზნების, ნებისყოფის მქონე ადამიანები, რაც სოციოლოგიას ხელს უშლის სუბიექტურობაზე ამაღლებაში და იმაში, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მსგავსად სიზუსტით გაარკვიოს თუ რა ხდება, რა ხედბოდა და რა უნდა მოხდეს საზოგადოებაში.

სოციოლოგია ცდილობს ნეიტრალური იყოს მორალური თუ პოლიტიკური საკითხების მიმართ, მაგრამ ძალზე ძნელია მიუკერძოებლობის დაცვა ისეთი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი როგორიცაა

უსამართლობა, უთანასწორობა, უუფლებობა და სხვ. მართალია, სოციოლოგს ძალუძს თავიდან აიცილოს სოციალური სინამდვილის პირადი ხედვა, გათავისუფლდეს ცრურწმენებისაგან რათა მეცნიერულად, ობიექტური დამაჯერებლობით შეისწავლოს საკუთარი და სხვა ადამიანების ცხოვრების განმაპირობებელი ფაქტორები, სოციალური ურთიერთქმედების ხასიათი საზოგადოებაში და საზოგადოებათა შორის და სხვ. მაგრამ ამით ბოლომდე ხომ არ იხსნება სოციოლოგიის წინაშე მდგარი სიძნელეები, რომლებიც საერთოდ არ არსებობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის. კერძოდ, როცა დამიანებმა იცინან, რომ სოციოლოგები საგულდაგულოდ სწავლობენ მათ მოქმედებებს, ხშირად ისე არ იქცევიან, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში მოიქცეოდნენ. მაგალითად კითხვარის შემვსებ ინდივიდს შეუძლია შეგნებულად თუ შეგნებლად ისეთი წარმოდგენა შეგვიქმნას საკუთარ თავზე, რომელსაც მისი ვარაუდით, მისგან მოელიან. ამიტომ სოციოლოგიური დებულებები ხსირად საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტებსა და კამოს ასახავს, წინააღმდეგობრივია, ხოლო მათი ობიექტურობა ურთიერთკრიტიკის საშუალებით თუ მიიღწევა [1. გვ. 36].

ამრიგად, ადამიანურ არსებათა შესწავლა შეუძლებელია აბსოლუტურად იმავე წესით, როგორითაც ბუნების ობიექტებს ვსწავლობთ, რის გამოც მიღებული ცოდნა ალბათური ხდება.

აღნიშნული საკითხებისადმი მსგავს დამოკიდებულებას ავლენს არა მარტო სმელზერი, არამედ მთელი ამერიკული სოციოლოგია. მაგრამ ის გარემოება, რომ საზოგადოების, შეგნებითა და ნებით დაჯილდოებული ადამიანების შემეცნების წესი აბსოლუტური მნიშვნელობით არ ემთხვევა ბუნების შემეცნების წესს, სადაც გამორიცხულია ობიექტისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება, ოდნავაც არ აკნინებს სოციოლოგიის მეცნიერულ უფლებამოსილებას. სოციოლოგიაც, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერება, მოწოდებულია დაადგინოს გარკვეული კანონზომიერებანი. ამის გარეშე იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერება. ამიტომ გიდენსის დებულება, რომ ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება შეისწავლის ადამიანურ ქცევებს, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს ამ ქცევის სხვადასხვა ასპექტზე“ [1. გვ. 39] მართებული არ უნდა იყოს. საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რასაკვირველია, აინტერესებს ადამიანის ქცეები, ამ ქცევათა გარკვეული ასპექტებიც,

მაგრამ არა თავისთავად, არამედ მათი განმსაზღვრელი კანონებისა და კანონზომიერებების დადგენის მიზნით.

სამწუხაროდ, სოციალური კანონზომიერებისა და კანონების ცნებებს საერთოდ ვერ ვხვდებით არა თუ გიდენსისა და სმელზერის, არამედ მთელ თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიაში. საინტერესოა რატომ?

სოციოლოგიის საგნისა და სპეციფიურობის არაორდინალურობაზე მიანიშნებს სოციოლოგიურ წარმოსახვაზე აპელირება, რაც დღეს მოდაშია სოციოლოგიაში. თუმცა სოციოლოგიური წარმოსახვა მთლიანად როდია დაცლილი კანონზომიერების ძიებისა და მეცნიერული ახსნისაგან, თუნდაც ის მეცნიერული ხედვად მიდგომად იყოს ან არ იყოს მიჩნეული.

გიდენსი კანონის ცნებას მხოლოდ ნორმატიული მნიშვნელობით იხილავს. მისი განმარტებით „კანონები ხელისუფალთა მიერ პრინციპებად განსაზღვრული ნორემბია, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ მოქალაქეები“ [1. გვ. 121]. „კანონი პოლიტიკური ხელისუფლების მიერ შემოღებული ქცევის წესებია, რომელსაც იცავს სახელმწიფო ხალხის გამოყენებით“ [1. გვ. 681]. რაც შეეხება საზოგადოების ობიექტურ კანონებს, გიდენსი და სმელზერი თავს იკავებენ ასეთი გამოთქმისაგან, როგორც ჩანს, პრინციპული მოსაზრებით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ ისმის კითხვა: განა შეიძლება საერთოდ არსებობდეს საზოგადოება, როგორც სამყაროს ურთულესი ქვესისტემა, მისი ფუნქციონირებისა და ცვალებადობის განმსაზღვრელი კანონების გარეშე ან როგორ მოიაზრება სამყარო, როგორც კანონზომიერი მთლიანობა, თუ არა იმ საბაზაით, რომ ადამიანის სახით საქმე გვაქვს გონისა და ნებელობის მქონე არსებასთან, უარვყოფთ თუნდაც რაღაც დოზით კანონზომიერების არსებობას საზოგადოებაში? ან რამდენად მართლზომიერია ვცნოთ აუცილებელი, არსებითი და განმეორებადი კავშირები, მათი მოქმედება მთელი სამყაროს მასშტაბით და გვერდი ავუაროთ კანონისა და კანონზომიერების ცნების გამოყენებას საზოგადოებრივი რეალობის მიმართ? ამ შემთხვევაში დაკვირვებული მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ მსგავსი მოსაზრებები მარქსისტული სოციოლოგიისათვის არისო დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში მარქსისტობა არაფერ შუაშია. საუბარი შეეხება იმას, თუ რას უნდა სწავლობდეს მეცნიერება და პირველ რიგში სოციოლოგია. თუ ის

მეცნიერება მეცნიერულობის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა პსუ-  
ხობდეს და ჩანდეს მის დეფინიციაში.

სწორად შენიშნავს გიდენსი, რომ სოციოლოგია, ფაქტოლოგი-  
ურ საკითხებთან ერთად, განვითარების საკითხებსაც შეისწავლის,  
რომ თანამედროვე საზოგადოების ბუნების გასაგებად საჭიროა გა-  
დავხედოთ მის წინამორბედ საზოგადოებრივ ფორმებსა და მათი შეც-  
ვლის ძირითად მიმართულებებს [1. გვ.31]. მისი აზრით, სოციოლოგია  
ემპირიულ, ფაქტოლოგიურ გამოკვლევებს საზოგადოებრივი მოვლე-  
ნების, მათი მსვლელობის, თანამედროვე და ისტორიული ხდომილებე-  
ბის ანლიზისთვის იყენებს, მაგრამ მხოლოდ ფაქტოლოგიური გამოკ-  
ვლევებით ვერ დაადგენს, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა ან  
პროცესი მაინცდამაინც ასე და არა სხვანაირად, რა მიზეზებით უნდა  
აიხსნას ისინი. სწორედ ამის გარკვევაა სოციოლოგიის თეორიული  
ამოცანა. „თეორია გულისხმობს აბსტრაქტული ინტერპრეტაციების  
კონსტრუირებას, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ემ-  
პირიული სიტუაციის ასახსნელად“ [1.გვ.31].

„სოციოლოგია ესწავის გამოავლინოს მიზეზ-შედეგობრივი  
კავშირები“ [გვ.28], სოციალური ურთიერთობებისათვის დამახასია-  
თებელი „სიღრმისეული რეგულარობა“ და „განმეორებადობა დროსა  
და სივრცეში“. გიდენსი მსჯელობს როგორც ადრინდელი ისე ტრადი-  
ციულ და თანამედროვე საზოგადოებებზე და იმ აზრამდე მიდის, რომ  
ტრადიციებისა და ღირებულებების განსხვავებულობის მიუხედავად  
„ჩვენ, ყველას, როგორც ადამიანურ არსებებს, გვაქვს საერთო ნიშნე-  
ბი“ [1.გვ.56]. მაგალითად, კულტურული მრავალსახეების შიგნით ყვე-  
ლა ან თითქმის ყველა საზოგადოებას ახასიათებს ისეთი საერთო ნიშ-  
ნები, როგორიცაა ე. წ. კულტურული უნივერსალიები – ოჯახი, შრო-  
მა, ენა, საკუთრება და სხვ.

ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერების ამსახველი გიდენსის  
დებულება: „ადამიანთა არსებობა დამოკიდებულია წარმოების სისტე-  
მაზე ... ეკონომიკა ამა თუ იმ ზომით გავლენას ახდენს საზოგადოების  
ცხოვრების ყველა სხვა სფეროზე“ [1.გვ. 45]. სამართლიანად მიუთი-  
თებს გიდენსი, რომ ეკონომიკურ საქმიანობას არა აქვს დომინირების  
ის ხარისხი, რომელსაც მას მარქსი მიაწერდა, მაგრამ არსებობის სა-  
შუალებათა მოპოვების სხვადასხვა ფორმები ფუნდამენტურ გავლე-  
ნას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე [იქვე].

გიდენსი ცნობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კანონზომიერებას, როდესაც აღნიშნავს, რომ ადამიანთა შრომითი საქმიანობის დაყოფა სხვადასხვა სახეობებად, რომელთა შესასრულებლად მათი დახელოვნება საჭირო, – განსხვავებული ფორმებით მოქმედებს ყველა საზოგადოებაში [1. გვ. 452].

სტრუქტურული განსხვავებულობა ადამიანთა ჯგუფებს შორის ანუ სოციალური სტრატეფიკაცია, როგორც გიდენსი აღნიშნავს, არსებობს ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაში. თავიდან იგი ვლინდება სქესობრივი და ასაკობრივი უთანასწორობის სახით, შემდეგ კი მონობის, კასტური, წოდებრივი და კლასობრივი უთანასწორობის ფორმით, რომელთა გვერდით ადრინდელი ფორმებიც არსებობს [1. გვ. 230].

ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერების რანგში უნდა დახასიათდეს სოციალური ინტერაქცია, რომელსაც გიდენსი განიხილავს როგორც ადამიანთა კავშირის აუცილებელი და არსებითი ფორმა მიკრო და მაკროსოციოლოგიურ დონეზე.

სოციალურ ინტერაქციას საყოველთაო მნიშვნელობით ახასიათებს სმელზერიც. მისი განმარტებით „სოციალური ურთიერთქმედება წარმოადგენს პროცესს, რომელშიც ადამიანები მოქმედებენ და რეაგირებენ სხვა ადამიანების მოქმედებაზე“ [1. გვ. 165] რა სახისაც არ უნდა იყოს ეს ურთიერთზემოქმედებები. ზოგიერთი სოციოლოგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანთა კავშირის ამ ფორმას, რომ საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც ინტერაქციის პროდუქტს.

იგივე თვალთახედვით არის დახასიათებული ორივე ავტორთან სოციალიზაცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ობიექტურად მოქმედი სოციალური კანონზომიერება, იმ სახის საყოველთაო, არსებითი და აუცილებელი კავშირი ადამიანთა შორის, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი ქცევის რეგულირება. ამასთან სოციალიზაცია ისეთი პროცესია, რომელიც განუწყვეტელია და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება [1. გვ. 93].

სოციალური გარემოს, მასოციალიზირებელი აგენტების – ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, შრომითი კოლექტივების, მედიისა და სხვა საშუალებებით იძენს და ითავისებს თანამედროვე ადამიანი ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ნორმებს, გადასცემს მათ მომდევნო თაობებს. „თუ სო-

ციალიზაციის პროცესი მასობრივი მასშტაბით შეწყდება, მას კულტურის დაღუპვა მოჰყვება“ [1. გვ.43].

აღარ გავაგრძელებთ გიდენსისა და სმელზერის სოციოლოგიის სახელმძღვანელოებში გამოთქმული მრავალი მოსაზრების მოყვანას იმის საილუსტრაციოდ, რომ საზოგადოებაში საყოველთაო მნიშვნელობის აუცილებელი, არსებითი და განმეორებადი კავშირები მოქმედებს, რომლებსაც ჩვენ ზოგადსოციოლოგიურ კანონებს ვუნოდებთ და სოციოლოგიის უშუალო კვლევის ობიექტად მიგვაჩნია. ეს არ გამოიციხავს იმას, რომ საზოგადოება კერძო და განსაკუთრებული კანონების მოქმედების სფეროც გახლავთ. ეს კანონები, შეიძლება საერთო იყოს რამდენიმე, ტიპობრივად განსხვავებული, ან თუნდაც მსგავსი საზოგადოებებისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გიდენსისა და სმელზერის სახელმძღვანელოები ორიენტირებულია სწორედ ამ საზოგადოებების, განსაკუთრებით კი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი საერთო და განსხვავებული ტენდენციების კვლევაზე.

სოციოლოგია, როგორც მთლიანი ცოდნის სისტემა იმ განზოგადებათა საზღვრებშია მოქცეული, რომლებშიც სოციალური რეალობის კანონზომიერებებია ასახული [გვ.78-79, 84]. დაბოლოს, იმის მტკიცება, რომ სოციოლოგიას, საერთოდ საზოგადოებრივ დისციპლინებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განასხვავებს საკუთარი დასკვნებისა და დებულებების ხარისხი, არ გვათავისუფლებს სოციალურ რეალობაში მოქმედი კანონზომიერებების აღიარებისაგან.

ფაქტია, რომ მეცნიერებები ერთნაირი წარმატებით ვერ არკვევენ ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების არსს, სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს ღირებულებათა წვდომის მრავალი დაბრკოლებები ელობებათ საზოგადოების სიზისტიით შესწავლის გზაზე, მაგრამ ამ ფაქტიდან გამომდინარეობს სოციალური შემეცნების ფარდობითი ხასიათი და არა უგულვებელყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებული საყოველთაო მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და სოციალური აუცილებლობების მიმართ.

სოციალური კანონზომიერებების ნაცვლად საზოგადოებაში მოქმედ ტენდენციებზე ლაპარაკი გიდენსს და სმელზერს შესაძლოა იმიტომ ურჩევნიათ, რომ ერთგვარად თავი დაიზღვიონ სოციოლოგიურ მტკიცებულებათა დოგმატიზაციისა და კანონიზაციისაგან, რაც

შეუთავსებელია აზროვნების თავისუფლების პრინციპთან და გამოცდილებით ვიცით თუ რაოდენ საზიანოა იგი მეცნიერებისათვის.

შიეძლება არსებობდეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც თანამედროვე სოციოლოგიის გამოჩენილ წარმომადგენლებს, როგორც ჩანს აიძულებს თავი შეიკავონ საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის კანონზომიერებაზე მსჯელობისაგან სოციოლოგიის საგნის განსაზღვრისა და მისი პრობლემატიკის სახელმძღვანელოს დონეზე გარკვევის დროს, რაც რა თქმა უნდა, მისაღები პოზიცია ვერ იქნება.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სოციოლოგიის საგნისა და აქედან გამომდინარე მისი მეცნიერული პროფილის საკითხი მართლაც პრობლემად დარჩება მანამდე, ვიდრე არ შემოვსაზღვრავთ მისი კვლევის საგანს და არ ვცნობთ სპეციფიკურ კანონებს, რომლებსაც სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან განსხვავებით სოციოლოგია შეისწავლის. უნდა დავეთანხმოთ ჩ.მილზს და არ ვიფიქროთ, რომ გახმოვანებული პრობლემები გადაუჭრელია. ამ პრობლემებთან ბრძოლა შესაძლებელია და რაც მთავარია, ღირს. თუ ფხიზლად შევხედავთ ნივთებს, მაშინ ეს „ბრძოლა“, ისევე როგორც ამ პრობლემების გადწყვეტაც, შიეძლება დისციპლინის თვისებად, სოციოლოგიური საქმიანობის განუყრელ საქმიანობად და იმ მომენტადაც კი იქცეს, რომელშიც სოციოლოგია კი არ გაიხლართება, არამედ განვითარდება და რაციონალურ მოლოდინებს გაამართლებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიდენსი ე. (1999). სოციოლოგია, მ.
2. სმელზერი ნ. (1994). სოციოლოგია, მ.
3. ფრანკი ს. (1998). ზოგადი თეორიის საფუძვლები, მ.
4. სოციოლოგია. (2015). ზოგადი თეორიის საფუძვლები, მ. .



---

---

*Amiran Berdzenishvili* – Doctor of Philosophical Sciences, Professor of Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Prof. Berdzenishvili works in the field of Social and Political Philosophy and Sociology. He has published many scientific works in science fields, including monographs and textbooks.

*Kakha Ketsbaia* – doctor of Philosophical Sciences, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta-sociology) and philosophy of religion and theology. He is the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

---

---

**Scientific status of sociology  
(critical reception of definition of sociology given  
by Anthony Giddens and Neil Smelser)**

**Abstract**

The question of scientific status of sociology according to critical reception of definition of sociology given by A. Giddens and N. Smelser is considered in the present article. It is emphasized that the problem of the subject of sociology has not yet been solved despite the diversity and plurality of opinions. In definition given by Giddens and Smelser the emphasis is on the study of society by sociology, and not on the subject of sociology. To say that sociology scientifically studies society, social groups and relations, expresses only our cognitive-scientific approach to the subject of study, but not the essence of sociology as a science. It is known that science determines and studies a regularity that should be reflected in the definition of sociology at least indirectly, if not directly. Otherwise, we will lose sociology as a science. So it would be desirable to emphasize this fact in the definition of sociology, namely, to say that, unlike other sciences, sociology explores **laws** and **regularities** of the existence, functioning and variability of society, social groups, social formations, even of person and so on, as of integral formations.

*წარმოდგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.*

---

**მეტი ლობჯანიძე** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი. მუშაობს სოციალური ფილოსოფიის და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. არის მონოგრაფიის ავტორი.

**კახა ქეცბაია** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

---

## **განათლება მამს ვეზირის სოციოლოგიაში**

სოციოლოგიის კლასიკოს მამს ვეზირს განათლების შესახებ სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განათლება მჭიდრო კავშირშია იმ სოციალურ პროცესებთან, რომლებსაც იგი იკვლევდა. ვებური განათლების პრობლემატიკას საკუთარი სოციოლოგიური კონცეფციის ისეთ ცნებებთან მიმართებაში განიხილავდა, როგორცაა რაციონალურობა, ბიუროკრატიის თეორია და სოციალური სტრატეფიკაცია.

**განათლება და რაციონალიზაცია:** „რაციონალიზაცია“ და მასთან კავშირში მყოფ ცნებებს – რაციონალიზმსა და რაციონალიზაციას ვებერის ნაშრომებში ცენტრალური ადგილი უკავიათ. ვებერის მიერ რაციონალისტური სოციოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბება მის თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ანალიზით იყო განპირობებული. ამის შესახებ ვებერი თავისი ნაშრომის – „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ – წინასწარ შენიშვნებში წერდა. დასავლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კულტურული ფენომენი სხვა ცივილიზაციებისთვისაც ცნობილია, მაგრამ რაციონალური „დასაბუთება“ და რაციონალური ექსპერიმენტი განასხვავებს, მაგალითად, ევროპის მეცნიერებას ინდური მეცნიერებისგან. ამასთან, თავისთავად, რაციონალიზმი მხოლოდ დასავლური კულტურის უნიკალური მახასიათებელი როდია. ვებერი ამ შემთხვევაში რაციონალიზმის იმ ფორმაზე მსჯელობს,

რომელიც დასავლური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ რაციონალურობა ვებერის სოციოლოგიური თეორიის ცენტრალური ცნებაა, მისი ცალმხრივი და ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. მაგალითად, **რ. ბრუბაკერი** მის 16 სხვადასხვა მნიშვნელობაზე საუბრობს ვებერთან.

რაციონალურობა ამა თუ იმ მოქმედების იმანენტური თვისება არ არის. იგი ჩნდება მაშინ, როდესაც ინდივიდის მოქმედებასა და ამ მოქმედების საზრისს შორის კავშირი მყარდება, რის გამოც აქტორის მიერ მოქმედება რაციონალურ სახეს იღებს. რაციონალურობა ნიშნავს, რომ ადამიანთა მოქმედებას საზოგადოებაში მკაცრად გათვლილი და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ამის ტიპური მაგალითია კაპიტალისტური საზოგადოება. ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის აღსანიშნავად შემოიტანა ვებერმა ტერმინი „საზოგადოების რაციონალიზაცია“. ეს იგივე საზოგადოების „განჯადოება“ და დემაგიზაციაა, რაც ტრადიციული ნორმების ნაცვლად სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „საზოგადოების რაციონალიზაცია“ ვებერმა შემოიტანა სოციოლოგიაში. მანვე საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის 7 მთავარი ნიშანი გამოყო:

1) **მკაფიოდ გამოყოფილი სოციალური ინსტიტუტები** – რასაც მოკლებული იყო ადრინდელი საზოგადოება. ყველა სოციალური ინსტიტუტის ფუნქციას ოჯახი ასრულებდა. თანამედროვე საზოგადოებაში კი მკაფიოდ არის გამოყოფილი რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და განათლების ფუნქციის მატარებელი სოციალური ინსტიტუტები. ამ შემთხვევაში სიციალურ ინსტიტუტთა დიფერენციაციასთან გვაქვს საქმე;

2) **მსხვილმასშტაბიანი ორგანიზაციები** – თანამედროვე რაციონალურობა თვალში საცემია მსხვილმასშტაბიანი ორგანიზაციების გავრცელების შედეგადაც. თანამედროვე საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი, მილიონობით ადამიანი, ამ ტიპის ორგანიზაციებშია დასაქმებული;

3) **სპეციალიზებული ამოცანები** – ტრადიციული საზოგადოების წევრებისაგან განსხვავებით, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანები სპეციალიზებულ სამუშაოთა მთელ წყებას ასრულებენ. სატელეფონო წიგნში ჩახედვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რამდენად მრავალი პროფესია არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში;

4) **პირადი დისციპლინა** – თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი აქტივია თვითდისციპლინა; თვითდისციპლინებული პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს პროტესტანტული ეთიკა ასრულებს. ვებერის აზრით, წარმატებულობისა და ეფექტურობის საიდუმლო სწორედ რელიგიურ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ;

5) **დროის ფაქტორის გაცნობიერება** – ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანები დროს ჩვეულებისამებრ მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის მიხედვით საზღვრავენ. თანამედროვე საზოგადოებამ კი დროის ფაქტორის აქტუალიზება მოახდინა და ადამიანმა გაცნობიერა, რომ „დრო ფულია!“

6) **ტექნიკური კომპეტენტურობა** – ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს იმის მიხედვით აფასებენ, თუ ვინ ვინ არის. თანამედროვე საზოგადოებაში კი ადამიანის შეფასების კრიტერიუმია, თუ ვინ რა არის, რაც მთელი რიგი უნარ-ჩვევების ქონაზეა დამოკიდებული;

7) **პიროვნულობის დაკარგვა** – რაციონალურ საზოგადოებაში ახლო ურთიერთობებთან შედარებით ტექნიკური კომპეტენტურობაა პრიორიტეტული. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ჩვენ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებთან მივდივართ, სრულებით არ გვანტერესებს მათი პიროვნულობა, სულაც არ აღვიქვამთ მათ, როგორც პიროვნებებს. რაციონალიზებულ სამყაროში ადამიანური გრძნობებისა და პიროვნულობისათვის ადგილი არ რჩება. თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ მათი კონტროლი ძალზე ძნელია, ამიტომ უარს ამბობს მათზე.

განათლების სისტემას ვებერი საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის კონტექსტში განიხილავდა. მის მიხედვით, განათლება **ფორმალური რაციონალურობის** (დასახული მიზნის მისაღწევად საშუალებათა ადეკვატური გათვლა) ერთ-ერთი სახეა, რომელსაც მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალური ფუნქციები აქვს.\* განათლების სისტემა ვებერის მიერ გამოყოფილი რაციონალური ორგანიზაციის თითქმის ყველა ნიშნით ხასიათდება. სხვა სოციალურ ინსტიტუტებ-

---

\* ვებერის მიერ გამოყოფილი რაციონალურობის სხვა ტიპებია: **პრაქტიკული რაციონალურობა** – პირადი ინტერესების მეშვეობით მოქმედება; **თეორიული რაციონალურობა** – განზოგადებული, აბსტრაქტული ცნებებით მოქმედება; **სუბსტანციური რაციონალურობა** – ღირებულებების მიხედვით მოქმედება.

თან შედარებით განათლება რაციონალურობის მაღალი ხარისხით გამოიჩინება.

**განათლება და ბიუროკრატია:** საზოგადოების რაციონალიზაციასთან არის დაკავშირებული ვებერის ბიუროკრატის თეორია. ჩვეულებრივ, ბიუროკრატია სახელმწიფო აპარატის საშუალო რანგის ჩინოვნიკური სისტემაა. ვებერის მტკიცებით, თანამედროვე საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა იერარქიულად მონესრიგებული როლების განაწილებას მოითხოვს, რომელიც ჩამოყალიბებულია მკაფიოდ განსაზღვრული უპიროვნო წესებისა და პროცედურების საფუძველზე. ვებერმა განსაზღვრა ბიუროკრატის „იდეალური ტიპი“, რომელიც იმის გასაზომად გამოიყენება, თუ რამდენად ბიუროკრატიულია ორგანიზაცია. ბიუროკრატის ნიშნებია:

- იერარქიულად ორგანიზებული როლების სისტემა. ვერტიკალური დაქვემდებარება – ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაწყებული რიგითი თანამშრომლებით დამთავრებული;

- სამუშაო რეჟიმის რეგულირება გარკვეული წესებით;
- მკაცრი სამსახურებრივი დისციპლინა;
- კანცელარია;
- ოფიციალურისა და პირადულის მკაცრი გამიჯვნა.

ეს ყველაფერი, ვებერის მიხედვით, ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობის პირობაა, ამიტომაც ბიუროკრატია თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების გაგება. რაც შეეხება გაუცხოების პრობლემას, მარქსის მსგავსად, ვებერიც ამჩნევდა, რომ თანამედროვე საზოგადოება, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობისთვისაა მონოდებული, ნელ-ნელა მონსტრად (ურჩხულად, ლევიათანად) გადაიქცა, რომელმაც გადაყლაპა ადამიანი, თუმცა, მარქსისაგან განსხვავებით, პრობლემის მოსაგვარებლად რევოლუციებისათვის არ მიუმართავს. მას ბოლომდე მიამიტურად სჯეროდა თავისი რაციონალისტური კონცეფციისა და ეგონა, რომ ის ადამიანებს ბედნიერებას მოუტანდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. რაციონალიზმმა კრაზი განიცადა (ნიცშე და პოსტმოდერნისტები) და სოციოლოგიურ აზროვნებაში ახალი პორიზონტი გამოჩნდა პოსტმოდერნისტული სოციოლოგიის სახით.

ბიუროკრატია, როგორც ლეგალური ბატონობის „იდეალური ტიპი“, განსაკუთრებულ საქმიან და პროფესიულ კომპეტენციებს საჭიროებს. სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება განათლებასა და ბიუროკრატის შორის კავშირი. ვებერი წერდა, რომ სპეციალიზებული

ლი ცოდნა ბიუროკრატიის გაბატონებული ძალაუფლებრივი პოზიციის საფუძველია. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ნებისმიერი სახის ცოდნა და კომპეტენცია როდია ბიუროკრატიული ძალაუფლების საფუძველი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც „რაციონალურად ჩამოყალიბებულ წესებს“ ემყარება. „რაციონალურად ჩამოყალიბებული წესების“ მიხედვით, ცოდნას თანამედროვე საზოგადოებაში საგანმანათლებლო დაწესებულება იძლევა. ამგვარად, აქ საქმე ისეთ ცოდნას შეეხება, რომელიც განსაკუთრებული წესითაა მიღებული და შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული, ანუ სერტიფიცირებულია.

ბიუროკრატიის წინსვლამ და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისმა დამკვიდრებამ, ვებერის მიხედვით, პროფესიონალი ექსპერტის საჭიროება მოითხოვა. ბიუროკრატიისთვის აუცილებელი სამოხელეო აპარატის ჩამოყალიბება კი განათლების სისტემის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამან გამოიწვია განათლების ტრადიციული სისტემის მოდერნიზაცია, ანუ, უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, განათლების სისტემა ბიუროკრატიული მმართველობის მოთხოვნებთან იყო შესაბამისობაში და, სულ მცირე, ორი ძირითადი სოციალური ფუნქცია ეკისრებოდა:

- ექსპერტებისა და სამოხელეო აპარატის პროფესიული მომზადება;
- კვალიფიკაციის დადასტურება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი მონუმენტების სახით, ანუ, ვებერის აზრით, თანამედროვე განათლებას იმთავითვე კრედიენციალისტური ხასიათი ჰქონდა.

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად სპეციალური გამოცდების ჩაბარებაა აუცილებელი. ვებერი მიიჩნევს, რომ სპეციალიზებული გამოცდები სიახლე როდია. ის ცნობილი იყო შუა საუკუნეების ევროპაში და ისლამური აზიისა და აღმოსავლეთისთვისაც არ ყოფილა უცხო. აქ განსხვავება ისაა, რომ ტრადიციული საგამოცდო სისტემა სპეციალიზებულ სახეს მოკლებულია, მაშინ როდესაც თანამედროვე საგამოცდო სისტემა სპეციალიზაციაზეა ორიენტირებული. ამასთან, ამ ტიპის გამოცდების ჩაბარების შედეგად მიღებული დოკუმენტი სოციალური პრესტიჟის ფუნქციას იძენს. სწორედ ამ პუნქტში ეხება ვებერი განათლებისა და სოციალური სტრატეგიკაციის ურთიერთმიმართების საკითხს.

**განათლება და სოციალური სტრატეგიკაცია:** გამოცდების თანამედროვე სისტემის უპირატესობა, ვებერის მიხედვით, იმაში გამოიხა-

ტება, რომ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მისგან მომდინარე სოციალური პრესტიჟი მისი მფლობელისთვის შრომის ბაზარზე ეკონომიკურ უპირატესობად გადაიქცევა. ასევე, იგი საზოგადოების სტატუსურ იერარქიაში წინსვლის პირობა შეიძლება გახდეს. ვებერი წერდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, რომელშიც ძალაუფლებრივი პოზიციები ბიუროკრატიული აპარატის ხელშია მოქცეული, განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ის მნიშვნელობა აქვს, რა მნიშვნელობაც გვაროვნულ კუთვნილებას (არისტოკრატიას) ჰქონდა. ვებერის აზრით, ის ადამიანები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ საგანმანათლებლო დოკუმენტები, შეიძლება სოციალურად სასარგებლო პოზიციების მონოპოლიზატორები გახდნენ. შესაბამისად, სპეციალიზებული გამოცდები ეკონომიკურად ხელსაყრელი პოზიციების მონოპოლიზების უნივერსალური საშუალება ხდება, რის შედეგადაც განათლება ვებერის სოციოლოგიაში სოციალური დიფერენციაციის წყაროა. ამ შემთხვევაში ვებერს საზოგადოების კლასობრივი და სტატუსური სტრატეფიკაცია აქვს მხედველობაში. სტრატეფიკაციის მარქსისტული თეორიისგან განსხვავებით, რომელიც კლასის ცნების ერთმნიშვნელოვნებაზეა დამყარებული, ვებერის მიერ წარმოდგენილი მოდელი „პოლიფონიურობით“ გამოირჩევა. „პოლიფონიურობა“ სტრატეფიკაციულ ჯგუფებს ეხება ამ შემთხვევაში. ვებერის სტრატეფიკაციული მოდელის საფუძველი „ნესრიგის“ ცნებაა. „ნესრიგი“ საზოგადოების დაფენიანების წესს ნიშნავს. დაფენიანების ანუ სტრატეფიკაციის საგნის მიუხედავად, ნესრიგის სამი ფორმა არსებობს: 1) ეკონომიკური – საქონლისა და მომსახურების განაწილება და გამოყენება; 2) სოციალური – საზოგადოებაში პატივისა და ღირსების განაწილება და 3) ლეგალური – პოლიტიკური ძალაუფლების განაწილება საზოგადოებაში. ეკონომიკურ ნესრიგს შეესაბამება კლასები, სოციალურს – სტატუსური ჯგუფები და პოლიტიკურს – პარტიები.

კლასი ვებერის მიერ განმარტებულია, როგორც „შემოსავლების მოპოვების შანსი, რომელიც ეკონომიკურად რელევანტური მდგომარეობით, შესაბამისად, ქონებით ან კვალიფიკაციითაა განპირობებული და მოთხოვნადი სამუშაოს შესრულების საშუალებას იძლევა“. ამ აზრით, განათლება, რომელიც დიპლომის მფლობელს შრომის ბაზარზე ეკონომიკურად ხელსაყრელი პოზიციის პრეტენდენტობის საშუალებას აძლევს, კლასობრივი დაყოფის ისეთ საფუძველს წარმოადგენს, როგორც საკუთრებაა. საბაზრო სიტუაციის პირობებში, როგორცაა სინამდვილეში კლასობრივი სიტუაცია, გა-

ნათლების დიპლომი ეკონომიკურ უპირატესობად კონვერტირდება და მატერიალური სიკეთეების მოსაპოვებლად მისი მფლობელის შანსებს ერთიორად ზრდის.

თავის მხრივ, სტატუსური დიფერენციაცია საზოგადოებაში დადებითი ან უარყოფითი სოციალური პრესტიჟის მოპოვების შანსებზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში ფორმალური განათლება სოციალური პრესტიჟის კრიტერიუმებს მიეკუთვნება. სოციალური პრესტიჟი, ვებერის მიხედვით, სპეციალური განათლებით მიიღწევა. ბიუროკრატიულ ბატონობაში ჩართვა სათანადო განათლების მიღების შედეგად ხდება. განათლების შინაარსი და მიზნები მმართველი ფენიდან მომდინარეობს, რომელიც განათლების მეშვეობით საზოგადოებას კარნახობს სტრატეგიკაციული სტრუქტურის ზედა ეშელონებში მოხვედრის გზას. კაპიტალისტურ და კაპიტალიზმამდელ საზოგადოებებში განათლებასთან დაკავშირებულ სოციალურ პრესტიჟს პრინციპულად სხვადასხვა საფუძველი გააჩნია. ეს განსხვავება განათლების მიზნების ცვალებადობიდან მომდინარეობს.

ვებერის მიხედვით, ისტორიულად ორი ძირითადი მიზანი არსებობს, რომლისკენაც განათლება მიისწრაფვის: 1) ქარიზმის, გმირული სულისკვეთების, ანუ ღვთაებრივი ნიჭის გამოღვიძება და 2) ექსპერტთა სპეციალიზებული მომზადება. განათლების ეს ორი ისტორიული მიზანი ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ იმყოფება, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. თითოეულ მათგანს განათლების მათთვის შესაფერისი ტიპი შეესაბამება, რომლებიც ბატონობის ორ ტიპთანაა შესაბამისობაში: ქარიზმატულთან და რაციონალურ-ლეგალურთან (ბიუროკრატიულთან).

**ქარიზმატული განათლება** ქარიზმის, როგორც ზებუნებრივი პიროვნული ნიჭის, შესახებ წარმოდგენაზეა დამყარებული. სხვისთვის ამ ნიჭის გადაცემა შეუძლებელია. ქარიზმის სწავლება არავის არ შეუძლია, ამიტომ ქარიზმატული განათლების ტექნოლოგია ინდივიდში ამ ნიჭის აღმოჩენასა და გაღვიძებაზეა მიმართული. ქარიზმატული განათლების ნამდვილი მიზანი, – წერდა ვებერი, – ახალი სულის მოპოვება და ქარიზმატული უნარების განვითარება.

**სპეციალური განათლების** მიზანი კონკრეტული ფუნქციის შესრულების უნარის მქონე ინდივიდთა მომზადებაა, მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების, ლაბორატორიისა და წარმოების მუშაკების, ჯარისკაცების და ა. შ. ქარიზმატული განათლებისგან განსხვავებით, სპეციალური განათლების მიღება, რა თქმა უნდა, ერთნაირი წარმატებებით არა, მაგრამ ყველას შეუძლია.



განათლების ამ ორ უკიდურეს მიზანს შორის ათავსებს ვებერი განათლების ყველა შესაძლო სახეს, რომლებიც სწორი ცხოვრებისეული ქცევისაკენ არის მიმართული. ამასთან ცხოვრებისეული ქცევა, ვებერის მიხედვით, სტატუსური ჯგუფის ქცევაა. რანაირიც უნდა იყოს ცხოვრებისეული ქცევის სწავლება, მისი მიზანი ისეთი ადამიანის აღზრდა იქნება, რომლის ბუნება საზოგადოების მმართველი ფენის მიერ ჩამოყალიბებულ აღზრდის იდეალებზე იქნება დამოკიდებული.

არათანამედროვე საზოგადოებაში მმართველთა ძალაუფლება დიდწილად ტრადიციულ კულტურულ საფუძვლებს ემყარებოდა, ვიდრე ექსპერტულ ცოდნას.\* ამიტომ განათლების მიზანი „აღზრდილი ადამიანის“ ჩამოყალიბება იყო. თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლების რეალიზაცია ჩინოვნიკის ფიგურაზე დამოკიდებული, ამიტომ განათლების მიზანი ექსპერტის ჩამოყალიბებაა.

ექსპერტული განათლების თავისებურებებზე ვებერი მსჯელობს თავის ნიგნში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“. ამ შემთხვევაში საკითხი განათლებასა და კონფესიურ განსხვავებას შორის დამოკიდებულებას ეხება. ვებერი იმ ფაქტის ხაზგასმას ახდენს, რომ კათოლიკეები ჰუმანიტარულ განათლებას ანიჭებენ უპირატესობას, მაშინ როდესაც პროტესტანტებისთვის მთავარი ექსპერტული განათლებაა, ანუ ისინი პრაქტიკაზე არიან ორიენტირებულნი. შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების ტექნიკურ, სავაჭრო-სამრეწველო და სანარმოო სფეროებში მათ მონივრე ადგილი უკავიათ. ამ შემთხვევაში ვებერი იმას ამტკიცებს, რომ განათლებასა და რელიგიას შორის ორგანული კავშირი არსებობს.

**განათლება და ღირებულებათა ტრანსმისია:** ვებერმა, დიურკემის მსგავსად, განათლების ინსტიტუტი მსოფლმხედველობრივი და ღირებულებათა ტრანსმისიის პოზიციიდანაც განიხილა. ვებერი ეთანხმება დიურკემს იმაში, რომ განათლების ინსტიტუტი თაობიდან თაობისთვის არა უბრალოდ ცოდნის გადაცემის ფუნქციას ასრულებს, არამედ ცოდნასთან ერთად ღირებულებათა გადაცემა და მსოფლმხედველობრივი პოზიციების ჩამოყალიბებაც ხდება. ოღონდ განსხვავება დიურკემისა და ვებერის პოზიციებს შორის ისაა, რომ დიურკემი ერთიანი საზოგადოებრივი იდეალის არსებობაში იყო დარწმუნებული, რომელიც საზოგადოების მთლიანობას უზრუნვე-

---

\* ექსპერტი, ვებერის მიხედვით, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებულ, საქმის მცოდნეს ნიშნავს.

ლყოფს და რომლის ღირებულებები განათლების მეშვეობით აითვისება; ვებერი ამგვარი იდეალის არსებობას უარყოფს და სხვადასხვა ღირებულებით წესრიგს შორის ბრძოლაზე ამახვილებს ყურადღებას. ღირებულებათა კოლიზიისა და ბრძოლის შემთხვევაში მასწავლებლის ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ კომპეტენციის ზღვარს რამენაირად არ გასცდეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს საკუთარი პოზიცია თავს არ უნდა მოახვიოს. ის არ შეიძლება ბელადი იყოს, მაგრამ მას უფრო მეტი შეუძლია – ფორმალური რაციონალურობის მოქმედების სფეროში ყოფნით მოსწავლეებს არჩევნის გაკეთებაში დაეხმაროს, ანუ თვითონაც პასუხისმგებლობის უნარის მქონე უნდა იყოს და თავის მოსწავლეებსაც ამისკენ მოუწოდებდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვებერს ცალკე ნაშრომი განათლების სოციოლოგიაში არ დაუწერია, მაგრამ განათლების შესახებ მისმა ფრაგმენტულმა განაზრებებმა თანამედროვე განათლების სოციოლოგიაში ნარეული კვალი დატოვა. იგი ბიძგის მიმცემი გახდა ამ მეცნიერების საბოლოო ჩამოყალიბებაში.

### ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ა. (2013). კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თბ.
2. ზაქარაია, დ. ქეცბაია კ. (2012). სოციოლოგიის კლასიკოსები – პერსონალია, თბ.
3. კაჭკაჭიშვილი ი. (2008). სოციალური თეორია, თბ.
4. ქეცბაია კ. (2013). სოციოლოგიის შესავალი, თბ.
5. ქეცბაია კ. (2020). რელიგიის სოციოლოგია, თბ.
6. ქეცბაია კ. (2017). მაქს ვებერი – ცხოვრება და შემოქმედება (გზამკვლევი სტუდენტებისათვის), თბ.
7. ქეცბაია კ. (2020). განათლების სოციოლოგია, თბ.
8. ვებერი მ. (2004). რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში, თბ.
9. Вебер М. (1993). Избранные произведения: пер. с нем./сост., общ. ред. и послесл. Давыдова Ю. предисл. Гайденок П. М.
10. Brubaker R. (1984). The Limits of Rationality: An Essay on the Social and Moral Thought of Max Weber. London: Allen & Unwin,

---

---

*Meki Lobzhanidze* – Doctor of Philosophy, Professor, Vice Rector of Akaki Tsereteli Kutaisi State University. Works on problems of social philosophy and philosophical anthropology. He has published scientific works in this field of science. He is the author of a monograph.

*Kakha Ketsbaia* – doctor of of Philosophical Sciences, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta-sociology) and philosophy of religion and theology. He is the author of more than 150 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

---

---

## **The Issue of Education in Max Weber's Sociology**

### **Abstract**

Max Weber did not write a special work on education though despite it, education is closely associated with the social processes which he studied. Weber examined the educational problems in relation to such concepts of his sociological conception as rationality, the theory of bureaucracy and social stratification. The article deals with such key issues of Weber's sociology of education as education and rationality, education and bureaucracy; education and social stratification; charismatic education; special education; expert education; status groups; education and transmission of values.

Weber's fragmentary considerations on the educational issues left an indelible trace on the contemporary sociology of education. He gave a stimulus to the final establishment of this branch of science.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**დავით ზაქარაია** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. არის სამეცნიერო წიგნების ავტორი, გამოქვეყნებული აქვს შრომები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

---

## **სოციალური გაცვლა და სოციალური კონტრაქტი**

ადამიანისათვის ყოველ ეპოქაში პრობლემურად რჩებოდა საკითხი, შეეცნო მისი თანადროული ეპოქის თავისებურებები, გამონვევები, გარკვეულიყო დადებით და უარყოფით ტენდენციებში, რათა სწორად მოეხდინა თვითრეალიზაციისათვის აუცილებელი სივრცის – საზოგადოების ორგანიზება. ჩვენი თანადროული ეპოქაც ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი სფერო რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად არ შეეხო ეს ცვლილება. სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად ფორმირებული „ქსელური საზოგადოების“ მიერ მხარდაჭერილმა „ინფორმაციულმა მულტიკულტურალიზმმა“ განვითარების პოსტმოდერნისტულ ეპოქას დაუდო საფუძველი. ამჯერად ალბათ იმ გამორჩეულ ეპოქათა რიგში ვიმყოფებით, როდესაც გამოწვევის წინაშე დადგა ადამიანების, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებათა სისტემა, ჩვეული ცხოვრების წესი. ქსელურმა საზოგადოებამ, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა პიროვნული იდენტობის მაფორმირებელ ძირითად ინსტიტუტებს – ოჯახს, თემს, ნათესაურ კავშირებს, ეკლესიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტს. ასეთ შემთხვევაში რათქმაუნდა თვისობრივ გადაწყობას საჭიროებს სისტემა რომელსაც ევალება პიროვნების სოციალიზაციის პროცესის მხარდაჭერა, ორგანიზება და წარმართვა. ვგულისხმობთ საგანმანათლებლო სისტემას და მის ინსტიტუციურად მხარდამჭერ აქტორების სკოლას, უნივერსიტეტს და ანალოგიურ დაწესებულებებს. აქვე სრულად ვაცნობიერებთ იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო სფეროს მოდერნიზაციის აუცილებლობაზე საუბარი არახალია, კიდევ უფრო მეტი დარგის სპეციალისტები სისტემურად მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და რეფორმირების მცდელობებიც არაერთხელ ყოფილა, თუმცა შედეგები უდაოდ არასახარბიელო გვაქვს. აღნიშნული წარუმატებლობის მიზეზების განხილვა ალბათ შორს ნაგვიყვანს და ამჯერად ეს არცაა ჩვენი ამოცანა, ვიტყვი თხო-

ლოდ იმას, რომ აქ კოსმეტიკური ცვლილებები არც მომავალში გამოიღებს შედეგს, საჭიროა ეპოქის შესაბამისი, არსებული გამონვევების ადეკვატური გადანწყვეტილებების მიღება და რეფორმების გატარება. რეფორმების უკვე არსებული, ხშირ შემთხვევაში მწარე გამოცდილება კი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ ამ გზაზე სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემიდან ამა თუ იმ მოდელის კოპირება დადებით შედეგს არ იძლევა, თუმცა ვინაიდან გამოცდილების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, სასურველია ეს გაკეთდეს ახლებრი მიდგომებისა და ტენდენციების გათვალისწინებით.

პარადოქსულია მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად საზოგადოებაში რომელსაც მოვიხსენიებთ, როგორც „ინფორმაციულ საზოგადოებას“, „ცოდნის საზოგადოებას“, სადაც საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალად ინფორმაცია, თეორიული ცოდნა და მეცნიერება მიჩნეული, არასდროს ყოფილა პედაგოგი, მასწავლებელი, სკოლა თუ უნივერსიტეტი ისე შეუფასებელი როგორც დღეს. ვსაუბრობთ არა განზოგადოებულად, არამედ ვგულისხმობთ იმ სინამდვილეს, რომელიც შექმნილია ჩვენთან, ჩვენს სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში. რითი შეიძლება იყოს ეს განპირობებული? ალბათ დიდი კვლევა-ძიება არ ჭირდება იმის დადგენას, რომ პროდუქტი რომელსაც საზოგადოება სათანადოდ არ აფასებს, ესაა ცოდნა, უნარი შემნა პროდუქტი, რომელმაც საბოლოო ჯამში ეროვნული დოვლათის სახე უნდა შეიძინოს. შესაბამისად როდესაც არაა მოთხოვნა ინტელექტუალურ პროდუქტზე, რა თქმა უნდა დაუფასებელია ინტელექტუალური პროდუქტის „გამყიდველიც“ – მასწავლებელი სკოლაში, ლექტორი უნივერსიტეტში. რეალობა იმდენად აბსურდული და ირაციონალურია, რომ ხშირ შემთხვევაში მაგალითად პირველ კურსელის „არაკვალიფიციური“ შრომა მეტადრე მაღალანაზღაურებადია, მაგალითად სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში, ვიდრე „კვალიფიციური“ პროდუქტის შემქმნელის – მასწავლებლის, ლექტორის. აღნიშნული გარემოება, მარტივად აიხსნება მოთხოვნა-მიწოდების უნივერსალური პრინციპით. რასაც მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ მოთხოვნა იმ ადამიანებისადმი ვინც ქმნის, ან შეუძლია შექმნას ინტელექტუალური პროდუქტი ჩვენს საზოგადოებაში უაღრესად დაბალია. მოთხოვნა შედარებით სტაბილურია იაფი მუშა ხელის შემთხვევაში. აღნიშნული ვითარება ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა რო-

გორც „ცოდნის საზოგადოება“ და არც განვითარების ინფორმაციონალური ფორმაა მისთვის სასურველი მიზანი. პირიქით, ინტელექტუალურ პროდუქტზე, მათ შემქმნელებზე, ეგზომ დაბალ მოთხოვნას მივყავართ „მომსახურეობითი საზოგადოების“ ყველაზე პრიმიტიულ ფორმამდე, დონემდე, რომელიც ძირითადად მოიცავს სარესტორნო-კვებით, სასტუმრო-დასვენების და სხვა მსგავსი დაბალკვალიფიციური მომსახურების სექტორებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (2019 წლის მონაცემებით) შესწავლილი 141 ქვეყნიდან საქართველო სამუშაო ძალის უნარებით 125-ე ადგილზეა, პერსონალის წვრთნის ხარისხით 123-ე ადგილზე და პროფესიული გადამზადების ხარისხით 135-ე ადგილზე. [1] აღნიშნული მონაცემები, ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ განათლების პრიორიტეტულობაზე საუბარი მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებს და სახელმწიფოებრივ დღის წესრიგში, რასაც ამ მიმართულებით ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხებიც ცხადყოფს, საშუალოდ 4-5%, მას ნამდვილად არ უჭირავს პრიორიტეტული პოზიციები.

არსებულ ვითარებაში, მითუფრო თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს, რთული მისახვედრი არაა, თუ განვითარების რა ტენდენციები შენარჩუნდება მომავალში. თუმცა ჩვენი აზრით, ამ სტრატეგიული მიმართულებით წარმატების მისაღწევად მხოლოდ თანხების დაბანდება და სექტორალური რეფორმები არ იქნება წარმატების მომტანი, მანამ სანამ არ შეიცვლება დამოკიდებულება ფუნდამენტური საკითხებისადმი და არ გაჩნდება მოთხოვნა ინტელექტუალურ პროდუქტზე და ინტელექტუალური პროდუქტის შემქმნელი სუბიექტების მიმართ. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ინტელექტის გადინება ეს საყოველთაო პროცესია, რომელსაც მოსდევს ინტელექტუალური შიმშილი, ეროვნული გონის გაღარიბება და ინტელექტუალური გენეტიკის წყვეტა, რაც საბოლოო ჯამში აისახება ერის სულიერ ძალებზე, მის ქმედუნარიანობაზე.

აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და განათლებული თაობის აღსაზრდელად საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა პროაქტიული თვალსაზრისით აჩენდეს სწორ მოლოდინებს იმ ახალგაზრდებში და მათ აღმზრდელებში, ვინც დაინტერესებულია ერთის მხრივ გაცეს და მეორეს მხრივ შეიძინოს ცოდნა. ესაა „სოციალური გაცვლის“ მარტივი მაგრამ ინფორმაციულ ეპოქაში უმთავრესი ფორმა, რომელიც შესაძლოა ჯ. ჰომანსისეული „გაცვლის თეორიის“ ჭრილში უკეთ დავინა-

ხოთ და პრაქტიკულად გამოვიყენოთ. ი.კაჭკაჭიშვილი ნიგნში „სოციალური მოქმედების თეორიები“ აღნიშნავს: „გაცვლის იდეას, როგორც სოციალური სოლიდარობის წყაროს ან საშუალებას, დიდი ხნის ტრადიცია აქვს სოციალურ ანთროპოლოგიაში... გაცვლის თეორია დაუკავშირდა ისეთ მოაზროვნეებს, როგორიცაა ჯ.ჰომანსი და პ.ბლაუ. ისინი შეეცადნენ აეგოთ დედუქციური თეორია, რომელიც დაეყრდნობოდა ბიჰევიორისტული სოციოლოგიიდან ნასესხებ მარტივ პრინციპებს: ადამიანები მიდრეკილნი არიან მოიქცნენ ისე რაც მათ წარმატებას მოუტანს და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს (ეს ის დონეა რომელიც პარსონსთან უკავშირდება „ერთეულ აქტს“). აღნიშნული თეორია საზოგადოებას წარმოადგენს როგორც ადამიანთა გაცვლითი ქმედებების ასპარეზს იმისათვის რათა ინდივიდებმა უზრუნველყონ მათი სარგებლობის მაქსიმიზაცია და დანაკარგების მინიმიზაცია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ყურადღება ექცევა რაციონალურ პროცედურებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანები იღებენ განსაზღვრულად მოქმედების გადამწყვეტილებას“ [გვ.98] აღნიშნული ამონარიდი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ პოზიტიური მოლოდინი არის ერთ-ერთი ის ფაქტორი რაც განაპირობებს საზოგადოებაში ადამიანის ქცევას, თუმცა იმ პირობით, რომ ეს ქცევა ამავდროულად მონონებული და წახალისებულია. ჰომანსისეული მოდელის მოხმობა დაგვჭირდა იმისათვის, რომ ხაზი გაგვესვა მხარდაჭერის მოდელების მნიშვნელობაზე ანუ მოზარდებში განათლებისადმი, ინტელექტუალური პროდუქტის შექმნისადმი სწრაფვა მხარდაჭერილი უნდა იყოს როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ჩვენის აზრით, აღსაზრდელი „სოციალური კონტრაქტი“ უნდა დაუკავშირდეს აღმზრდელს. ესაა ნებაყოფლობითი, ურთიერთ სასარგებლო და საგანმანათლებლო სფეროში შესაძლოა ნაწილობრივ ნოვატორული პრაქტიკა, თუმცა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში აპრობირებული და წარმატებით დამკვიდრებული მეთოდი. ჯ.ჰომანსის „გაცვლის თეორიის“ საფუძველზე აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობის მოდელირებას თუ შევეცდებით, ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად სპორტსმენსა და მის მწვრთნელს შორის ურთიერთობა შეგვიძლია მოვიყვანოთ. ესაა ნებაყოფლობითი, თავისი არსით ხანგრძლივი, ორმხრივად სასარგებლო და პატივდებული ურთიერთობის ფორმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სრულად ანდა ნაწილობრივ აღწევს დასახულ მიზნებს. ვფიქრობთ, რომ „სოციალური კონტრაქტი“ მსგავსი მოდელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და ეფექტურად უპასუხებს ინფორმაციული საზოგადოების ინ-

ტელექტუალურ გამოწვევებს. თაობათა შორის გამოცდილების გაზიარების, ინტელექტუალური ინტერაქციისა და ხანგრძლივი კოლაბორაციის პირობებში, ერთის მხრივ მნიშვნელოვნად გაიზრდება ბაკალავრის, მაგისტრანტისა თუ დოქტორანტის კონკურენტუნარიანობა მის უცხოელ თანატოლებთან მიმართებით, ხოლო მეორეს მხრივ თვისობრივად შეცვლის მასწავლებლის როლს და მნიშვნელობას როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესში, ასევე ზოგადად საზოგადოებაში.

ჩვენი აზრით, ცოდნის „მიმღებსა“ და „გამცემს“ შორის პარტნიორული ურთიერთობის მხარდაჭერა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ „მომხმარებლური საზოგადოებიდან“ გეზს ავიღებთ და მიზნად დავისახავთ „ცოდნის საზოგადოების“ მოდელზე გადასვლას, სადაც განვითარების ინფორმაციონალური მოდელი გვკარნახობს, რომ პრიორიტეტი მივანიჭოთ და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ინსტიტუტებსა და სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური პროდუქტის წარმოება, მისი შემდგომი ინტეგრირება როგორც ეკონომიკაში, ასევე მეცნიერებაში, რაც თავის მხრივ თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მექანიზმს წარმოადგენს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [https://civil.ge/ka/archives/522430?fbclid=IwAR0Z6jL\\_cukeo-G4AMziBT7suxcb2kL0HpsGGnIX-Bzbqeezsv-oAAPფტdgdw](https://civil.ge/ka/archives/522430?fbclid=IwAR0Z6jL_cukeo-G4AMziBT7suxcb2kL0HpsGGnIX-Bzbqeezsv-oAAPფტdgdw)
2. <https://businessformula.ge/News/3311>
3. <https://bm.ge/news/dafinansebis-zrdis-miuxedavad-ganatilebis-xarisxi-ar-izrdeba/44047>
4. <https://www.mes.gov.ge/content.php?id=13624&lang=geo>
5. ბერძენიშვილი ა. (2019). თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, თბ.
6. ბერძენიშვილი ა. ქეცბაია კ. (2022). თანამედროვე სოციოლოგიური დისკურსი, თბ.
7. კაჭკაჭიშვილი ი. (2001). სოციალური მოქმედების თეორიები, თბ.



---

---

*David Zakaraia* – Doctor of Philosophy, Deputy Dean of the Faculty of Business and Social Sciences of Sukhumi State University. Associate professor of the same faculty. He is the author of scientific books, he has published works both in Georgia and abroad.

---

---

## **Social exchange and the social contract**

### **Abstract**

The network society has dealt a significant blow to the basic institutions shaping personal identity – family, community, family ties, the church and state authority. In such a situation, the system responsible for supporting the process of socialization that a person needs, meaning the educational system and its supporting institutions – school, university and similar institutions.

Our society could not be formed as a "knowledge society," and the informational form of development is not the desired model for it. Low demand for intellectual products and their creators leads to the dominance of the primary forms of the "service economy".

In our opinion, in order to be able to form a competitive society, the demand for intelligent products and for people who "produce" intelligent products should increase. For this, on the one hand, it is necessary to develop the mechanisms of the "exchange" of intellectual products between the subjects willing to "give" and "receive" knowledge in the educational system on the basis of the principle of partnership strengthened by the "social contract," and conversely, to raise the main branches of the "knowledge economy" to the state level Support Policy.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ნატალია ბინაძე** – თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის, ფილოსოფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი. ისტორიის აკადემიური დოქტორი. კითხულობს ლექციებს ფილოსოფიურ დისციპლინებში: ლოგიკა, ისტორიის ფილოსოფია, შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში, მეცნიერების ფილოსოფია. აქვს გამოქვეყნებული ერთი მონოგრაფია და სამეცნიერო პუბლიკაციები (ბოლო 5 წლის განმავლობაში 22).

**მანანა გაგოშიძე** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტ. პროფესორი. არის სამეცნიერო წიგნების ავტორი, გამოქვეყნებული აქვს შრომები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

---

## **გლობალიზაცია და განათლების საკითხები**

დღევანდელ განვითარებულ მსოფლიოში, დემოკრატიულ, თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებში, გლობალიზაციის პროცესი განათლების მიზნების, პრინციპებისა და მიმართულებების თანმხვედრი პროცესებით დაიწყო. საუკუნეების განმავლობაში ადამიანები არა მხოლოდ ეძიებდნენ, არამედ ერთმანეთს უზიარებდნენ ყოველივე იმას, რაც უკეთეს შედეგს მოუტანდა ახალი თაობის აღზრდასა და განათლებას. შემთხვევითი არც ის არის, რომ კლასიკურ ფილოსოფიაში აღმოცენდა მეცნიერება აღზრდისა და განათლების შესახებ – პედაგოგიკა და სწორედ მას უმაღლის კაცობრიობა იმ უნიკალურ მემკვიდრეობას, რომელშიც აღზრდისა და განათლების პრობლემები წარმოდგენილია მწყობრი სისტემით, ახალი ტიპის სასწავლებელთა შექმნის იდეებით. ცოდნა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა და დღეს, ინფორმაციული რევოლუციის პირობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ცოდნისა და განათლების ურთიერთდამოკიდებულების არა მხოლოდ თეორული გააზრება, არამედ პრაქტიკული განხორციელებაც.

ამრიგად, გლობალიზაცია და განათლება, მათი ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანსაზღვრის პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავეით და ხშირად გაურკვევლობითაც ხასიათდება. განათლების გლობალიზაციის პრობლემათა შორის დღეს უპირველესად მი-

იჩნევა გარკვეული სტანდარტების დანერგვა. ხშირად ტერმინები „ევროსტანდარტი“, „ამერიკული სტანდარტი“, „გერმანული სტანდარტი“ და ა.შ. უმაღლესი სასწავლებლების რეფორმირების საფუძველი ხდება. განათლებაში ამგვარი სტანდარტების დამკვიდრება გარკვეულ სირთულეებს ბადებს, მაშინ როდესაც თუ არ იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი, ეროვნული ინტერესები და გამოცდილება. ქართულ განათლებას ისტორიულად ამისი გამოცდილება და მტკიცებულება მოეპოვება. განათლების გლობალიზაციის მიმდევრებს სურთ დაასაბუთონ რომ საჭიროა სასწავლო საგნის ერთიანი მსოფლიო სტანდარტი და ამ მიდგომას რითი არ ასაბუთებენ. მათ ავიწყდებათ, ან არ იციან რომ ჯერ კიდევ კლასიკური პედაგოგიკიდან მოყოლებული განათლების არსებულ პრინციპთა შორის განსაკუთრებულია „აღმზრდელიობითი სწავლების“ და „ბუნების შესაბამისობის“ პრინციპები, რომელთა მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი და იგივე პრინციპით და მეთოდით აღზარდო, განავითარო პიროვნება სხვადასხვა ქვეყანაში. მოზარდზე უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ მშობელი სასწავლებელი, ნებისმიერი საგნის შინაარსი, არამედ ის გარემოც, ბუნებაც, რომელშიც ის იზადება, სადაც არის მისი გენეტიკური ფესვები. ყოველივე კი ქმნის იმ რეალურ ვითარებას, როდესაც ყოველ სასწავლო საგანს „განურჩევლად ჰუმანიტარულია თუ საბუნებისმეტყველოსი თავისი მოცულობის თუ შინაარსის განმსაზღვრელი „ბუნებისშესაბამისობის“ პრინციპი უნდა ედოს საფუძველად. ეს სრულებით არ ნიშნავს ნებისმიერი საგნის თუ მთლიანად სასწავლო საქმიანობის ვიწრო ნაციონალურ ნაჭუჭში მოქცევას. საკითხის ამგვარი დაყენება არც იმას ნიშნავს, რომ საერთოდ უარი ვთქვათ სწავლების სტანდარტიზაციაზე, ერთიან სასწავლო პროგრამებზე და მეთოდურ მიმართულებებზე, ეს აუცილებელიც არის, მაგრამ მხოლოდ ეროვნული განათლების ჩარჩოში და მსოფლიო საგანმანათლებლო მიღწევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით.

რა ხდება ამ მხრივ დღეს საქართველოში? ვფიქრობ, საკმაოდ დამაფიქრებელი და ხშირად გაუმართლებელი ვითარებაა შექმნილი, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერულ ჩარევას მოითხოვს, არამედ განათლებისადმი სახელმწიფოს და საზოგადოების დამოკიდებულების რადიკალურ შეცვლას. საერთოდ მართებულია ის, რომ რეფორმირების საწყისი ეტაპი სკოლა უნდა იყოს. ჩვენს სკოლებში უკვე დიდი ხანია ცალკე საგნად აღარ ისწავლება საქართველოს ისტორია, საქარ-

თველოს გეოგრაფია და ა.შ როგორც ზოგიერთი ავტორი განმარტავს, ამით საქართველოს მსოფლიო იზოლაცია ააცილეს თავიდან. ვფიქრობ ეს არ არის სწორი თვალსაზრისი. დღეს ის კონსულტანტები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არიან ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულები იმის გამო, რომ დამოძღვრონ ადგილობრივი კადრები თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს კარგია, მაგრამ ის ერთი რეცეპტი ყველასთვის (მაგ. საქართველო და აფრიკის ქვეყანა) მოსარგები ვერ იქნება. მაშინ როდესაც იმავე კონსულტანტები ხშირ შემთხვევაში არც იცნობენ საქართველოს განათლების წარსულს და აწყობს, უფრო მეტიც, წარმოდგენა არა აქვთ პედაგოგიკის თუნდაც ელემენტარულ ტერმინოლოგიაზე სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენ არ გვინდა ეს ისე იყოს გაგებული, რომ მხოლოდ კონსულტანტების გარშემო იყრის თავს პრობლემები, ბრალი ამასთანავე ქვეყანაში შექმნილი ვითარებაც გახლავთ. აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ დიდი ილიას შეგონებებით, რომ „ქვეყნის მყოფადი მდგომარეობა იმ მიმართულებაზე ჰკიდია, რომელსაც მისცემენ ახალთაობას“. დღეს ცივილიზებული სამყაროსათვის თვითმყოფადობის შენარჩუნების ყველაზე ნაცადი და ისტორიულად მრავალჯერ განვლილი გზა არის მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მისი სინმინდისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლა. რასაკვირველია ეს სულაც არ ნიშნავს სხვა, არამშობლიურ ენათა უპატივცემლობას, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ უცხო ენის შესწავლა პრიორიტეტულად გამოცხადდეს და „უარი ითქვას“ მშობლიური ენის სწავლებაზე. (თუკი სკოლებში მშობლიური ენის საათებს შეამცირებ უცხო ენის სწავლების სასრგებლოდ, მაშინ სხვა რა უნდა ვთქვათ) კვლავ დიდი ილიას შეგონება გვახსენდება „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარი მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწავდა“. ზოგს ავიწყდება, რომ ენა მარტო კომუნიკაციის საშუალება არ არის, ენა უპირველეს ყოვლისა განიხილება, როგორც სამყაროს თავისებურებათა, მშობლიური გარემოს, სულიერი სამყაროს გააზრება და გათავისება.

განათლების სოციოლოგიაში დადგენილ ქეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ განათლება ერთის მხრივ უნდა იყოს მისაწვდომი და საერთო, ხოლო მეორეს მხრივ, ორიენტირებული მაღალი კლასის პროფესიონალთა მომზადებაზე, ქართულ სინამდვილეში ამგვარი მოთხოვნის წაყენება თავიდანვე განწირული იქნება, თუ დევიზი, რომლითაც ცდი-

ლობენ იხელმძღვანელონ დღევანდელ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში „ თავისუფალი მოქალაქის აღზრდა“ არ იქნება დაზუსტებული – „ რისგან თავისუფალი“, „ რა მოვალეობის მქონე“. ამისთვის კი, ჩვენის აზრით უმთავრეს ამოცანად ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სრულყოფის საქმისადმი რადიკალურად შესაცვლელია სახელმწიფოს და საზოგადოების დამოკიდებულება. დღეს ფასეულობებისადმი არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ თავად საზოგადოების ზნეობრიობა დააყენა ეჭვის ქვეშ. დღეს ქრისტიანული წესით ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდება, ამას პირადი მაგალითები ესაჭიროება, რაც თანამედროვეობაში მეტად დეფიციტური გახდა. ამიტომაც დღეს გლობალიზაციის ეპოქაში მაცხოვრებელ ქართველ კაცს უნდა ახსოვდეს, რომ ხელშეუხებელი უნდა იყოს ტრადიციული, საოჯახო ცხოვრების წეს-ჩვეულებები. ყოველივე ეს ჩვენის ღრმა რწმენით სულაც არ ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს და მის მახასიათებლებს. გლოკალურად, ეს ნიშნავს ერთდოულად ადგილობრივისა და გლობალურის თანაარსებობას.

დღეს საუბარია განათლების სივრცობრივ, სამართლებრივ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებზე. მოგეხსენებათ განათლების სივრცობრივი განზომილება გამოიხატება იმაში, რომ გლობალური საინფორმაციო ქსელების გამოყენება ადამიანს საშუალებას აძლევს განათლება მიიღოს პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში; განათლების სამართლებრივი განზომილება გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნებში გაცემული დიპლომების აღიარებაში, განათლების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებაში; რაც შეეხება განათლების სოციალური და ფსიქოლოგიური განზომილება კი მდგომარეობს ადამიანის ახალ უცხო საგანმანათლებლო გარემოსთან ადაპტაციას.

ჩვენს ქვეყანაში უკვე ათეულ წელზე მეტია მიმდინარეობს განათლების გახმაურებული რეფორმა, მაგრამ ჯერ რაიმე ხელშესახებ ძვრებს განათლების სისტემაში საზოგადოება ვერ ამჩნევს, თუ უფრო კონკრეტული ვიქნებით, პირიქით, უფრო დაქვეითდა საშუალო სკოლის სკოლადამთავრებულთა საერთო საგანმანათლებლო ცოდნის დონე, უმაღლეს სასწავლებლებში მოდის თითქმის უცოდინარი ახალგაზრდობა, რომლებსაც შესაბამისი საფუძვლის უქონლობის გამო უჭირთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა. სამწუხაროდ, ამ ტენდენციას მასიური ხასიათი აქვს.

გლობალიზაციის პროცესი იმით არის საინტერესო, რომ ის განათლების სფეროში ხსნის მრავალ შესაძლებლობებს, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან. თანამედროვე სისტემის ახალი ელემენტია გამოყენებით სფეროებზე და საბაზრო ურთიერთობებზე უფრო მეტად ორიენტაციის გაფართოება.

დღეს გლობალიზაციის თანამედროვე პროცესის მნიშვნელოვანი მახასიათებელი უარყოფითი მოვლენაა განათლების ხელმისაწვდომობის უთანასწორობის პრობლემის აქტუალობა. ცოდნა დედამიწაზე არათანასწორად ნაწილდება. მაღალი შემოსავლების ოჯახებს მეტი შესაძლებლობა აქვთ თავიანთ შვილებს მისცენ პრესტიჟული განათლება. როგორც ამერიკელი მკვლევარი ფ.ფუკუიამა წერს „აშშ-ში კლასობრივი განსხვავება განსხვავებულად მიღებული განათლებითაც აიხსნება“. ეს სამწუხაროდ, ეხება არა მარტო ამერიკას. დღეს ადამიანი დაჩქარებულ ეპოქაში ველარ „ასწრებს“ და ველარ ეწევა ახალ ინფორმაციებს, ახალი ტექნოლოგიების მიღებას და დამუშავებას და ეს ყველაფერი როგორ იქნება შეთავსებული საუკუნეების მანძილზე არსებულ ლოკალურ ტრადიციებთან.

დღეს ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს განათლების დეცენტრალიზაციის აუცილებლობის საკითხს. ეს განპირობებულია ადამიანის თანამედროვე მოღვაწეობის სირთულით. დეცენტრალიზაცია გლობალიზაციის პროცესების ნაწილს წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესში განათლების ცენტრალიზებული წესით გადანაცვლება შეუძლებელი ხდება. ბევრი გლობალიზაციას აბსოლუტურად ცალმხრივად განიხილავს, მაგალითად, როგორც ინფორმაციის, ცოდნის და ა.შ. კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს. მაგრამ დინამიკა ცენტრალიზაციასთან ერთად დეცენტრალიზაციასაც წარმოშობს. ეროვნულ სახელმწიფოებს შეუძლიათ აქტიურობის გამოვლენა გარე სფეროში, რათა ურთიერთგადახლართვის, დიალოგების გლობალურ პროცესებში საკუთარი პოლიტიკისა და იდენტობის ხელახლა განსაზღვრა შეძლონ. იგივე ეხება მოქმედების აქტორებს სოციალური ცხოვრების ყველა დონესა და შუალედურ საფეხურზე. ლოკალური და გლობალური ერთმანეთს არ გამოირიცხავს, პირიქით, ლოკალური უნდა განვიხილოთ, როგორც გლობალურის ასპექტი. დღეს თანამედროვე გამოწვევებზე გლობალიზაციის პასუხი ასე უღერს: ცოდნისა და განათლების საზოგადოების შექმნა და სრულყოფა, სწავლის ვადების

გაზრდა და არა შემცირება, მისი გარკვეულ სამუშაო ადგილებთან და პროფესიებთან მიმაგრებულობის ლოკვიდაცია და პროფესიული მომზადების პროცესების მთავარ სპეციალობებზე ორიენტაცია, რომლებიც ფართო გამოყენებას ჰპოვებს; ამაში იგულისხმება სწავლების არა მარტო „მოქნილობა“ ან „სამუდამო სწავლება“, არამედ სოციალური კომპეტენცია, გუნდური მუშაობის უნარი, კონფლიქტების წინაშე შიშის არარსებობა, კულტურის გაგება, მრავალმხრივი აზროვნება და ა.შ.

„სწავლება უნდა შეესაბამებოდეს მოღვაწეობის იმ სფეროებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები თავიანთ ცხოვრებას თავადვე წარმართავენ – წერს რაინ კალი – განათლება ერთდროულად ფართოდება და თავისუფლება ვეტოსაგან, რაც სიტყვით უფრო ადვილია, ვიდრე საქმით“. დღეს თანამედროვე საზოგადოება მოითხოვს განათლების სისტემის განსაკუთრებულ ორგანიზაციას, სწავლების, როგორც კვალიფიკაციის მიცემის ცნება იცვლება განათლების, როგორც მეტაკვალიფიკაციის ჩამოყალიბების ცნებით. კვალიფიკაცია გულისხმობს სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული ჩვევების უზრალო გამოყენებას, ხოლო მეტაკვალიფიკაცია – იმგვარ ცოდნას, რომელიც ახალი ინფორმაციის მოძებნის და ათვისების შესაძლებლობას იძლევა. თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში დიდ მნიშვნელობას იძენს მეცნიერების ის არატრადიციული დარგები, რომლებიც, უპირატესად, მეტაკვალიფიკაციისათვის არის გამიზნული. ლაპარაკია ისეთ მეცნიერებებზე, როგორცაა მართვის სისტემის ორგანიზაცია, მართვის სოციალური ფსიქოლოგია, გადაწყვეტილებების მიღებისა და თამაშის თეორიები და სხვ. უნდა აღინიშნოს ის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა თავისი დალი დაასვა ინდივიდის სპეციფიკის გაგებას. გარდა ახალი ტიპის განათლებისა და მეტაკვალიფიკაციისა თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნებას მოეთხოვება ხატებით, სიმბოლოებითა და აბსტრაქციებით ოპერირების უნარი, ლოგიკური აზროვნება და იდეების ნათლად გამოხატვა. თანამედროვე საზოგადოებას გააჩნია ინდივიდუალური თვისებების დაფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა ინდუსტრიული საზოგადოების კრიტერიუმებს. უკვე ითქვა, რომ თანამედროვე, გლობალური საზოგადოება ადამიანში აფასებს შემეცნების უნარებსა და განათლებას. ამას გარდა დღეს ფასდებიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ: ცვლილებებთან სწრაფად შეგუების უნარი;

მოქნილობა-მათ ერთსა და იმავე დროს შეუძლიათ რამდენიმე ბოსთან მუშაობა და თუ საჭიროა, თავადაც გასწევენ ხელმძღვანელობას; ცნობისმოყვარეობა-მათ აინტერესებთ, რა ხდება და სურთ, გავლენა მოახდინონ მიმდინარე პროცესებზე; უნარი, შეინარჩუნონ თავდაჭერა გაურკვევლობის პირობებში; შეუძლიათ, შეასრულონ შემრიგებლისა და შუამავლის როლი და აქვთ კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედების ჩვევა; უნარი, დაიწყონ ახალი საქმე; იყვნენ აღმსრულებლები; ისინი „რეალისტურად“ მეოცნებენი არიან, აქვთ განვითარებული წარმოსახვა და, რაც მთავარია, მომავალზე უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრეწარსულზე.

თანამედროვე საზოგადოება, ასევე დააფასებს უცხო ენების ცოდნას, განსხვავებულ კულტურათა გაგებისა და მათთან შეგუების უნარს. თანაც, ყოველივე ამას ექნება არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა, არამედ უფრო-პრაქტიკული. მაგალითად, იაპონელებთან საქმის წარმატებით დაჭერისათვის აუცილებელია მათი კულტურის რიგ თავისებურებებში კარგად გარკვევა.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ თვისებათა უმრავლესობა ჩადებულია ქართველთა ეროვნულ ხასიათში და ეს ჩვევები სასარგებლოც კი შეიძლება აღმოჩნდეს თანამედროვე საზოგადოებაში; ამიტომაც საჭიროა იმგვარი სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების შექმნა, რომელიც ჩვენი ხასიათის თვისებებს პოზიტიური საქმისთვის მიგვამართვინებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბეკი უ. (2013). რა არის გლობალიზაცია, თბ. გამომცემლობა „ელფი“.
2. კაციტაძე კ. (2010). ქართული საზოგადოება და თანამედროვე გამოწვევები. თბ.
3. ქეცბაია კ. (2020). განათლების სოციოლოგია, თბ.



---

---

*Natalia Bitsadze* – I. Gogebashvili Telavi State University, Faculty of Social Sciences, Business and Law, Assistant Professor of Philosophy. Academic Doctor of History. Lectures in philosophical disciplines: Logic, Philosophy of History, Introduction to Philosophical Thinking, Philosophy of Science. Has published one monograph and scientific publications (22 (twenty two) in the last 5 years).

*Manana Gagoshidze* -Doctor of Philosophy, Assistant Professor at Sokhumi State University-Faculty of Business and Social Politics. Is author of several scientific manuals and publications in Georgia and as well as in foreign countries.

---

---

## **Globalization and education issues**

### **Abstract**

In today's developed world, in the relations based on the principles of democracy, equality and cooperation, the process of globalization began with the processes of matching the goals, principles and directions of education. For centuries, people not only sought, but also shared with each other everything that would bring better results to the upbringing and education of the new generation. It is not a coincidence that the science of upbringing and education – pedagogy – emerged in classical philosophy, and it is to him that humanity is grateful for the unique legacy in which the problems of upbringing and education are represented by an orderly system, with ideas for creating new types of schools. Knowledge is one of the main categories of pedagogy as a science, and today, in the conditions of the information revolution, it is particularly important not only to theoretically understand the interdependence of knowledge and education, but also to implement it in practice.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**მერაბ ონიანი** – ფსიქოლოგიის დოქტორი, საპატრიარქოსთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის თანამშრომელი, პრაქტიკოსი ფსიქოტერაპევტი, თეოლოგი, ხელოვნებადმცოდნე. გამოქვეყნებული აქვს: ნაშრომები სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემებზე; ისტორიულ-თეოლოგიური ნარკვევი: „პაპისტების თავდასხმა ათონის წმინდა მთაზე;“ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: „ჩემო კარგო ქვეყანავ.“

**მიხეილ ხალვაში** – ფილოსოფიის დოქტორი, ეთიკის ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარი; გამოქვეყნებული აქვს ეთიკის პრობლემებზე სამეცნიერო სტატიები და ვრცელი მონოგრაფია „ბედნიერება მეცნიერული თვალსაზრისით“ (თბ., 2013).

---

## დეპრესიის დაქვეყნის მეთოდები

*„დეპრესია არის ტანჯვა არსებობის მიზნის გაქრობის გამო... ბედნიერებისკენ ლტოლვა კი პეპელას დევნას მოგვაგონებს: რაც უფრო მეტად შეეცდები მის დაჭერას, მით უფრო მძლავრად გაგისხლტება ის ხელიდან, მაგრამ თუ ცხოვრების სწორ მიზანს იპოვი, მაშინ ბედნიერება პეპელასავით თვითონ მოფრინდება და მხარზე დაგაჯდება.“*

**ვიქტორ ფრანკლი**

### § 1. შესავალი

უსიამოვნება-უბედურების უკიდურესი ფორმის – დეპრესიის გამომწვევი არსებითი მიზეზებისა და კანონზომიერების შესახებ ჩვენი ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ მასში ამ ნეგატიური განცდისგან თავის დაღწევის მეთოდები სრულყოფილად არაა განხილული. დასახელდა მისი მხოლოდ რამდენიმე ყველაზე ძირითადი პრინციპი(1,270). აღნიშნულ მეთოდთა შესახებ, სხვადასხვა კონკრეტულ მეცნიერებაში, რა თქმა უნდა, მრავალი ნაშრომია შექმნილი და მეთოდი ჩამოყალიბებული, მაგრამ დეპრესიის ზოგად კანონზომიერებას არავინ ითვალისწინებდა. მას შემდეგ, რაც ჩვენს ნაშრომში დადგინდა უბედურებისა და დეპრესიის ყველაზე ზოგადი ნიშნები და კანონზომიერება, შეიქმნა საფუძველი, რომ ამ ნეგატიური განცდებისგან თავის დაღწევის მეთოდებიც უფრო ღრმად გავიაზროთ. თუმცა უსიამოვნება-უბედურების ზოგადი კანონზომიერების გაუთვალისწინებლობის პირობებშიც კი ამ მოვლენათა შესახებ კონკრე-

ტულ მეცნიერებათა სფეროში შემუშავებულ მეთოდთა უმრავლესობას ეჭვის გარეშე შეიძლება დავემყაროთ, რადგან ისინი არსებითად ეფუძნება ცდასა და ექსპერიმენტს. თუ მათ ტრადიციულად მიღებული თვალსაზრისისგან განსხვავებით განვაზოგადებთ, ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ არა ორ, ან სამ, არამედ ოთხ ძირითად მეთოდად: 1. მედიკამენტებით მკურნალობა. 2. ფსიქოთერაპიული დახმარება. 3. რელიგიური და მისტიკური პრინციპების შესაბამისად მკურნალობა. 4. ფიზიკური აქტივობით და ტექნიკური საშუალებებით დახმარება.

განვიხილოთ თითოეული მეთოდი ცალკე-ცალკე. შემდეგ გავარკვიოთ მათი მსგავსი და განმანსხვავებელი ნიშნები. საბოლოოდ კი გავანალიზოთ ის სიახლე, რასაც ვერ ითვალისწინებდნენ ამ მოვლენებისადმი დამოკიდებულებაში. უფრო ზუსტად, უარყოფდნენ უბედურების, დეპრესიის და ზნეობის ზოგად კანონზომიერებას, რის შედეგადაც გაუგებარი რჩებოდა ფსიქიკურ პრობლემათა გამომწვევი ყველაზე ძირითადი კანონზომიერება. მაგალითად, არსებითად გაუგებარია, რა ინვეს მადლიერების განცდის ჩაქრობას დეპრესიის დროს და უკმაყოფილების აღმოცენებას? ან არსებითად რატომ ვარდება ადამიანი ეგზისტენციალურ ვაკუუმში? რა არის ამ მდგომარეობის ყველაზე ძირითადი ნიშანი? და ა.შ.

## **§ 2. უბედურებისა და დეპრესიის ფსიქიატრიული მეთოდებით მკურნალობა**

ზემოთ აღნიშნული პირველი მეთოდი, რომელიც ემყარება მედიკამენტებით მკურნალობას, შემუშავებულია ფსიქიატრიაში. ის ეფუძნება ამ დარგში დაგროვილ გამოცდილებას და ფიზიოლოგიისა თუ მედიცინის სფეროში დადგენილ კონკრეტულ კანონზომიერებებს. სახელდობრ, ამ კონკრეტულ მეცნიერებათა სფეროში ითვლება, რომ დეპრესიას არსებითად ინვეს გენეტიკური მიდრეკილების, ტემპერამენტის თუ სხვა მსგავსი მიზეზების შედეგად ორგანიზმის და განსაკუთრებით თავის ტვინის ბიო-ქიმიური შემადგენლობის ნეგატიურად ცვლილება – ჰორმონალური ბალანსის დარღვევა და უარყოფით ჰორმონთა რაოდენობის ზრდა დადებითთან შედარებით (11). ერთი მხრივ, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ამ თვალსაზრისს, რადგან ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა და ქცევები მართლაც დამოკიდებულია ჰორმონალურ ცვლილებებზე. მაგალითად, სახიფათო და უსიამოვნება-უბედურების გამომწვევი სიტუაციის

აღმოცენების შემთხვევაში ცენტრალური ნერვული და ენდოკრინული სისტემა ადამიანის ორგანიზმში გამოყოფს შიშის ჰორმონს – ადრენალინს, რაც მას უბიძგებს ხიფათის თავიდან არიდებისკენ – გაქცევისკენ და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისკენ. უსიამოვნება-უბედურების მომგვრელი სიტუაციები ან ნეგატიური ინფორმაციის მოსმენა კი ადამიანში იწვევს „მომნამლაგი“ ჰორმონის კორტიზოლის და სიზარმაცის ჰორმონის პროლაქტინის სისხლში გამოყოფას. ამის შედეგად ადამიანი არა მხოლოდ უსიამოვნებასა და უბედურებას განიცდის, არამედ მისი აქტივობის უნარები კლებულობს და იბლოკება ნეგატიური განცდების სიძლიერის და ორგანიზმში გამოყოფილი უარყოფითი ჰორმონების რაოდენობის ზრდის შესაბამისად (13).

რადგან ფიზიოლოგია-ფსიქიატრიაში დეპრესიის მიზეზად ითვლება ორგანიზმსა თუ თავის ტვინში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და მისი ბიო-ქიმიური შემადგენლობის ნეგატიურად ცვლილება, ისინი პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევენ, ამ მდგომარეობის პოზიტიურად შეცვლას ნეირომედიატორების შემცველი მედიკამენტების დახმარებით. ნეირომედიატორი არის ჰორმონი, რომელიც ადამიანის ორგანიზმს გადასცემს სხვადასხვა სახის ნერვულ იმპულსებს – პოზიტიურს ან ნეგატიურს. მაგალითად, უკვე აღინიშნა, რომ ადრენალინი გადასცემს ხიფათისგან თავის დაღწევის იმპულსს. ფსიქიატრები თვლიან, რომ სამი ძირითადი ჰორმონის: სერატონინის, დოფამინის და ნორადრენალინის ნაკლებობა იწვევს უსიამოვნება-უბედურების განცდას და დეპრესიას. სერატონინი არის ბედნიერების ჰორმონი, დოფამინი – სიამოვნების. ნორადრენალინი კი უზრუნველყოფს და არეგულირებს ორგანიზმის ფიზიკურ აქტივობას. სწორედ ამ სამი ძირითადი ჰორმონის ნაკლებობა იწვევს დეპრესიისთვის დამახასიათებელ სამ ძირითად სიმპტომს: უხასიათობას, ანჰედონიას და უძლურებას. უფრო კონკრეტულად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად გამოწვეული სერატონინის ნაკლებობა იწვევს ხასიათის დაქვეითებას და ბედნიერების ვერგანცდას. დოფამინის ნაკლებობას შედეგად მოყვება ანჰედონია, ანუ სიამოვნების ვერგანცდა. ნორადრენალინის ნაკლებობა კი იწვევს უძლურებას – აქტივობის უნარის დაქვეითებას.

ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია, ანუ აქტივობის უნარი და საერთოდ სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია აგრეთვე მელატანინის, ანუ ძილის ჰორმონის რაოდენობაზე. ცენტრალური ნერვული და ენდოკრინული სისტემა მას ძირითადად გამოი-

მუშავეებს ძილის დროს. დეპრესიის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი არის უძილობა. შესაბამისად, დეპრესიული პაციენტი სწორედ ამ ჰორმონის ნაკლებობასაც განიცდის.

ითვალისწინებენ რა ზემოთ აღნიშნულ რეალობას მედიცინაში, ანტიდეპრესანტებს, ანუ დეპრესიის სამკურნალო მედიკამენტებს ამზადებენ ნახსენები ნეირომედიკატორების: სერატონინის, დოფამინის, ნორადრენალინისა თუ მელატანინის გამოყენებით. რა მიზანს ემსახურება ანტიდეპრესანტების მიღება? ფსიქიატრის დანიშნულებით მათი მიღება არეგულირებს ჰორმონალურ დისბალანსს, ანუ ზრდის სიამოვნება-ბედნიერების და აქტივობის ჰორმონთა რაოდენობას ორგანიზმში. ამ სახით მკურნალობის პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დეპრესიის სიღრმეზე და ხანგრძლივობაზე. დეპრესია ჩვეულებრივ იკურნება სამი-ოთხი კვირის განმავლობაში, მაგრამ ექვსი-ცხრა თვე გრძელდება მიღწეული პოზიტიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად მკურნალობამედიკამენტების შემცირებული დოზებით, რათა არ მოხდეს დეპრესიის რეციდივი. რაც უფრო ხანგრძლივი და ღრმაა დეპრესია, მით უფრო რთული და ხანგრძლივია მისი მკურნალობის პროცესი.

ფსიქიატრიაში ყველაზე საუკეთესო მკურნალობის პროცესად ითვლება მინიმალური პრეპარატებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა – განკურნება. აქედან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში დეპრესიის დასაძლევად გამოიყენება არა მრავალი ან ყველა, არამედ ერთი ან ორი ძირითადი სახის ჰორმონთა შემცველი პრეპარატი. ისინი უზრუნველყოფენ ყველა სხვა ჰორმონის ორგანიზმში ინსტიტუტური გამოყოფის რეგულირებას, ანუ ჰორმონალური ბალანსის აღდგენას, რადგან ცენტრალური ნერვული და ენდოკრინული სისტემა ღრმა ურთიერთკავშირშია. ასეთია ზოგადად დეპრესიის მედიკამენტოზური მკურნალობის პრინციპები.

რა უკურნდება აქვს მკურნალობის ასეთ მეთოდს? ეს, რა თქმა უნდა, არის მისი ხელოვნური ხასიათი. კერძოდ, ადამიანის ორგანიზმში ჰორმონალური ბალანსის აღდგენა და მისი პოზიტიურად შეცვლა უნდა ემყარებოდეს ბუნებრივ პროცესებს და არა მედიკამენტებით ჰორმონების მიღებას. უდავოა, რომ ხელოვნური ბუნებრივს სრულფასოვნად ვერ ჩაანაცვლებს. მაგალითად, როცა ორგანიზმს პრეპარატებით გარედან აწვდიან მზამზარეულ ჰორმონებს, განსაკუთრებით, დიდი ხნის განმავლობაში, ენდოკრინულმა და ცენტრალურმა ნერვულმა სისტემამ შეიძლება თავისი ფუნქცია დაკარგოს და დამოუკი-

დებლად ველარ გამოიმუშაოს ჰორმონები. ამ ფუნქციის აღდგენას კი სჭირდება დრო და შესაბამისი მკურნალობა.

### **§ 3. დეპრესიის დაძლევის ფსიქოთერაპიული მეთოდები**

ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა ხელი შეუწყო ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის სფეროში ფსიქიატრიულზე უფრო ბუნებრივი ფსიქოთერაპიული მეთოდების შექმნას უბედურებისა და დეპრესიის გადასალახავად. უფრო ზუსტად, გასულ საუკუნესა და თანამედროვე ეპოქაში აღმოცენდა ოთხასამდე სხვადასხვა ფსიქოთერაპიული მიმდინარეობა. ჩვენ, ბუნებრივია, შევხებით მხოლოდ ძირითად თეორიებს, რადგან აღნიშნული ფსიქოტერაპიული მიმდინარეობები ძალიან ჰვავს ერთმანეთს და განსხვავდება მხოლოდ სახელწოდებით, უმნიშვნელო ნიუანსებითა თუ ტერმინოლოგიით.

ფსიქიატრიისგან განსხვავებით დეპრესიის ფსიქოთერაპიული მეთოდით მკურნალობა ემყარება არა მედიკამენტების მიღებას, არამედ და არსებითად ვერბალურ დახმარებას, პაციენტისთვის ცოდნისა თუ ინფორმაციის გაზიარება-სწავლებას. ფსიქოთერაპიულ მიმდინარეობათა გარკვეული ნაწილი კი ძირითადად აქცენტირებულია ქცევაზე, სხეულის არაბუნებრივი მდგომარეობის გამოსწორებაზე ან სხვა სახის ზემოქმედებაზე. მაგრამ ეს მეტყველებაზე დამყარებული ფსიქოთერაპიის შინაარსს არსებითად ვერ ცვლის, რადგან მკურნალსა და პაციენტს შორის სიტყვიერი ურთიერთობა მთლიანად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოირიცხება.

კლასიკური ფსიქოანალიზი, როგორც ცნობილია, შექმნა ზიგმუნდ ფროიდმა (1856-1939) არა მხოლოდ დეპრესიის, არამედ სხვა უფრო მძიმე ფსიქიკურ დაავადებათა სამკურნალოდ, ანუ ფსიქოთერაპიისთვის. ფსიქოანალიზს სხვაგვარად ეწოდება ფსიქოდიანამიკური მეთოდი, რადგან ის ადამიანურ ცნობიერებას განიხილავს ცვალებადობა-განვითარების პროცესში. ფროიდი თვლიდა, რომ სწორედ ამ დროს წარმოიქმნება ფსიქიკური პრობლემები და ისინი უნდა გადაიჭრას ისევ დინამიკაში, ფსიქოანალიზის დახმარებით. უფრო ზუსტად, ადამიანურ გონებაში მან გამოყო სამი ძირითადი ნაწილი: ცნობიერება, როგორც მე, ქვეცნობიერი, ანუ იგი და წინაცნობიერი – ზე-ეგო,რომელშიც ასახულია სოციალური ნორმები და ინტერესები (2,130-140). ის წარმოადგენს ადამიანური სურვილების „ფილტრს.“ ზ. ფროიდმა მიიჩნია, რომ ნეგატიურ განცდებსა და დეპრესიას ინვესს ბავშვობასა თუ მომდევნო ასაკში ადამიანზე მი-

ყენებული და შემდეგ ქვეცნობიერში „დალექილი“ სულიერი ტრავმები; ან გონებაში არსებულიზე-ეგოს, როგორც სურვილების ფილტრის მიერ ქვეცნობიერში განდევნილი დაუკმაყოფილებელი სექსუალური თუ სხვა მისწრაფებები. ეს არის ქვეცნობიერში დაგუბებული ის ენერგია, რომელიც ვერ პოულობს ინსტიქტიდან სწორ გამოსასვლელ გზას და ცდილობს მისი გვერდის ავლით დამახინჯებულად გამოვლინდეს. მათ მოსახსნელად ზ. ფროიდი თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპებზე იყენებდა ჰიპნოზს, მაგრამ შემდეგ ის მკურნალობისარასრულყოფილ ფორმად ჩათვალა. მის ნაცვლად შექმნა თავისუფალი ასოციაციის და სიზმრების ახსნის მეთოდი (10;2,61). თავისუფალი ასოციაციის მეთოდის მიხედვით, ფსიქოთერაპევტი პაციენტს სთავაზობს სხვადასხვა თემაზე დიალოგს და თხრობას პირდაპირ, გულახდილად, სირცხვილის გარეშე. ფროიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანი შემთხვევით არ ლაპარაკობს. მის მსჯელობასა თუ ქცევაში ვლინდება ქვეცნობიერი მისწრაფებები და მასში დაფარული შინაგანი ტრავმები. ის მართავს პიროვნების არა მხოლოდ ქცევას, არამედ მეტყველებას, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს. შესაბამისად, ფსიქოთერაპევტი ცდილობს პაციენტის მონათხრობის ანალიზის საფუძველზე დადგინოს თუ რა სახის სულიერი ტრავმა ანუხებს მას და ეხმარება პრობლემის გაცნობიერებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პაციენტს ეუბნებიან მისი დეპრესიისა თუ ჰალუცინაციის გამომწვევ მიზეზს და მასეხმარებიან ამ მიზეზის გაგებაში. ეს კი საშუალებას აძლევს ადამიანს, რომ მოიხსნას ქვეცნობიერში დალექილი ტრავმა. თუ ასეთი პროცედურის შედეგად პრობლემა ვერ მოგვარდა, მაშინ იყენებენ უფრო ღრმა მეთოდს – ჰიპნოტურ შთაგონებას. მაგალითად, ზ. ფროიდს ასეთ შემთხვევაში პაციენტი შეჰყავდა ტრანსში და მისი ქვეცნობიერიდან შთაგონებით ხსნიდა პრობლემას. კლასიკური ფსიქონალიზი თანამედროვე ეტაპზე უკვე ითვლება ძველ მეთოდად, მაგრამ ის მანც რჩება ყველა ფსიქოთერაპიული მეთოდის ქვაკუთხედად.

#### **§ 4. კარლ იუნგის ანალიტიკური ფსიქოთერაპია**

ფსიქოთერაპია, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზ. ფროიდის მეთოდზე ვერ შეჩერდებოდა, რადგან ადამიანური ფსიქიკის შესახებ ცოდნა და ფსიქოთერაპიული გამოცდილება თანდათან იზრდებოდა. ამასთანავე, ფროიდის მიმდევრები და მოსწავლეები ფსიქიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და მათი გადალახვის მეთოდებს

განსხვავებულად მოიაზრებდნენ. შესაბამისად, ქმნიდნენ ახალ თეორიებს, რის შედეგადაც ფსიქოთერაპია, როგორც მეცნიერება, განვითარდა და გამრავალფეროვნდა.

ზ. ფროიდის ერთ-ერთი ცნობილი მოსწავლე კარლ იუნგი იმდენად გამოირჩეოდა თავისი ცოდნით და ახლოს იყო ფროიდთან, რომ მან ის თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა მათი გზები მაინც გაიყო, რადგან კ. იუნგმა ფსიქიკურ პრობლემათა გამომწვევი მიზეზები სხვაგვარად დაინახა. ის ფროიდისეულ ზეეგოს კოლექტიურ ქვეცნობიერსა თუ უფსკრულს უწოდებს და მას კაცობრიობის მეხსიერების საცავად გამოაცხადებს. კ. იუნგის აზრით, მასში, ანუ კოლექტიური ცნობიერების განმასახიერებელ კონკრეტულ ადამიანთა ცნობიერებაში მოცემულია მთელი კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობა და არქეტიპები. ესენია თანდაყოლილი იდეები და მოგონებები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის აღქმებს, განცდებს და მოვლენებზე რეაგირების ხასიათს. უფრო ზუსტად, – იმას, დადებითად თუ უარყოფითად შევაფასებთ მოვლენას, მივიღებთ თუ უარვყოფთ მას და დაგვეუფლება პოზიტიური თუ ნეგატიური განცდები. აი რამდენიმე მათგანი: არქეტიპიანიმა და ანიმუსი, დედა, მამა, ბოროტება, სიკეთე, პერსონა, აჩრდილი (ემმაკი), ღმერთი და ა.შ. (4). არქეტიპი ანიმა არის ქვეცნობიერი ქალური ნაწილი მამაკაცისა, მისი – ყველა ქალური ფსიქიკური ტენდენციის პერსონიფიკაცია: ხასიათის ცვალებადობა, ირაციონალურობა, მიმტვევებლობა, წინასწარმეტყველური მოგონებები, გრძელი თმის ტარების სურვილი და სხვა. ანიმას უკიდურესი ფორმაა ჰომოსექსუალიზმი. დადებით ანიმას მამაკაცი მიჰყავს საკუთარი ქვეცნობიერი სიღრმის შემეცნებისკენ. ნეგატიურ ანიმას კი – კრიზისამდე, საიდანაც არ არსებობს გამოსავალი. ანიმუსი არის ქალური ფსიქიკის ქვეცნობიერი მამაკაცური ნაწილი. მაგალითად, განსჯის უნარი და გამბედაობა. დადებით ანიმას ქალი მიჰყავს შინაგანი გამოღვიძებისკენდა სულიერი ამაღლებისკენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი აზრი მას ბოლომდე არ ესმის. ხოლო ნეგატიურ ანიმუსს შეუძლია ქალი აიძულოს, რომ ემსახუროს ბოროტებას. არქეტიპი პერსონა განასახიერებს ადამიანის იმ სოციალურ როლს, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოებაში. არქეტიპი აჩრდილი კი – ადამიანის ქვეცნობიერში არსებულ ნეგატიურ და დესტრუქციულ ნაწილს.

კ. იუნგი თვლიდა, რომ სწორედ არქეტიპები ვლინდებიან სიზმრებში და ადამიანის შემოქმედებასა თუ არსებობის სხვადასხვა პროცესში: მხატვრობაში, ლიტერატურაში, პოეზიაში, რელიგია-



ში...სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰალუცინაციები კოლექტიური ქვეცნობიერის უფსკრულიდან მომდინარეობს. ამიტომ გენიოსი და გიჟი არსებითად მსგავს მისტიკურ სამყაროსა თუ ინფორმაციას აღიქვამენ, მაგრამ ისინი განსხვავდებიან იმით, რომ გენიოსს შეუძლია მის მიერ აღქმული ჰალუცინაციის საყოველთაოდ მიღებული ფორმებით, მაგალითად, ხელოვნების დახმარებით (ნახატით, მუსიკით, ლექსით) გადმოცემა, გიჟს კი – არა და ეს აგიჟებს მას. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ნიუანსზე: გენიოსი და გიჟი მსგავს, ანუ თვალთ უხილავ არამატერიალურ სამყაროს აღიქვამენ, მაგრამ მათ მიერ აღქმული სამყარო დიამეტრიულად განსხვავდება ერთმანეთისგან. სახელდობრ, გენიოსი ძირითადად აღიქვამს მისი შემოქმედებისთვის სასიცოცხლო ძალისა და მშვენიერების მიმნიჭებელ იდეებს, ანუ სიამოვნებისა და ბედნიერების უზრუნველმყოფელ სამყაროს, რადგან ის შემოქმედების პროცესში კავშირშია დადებითი კოსმიური ენერჯის ნაკადთან. გიჟი კი ძირითადად იმყოფება ნეგატიური ენერჯის ველში და აღიქვამს მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საზიანო უარყოფით ინფორმაციას, რაც მასში კანონზომიერად იწვევს შინაგან ტკივილს, ღრმა უბედურების ან დეპრესიის განცდას. ეს ნიშნავს, რომ გიჟს მხოლოდ მის მიერ აღქმული ჰალუცინაციების შესახებ ინფორმაციის ვერგამოხატვა კი არ ალელვებს, არამედ ჰალუცინაციების ნეგატიური შინაარსიც. სწორედ ამიტომ და არა შემთხვევით. იუნდგი თვლიდა, რომ სიზმრებისა და ჰალუცინაციის შესწავლის საფუძველზე უნდა შევიმეცნოთ საკუთარი თავი, დავადგინოთ დეპრესიის, სიგიჟისა თუ სხვა ფსიქიკური დავაადების მიზეზი და ვიპოვოთ მისგან სწორი გამოსავალი.

## **§ 5. რობერტო ასსაჯოლის ფსიქოსინთეზი**

ფსიქონალიზი, კ. იუნგის მოძვრების მსგავსად, კიდევ უფრო განვითარდა რობერტო ასსაჯოლის (1888-1974) მიერ შექმნილი ფსიქოსინთეზის მეთოდით. ის, რა თქმა უნდა, აღიარებდა ფსიქონალიზს, როგორც ფსიქოთერაპიულ მოძღვრებას, მაგრამ თვლიდა, რომ ეს მეთოდი ხშირად არაა საკმარისი ფსიქიკური პრობლემების დასაძლევად. მისი აზრით, ფსიქონალიზს სჭირდება ფსიქოსინთეზი, ანუ დანაწევრებული ჭეშმარიტი ადამიანური მე-ს გამთლიანება. უფრო ზუსტად, – გამთლიანება არა მხოლოდ ადამიანის გონებისა, არამედ მის შესახებ არსებული ცოდნისა. რ. ასსაჯოლი თვლიდა,

რომ ფსიქოლოგიური პრობლემის გადასალახავად უნდა გაერთიანებულიყო არა მხოლოდ ადამიანის დანაწევრებული ცნობიერების ნაწილები, არამედ იმ დროს არსებული ყველაფსიქოთერაპიული მეთოდი. იქნებოდა ეს ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი, კ. იუნგის ანალიტიკური ფსიქოთერაპია, პიერ ჟანეს მოძღვრება თუ რ. ასსაჯოლის მიერ შექმნილი ფსიქოსინთეზი.

ადამიანი, რ. ასსაჯოლის აზრით, წარმოადგენს მთლიან პიროვნებას, რადგან ის განასახიერებს თავის ჭეშმარიტ წმინდა მე-ს. თუმცა არსებობის პროცესში ის ძირითადად გვევლინება არა ამ სახით, არამედ განსხვავებულად. კერძოდ, ის წმინდა მე-სგან გამოყოფს ამა თუ იმ სოციალური როლის (მასწავლებლის, დირექტორის, ბიზნესმენის...) შემსრულებელ ქვე მე-ს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვე-პიროვნებას და ანაწევრებს საკუთარ თავს, როგორც მთელს. სწორედ ამიტომ ხელოვანი ხშირად საკუთარ თავს აიგივებს თავის შემოქმედებასთან და თვლის, რომ მისი შემოქმედება არის ყველაფერი მისთვის. სპორტსმენი თავს აიგივებს ძალასა თუ ფიზიკურ სხეულთან და თვლის, რომ ეს არის მასში არსებითი, ანუ ყველაფერი. დეპრესიით დაავადებული კი ამ დაავადების გარდა ვერაფერს ამჩნევს და თვლის, რომ ისაა მასში ყველაფერი. ეს მაშინ, როცა ხელოვნება, ფიზიკური ძალა, დეპრესია და სხვა მსგავსი რამ მხოლოდ ნაწილია ადამიანის, როგორც წმინდა მე-ს განმასახიერებელი მთლიანი პიროვნების. რ. ასსაჯოლის აზრით, სწორედ ასეთი დამახინჯებული ალქმა და ქვეცნობიერში დისოცირებული, ანუ განდევნილი დაუკმაყოფილებელი მისწრაფებებიადეპრესიის, ნევროზისა თუ სხვა უფრო მძიმე ფსიქიკური დაავადების წარმოშობის მიზეზი (11). შესაბამისად, მათ მოსახსნელად, აუცილებელია ადამიანი გაემიჯნოს ქვე-მეს, ანუ დროებით სოციალურ როლს, გამოთავისუფლებული ენერგია კი მოახმაროს საკუთარი ჭეშმარიტი მე-ს შემეცნებასდა სიკეთეს, ანუ ჭეშმარიტი მე-ს ინტერესების აღსრულებას. ჭეშმარიტი მე-ს შემეცნების შედეგად მისი დანაწევრებული სულიერი სამყარო სინთეზირდება დაგამთლიანდება, რადგან ადამიანი გააცნობიერებს, რომ ის არსებითად არის არა პრობლემების წარმოქმნელი დროებითი სოციალური როლის განმასახიერებელი ქვე-მე, არამედ ჭეშმარიტი მე, როგორც მთელი. ამის შედეგად ადამიანს ეუფლება შინაგანი ჰარმონია და ის ჰარმონიულ ურთიერთობას ამყარებს ყველასთან: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, კოლეგებსა თუ სოციუმთან.

წინამორბედებისგან განსხვავებით რ.ასსაჯოლი, აღმოსავლური ფილოსოფიისა და მისტიკის ზეგავლენით, ადამიანურ გონებაში დაუშვებს არა სამ, არამედ შვიდ საფეხურს: ქვედა ქვეცნობიერს, შუალედურ ქვეცნობიერს, ცნობიერ მე-ს, ცნობიერების ველს, უმაღლეს ქვეცნობიერს, უმაღლეს მე-ს და კოლექტიურ ქვეცნობიერს.

როგორც ვხედავთ, ფსიქოსინთეზის პროცედურები შესდგება სამი ძრითადი საფეხურისგან: 1. ქვე-ქვეცნობიერის შემეცნება. 2. პიროვნული ელემენტების, ანუ ქვე-პიროვნებების, როგორც სხვადასხვა სოციალური როლის გამოვლენა და მათი კონტროლი. 3. ჭეშმარიტი მე-ს გამოყოფა, მისი შემეცნება და შინაგანი სინთეზი, ანუ გამთლიანება.

## **§ 6. ფრიც პერლზის გეშტალტთერაპია**

XX საუკუნის ერთი-ერთი ცნობილი მიმდინარეობაა გეშტალტთერაპია, რომელიც დააარსა ფრიც პერლზმა (1893-1970). სახელწოდება მიმდინარეობს გერმანული სიტყვიდან და ასახავს ამ მიმდინარეობის ძირითად მიზანს. გეშტალტ ნიშნავს ფორმას, სტრუქტურას. უფრო ზუსტად, – ისეთ ფორმას, რომელსაც აქვს მთლიანი და დასრულებული იერსახე. ფორმა არის მეტი, ვიდრე მისი ნაწილები. გეშტალტ თერაპიის მიზანია დაეხმაროს ადამიანს მისი დაუსრულებელი ქვეცნობიერი მისწრაფებების გაცნობიერებასა და დასრულებაში, რათა მან შესძლოს დეპრესიისა თუ სხვა ფსიქიკური დაავადების გადალახვა და ჰარმონიული თუ ბედნიერი ცხოვრების მოწყობა.

ამ მიმდინარეობაში ითვლება, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს ინსტინქტური მისწრაფება თავისი სურვილი და მიზანი მიიყვანოს ბოლომდე, დაასრულოს ის და სრულყოს საკუთარი თავი. მაგრამ ყველა შემთხვევაში ამის განხორციელება მას არ შეუძლია. სწორედ ეს იწვევს უკმაყოფილებას და წარმოქმნის სხვადასხვა ფსიქიკურ პრობლემას დეპრესიის ჩათვლით, რადგან დაუსრულებელი მისწრაფება რჩება ქვეცნობიერში და ადამიანი განიცდის შინაგან ტკივილს. აქედან გამომდინარე, გეშტალტ თერაპევტი ცდილობს პაციენტმა გააცნობიეროს მისი ფსიქოლოგიური პრობლემის გამომწვევი ყველა ის ქვეცნობიერი წინააღობა (შიში, სიყალბე, ჯიუტობა, იმპულსურობა, ფეთქებადობა), რომელიც ხელს უშლის მას მიზნის დასრულებაში. ამით იქმნება წინაპირობა, რომ ადამიანმა დაასრულოს თავისი დაუსრულებელი მიზანი – ამოცანა, მოიხსნას შინაგანი

ნუხილი, დეპრესია თუ სხვა დაავადება და წვდეს სიამოვნება-ბედნიერებას მიღწეული წარმატების შედეგად (14).

### **§ 7. აარონ ბეკი და კოგნიტიური თერაპია**

კოგნიტიური, ანუ შემეცნებითი თერაპიის შემქმნელია აარონ ბეკი(1921-2021 წწ.), ამერიკელი ფსიქოთერაპევტი. ამ მეთოდის მიზანია პაციენტის აღქმის, მრანამსისა და აზროვნების შეცვლა ცოდნის, ანუ ფსიქოთერაპიული პრინციპების სწავლის და ფსიქიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზთა შემეცნების საფუძველზე. ა. ბეკი თვლის, რომ ფსიქიკურად დაავადებული მის ქვეცნობიერში არსებული ნეგატიური შეხედულებებისა თუ მრანამსის გამო არაადეკვატურად აღიქვამს და არასწორად აფასებს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ თავის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი და საკუთარ მომავალს (14).სწორედ ეს იწვევს ფსიქიკურ პრობლემებს.ფსიქოთერაპევტის დახმარებით ის სწავლობს სწორ აზროვნებას, მოვლენების ადეკვატურ შეფასებას და პრობლემებიდან გამოსავლის პოვნას, რის შედეგადაც იმეცნებსდეპრესიისა თუ სხვა ფსიქიკური დაავადების მიზეზებს და თავს აღწევს მათ.

### **§ 8. ბიჰევიორიზმის ფსიქოთერაპიული მეთოდი**

ყველა განხილული მიმდინარეობისგან განსხვავებით ბიჰევიორიზმი (ინგ. behave – ქცევა) ფსიქოთერაპიის პროცესში ყურადღებას არსებითად ამახვილებს არა ცნობიერებასა თუ ქვეცნობიერზე, არამედ ქცევაზე. შესაბამისად, ამ მიმდინარეობას ეწოდა მეცნიერება ქცევის შესახებ, ხოლო ბიჰევიორისტული თერაპია განიმარტება როგორც არასწორი ქცევის შეცვლის ხელოვნება. ამ ტექნიკით პაციენტი სწავლობს ქცევის ახალ უნარებს.

ქცევითი, ანუ ბიჰევიორისტული თერაპია ემყარებაივან პეტრეს ძე პავლოვის და ვლადიმერ მიხეილის ძე ბეხტერიევის მოძღვრებას პირობითი და შექნილი რეფლექსების შესახებ. ეს მოძღვრება განავითარა და განავრცო ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ უოტსონმა (1878-1958). მან ცხადყო, რომ პირობითი და შექნილი რეფლექსები არსებითად მსგავსი კანონზომიერების სახით მოქმედებს არა მხოლოდ ცხოველებში, არამედ ადამიანებში. შესაბამისად, შეიძლება მისი გამოყენება ფსიქოთერაპიული პრობლემების გადასაჭრელად – ქვეცნობიერში „გაჭედილი“ სხვადასხვა ფსიქიკური

ტრავმის გამომწვევი ჩვევისა თუ ქცევის აღმოსაფხვრელად და მის ნაცვლოდ ახალი პოზიტიური ჩვევის გამოსამუშავებლად. ეს პროცესი მიმდინარეობს ფსიქოთერაპიული ვარჯიშის სახით – ფსიქოთერაპევტი ასწავლოს პაციენტს სწორ ქცევას. ყოველი სენსის შემდეგ პაციენტს ეძლევა დავალება და მან ის უნდა შეასრულოს. მისი მრავალჯერადი გამეორების შედეგად კი ყალიბდება სწორი ჩვევა და იხსნება ფსიქოლოგიური პრობლემა, მაგალითად, ფობია, დეპრესია თუ სხვა დაავადება.

ფსიქონალიზისგან განსხვავებით ეს მიმდინარეობა ყურადღებას ამახვილებს არა ფსიქიკური დაავადების წარმომშობ მიზეზთა ანალიზზე, არამედ სწორი ჩვევის და ქცევის ჩამოყალიბებაზე. ბიჰევიორიზმში ნერვული სიმპტომი ფასდება როგორც არადაპტირებული და პათოლოგიური ქცევა, რომელიც აღმოცენდა არასწორი სწავლების შედეგად. შესაბამისად, ბიჰევიორიზმში ადაპტაცია ითვლება ქცევის ძირითად მიზნად.

## **§ 9. ვილჰელმ რაიხის სხეულზე ორიენტირებული თერაპია**

სხეულზე ორიენტირებული თერაპია შეიქმნა ნევროლოგისა და ფსიქოთერაპევტის ვილჰელმ რაიხის (1897-1957 წწ.) მოძღვრების საფუძველზე. მის მიერ ამ მეთოდის შექმნას საინტერესო თერაპიული პრაქტიკა უძღოდა წინ. კერძოდ, მკურნალობის პროცესში ვ. რაიხმა შენიშნა, რომ პაციენტთა ფსიქიკური პრობლემები ზემოქმედებდა მათ სხეულზე. ისინი იყვნენ მხრებში მოხრილი, გულმკერდ ჩაზნექილები და შებოჭილიჭქონდათ სხეულის სხვადასხვა ნაწილი – კუნთოვანი მასა. ერთ-ერთი ფსიქიკურად დაავადებულის უმწეო გარეგნობით გულმოსული ვ. რაიხი შეეცდებოდა მის მხრებში გამართვას და სხეულის გასწორებას. შემდეგ შეამჩნევს, რომ მცდელობამ დადებითი შედეგი გამოიღო – პაციენტს ესია მოვნა. სწორედ ეს ფაქტი გახდა მისი ახალი ფსიქოთერაპიული მეთოდის შექმნის წინაპირობა. ვ. რაიხმა გააცნობიერა, რომ ნევროზი თუ ინვესს სხეულის ცვალებადობა-შებოჭილობას, ანუ ეგრეთ წოდებული კუნთოვანი ჯავშანის შექმნას, მისი მოხსნა დადებითად იმოქმედებდა ფსიქიკურ პრობლემაზე და ასეთი პროცესის ადეკვატურად წარმართვა საბოლოოდ გაანეიტრალებდა მას. მეტიც, ვ. რაიხი თვლიდა, რომ პაციენტის სიტყვამ შეიძლება შეგვაცდინოს, მაგრამ მიმიკა, სხეულის მდგომარეობა და ქცევა არ გავცდენს, მასში უფრო მეტადაა გამოხატული ადამიანის შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობა, ვიდრე სიტყვაში. ვ. რაი-

ხის აზრით, სხეულის შებოჭილობა ბლოკავს სამ ძირითად ემოციურ მდგომარეობას: შფოთვის, მრისხანებას და სექსუალურობას (6).

ფროიდისეულ ლიბიდოს ენერგიას ვ.რაიხი აძლევს უფრო მკაფიო სექსუალურ ხასიათს და მას უწოდებს არგუნ, ანუ ორგაზმისეულ ენერგიას. მისი აზრით, ჯანმრთელ ადამიანში არგუნ ენერგია ყოველთვის მიედინება თავისუფლად, მაგრამ თუ ეს პროცესი დაიბლოკა ნევროზის ან სხვა ფსიქიკური გადახრის შედეგად, მაშინ იკუმშება და იბოჭება სხეულიც. ვ. რაიხისეული თერაპიის მიზანი სხეულის სწორედ ასეთი მდგომარეობის მოხსნა იყო. უფრო ზუსტად, ის პაციენტს უხსნიდა დაძაბულობის მიზეზს და ასწავლიდა მისი მოხსნის წესებს. აჩვენებდა თავისუფალი მიმიკას, ჟესტიკულაციას, სხეულის სწორ მდგომარეობას და პაციენტებს თხოვდა მათ შესრულებას. ამასთანავე, აუცილებლობის შემთხვევაში, თვითონ თითუბით და ხელებით ზემოქმედებდა პაციენტზე და ამასაჟებდა შებოჭილი სხეულის ნაწილებს.

ამრიგად, სხეულის მდგომარეობა შეესაბამება ემოციურ მდგომარეობას. თუ მოიხსნება სხეულის შებოჭილობა, მოიხსნება ნეგატიური ემოცია. თუ ის მოიხსნება, მაშინ გაქრება სხეულის შებოჭილობაც. ვ. რაიხი ფსიქოთერაპიულ პროცესს წარმართავდა შემდეგი მეთოდების საფუძველზე: 1. პირდაპირი ზემოქმედება სხეულზე (მასაჟი). 2. ღრმა სუნთქვით ენერგიის დაგროვება. 3. კუნთის შებოჭილობის ფსიქოანალიზი. ეს პროცესები წარმართებოდა არა განცალკევებულად, არამედ მთლიანობაში და ისინი ერწყმოდა ერთმანეთს. მაგალითად, სხეულის თერაპია ითვალისწინებდა ფიზიკურის სხეულის ყველა ნაწილზე კუნთების შემარბილებელ და სიმშვიდის მომგვრელ ზემოქმედებას. ის იწყებოდა თავლის დონიდან და წარმართებოდა პირის, კისრის, გულ-მკერდის, დიაფრაგმის, მუცლის ღრუს და გავის სეგმენტისკენ წრიულად, ანუ ისე, რომ მოხსნილიყო კუნთების შებოჭილობა. სწორედ მათ მოხსნაზე მუშაობის პროცესში პაციენტს ეხმარებოდნენ გაეხსენებინა ბავშვობაში განცდილი თავისუფლების შეზღუდვები და მათ შედეგად გამოწვეული ის ფსიქიკური ტრავმები, რომლებიც იწვევდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილის შებოჭვას. ფსიქოანალიზის საფუძველზე მათ სიტყვიერ გამოხატვას ერწყმოდა თანაგრძნობა და სხეულზე ზემოქმედება (6).

ვ. რაიხი თვლიდა, რომ არგუნ ენერგია არის კოსმიური ენერგიის ნაწილი და ის ყველა ცოცხალ არსებაშია. ისინი ამ ენერგიის საფუძველზე ურთიერთზემოქმედებენ ელექტრომაგნიტურად, რის

შედეგადაც ეს ენერგია მათ შორის ურთიერთგაიცვლება. ამ კანონზომიერების საფუძველზე შეიძლება კოსმიური ენერგიის დაგროვება, გადაცემა სხვა ადამიანზე და მისი საშუალებით სხვადასხვა დაავადების მკურნალობა. ვ. რაიხი რკინისგან ააგებს არგუნ კამერებს, სადაც პაციენტები ჯდებათ და იკურნებოდნენ დაავადებებისგან. თუმცა ეს პროცესი გამოიწვევს ოფიციალური მედიცინის უკმაყოფილებას. მას აკრძალავენ და ვ. რაიხს საბოლოოდ დააპატიმრებენ.

ვ. რაიხის განსაკუთრებულ დამსახურებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: მის მიერ შექმნილ მეთოდს – ნევროზის მკურნალობისას სხეულზე ზემოქმედებას – თითქმის ყველა სკოლა აღიარებს და იყენებს. ამასთანავე, ვ. რაიხს დიდი წვლილი მიუძღვის სექსუალური კულტურის დამკვიდრებაში. იგულისხმება ახალგაზრდების სექსუალური აღზრდით ვენერიული დაავადებების აღკვეთა, ქორწინების აუცილებლობის უარყოფა, ქალებისთვის კონტრაცეპტივების მიღების დაშვება.

## **§ 10. ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია**

როცა დეპრესიიდან გამოსვლის ფსიქოლოგიურ მეთოდებზე ვმსჯელობთ, ბუნებრივია, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საერთოდ ფილოსოფიას და განსაკუთრებით ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიას. ერთი მხრივ, – იმიტომ, რომ ადამიანური განცდები და საერთოდ ფსიქოთერაპია პირდაპირ კავშირშია ზნეობრივ პრინციპებთან. მათ კანონზომიერებას კი იკვლევს ეთიკა, ანუ ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. მეორე – იმიტომ, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური თეორია დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე, მის ემოციებზე და განსაზღვრავს არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის არსებობას, არამედ საერთოდ მეცნიერებისა და ეპოქის „მაჯისცემასაც“ კი. მესამე – ეგზისტენციალური შინაარსის მსჯელობა, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ფილოსოფიისთვის, განსაკუთრებით – ანტიკური ფილოსოფიისთვის. შესაბამისად, ითვლება, რომ ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია ჩაისახა ძველ საბერძნეთში. მაგალითად, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურესა თუ სტოიკოსების შემოქმედებაში. სოკრატეს ახალგაზრდებთან დიალოგი სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა იმისა, რომ ის დახმარებოდა მათ სამყაროს სწორად გაგება-მეფასებაში, სულიერი წონასწორობის აღდგენაში და ქემპარიტი სიამოვნება-ბედნიერების წვდომაში.

ფილოსოფიის ფუნქციის ამგვარი გაგება შუა საუკუნეებში და შემდგომ ეტაპზე ერთგვარად შენელდა, მაგრამ ის კვლავ აღორძინდა XIX საუკუნეში სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის საფუძველზე. მათმა შემოქმედებამ კი შთააგონა ჟან პოლ სარტრი და მარტინ ჰაიდეგერი. ისინი ქმნიან ეგზისტენციალურ ფილოსოფიას და აყალიბებენ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიის როლი პირველ რიგში ადამიანზე დახმარებაა. მ. ჰაიდეგერის შემოქმედება ითვლება ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიის ქვაკუთხედად.

მეორე ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელმაც საფუძველი შეუქმნა ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიას, არის ფენომენოლოგია. ითვლება, რომ ეგზისტენციალიზმმა და ფენომენოლოგიამ ფსიქოთერაპიას მისცა აუცილებელი ინსტრუმენტი ფსიქიკურ პრობლემათა არსში გასარკვევად. როგრც ვხედავთ, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია არის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის „ნაზავი.“ის თავის ძირითად მიზანად თვლის, რომ ფსიქიკურად დაავადებულმა შესძლოს თავისი არსებობის ფილოსოფიურად გააზრება, ჭეშმარიტი ღირებულებების პოვნა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და ამ ახალ ღირებულებათა შესაბამისად საკუთარი არსებობის შეცვლა.

ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია ეგზისტენციალური ფილოსოფიის მსგავსად მიიჩნევს, რომ ადამიანური პრობლემები წარმოიქმნება თავად ადამიანის ბუნებიდან. ის იქმნება მაშინვე, როცა ადამიანი გაცნობიერებს, რომ არსებობა უაზრობაა და ეს უკანასკნელი გულგრილია მის მიმართ;სანაცვლოდ კი აუცილებელია ცხოვრების სწორი საზრისის პოვნა და ადამიანი ვერ პოულობს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როცა ადამიანი იგრძნობს, რომ ის ყოველთვის დგას არჩევანის წინაშე, რადგან მას აქვს თავისუფალი ნება და უნდა აირჩიოს სიკეთე ანბოროტება, ყოველ გაკეთებულ არჩევანზე კი თავად აგოს პასუხი.როცა ადამიანი იგრძნობს, რომ სიკვდილი გარდაუვალია და ამის გამო მას ბუნებრივად ეუფლება შიში. ცნობილი ფსიქოტერაპევტი ირვინ იალომი განასხვავებს ოთხ ძირითად ეგზისტენციალურ პრობლემას: სიკვდილი, იზოლიაცია, თავისუფლება და შინაგანი სიცარიელე. შესაბამისად, ის თვლის, რომ ყველა ფსიქიკური პრობლემა ამ საკითხებთანაა დაკავშირებული და თუ ისინი მოგვარდება, მაშინ ავტომატურად მოიხსნება ყველა სხვა პრობლემა.



ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიის მიხედვით, ყველა შინაგანი სულიერი პრობლემა არის არა ფსიქუკური დარღვევა, არამედ ადამიანის მიერ გადასალახავი აუცილებელი ცხოვრებისეული ეტაპი. მათი გადალახვა კი უზრუნველყოფს პიროვნების განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიაში ადამიანური არსებობა განიხილება როგორც კონფლიქტების მონაცვლეობა. მას ადამიანი მიჰყავს ღირებულებათა გადაფასებისკენ, ახალი გზების ძიებისკენ და განვითარებისკენ. მაგალითად, დეპრესია განიხილება, როგორც ცხოვრებისეული ღირებულებების დაკარგვის ეტაპი. ის გზას უხსნის სხვა ახალი ღირებულებების პოვნას. შფოთვა და ნუხილი ითვლება ისეთ ნიშნებად, რომლებიც მიგვითითებენ, რომ აუცილებლად უნდა გაკეთდეს სწორი ცხოვრებისეული არჩევანი; შფოთვა კი ადამიანს მოეხსნება მაშინვე, როცა არჩევანი გაკეთდება. აქედან გამომდინარე, ეგზისტენციალისტი ფსიქოთერაპევტი ამოცანაა, ადამიანი მიიყვანოს თავის ღრმა ეგზისტენციალურ პრობლემებთან, გააღვივოს მასში ფილოსოფიური აზროვნება ამ პრობლემათა გადასაწყვეტად და სულიერად გაამხნევოს ის. გაამხნევოს ისე, რომ მან მოცემულ ეტაპზე გააკეთოს აუცილებელი არჩევანი. მისი გადადების შემთხვევაში ადამიანი რჩება შფოთვისა და დეპრესიაში.

ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიას არა აქვს საყოველთაოდ მიღებული თერაპიული ტექნიკები. მათ სენსები ძირითადად მიჰყავთ თერაპევტსა და პაციენტს შორის თავაზიანი დიალოგის სახით. თერაპევტი არავითარ შემთხვევაში არ უსახელებს პაციენტს არავითარ გადაწყვეტილებას. ის მხოლოდ ეხმარება მას, რომ უფრო ღრმად გაიცნოს საკუთარი თავი, სწორად შეაფასოს საკუთარი თავისებურება, მოთხოვნილებები, ღირებულებები და თავად გააკეთოს სწორი არჩევანი.

## **§ 11. მედარდა ბოსის დაზინთერაპია**

პირველი ფსიქიატრები, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისში ხორცი შეასხეს ეგზისტენციალურ იდეებს ფსიქოთერაპიაში, იყვნენ კარლ იასპერსი და ლიუდვიგ ბინსვანგერი. ამ უკანასკნელმა ეგზისტენციალური ფილოსოფია გაცნო მედარდა ბოსს. ის მართალია ამაცობდა, რომ ზ. ფროიდის მოსწავლე იყო, მაგრამ ეგზისტენციალური ფილოსოფიის გაცნობის შემდეგ მ. ბოსსი (1903-1990წწ.) შეეცდებოდა ფსიქოანალიზისგან განსხვავებული ახალი ფსიქოთერაპიუ-

ლი მეთოდის – დაზიან ანალიზის შექმნას. ეს მიმდინარეობა არ არის ისე აღიარებული როგორც მაგალითად ვიქტორ ფრანკლის „ლოგოთერაპია. ამიტომ მას ძალიან მოკლედ განვიხილავთ. დაზიან გერმანული სიტყვაა და ნიშნავს არსებობას. ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ მ. ბოსსის ფსიქოთერაპიული მეთოდოლოგია ემყარება არა მხოლოდ კლასიკურ ფსიქოანალიზს, არამედ ეგზისტენციალურად გაგებულ არსებობას. უფრო ზუსტად, ის აერთიანებს ფსიქოანალიზის, ეგზისტენციალიზმის და ფენომენოლოგიის ტრადიციებს.

მედარდა ბოსსი თვლიდა, რომ კაცობრიობა წარმოადგენს ნათელი დღის მსგავს მთლიანობას და მისი ნათება იქმნება ცალკეულ ადამიანთა პატარ-პატარა გამოსხივებებით. ამასთანავე, გამოსხივებას ემყარება ადამიანური დაზიანება, ანუ მისიარსებობა და ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ფსიქიკური დაავადება იწყება მაშინ, როცა ადამიანის შინაგანი ნათება მცირდება და ის ვეღარ ამყარებს ნორმალურ კავშირს გარესამყაროსთან. რაც უფრო მძიმეა დაავადება, მით უფრო მცირეა ადამიანის შინაგანი ნათება. აქედან გამომდინარე, ფსიქოთერაპევტის დანიშნულება არის ადამიანის შინაგანი ნათების შემაფერხებელი ბარიერების მოხსნა და ნათების ბუნებრივ საწყის ფორმაში დაბრუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, – ადამიანის შინაგანი გახსნა გარესამყაროსთან ურთიერთობის დასამყარებლად (9).

## § 12. ვიქტორ ფრანკლის „ლოგოთერაპია“

უბედურებისა და დეპრესიის დასაძლევად ახალი მეთოდების ძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ ნეგატიური განცდების წარმომშობი მიზეზები არა მხოლოდ ქვეცნობიერშია დალექილი, არამედ ცნობიერების სფეროშიცაა მოცემული. ამაზე ნათლად მეტყველებს ვიქტორ ფრანკლის (1905-1997წწ) მიერ შექმნილი „ლოგოთერაპია“, (ბერძ, λογος – გონება, აზრი) ანუ მოძღვრება სიცოცხლის საზღვრის შესახებ. ეს ახალი ფსიქოთერაპიული მიმდინარეობა დიამეტრიულად განსხვავდებოდა ფსიქოანალიზისგან. ზ. ფროიდი თვლიდა, რომ მისი გამოკვლევები ეძღვნებოდა ადამიანური ფსიქიკის უზარმაზარ შენობას, მაგრამ ის მხოლოდ მის სარდაფში – ქვეცნობიერში შეჩერდა. ზ. ფროიდის მოძღვრებით უკმაყოფილო მოსწავლეები შეეცადნენ ამ სარდაფის შეუსწავლელი ნაწილების კვლევას, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი ფსიქოთერაპიული თეორიები. ვ. ფრანკლი კი ზ. ფროიდის მოსწავლეებისგან განსხვავებით შეეცდებოდა ადამიან-

ნური გონების ზედა სართულებში ასვლას და მათ შემეცნებას. ის შექმნის ახალ მიმდინარეობას, რომელიც განსხვავდებოდა არა მხოლოდ ფროიდისეული ფსიქოანალიზისგან, არამედ მასთან ახლოს-მდგომი სკოლებისგან.

ვენის პატრიარქი სკეპტიკურად თვლიდა, რომ თუ ადამიანი ჩაფიქრდა თავისი ცხოვრების მიზანზე, ის სერიოზულად იყო ავად. მისგან განსხვავებით, ვ. ფრანკლმა დაუშვა: სწორედ ცხოვრების საზრისის ძიება იყო სულიერი ჯანმრთელობისკენ მიმავალი გზა. ცხოვრების საზრისის დაკარგვა კი – არა მხოლოდ ფსიქიკური დაავადების, არამედ ბევრი სხვა უბედურების გამომწვევი მიზეზი (7). ის მიიჩნევდა, რომ არსებობის საზრისის შესახებ კითხვის დასმა ადამიანისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენაა და ეს არა ნეგატივზე, არამედ მის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს, რადგან ადამიანის გარდა არ ერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია მსგავსი კითხვის დასმა და მასზე პასუხის გაცემა.

ვ. ფრანკლის აზრით, ფსიქოანალიზის შედეგად ადამიანი დეპერსონალიზირდება, მისი სულიერი მთლიანობა იშლება ცალკეულ ნაწილებად და შემდეგ ეს ნაწილები იქცევა დამოუკიდებელ არსებებად. ეგზისტენციალური ანალიზი კი პირიქით, აღიარებს ადამიანის სულიერი არსებობისავტონომიურობას და ფსიქოანალიზისგან განსხვავებით შემოაქვს სულიერი ქვეცნობიერის გაგება, რომელიც ვლინდება ზნეობის სახით. სწორედ ეს სულიერი ქვეცნობიერი ინტუიციურად პოულობს არსებობის მიზანს ნებისმიერ სიტუაციაში. ასეთი შინაგანი ზნეობის განმასახიერებელ სულიერ ქვეცნობიერს ვ. ფრანკლი უწოდებს შინაგან ღმერთს (8). მაგრამ ის მისთვის არის არა შემეცნებადი, არამედ ირაციონალური ნაწილი ადამიანისა. ის თვლის რომ ზნეობის კანონზომიერების გააზრება შეუძლებელია (8). მიუხედავად ამისა, ის მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ ფსიქოანალიზი, არამედ ეგზისტენციალური ანალიზი მიმართულია გაცნობიერებისკენ. ოღონდ ფსიქოანალიზი ცდილობს გააცნობიეროს ინსტიქტური მისწრაფებები, ეგზისტენციალური ანალიზი კი ცდილობს სულიერ მისწრაფებათა გააზრებას (8).

ვ. ფრანკლი თავისი მოძღვრების ძირითად იდეებს აყალიბებს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეს ომი კი მისი მოძღვრების რეალობას არა მხოლოდ დაადასტურებს დაგამოაწრთობს, არამედ გააღრმავებს და განავითარებს. ფაშისტებმა დააპატიმრეს ვ. ფრანკლი და საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. სხვა ტყვეების მსგავსად, მის წინაშეც ძალიან მკაცრად დაისვა ეგზისტენციალური

ტრიადის პრობლემა და ის აღმოჩნდა ეგზისტენციალურ ვაკუუმში. ზამთრის ერთ ყინვიან დღეს, ვ. ფრანკლი საკონცენტრაციო ბანაკის სულის შემხუთავი ყაზარმიდან გარეთ გავიდა და იგრძნო, რომ ის სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე იდგა. ირგვლივ სუფევდა შიმშილი, სისასტიკე, სიკვდილი, დამცირება, სიცივე, უიმედობა... და ის იყო უკიდურესად დაუძლურებული – მას ძალა აღარ ჰყოფნიდა არსებობის გასაგრძელებლად. თითქოს გამოსავალი აღარსად იყო. მაგრამ სწორედ ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მის გონებაში გამობრწყინდა ახალი მრწამსი: ეცოცხლა, რათა დახმარებოდა სხვა პატიმრებს სიცოცხლის შენარჩუნებაში და ტკივილის შემსუბუქებაში. ამ დროს მან იგრძნო, რომ მისი გონება განათდა და მას მიეცა არნახული შინაგანი ძალა. ვ. ფრანკლი სულიერად ხელახლა დაიბადა და იმდენად ცხადად გაიაზრა ყველაფერი, რომ მან ვიზუალურად წარმოიდგინა მომავალი: თუ როგორ იდგა ის აუდიტორიის წინაშე თბილ წყნარ ოთახში, კითხულობდა ლექციას ტყვეობაში გადატანილი სისასტიკის და მის შედეგად აღმოცენებული ფსიქოთერაპიული იდეების შესახებ. ამ დროს მან წინასწარ იხილა მომავალი, თუმცა მაშინ ეს მისთვის დაუჯერებელი იყო.

ვ. ფრანკლი ყოველთვის – ომის დანყებაამდე და პატიმრობის პირველი დღიდანვე – ეხმარებოდა დაავადებულებს და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს, მაგრამ ამას ის აკეთებდა ინსტინქტურად და მისი პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარე. მისი ეს უნარი ახალი შინაარსით და ძალით შეივსო მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან ნათლად გააცნობიერა თავისი არსებობის მიზანი – სხვა ადამიანისადმი სამსახური. ამ ისტორიული ფაქტის შინაარსს ის შემდეგნაირად გამოთქვამს: „ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა ის, რომ დავხმარებოდი სხვას მისი არსებობის მიზნის პოვნაში“ (8). ის მიხვდა, რომ ეგზისტენციალური ვაკუუმის – სასონარკვეთილების, დეპრესიისა და სხვა მსგავსი დაავადების მიზეზი იყო ცხოვრების მიზნის დაკარგვა ადამიანის წინაშე აღმოცენებული ეგზისტენციალური ტრიადის: ტკივილის, სიკვდილის და დანაშაულის შეგრძნების გამო. შესაბამისად, გააცნობიერა: ამ შემზღუდავი აუცილებლობის გადალახვა შეიძლებოდა მხოლოდ მისდამი დამოკიდებულების შეცვლით – თუ ვერ ვცვლით ჩვენს ირგვლივ არსებულ მტანჯველ გარემო პირობებს, მაშინ უნდა შევცვლოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ პირობების მიმართ და დამარცხება ჩვენს გამარჯვებად გადაიქცევა. ამ მეთოდს ფსიქოთერაპიაში ეწოდა ფრეიმიנגი. უფრო ზუსტად, ვ. ფრანკლი თვლიდა, რომ საკუთარი ტრაგედია გამარჯვებად გადაიქ-

ცევა იმ შემთხვევაში, თუ სიცოცხლის სწორ საზრისს იპოვი და იარსებებ არა კარიერის, ძალა-უფლების, სიმდიდრის ან სხვა არასწორი ცხოვრებისეული მიზნისთვის და მხოლოდ პირადი სიამოვნება-ბედნიერების მისაღწევად, არამედ ადამიანის სიყვარულის და მასზე დახმარების სურვილის გამო. ამ კანონზომიერების გააზრების შედეგად გამოფხიზლებული და აღფრთოვანებული ფრანკლი გაათმაგებული ერთუზიანებით აგრძელებსეპილეფტიკებზე, ფიზიკურად თუ ფსიქიკურად დაავადებულებზე და სულიერად დაუძლურებულებზე დახმარებას. ის მათ ეხმარებოდა აგრეთვე პატიმრობით გამონვეული შოკის შემსუბუქებასა თუ ნებისმიერ სხვა დაავადებაზე გამკლავებაში და იმედისა თუ ჭეშმარიტი მრწამსის პოვნაში.

ვ. ფრანკლის ფსიქოტერაპიული კონცეფცია ემყარებოდა ეგზისტენციალურ ფილოსოფიას, მაგრამ მას შემდეგ რაც მისი მოძღვრებისრეალობადადასტურაომის სისასტიკემ, მისმათეორიამ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი ფსიქოთერაპიის სფეროში ომის შემდეგ და ის იქცა მრავალი სხვა მიმდინარეობის ამოსავალ თეორიად. თვით ერიკსონისეული თერაპიაც კი ძირითადად მას ემყარება.

ვ. ფრანკლის ლოგოთერაპიის ძირითადი იდეა არის საზრისის პოვნა. მისთვის ადამიანი არის არა ისეთი არსება, რომელიც მიისწრაფვის სიმშვიდისა და ჰომეოსტაზისკენ, როგორც ამას ფსიქონალიზი თვლიდა, არამედ არსება, რომელიც მიისწრაფვის თავისი შესაძლებლობების გადალახვისკენ. ამ მისწრაფვებს კი მასში ბადებს ცხოვრების მრწამსი, ანუ ისეთი სანყისი, რომელიც ადამიანს უბიძგებს აქტივობისა და ძიებისკენ. ვ. ფრანკლის აზრით, არსებობს სამი ძირითადი სახის ცხოვრებისეული საზრისი.1. ცხოვრების აზრი ზოგადად. მასში იგულისხმება, რომ არსებობის ზოგადი საზრისი არსებობს ობიექტურად, ადამიანისგან დამოუკიდებლად და მას ადამიანი შეიძლება დაუკავშირდეს თავისი კონკრეტული საზრისით.2. კონკრეტული ადამიანის ცხოვრების საზრისი. ის პასუხს სცემს შემდეგ კითხვაზე: რისთვის არსებობს ადამიანი? მასზე პასუხი სრულყოფილად შეიძლება გავიგოთ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, რადგან ის მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩანს გარკვევით. თუმცა მას შეიძლება დავუახლოვდეთ ცხოვრების საზრისთა პოვნით.3. საზრისები ცხოვრებაში. ეს არის ის კონკრეტული მდგომარეობები, რომელშიც ვიმყოფებით მოცემულ მომენტში დამას აღვიქვამთ ჩვენი ცხოვრების მიზნად.

ვ. ფრანკლის აზრით, არსებობის საზრისს შეიძლება წვდეს ყველა, რასის, რელიგიური აღმსარებლობისა თუ სოციალური

მდგომარეობის მიუხედავად. არა ადამიანი სვამს საზრისისკითხვას არსებობის წინაშე, არამედ პირიქით, თავად – არსებობა და ადამიანი უნდა უპასუხოს მას. ამავე დროს, ის ისმის ყოველდღიურად და ყოველწამს. ამ დებულებასთან დაკავშირებით ზ. ფროიდმა შენიშნა, რომ განუწყვეტლივ საზრისის ძიებაც დაავადებო (10). რადგან საზრისი არის არა სუბიექტური – ადამიანის მიერ შექმნილი, არამედ ის მას დებულობს ობიექტური რეალობიდან; ამიტომ ის გვევლინება ერთგვარი იმპერატივის სახით და ადამიანისგან მოითხოვს მის შესრულებას, ანუ რეალიზაციას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცხოვრება აღსავსეა ტანჯვით.

ვ. ფრანკლი განასხვავებდა სამი სახის ღირებულებებს: 1. შემოქმედებითი ღირებულებები. ისინი ვლინდება შემოქმედება-მოღვაწეობის პროცესში და ისხორციელდება სოციალურად. 2. განცდის ღირებულებები. მაგალითად, ტკბობა ხელოვნების ნიმუშებით, მუსიკით და ა.შ. 3. პოზიციის ღირებულებები. იგულისხმება ცხოვრების საზრისის ძიება იმ პირობებში, რომელიც ადამიანს წილად ერგო. ეს ნიშნავს მათძიებას იმ შემთხვევაშიც კი თუ ადამიანი სასიკვდილოდაა დავადებული ან უმძიმეს ტყვეობაშია. როცა პირველი ორი ღირებულება მიუწვდომელია ადამიანისთვის, ის ირჩევს მესამეს. სწორედ მესამის არჩევა მოუხდა ვ. ფრანკლს საკონცენტრაციო ბანაკში.

### **ა) თავისუფალი ნება და თერაპიის მიზნები.**

ვ. ფრანკლმა ჩამოაყალიბა სამი თერაპიული ხერხი, რომლის საფუძველზე ადამიანი წვდება ცხოვრების საზრისს.

1. თვითდისტანცირება. ის ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უნარია და მას ეხმარება არა მხოლოდ სხვა მოვლენებთან ურთიერთობისას საკუთარი პოზიციის გარკვევაში, არამედ საკუთარი თავისგან საკუთარი მე-ს გამოყოფაში.

2. თვითტრანსცენდენტირება. მის საფუძველზე ადამიანი ემიჯნება საკუთარ ინსტინქტებს, მისწრაფებებს და ირჩევს თავის გზას. ის გვეხმარება ყოფიერებასთან ურთიერთობის ფორმის არჩევაში. თუ ეს უნარები ადამიანს აქვს, ისმის კითხვა: საითაა ჩვენი ნება მიპყრობილი? ამაზე უპასუხს სცემს მესამეხერხის შინაარსი. 3. საკუთარი თავის მიღება. უნდა მიიღო ის სიტუაცია, რომელიც შენსირგვლივს და მიიღებ საკუთარ თავსაც. უნდა დისტანცირდე საკუთარი თავისგან, უნდა შეიცვალო პოზიცია მის მიმართ და იპოვი

ცხოვრების საზრისს. როცა ადამიანი ქეშმარიტი საზრისის არჩევით უკავშირდება მის მიღმა არსებულ ძალიან მნიშვნელოვან და ამაღლებულ მოვლენას, მხოლოდ მაშინ პოულობს საკუთარ თავს. თუ ის ამას ვერ ახერხებს, მაშინ ადამიანი აღმოჩნდება **ეგზისტენციალურ ვაკუუმში, ეგზისტენციალურ ფრუსტრაციაში**. ეს არის არსებობის საზრისის და მიმართულების დაკარგვა. მას მივყავართ ნევროზამდე.

### **ბ) დაავადებათა ტიპები.**

ვ. ფრანკლი განასხვავებდა ფსიქიკურად დაავადებულთა სამ ძირითად ტიპს. ის მათ აჯგუფებდა მისი პაციენტების მონაცემთა საფუძველზე. 1. მონყენილები. ისინი იტანჯებიან ნოოგენური ნევროზით. მათ ყველაფერს მიაღწიეს, მაგრამ არიან უკმაყოფილო და განიცდიან სიცარიელეს. მათთვის აუცილებელია თვითდისტანცირება ამაღლებული საზრისის საპოვნელად. 2. ნევროტიკები. მათ არ შეუძლიათ საკუთარი თავისგან და ნევროზისგან განდგომა და სხვა მოვლებზე გადაართვა. მათთვის აუცილებელია ახალი პერსპექტივის პოვნა. 3. სასონარკვეთილები. ისინი აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში და მათ წინაშე დაისვა ეგზისტენციალური ტრიადის პრობლემები: სიკვდილი, ტკივილი და დანაშაულის შეგრძნება; მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ მასზე ადეკვატური პასუხის გაცემას, რის შედეგადაც აღმოჩნდნენ ეგზისტენციალურ ვაკუუმში. მათ ფსიქოთერაპევტი უნდა დაეხმაროს საკუთარი თავის პოვნაში. საკუთარი თავი მათ უნდა მიიღონ ისეთი, როგორიც ის არის. ამ მიმდინარეობაში დაავადებათა გადასალახავადსაერთოდ გამოიყენება არა ერთი, არამედ სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ყველა შემთხვევაში აქცენტია აუცილებლად კეთდება საზრისის პოვნაზე.

### **გ) შფოთვის ჩაკეთილი წრე.**

ის ძალიან ჰგავს პანიკური შეტევის მანკიერ წრეს. ამ შემთხვევაში დაავადება გამოწვეულია ეგზისტენციალური ვაკუუმით და ის იწყება სიმპტომით, რომელიც დესტაბილიზაციურად მოქმედებს ადამიანზე: მასში იწვევს არათავდაჯერებულობას. არათავდაჯერებულობას და შფოთვის მოლოდინს კი მივყავართ ისევ პანიკურ შეტევამდე. ასეთ ჩაკეთილ წრეს ახასიათებს რამდენიმე ეტაპი:

1. ანტიციპატორული შფოთვა. ეს არის ეგზისტენციალური შემთხვევის შფოთვითი მოლოდინი. მაგ. თუ მამაკაცმა ვერ განახორციელა ინტიმური კავშირი, მომდევნო შემთხვევაში შფოთვით მოელის, რომ ეს ნარუმატებლობა განმეორდება. თუ გოგონას ძალღიკუნს, მას უჩნდება მათ მიმართ შიში და ძალღებთან შეხვედრისას შფოთვით მოელის, რომ ისინი მას დაკმენენ.

2. ჰიპერრეფლექსია. გაძლიერებული თვითდაკვირვება და განრიდება. ადამიანი ყველანაირად ცდილობს გაექცეს პრობლემებს. გოგონა მოერიდება ძალღებთან შეხვედრას, რადგან მას ძალღმა უკბინა. მამაკაცი თვლის, რომ სექსუალური აქტი რადგან ერთხელ ვერ განახორციელა, ის კვლავ ვერ განახორციელებს მას და ძალიან განიცდის.

3. ჰიპერინტენცია. ეს არის ძლიერი დაძაბულობა, რომელსაც მივყავართ ნარუმატებლობის შეგრძნების განმტკიცებამდე და ცუდის მოლოდინის უკიდურესად გამძაფრებამდე. გოგონას ჰგონია, რომ ძალღები ნამდვილად უკმენენ და მამაკაცს ჰგონია, რომ ნამდვილად არ გამოუაინტიმური აქტი, რასაც უკიდურესად განიცდიან. ყოველივე ამის შედეგად ადამიანი სულ უფრო სცილდება რეალობას და ეჭიდება ისეთ „მიზეზს,“ რაც არაა არსებითი. ამ შემთხვევაში ლოგოთერაპევტის მიზანია შფოთვის ჩაკეთილი წრის გარღვევა და ახალი საზრისის „შეტანა“ პაციენტის ცნობიერებაში.

### **დ) ლოგოთერაპიული ტექნიკები.**

ვ. ფრანკლი ძირითად განასხვავებს სამნაირ ლოგოთერაპიულ ტექნიკას: 1. სიტყვიერი თერაპია. 2. დერეფლექსია. 3. პარადოქსალური ინტენცია. სიტყვიერი თერაპიის დროს საერთოდ გამოიყენება შემეცნებითი თერაპიის სხვადასხვა ტექნიკა. იქნება ეს განწყობის მოდულაცია, კოგნიტიური რესტრუქტურიზაცია, სოკრატული დიალოგი თუ სხვა. სიტყვიერი თერაპიის არსი მდგომარეობს შემდეგში: თერაპევტმა უნდა შეისწავლოს პაციენტის ისტორია, დაავადება და პაციენტი აიძულოს შეცვალოს დამოკიდებულება საკუთარი თავისა თუ გარე სამყაროსადმი, ანუ იმ მოვლენებისადმი, რამაც ის მიიყვანა დაავადებამდე. მაგალითად, გოგო განიცდის, რომ გააუპატიურეს და ამასი ადანაშაულებს საკუთარ თავს: ის თვლის, რომ შინაგანად სუსტია, მოძალადემ ეს შენიშნა, ამიტომ აირჩია ის და არა სხვა. თერაპევტმა ყურადღება უნდა გადაატანოს ამ შემთხვევის დადებით შედეგზე, ანუ – მასზე, რომ ის მოხერხებულია და სწორედ



ამის წყალობით შესძლო მოძალადისგან გაქცევა. თუ პაციენტი იტანჯება და ამბობს, რომ დედ-მამა გამუდმებით ამცირებდნენ და სცემდნენ, თერაპევტი ეუბნება: ამ შემთხვევამ იმუშავა თქვენს სასარგებლოდ. სწორედ იმის გამო რომ მშობლები გამცირებდნენ, შენ არ დაემსგავსე მათ, ხარ თავაზიანი და გულისხმიერი შეილებისა თუ საერთოდ პატარების მიმართ.

დერეფლექსიის საშუალებით პაციენტს ფსიქოთერაპევტმა ყურადღება უნდა გადაატანინოს ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებზე, რომლებიც მან შეიძლება იპოვოს სამყაროში. ეს დაეხმარება მას ჰიპერეფლექსიის თავიდან აცილებაში. მაგალითად, პაციენტი თუ მოელის წარუმატებლობას სექსუალური ურთიერთობისას, მას სთავაზობენ ყურადღება შეაჩეროს არა საკუთარ, არამედ პარტნიორის განცდებზე და მდგომარეობაზე. ასეთ შემთხვევაში ჰიპერეფლექსიის სიმპტომი ხშირად ქრება.

პარადოქსალური ინტენციის დროს, პაციენტს სთავაზობენ ზუსტად იმ სიტუაციაში მოხვედრას, რასაც გაურბის. ეს ხშირად გამოიყენება ანტიციპატორული რეფლექსიის დროს. მაგალითად, თუ ადამიანს ეშინია დაბინძურების, მას სთავაზობენ ტალახში ამოსვრას. მსგავსი პრობლემის დროს ვ. ფრანკლმა შემდეგი მეთოდი გამოიყენა: ცოლ-ქმარი ჩიოდა, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ ინტიმურ კავშირს. მან კი შესთავაზა. დაწეით შიშვლები ისე, რომ არ გქონდეთ სექსი. მათ ეს პირობა ვერ შეასრულეს.

დასასრულს, მართებული არ იქნება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ვ. ფრანკლის ფსიქოტერაპიით განკურნების უნიკალური შემთხვევებიდან ერთ-ერთი მაინც. მყვინთავ გოგონას შეემთხვა ავარია სკაფანდრით წყალში ჩაშვების დროს და კისრის არეში ხერხემალი დაიზიანა. ამის შემდეგ ის დაინვალიდდა და ველარ შესძლო მოძრაობა. გარკვეული დროის შემდეგ მან ვ. ფრანკლს მისწერა: „მე მოვიტყეხე კისერი, მაგრამ ამ შემთხვევამ ვერ გამტყხა მე! ვიცი, რომ მუდამ ვიქნები სანოლზე მიჯაჭვული, მაგრამ ყოველთვის მექნება სურვილი, რომ ადამიანებს დავეხმარო და მათ სულიერი ტანჯვა შევუმსუბუქოო“ (7). ეს გოგო ყოველ დღე კითხულობდა გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, უსმენდა საინფორმაციო საშუალებებს და აქტიურად იყო ჩართული სოციალური პრობლემების მოგვარებაში. ის იყო ძალიან თავდაჯერებული თავის მოქმედებებში და თუ ვინმეს გასაჭირში ნახავდა, მასზე დასახმარებლად იწყებდა პირში მოთავსებული კალმით წერას. ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად უმწეო მდგომარეობაშიც კი მას უამრავ ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო

სწორი მიზანი ჰქონდა და ამის შედეგად იყო უფრო ბედნიერი, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები.

ვ. ფრანკლის მოძღვრება იყო ძალიან პოპულარული და მას ბევრი სხვა მიმდინარეობა ემყარება, მაგრამ, ამ მიმდინარეობათა მსგავსად, მისი შესაძლებლობებიც განსაზღვრულია. თავად ვ.ფრანკლი აღნიშნავდა, რომ მისი მეთოდის გამოყენება შეიძლება არა ყველა, არამედ გარკვეულ შემთხვევაში. სახელდობრ, მისი მეთოდი ხშირად გამოიყენება კოგნიტიურ-ქცევითი თერაპიისას, ფობიებისას, სექსუალური პრობლემებისას, უკურნებელი თუ მომაკვდინებელი დაავადებებისას და ა.შ. უფრო ზუსტად, ეგზისტენციალური თერაპია და ლოგოთერაპია ხშირად გამოიყენება იქ, სადაც სხვა მეთოდები ვერ უმკლავდება პრობლემებს.

### **§ 13. ფსიქოთერაპიის „ამოუხსნელი“ პრობლემები**

ფსიქოთერაპია, რა თქმა უნდა, ვ. ფრანკლის შემოქმედებაზე არ შეჩერებულია, მის შემდეგაც აღმოცენდა ძალიან მნიშვნელოვანი მიმდინარეობები, იქნება ეს მილტონ ერიქსონის ტრანსული თერაპია, ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება, ართ-ტერაპია თუ სხვა, მაგრამ მათ შემდეგ გავაანალიზებთ. აქ კი შეიძლება დროებით შევჩერდეთ და გამოვყოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გადაუწყვეტელი დარჩა არა მხოლოდ უკვე განხილული, არამედ მომდევნო ეტაპზე გასაანალიზებელი ფრიად ღირებული და მრავალფეროვანი ფსიქოთერაპიული კონცეფციების შექმნის მიუხედავად. კერძოდ, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების შედეგად, გაუთვალისწინებელი დარჩა ფსიქოთერაპიისა და საერთოდ ადამიანისთვის აუცილებელი რამდენიმე ძირითადი საკითხი. პირველყოვლისა, – ის, რომ სათანადო ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ზნეობრივი პრინციპების როლი ფსიქოთერაპიული მკურნალობის პროცესში. გასაგებია, რომ ფსიქიატრია ვერ ახერხებს მათ გათვალისწინებას, რადგან ის ფსიქიკური პრობლემების განკურნებას ცდილობს მედიკამენტებით და ორგანიზმის ბიო-ქიმიური მდგომარეობის შეცვლით. მაგრამ „გაუგებარია,“ რატომ უნდა ერიდებოდეს მასზე ყურადღების გამახვილებას ფსიქოთერაპია?! მართალია, ვ. ფრანკლი ძალიან ახლოს მივიდა ზნეობასა და დეპრესიას შორის ღრმა კავშირის აღიარებამდე, ზნეობა ქვეცნობიერ ღმერთად და არსებობის მიზნის მპოვნელ ინტუიციურ საწყისად ჩათვალა, მაგრამ მისი არსის შემცენებისკენ გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადადგა: ზნეობა მიიჩნია ირაციონალურ

– შეუმეცნებად მოვლენად, რის შედეგადაც ის ძალიან დაემსგავსა ემანუილ კანტის იმპერატიულ და ადამიანური არსებობის სიკეთის იდეისკენ წარმმართველ შინაგან ირაციონალურ ზნეობას. ის, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მოგვაგონებს აგრეთვე კ. იუნგის სიკეთის არქეტიპს და ფროიდისეულ ზე-ეგოს, რომელიც ფილტრავს ადამიანურ სურვილებს და მხოლოდ ზნეობრივ მისწრაფებებს აძლევს რეალიზაციის საშუალებას, არაზნეობრივს კი განდევნის ქვეცნობიერში.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა მოაზროვნე განსხვავებული კუთხით აღიქვამს და განიხილავს ზნეობას, მაგრამ ყველა ისინი ერთმნიშვნელოვნად თვლიან, რომ ის არის ირაციონალური მოვლენა. შესაბამისად, ისმის კითხვა: ნუთუ შეიძლება ადამიანის შინაგან სამყაროში არსებული და მუდმივად მოქმედი შეუნაცვლებელი მნიშვნელობის მქონე ზნეობა იყოს ირაციონალური და არაკანონზომიერი? თუ ის არაკანონზომიერია, მაშინ რატომ უწოდებენ მას საერთოდ ზნეობრივ კანონს?! ზნეობის სწორედ ასეთმა ირაციონალური ფორმით აღქმამ, რა თქმა უნდა, თავისი შედეგი გამოიღო: ვ. ფრანკლი იძულებული გახდა არსებობის მიზანზე შეჩერებულიყო. მან არსებობის სწორი საზრისის დაკარგვა გამოაცხადა დეპრესიისა და სასონარკვეთილების აღმოცენების მიზეზად. მისი პოვნა კი – დეპრესიის გადალახვად და კმაყოფილება-ბედნიერების უზრუნველმყოფელ მოვლენად. ეს მაშინ, როცა ორივე შემთხვევას – ადამიანის მიერ არსებობის მიზნის დაკარგვას და მის პოვნას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მორალთან მივყავართ, ის კი ითვლება შეუმეცნებადად. ამიტომ ვ. ფრანკლის მოძღვრება იყო ახალი ძალიან მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯი ფსიქოთერაპიის სფეროში, მაგრამ მასში არსებითი საკითხები მაინც გაურკვეველი დარჩა – ადამიანური გონების „სარდაფიდან დღის სინათლეზე“ ვერ გამოვიდა. მაგალითად, ვ. ფრანკლი თვლის, რომ დეპრესიას იწვევს ეგზისტენციალურ ვაკუუმში მოქცევა, მაგრამ გაუგებარია რა იწვევს თავად ამ ეგზისტენციალურ ვაკუუმს ან რატომ უწოდეს მას საერთოდ ვაკუუმში? მასში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ სხვა ადამიანებისგან და ფიზიკური სამყაროსგან ადამიანის იზოლიაცია თუ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ? ან რას ნიშნავს ირვინ ალომის მიერ აღნიშნული დეპრესიისთვის დამახასიათებელი შინაგანი სიცარიელე? არსებითად რა იწვევს მას? რას ემყარება მედარდა ბოსის მიერ აღნიშნული ადამიანის შინაგანი ნათება? რატომ გრძნობს ადამიანი თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ, როცა სწორ საზრისს იპოვის და არა

მაშინ, როცა ყოველდღიური პრობლემებითაა დაკავებული ან მინიერი სურვილების მიღწევისთვის იბრძვის და მხოლოდ პირად სიკეთეზე ზრუნავს? გასაგებია, რომ სწორი საზრისის პოვნის შემთხვევაში ადამიანს ეძლევა დიდი შინაგანი ძალა, მაგრამ გაუგებარია საიდან ეძლევა ის მას, საზრისი ხომ მხოლოდ ცნობიერებაში დაშვებული მიზანია და არა თვალთ ხილვადი ენერჯის გამცემი მოვლენა?

რა არის ასეთ ამოუხსნელ პრობლემათა აღმოცენების ზემოთ ნახსენები სუბიექტური და ობიექტური მიზეზი? სუბიექტური მიზეზი, რა თქმა უნდა, თავად ფსიქოტერაპიიდან მომდინარეობს და ის, პირველყოვლისა, არის ფსიქოლოგიისა თუ ფსიქოთერაპიის, როგორც კონკრეტულ მეცნიერებათა დანიშნულება, ანუ კვლევის ვინაობა სფერო და გამოყენებითი ინტერესები. ის არ იკვლევს ზოგად კანონზომიერებებს. მეორე, – არის ის, რომ ფსიქოლოგია გარკვეულწილად ემიჯნება რელიგიას, ზნეობრივი პრინციპები კი ითვლება რელიგიური და „ირაციონალური“ შინაარსის მქონე მოვლენად. მესამე: არა მხოლოდ ფსიქოლოგიასა და ფსიქოტერაპიაში, არამედ ფილოსოფიასა და საერთოდ მეცნიერებაში პარადოქსულად და არადეკვატურად ითვლებოდა, რომ ზნეობას, ბედნიერება-უბედურებასა თუ დეპრესიის განცდას არ გააჩნია ზოგადი კანონზომიერება (1,270). მათი კანონზომიერების გათვალისწინების გარეშე კი ზემოთ აღნიშნულ საკითხთა მეცნიერული ფორმით გააზრება და აღმოცენებულ კითხვებზე პასუხის გაცემაიყო შეუძლებელი. ამის საპირისპიროდ, თუ გავითავალისწინებთ ზნეობის, ბედნიერება-უბედურებისა და დეპრესიის ზოგად კანონზომიერებას (1,270;3,162-332), რა თქმა უნდა, აღმოჩნდება, რომ ნახსენებ კითხვებზე პასუხის გაცემა არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

### ლიტერატურა:

1. ფილოსოფიური ძიებანი. (2023). „დეპრესია-უბედურების კანონზომიერების შესახებ,“ ტ. XXVII, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
2. ფროიდი ზ. (1995). ფსიქონალიზი, „სიახლე,“ თბილისი.
3. ხალვაში მ. (2013). „ბედნიერება მეცნიერული თვალსაზრისით,“ „რაე“.
4. [htt // www.Аналитическая психотерапия Карла Юнга](http://www.Аналитическая психотерапия Карла Юнга).
5. [htt // www.Аарон Бек и Когнитивная терапия](http://www.Аарон Бек и Когнитивная терапия).
6. [htt // www.ВилгелмРаих и Телесноориентированная терапия](http://www.ВилгелмРаих и Телесноориентированная терапия).

7. [htt // www.Виктор Франкл, «Подсознательный Бог»](http://www.Виктор Франкл, «Подсознательный Бог»).
8. [htt // www.Логотерария Виктора Франкла](http://www.Логотерария Виктора Франкла).
9. [htt // www.Дазайн-анализ Медарда Босса](http://www.Дазайн-анализ Медарда Босса).
10. [htt // www.Психосинтез Роберто Ассаджоли](http://www.Психосинтез Роберто Ассаджоли).
11. [htt // www.Психоанализ Зигмунда Фрейда](http://www.Психоанализ Зигмунда Фрейда).
12. [htt// www, Султфнов Мурат, Лечение депресия](http://www.Султфнов Мурат, Лечение депресия).
13. [htt // www glueckფორschung. de./ ფაგ. htm.](http://www.glueckforschung.de./ფაგ.htm)
14. [htt // www.Фрис Перлз и Гештальт-терапия](http://www.Фрис Перлз и Гештальт-терапия).

---

**Merab Oniani** – The doctor of psychology, employer of the Georgian Patriarchate Psychological Center, well-known psychotherapist practitioner, theologian, art critic. He has published: the pieces of work about problems of social psychology; Hystorico-theological essay „The attack of papests on the hole mount Atho;” extra-curriculum reading literature: „You, my good country.”

**Mikheil Khalvashi** – Doctor of Philosophy; he studies philosophical problems of ethics, has published scientific articles on problems of ethics and a monograph „Happiness from Scientific Point of View“ (Tbilisi, 2013).

---

## THE METHODS OF OVERCOMING UNHAPPINESS AND DEPRESSION

### Abstract

In the article, the methods of overcoming unhappiness and depression are divided into four major groups: 1. Psychiatric; 2. Psychotherapeutic; 3. Physical activity and technical means. 4. Religious and Mystical. From these items, only psychiatric and psychotherapeutic methods are discussed in the abovementioned article, together with theory of Victor Frankl. Accordingly, it is ascertained that in spite of reach psychiatric and psychotherapeutic knowledge and practice, the most necessary and essential issues of psychotherapy are stayed beyond the field of cognition. The reason for this is, unacceptable or scientific methodology, inadequacy, which is made in relation to abovementioned issues.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ლია მეტრეველი** – განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. არის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს ფსიქოლოგიისა და განათლების პრობლემებზე.

**დავით ქათამაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მუშაობს ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები მოზარდობის ასაკის, სექსუალობისა და სექსუალური განათლების საკითხებზე: „მასწავლებელთა სექსუალური განათლების პროცესში ჩართულობის კვლევა“ (ბთ. 2023), „იდენტობის ფორმირების მნიშვნელობა გარდატეხის ასაკში“ (თბ. 2022), „ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა მოზარდობის ასაკში“ (თბ. 2022).

---

## სექსუალობა, გენდერული როლები და გენდერული დისფორია

სექსუალობა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალა თითოეული ადამიანის გრძნობების, აზრებისა და ქცევის უკან. იგი განსაზღვრავს ბიოლოგიური რეპროდუქციის საშუალებებს, აღწერს საკუთარი თავის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ წარმოდგენებს და ორიენტირებს ადამიანის მიზიდულობას სხვების მიმართ. გარდა ამისა, ის აყალიბებს ტვინს და სხეულს სიამოვნების მაძიებლად. მიუხედავად ამისა, რამდენადაც მნიშვნელოვანია სექსუალობა ადამიანად ყოფნისთვის, ის ხშირად განიხილება, როგორც ტაბუდადებული თემა პირადი ან სამეცნიერო კვლევისთვის.<sup>1</sup>

ადამიანის სექსუალობის ისტორია ისეთივე გრძელია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია – 200,000+ წელი და სხვა (Antón &

---

<sup>1</sup>Lucas, D. & Fox, J. (2018). Human sexual anatomy and physiology. In R. Biswas-Diener & E. Diener (Eds), Noba textbook series: Psychology. [https://go.roguecc.edu/sites/go.roguecc.edu/files/dept/Libraries/PDFs/PsychSexualit\\_y\\_and-Sexual-AP.pdf](https://go.roguecc.edu/sites/go.roguecc.edu/files/dept/Libraries/PDFs/PsychSexualit_y_and-Sexual-AP.pdf)

Swisher, 2004). უძველესი კულტურებიდან ზოგიერთი ადრეული აღმორჩენილი არტეფაქტი ითვლება ნაყოფიერების ტოტემებად. ინდუსური **კამა სუტრა** (ძვ. წ. 400 – ახ. წ. 200 წწ.) — უძველესი ტექსტი, რომელიც განიხილავს სიყვარულს, სურვილსა და სიამოვნებას — შეიცავს სახელმძღვანელოს სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. წესებს, რჩევებს და ისტორიებს სექსის შესახებ ასევე შეიცავს მუსულმანური ყურანი, ებრაული თორა და ქრისტიანული ბიბლია.

ამის საპირისპიროდ, ადამიანებმა სექსუალობის მეცნიერულად კვლევა დაიწყეს მხოლოდ ბოლო 125 წლის განმავლობაში. კვლევის მეთოდის გამოყენებით ინგლისელმა ექიმმა **ჰენრი ჰეველოკ ელისმა** (1859-1939) შეისწავლა სექსუალობის სხვადასხვა თემები, მათ შორის ალგზნება და მასტურბაცია. 1897 წლიდან 1923 წლამდე მისი დასკვნები გამოქვეყნდა წიგნების შედგომეულში, სახელწოდებით *Studies in the Psychology of Sex*.<sup>1</sup>

შემთხვევის კვლევების გამოყენებით, ავსტრიელი ნევროლოგი **ზიგმუნდ ფროიდი** (1856-1939) იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც სექსუალობა დაუკავშირა ჯანსაღ განვითარებას (ფროიდი, 1905). ფროიდი (1923) ამტკიცებდა, რომ ადამიანები პროგრესირებენ ფსიქოსექსუალური განვითარების ხუთ ეტაპზე: **ორალური, ანალური, ფალოსური, ლატენტური და გენიტალური**. ფროიდის აზრით, ადამიანმა თითოეული ეს ეტაპი შეიძლება გაიაროს ჯანსაღი ან არაჯანსაღი გზით. არაჯანსაღი ტენდენციის განვითარების შემთხვევაში ადამიანებს შეიძლება განუვითარდეთ ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორცაა ფრიგიდულობა, იმპოტენცია ან ანალური შეკავება.

ამერიკელი ბიოლოგი **ალფრედ კინსი** (1894-1956) ჩვეულებრივ მოიხსენიება, როგორც ადამიანის სექსუალობის კვლევის მამა. კინსი იყო მსოფლიოში ცნობილი ექსპერტი **ვოსფების** საკითხებში, მაგრამ მოგვიანებით ყურადღება გადაიტანა ადამიანების შესწავლაზე. ეს ცვლა მოხდა იმის გამო, რომ მას სურდა ესწავლებინა კურსი ქორწინების შესახებ, მაგრამ აღმოაჩინა, რომ არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა ადამიანის სექსუალური ქცევის შესახებ. მას სჯეროდა, რომ სექსუა-

---

<sup>1</sup>Havelock E. – Studies in the Psychology of Sex, Volume 1. The Evolution of Modesty; The Phenomena of Sexual Periodicity; Auto-Erotism, THIRD EDITION, REVISED AND ENLARGED 1927 <https://www.gutenberg.org/cache/epub/13610/pg13610-images.html>

ლური ცოდნა იყო გამოცნობის შედეგი და არასოდეს ყოფილა შესწავლილი სისტემატურად ან ემპირიულად. მან გადანყვიტა თავად შეეგროვებინა ინფორმაცია გამოკითხვის მეთოდით და დაისახა მიზანი 100 ათასი ადამიანის სექსუალური ისტორიის შესახებ გამოკითხვა. მიუხედავად იმისა, რომ მიზანს ჩამორჩა, მაინც მოახერხა 18 ათასი ინტერვიუს შეგროვება! თანამედროვე მეცნიერების მიერ გამოკვლეული მრავალი „დახურულ კარს მიღმა“ ქცევა ეფუძნება კინსის მთავარ ნაშრომს.

დღეს სექსუალურობის შესახებ მრავალი სამეცნიერო კვლევა არსებობს. ეს არის თემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დისციპლინას, მათ შორის ანთროპოლოგიას, ბიოლოგიას, ნევროლოგიას, ფსიქოლოგიას და სოციოლოგიას.

**სექსი** განიმარტება, როგორც ბიოლოგიური გამრავლების საშუალება. საინტერესოა, რომ ბიოლოგიური სქესი არც ისე მარტივად არის განსაზღვრული. ამის საპირისპიროდ, ტერმინი **გენდერი** აღწერს ფსიქოლოგიურ (გენდერულ იდენტობას) და სოციოლოგიურ (ბიოლოგიური სქესის გენდერულ როლის აღქმა ადრეულ ასაკში იწყება კულტურული ნორმების შესწავლით). მოგვიანებით ცხოვრებაში, როგორც მოზრდილებში, ჩვენ ხშირად ვემორჩილებით ამ ნორმებს სქესის სპეციფიკური ქცევით: როგორც მამაკაცები, ჩვენ ვაშენებთ სახლებს, როგორც ქალები, ჩვენ ვაცხობთ ფუნთუშებს (Marshall, 1989; Money et al., 1955; Weinraub et al., 1955); ალ., 1984).

სქესი და გენდერი პიროვნების იდენტობის მნიშვნელოვანი ასპექტებია. თუმცა, ისინი არ მიუთითებენ ადამიანის სექსუალურ ორიენტაციაზე (Rule & Ambady, 2008). **სექსუალური ორიენტაცია** გულისხმობს ადამიანის სექსუალურ მიზიდულობას სხვების მიმართ. სექსუალური ორიენტაციის კონტექსტში, სექსუალური მიზიდულობა გულისხმობს პიროვნების უნარს აღძრას სხვისი სექსუალური ინტერესი, ან, პირიქით, სექსუალური ინტერესი, რომელსაც ერთი ადამიანი გრძნობს მეორის მიმართ.

ევოლუციური თვალსაზრისით მამრი გენეტიკურად დომინანტურია, ხოლო მდედრი ახლო ურთიერთობებსა და თანამშრომლობაშია განაფული. ბიოლოგიის როლზე გენდერული ტიპიზაციის კროს-კულტურული მსგავსებები მეტყველებს. თუმცა არსებობს დიდი მრავალფეროვნება იმაში, რამდენად იღებს სხვადასხვა კულტურა ინ-



სტრუმენტულ-ექსპრესიულ დიქტომიას დარამდენად მონონებულია მათში გენდერული როლისადმი კონფორმულობა.

➤ პრენატალურიანდროგენის დონე განსაზღვრავს ბავშვების მიერ თამაშის სტილისა და საკუთარი სქესის თანატოლებთან ურთიერთობის არჩევანს. კონგენიტალური თირკმელზედა ჰიპერპლაზიის (CAH) მქონე ბავშვების მაგალითი ადასტურებს ანდროგენების როლს „მასკულინური“ გენდერული როლის ჩამოყალიბებაში. CAH სინდრომიანი გოგონები ირჩევენ მანქანებსა და კონსტრუქტორებს, ხოლო თამაშის პარტნიორებად ბიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გაზრდილია სანინალმდეგო სქესის წარმომადგენლად, რადგან მას აქვს ჰორმონული დისბალანსი და გაურკვეველი სასქესო ორგანოები, გენდერული ტიპი შეესაბამება აღზრდის სქესს, მიუხედავად გენეტიკური სქესისა. თუმცა, როდესაც ბიოლოგიური გამოხატულება და სქესი, რომელშიც აღიზარდნენ, წინააღმდეგობაშია, ბავშვებს უფითარდებათ სქესობრივი იდენტურობისა და ადაპტაციის სერიოზული პრობლემები.

განიხილეთ გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული როლის ჩამოყალიბების გარემოსეული ფაქტორები, ისეთები როგორიცაა: მშობლების, მასწავლებლებისა და თანატოლების მოლოდინები და ქცევა; სწავლა დაკვირვებით; და-ძმების გავლენა.

➤ ჩვილობის ასაკიდან ადამიანებს აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები და მოლოდინები ბიჭებთან და გოგონებთან დაკავშირებით, ამიტომ მათ განსხვავებულ გარემოს უქმნიან. სკოლამდელ ასაკში მშობლები ბავშვებს სხვადასხვა „გენდერულად შესაბამისი“ თამაშებისა და ქცევისკენ უბიძგებენ. ისინი იყენებენ ლექსიკას, სადაც ხაზგასმულია გენდერული განსხვავებულობა და ინფორმაციას აწვდიან ტრადიციული გენდერული როლების შესახებ.

➤ შუა ბავშვობის პერიოდში მშობლები მეტ მოთხოვნებს უყენებენ ბიჭებს მიღწევის სიტუაციაში. მათი გენდერულად სტერეოტიპული წარმოდგენა ბავშვების უნარ-ჩვევებზე სხვადასხვა სასკოლო დისციპლინის მიმართ, გავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე, მოტივაციაზე, მიღწევებსა და მოგვიანებით – პროფესიის არჩევაზე. მამები უფრო მეტად განსხვავებას პოულობენ გოგონასა და ბიჭს შორის, ვიდრე დედა. ზოგადად მშობელი პასუხისმგებლობას იღებს თავისი სქესის ბავშვის გენდერულ ტიპიზაციაზე.

➤ მასწავლებელი ორივე სქესის ბავშვებისგან უფრო „ფემინური“ ტიპის ქცევას მოითხოვს და ზოგადად ხელს უწყობს ტრადიციული გენდერული როლების ჩამოყალიბებას. მოზრდილისგან, პირდაპირი ზენოლის გარდა, ბავშვს აქვს საშუალება, თავის გარემოცვაში დააკვირდეს გენდერულად ტიპურ მოდელებს. როდესაც ბავშვი გენდერულად არასტერეოტიპულ მოდელებს ხვდება, მაგალითად, მისი მშობლები ასრულებენ არატრადიციულ გენდერულ სამუშაოს ოჯახსა, სამსახურში, ისიც ნაკლებსტერეოტიპულია ქცევასა და შეხედულებებში.

➤ საკუთარი სქესის ბავშვებთან ურთიერთობისას ბიჭები და გოგონები კიდევ დამატებით დადებით განმტკიცებას იღებენ „გენდერულად შესაფერისი“ თამაშისთვის. ეს კი იწვევს იმ აზრის განმტკიცებას, რომ თავისივე სქესის ბავშვებთან თამაში სწორია და ავითარებს სოციალური გავლენის განსხვავებულ სტილს. ბიჭები უფრო ექვემდებარებიან ბრძანებებს, მუქარასა და ფიზიკურ ძალას, ხოლო გოგონები – ზრდილობიან თხოვნასა და დასაბუთებას და ეს განსხვავებები აძლიერებს გენდერულ სეგრეგაციას.

➤ და-ძმის გავლენა განსხვავებულია დაბადების რიგისა და ოჯახის სიდიდის მიხედვით. პატარა, ორბავშვიანი ოჯახებში უმცროსი ბავშვები იმეორებენ უფროსების ქცევას. დიდ ოჯახში ერთი სქესის ბავშვები ხშირად ცდილობენ, არ დაემსგავსონ ერთმანეთს. შედეგი ისაა, რომ ასეთი ბავშვები ნაკლებად სტერეოტიპულები გამოდიან ინტერესებისა და თვისებების მხრივ.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური სქესი, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, კარგად არის განსაზღვრული, ბინალური თვისება (მამაკაცი ქალის წინააღმდეგ), რომელიც შეესაბამება ორგანიზმის რეპროდუქციის ორგანიზებას, გენდერული იდენტობა უფრო სუბიექტური ატრიბუტია. ადამიანთა უმეტესობისთვის, ალბათ, საკუთარი გენდერული იდენტობა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საზრუნავს; ბიოლოგიური მამაკაცების უმეტესობა იდენტიფიცირდება, როგორც ბიჭები და კაცები, ხოლო ბიოლოგიური ქალების უმეტესობა გოგონებად ან ქალებად. მაგრამ ზოგიერთ პიროვნებას აქვს შეუსაბამო ბიოლოგიურ სქესსა და მათ გენდერულ იდენტობას შორის. თუ ეს ბრძო-

---

<sup>1</sup>ბერკი ლ. – ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2010

ლა ინვეს მათ პროფესიონალურ დახმარებას, მაშინ პრობლემა კლასიფიცირდება, როგორც „გენდერული დისფორია“.

როგორც რეინერისა და კოლეგების 2004 წლის კვლევაში აღწერილია ზოგიერთი გოგონა, რომელთაც შეექმნათ პრობლემები თავიანთ გენდერულ იდენტურობასთან დაკავშირებით, როდესაც მათი სუბიექტური გრძნობა, რომ ბიჭები იყვნენ, ეწინააღმდეგებოდა მშობლებისა და ექიმების მიერ გოგოებად გამოვლენასა და მკურნალობას.<sup>1</sup>

ბოლო 20 წლის განმავლობაში შემოთავაზებულია გენდერული დისფორიის ოთხი დიაგნოსტიკური მოდელი. პირველი არის ფსიქიური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო (DSM-IV; ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია, 1994). ეს ადგენს ბავშვებს, მოზარდებსა და ზრდასრულებში არსებულ კრიტერიუმებს და მოითხოვს, რომ დიაგნოზის დასადგენად დაკმაყოფილდეს ოთხი კრიტერიუმი. კრიტერიუმები A და B ეხება გენდერული იდენტურობის ორ ასპექტს: A სანინალმდეგო სქესთან იდენტიფიკაციის მტკიცებულებას და B დაკავშირებული ბიოლოგიურ სქესთან დისკომფორტის გამოცდილებასთან და ამ სქესის გენდერულ როლში შეუსაბამობის შეგრძნება.

მეორე არის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია, მეათე გადასინჯვა (ICD-10, F64.2; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 1992). ამ კლასიფიკაციაში არ არის განსხვავებული კრიტერიუმები A და B და „დიაგნოზი მოითხოვს ღრმა დარღვევას ნორმალური გენდერული იდენტურობისგან; გოგონებში უბრალო ტომბოიზმი ან ბიჭებში ქალური საქციელი არ არის საკმარისი“.

მესამე არის როზენ et al's (1977) განსხვავება სქესის იდენტიფიკაციისა და გენდერული ქცევის დარღვევას შორის. ეს კლასიფიკაცია აღმოჩნდა არადადამაკმაყოფილებელი, რადგან ბავშვების დიდმა ნაწილმა (71%) წარმოადგინა ორივე მახასიათებელი (Bentler et al., 1979).

მეოთხე არის Stoller's (1968) დიაგნოზი „მამრობითი სქესის ბავშვთა ტრანსსექსუალიზმი“. ეს ემყარება ბიჭს წარმოდგენას „მუდმივი რწმენის თანახმად, რომ ის არის საპირისპირო სქესის წევრი და გაიზრდება საპირისპირო სქესის ანატომიური მახასიათებლებით“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup>The New Atlantis, Part Three: Gender Identity – Sexuality and Gender: Findings from the Biological, Psychological, and Social Sciences, 2016

<sup>2</sup>Domenico Di Ceglie – Gender identity disorder in young people, 2000

სექსუალობის საკითხის განხილვა ხშირად ხდება კრიტიკის საგანი სწორედ მისი ტაბუირების გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ საკითხი აქტუალური რჩება თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ვინაიდან სექსუალობის მეცნიერული შესწავლა გრძელდება, ჩვენს ქვეყანაში კი მისი შესწავლა ახლახანს დაიწყო.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბერკი ლ. (2010). ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.
2. Domenico DiCeglie. (2000). Gender identity disorder in young people.
3. Havelock E. (1927). Studies in the Psychology of Sex, Volume 1. The Evolution of Modesty; The Phenomena of Sexual Periodicity; Auto-Erotism, THIRD EDITION, REVISED AND ENLARGED.
4. Lucas, D. & Fox, J. (2018). Human sexual anatomy and physiology. In R. Biswas-Diener & E. Diener (Eds), Noba textbook series: Psychology.
5. The New Atlantis, Part Three: Gender Identity – Sexuality and Gender: Findings from the Biological, Psychological, and Social Sciences, 2016.

---

**Lia Metreveli** – academic doctor of educational sciences. Associate Professor of the Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences of the Technical University of Georgia. He is the author of textbooks. He has published scientific works both in Georgia and abroad. He has participated in several international scientific conferences. He mainly works on the problems of psychology and education.

**Davit Katamadze** – assistant professor of the Faculty of Law and Social Sciences of Batumi Shota Rustaveli State University, head of the Department of Psychology. Works on issues of psycho-consultation and psychotherapy. He has published scientific articles on the issues of adolescence, sexuality and sexual education: "Research on the involvement of teachers in the sexual education process" (2023), "The importance of identity formation at the age of transition" (2022), "The importance of mental health in adolescence" (2022). 2022).

---

## **Sexuality, gender roles and gender dysphoria**

### **Abstract**

The article discusses human sexuality, gender roles and causes of gender dysphoria. It is important to talk about the origins of human sexuality and its historical development. It is necessary to consider the attitude of humanity towards sexuality in different eras.

Sex and gender are important aspects of a person's identity. However, they do not indicate a person's sexual orientation. From an evolutionary point of view, the male is genetically dominant, while the female is driven by close relationships and cooperation. Cross-cultural similarities in gender typification speak to the role of biology.

**წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.**

---

**ვაჟა გურგენიძე** – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ავტორი მრავალი სამეცნიერო სტატიის და არაერთი მონოგრაფიისა.

**თინათინ დეკანოძე** – სტუ სოციალური მეცნიერებები დოქტორანტის საგანმანათლებლო პროგრამის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლ „სათნობის“ დირექტორი, ააიპ „დიაფინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია“ მსტ სახლის ლიდერი, ააიპ „ცხოვრების სტარტაპი“ დირექტორი.

---

## **სახლგაზრდების სოციალიზაციის ფაქტორები სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ**

სოციალიზაცია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ (შემდგომში-ბავშვთა სახლი) გადამწყვეტ როლს თამაშობს ყოფილი ბენეფიციარის წარმატებით ადაპტაციაში, დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოებაში. დამოუკიდებელი სოციალიზაცია არის პროცესი, რომლითაც ადამიანები სწავლობენ და ადაპტირდებიან სოციო – კულტურულ გარემოში არსებულ ნორმებთან, ღირებულებებთან და საზოგადოებაში ზოგადად მიღებულ ქცევის წესებთან. ის იწყება ადრეულ ბავშვობაში და გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობას და კულტურული ნორმებისა და ღირებულებების ინტერნალიზებას.

სოციალიზაცია დამატებით გულისხმობს: კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გამოყენებას – ადამიანები სწავლობენ და აერთიანებენ თავიანთ ცხოვრებაში კონკრეტული კულტურის ან საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ღირებულებებსა და ნორმებს. ეს შეიძლება მოიცავდეს რელიგიურ, მორალურ, ეთიკურ და სოციალურ ნორმებს.

ქცევით ტრენინგებს – ადამიანები სწავლობენ როგორ მოიქცნენ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში და როგორ დაიცვან სოციალური წეს-ჩვეულებები. ეს მოიცავს თავაზიანობის, პატივისცემისა და თანამშრომლობის წესებს.

იდენტიფიკაციის განვითარებას – სოციალიზაცია ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებას მათი კულტურისა

და საზოგადოების კონტექსტში. ეს მოიცავს საზოგადოებაში საკუთარი როლისა და ადგილის გაგებას.

სოციალური ურთიერთობების დამყარებას – სოციალიზაციის საშუალებით ადამიანები სწავლობენ სოციალური ურთიერთობების დამყარებას და შენარჩუნებას სხვა ადამიანებთან. ეს მნიშვნელოვანია მეგობრობის, ოჯახური კავშირების, პროფესიული კონტაქტების განვითარებისთვის და ა.შ.

კომუნიკაციის უნარის განვითარებას – სოციალიზაცია მოიცავს კომუნიკაციის უნარების განვითარებას, მათ შორის მოსმენის, აზრებისა და გრძნობების გამოხატვის, არავერბალური სიგნალების გაგების და ა.შ.

სოციალიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის ოჯახურ გარემოში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამუშაო ადგილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს პროცესი საზოგადოებაში პიროვნების ჩამოყალიბებისა და ადაპტაციის მნიშვნელოვანი ნაწილია.

**აღნიშნული პროცესის წარმატებით განხორციელება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:** დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლა: ბავშვთა სახლებში გაზრდილ ბავშვებს შეიძლება არ ჰქონდეთ ინსტიტუციური გარემოს გარეთ დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილება. სოციალიზაცია საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ საჭირო უნარები, რათა უზრუნველყონ თავიანთი საჭიროებები, მართონ ფინანსები, მოაწყონ თავიანთი პირადი ცხოვრება და შეინარჩუნონ ჯანსაღი ურთიერთობები.

სოციალური უნარები და ურთიერთქმედება: სოციალიზაცია ეხმარება ყოფილ ბენეფიციარებს განავითარონ ისეთი სოციალური უნარები, როგორცაა კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, კონფლიქტების მოგვარება და სხვებთან თანამშრომლობა. ეს უნარები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ურთიერთობების შესანარჩუნებლად, არამედ წარმატებული კარიერისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

დახმარება გარდამავალ პერიოდში: ბავშვთა სახლის დატოვება შეიძლება უკავშირდებოდეს სტრესსა და ადაპტაციის სირთულეებს. სოციალიზაციას შეუძლია სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ბენეფიციარებს დახმარება გაუწიოს ფსიქოლოგებთან, სოციალურ მუშაკებთან, მენტორ წყვილებთან და სხვებთან კომუნიკაციის გზით, რომლე-

ბიც მათ დაეხმარება სირთულეების დაძლევაში და პოზიტიური მდგომარეობის შენარჩუნებაში.

საზოგადოებაში ინტიგრაცია: სოციალიზაციის ერთ-ერთი მიზანია დაეხმაროს ბავშვთა სახლის ყოფილ ბენეფიციარებს გახდნენ საზოგადოების აქტიური და სრულფასოვანი წევრები. ეს შეიძლება მოიცავდეს სამუშაოს ძიებას, სწავლას, სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობას და მოხალისეობას.

თვითიდენტიფიკაცია და საკუთარი თავის მიღება: ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ სოციალიზაცია ხელს უწყობს პოზიტიურ თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას, ეხმარება ყოფილ ბენეფიციარებს საკუთარ პიროვნული პოზიტიური იდენტობის პოვნაში.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელების სოციალიზაციის პროცესი იწყება არა ინსტიტუციის დატოვების შემდეგ არამედ, მათზე ზრუნვის დაწესებულებაში მოხვედრის პირველივე დღიდან. ბავშვთა სახლებიდან გასვლის შემდეგ ყოფილი ბენეფიციარების სოციალიზაცია მნიშვნელოვანი და რთული პროცესია. მათ შეიძლება შეექმნათ მთელი რიგი გამოწვევები საზოგადოებაში ცხოვრებასთან ადაპტირებისას. შესაბამისად გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. ესენია: ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა – ბავშვები, რომლებიც ტოვებენ ბავშვთა სახლებს, შეიძლება განიცდიან დაკარგვისა და დაუცველობის გრძნობას. მათ ესაჭიროებათ ემოციური მხარდაჭერა და ფსიქოლოგიური დახმარება, რათა გაუმკლავდნენ წარსულის ტრავმებს და შეეგუონ ახალ ცხოვრებას. ბავშვთა სახლების ყოფილი ბენეფიციარების ემოციური მხარდაჭერა ნიშნავს მათ ფსიქოლოგიურ დახმარებასა და მხარდაჭერას დაწესებულების დატოვების შემდეგ ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციის პროცესში. ის მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაეხმარებაყოფილ ბენეფიციარებს ემოციური სირთულეების დაძლევაში, მყარი და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული დახმარების მიზნით შეიძლება არსებობდეს ფსიქოლოგიური სამსახური, სადაც ყოფილ ბენეფიციარებს შეეძლებათ უფასოდ (პირველ ეტაპზე მაინც) მომსახურეობის მიღება. ასევე, შესაძლებელია მსგავსი დახმარების მიღება მენტორისაგან, რომელთანაც ურთიერთობს ყოფილი ბენეფიციარი და მენტორს კი აქვს შესაბამისი კომპეტენციები. სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბენეფიციარებისთვის ასევე, სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ჯგუფური შეხვედრები, რომელზეც ისინი გაუზიარებენ ერთმანეთს



გამოცდილებას მათთვის აქტუალურ საკითხებზე. განათლება და პროფესიული მომზადება – მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა სახლების აღსაზღველებს მივცეთ შესაძლებლობა მიიღონ ხარისხიანი განათლება და პროფესიული მომზადება. ეს მათ დაეხმარება ისეთი უნარების განვითარებაში, რომლებიც დასჭირდებათ საზოგადოებასა და შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრაციაში. განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვთა სახლების ყოფილი ბენეფიციარების ცხოვრებაში. სწორედ განათლებას შეიძლება ჰქონდეს ღრმა და გრძელვადიანი გავლენა მათ მომავალ კეთილდღეობაზე და საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციაზე. ვინაიდან, ის გულისხმობს ისეთ ასპექტებს როგორცაა: ეკონომიკური დამოუკიდებლობა, საზოგადოებაში ინტეგრაცია, უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, თვითდამკვიდრება და თვითრეალიზაცია, სოციალური დაუცველობის რისკის შემცირება, თვითშეფასებისამაღლება, სოციალური აღიარების მხარდაჭერა, საკუთარ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ხარისხიანი განათლების მიღება ბავშვთა სახლების ყოფილ ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს შეიძინონ წარმატებული კარიერის შესაქმნელად აუცილებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკური დამოუკიდებლობის, საკუთარი თავისა და მისი ოჯახის უზრუნველსაყოფად. განათლება ეხმარება ყოფილ ბენეფიციარებს საზოგადოებაში ინტეგრაციაში, აძლევს მათ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და პროფესიულ ცხოვრებაში, დაამყარონ ურთიერთობები და იპოვონ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. ასევე, განათლება უზრუნველყოფს კონკრეტულ სფეროში წარმატების მისაღწევად საჭირო პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. ეს ეხმარება მათ გახდნენ კონკურენტუნარიანები შრომის ბაზარზე და მიაღწიონ პროფესიულ ზრდას.

განათლება საშუალებას აძლევს მათ განივითარონ თავიანთი ინტერესები და პოტენციალი. მათ შეუძლიათ აირჩიონ პროფესიები, რომლებიც შეესაბამება მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მათ თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციას. განათლება ზრდის ყოფილი ბენეფიციარების შანსს, თავიდან აიცილონ სოციალური დაუცველობა, რომელიც დაკავშირებულია განათლების დაბალ დონესთან. ამან შეიძლება შეამციროს არახელსაყრელ სიტუაციებში მოხვედრის ალბათობა და გაზარდოს მათი ცხოვრების სტაბილურობა. განათლების მიღება ხელს უწყობს თვით-

შეფასების ჩამოყალიბებას და თავდაჯერებულობის გაზრდას. ყოფილი ბენეფიციარები ხედავენ, რომ შეუძლიათ თავიანთი მიზნების მიღწევა და სირთულეებთან გამკლავება. რაც პირდაპირპროპორციულია პიროვნული ზრდისა და საზოგადოების ჯანსაღ წევრად ჩამოყალიბების. პროფესიული განათლების მიღება ზრდის საზოგადოებაში სოციალური აღიარებისა და პატივისცემის მოპოვების შანსებს. ამან შეიძლება მოხსნას სტიგმა, რომელიც დაკავშირებულია წარსულში მათი ცხოვრების წესსა, თუ პირობებთან. განათლება ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს აკონტროლონ თავისი ცხოვრება. მიიღონ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილებები, შეაფასონ მოვლენები კრიტიკულად და აირჩიონ უკეთესი გზა თვითგანვითარებისთვის.

ზოგადად, ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ, ახალგაზრდებს განათლება აძლევს არა მხოლოდ სპეციფიკურ უნარებს, არამედ ინსტრუმენტებს მდგრადი და ბედნიერი მომავლის შესაქმნელად. სოციალური უნარები და კომუნიკაცია: ბავშვთა სახლებში გაზრდილ ბავშვებს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში შეიძლება გაუჭირდეთ სოციალური კავშირებისა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის შეიქმნას სოციალიზაციის ქსელი, სადაც ისინი კოლექტიურ აქტივობებში მონაწილეობით შეძლებენ კომუნიკაციის უნარების განვითარებას. კავშირების დამყარებას და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში და მოზარდებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა, რადგან აღნიშნული უნარები მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმატებულ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, სოციალურ ადაპტაციასა და საერთო კეთილდღეობაში. როცა ვსაუბრობთ სოციალურ – ემოციურ უნარებზე იგულისხმება ისეთი კომპეტენციები/უნარები როგორიცაა:

ემპათიის უნარი, რომელიც დაეხმარება ბავშვებს და მოზარდებს განივითარონ სხვისი გრძნობების გაგებისა და აღქმის უნარი. განიხილონ გრძნობები და გამოცდილება სხვადასხვა სიტუაციებში, შეძლონ სხვების მხარდაჭერა.

აქტიური მოსმენა – მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს და მოზარდებს ვასწავლოთ, რომ ყურადღებით მოუსმინონ სხვებს, დაუსვან კითხვები და გამოიჩინონ ინტერესი სხვათა გრძნობებისა და აზრების მიმართ. ეს ხელს უწყობს კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური

ურთიერთობების გაუმჯობესებას. ემოციების მართვა – მნიშვნელოვანია, რომ მინდობით აღზრდის მომსახურებაში, ვასწავლოთ ბავშვებს საკუთარი ემოციების მართვის გზები. ეს მოიცავს საკუთარი გრძნობების ამოცნობას და აღიარებას, ემოციების გამოხატვის კონსტრუქციული გზების პოვნას და სტრესთან გამკლავების სტრატეგიებს. აღნიშნული მათ დაეხმარება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ადაპტაციის პროცესში.

სოციალური უნარების განვითარება: ვასწავლოთ კომუნიკაციის უნარები, მათ შორის არავერბალური კომუნიკაცია, კონფლიქტების მოგვარება, თანამშრომლობა და ურთიერთობის დამყარება. როლური თამაშები და სიმულაციები შეიძლება იყოს სასარგებლო ინსტრუმენტები ამ უნარების გასავითარებლად.

გონების თეორია: ვასწავლოთ ბავშვებს და მოზარდებს, გააცნობიერონ სხვისი აზრები, განზრახვები და ემოციები. უნდა წახალისდეს დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ადამიანებმა განსხვავებულად აღიქვან ერთი და იგივე სიტუაცია.

უკუკავშირი: წახალისდეს უკუკავშირი და თვითრეფლექსია. ეს დაეხმარებათ მოზარდებს და ბავშვებს გააცნობიერონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.

მოდელირება: საკუთარი ქცევა და დამოკიდებულება ემოციებისა და სოციალური სიტუაციების მიმართ შეიძლება იყოს მაგალითი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. შეიქმნას შესაძლებლობის ფარგლებში ჯანსაღი და ემოციურად ინტელექტუალური ქცევის მოდელი.

განვითარების მხარდაჭერა: უზრუნველყოს სოციალურ-ემოციური უნარების მუდმივი განვითარების შესაძლებლობები საგანმანათლებლო რესურსების, კურსების და პრაქტიკული შესაძლებლობების მიწოდებით.

საცხოვრებელი: ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ ბავშვებს სჭირდებათ სათანადო საცხოვრებელი. სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქველმოქმედო ფონდებს შეუძლიათ საბინაო უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში, ბავშვთა სახლების ყოფილი ბენეფიციარების საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიდგომები შეიძლება იყოს უნიკალური და ეფუძნებოდეს შესაბამის სოციალურ კონტექსტს, კანონმდებლობასა და რესურსებს, მნიშვნელოვანია, რომ ზოგადად, ასეთი პროგრამები უზრუნველყოფდნენ ყოვლისმომცველ მხარდაჭერას, რომელიც ეხმარება ახალგაზ-

რდებს დამოუკიდებელ ცხოვრებასთან ადაპტირებასა და სოციალურ მხარდაჭერაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიდგომები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების მიხედვით. შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ პროცესის ორგანიზება: აშშ-ში არსებობს მხარდაჭერის პროგრამები ყოფილი მინდობით აღსაზრდელებისა და ბავშვთა სახლების ბავშვებისთვის. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა Chafee Foster Care Independence Program, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას და რესურსებს ახალგაზრდებისთვის, რათა დაეხმაროს მათ საცხოვრებლის, განათლების, დასაქმების და სხვა აუცილებელი სერვისებით უზრუნველყოფაში. დიდ ბრიტანეთში არსებობს ბავშვთა სახლების ყოფილი აღსაზრდელებისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფის პრაქტიკა. ეს შეიძლება მოიცავდეს საცხოვრებლის მხარდაჭერის პროგრამებს, ასევე თანმხლებ დახმარებას დამოუკიდებელ ცხოვრებასთან შეგუების პროცესში. გერმანიას ასევე აქვს მხარდაჭერის პროგრამები ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც დატოვეს ბავშვთა სახლები. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა Jugendwohngruppen, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი და საგანმანათლებლო და დასაქმების მხარდაჭერას. საფრანგეთში არის პროგრამები ახალგაზრდების დასახმარებლად, რომლებმაც დატოვეს ბავშვთა სახლები. ამის მაგალითია Aide Sociale à l'Enfance (ASE) პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას და სოციალურ მომსახურებას, მათ შორის საცხოვრებელი ახალგაზრდებს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

მენტორობა და ზრდასრულთა მხარდაჭერა: მენტორობისა და ზრდასრულთა მხარდაჭერის პროგრამები დიდად დაეხმარება ბავშვთა სახლებში მყოფ ბავშვებს. გამოცდილი მოზარდები შეიძლება გახდნენ მისაბაძი და დამხმარეები ადაპტაციის პროცესში. ზრდასრულთა მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც მენტორინგი ან სწავლების პროგრამები, შექმნილია იმისთვის, რომ ყოფილი აღსაზრდელები უზრუნველყონ დამატებითი მხარდაჭერით. ისინი არიან ე.წ. მოდელები მისაბაძი ადამიანები, რომლების ეხმარებიან ყოფილ ბენეფიციარებს დამოუკიდებელ ცხოვრებასთან შეგუებაში. სხვადასხვა ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მენტორული პროგრამა.

მაგალითად: (Big Brother/Big Sisters) უფროსი ძმა/და – პროგრამა ვრცელდება ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, კანადაში და სხვა. უფროსი ასაკის მოხალისეები ხდებიან ყოფილი ბენეფიციარების მენტორები. ისინი გარკვეულ დროს ატარებენ ერთად და ეხმარებიან მათ განვითარებაში. ასევე, სხვადასხვა ყოფილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში. (Partnership) პარტნიორობა – ზოგიერთი ორგანიზაცია ქმნის პარტნიორობის პროგრამებს, სადაც ახალგაზრდები ან მოხალისეები ეხმარებიან ბავშვთა სახლების ყოფილ აღსაზრდელებს ზრდასრულ ასაკში არსებულ რეალობასთან შეგუებაში. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ რჩევებით, დახმარებით კარიერის დაგეგმვის პერიოდში, ან აკადემიურ საკითხებში. ასევე, დაეხმარონ ფინანსური სტაბილურობის შექმნასა და სხვა ასპექტებში.

ახალგაზრდული მენტორები: ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდები, რომლებიც თავად არიან ყოფილი ობლები, ხდებიან მენტორები სხვა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახლახან იწყებენ მუშაობას საკუთარ თავზე. ამან შეიძლება შექმნას იდენტიფიკაციისა და საზოგადოების განსაკუთრებული გრძნობა. ფოკუსირებული მხარდაჭერის პროგრამები: ზოგიერთი ორგანიზაცია ავითარებს სპეციალურ სწავლების პროგრამებს ყოფილი ობლებისთვის. ეს პროგრამები ფოკუსირებულია თემებზე, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ამ ჯგუფისთვის, როგორცაა საცხოვრებელი, ფინანსური წიგნიერება, განათლება და წარმატებული ადაპტაციის უნარების განვითარება. ონლაინ სწავლება: თანამედროვე სამყაროში ასევე არსებობს ონლაინ პლატფორმები, სადაც ყოფილ მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა მენტორებისა და ექსპერტებისგან დისტანციურად. ეს შეიძლება იყოს სასარგებლო მათთვის, ვინც ცხოვრობს შორეულ რაიონებში ან არ აქვს შესაძლებლობა პირადად შეხვდეს მენტორს.

მენტორული პროგრამები დამატებით მხარდაჭერასა და რესურსებს უწევს ბავშვთა სახლის ყოფილ მცხოვრებლებს, რათა დაეხმაროს მათ წარმატებით შეეგუონ დამოუკიდებელ ცხოვრებას, განავითარონ და მიაღწიონ მიზნებს. სამუშაოს ძიების მხარდაჭერა: ასევე მნიშვნელოვანია სამუშაოს პოვნაში დახმარება და ფინანსურად ფეხზე დგომა. ეს ეხმარება ბავშვებს დამოუკიდებლობისა და თავდაჯერებულობის მოპოვებაში. მინდობით აღსაზრდელებისთვის სამუშაოს ძიების მხარდაჭერა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქვეყ-

ნებს შორის და ხშირად დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში არსებულ სოციალურ და სამართლებრივ ნორმებზე. თუმცა, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს გარკვეული ღონისძიებები და პროგრამები, რომლებიც შვილად აყვანილ ბავშვებსა და მინდობით აღზრდის სისტემის ყოფილ ბენეფიციარებს ეხმარება სამუშაო სამყაროში ინტეგრირებაში. მაგალითად:

დასაქმების პროგრამები – სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ უზრუნველყონ დასაქმების პროგრამები, რომლებიც დაეხმარება მინდობით აღზრდის ყოფილ ბენეფიციარებს იპოვონ შესაფერისი სამუშაო

თვითდასაქმების მხარდაჭერა – ბიზნეს გეგმის შემუშავება, ფინანსური დაგეგმვა და სხვა სამეწარმეო მხარდაჭერის სერვისები შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი ბიზნესის დაწყების მსურველებისთვის

სამართლებრივი დაცვა – ბევრ ქვეყანას აქვს კანონები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებებსა და შეღავათებს შეგირდობის სისტემის კურსდამთავრებულებს დასაქმების ძიებისას, მათ შორის დისკრიმინაციისგან დაცვას სოციალიზაციის პროგრამები – პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრენინგს სოციალურ ადაპტაციასა და კომუნიკაციის უნარებში, შესაძლოა სასარგებლო იყოს მინდობით აღზრდის სისტემაში მყოფთათვის

სოც. ქსელები და საზოგადოებები – სოციალურ ქსელებში და საზოგადოებებში მონაწილეობა, რომლებიც იძლევა გამოცდილების გაზიარებისა და სამუშაო ადგილების შესახებ გაცნობის შესაძლებლობას, დაეხმარება მათ სამუშაოს ძიებაში. აღნიშნული მიდგომები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონში, სოციალური სისტემის და კანონმდებლობის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მინდობით აღზრდის სისტემაში მყოფ ბავშვებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა სამუშაოს ძიებისას, რათა ჰქონდეთ სამუშაო და დამოუკიდებელი ცხოვრების სამყაროში წარმატებით შესვლის შესაძლებლობა.

სოციალური კავშირების დამყარება: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სპორტი, ჰობი და კულტურული ღონისძიებები ეხმარება ბავშვთა სახლებში მყოფ ბავშვებს გააფართოვონ სოციალური წრე და შექმნან ახალი სოციალური კავშირები. იურიდიული და სოციალური სერვისების მხარდაჭერა: უნდა შეიქმნას მექანიზმები ბავშვე-

ბის უფლებების დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში მათთვის აუცილებელია იურიდიული და სოციალური დახმარების განწვევა. უნდა გვესმოდეს, რომ თითოეული ბავშვი უნიკალურია და მისი ადაპტაციის მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს. მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციის პირობების შექმნა

კარგად განხორციელებულმა სოციალიზაციის პროცესმა შეიძლება შეამციროს სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ბენეფიციართა სხვა ინსტიტუციურ გარემოში დაბრუნების ან ისეთი უარყოფითი მოვლენების, როგორცაა უმუშევრობა, კანონის დარღვევა და სხვა გაჭირვების შემთხვევები.

ზოგადად, სოციალიზაცია ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ ეხმარება ყოფილ ბენეფიციარებს გადავიდნენ ინსტიტუციური ცხოვრების წესიდან დამოუკიდებელ და წარმატებულ ცხოვრებაზე. აღნიშნული არის რთული, მაგრამ უალრესად მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მათ განვითარებას, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შორენა საძაგლიშვილი, ქეთევან ლეკიშვილი, ქეთევან გიგინეიშვილი, (2021). სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. Мудрик, А. (2013). Социальная педагогика, Москва, издательский центр~ Академия~.
3. Burton, J. Nandi, A. Platt, L (2019). Personality formation and development in ethno cultural process. 33(8), 1332\_1349. <http://dx.doi.org/10.1080/01419870903527801>
4. <https://minikar.ru/ka/goroskopy/socialnaya-pedagogika-sbornik-chitatonlain-socialnaya/>
5. C:/Users/Keti/Downloads/Origin\_Pattern\_Care\_of\_Orphanage\_in\_Developing\_Chi.pdf
6. <http://elar.uspu.ru/bitstream/uspu/3873/1/21Osipova.pdf>
7. file:///C:/Users/Keti/Downloads/osnovnye-podhody-k-vospitaniyu-detey-sirot-v-usloviyah-sotsiokulturnoy-sredy-detskogo-doma.pdf
8. <https://s-ba.ru/conf-posts-2020-05/tpost/6arc65nkj1-osobennosti-vospitannikov-detskih-domov>

9. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №69 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727062>

---

**Vazha Gurgenzidze** – PhD in political sciences, Professor at Georgian Technical University, Head of the Center for Social Research, Academician of the Georgian Academy for Philosophical Sciences.

**Tinatini Dekanoidze** – PhD Candidate in Social Sciences. Director of the "Satnoeba" Shelter for Orphans and Children Lacking Parental Care. Leader of Divine Child Foundation of Georgia (DCFG) Director of "Life Startup."

---

### **Socialization factors of young people after leaving the state care system**

#### **Abstract**

The article “Socialization of Young People after Leaving the State Care System” (referred in the article as the “child care home”) explores the measures that are necessary to be carried out by the State in order to prevent de-socialization and de-moralization of the former beneficiaries of care homes.

In case of de-socialization and de-moralization there is a risk that of weakening or completely losing the social skills, values and behavioral norms that can be triggered by various preconditions. This process naturally results in worsening the person’s skills to adequately function in the social environment and interact with other people.

De-socialization and de-moralization can negatively affect the mental and emotional well-being, and the quality of life of a person; also affecting the communication and adaptation skills. However, it is important to know that de-socialization is not irreversible, people can re-gain the social skills and normal forms of behavior through support, and relevant rehabilitation and social programs.

*წარმოდგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.*



---

**ელეუჯა ქავთარაძე** – ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ამავე უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე. მუშაობს პოლიტიკის მეცნიერების თეორიულ პრობლემებზე, პოლიტიკური კონფლიქტების მართვისა და ანლიზის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

---

### **საგანმანათლებლო მიზრაცია: პროგნოზები, მიღზომები, სედეზები**

ადამიანის გადაადგილება ან გადასახლება სხვადასხვა ვადით (რამდენიმე საათიდან სიცოცხლის ბოლომდე), რომელიც სტატისტიკურად აღრიცხვადი საზღვრების (ძირითადად ქალაქის, ქვეყნის და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების) გადაკვეთაში გამოიხატება, მიგრაციას უწოდებენ, ხოლო ხალხს, რომელიც მონაწილეობს მიგრაციებში – მიგრანტებს. ადამიანების გადაადგილების და მიმართულების შესაბამისად მიგრაციის ტიპებში გამოყოფენ ემიგრანტებს და იმიგრანტებს. ემიგრანტი – პირი, რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ან მუდმივსაცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში (გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 27-ე მუხ.) იმიგრანტი – უცხოელი, რომელიც შემოდის სახელმწიფოში იქ სამუდამოდ ან დროებით დასახლებისთვის და უარს ამბობს თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე ან იქ მუდმივად ცხოვრებაზე. იმიგრანტი შეიძლება იყოს კანონიერი ან არაკანონიერი. სხვაობას ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის მიგრაციის სალდო ან მიგრაციის ბალანსი ეწოდება. თუ ემიგრაცია ჭარბობს იმიგრაციას ქვეყანაში მოსახლეობის მატების ტემპი იქნება დაბალი ბუნებრივ მატებასთან შედარებით, რაც ამ ქვეყნის მიგრაციის უარყოფითი სალდოს მაჩვენებელი იქნება. ქვეყნებში კი, სადაც ემიგრანტთა რიცხვი ნაკლებია იმიგრანტებზე, დადებითი სალდო აღინიშნება. გარდა ამისა აღსანიშნავია მიგრაციის სხვა ტიპებიც. კერძოდ: მიგრაცია ხანგრძლივობის მიხედვით- ასხვაგვებენ მუდმივ/პერმანენტულ და დროებით მიგრაციებს. მუდმივია მიგრაცია, როდესაც მიგრანტი სამუდამოდ ტოვებს თავის ადგილსამყოფელს და

სხვა ადგილზე გადადის საცხოვრებლად, დროებითია როცა მიგრანტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეიძლება რამდენიმე კვირიდან ათეულობით წლამდე გრძელდებოდეს, სხვაგან ცხოვრებისა და საქმიანობის შემდეგ კვლავ უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

მიგრაცია დისტანციურობის მიხედვით – განასხვავებენ საერთაშორისო/საგარეო და შიდა მიგრაციებს. პირველ შემთხვევაში მიგრანტები ერთი სახელმწიფოდან სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებენ. განსაკუთრებით მასშტაბურია საკონტინენტაშორისო მიგრაციები, რომლის კარგ მაგალითს წარმოადგენს ევროპელთა მასობრივი მიგრაცია ამერიკის კონტინენტზე. ამ ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან მე-2 მსოფლიო ომამდე) ამერიკაში 60 მილიონზე მეტი ევროპელი გადასახლდა. ცალკეული ქვეყნების ფარგლებში მიმდინარე შიდა მიგრაციებში რამდენიმე ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს, რაც მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. პირველი, ესაა მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, რამაც მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც მთიანი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, არის მთის მოსახლეობის მიგრაცია ბარში. ასეთი ტიპის მიგრაციას მიეკუთვნება ასევე ქვეყნის შიგნით პატარა ქალაქიდან დიდ ქალაქში წავლა საყიდლებზე, სასწავლებლად, სამუშაოდ და იმავე დღეს უკან, პატარა ქალაქში ან სოფელში დაბრუნება. ასეთ მიგრაციას მეორენაირად “ქანქარისებურ” მიგრაციასაც უწოდებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიგრაცია შეიძლება იყოს იძულებითი ან ნებაყოფლობითი. ნებაყოფლობითია მიგრაცია, როდესაც მიგრანტი თავად იღებს გადაწყვეტილებას გადაადგილების შესახებ. გადწყვეტილების იღება, როგორც წესი მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერების შედეგად ხდება. ზოგჯერ ადამიანებს არ ქვთ არჩევანი საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენის ან მისი დატოვების შესახებ. ისინი იძულებულები არიან მიატოვონ თავიანთი სახლ-კარი და სხვაგან, ხშირად სხვა ქვეყანაში წავიდნენ. ასეთ იძულებით მიგრანტებს ლტოლვილებს ან იძულებით გადაადგილებულ პირებს უწოდებენ. ლტოლვილების გაჩენა შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურმა მიზეზებმა, როგორებიცაა მიწისძვრები, ვულკანები, ზვავები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები (მაგალითად, 1997 წელს ვულკა-

ნის ამოფრქვევამ კუნძულ მონსერატზე, კარიბის ზღვაში, გამოიწვია თითქმის მთელი მოსახლეობის მიგრაცია, მათ შორის დიდ ბრიტანეთში), ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მიზეზებმა, როგორებიცაა ომები, დევნა, შიმშილი და სხვა (ასეთი იძულებითი მიგრაციების მაგალითებია, მონებით ვაჭრობა წარსულში ან ებრაელთა დევნა მე-2 მსოფლიო ომში).

ისტორიულად მოსახლეობის მიგრაცია სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. კერძოდ, მიგრანტებს სურთ ეკონომიკური კეთილდღეობის, განათლების დონის ან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პოლიტიკური, რელიგიური ან ეროვნული დევნის თავიდან აცილება, უფრო მისაღებ კულტურულ ან ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრება და ა.შ. ამის მიხედვით, მსოფლიოში ძალიან ფართოდ არის გავრცელებული შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციები. მათი უდიდესი უმრავლესობა განვითარებადი ქვეყნებიდან არიან წასული აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შრომის ანაზღაურება და განათლების დონე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მიგრანტების მშობლიურ ქვეყანაში. მაღალი ანაზღაურება, დასაქმების მეტი შესაძლებლობა, განათლების დონის გაუმჯობესება, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, კარგი სოციალური დაცვა და უსაფრთხო გარემო არის მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მიგრანტთა მოდინებას იმიგრაციის ქვეყანაში. საპირისპიროდ, ემიგრაციის ქვეყანაში აღინიშნება გამომგდები ფაქტორების სიჭარბე – დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სიღარიბე, შიმშილობა, უპერსპექტივო საზოგადოებრივი მდგომარეობა, დაბალი განათლება, მოუნყობელი და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემო პირობები და ა.შ. ამ პროცესების გათვალისწინებით გამოყოფენ შემდეგ ორ ტერმინს: „ტვიწების გადინება“ და „კუნთების გადინება“. ლარიბი ქვეყნებიდან შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მიგრანტთა გასვლას სხვა ქვეყანაში, დაბალპრესტიჟული სამუშაოს საძიებლად „კუნთების გადინებას“ უწოდებენ. ამ მოვლენის საპირისპიროდ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მასობრივი ხასიათი მიიღო მაღალკვალიფიცირებული მუშახელისა და ინტელექტუალების (მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების) მიგრაციამ ჯერ აშშ-ში, ხოლო მოგვიანებით დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც. კვალიფიციუ-

რი პერსონალის ემიგრაციას „ტვინების გადინებას“ ეძახიან. ასეთი მიგრანტების მიმწოდებელ ქვეყნებს თავიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც წარმოადგენდნენ, საიდანაც ინტელექტუალები ძირითადად აშშ-ში მიემგზავრებოდნენ, გაცილებით უფრო მაღალი შემოსავლების მიღების პერსპექტივით. დღეისათვის "ტვინების გადინება" უმეტესად სსრ კავშირისა და აჭმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკებიდან, მათ შორის საქართველოდან, ხდება. მათი მიზანია განათლების დონის ამაღლება, კვალიფიკაციის გაუმჯობესება და შედარებით მაღალანაზღაურებიანი სამუშაოს ნახვა.

**საგანმანათლებლო მიგრაცია** მიგრაციის ერთ-ერთ ტიპად შეგვიძლია განვიხილოთ. მოსახლეობის და მათ შორის მიგრაციული ნაკადების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი და მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებელია განათლების დონე. განათლების დონის ამაღლების სურვილი ხშირად მიგრაციის მიზეზი ხდება. სხვა ტიპებისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო მიგრაცია ხანგრძლივობის მიხედვით, როგორც წესი, არის დროებითი. მისი მიზანია განათლების გაუმჯობესება და ქალაქის, ქვეყნის ან კონტინენტის გარეთ უკეთესი განათლების მიღება. ამ მხრივ ყველაზე აქტუალური და საინტერესო სწორედ სტუდენტების მიგრაციაა. სტუდენტური მიგრაცია არის სტუდენტების მოძრაობა ქვეყნის გარეთ, რომელიც ზოგადად განიხილება 12 ან მეტი თვის ვადით. გლობალიზაციის პერიოდში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მკვეთრად გაიზარდა და ბაზარზე ორიენტირებული საქმიანობა გახდა. საერთაშორისო განათლებაზე ხელმისაწვდომობა უფრო და უფრო მეტი სტუდენტისთვის გახდა მიმზიდველი ფაქტორი. ბევრი სტუდენტი ახლა სწორედ საზღვარგარეთ სწავლობს და მაქსიმალურად ცდილობს ევროპული, აზიური თუ ამერიკული განათლების მიღებას. ერთი მხრივ, უცხოეთში მიღებული განათლებით სტუდენტები ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის, ფინანსების, კულტურისა და პოლიტიკის განვითარებას. ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების და კვალიფიკაციის დონე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, წამახალისებელი ძალა წარმოშობის ქვეყნისთვის, თუ ის ამ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის განვითარებისკენაა მიმართული. ანალოგიურად, ქვეყანაში შემოსული უცხოელები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ადამიანურ, ინტელექტუალურ თუ ფინანსურ რესურსს მიმღე-

ბი ქვეყნის ეკონომიკისთვის. მსოფლიოს არაერთი იმიგრაციული ქვეყანა სწორედ იმიგრანტების რესურსის გამოყენებით ახერხებს შრომის ბაზრის და მზარდი ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კვლევები აჩვენებს, რომ მიგრანტები, როგორც მიმღებ, ისე წარმოშობის ქვეყანაში უფრო მეტი ინიციატივით და მენარმეობისადმი ინტერესით ხასიათდებიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. უკანასკნელ წლებში, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ქართული დიასპორის და ემიგრანტების კვლევებმა გარკვეული წარმოდგენა შექმნეს საქართველოდან ინტელექტის და ტალანტის გადინებაზე და ემიგრანტების უნარებსა და ინტეგრაციის საჭიროებებზე. თუმცა, აღნიშნული კვლევები მხოლოდ ფრაგმენტულ სურათს ქმნის. საქართველოდან ინტელექტის გადინება შემოდინების შედარებით სრული სურათის გაანალიზების შესაძლებლობას შექმნის ემიგრაციის და დიასპორის უფრო საფუძვლიანი კვლევა, რომლის განხორციელება სახელმწიფო სტრუქტურების მთავარი დანიშნულებაა.

ჯერ კიდევ კოლონიური პერიოდიდან სტუდენტების უმრავლესობა მსოფლიოს დედაქალაქებისკენ უკეთესი განათლების მიღების სურვილით დაიძრნენ. იმპერიულმა მთავრობებმა უამრავი პოლიტიკური რეფორმა განახორციელა, რომლებლაც საშუალება მისცა უცხოელ სტუდენტებს საკუთარი განათლების დონე გაეუმჯობესებინა და უკან დაბრუნებულეს სამშობლოში არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური სიტუაცია გამოესწორებინა. ცივი ოპის ეპოქაში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა უცხოურ დახმარებას და საზღვარგარეთის სტუდენტების დაფინანსებას. სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიული პროგრესის გაზიარების პოლიტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებით გახდა შესაძლებელი. მაგალითად, აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საერთაშორისო გაცვლით პროგრამას, „ფულბრაიტს“ სათავე სწორედ 1946 წელს დაედო. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების, პროფესორებისა და პედაგოგების სწავლის დაფინანსებას, კვლევით გრანტებსა და განათლების დონის გაუმჯობესებას. თავდაპირველად ფულბრაიტის პროგრამა დაფინანსდა საომარი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენებით, დღეისათვის კი ის უცხოელ სტუდენტებს საერთაშორისო განათლების მიღების საშუალებას აძლევს სამეცნიერო, კულტურულ და სოციალურ სფეროებში. „კოლუმბიის გეგმა“ კიდევ ერთი პროგრამაა,

რომელიც ხელს უწყობდა სტუდენტების მოძრაობას ქვეყნებს შორის. „კოლუმბიის გეგმა“ 1951 წელს დაარსდა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ეკონომიკურად ა სოციალური განვითარების განმტკიცების მიზნით. კოლუმბიის გეგმა ითვალისწინებს ავსტრალიის უმაღლეს სასწავლებლებში 40 000-ზე მეტი სტუდენტის მიღებას, ტრენინგების ჩატარებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

რაც შეეხება ქართული ემიგრაციის ისტორიას, რაც დოკუმენტურად დასტურდება, XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება. უცხოეთში უკეთესი ხვედრის მაძიებელთა გასვლის მცდელობები კი ალბათ მუდამ იყო. ქართველთა პირველი მრავალრიცხოვანი გასვლა 1724 წელს მოხდა, როცა მეფე ვახტანგ VI ინტელექტუალური ელიტისგან შემდგარ ათასკაციან ამალით რუსეთში ჩავიდა, საიდანაც უკან არავინ დაბრუნებულა. ეს იმ დროს ისედაც დასუსტებული ქვეყნისთვის უდიდესი დარტყმა იყო. ჩვენი ქვეყანა როდესაც რუსეთი იმპერიაში შედიოდა, ყოველი თავისი გონებითა თუ მამაცობით გამოჩენილი ქართველი რუსად მოიაზრებოდა. რუსეთის ოკუპაციამ ბევრი ქართველი დიდი მოაზროვნე იძულებული გახადა თავიანთი შვილები სასწავლებლად უცხოეთში გაეშვათ. უმრავლესობამ საკუთარი ნიჭის მეოხებით შეძლო ნულიდან დაეწყო ცხოვრება და ახალ სამშობლოს დიდი ამაგი დასდო: ვოროჯ ბალანჩინი, ალექსანდრე ქართველი, თამარ თუმანიშვილი, გიორგი პაპაშვილი, ერეკლე ორბელიანი და ა.შ.

მიგრანტთა განათლების დონე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერებში 1979 წლის აღწერამდე არ აღირიცხებოდა. თუმცა ცალკეული შერჩევითი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ დასაქმებული მოსახლეობის განათლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობისა. დაბრუნებული სტუდენტების და პროფესორების განათლების დონეც, შესაბამისად, უფრო მაღალია ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო მიგრანტთა ინტენსიური გადინება სოფლიდან ქალაქად. მათი განათლების დონე მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ქალაქის მოსახლეობისა და მაშინ ეს პროცესი ატარებდა უდაოდ პროგრესულ ხასიათს, მიგრაცია ამ წლებში, ერთი მხრივ, აქტიურად უწყობდა ხელს მრეწველობის განვითარებას, მეორე მხრივ კი, ამაღლებდა კულტურულ-ტექნიკურ და განათლების დონეს მოსახლეობის დაბალ ფენებში, აღვიძებდა მათში

შემოქმედებით სანყისს, ამდიდრებდა სულიერად. 1960-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით, 1970-იან წლებში მიგრანტთა ხარისხობრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ წლებიდან მოყოლებული მიგრანტთა განათლების დონე გახდა უფრო მაღალი, ვიდრე სსრკ მთელი მოსახლეობისა. განსაკუთრებით ეს ეხება მიგრანტებს, რომლებიც სოფლიდან ქალაქად გადაადგილდებოდნენ. ეს განაპირობა იმან, რომ დაბალი განათლების და დაბალი პროფესიული მომზადების მქონე მიგრანტთათვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა, ეპოვათ სამუშაო თანამედროვე სამრეწველო წარმოებაში, სადაც დაბალკვალიფიციურთა წილი ყოველწლიურად მცირდებოდა.

საქართველოში 1970-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობის პერიოდიდან ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან სისტემატურად, განუხრელად იზრდებოდა რესპუბლიკის განათლების პოტენციალიც. ისტორიულად მცირე პერიოდში საქართველომ არნახული ნახტომი გააკეთა განათლების პოტენციალის ზრდაში. განათლების ტემპების მიხედვით იგი უკვე ერთ-ერთ მონინავე ადგილზეა. ომისწინა და ომის შემდგომი პერიოდის მთელ მანძილზე საქართველო პირველ ადგილზე იყო განათლების პოტენციალის მხრივ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სწრაფი გაზრდა განიცადა განათლების პოტენციალმა როგორც მთელ საქართველოში, ისე მის ცალკეულ რეგიონში. ამ პერიოდში შეიცვალა განსხვავება ქალაქისა და სოფლის განათლების პოტენციალების თანაფარდობაში, შესამჩნევად შემცირდა სოფლის მოსახლეობის განათლების დონის ჩამორჩენა როგორც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებთან, ისე ქალაქის მოსახლეობის მაჩვენებლებთან. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების ცალკეული სახეების მიხედვით. უმაღლეს, საშუალო სპეციალური, ზოგადი საშუალო განათლების პოტენციალი.

**განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაცია:** გლობალიზაციის პროცესების ხელშეწყობის და ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ სწავლის და გამოცდილების შეძენის ხელშეწყობა. საქართველოს ახალგაზრდები ერთი ნაწილი მიდის საზღვარგარეთ სასწავლებლად უცხო ქვეყნების მიერ გამოყოფილი სასწავლო სტიპენდიების და გაცვლითი პროგრამების საშუალებით. საქართველოს მთავრობა, ასევე აფინანსებს საქართველოს მოქალაქეებს უმაღლესი განათლების მიღე-

ბას და კვალიფიკაციის ამაღლებას. მხოლოდ 2014 წელს, მთავრობის ადმინისტრაციასთან შექმნილმა განათლების საერთაშორისო ცენტრმა 77 საქართველოს მოქალაქეს დაუფინანსა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლა. სახელმწიფო დაფინანსებით საზღვარგარეთ განათლების მიმღებ საქართველოს მოქალაქეებს მთავრობა სთავაზობს შესაძლებლობებს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში.

### **საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია:**

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის და შემდგომ წლებში მიგრაციის პროგნოზირების გათვალისწინებით, ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების წახალისება და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა. დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი რეინტეგრაციის სპეციალური პროგრამების დიდი ნაწილი მხოლოდ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი პირების საქართველოში დაბრუნებასა და მათ შემდგომ რეინტეგრაციაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქვეყნის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ლეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების განათლების ამაღლების შემდეგ დაბრუნება და მათი რეინტეგრაცია, ვკითხულობთ საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში. დაბრუნებულ მიგრანტთა ნაკადების მახასიათებლებზე სანდო მონაცემების არსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესდეს დაბრუნებულთა შესახებ მონაცემების ერთუნიანი სისტემაში ასახვისა და დამუშავების მექანიზმები, რაღა სწორად განისაზღვროს სარეინტეგრაციო პროგრამების სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა, განათლების დონე, კვალიფიკაცია, პროფესიული უნარები და აქედან გამომდინარე, მათი საჭიროებები.

ამ ეტაპზე, საზღვარგარეთ კანონიერად მყოფი და მაღალკვალიფიციური დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის შესაძლებლობები არასაკმარისად არის განვითარებული. დაბრუნებული მიგრანტების ეს კატეგორიაც საჭიროებს სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას საქართველოს სოციალ-კულტურულ გარემოში რეინტეგრაციისთვის. დაბრუნებული მიგრანტების ამ ჯგუფის პოტენციალიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავდეს მაღალკვალიფიციური დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის წახალისე-



ბის ინიციატივები. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო უწყება უკვე ახორციელებს პროგრამებს დაბრუნებული მაღალკვალიფიციური მიგრანტების საჯარო სექტორში დასაქმების ხეშესაწყობად. მაგალითად, ფუმექციონირებს გერმანიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროექტი CIM, ჰოლანდიის მთავრობის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი- TRQN III და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტაჟირების პროგრამა.

მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდეს სახელმწიფო ინიციატივები დაბრუნებული მაღალკვალიფიციური მიგრანტების პოტენციალის უფრო აქტიურად და ეფექტიანად გამოყენებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება უცხოურ უნივერსიტეტებში განათლებამიღებულ ემიგრანტებს. ამასთან გასათვალისწინებელია პროფესიული და არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სირთულეები რომელსაც საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები აწყდებიან. წარმატებული რეინტეგრაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია დაბრუნებულ მიგრანტთა ინფორმირება ქვეყანაში არსებული დასაქმების და ბიზნესის დანყების შესაძლებლობების, ასევე ინვესტირებისთვის პრიორიტეტული სექტორების შესახებ. აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც 2014 წელს დაიწყო და მიზნად ისახავს ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობას და რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო საქმიანობის წახალისების მიზნით, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენას. პროგრამის სამიზნე ჯგუფს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე წაროადგენს, მათ შორის დაბრუნებული მიგრანტებიც.

### **საგანმანათლებლო მიგრაციის პოპულარული მიმართულებები:**

მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე, ქართველი სტუდენტებისთვის განსაკუთრებით პოპულარულია გერმანული უნივერსიტეტები. ამის განმაპირობებელი მიზეზია სწავლების მაღალი დონე და ძველი საუნივერსიტეტო ტრადიციები, რომლებიც არაჩვეულებრივად შერწყმული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან. სწორედ გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი ევროპის იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც 1999 წელს ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელ-

მონერით შესაბამისმა სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზად-ყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევრო-პული სივრცის ჩამოყალიბებაში. ამჟამად, ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 47 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს შეუერთდა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე. ბოლონიის პროცესის მიზანია ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება. მისი მთავარი პრიორიტეტებია: სოციალური განზომილება; მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა; დასაქმება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; განათლება; კვლევა და ინოვაცია; მობილობა; მონაცემების შეგროვება; მრავალმხრივი გამჭვირვალე მექანიზმები და დაფინანსება. რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტთა განაწილებას ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილს მსოფლიოში აშშ იკავებს. ამ ქვეყანამ საერთაშორისო სტუდენტთა საერთო რაოდენობის 26%-ს (842 000 სტუდენტზე მეტი) უმასპინძლა 2014 წელს. შემდეგ ადგილზე გაერთიანებული სამეფოა 13%-ით. შემდეგ მოდის ავსტრალია 8%-ით, ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილზე სამფარგეთი და გერმანიაა 7-7%-ით. ჯამში ამ ხუთმა ქვეყანამ 2014 წელს საერთაშორისო სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 2/3 მიიღო. მსოფლიოში ყველაზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სამაგისტრო, სადოქტორო ან სხვა სახის უმაღლესი განათლებისთვის აზიიდანაა - 53%, მას მოყვება ევროპა 25%-ით და აფრიკა - 10%. ქვეყნების მიხედვით კი პირველ ადგილზე ჩინეთია. 2014 წლის მონაცემებით მსოფლიოში უმაღლესი განათლების მიმღებ სტუდენტთა შორის 6% საერთაშორისო სტუდენტი იყო. უმაღლესი განათლების მიმღებ სტუდენტებში საერთაშორისო სტუდენტთა წილი შემდეგ სამ ქვეყანაშია ყველაზე მაღალი - ლუქსემბურგი - 44%, ახალი ზელანდია - 19% და ავსტრია - 18%.

ერასმუსის სტუდენტთა ქსელის თანახმად, საზღვარგარეთ ნასწავლი სტუდენტები გრძელვადიანი უმუშევრობის ძალიან დაბალი საფრთხის წინაშე დგანან. დამსაქმებელთა 64% საერთაშორისო გამოცდილებას მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიიჩნევს. კვლევაში ვკითხულობთ, რომ საზღვარგარეთ სწავლის ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი პროფესიული კარიერის აწყობა და სამსახურის სწრაფად პოვნაა. სტუდენტთა 86% კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სწავლის განმავლობაში არსებული საცხოვრებელითა და გარემოთი, 75% კი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მათი სწავლის ხარისხით. უმრავ-

ლესობა ამბობს, რომ საზღვარგარეთ სწავლით მათ გაიუმჯობესეს ინდივიდუალური კარიერული შესაძლებლობები თავდაჯერებულობისა თუ უცხო ენების ცოდნის დონის გაზრდით. სტუდენტებმა, რომლებმაც საზღვარგარეთ ისწავლეს ბევრად უფრო მეტად შეუძლიად ინტერკულტურულ გარემოში მუშაობა, ვიდრე მათ ვინც მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში მიიღო განათლება.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მონაცემებით საზღვარგარეთ განათლებამიღებული სტუდენტების 92%-მა სწავლის დასრულების შემდეგ 12 თვის განმავლობაში იპოვა სამსახური, ხოლო იმ სტუდენტთაგან, რომლებმაც არ ისწავლეს საზღვარგარეთ მხოლოდ 49%-მა იპოვა სამსახური ამ ვადაში. საზღვარგარეთ ნასწავლმა სტუდენტებმა 25%-ით მეტის გამოიმუშავება შეძლეს ვიდრე მათ, ვინც საკუთარ ქვეყანაში ისწავლა. 84% ამბობს, რომ საზღვარგარეთ, სწავლით მნიშვნელოვანი და ღირებული უნარ-ჩვევების გამოიმუშავება შეძლო სამუშაო ბაზრისთვის. 80% ამბობს, რომ სწავლამ მათ საშუალება მისცა უკეთ შეგუებოდნენ სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. 70% ამბობს, რომ საზღვარგარეთ სწავლის გამო ისინი ახლა კმაყოფილები არიან თავიანთი სამსახურით. 34% ამბობს, რომ საზღვარგარეთ სწავლამ მას დაეხმარა აერჩია კონკრეტულად თუ რა სფეროში სურდა კარიერა.

IES Abroad-ის პროგრამით გაგზავნილი კურსდამთავრებული საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ საზღვარგარეთ სწავლამ მათ მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარა, როგორცაა უცხო ენის გაუმჯობესება, კულტურული მრავალფეროვნების გაგება, ტოლერანტულობა, ადაპტირების უნარი და თავდაჯერებულობა. სტუდენტთა 2/3-მა სწავლის დასრულების შემდგომ 2 თვეში იპოვა სამსახური. IES Abroad-ის სტუდენტები ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯების კურსდამთავრებულებთან შედარებით 6000\$-ით მეტს გამოიმუშავებდნენ როგორც „დამწყებ ხელფასს“. IES Abroad-ის პრეზიდენტი მერი დაიერი ამბობს: „ჩვენ გვჯერა, რომ სულ უფრო მეტი და მეტი დამსაქმებელი აცნობიერებს საზღვარგარეთ სწავლის სარგებელს და იწყებს იმ ადამიანების ძებნას, რომლებსაც აქვთ საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება. მუშაობისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევები როგორცაა ადაპტაციურობა, ტოლერანტობა, ლიდერობა და დამოუკიდებლობა სწორედ რომ საზღვარგარეთ სწავლითა და ცხოვრებით არის ხელშეწყობილი. მშობლებისთვის რომლებიც კონცენ-

ტრირებულნი არიან მათი ინვესტიციების უკან დაბრუნებაზე, საზღვარგარეთ სწავლა ამ მხრივ ჭეშმარიტად ეხმარება კურსდამთავრებულებს’.

რაც შეეხება საქართველოს, 2003-2004 წლებში მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული იქნა, თბილისის ახალგაზრდების მაგალითზე, ახალგაზრდების მიგრაციული განწყობების კვლევა. ამ და კიდევ სხვა მიგრაციის თემატიკასთან დაკავშირებული ჩატარებული კვლევების საფუძველზე კი 2005 წელს უკვე გამოშვებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ნაშრომი – „მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში”. ეს ნაშრომი პირდაპირ კავშირშია ჩვენი კვლევის თემასთანაც და საკმაოდ საჭირო მასალას გვანვდის. ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობების კვლევამ მოიცვა 500-ზე მეტი რესპონდენტი. ამ კვლევის შედეგებმა მკვლევარებს მისცა საშუალება იმის თქმისა თუ მტკიცებისა, რომ საქართველო ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა და მომავალში კიდევ უფრო მეტი დატოვებს. საკმაოდ მაღალი და ძლიერია ახალგაზრდების მიგრაციული განწყობები. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51.9%) პირობების არსებობის შემთხვევაში ფსიქოლოგიურად მზადაა წავიდეს საზღვარგარეთ. კვლევა ასევე საინტერესო ინფორმაციას გვანვდის იმის შესახებ თუ რომელი სქესის თუ როგორი ოჯახური მდგომარეობის მქონე ახალგაზრდები არიან უფრო მეტად მიდრეკილნი ქვეყნის დატოვებისგან, აგრეთვე ავლენს ძირითად მოტივებს, რის გამოც ახალგაზრდებს სურთ საზღვარგარეთ წასვლა (საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზღვარგარეთ სწავლის სურვილი, ჩენ ქვეყანაში არსებული განუკითხაობა, კრიმინალური სიტუაცია და უიმედობა) მიგრაციის შემთხვევაში უკან დაბრუნების მსურველთა ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია (84%). მთავარ მოტივებად სამშობლოს სიყვარული, ნოსტალგია, ტრადიციები სახელდება. აღნიშნული კვლევის ორგანიზატორები გვაფრთხილებენ, რომ პოტენციურ მიგრანტთა დიდ ნაწილს ახალგაზრდობა წარმოადგენს და მოქალაქეებსა და სახელმწიფოსაც შექმნილ ვითარებაზე სერიოზული დაფიქრებისა და განსჯისკენ მიუთითებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016-2017 სასწავლებლად საზღვარგარეთ საქართველოდან წასული სტუდენტების რიცხვი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და

565-ს შეადგენს. აქედან 378 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. ყველაზე პოპულარულ მიმართულება კვლავ გერმანიაა რეკორდული მაჩვენებლით – 154 გაგზავნილი სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და 7 კერძოდან, მერე ადგილზეა პოლონეთი სულ 94 სტუდენტით, მესამე ადგილზეა ლიტვა – 32 სტუდენტი, მეოთხეზეა თურქეთი, სადაც 30 სტუდენტი გაემგზავრა სასწავლებლად, ყველაზე პოპულარულ 5 მიმართულებას შორის მოხვდა საფრანგეთიც – 25 სტუდენტი. სხვა ქვეყნები: ესპანეთი – 19, ესტონეთი -18, ჩინეთი – 16, ფინეთი – 16, ჩეხეთი – 14, ავსტრია – 14, ლატვია – 14, ნორვეგია – 14, რუმინეთი – 13, იტალია -12, ირანი-8, ნიდერლანდები-7, პორტუგალია-7, დანია-6, ყირგიზეთი-6, უნგრეთი – 5, დიდი ბრიტანეთი – 4, ირლანდია – 4, საბერძნეთი – 4, სლოვაკეთი – 4, სლოვენია – 4, აშშ – 3, ბელგია – 3, ბულგარეთი – 3, ეგვიპტე – 2, შვეიცარია -1, ლიხტენშტაინი – 1. შედარებისთვის 2013-2014 წლებში საქართველოდან სასწავლებლად წავიდა 562 სტუდენტი, 2014-2015 წლებში 434, 2015-2016 წლებში 403, ხოლო 2016-2017 წლებში ეს კლების ტენდენცია შეწყდა, სტუდენტთა რაოდენობამ 565-ს მიაღწია.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ უცხოეთში მინიმუმ ერთი წლით წასულ და იქ განათლება მიღებულ სტუდენტებს, დაბრუნების შემდეგ უადვილდებათ ქართულ შრომით ბაზართან ადაპტაცია. ისინი ადვილად უნევენ კონკურენციას საქართველოში წასწავლ ახალგაზრდებს და სამსახურში სასურველ პოზიციას იკავებენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამსაქმებლები პრიორიტეტს ანიჭებენ უცხოურ პრაქტიკას, ანალიტიკური აზროვნების უნარს, უცხო ენების ფლობასა და საზღვარგარეთ მიღებულ გამოცდილებას. ეს ხაზს უსვმას ფაქტს, რომ საგანმანათლებლო მიგრაცია ხელს უწყობს სტუდენტების შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესებას, გამოცდილების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. დაბრუნების შესაძლო მოტივებია: სამშობლოს სიყვარული, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ახლოს ყოფნა, ნოსტალგია, ტრადიციები და ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანის სურვილი. დადებითი ფაქტია ასევე ისიც, რომ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, გაცვლითი პროგრამების რიცხვი საქართველოში დღითიდღე იზრდება, რაც კიდევ უფრო მეტ სტუდენტს საზღვარგარეთ გამგზავრებისა და გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს. დადებითი ფაქტორების მიუხედავად, შესამჩნევია უარყოფი-

თი ფაქტებიც. კერძოდ ნეპოტიზმის არსებობა. საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემისა უცხოურ გამოცდილებასთან შედარებისას სახეზეა განათლების სისტემის არასრულფასოვნება. თვალშისაცემია, რომ კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის სუსტია. გარდა ამისა ქვეყანაში კვლევების უკმარისობაა, შრომითი ბაზარი არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ახალგაზრდებმა და დამსაქმებლებმა არ იციან, თუ ყოველწლიურად რამდენი იურისტი, მედიცინის მუშაკი, ეკონომისტი ან, პირობითად, სოციოლოგი სჭირდება ქვეყანას, რაც მოთხოვნა-მიწოდებას შორის მკვეთრ დისბალანსს იწვევს. ბოლოს, უნდა აღინიშნოს სხვა ბარიერებიც, ესენია: პირველ რიგში სტატისტიკური მონაცემების არ არსებობა. კერძოდ, არსად მოიპოვება ინფორმაცია თუ ყოველწლიურად საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტებიდან რამდენი მათგანი ბრუნდება უკან. არ არსებობს დაბრუნებული სტუდენტების ადეკვატური სია და სხვ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლუმბიის უნივერსიტეტი: <http://studyabroad.ucmerced.edu/study-abroad-statistics/statistics-study-abroad>
2. „ქართველები ამერიკაში“, 2011. თბილისი. [www.mra.gov.ge](http://www.mra.gov.ge).
3. From [www.mra.gov.ge](http://www.mra.gov.ge): [mra.gov.ge/res/docs/20160407160120735.doc](http://mra.gov.ge/res/docs/20160407160120735.doc)
4. A. Portes, R.G. Rumbaut, (2006). Immigrant America London University of California Press
5. Douglas S. Massey, Joaquin Arango, Graeme Hugo, Ali Kouaouci, (1993). Theories of International Migration.
6. (2010) Entrepreneurship and Migrants Organization for Economic Co-Operation and Development Globalization of Education: An Introduction.
7. საჯარო პოლიტიკა, მიგრაცია და განვითარება. Tbilisi. CRRC – საქართველო და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.
8. განათლების საერთაშორისო ცენტრი. (2014). [www.iec.gov.ge](http://iec.gov.ge): <http://iec.gov.ge/4240>
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). From უმაღლესი განათლება-სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ: [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=2104&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2104&lang=geo)

---

---

**Elguja Kavtaradze** – Doctor of Philosophy, Associated Professor of Social and Political Sciences Department at Sokhumi State University. At the same time he is the Head of the Social and Political studies Faculty. Mr. Kavtaradze works on theoretical and empirical problems of political sciences as well as on political conflict management and analyses. He has published a number of scientific works in the above field, monographs and coursebooks.

---

---

## **Educational migration: Problems, approaches, visions**

### **Abstract**

The article highlights educational migration as a significant social issue based on secondary sources. It is observed that employers prioritize foreign experience, analytical thinking, foreign language proficiency, and international exposure. This underscores the role of educational migration in enhancing students' abilities, acquiring experience, and advancing qualifications. Motivations for returning include love for one's homeland, being close to family and friends, nostalgia, attachment to traditions, and the desire to contribute to the country's development. A positive trend is the increasing number of exchange programs in Georgia, which enables more students to gain international experience. However, alongside the positive aspects, there are also negatives, such as the existence of nepotism. A comparison of the Georgian educational system with foreign ones reveals shortcomings, particularly the weak link between higher education institutions and employers. Furthermore, there is a lack of research in this area within the country, and the labor market is not thoroughly studied.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**მედეა სალია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის დოქტორანტი. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ფაკულტეტზე. მუშაობს და იკვლევს ჰუმანიზმისა და მისი დეფიციტის პრობლემას პოსტმოდერნულ საზოგადოებაში. (სადისერტაციო თემა: „ჰუმანური აღზრდის მოდელირება განათლების სოციოლოგიაში“). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და ბროშურები.

---

## **მასწავლებელი, როგორც სოციალიზაციის აგენტი**

კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის იყო აღიარებული მასწავლებლის პიროვნული და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები მასწავლებლის სახელის შესამკობად არანაირ ეპითეტებს არ იშურებდნენ. ცნობილია გერმანელი პედაგოგის ა. დისტერვეგის გამოთქმა: „მასწავლებელი იგივეა სკოლისთვის, რაც მზე სამყაროსთვის.“ ილია ჭავჭავაძემ მასწავლებელს უწოდა: „მზრდელი ყრმისა,“ „მეორე შემოქმედი.“ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალიზაციასთან დაკავშირებით სოციალური პედაგოგიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მასწავლებლის როლი მოსწავლის სოციალიზაციაში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ძალუძს მას ჩანვდეს მოზარდის სულს, ამოიცნოს მისი შესაძლებლობები და შექმნას პირობები ინტელექტუალური მონაცემების, ზნეობრივი თვისებების, შემოქმედებითი უნარების სრული გაშლისათვის, პიროვნული თვისებების სრული რეალიზაციისათვის და განავითაროს მასში ინტერესი სოციალური სტატუსის მოპოვებისათვის. ამისათვის მასწავლებელმა უნდა მოიპოვოს მოსწავლის ნდობა. ბავშვი მასში მეგობარს, დამრიგებელს, მოძღვარს უნდა ხედავდეს!<sup>1</sup>“

სიახლეების დანერგვა საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროცესზე მასწავლებელთა ახალბურთა პედაგოგიური მიდგომებით აღჭურვას საჭიროებს. ჩვენი ქვეყანა იმთავითვე ითვალისწინებდა რეფორმების აუცილებლობას და სამოქმედო სტრატეგიები შესაბამის სახელმწიფო თუ დარგობრივი აქტებითა და დოკუმენტებით გაამყარა.

---

<sup>1</sup> ბიბლიეიშვილი ლ. ტულუში მ. სოციალური პედაგოგიკა, თბ., 2002, გვ. 108.



საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესია: „მასწავლებელი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ საგნებს“<sup>1</sup>

პედაგოგიკა თავისი არსებობის მეცნიერული თუ არა მეცნიერული განვითარების მანძილზე დიდ უპირატესობას ანიჭებს მასწავლებლის როლის, დანიშნულების უფრო ზუსტ, კომპეტენტურ განსაზღვრას. ყველა ეპოქის მოღვაწე მასწავლებლის მისიას მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მასწავლებელი-პედაგოგის პროფესია უნიკალურია, რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა პრაქტიკულ არეალში, მოთხოვნებისა და უფლებების თვალსაზიერით, კომპეტენტურობის ზღუდეები, ნორმები, რომლებშიც უნდა მოექცეს მის წინაშე მდგარი გამოწვევები.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ჯინჯიხაძე თავის „პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ წერს: „პედაგოგი 1. სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც მასწავლებლის ან აღმზრდელის საქმიანობას ეწევა; 2. პედაგოგიკის სპეციალისტი, მეცნიერი, პედაგოგიკის მკვლევარი, პედაგოგიკოსი. საზოგადოდ, ეს არის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს მოსწავლეს (მოსწავლეებს) და მართავს მის (მათ) საგანმანათლებლო საქმიანობას, ე.ი. მისი მათრგანიზებელია. მკაცრად რომ ვთქვათ, პედაგოგი არა მარტო მასწავლებელია, აღმზრდელი და ა.შ. არამედ – ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ასწავლის, ზრდის, ავითარებს“<sup>2</sup>

განმარტავს რა მასწავლებლის ცნებას, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. ხუხუა, წერს: „მასწავლებელი ის ოფიციალური პირია, რომელსაც აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება, დაუფლებულია სწავლებისა და აღზრდის თეორიას და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა- გამოცდილებას გადასცემს ახალ თაობას მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით.“ „მასწავლებელს უდიდესი საზოგადოებრივი როლი აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ღირსეული ახალი თაობის მომზადება, რომელიც განაპირო-

<sup>1</sup> კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 211.

<sup>2</sup> ჯ. ჯინჯიხაძე, პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 2017. გვ. 372.

ბებს საზოგადოების კულტურულ დონეს, მის განვითარებასა და შეუფერხებელ აღმასვლას<sup>1</sup>“

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია და უდიდესი როლი აკისრია მასწავლებელს, პედაგოგს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცდილობს ცნებებში „მასწავლებელი“, „პედაგოგი“ დაინახოს სხვაობა, ეს ტერმინები ნამდვილად სინონიმებია, რამეთუ სხვადასხვა ენაზე არსებული ერთიანი ზოგადსაკაცობრიო დატვირთვის მქონე ცნებები კაცობრიობის წინაშე ფასდაუდებელი მისიის აღმსრულებელი პროფესიის განმსაზღვრელია .

ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი კ. ქეცბაია თავის სახელმძღვანელოში „განათლების სოციოლოგია“ განიხილავს NEXST თაობის განათლების საკითხებს პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში. მისი აზრით, სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის „მასწავლებელმა პროფესიული მომზადების ფარგლებს გარეთ არსებული მთელი რიგი სპეციფიკური ცოდნა და უნარები [უნდა] გამოიყენოს“. დღეის მიზანიც იმ მასწავლებლის მომზადებაა, რომელიც ასეთ თაობას აღზრდის ქვეყანას და იმ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რომლებზეც პროფ. კ. ქეცბაია საუბრობს. მაგრამ არსებული სინამდვილე გვაფიქრებს თავჩინილპრობლემებზე, მართალია, ზემოთხსენებული ავტორი მიუთითებს არსებულ მიზეზებს, ის გვთავაზობს ახლებურ მიდგომებს. დავასახელებთ რამდენიმე პრინციპს იმათგან, რომლებზეც იგი საუბრობს.

- თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვა;
- სწავლა-განათლების მიზნების განსაზღვრა,
- შემეცნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმებზე გადასვლა,
- სწავლების აქტიური და შემოქმედებითი მეთოდების გამოყენება.
- ცოდნის დონის ამაღლება.
- საგნის სწავლების აუცილებლობა მისი პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარე.
- პედაგოგის [პროფესორის] ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილების უარყოფა.....
- ინტერაქციის შესაძლებლობათა გაფართოება.

---

<sup>1</sup> გ. ხუხუა, პედაგოგიკა, თბ. 2009, გვ. 25.

- განსხვავებული აზრის პატივისცემა
- სხვადასხვა სასწავლო პროგრამები,

რამდენადაც სოციოლოგია და პედაგოგიკა ფილოსოფიის ნიადაგზე აღმოცენებული მეცნიერებებია, ზემოთხსენებული პრინციპებიც საუკუნეების მანძილზე ასაზრდოა პედაგოგიკამ და გარკვეული გამოცდილება დაგვიტოვა, რომელიც ტრანსფორმირებას ახალ გამოწვევებზე მორგებულად მოითხოვს. განათლების სისტემაში დამკვიდრებული სწავლების თეორიები სოციოლოგიის თვალსაწიერიდან დანახული საჭიროებებია, რომლისთვისაც მასწავლებლის მომზადება პრიორიტეტულია.

მასწავლებელს პროფესიული კვლითვის ამალგების ფართო არჩევანი აქვს. მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს კერძო და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტრენინგ-საათები. სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს მასწავლებლებს სასერტიფიკატო გამოცდებისთვის. მასწავლებლები არიან ჩართულნი სქემებში, მათ ენიჭებათ კრედიტულები, ამის მიხედვით წოდებები. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი, რომელიც გაივლის სასერტიფიკატო გამოცდებს, აგრძელებს მუშაობას და საჭირო კრედიტულების შევსებას. ეფექტური ფორმა ტრენინგებია, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულად წარმართავენ მსმენელთა მომზადებას. მეთოდი, რომლითაც ხდება სამუშაო პროცესის წარმართვა, ერთგვარი პრაქტიკული დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ესა თუ ის მეთოდი, ტექნიკა, სწავლა-სწავლებისა და ბავშვების გააქტიურების მეთოდები გაკვეთილებზე. სწავლა თამაშით დღეს ის მოთხოვნაა, რომელიც სასურველს უნდა ხდიდეს ცოდნის შეძენისა და მისი „გონებრივ ფონდში“ შენახვის ურთულეს პროცესს. დღეს საგნებრივად და თემატიკურად მიმდინარეობს სასწავლო მასალის გადაცემის ტექნოლოგიების მიწოდება მასწავლებლებისათვის. თუმცა, პედაგოგიკამ იცის, რომ სწავლებასა და აღზრდაში მზარეცებები არ არის. თითოეული ტექნოლოგიაკლასზე, მოსწავლეზე, ინტელექტუალურ დონეზე მორგებული უნდა იყოს. როგორი კარგიც არ უნდა იყოს ტექნოლოგიები და ხელმარჯვე გამოყენებული მისი ოსტატი-მასწავლებელი, სასწავლო პროცესი ერთი მწკვრივად აწყობილი ჯაჭვია, რომლის ერთი სუსტი რგოლიც კი დაარღვევს მონოლითურობას.

მეტად სასარგებლო და თანამედროვე განათლების სივრცეში საფუძვლიანი ცოდნის მომცემია უკვე ჩვენს მიერ მოხსენებული მეცნიერის ჯ. ჯინჯიხაძის ნაშრომი: „თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები“. მაგრამ ეს უკანასკნელი სამაგიდო წიგნია იმისთვის, ვისაც სურს თანამედროვე საქართველოში ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს „მსოფლიოში გავრცელებული თანამედროვე ძირითადი ზოგადპედაგოგიური და ზოგად დიდაქტიკური ტექნოლოგიები“-ის შესახებ. ავტორი კლასიკურ გამოცდილებასთან კავშირში იძლევა ახალს, მართივად და მსუბუქად გვასწავლის იმას, რომლის ცოდნა ყველას სჭირდება სკოლამდელიდან უმაღლესის პედაგოგის ჩათვლით. ის შეიძლება ჩაითვალოს მასწავლებლის მაღალ პროფესიონალად ჩამოყალიბების საუკეთესო ლიტერატურად, წყაროდ. იგი განიხილავს გუზევის ინტეგრალურ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, რომელიც „წარმოქმნილია მთლიანბლოკური ტექნოლოგიების განვითარების შემდეგ მიმართულებათა ინტეგრაციის გზით:

1. დიდაქტიკური ერთეულების გამსხვილება.
2. საგანმანათლებლო პროცესის ფსიქოლოგიზაცია.
3. სწავლების შედეგების დაგეგმარება დიაგნოსტიკურობის მიზანშეწონილობის საფუძველზე.
4. კომპიუტერიზაცია“ა.

აქვე გაკვეთილების ბლოკის ტიპურ სტრუქტურას გვთავაზობს:

- საწყისი გამეორება,
- ახალი მასალის შესწავლა (ძირითადი მოცულობა, საგანმანათლებლო დონე),
- განმტკიცება (ამოცანების ამოხსნა. ტრენინგ მინიმუმი),
- ახალი მასალის შესწავლა (დამატებითი მოცულობა),
- განმტკიცება (განმავითარებელი დიფერენცირებული სწავლება),
- თემის განმაზოგადებელი გამეორება,
- ცოდნის კონტროლი,
- კორექცია.

ავტორი მსჯელობს პირობითად გამოყოფილ მუდმივ და ცვლად ნაწილებზე, რომლის რეალიზება ხდება ახალი ორგანიზაციული ფორმის გაკვეთილზე სემინარ-პრაქტიკუმის ფორმით. საგნობრივი და პიროვნული კომუნიკაციების უზრუნველყოფა ამ დროს აქტივობებითა

და ჯგუფური მუშაობებით ხორციელდება, რომელიც ბაზირებულია კოოპერატიულ მოტივაციაზე. ახალი ალგორითმის მიხედვით სასწავლო პროცესის დაპროექტება. ასევე გვთავაზობს „ტრენინგ-მინიმუმებს“, აღწერს მათი მომზადებისა და ჩატარების გზებს, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერს საჭირო სვლებსა და აქტივობებს, მათ პედაგოგიკურ დანიშნულებებს.

განათლების რეფორმის ადრეულ ეტაპებზე სხვადასხვა სწავლების თეორიებში ხდებოდა მასწავლებელთა მომზადება: ოკუპაციური თეორიები, გენდერული ტრენინგი პედაგოგებისათვის, „ჩვენ და ბუნება“, „აივშიდსი (მასწავლებელთა ტრენინგი), ინტერაქტიური სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები. რა თქმა უნდა, ტრენინგთა დასახელებას აქ არ შევუდგები, მაგრამ ესენი დავასახელებ გამოიზნულად-პირველი ნაბიჯები ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა.

საქართველო ჩართულია Erasmus, ASSE, CBHE/Ex-Tempus, ETF, QA\_TNE და მრავალ სხვა პროექტებში. სახელმწიფო კურსი მიზანმიმართულად ახორციელებს თავის საგანმანათლებლო სტრატეგიას. იგი ზრუნავს და აწესრიგებს საგანმანათლებლო სივრცეებს, სასკოლო ინტერიერ-ექსტერიერს, საბიბლიოთეკო ფონდსა და მის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის სკოლაში, ინტერნეტ-სივრცეებს, ინტერნეტ- ბიბლიოთეკებს. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ფართო არჩევანი გვაქვს. მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს კერძო და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტრენინგ- საათები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის. მასწავლებლები არიან ჩართულნი სქემებში, მათ ენიჭებათ კრედიტულები, ამის მიხედვით წოდებები. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი, რომელიც გაივლის სასერტიფიკაციო გამოცდებს, აგრძელებს მუშაობას და საჭირო კრედიტულების შევსებას. ამ მიმართულებით დღეისათვის საიახლებები იგეგმება.

მასწავლებლის თანამედროვე მოთხოვნებით მომზადების ეფექტური ფორმა ტრენინგებია, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულად წარმართავენ მსმენელთა ინოვაციური თუ ინტერაქციური მეთოდ-აქტივობებით აღჭურვას. ტრენინგები, რომლითაც ხდება სამუშაო პროცესის წარმართვა, ერთგვარი პრაქტიკული დე-

მონსტრირებაა იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ესა თუ ის მეთოდი, ტექნიკა, სწავლა-სწავლებისა და ბავშვების გააქტიურების მეთოდები გაკვეთილებზე. სწავლა თამაშით – ძველთაგან მომდინარე და მივიწყებული, მაგრამ დღეს გააქტიურებული, ის მოთხოვნაა, რომელიც სასურველს უნდა ხდიდეს ცოდნის შექმნისა და მისი „გონებრივ ფონდში“ შენახვის ურთულეს პროცესს. საგნებრივად და თემატიკურად მიმდინარეობს სასწავლო მასალის გადაცემა, ტექნოლოგიების მიწოდება მასწავლებლებისათვის. თუმცა, პედაგოგიკამ იცის, რომ სწავლებასა და აღზრდაში მზა რეცეპტები არ არის. თითოეული ტექნოლოგია კლასზე, მოსწავლეზე, ინტელექტუალურ დონეზე მორგებული უნდა იყოს. როგორც კარგიც არ უნდა იყოს ტექნოლოგიები და ხელმარჯვე მისი გამოყენებელი ოსტატი – მასწავლებელი, სასწავლო პროცესი ერთი მწკვრივად აწყობილი ჯაჭვია, რომლის ერთი სუსტი რგოლიც კი დაარღვევს პედაგოგიურ მონოლითურობას.

მასწავლებლებისათვის გამოიცემა დამხმარე მასალები, საჭირო ლიტერატურა. ამ მხრივ სრულყოფილი და ჩვენი საგანმათლებლო სივრცისთვის სიახლეების შემცველია უკვე დასახელებული მეცნიერის ჯ. ჯინჯინხადის ნაშრომი: „თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები“ და მრავალი სხვა, ასევე ელექტრონული ჟურნალი „მასწავლებელი“.

განათლების რეფორმის ადრეულ ეტაპებზე სხვადასხვა სწავლების თეორიებში ხდებოდა მასწავლებელთა მომზადება: ოკუპაციური თეორიები, გენდერული ტრენინგი პედაგოგებისათვის, „ჩვენ და ბუნება“, „აივ/შიდსი (მასწავლებელთა ტრენინგი), „ინტერაქტიური სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები“. რა თქმა უნდა, ტრენინგთა დასახელებას აქ არ შეეუდგებოდა, მაგრამ ესენი დავასახელებთ გამიზნულად – პირველი ნაბიჯები ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა.

აღსანიშნავია აგრეთვე მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უმაღლეს პროგრამადაა მიჩნეული, მისი არსი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებს ითვალისწინებს. პროგრამა განკუთვნილია მასწავლებლობის უფლების მისანიჭებლად იმ პირებისათვის, რომლებსაც ბაკალავრის, მაგისტრის, და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აქვთ. უმაღლესი საგანმანათლებლო დანე სებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ მას სკოლაში მუშაობისას მიენიჭება უფროსი მასწავ-

ლებლის სტატუსი.

თანამედროვე სტანდარტებით, საერთაშორისო მოთხოვნებითა და სიახლეებით მიმდინარეობს სტუდენტთა – მომავალ პედაგოგთა მომზადება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ყურადღებას გავამახვილებთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალპროფესიონალურ-აკადემიურ საქმიანობაზე, რომელიც სიახლეებს ნერგავს საუნივერსიტეტო სივრცეში, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა შორის შეკრული ერთსულოვნებით ჰუმანიზმის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობა ჩანს ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე. გლობალური პრიორიტეტი – ჰუმანური პიროვნების ჰარმონიულ, ჰუმანურ საზოგადოებაში ინტეგრირება – უნივერსიტეტის მთავარი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, მისი მიზანია, მსოფლიო სოციალურ – საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრირებადი პროფესიონალის – ჰუმანისტური თვისებების მატარებელი კადრის მომზადება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთია ევროკავშირის Erasmus+ საგანმანათლებლო პროექტებიდან „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქართველოს უნივერსიტეტების მიერ შექმნილი და ტალინის უნივერსიტეტის თაოსნობით საკონკურსოდ წარდგენილი პროექტი „ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უნივერსიტეტებში“. „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია პროექტით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაში, რომელიც უნივერსიტეტში ციფრული ტექნოლოგიებით სწავლების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, რაც ტრენერთა ტრენინგების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების ტრენინგებისა და სემინარების, პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადებასა და სხვადასხვა ტიპის მეცადინეობების ჩატარებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს პროექტის იდეებისა და მიღწეული შედეგების დისემინაციის პაკეტს უნივერსიტეტებში“<sup>1</sup>. სსუ ამ პროექტს წარმართავს გუნდი, რომელსაც ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ლია ახალაძე უძღვება.

---

<sup>1</sup>ლ. ახალაძე, თ. შინჯიაშვილი, ნ. წულაია, ლ. კვარაცხელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ – პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, Proceedings of Sokhumi State University, Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/Vol. XIX, 2020- 2021, გვ., 864 <https://doi.org/10.52340/sou.2023.19.55>

ქვეყანაში ორგანიზებული საგანამანათლებელი სისტემა არსებობს. შემოდის ახალი საერთაშორისო პროექტები, სახელმწიფოს ეს სფერო მრავალმხრივ ვითარდება, მეტი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა ხელფასების ზრდას, შეკეთდა სასკოლო შენობების უმრავლესობა, კვლავაც მიმდინარეობს სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება, შენდება ახალი სკოლები, აშენდა და ფუნქციონირებს – „ადგილი, სადაც ცოდნა ქმნის მომავალს!“ – ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ქალაქი ქუთაისში, საგანმანათლებლო კომპლექსი, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის გზამკვლევი ტექნოლოგიური აფეთქების ეპოქაში“ (ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი გამოსვლიდან, 2018).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, მოსწავლეთა ჰუმანური აღზრდის მეთოდი მოითხოვს არსებული პრობლემატიკის ახლებურ გააზრებას და კვლევა-ძიების პროცესში მათი გადაჭრის გზებისა და საშუალებების შემუშავებას. შემეცნების ცენტრში უნდა მოვაქციოთ, როგორც ჰუმანიზმისა და სოციოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, ასევე აღსაზრდელი, რათა შევძლოთ მის სულიერ სამყაროსთან მიახლება და გარეგამოვლინებებთან შემხებლობა. ჩვენი სიტყვების დასტურად მოვიხმობთ პროფესორების თეიმურაზ და ივანე ჯაგოდინიშვილების მსჯელობას, რომლებიც სიღრმისეულად ანალიზებენ ადამიანის, როგორც სოციალური არსების, სამყაროს აღქმისა და საზოგადოებრივი მოქმედების მექანიზმს, ისინი წერენ, რომ აზროვნება ყოველთვის სოციალური პროცესია. მასზე ყოველთვის გავლენას ახდენს სოციალურ-კულტურული ფაქტორები, სოციუმების ცხოვრება, ჩვევები, ტრადიციები, ურთიერთობანი, ცოდნა დაა.შ. ამ მოვლენებს შეისწავლის სოციოლოგია და ფსიქოლოგია. ადამიანისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის უმაღლესი ფორმებია: ენა, მეტყველება და აზროვნება. სიტყვათა მნიშვნელობა შესაძლოა განვიხილოთ არა მხოლოდ მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობად. აზროვნება – ესაა ანალიზი, სინთეზი და განზოგადება. ისინი შეიცავენ აზრთა, მიზანთა, შეფასებათა, მოტივთა და მოთხოვნილებათა წარმოქმნასა და დინამიკას აზროვნება სოციალური ბუნების მატარებელია, ანუ ცოდნაა, რომელიც სხვებთან ერთად შეიძინება ურთიერთობასა და ერთობლივ საქმიანობაში. „სხვა სიტყვებით, ესაა სამყაროსადმი შემოქმედები-



თი დამოკიდებულება, რომელიც მარტო საკუთარ, ინდივიდუალურ ინფორმაციას კი არ ემყარება, არამედ იმ მონაცემებსაც, რასაც მთელი სოციუმი, კაცობრიობა ფლობს<sup>1</sup>“

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ დღევანდელი ობიექტურ აუცილებლობად ხდის უფრო მაღალი დონის ინდივიდუალური სააზროვნო სტანდარტების დამკვიდრებას. ამ გაგებით ჰუმანური აღზრდის მიზანი უნდა იყოს აღსაზრდელს ვასწავლოთ აზროვნება, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მოზარდს გამოეუმუშაოთ ჰუმანიზაციისა და სოციალიზაციის სიღრმისეული აღქმისა და გაგების უნარი ისე, რომ მისთვის ცხოვრება, ჰუმანურობა და სოციალურობა იგივეობრივი ცნებები გახდეს.

ამრიგად, მასწავლებელმა თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა, კერძოდ, მოსწავლეთა ჰუმანიზაცია და სოციალიზაცია, ღირსეულად რომ შეასრულოს, ის სრულად უნდა ფლობდეს, პირველ რიგში პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას, ასევე ფსიქოლოგის თვისებებს და სოციალურ უნარებს, ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს პროფესიულ სიახლეებს და საზოგადოებრივი სივრცის მოთხოვნებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბიბილეიშვილი ლ. ტულუში მ. (2002). სოციალური პედაგოგიკა, თბ.
2. ქეცბაია კ. (2020). განათლების სოციოლოგია, თბ.
3. ჯაგოდნიშვილი თ. ჯაგოდნიშვილი ი. (2009). ვერბალური კომუნიკაციები, თბ.
4. ჯინჯიხაძე ჯ. (2017). პედაგოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ.
5. ჯინჯიხაძე ჯ. (2014). თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ.
6. ხუხუა გ. (2009). პედაგოგიკა, თბ.
7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

---

<sup>1</sup>ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. ვერბალური კომუნიკაციები, 2009.გვ., 45-45.

---

---

**Medea Salia** – PhD student of the Faculty of Engineering Economy, Media-technologies and Social Sciences of the Georgian Technical University. She conducts teaching activities at the Sukhumi State University, the Faculty of Education, is engaged and studied the problem of human is mand its shortage in the post-modernsociety (Subject of dissertation `Humaneupbring in modeling in the education sociology~). She is an author of scientific papers, brochures.

---

---

## **Teacher as a socialization agent**

### **Abstract**

The teacher always has to conduct his/her activity in the face of epochal challenges. His/her competency has predetermined a value-based or pragmatic membership of the rising generation in the society. The present-day teacher is in front of the high responsibility – fulfilment of value-based mission – to be a role model and make pupils worthy people, and its accomplishment is attained thanks to high intellectual and humanistic breeding.

Teacher's readiness for pupil humanization will give us a humane fulfilled social actor. Thus, a teacher ready for humanism nurturing will prepare a society member with healthy mind, a competitive and integrable generation.

This article narrates discussion namely in this aspect and pinpoints attention upon those novelties, which are introduced in the educational environment of our country and will develop and prepare the modern teacher for pursuance of effective learning process and successful educational activity.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ლია ანთაძე** – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) ასისტენტ-პროფესორი, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია „მშობელთა ჩართულობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის მიღწევებზე“.

---

## **დიფერენცირება სწავლება და სტუდენტების ჩართულობა**

21-ე საუკუნეში დიფერენცირებული სწავლება სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. დღეს, დიფერენცირებულ სწავლებასთან დაკავშირებულია რამდენიმე ძირითადი ასპექტი და სტრატეგია განიხილება: სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, მოქნილი სასწავლო გარემო, მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები/სტრატეგიები, ინდივიდუალური დავალებები, თანამშრომლობა/მხარდაჭერა, მორგებული შეფასების ფორმები და ა.შ.

უმაღლეს სასწავლებლებში დიფერენცირებული სწავლება არის სტუდენტის უნიკურობის აღიარება და შეფასება. დავალებებისა და შეფასებების ინდივიდუალურ საჭიროებზე და ინტერესებზე მორგება. ლექტორს შეუძლია ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას, მიღწევებს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარების განვითარებას.

სწავლების ეფექტურ მეთოდს შეუძლია გააძლიეროს სტუდენტის მოტივაცია დააკადემიურ მოსწრებაში სტუდენტის ჩართულობა. მსგავსი მეთოდები შეიძლება იყოს: ჯგუფური დისკუსია, პრობლემის გადაჭრის აქტივობები, პრაქტიკული ექსპერიმენტები და სხვა, რომლებიც ახალისებს სტუდენტებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში.

ლექტორი დიფერენცირებული სწავლების დროს იყენებს ინტერქტიულ ლექციას, ხოლო მის დასაგეგმად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებას. იგი აღიარებს, რომ სტუდენტებს აქვთ გამოცდილება, სწავლის თავისებური სტილი, სუსტი და ძლიერი მხარეები, რომელსაც შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება. მისი კონცეფცია ემყარება იმის გაგებას, რომ სწავლისადმი „ერთი ფორმით“

მიდგომა არ არის მართებული, ამის ნაცვლად მხარს უჭერს სტრატეგიების და შეფასებების მრავალფეროვნებას.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპია – ყველა მოსწავლე/სტუდენტი არ სწავლობს ერთნაირად ან იმავე ტემპით. ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს დამატებით მუშაობა, ხოლო ზოგიერთსაც შეიძლება დასჭირდეს უფრო რთული ამოცანები ჩართულობის შესანარჩუნებლად. ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ინსტრუქციის მორგებით, ლექტორი მიზნად ისახავს შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის სტუდენტის ჩართულობას და მიღწევებს.

ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს და სტრატეგიას, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება დიფერენცირებულ სწავლებასთან: მასწავლებლები/მენტორები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს, როგორცაა წინასწარ ტესტები, დაკვირვებები და მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა შეაგროვონ მონაცემები ცალკეული მოსწავლის ძლიერი, სუსტი მხარეების და სწავლის სტილის შესახებ. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს სასწავლო გადამწყვეტილებების მიღებას. ასევე სტუდენტები ორგანიზებულნი არიან მოქნილ ჯგუფებად მათი ამჟამინდელი გაგების დონის, ინტერესების საფუძველზე. ეს ჯგუფები შეიძლება რეგულარულად შეიცვალოს, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, იმუშაონ სხვადასხვა თანატოლებთან და ისარგებლონ თანამშრომლობითი სწავლის გამოცდილებით. იგივე, ლექტორები უზრუნველყოფენ შინაარსის დიფერენციას, რაც გულისხმობს მასალის სირთულის კორექტირებას. ლექტორის მიზანია აჩვენოს და შესთავაზოს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული მიდგომები. სტუდენტს ეძლევა ცოდნის გამოვლენის სხვადასხვა გზა, იქნება ეს პრეზენტაცია, პროექტი, წერილობითი მოხსენებათუ სხვა.

დიფერენცირებულ სწავლებაში მნიშვნელოვანია მუდმივი უკუკავშირი და შეფასება, ეს შეიძლება იყოს განმავითარებელი შეფასება, თვითრეფლექსია, ინდივიდუალური, თუ ჯგუფური შეფასება. მნიშვნელოვანია აღნიშნულ სწავლებაში სტუდენტი გრძნობდეს მხარდაჭერას.

დიფერენცირებული სწავლებით, ლექტორი მიზნად ისახავს შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სადაც თითოეული სტუდენტის საჭიროებები და შესაძლებლობები იქნება გათვალისწინ-

ნებული. ხელი შეუწყოს აკადემიურ ზრდას, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩატარებულ იქნა თვისებრივი კვლევა, მიზნობრივი შერჩევით, სტუდენტებთან და ლექტორებთან სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. *რომლის მიზანია* „გამოიკვლიოს დიფერენცირებული სწავლების გავლენა სტუდენტთა ჩართულობაზე, საუნივერსიტეტო გარემოში. გამოიკვლიოს სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება“.

დიფერენცირებული სწავლებით, სხვადასხვა სწავლების ფორმის და მეთოდის გამოყენებით სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში იზრდება. სტუდენტებს აქვთ ინტერესი, რომ მათი ლექციები იყოს განსხვავებული ერთმანეთისგან, მორგებული მათ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე. მათ ესმით და ფლობენ ინფორმაციას – რა არის დიფერენცირებული სწავლება, როგორი უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაცია დიფერენცირებული სწავლების დანერგვის შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში, მისი ფართოდ მიღება ჯერ კიდევ ხშირად ვერ ხერხდება. ასევე, აღნიშნული მიდგომა ლექტორის მხირდან მოითხოვს დიდ ძალისხმევას და მონდომებას, ამ მხრივ მათ აქვთ ბარიერები, ხშირად მათ არ რჩებათ, დრო, ენერგია, რესურსი, უზრუნველყონ აღნიშნული მიდგომები, რაც ნეგატიურად აისახება სტუდენტის ჩართულობაზე, ინტერაქციაზე და საერთო დასწრებაზე, ეს ყველაფერი გვაფიქრებს, იმაზე, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვითარდეს კვლევები, მოხდეს მძლავრი კამპანიების დაგეგმვა/განხორციელება, რათა რაც უფრო ნაკლებია დიფერენცირებული სწავლება და უგულებელყოფილია მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდები, მით უფრო უინტერესოა სალექციო კურსი.

თუმცა, აღსაღნიშნია ის, რომ ბოლო წლებში სტუდენტთა ჩართულობის დონის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა, ლექტირები სტუდენტების აქტიურობას დადებითად აფასებენ, რაც განპირობებულია სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მეტიც, სწავლების პროცესში სხვადასხვაონლაინ პლათფორმების ინტეგრირებით. (Kahoot-ი, Canva...).

სტუდენტებმა აღნიშნეს მოტივაციის მაღალი დონე, ინტერესი საგნის მიმართ, როდესაც მათი შესაძლებლობები, საჭიროებები გათ-

ვალინინებულია. როდესაც სალექციო/სასემინარო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, შეფასების ფორმები, ონაღინ პლათფორმები და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის თანახმად ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურებულია, რომ “დიფერენცირებული სწავლების ტექნიკების გამოყენება ინვეეს სტუდენტთა ჩართულობის დონის გაზრდას ტრადიციულ, ერთჯერადი სწავლების მიდგომებთან შედარებით.”

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ა. (2009). უმაღლესი სკოლის პედაგოგია. თბ.
2. ჭყუასელი ქ, ჭყუასელი ი. (2012). პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. თბ.
3. ვულფოლკი ა. (2007). განათლების ფსიქოლოგია. თბ.
4. კუჭავა ნ. (2017). დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია. თბ;
5. ჯინჯიხაძე ჯ. (2012). თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბ.
6. High impact teaching strategies in action: Differentiated teaching - <https://education.vic.gov.au/school/teachers/classrooms/Pages/approacheshitsDifferentiation.aspx>

---

**Lia Antadze** – Doctor of Social Sciences. Assistant Professor of the National University of Georgia, Head of the Master's Program in Education Administration, University. He has published various scientific works, including the monograph "The Impact of Complex and Socio-Economic Parental Involvement on Adolescent Achievement"

---

### Differentiated learning and student engagement

#### Abstract

Differentiated learning in higher education is about recognizing and valuing the uniqueness of students. Tailoring assignments and assessments to individual needs and interests. A lecturer can help students to engage, achieve and develop the ability to learn the whole world.

An effective teaching method can enhance student motivation and student academic performance.

It is interesting what is happening in Georgian higher education institutions, how they evaluate knowledge and to the extent that they understand the essence of Differentiated teaching, how they evaluate the attitude of lecturers in relation to diverse teaching.

Hence, purposeful material analysis, purposeful study, use of in-depth interviews of students and lecturers. As a result, it is presented that Differentiated teaching can affect the academic quotient of students, it provides tools for guests to motivate equality, although it is also concluded that it is designed to be difficult and the role of its professorial people.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ნინო კიკნაველიძე** – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორანტი (სტუ). სხვადასხვა ორგანიზაციაში იკავებდა ბავშვთა ფსიქოლოგის პოზიციას. მუშაობდა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასების და მშობელთა კონსულტირების მიმართულებით, კერძოდ, ქიდს.ჯი-ში (kids.ge). ამასთან, მონაწილეობა აქვს მიღებული პიროვნების საკვლევე კითხვარების ქართულ პოპულარიზაციულ ადაპტაციის პროცესში (MMPI-ს კითხვარი).

---

## **მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და ფსიქოლოგის როლი სასკოლო განათლების სისტემაში**

მოზარდთა არასასურველი ქცევა, ჩვენი რეალობის სერიოზული გამოწვევაა. რთულია ზუსტი ასაკობრივი კატეგორიის განსაზღვრა, თუმცა მოიაზრება, რომ მოზარდობა ესაა ცხოვრების გარკვეული პერიოდი. ერთგვარი გზა, ბავშვობიდან ზრდასრულად ჩამოყალიბებამდე.

წინამდებარე სტატიის მიზანია, სასწავლო დაწესებულებაში ფსიქოლოგის როლის წინ წამოწევა. ამ სფეროში არსებული მეცნიერული მიღწევების რეალურ სასკოლო ცხოვრებასთან დაახლოება. ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება. მეტად თვალსაჩინო გახდეს, რამდენად მნიშვნელოვანია, სკოლის გარემოში მოზარდთა ანტისოციალური ქცევის შესწავლა, გაგება, შეფასება და კონსულტირება.

მოზარდის, პედაგოგისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა დარგის სპეციალისტის კომპეტენციაა. მნიშვნელოვანია, სასწავლო დაწესებულებაში, ინდივიდებსა და ჯგუფებს, აკადემიური მიღწევებისა თუ უკეთესი სოციალური გარემოს შექმნისთვის საჭირო უნარების განვითარებაში ფსიქოლოგი დაეხმაროს. სფეროში უცხოური კვლევები და მათი შედეგებია მოყვანილი, სტატიაში მოცემული თეორიული მსჯელობის გასამყარებლად.

სასკოლო გარემოში მოზარდთა ანტისოციალური ქცევა საკმაოდ გავრცელებულია. საქართველოში არსებული მდგომარეობა და მონაცემები ცხადყოფს, რომ მოზარდებში არასასურველი ქცევის მატების ტენდენციაა. რაც თავის მხრივ, სასწავლო დაწესებულებებში ფსიქოლოგის საჭიროებას ზრდის. დარგის სპეციალისტის მთავარი მიზანია, სკოლის ადმინისტრაციას ბავშვისთვის ჯანსაღი, პოზიტიუ-



რი და ეფექტური გარემოს შექმნაში დაეხმაროს. მოზარდის ცხოვრება სასკოლო გარემოში, შესაძლებლობისამებრ პროდუქტული და ბედნიერი გახადოს.

საინტერესოა, არასასურველი ქცევა თავად მოზარდს უშლის ხელს თუ გარემომყოფებს, რამდენად აფერხებს სოციალურ ურთიერთობებს და განვითარებას, აბრკოლებს თუ არა მოზარდს აკადემიურ მიღწევებში. თითოეული სიტუაცია, ქცევის ეპიზოდი, რომელიც მიმდინარეობს მხოლოდ მოზარდს არ ეხება. ქცევა ეს კომუნიკაციაა. თავისთავად ქცევა არც ცუდია და არც კარგი, მნიშვნელოვანია კონტექსტი და მიზანი.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა არის მოზარდის ანტისოციალური ქცევა. ცნების ზუსტი და ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს. ზოგადი განმარტებით, ანტისოციალური ქცევა ეს არის სოციალური ნორმიდან გადახრა, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას (ქცევა აუცილებლად კანონმდებლობით დასჯად ქმედებას არ გულისხმობს, ავტ.).

ტერმინი ანტისოციალური მოიხსენიება, როგორც საზოგადოებისთვის საზიანო. საყურადღებოა სიტყვის შემადგენლობა. ის შედგენილი სიტყვაა, anti-წინააღმდეგ, ბერძნულ წყაროებში, ხოლო socialis-საზოგადოებაა ლათინურად. ანტისოციალური გულისხმობს ქცევას, რომელიც კონკრეტულ პოპულაციაში მიღებული სოციალური ნორმიდან გადახრაა. ინდივიდი ან ჯგუფი, საკუთარი ქმედებებით, მოქმედ სოციალურ ნორმებს და საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებს არღვევს.

სამწუხარო ფაქტია, რომ თავად ტერმინი, რიგ შემთხვევებში, ისტორიულად ჯგუფების სტიგმატიზაციის მიზნით გამოიყენებოდა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, დაბალი სოციალური კლასის ადამიანების მიმართ იყენებდნენ და გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლებს „ანტისოციალურ ადამიანებს“ უწოდებდნენ. ამგვარი წარსულის გამო, დღესდღეობით, ევროპაში ამ ტერმინს მოზარდებთან მიმართებაში სიფრთხილით ამბობენ.

„ანტისოციალური ქცევის“ სოციოლოგიური ახსნა ეფუძნება ანომის თეორიას ემილდურკემის (David Emile Durkheim. 1858-1917. France.) მიხედვით: ამ შემთხვევაში ანომია ნიშნავს ნორმის ნაკლებობას. კიდევ ერთი თეორია, რომელიც ხსნის „დანაშაულებრივ ქცევას“

არის რობერტ კ. მერტონის (Robert K. Merton – American sociologist. 1910-2003.) თეორია. ის დევიანტური ქცევის მიზეზს ხედავს შეუსაბამობაში კულტურულ მიზნებსა და მათ ხელთ არსებულ საშუალებებს შორის (მაგ. სტატუსი, პრესტიჟი, მატერიალური საგნები...), რომლის მიღწევაც სურთ აქტორებს.

ფსიქონალიტიკოსმა ავგუსტ აიხჰორნმა (August Aichhorn. 1878-1949. Austria.) სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლა ეგრეთ წოდებული „უგულებელყოფილი“ ახალგაზრდების ქცევა. „უყურადღებობის მთავარი მიზეზია ოჯახში სანდო კავშირების არარსებობა და აღზრდის არახელსაყრელი პირობები. უგულებელყოფილ ბავშვებთან ურთიერთობისას თავიდან უნდა იქნას აცილებული დასჯა, უნდობლობა და შიში, რადგან ისინი ინვევენ ანტისოციალურ განცდებს და ამძიმებენ საგანმანათლებლო მდგომარეობას.“აიხჰორნის პრინციპი, განსაკუთრებით აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობისას, იყობსოლუტური სიკეთე და სიმშვიდე, მუდმივი აქტივობა და თამაში, აგრესიის თავიდან ასაცილებლად, ხანგრძლივი და ღრმა დისკუსია ყველა მოსწავლესთან.

ბერნის უნივერსიტეტის მკვლევარი დ. ალსაკერი (D. Alsaker. Universitetern. 2005.) შეისწავლიდა ბავშვთა და მოზარდთა არასასურველ ქცევას. გამოიკვეთა რომ, მნიშვნელოვანია ქცევის წინაპირობის შესწავლა. ხშირად რთულად განსასხვავებელია მოზარდთა ანტისოციალური ქცევა აგრესიას თუ უბრალოდ უბედური შემთხვევა. მისი თეორიის თანახმად, ადრეული გამოვლენა და პროფესიონალის დახმარებით პრევენცია საუკეთესო გამოსავალია.

მეცნიერების ნებისმიერ სფეროში და ბუნებრივია, ფსიქოლოგიაშიც, არსებობს ქცევის კოდექსი და ეთიკური ნორმები, რომლებიც უკავშირდება როგორც სამეცნიერო კვლევას, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას. სასწავლო დაწესებულებაში ფსიქოლოგის კვლევისა და მომსახურების ობიექტი მოზარდია, იმისთვის, რომ მას ზიანი არ მიადგეს, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ფსიქოლოგის ქცევის სტანდარტი პირდაპირაა დაკავშირებული მოზარდის, პედაგოგისა თუ მის ირგვლივ სოციუმის, უფლებებსა და კეთილდღეობასთან. ფსიქოლოგიის პრაქტიკული დარგები, ამ ეტაპზე, საქართველოში არ არის ლიცენზირებული. ლიცენზია არის ნებართვა საქმიანობის განხორციელებისთვის, იმის აღიარებით, რომ პროფესიონალს აქვს დაწესებული სტან-

დარტის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; ასევე ვალდებულება, რომ დაიცვან მის პროფესიასთან დაკავშირებული სტანდარტები. ამ მხრივ, სკოლის ადმინისტრაციის კეთილ ნებასა და ფსიქოლოგის პოზიციაზე მომუშავე ადამიანის იმედად რჩება მოზარდი. ვიმედოვნებ, ქვეყნის გრძელვადიანი მიზანი ჯანსაღი ადამიანების გაზრდაა და ამ მიზანს ყველა ერთად ემსახურება.

მოზარდთა ანტისოციალურ ქცევას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მნიშვნელოვანია, მიზეზთა კვლევა, ობიექტური შეფასება და სწორი კონსულტირება. რადგან ქცევა მეტწილად დასწავლილი და შეძენილი კომპეტენციაა. ფსიქოლოგის მიერ შესაძლოა განისაზღვროს მოზარდის ანტისოციალური ქცევის მიზეზები. სპეციალისტის მხარდაჭერით ალტერნატივების შეთავაზება და პერსპექტივების დანახვა მოხდეს. მოზარდმა არასასურველი ქცევით მიზნის მიღწევის გზები შეცვალოს და შემცირდეს ანტისოციალური ქცევის გამოვლენის ალბათობა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაგოშიძე თ. (2005). “ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბ.
2. ადლერი ა. (2014). ბავშვთა აღზრდა. თბ..
3. თ. გოგიჩაიშვილი “განვითარების ფსიქოლოგია“ 2005
4. რაისი ფ. (2012). “მოზარდის ფსიქოლოგია. თბ.
5. Bandura, A. (1989). Human agency in social-cognitive theory. American Psychologist.

---

---

*Nino Kiknavelidze* – PhD student of social sciences (STU). He held the position of child psychologist in various organizations. He worked in the direction of psychological assessment of children and adolescents and counseling of parents, in particular at kids.ge. In addition, he has participated in the process of adapting personality research questionnaires to the Georgian population (MMPI questionnaire).

---

---

## **Adolescent antisocial behavior and the role of the psychologist in the school education system**

### **Abstract**

Adolescence is the most sensitive stage for antisocial behavior. For the foster family, as well as for the school, peers and society, unwanted behavior of adolescents and issues related to it are very relevant. The function and role of the psychologist in the school system is important. Challenging behavior is a sign of deeper problems and needs to be addressed. Despite the urgency of the issue, in the Georgian reality, there are not many studies on the factors causing undesirable behavior of adolescents.

Based on the above, understanding the antisocial behavior of adolescents in the school environment, studying the factors affecting it and looking for ways to deal with it is the competence of a psychologist.

With the initiative and support of the American Psychological Association (APA), in 1945, a separate department of school psychology was created for the first time. Today, this field is still developing in many countries of the world, including Georgia. The development of the field is a prerequisite for reducing the probability of unwanted behavior and forming a healthy society.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

---

**ქეთევან აბესაძე** – სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს საგანმანათლებლო ასოციაცია „თანადგომა“ – თავმჯდომარე.

---

---

## **ემოციური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა სასკოლო ასაკის ბავშვებში**

დღეს სოციო-ემოციური სწავლება, გლობალური მოქალაქეობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციები მოსწავლეთა წარმატების ინდიკატორად მიიჩნევა.

სოციალური ინტელექტი არის ადამიანის უნარი აღიქვას, გაიგოს და შეძლოს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ეფექტურად გადაჭრას ინტერპერსონალური პრობლემები და მოერგოს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებს. აღნიშნული კონცეფცია აღწერს ადამიანის უნარს დაამუშაოს სოციალური ინფორმაცია. გაიგოს სხვათა ემოციები, განზრახვები, მოტივები და მოლოდინები.

სოციალურ-ემოციური განვითარება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ბავშვები და მოზარდები ავითარებენ უნარებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვებთან ურთიერთობასთან, ემოციების მართვასა და სხვისი გრძნობების გაგებასთან. ეს არის პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის წარმატებაზე.

სოციო-ემოციური სწავლება, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო წარმოდგენილია შემდეგი ხუთი კომპეტენციის სახით. ესენია:

**თვისშემეცნება** – რომელიც მოიცავს საკუთარი ემოციების, პირადი მიზნების, ღირებულებების გაცნობიერებას, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებას.

**თვისმართვა** – მოიცავს უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ემოციების და ქცევების რეგულირება.

**სოციალური ცნობიერება** – მოიცავს განსხვავებული გამოცდილების კულტურის მქონე ადამიანების შეხედულებების მიღებას, ემპათიის და თანაგრძნობის განცდას. ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების შეცნობასა და მხარდაჭერას.

**ურთიერთობის უნარები** – მოიაზრებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს დაამყარონ ჯანსაღი ურთიერთობები.

**პასუხისმგებლობაზე დამყარებული გადწყვეტილების მიღება** – გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციაში პირად ქცევასა და სოციალურ ინტერაქციასთან დაკავშირებული სოციო-ემოციური სწავლის შესაძლებლობის მიცემა.

ცნობილია, რომ სოციალურ-ემოციური განვითარება იწყება ადრეული ბავშვობიდან და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. 90-იანი წლების ბოლოს ფართოდ გავრცელდა მტკიცება, რომ ადამიანის ცხოვრებაში და საქმიანობაში წარმატებული რეალიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის, ინტერპერსონალური ურთიერთობების სისტემაში ეფექტიანად მოქმედების, სოციალურ სიტუაციებში ნავიგაციის, სხვა ადამიანების პიროვნული მახასიათებლებისა და ემოციური მდგომარეობის სწორად განსაზღვრის და მათთან კომუნიკაციის ადეკვატური გზების არჩევის უნარი. ასევე, ამ ყველაფრის განხორციელება ურთიერთქმედების პროცესში.

შესაბამისად, დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მხრიდან სოციალურ – ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობი სასწავლო სტრატეგიების გამოყენება, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მიღებული ცოდნის რეალიზებასა და პიროვნულ წარმატებაში.

წარმოგდგენთ სოციო-ემოციური სწავლის ერთ-ერთ აქტივობას, რომელიც სოციალურ – ემოციური განვითარების გზით ეხმარება მოსწავლეს აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

### **აქტივობა „ბრაზის თერმომეტრი“**

აქტივობა „ბრაზის თერმომეტრის“ გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით საფეხურზე ვინაიდან, სოციო-ემოციური სწავლის ერთ-ერთ მიზანს ემოციების ამოცნობის, გააზრების და მართვის უნარის განვითარება წარმოადგენს. ამ აქტივობის შედეგად: მოსწავლეები სწავლობენ, რომ გაბრაზება ბუნებრივი მოვლენაა და, რომ ყველა შეიძლება გაბრაზდეს სხვადასხვა მიზეზის გამო და სხვადასხვა სიტუაციაში ბრაზის ტემპერატურამ შეიძლება მოიმატოს, როგორც წყლის ტემპერატურა იმატებს ნელ-ნელა, სანამ ადულდება.

## პრაქტიკული რჩევები „ბრაზის თერმომეტრის“ გამოყენებისათვის.

მომზადდეთ სამუშაო ფურცელი, რომელიც თამაშის ძირითად მასალას წარმოადგენს. სამუშაო ფურცლებზე თითოეული ნიშნული შეგიძლიათ სხვადასხვა ფერით მონიშნოთ ისე, რომ ფერის გრადაცია მოხდეს ქვევიდან ზემოთ 1-დან 5-ის ჩათვლით. ნუმერაციის მიხედვით დაიტანეთ მინიშნებები:

1. მშვიდი
2. გაღიზიანებული
3. ნაწყენი
4. გაბრაზებული
5. განრისხებული

სამუშაო ფურცლები შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი დისკუსიისას რაიმე თემაზე, ასევე კონკრეტული ტექსტის, ვიდეომასალის, მოვლენის ან ამბის ანალიზისას (მაგალითად, კლასში მომხდარი კონფლიქტი, ბულინგი ან სხვა ისეთი შემთხვევები, რომელმაც შეიძლება გამინვიოს მოსწავლეთა გაბრაზება).

მოსწავლეები (ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში) ავსებენ „ბრაზის თერმომეტრის სამუშაო ფურცელს კონკრეტული ნიშნულის (შინაარსის, ემოციის) შესაბამისად, ასახელებენ მაგალითებს/მიზეზებს თუ რამ გამოიწვია მათი გაბრაზება და ხსნიან თუ რატომ მონიშნეს ესა თუ ის ნიშნული.

ფურცლების შევსების შემდეგ მოსწავლეებს უნდა მივცეთ დისკუსიის და მსჯელობის საშუალება – ისაუბრონ თავიანთ ემოციებზე, ახსნან თუ რა მიზეზით მოხდა მათ თერმომეტრზე ემოციური „ტემპერატურის“ მატება.

აქტივობის ბოლოს მოსწავლეებმა უნდა ისუბრონ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა ემოციების მართვა და რა გამოსავლი შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ სიტუაციაში ემოციის მართვის თვალსაზრისით.

დისკუსიისა და მსჯელობის დროს მოსწავლეები შეძლებენ ერთმანეთის მოსმენას, ემოციების გაზიარებას და განსხვავებული აზრის მიმღეობის უნარის განვითარებას.

## **გლობალური მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები**

გლობალური მოქალაქეობა არის იმ ღირებულებების აღიარება, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ხელს უწყობს მსოფლო ხალხების მშვიდობიან თანაცხოვრებას.

საგაკვეთილო პროცესში გლობალური მოქალაქეობის უნარის განვითარებას ხელს უწყობს ისეთი აქტივობები როგორცაა: „ცხელი სკამი“ და „ყინვის ჩარჩო“.

### **აქტივობა „ცხელი სკამი“**

აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს კითხვის დასმის, ღირებულებების აღმოჩენისა და პრობლემური საკითხების მიმართ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების და კრიტიკული აზროვნების უნარი. აქტივობა „ცხელი სკამი“ შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების სამივე საფეხურზე. იგი მეტად ეფექტურია ისეთი თემების შესწავლის დროს როცა ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟის ქცევა არის არაორდინალური ან განსხვავებული.

### **პრაქტიკული რჩევები „ცხელი სკამის“ გამოყენებისათვის.**

შერჩეული მოსწავლე გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე და „ირგებს“ პერსონაჟის როლს. შემდეგ კი თანაკლასელები მას რიგ-რიგობით უსვამენ კითხვებს, რომელიც განსახიერებულ პერსონაჟს ეხება. მეტი დამაჯერებლობისათვის შეიძლება ამორჩეული პერსონაჟისათვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტიკის გამოყენებაც.

უმჯობესია თუკი დასაწყისისთვის ისეთ მოსწავლეს შევარჩევთ, რომელიც ამ დავალებას, თქვენი აზრით, კარგად გაართმევს თავს. ნიმუშის საჩვენებლად შეიძლება შერჩეული პერსონაჟის როლი თავდაპირველად თვითონ მასწავლებელმაც განასახიეროს.

ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წააქეზოს ბავშვები, დასვან პრობლემური შეკითხვები და მაგალითის საჩვენებლად, თვითონაც დაუსვას შეკითხვები „ცხელ სკამზე“ მჯდომ მოსწავლეს.

### **აქტივობა „ყინვის ჩარჩო“**

აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი კომპეტენციების უნარის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტურია სწავლების დაწყებით და საშუალო საფეხურზე.

### **პრაქტიკული რჩევები „ყინვის ჩარჩოს“ გამოყენებისათვის.**



მოსწავლეები კითხულობენ უცხო ტექსტს. მასწავლებელი გარკვეულ მომენტში „ყინავს“ მოქმედებას და სთხოვს მოსწავლეებს თვითონ გააგრძელონ სიუჟეტი განვითარებული მოვლენების შესაბამისად და იმსჯელონ იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ ამბის არა მხოლოდ გაგრძელება არამედ, დასასრული.

მოსწავლეებს შეუძლიათ გაითამაშონ თავიანთი ვარაუდები და შეუსატყვისონ მოთხრობის რეალურ ისტორიას.

### **ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა აქტივობა „ფერადი სტიკერები“**

აღნიშნული აქტივობის მიზანია ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება. იგი ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ინკლუზიის, გარიყულობის, თანამშრომლობის, კონკურენციის, დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეების მიერ საკუთარი დამოკიდებულების, რწმენისა და ღირებულების შესახებ მოსაზრებების შემუშავების მიზნით.

**პრაქტიკული რჩევები „ფერადი სტიკერების“ გამოყენებისათვის.**

აქტივობისათვის საჭიროა ოთხი ფერის სტიკერი.

მოსწავლეები დგებიან წრეზე და მასწავლებელი აცნობს ინსტრუქციას:

- აქტივობის დასაწყისში მოსწავლეები ხუჭავენ თვალებს.
- თვალის გახელის შემდეგ არ შეიძლება საუბარი და მხოლოდ მიმიკებით/ჟესტებით შეიძლება მოქმედება.

მასწავლებელი წრეზე მდგომ მოსწავლეებს ჩუმად აკრავს შუბლზე პატარა ფერად სტიკერებს შემდეგი პრინციპით (პირობითად, 20 მოსწავლის შემთხვევაში):

- უმრავლესობა – ლურჯი სტიკერი 8 მანაწილე.
- მეორე უმრავლესობა – მწვანე სტიკერი 6 მონაწილე.
- პირველი უმცირესობა – ყვითელი სტიკერი 3 მონაწილე.
- მეორე უმცირესობა – წითელი სტიკერი 2 მონაწილე.
- ერთი მოსწავლე რჩება სტიკერის გარეშე.

ფერადი სტიკერების განსხვავებული რაოდენობა განკუთვლილია სოციალური უთანასწორობის მოდელირებისთვის. სავარაუდოა, რომ უმრავლესობის ჯგუფის წევრები მეტად თავდაჯერებულად იგრძნობენ თავს.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაჯგუფდნენ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ისინი ჯგუფებიდან სტიკერების ფერების შესაბამისად. ისინი იყენებენ მინიშნებებს და ჟესტების ენას. მოსწავლეები აცნობიერებ, რომ ამოცანის შესასრულებლად ერთმანეთს უნდა დაეყრდნონ.

დაჯგუფების შემდეგ მასწავლებელი უსვამს კითხვებს მოსწავლეებს:

- რას გრძობდნენ მაშინ, როცა თვალები ჰქონდათ დახუჭული და თვალების გახელის შემდეგ?
- რატომ გააკეთეს არჩევანი სტიკერის ფერებზე და არა სხვა რომელიმე მახასიათებელზე?
- რას გრძობდა მოსწავლე რომელიც სტიკერის გარე დარჩა?
- რას გრძობდნენ მაშინ როცა არ შეეძლოთ საუბარი?
- რაზე დაგაფიქრათ ამ აქტივობამ?

აქტივობა სრულდება იმით, რომ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განაზოგადონ საკუთარი მოსაზრებები და იმსჯელონ იმ პრობლემების შესახებ, რომელმაც დააფიქრა (დისკუსიის შედეგად მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ფარული დისკრიმინაცია უმცირესობათა/განსხვავებულობის მიმართ).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზიმბარდო ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, მე – 16 გამოცემა. თსუ, თბ. მაღაზონია დ, ლობჟანიძე ს, მაღლაკელიძე შ, ჭიბრიჭვილი ნ, ნაცვლიშვილი ნ. (2021). „მოქალაქეობრივი განათლება“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მარწყვიშვილი ხ. მესტიერიშვილი მ. (2010). „ემოციური ინტელექტი – უნარი, პიროვნული ნიშანი და კომპეტენცია. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე.
2. Daniel Goleman. (2005). “Emotional intelligence“ Introduction copyright by Daniel Goleman
3. Social Intelligence: The New Science of Human Relationships Paperback – 2007

---

---

*Ketevan Abesadze* – Academic Doctor of Social Sciences. Educational Association of Georgia "Tanatdga" – chairman.

---

---

**Promoting the development of emotional intelligence  
in school-aged children**

**Abstract**

Social intelligence is a person's ability to perceive, understand and be able to communicate with other people. Effectively solve interpersonal problems and adapt to different social situations. This concept describes a person's ability to process social information. Understand the emotions, intentions, motives and expectations of others.

Social-emotional development is the process by which children and adults develop skills and abilities related to interacting with others, managing emotions, and understanding the feelings of others. It is an important aspect of personality development that affects the quality of life and the success of relationships with other people.

Today, socio-emotional learning, global citizenship and intercultural competencies are considered indicators of student success.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**სოფიო ყველაშვილი** – ფსიქოლოგიის მაგისტრი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი. წმინდა ანდრეას ქართული უნივერსიტეტი – ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, სამაგისტრო პროგრამა ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება – ასისტენტ-პროფესორი.

---

## ფსიქოლოგიური ტრავმა ზრდასრულებთან და ბავშვებთან

სტრესი არის ორგანიზმის არასპეციფიკური რეაქცია ნებისმიერ მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნაზე. მაგ: არ აქვს მნიშვნელობა სიტუაცია სასიამოვნოა თუ არა, მნიშვნელოვანია რა ინტენსიობით მოითხოვს ორგანიზმისგან ადაპტაციას.

სტრესის გაგება გამოიყენება ადამიანის საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად, რომელიც აღმოცენდება ექსტრემალური მოვლენების საპასუხოდ. ეს შეიძლება იყოს ცხოვრებისეული სიტუაციები, გარემო ფაქტორებიდან გამოწვეული სტრესი. სტრესში მოიაზრება სულიერი სიმშვიდის და წონასწორობის საწინააღმდეგო მდგომარეობა. სტრესის ოპტიმალურ დონეს დადებითი ეფექტის გამოწვევა შეუძლია. სასიამოვნო აღზნება, შესაძლებლობების მობილიზება... იმას თუ რა ტიპის რეაგირებას მოახდენს ადამიანი სტრესზე დამოკიდებულია ორგანიზმის ადაპტაციის უნარზე. როგორ შეუძლია პიროვნების ორგანიზმს სტრესთან გამკლავება.

სტრესის გამომწვევი შეიძლება იყოს როგორც ფიზიოლოგიური ისე ფსიქოლოგიური. ამასთან განარჩევენ: კრიტიკული სახის ცხოვრებისეულ მოვლენებს, ტრავმატულ სტრესს, ყოველდღიურ ან ქრონიკულ სტრესორებს.

სტრესი ყოველთვის არის ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური ზიანის შედეგი, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც პოზიტიური ისე უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. აქედან გამომდინარე სელიე გამოყოფს სტრესის ორ სახეს: **ეუსტრესს** – ორი მნიშვნელობა აქვს – სტრესი, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული დადებითი ემოციით და არც თუ ისე ძლიერი სტრესი, რომელიც ორგანიზმის მობილიზებას იწვევს და **დისტრესს** – ცხოვრებისეული სირთულეების წინააღმდეგ

ბრძოლის უნარის დაქვეითება. ორგანიზმის უარყოფითი, ფიზიოლოგიური დამცველობითი რეაქცია ნებისმიერ გამლიზიანებელზე.

თუ ორგანიზმში ყველა ფუნქცია ნორმალურადაა სტრესი იწვევს სწრაფ და ძლიერ ჰორმონალურ პასუხს, მაგრამ ექსტრემალური ან ქრონიკული, დროში გახანგრძლივებული სტრესის დროს ჰორმონალური პასუხის ეფექტურობა ირღვევა და სტერსული ჰორმონები შეიძლება ისეთი რაოდენობით გამომუშავდეს რომ გამოიწვიოს ტვინისა და მეხსიერების ფუნქციის დარღვევა. მაგ: სტრესული ამნეზია .... ადამიანის ორგანიზმი ძილის დროსაც განიცდის სტრესს: საჭმლის მომწელებელი სისტემა ამუშავებს საკვებს, გული სისხლს მიმოქცევას უზრუნველყოფს... ანუ ადამიანი, მუდმივად არის სტრესის ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ გასათვალისწინებელია რა ხარისხით მოქმედებს სტრესი პიროვნებაზე.

სტრესის დაძლევა პიროვნებისგან მოითხოვს როგორც ფსიქოლოგიურ ისე ფიზიოლოგიურ ძალისხმევას. თუ სტრესულ სიტუაციისთან გამკლავება ვერ ხერხდება ეს შეიძლება გახდეს სერიოზული ფსიქიკური პრობლემების მიზეზი.

სტრესი შეიძლება იყოს ადაპტური და მატრავმირებელი, რომელიც ფსიქოლოგიური ტრავმის სახელწოდებითაა ცნობილი. ფსიქოლოგიური ტრავმა – ეს არის ადამიანის ნორმალური რეაქცია რთულ, მატრავმირებელ გარემოებაზე, როდესაც პიროვნებას უხდება ისეთი რამის გადატანა, რაც სცდება ადამიანის გამოცდილების საზღვრებს.

ვ.გ. რომეკი, ვ.ა. კონტოროვიჩი გამოყოფენ ტრავმის ოთხ მახასიათებელს:

1. პიროვნებას შეუძლია მომხდარის გაცნობიერება, ადამიანმა იცის რაც გადახდა და რის გამოც გაუარესდა მისი ფსიქიკური მდგომარეობა. მაგრამ იგივეს თქმა არ შეგვიძლია ტრავმული შოკის შემთხვევაში, ამ დროს ადამიანს უჭირს მომხდარის გაცნობიერება.
2. ეს გარემოება განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით.
3. მომხდარი არღვევს ცხოვრების ჩვეულ რითმს.
4. მომხდარი იწვევს უმწეობის განცდას, მიიღოს რაიმე სახის ზომები.

ტრავმაზე ფსიქოლოგიურ რეაქციას აქვს სამი ფაზა:

1. პირველი ფაზა – ფსიქოლოგიური შოკის ფაზა – მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:
  - აქტიურობის დაქვეითება, მოქმედების დეზორიენტაცია.
  - მომხდარის უარყოფა (ეს არის ფსიქიკის თავდაცვითი რეაქცია) ეს ფაზა ხანმოკლეა.
2. მეორე ფაზა – ზემოქმედების ფაზა – ხასიათდება მომხდარზე ძლიერი ემოციური რეაქციით. ისეთი როგორიცაა: ტირილი, შფოთვა, შიში, დადანაშაულება... შემდეგ ხდება საკუთარ თავში ეჭვის შეტანა: „რა იქნებოდა, რომ ყოფილიყო ასე და ... შემდეგ პიროვნება აღიარებს საკუთარ უძლურებას მომხდარის წინაშე. ეს ფაზა არის კრიტიკული რომლის შემდეგ ან იწყება გამოჯანმრთელების პროცესი ან ხდება ტრავმაზე ფიქსაცია (სახეზე შეიძლება მივიღოთ ქრონიკული ფორმა, მუდმივად გლოვის პროცესშია) თუ სახეზეა გამოჯანმრთელების პროცესი გადავდივართ მესამე ფაზაზე.
3. მესამე ფაზა – ნორმალური რეაგირების ფაზა, ემოციები-საგან გამონვეული დაძაბულობისგან განთავისუფლება, რეალობის მიღება, გარემოში ხელახალი ადაპტაცია.

**პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა** -ეს არის მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება ერთჯერადი ან განმეორებადი მატრავმირებელი სიტუაციების დროს. ისეთი სიტუაციები როგორიცაა მაგ: საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, ფიზიკური ტრავმა, სექსუალური ძალადობა, მუქარა სიცოცხლის ხელყოფით, ბუნებრივი კატასტროფები, ტერორისტული აქტები, ტყვედ ჩავარდნა, ძალადობა, წამება, ახლობელი ადამიანის ხანგრძლივი ავადმყოფობა – გარდაცვალება.

სტრესი შეიძლება იყოს იმდენად ძლიერი, რომ გამოიწვიოს აზრები სუიციდზე. შეიძლება ჰქონდეს კოშმარული სიზმრები, მატრავმირებელი სიტუაციის მოულოდნელად გახსენება. ამასთან პაციენტი ხშირად გაურბის ტრავმაზე საუბარს. შესაძლებელია სახეზე იყოს ფსიქოლოგიური ამნეზია, პაციენტს არ შეუძლია მატრავმირებელი სიტუაციის გახსენება. მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს სომატური

დაავადებებით. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთგავლენით.

**ტრავმის გამომწვევი მიზეზები ბავშვებში** – ნებისმიერმა ბავშვისთვის უცნაურმა, უცხო სიტუაციამ, რომელიც შინაარსობრივად მუქარის შემცველია, შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმული რეაქცია, რაც შესაძლოა გამოიხატოს შემდეგი ფორმებით: ბრაზის შემოტევები, ჰიპერაქტიული ქცევა, აგრესიული ქცევა, შიშები, ძილის დარღვევა, ლამის კოშმარები, ენურეზი, ყურადღების, კონცენტრაციის დარღვევა, იზოლაცია, სიმორცხვე და სხვა.

ბავშვისთვის მატრავმირებელი სიტუაციები შესაძლოა დავყოთ ორ ჯგუფად:

1. პიროვნული ურთიერთობით განპირობებული – მშობლებთან დიდი ხნით განშორება, მშობლებისა და უფროსების მხრიდან სითბოს ნაკლებობა, უგულვებელყოფა, სხვა და სხვა ფორმის ძალადობრივი დამოკიდებულებები.
2. გლობალური პრობლემებით განპირობებული – ბუნებრივი კატასტორფები, ხანძარი, საომარი მოქმედებები და სხვა. ოჯახის წევრის გარდაცვალება.

უფროსები ხშირად ცდილობენ დაიცვან ბავშვები და ინფორმაციულ ვაკუუმში ამოყოფონ. რაც არასწორია და ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ ბავშვმა მატრავმირებელ მოვლენას კიდევ უფრო სასტიკი ინტერპრეტაცია მისცეს.

სკოლამდელი ბავშვების რეაქცია ტრავმაზე:ძილის დარღვევა; ცვლილებები კვებაში;მავნე ჩვევებთან მიბრუნება – თითის წოვა;სიჯიუტის შემოტევები;კონფლიქტი ოჯახის წევრებთან;

სასკოლო ასაკი ბავშვების რეაქცია ტრავმაზე:ძილის პრობლემები,ჩივილები – თავის ან მუცლის ტკივილი, უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე,ქცევითი პრობლემები სკოლაში,აკადემიური მოსწრების დაქვეითება, მანიპულატორული ქცევის სტილის შემუშავება. მოზარდის რეაქცია ტრავმაზე:მუდმივი საფრთხის განცდა, ნეგატივიზმი;მომავლისადმი შფოთვითი დამოკიდებულება;ძილის დარღვევები;დებურესია;სიმპტომური ჩივილები – თავის ან მუცლის ტკივილი;ოჯახისგან და მეგობრებისგან იზოლირება;ადიქციური ქცევა;

გამოყოფენ ბავშვზე ძალადობის რამდენიმე ფორმას:

ფიზიკური ძალადობა, ემოციური ძალადობა( დაცინვა, მუქარა, დაშინება, შეურაცყოფა, ღირსების შემლახველი დამოკიდებულება...), უგულებელყოფა – მის ემოციურ და ფიზიკურ დაცვაზე არავინ ზრუნავს, არ აქვს როგორც კვებით ისე ემოციური მხარდაჭერა. სექსუალური ძალადობა. ოჯახური ძალადობა – მისდამი ან ოჯახის სხვა წევრისადმი ძალადობრივი დამოკიდებულება. ეს არის ბავშვის ტრავმატიზაციის მნიშვნელოვანი წყარო და შედეგად მოყვება შემდეგი სახის გართულებები:

ნ თვემდე ასაკის ბავშვები თითქმის არ იღიმიან, არიან ინდიფერენტულნი გარშემომყოფებისადმი, გარეშე გამღიზიანებელზე ნაკლებად რეაგირებენ.

წლინახევრიდან 3-წლამდე – ხშირად იტყუებიან, უფროსებს თავს დამჯერებლად აჩვენებენ, გამოირჩევიან აგრესიულობითა და სასტიკი დამოკიდებულებებით თანატოლებისა და შინაური ცხოველების მიმართ.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები – არ სურთ სკოლის შემდეგ სახლში დაბრუნება, არიან ჩაკეტილნი, თითქმის არ ყავთ მეგობრები, არ სურთ თავიანთი ტრავმის ნამდვილი მიზეზის აღიარება. ძალიან რთულია ომის ტრავმა. შეიძლება იყოს რამდენიმე სტრესოგენული ფაქტორის ზემოქმედება: დაბობვა, სიკვდილის საფრთხე, ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, საცხოვრებელი სახლის დატოვება, ტყვედ ჩავარდნა და სხვა. ბავშვის ფსიქიკაზე გავლენას ახდენს თუ როგორი რეაქცია აქვთ შექმნილ ვითარებაზე ოჯახის წევრებს, რადგან ბავშვი დამოკიდებულია დედის რეაქციაზე. იგი იმეორებს დედის ქმედებებს და განცდებს.

ბავშვებზე და მოზარდებზე ძალიან მოქმედებს ახლობელი ადამიანის გარდაცვალება. აქვთ შფოთვა, შიში ბრაზი, ბრალეულობის განცდა, მოლოდინი რომ თუ ახლა დედა მოკვდა მალე მამაც მოკვდება, იზოლაცია ... 5 წლამდე ბავშვები ვერ აცნობიერებენ რომ სიკვდილი ასახვას დასარულს და ელოდებიან გარდაცილილის დაბრუნებას.

**ფსიქოლოგიურ მკურნალობას რაც შეეხება** დღესდღეობით ყველაზე ძლიერი მეცნიერული რწმუნებულების საფუძველი გააჩნია კოგნიტურ-ქცევით თერაპიას( CBT), პოსტტრავმული სტრესის სამკურნალოდ ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფსიქოთერაპიული მეთოდი „EMDR“.



სტრესად იწოდება ყველა ის გამლიზიანებელი (ფიზიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური), რომელსაც შეუძლია მაღალი დონის როგორც ფიზიკური ისე სულიერი დაძაბულობის გამოწვევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბებერაშვილი ზ, ზაზაშვილი ნ, კილაძე ნ, ცირამუა მ, ძნელაძე ნ, ჭყოიძე ხ. (2009). ფსიქოტრავმატოლოგიის საფუძვლები, თბილისი;
2. Hans Selye, (1974). Stress Without Distress, Lippincott Williams & Wilkins; First Edition (January 1);
3. Julian D Ford, Damion J. Grasso, Jon D. Elhai , Christine A. (2015). Courtois Posttraumatic Stress Disorder: Scientific and Professional Dimensions 2nd Edition, Academic Press; 2nd edition;
4. Водопьянова Н. (2009). Психодиагностика стресса, СПб.;
5. Пятницкая Е. (2007). Психология травматического стресса *Учебное пособие*, Балашов, Балашовский филиал Саратовского государственного университета им. Н.Г. Чернышевского;
6. <https://developingchild.harvard.edu/science/key-concepts/toxic-stress/>;
7. <https://medlineplus.gov/ency/article/002059.htm>;
8. <https://www.psychiatry.org/patients-families/ptsd/what-is-ptsd>;

---

---

*Sopio kvelashvili* – Master of Psychology. Georgian Technical University – Faculty of Engineering Economic, Media Technology and Social Sciences – PHD student. ST. ANDREWS GEORGIAN UNIVERSITY – School of Business, Computing and social Sciences, Mastersdegree educational program psycho diagnostics and Counselling, Assistant proffessor;

---

---

## **Psychological trauma with adults and children**

### **Abstarct**

Stress is the reaction of the human body to psychological and physical stimulus. Consistency of protective physiological reactions that arise in the body in response to the effects of harmful environmental factors in order to protect from them.

The history of the study of stress is associated with Hans Selye (1907-1982), who was an Canadian endocrinologist of Austro-Hungarian origin. In 1936 a letter, "Syndrome Caused by Various Harmful Stressors", was published in the English journal "Nature". After that, the scientific study of stress began, OAC – common adaptation syndrome or biological stress syndrome.

Psychological trauma is an event characterized by high intensity, a decrease in the ability to respond adequately. Overcoming it exceeds the individual's potential abilities and is the basis for the violation of the adaptation capacity of an individual.

Children are much more vulnerable to traumatic situations. Traumatic situations for a child can be due to both personal relationships and global disasters.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

---

*ირინა მელქაძე* – სოციალური მეცნიერებების დოქტორი. სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლის დირექტორი.

---

---

## **სოციალური ინსტიტუტი, როგორც საზოგადოების მართვის იარაღი**

### **შესავალი**

სახელმწიფოს ცნების განმარტება საუკუნეთა მანძილზე მოიცავს იდეოლოგიური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული მიდგომების საფუძველზე წარმოქმნილ ურთიერთობებს. მისი განმარტება განსხვავებულად მოიაზრება, როგორც ინსტიტუციის ერთობლიობა, ფილოსოფიური იდეა, ჩაგვრისა და გაერთიანების აუცილებლობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ შესაძლოა იდენტურ ცნებებად იქნეს გამოყენებული, თუმცა „ქვეყანა“ უფრო გეოგრაფიული ტერიტორიაა, ხოლო სახელმწიფო – მისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ისტორიულად სახელმწიფოს დაარსებიდანვე მმართველი ჯგუფის ანუ „კასტის“ მთავარი საზრუნავი თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნება ხდება. ვინაიდან ძალმომრეობა მათი „modus operandi“ ანუ „მოქმედების წესია“, მათთვის ყველაზე მთავარ და მუდმივ საზრუნავს იდეოლოგია წარმოადგენს. მმართველობის შენარჩუნებისათვის ნებისმიერ ხელისუფლებას (არა მხოლოდ „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას) თავისი ქვეშევდომების უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება. აღსანიშნავია, რომ აუცილებელი არ არის, ამას აქტიური ენთუზიზმის სახე ჰქონდეს; სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ბუნებრივი გარდაუვალობის წინაშე პასიურ დათმობას დაემსგავსოს. მაშასადამე, მხარდაჭერა გარკვეული აღიარების სახით აუცილებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელეთა უმცირესობას, საბოლოო ჯამში საზოგადოების უმეტესობის აქტიური წინააღმდეგობა გადაწონის. ვინაიდან მიტაცება მხოლოდ წარმოების ნამატიდან არის შესაძლებელი, შეუვალი ქვეშარიტებაა, რომ სახელმწიფოს შემადგენელი კლასები – დაქირავებული ბიუროკრატია (და დიდგვაროვანნი) – ქვეყნის მოსახლეობის უმცირესობას უნდა წარმოადგენდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ მოსახლეობის მნიშვნელოვან ჯგუფებ-

ში უამრავი მომხრე შეიძინონ. ამიტომ, მმართველთა უმთავრეს ამოცანას მოსახლეობის უმრავლესობის ქმედითი მხარდაჭერის ან მორჩილების მუდმივი უზრუნველყოფა წარმოადგენს.

### **სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები**

გერმანელი სოციოლოგი ფრანც ოპენჰაიმერი მიუთითებდა, რომ სიმდიდრის მოსაპოვებლად ორი ურთიერთგამომრიცხავი გზა არსებობს. პირველს, წარმოებისა და საქონელგაცვლის გზას, ის „ეკონომიკურ ხერხს“ უწოდებდა. მეორე გზა კი უფრო მარტივია, რადგან ის არ მოითხოვს წარმოებას; ეს სხვისი დოვლათისა და მომსახურების იძულებითა და ძალმომრეობით მიტაცების გზაა. ეს არის ცალმხრივი მითვისებისა და სხვისი საკუთრების ქურდობის ხერხი, რომელსაც ოპენჰაიმერი გამდიდრების „პოლიტიკურ საშუალებას“ უწოდებდა. გასაგები უნდა იყოს ის, რომ წარმოების მიზნით გონებისა და ენერჯის მშვიდობიანი გამოყენება ადამიანისთვის „ბუნებრივი“ გზაა: დედამინაზე კაცობრიობის გადარჩენისა და აყვავების აუცილებელი წინაპირობა.

სახელმწიფო მმართველობის მრავალგვარ ინსტიტუტს აერთიანებს: ბიუროკრაციას, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, სასამართლოს, სოციალური დაცვის სისტემასა და სხვ., ანუ – მთელ “პოლიტიკურ ორგანიზმს”, და სწორედ ამის წყალობით მოხდა იმგვარი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება XV-XVI ს.ს. ევროპაში, რომელმაც ყველას და ყველაფრის დაქვემდებარება მოახერხა – გინდა სულიერი, გინდა მინიერი ცხოვრების სფეროში. მართლაც, თვითმპყრობელი სახელმწიფოებრიობის თანამედროვე გაგება ჯერ კიდევ 1648 წ. “ვესტფალიის ზავის” პირობებში აისახა. სხვათა შორის, ორგანიზაციული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოს როლის ზრდასა თუ დაკნინებაზეც ვისაუბროთ, იმისდა მიხედვით, იზრდება თუ მცირდება მისი პასუხისმგებლობა; ფართოვდება თუ იზღუდება ინსტიტუციონალური მექანიზმების არეალი.

ასე და ამგვარად, შეგვიძლია სახელმწიფოს 5 ძირითადი ნიშანთვისება ჩამოვთვალოთ:

- სახელმწიფო “უზენაესია” და იგი აბსოლუტურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას ახორციელებს, რამდენადაც ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებასა თუ ჯგუფ-

ზე მაღლა დგას. თომას ჰობსმა სახელმწიფოს ეს იდეა ბიბლიური ლევიათანის, ანუ, გიგანტური “ურჩხულის” ალეგორიად წარმოსახა.

- სამოქალაქო საზოგადოების “კერძო” ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ინსტიტუტები იმთავითვე “საჯარო” ხასიათისაა: სახელმწიფო დაწესებულება პასუხს აგებს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაზეც და განხორციელებაზეც, მაშინ როცა ოჯახი, კერძო ბიზნესიცა და პროფგაერთიანებაც პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.
- სახელმწიფო – კანონიერების აღსრულებაა. მისი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, თუმცა არა ყოველთვის, საზოგადოების ნების გამოხატულებაა და იგულისმება, რომ ისინი საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვითაა განპირობებული; ამდენად, სახელმწიფო საზოგადოების მუდმივი ინტერესების დამცველად ითვლება.
- სახელმწიფო ბატონობის საშუალებაა. მისი ავტორიტეტი იძულებას ემყარება – მას უნდა შესწევდეს უნარი, სათუოდ არ გახადოს არც კანონის მორჩილება, არც კანონდამრღვევთა დასჯა. შესაბამისად, “კანონიერი ძალადობის” (მაქს ვებერი) მონოპოლია სახელმწიფოს უზენაესობის პრაქტიკული გამოვლინებაა.
- სახელმწიფო ტერიტორიალური გაერთიანებაა; მისი იურისდიქცია გეოგრაფიულადაა განსაზღვრული და ვრცელდება ყველაზე, ვინც მის საზღვრებში სახლობს – სულ ერთია, ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი, თუ არა. საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფო (თეორიულად მაინც), ავტონომიურ ერთეულად განიხილება.

საინტერესოა, რომ სახელმწიფოს რაობის შესახებ მსჯელობათა შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფოს წარმოშობის მრავალგვარი თეორია, რომლებიც ხშირად არა მხოლოდ მათი შემქმნელების, არამედ ეპოქის განწყობათა გამოხატულება იყო. მათ შორისაა თეოლოგიური, პატრიარქალური, საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ძალადობისა და ეკონომიკური თეორიები და სხვა.

**თეოლოგიური თეორია.** აღნიშნული თეორია სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ღვთაებრივ ნებას. მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში მიიჩნეოდა, რომ მეფობა ღვთით კურთხეული ან/და ღმერთისგან მიმადლებული ჰქონდა სამეფო დინასტიას. ჯერ კიდევ ძვ. წ-ით მე-17 საუკუნეში შექმნილი ჰამურაბის კანონებში, საზღვარსდგომი მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ: „ღმერთებმა დაადგინეს მეფე ხამურაბი „შავთავიანების“ ბრძანებლად“ ..... „ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა არის ადამიანის ჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის სწორია.“ თეოლოგიური თეორიით იყო განმტკიცებული ბაგრატიონთა დინასტიის მეფობაც საქართველოში.

**პატრიარქალური თეორია** ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და რომში. მის ფუძემდებლად ევროპაში არისტოტელე მიიჩნევა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი, როგორც კოლექტიური არსება ისწრაფვის სხვა ადამიანთან ურთიერთობისა და ოჯახის შექმნისკენ, ხოლო ოჯახის განვითარება წარმოშობს სახელმწიფოს. სახელმწიფო იმ პროდუქტად მიიჩნევა, რომელიც ოჯახების გამრავლების, გავრცობისა და გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. სახელმწიფო ხელისუფლება არის გაგრძელება გვაროვნულ საზოგადოებაში არსებული მამის (პატრიარქის) ხელისუფლებისა.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ახალი თეორიის საფუძვლად იქცა ე.წ. სოციალური კონტრაქტის თეორია, რომელიც **საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის** სახელითაცაა ცნობილი და რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს საფუძვლად უდევს ე.წ. „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“. მისი ფუძემდებლები არიან ინგლისელი ფილოსოფოსები – თომას ჰობსი და ჯონ ლოკი და ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო. ვინაიდან პირველყოფილ სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფო, საზოგადოება იმყოფებოდა „ბუნებრივ მდგომარეობაში“, კერძოდ, მათ ჰქონდათ განუსაზღვრელი პირადი თავისუფლება, თითოეული ადამიანი მხოლოდ თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, რაც იწვევდა „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“. შედეგად არაორგანიზებულ საზოგადოებას შეეძლო თავისი თავის განადგურება. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად „გააფორმეს“ ადამიანებმა ერთმანეთთან „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც, ურთიერთგადარჩენის სანაცვლოდ, თითოეული

მათგანი უარს ამბობდა თავისი ინტერესების ნაწილზე. ხალხი იცავდა კანონებს, იხდიდა გადასახადებს, ასრულებდა სამხედრო და სხვა სახის მოვალეობებს. ხოლო სახელმწიფო სჯიდა დამნაშავეებს, ქმნიდა ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის აუცილებელ პირობებს და იცავდა მოქალაქეებს გარეშე საფრთხისგან.

ერთ-ერთი პირველი, ვისაც მიანერენ **ძალადობის** თეორიის შექმნას, იყო ჩინელი სახელმწიფო მოხელე შან იანი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნეში მოღვაწეობდა. XIX საუკუნეში ძალადობის თეორია მეცნიერულ დონეზე დიჟრინგმა (გერმნელი ფილოსოფოსი), გუმპლოვიჩმა (ავსტრიელი სამართალმცოდნე და სოციოლოგი) და კაუცკიმ (გერმანელი ფილოსოფოსი) დაამუშავეს. ეს თეორია სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ მიზეზად ასახელებს დაპყრობით ომებს, ძალადობასა და ერთი ტომის მიერ სხვების დამორჩილებას.

რაც შეეხება **ეკონომიკურ თეორიას**, ამ თეორიის ფუძემდებლებად გვევლინებიან კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. მის მიხედვით, სახელმწიფო ჩამოყალიბდა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად, რომელმაც „მოითხოვა“ მმართველობის დახვეწა სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენის გზით და წარმოშვა სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში.

თანამედროვე სახელმწიფოების ერთ-ერთი მახასიათებელი მისი სუვერენიტეტია. საქართველო, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, სუვერენული სახელმწიფოა, რაც უმთავრესად ნიშნავს, რომ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება (ძალაუფლება) მისსავე ტერიტორიაზე. იგი არის უზენაესი მის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებში. თუმცა, სუვერენიტეტის თანამედროვე მნიშვნელობა არ გულისხმობს შეუზღუდავ, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. შესაბამისად, „საქართველო სუვერენული სახელმწიფოა“ ნიშნავს, რომ იგი საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის დაქვემდებარებული სხვა სახელმწიფოს ნებას და არ ექვემდებარება სხვა რომელიმე სამართალწესრიგს, გარდა საერთაშორისო სამართლისა. ამასთან საგარეო ურთიერთობებში იგი მონაწილეობს, როგორც თანასწორი სუბიექტი სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით.

საზოგადოებრივი ძალაუფლება ადამიანების მიერ ბუნებაზე ზემოქმედების ძალაუფლებას გულისხმობს, მათ მიერ ბუნებრივი რესურსების გადაამუშავებასა და ბუნების კანონების წვდომას ყველა მო-

ნაწილის სასარგებლოდ. საზოგადოებრივი ძალაუფლება ეს არის ბუნებრივი წესრიგი, როდესაც ყოფიერი კეთილდღეობა ადამიანების მიერ ურთიერთსასარგებლო საქონელგაცვლების შედეგად მიიღწევა. სახელმწიფო ძალაუფლება, როგორც ვნახეთ, უკვე შექმნილი დოვლათის ძალადობრივ და პარაზიტულ მიტაცებას გულისხმობს. ის საზოგადოების შრომის ნაყოფს სახელმწიფო არამწარმოებელი (სინამდვილეში წარმოების წინააღმდეგი) მმართველების სასარგებლოდ ისრუტავს. მაშინ, როცა საზოგადოებრივი ძალაუფლება ბუნებაზე ვრცელდება, სახელმწიფო ძალაუფლება ადამიანებაზე ხორციელდება.

ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ადამიანები ცდილობდნენ სახელმწიფოსთვის კონსტიტუციური და სხვა შეზღუდვები მოერგოთ, მაგრამ ყველა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო წყობილების ნაირ-სახეობების მრავალჯერადი ცვლის, მიდგომებისა და ინსტიტუტების ურიცხვი რაოდენობით გამოყენების მიუხედავად, ვერც ერთმა ვერ მიაღწია მიზანს სახელმწიფოზე ზედამხედველობის დაწესების თვალსაზრისით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. როთბარდი მ. (2000). „ეგალიტარიანიზმი, როგორც ამბოხი ბუნების წინააღმდეგ და სხვა ნარკვევები“. აშშ. გვ. 55-88.
2. შუმპეტერი ი. (1942). „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ ნიუ-იორკი. გვ. 198.
3. ნიდჰემი ჯ. (1958). „კარლ ა. ვიტფოგელის მიმოხილვა, „აღმოსავლური დესპოტიზმი“, „მეცნიერება და საზოგადოება“, გვ. 65.
4. მენკენი ლ. (1953). „მენკენის ქრესტომათია“, ნიუ-იორკი. გვ. 145:
5. კალჰუნი ჯ. (1953). „ხელისუფლების გამოკვლევა“ (ნიუ-იორკი: ლიბერალური ხელოვნების გამომცემლობა, გვ. 25-27.
6. სმიტი ჯ. (1930). „კონსტიტუციური მმართველობის აღმავლობა და დაცემა“, ნიუ-იორკი, გვ. 88.
7. ვილი პ. (1953). „ბარბაროსობის განვითარება“, ვისკონსინი, გვ. 63
8. შონია მ. (2013). „ზოგადი სოციოლოგიის საფუძვლები“ თბილისი, გვ. 127-130.



---

---

*Irina Melkadze* – Doctor of Social Sciences. SSI Ekvtime Takaishvili named after the city of Rustavi #16 Public school principal.

---

---

## **Social institution as a tool of society management**

### **Abstract**

The state is, first of all, a public governing organ(weapon) and managing society is purposeful leadership of people. Two main forms of community management are known : public self-government and the political organization of the community. The first involves the management of society by the society itself, without special (emergency) management bodies, and the second its management by the special (emergency) part of society. The political organization of society is a form of governance of a class society. The system of political organization of society (wholeness) includes the following elements (parts): 1) political parties, 2) legal bodies, 3) the state. So, the political organization of society is a combination of these bodies. The main element of the political organization of the society is the state, through which the management of the class society is carried out. The state is a different apparatus of the management-board of the society, which ensures its management \_board in accordance with the interests of the dominant part of the society by coercive means. Such is the definition of the concept of the state. As for the dominant part of the society, it can be this or that social class or even the whole people. i.e. both minority and the majority of society.

Three main specific characteristics of the state are distinguished in contrast to the governance of the clan society. They are : 1) population division based on the territorial (and not blood-relative) principle; 2) existence of a special coercive apparatus of public authority or governance ; 3) existence of a tax system.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**სალომე აბულაშვილი** – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალური მუშაობის მიმართულებით. მიენიჭა სოციალური მუშაობის ბაკალავრის ხარისხი. არის სოციალური მუშაობის მაგისტრი. 2016 წლიდან აქტიურად მუშაობს სამეცნიერო სტატიებსა და კვლევებზე ადამიანთა უფლებების დაცვის მიმართულებით. მისი პროფესიული პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებულია არასრულწლოვან და სრულწლოვან პირთა მხარდამჭერ სერვისებში მუშაობასთან. პრაქტიკულ საქმიანობას განაგრძობს არასამთავრობო სექტორში.

---

**სოციალური მუშაობა პროპაციის სისტემაში –  
სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის  
პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირებაში –  
საქართველოს მახალითის ანალიზი და საერთაშორისო  
გამოცდილება**

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სოციალური მუშაკის როლი და ფუნქცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის, პრობაციის სისტემაში აღნიშნული სპეციალისტის როლი ზიანის რისკის შემცირებასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში. საერთაშორისო და ადგილობრივი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, მკვლევარებისთვის დღესაც შესწავლის საგანია სოციალური მუშაობის განვითარება პრობაციის სისტემებში და მისი როლი მომსახურების მიმღებებისთვის ცვლილებების განხორციელებაში. საინტერესოა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული მიდგომები, პერსპექტივები, რომელიც იკვეთება პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის მომსახურების გაუმჯობესებისთვის.

მნიშვნელოვნად მიმჩნია აღნიშნული საკითხების მიმოხილვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. საყურადღებოა, რამდენად იზიარებს ადგილობრივი პრაქტიკა მსოფლიოში არსებულ თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ მიდგომებს, განვითარების რა ეტაპზეა პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკის როლი მსჯავრდებულებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაობის მიდგომებისა და მეთოდების გაანალიზება განმეორებითი დანაშა-

ულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების, მათი კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით. კვლევის ამოცანებია: პრობაციის სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით, ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, სოციალური მუშაკის როლის შესწავლა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში; პრობაციის სისტემის ადგილობრივი პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით; სოციალური მუშაობის მეთოდებისა და ინტერვენციების თავისებურებების შესწავლა პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაობის მიდგომებისა და მეთოდების გაანალიზება განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მსჯავრდებულების რისკისა და საჭიროებების შეფასების, მათი კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოყოფილ იქნა შემდეგი ამოცანები: 1. პრობაციის სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით, ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, სოციალური მუშაკის როლის შესწავლა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში; 2. პრობაციის სისტემის ადგილობრივი პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით; 3. სოციალური მუშაობის მეთოდებისა და ინტერვენციების თავისებურებების შესწავლა პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილს, სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა მერყულ მონაცემთა ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. „*ხშირად*

თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკის გამოყენებას, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეისწავლოს მისთვის საინტერესო ფენომენი“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 7).

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია საკვლევე საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება. კვლევაში მიმოხილულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომლებშიც აღწერილია რისკის მართვის მოდელისა და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმის თეორიული მიდგომები, თანამედროვე ტენდენციები, კვლევები, რომლებიც აფასებს ქართულ და საერთაშორისო გამოცდილებას პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის მიმართულებით და ისეთი ოფიციალური დოკუმენტები, როგორცაა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები. მეორეულ მონაცემთა ანალიზის არჩევის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია ეკონომიკური ფაქტორები. კერძოდ, ნაჩმიასის მიხედვით, „ბევრად უფრო იაფია არსებული მონაცემების გამოყენება, ვიდრე ახალი მონაცემების შეგროვება“ (ფრანკფორტ-ნაჩმიასი, 2009, გვ. 432).

რაც შეეხება, სიღრმისეულ ინტერვიუებს, რესპონდენტები შერჩეულნი არიან მიზნობრივად საკვლევე საკითხის გათვალისწინებით. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რელევანტური თანამშრომლები თბილისისა (N=9) და რეგიონის (N=1) მასშტაბით. ამასთანავე, საკითხის სპეციფიურობის გათვალისწინებით, რესპონდენტები არიან სფეროს ექსპერტები (N=2). კვლევისთვის სულ შერჩეულ იქნა 12 რესპონდენტი: 5 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკების 2 პროფესიული ზედამხედველი, პრობაციის ბიუროების 2 უფროსი, 1 უფროს მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, სფეროს 2 ექსპერტი. ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ხანგრძლივობა იყო 1 საათიდან 2 საათამდე, ჩანერილი ვიდეო-აუდიო მასალიდან დაწერილ იქნა ინტერვიუების ტრანსკრიპტი და გაანალიზდა მიღებული შედეგები. ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ პლატფორმა „Zoom“-ის მეშვეობით.

შერჩევის პროცედურა: იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან“ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ

რესპონდენტებმა, რომლებიც ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, საკუთარი თანამშრომლებიდან თავად უწყებამ შეარჩია.

რაც შეეხება კვლევის ეთიკის ნაწილს, ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპონდენტთა უფლებების დაცვას – ისინი კვლევის უმთავრეს ობიექტებს წარმოადგენენ. რესპონდენტების კვლევაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი (ზურაბიშვილი, 2006). პირველ ეტაპზე, მკვლევრის მიერ ოფიციალური წერილი გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანცელარიაში კვლევის ჩატარებისთვის ნებართვის მიღების მიზნით. აღნიშნულის შემდეგ, უწყების მიერ მკვლევარი დაკავშირებულ იქნა რელევანტურ პირებთან.

რაც შეეხება კვლევის შეზღუდვებს, კვლევის შეზღუდვად შესაძლოა განვიხილოთ რესპონდენტთა მცირე რაოდენობა, რის გამოც, ინტერვიუების შედეგად, სრულყოფილად ვერ იქნა ამოღებული ინფორმაცია საკვლევი საკითხის შესახებ. ამასთანავე, კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს რესპონდენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი. კერძოდ, შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არიან იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქ.თბილისისა და ერთ-ერთი რეგიონის რელევანტური თანამშრომლები, ასევე სფეროს ექსპერტები. შესაბამისად, კვლევა არ მოიცავს რესპონდენტებს საქართველოს მასშტაბით.

ლიტერატურის მომიხილვის ნაწილში, განხილულია რისკის მართვის მოდელი და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმა, როგორც ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო. რისკი ხშირად განისაზღვრება ზიანის წარმოშობის ალბათობით, თუმცა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში რისკის კონცეფცია ბევრად უფრო მრავალმხრივია. სოციალური მუშაობის პროფესია ეხება, როგორც კონკრეტული ზიანის სერიოზულობას (ე.წ. უარყოფით ღირებულებას), ასევე მისი წარმოშობის ალბათობასაც. რისკის მართვის პროცესში გასათვალისწინებელია ორგანიზაციული სისტემის ასპექტები, მათ შორის რისკის შეფასება და მართვა, რომლებიც პროფესიული თვალსაზრისით ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ნაწილებია. რისკის პრევენცი-

ის მიზნით მნიშვნელოვანია, უშუალოდ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მუშაობა. სოციალურ მუშაობაში რისკის შესწავლა წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ საკითხს, რომელშიც მნიშვნელოვანი ურთიერთქმედებაა ადამიანის ქცევას, ემოციებს, მტკიცებულებებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ორგანიზაციულ სისტემებს შორის (Whittaker & Taylor, 2017).

რისკის მართვის მოდელი – რისკი თანამედროვე ცხოვრების გავრცელებული მახასიათებელია. რისკი მთელ რიგ იურისდიქციებში გახდა სისხლის სამართლის პოლიტიკის, სასჯელის სისტემისა და სისხლის სამართლის სამსახურის ძირითადი მახასიათებელი. რისკი, როგორც „საფრთხის“ ან „საშიშროების“ ალბათობის გაანგარიშების მიდგომა, სათავეს იღებს XVI საუკუნის მერკანტილური ვაჭრობიდან, რაც მნიშვნელობას იძენს შუა საუკუნეების პერიოდში იქამდე, სანამ რისკმა არ გადააჭარბა ყოველდღიური ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს. სისხლის სამართლის სისტემის მართვაში, რისკის შეფასების ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი იყო ბურგესის<sup>1</sup> მიერ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების პროგნოზირება, რომელიც 1928 წელს შეიქმნა. აღნიშნული პერიოდის შემდეგ, სისხლის სამართლის სფეროში გაიზარდა რისკის შეფასების ინსტრუმენტების შექმნა-გამოყენების პრაქტიკა, თუმცა სადავოა მუშაობის პროცესში სპეციალისტების მიერ რამდენად არის შეფასებული და გამოკვლეული არსებული რისკი. საჩივრები ახალ პენოლოგიაზე<sup>2</sup>, რომელიც ორიენტირებული იყო რისკზე, აქტიურად განიხილებოდა, ემპირიული მტკიცებულებები კი უფრო მეტი სიფრთხილით ისწრაფვოდა ასეთი მნიშვნელოვანი პარადიგმის შეცვლისკენ. რისკის პრევენციისა და მასზე პასუხისმგებლობის საკითხი ხშირად განიხილება რისკზე ფოკუსირებული მიდგომის მიმართულებით. რისკის შეფასება გამოიყენება არა მხოლოდ ამჟამინდელი დანაშაულის შესაფასებლად და

---

<sup>1</sup>ერნესტ ბურგესი – სოციოლოგი, ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების 24-ე პრეზიდენტი

<sup>2</sup>პენოლოგია – კრიმინოლოგიის ქვეკომპონენტი, რომელიც ეხება სხვადასხვა საზოგადოების ფილოსოფიასა და პრაქტიკას კრიმინალური ქმედებების აღკვეთის მცდელობაში, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ აზრს სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდებულთათვის სათანადო რეჟიმის შექმნის მეშვეობით. ასევე, პენოლოგია მოიაზრებს დანაშაულის სასჯელისა და ციხის მენეჯმენტის შესწავლას.

პროგნოზირებისათვის, არამედ მომავალი დამნაშავეების, მაღალი რისკის მქონე დანაშაულის ადგილებისა და ადრეული ჩარევის საჭიროების დასადგენად. აღნიშნული სტრატეგიის ეთიკა, სიზუსტე და მორალური დასაბუთება ინტენსიურად განხილვის პროცესშია (Kemshall, 2017).

კონტროლისა და რეაბილიტაციის პარადიგმა – დანაშაულის კონტროლის მოდელი ხაზს უსვამს ბრალდებულთათვის სტანდარტიზებული პროცედურების გავლას სასამართლო სისტემაში და მათთვის დანაშაულის შესაბამისი სასჯელით დასჯას. ამ მოდელს მივყავართ ისეთი პოლიტიკისკენ, რომელიც ფოკუსირებულია სისხლის სამართლის სისტემის დამნაშავის დასჯასა და დაპატიმრებაზე, როგორც დანაშაულის შეკავებისა და კრიმინალური ქცევის აღკვეთის საშუალებაზე (Rich, 1977). დანაშაულის კონტროლის მოდელი ფოკუსირდება ეფექტური სისტემის ქონაზე, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა დანაშაულის ჩახშობა, კონტროლი საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (Sanchez, 2019). დანაშაულის კონტროლის მოდელი ითვლება კონსერვატიულ მიდგომად, რომელიც მიმართულია საზოგადოების დამნაშავეებისგან დაცვაზე; უფრო მეტიც, ეს მოდელი აქცენტს აკეთებს მკაცრ და სწრაფ დასჯაზე დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნულის განხორციელების სანაცვლოდ, ამ პერსპექტივის მიხედვით, ეს სარგებელს მოუტანს საზოგადოებას, სამართალდამრღვევებს კი ეცოდინებათ, რომ ისინი დაისჯებიან. ამ მოდელის მიზანია საქმეთა სწრაფად განხილვა, თუნდაც სასამართლოების უფლებამოსილების გაფართოების გზით (Schubert, 2015).

სოციალური მუშაობის პრაქტიკა მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებაში (საერთაშორისო პრაქტიკა) – საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, პრობაციის სისტემაში პრაქტიკოსები უნდა ხელმძღვანელობდნენ რისკებისა და საჭიროებების შეფასებას ინსტრუმენტის გამოყენებით. გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებულებების მიხედვით, რისკისა და საჭიროებების შეფასება კავშირშია ახალგაზრდა სამართალდამრღვევ პირთა შემთხვევების მენეჯმენტთან. კერძოდ, პრაქტიკაში საჭიროებების პრინციპის დაცვა უკავშირდება დანაშაულის განმეორების შემცირებას (Luong & Wormith, 2011).

ამერიკის შეერთებულ შტატებში რისკისა და საჭიროებების შეფასება ხდება სისტემატურად სისტემებში, სადაც მიმდინარეობს სა-

რეაბილიტაციო პროგრამები, რათა შეფასებულ იქნას პირის მიერ დანაშაულის განმეორების განხორციელების ალბათობა და განხორციელდეს შესაბამისი ჩარევა. კერძოდ, პრობაციის სისტემაში, მსჯავრდებულებს სპეციალისტი აცნობს განაჩენს, განსაზღვრას რეაბილიტაციის საჭიროებას და შესაბამისი ხასიათის პროგრამებს, აცნობს გადაწყვეტილებებს პირობითი გათავისუფლების და პრობაციის ოფიცრების მონიტორინგისა და სუპერვიზიის შესახებ ისე, რომ აქცენტი პარალელურად გაკეთდეს პიროვნების ძლიერ მხარეებზე, უნარებსა და რეინტეგრაციის პროცესის გამოწვევებზე. რისკისა და საჭიროებების შეფასება წარმოადგენს ეფექტური ცვლილების, სარეაბილიტაციო ინიციატივების „საგზაო რუქას“. როდესაც სწორად იქნება განსაზღვრული რისკები და საჭიროებები, ქცევის ცვლილებისკენ მიმართული პროგრამები ემპირიულად უნდა დაუკავშირდეს დანაშაულის განმეორების შემცირებას (Hanson & Bourgon, 2017).

რისკისა და საჭიროებების შეფასებას უნდა ჰქონდეს ემპირიული საფუძველი და უნდა შეესაბამებოდეს ქცევის მახასიათებლების ამოცნობას. რისკისა და საჭიროებების დონეების განსაზღვრა მნიშვნელოვანი და გამოყენებადია ინდივიდუალურ დონეზე კლიენტთან მუშაობისას. კლიენტისათვის მიწოდებულ უნდა იქნას ინფორმაცია მისი ქცევის/ემოციების მართვის საჭიროებებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით (Hanson & Bourgon, 2017).

სოციალური მუშაობის პრაქტიკა მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებაში (ადგილობრივი პრაქტიკა) – საქართველოს კანონის მიხედვით, პრობაციის სისტემაში არსებული მომსახურება სავალდებულო ხასიათისაა. კერძოდ, მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასების შემდგომ, მას ეკისრება სარეაბილიტაციო მომსახურებაში ჩართვის ვალდებულება. „კანონის თანახმად, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 103).

რაც შეეხება, პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის განხორციელებას, სოციალური მუშაკები კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდე-



ბა, კრიზისული შემთხვევების მართვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური შემთხვევების მართვა, განრიდების პროგრამაში სოციალური მუშაკის ჩართულობა, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მუშაობა, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა. პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკი თავის საქმიანობას ახორციელებს მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად, რომელშიც შედიან ფსიქოლოგი და პრობაციის ოფიცერი (კილაძე & ფირცხალაშვილი, 2018). ამავდროულად, საქართველოს კანონის სოციალური მუშაობის შესახებ, 52-ე მუხლის მიხედვით, სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მიზნით: „ა) აფასებს სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებს; ბ) მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) რაც შეეხება, განრიდების ან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ 14 წლიდან 21 წლამდე პირებთან სოციალური მუშაკის მუშაობას, „ა) უზრუნველყოფს განრიდება-მედიაციის პროგრამისთვის მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებული პირის მდგომარეობის ინდივიდუალურ შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით; ბ) ხელს უწყობს ბენეფიციარის სოციალურ აქტიურობას, სერვისების მოძიების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან; გ) მონიტორინგს უწევს განრიდებული პირის ხელშეკრულების პირობების შესრულებას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) და ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს.

სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში (საერთაშორისო პრაქტიკა) – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკები ემსახურებიან უშუალოდ სისტემაში წინა ხაზზე მყოფ პერსონალსა და ადმინისტრატორებს. სისხლის სამართლის სისტემა მოიცავს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში არსებულ მომსახურებებს, სააგენტოებს. სპეციალისტები სოციალურ მომსახურებას აწვდიან ისეთ სახელმწიფო და ფედერალურ დაწესებულებებს,

რომლებიც მუშაობენ მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე, პენიტენციურ დაწესებულებებს, პრობაციის სააგენტოებს, ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ სასამართლოებს, საზოგადოებაში დაფუძნებულ არაკომერციულ სააგენტოებს, რომლებიც ემსახურებიან დამნაშავეებისთვის მომსახურების მიწოდებას, ჯანდაცვის პირველადი რგოლის პროვაიდერებს, რომლებიც ემსახურებიან დაბალი შემოსავლის მქონე, დანაშაულის ჩამდენ პირებს და ა.შ. სოციალურ მუშაკებთან ერთად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მომუშავე პირებს წარმოადგენენ ისეთი პროფესიის წარმომადგენლები, როგორებიც არიან: პოლიციელები, პრობაციის ოფიცრები, სასამართლოს პერსონალი პროკურორისა და დაცვის მხარის ჩათვლით, სახალხო დამცველი, ბიო-ფსიქო-სოციალური მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერები, როგორცაა სამედიცინო პერსონალი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები, სოციალური მუშაკები (Kelly & Clark, 2010).

სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში (ადგილობრივი პრაქტიკა) – პრობაციის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, რომელიც მოემსახურება კლიენტთა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებას. საქართველოს კანონის, „სოციალური მუშაობის შესახებ“, 52-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მიზნით: „აფასებს სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებს; მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას; სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ბენეფიციარებს აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას... მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშაულის

პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) და ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ სხვა საქმიანობას. რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობებს, საქართველოს კანონის, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-40 მუხლის მიხედვით, „აკონტროლებს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას; მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს; შეძლებისდაგვარად ეხმარება მსჯავრდებულს შრომით მონაყოლაში; ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან“ (საქართველოს პარლამენტი, 2007).

რაც შეეხება კვლევის შედეგებს, რესპონდენტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოციალური მუშაკის როლისა და მისი ფუნქციის აღქმა პრობაციის სისტემაში. კერძოდ, პრობაციის სისტემაში მომუშავე სპეციალისტთა მოსაზრებების ნაწილი განსხვავებულია ამავე უწყებაში მომუშავე თანამშრომელთა მოსაზრებებისგან. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი, სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად ასახელებს ზიანის რისკის შემცირებას, „ზიანის, რომელიც ადამიანმა შესაძლოა მიაყენოს თავის თავს ან საზოგადოებას“, ასევე, განმეორებითი დანაშაულის პრევენციას. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა უმეტესობა აღნიშნავს დიდი ძალისხმევის საჭიროებას საკუთარი როლისა და ფუნქციის დანახვისათვის მსჯავრდებულისთვის. ასევე, აღნიშნულ სპეციალისტთა ნაწილი ხაზს უსვამს ასაკის მნიშვნელობას ქცევის ცვლილების მიმართულებით, „თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დახმარება გაენიოს ყველა ასაკის ადამიანს, ვისაც კი შეგვიძლია რომ დახმარება გავუწიოთ“.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს სოციალური მუშაკის როლსა და სოციალური მუშაობის სფეროს მნიშვნელობაზე სასჯელალსრულების, მათ შორის პრობაციის სისტემაში: „სისტემის სტუმრებისთვის [მომსახურების მიმღები პირები] უდიდესი მნიშვნელობა აქვს [სოციალური მუშაკის არსებობას] მათი ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის, გამონევეების დაძლევაში ხელშეწყობისთვის, დაკავშირებისთვის გარე სამყაროსთან მით უფრო, თუ სასჯელალსრულების ნაწილია ადამიანი, გარემოს შემზადებისთვის...“ სპეციალისტი აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკს ბევრი მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აქვს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სისტემური ბარიერების დაძლევისთვის. ამასთანავე, სფეროს ექსპერტი ხაზს უსვამს, როგორც მომსახურების მიმღების, ასევე საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

რესპონდენტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პრობაციის სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება. კერძოდ, აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ყურადღებას ამახვილებენ პრობაციის სისტემაში დანერგილ RNA ინსტრუმენტზე, რომლის მიხედვითაც ქულობრივი სისტემით ხდება ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებითობის აღბათობის განსაზღვრა.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის მეშვეობით განსაზღვრავს მომსახურების მიმღებთა ახალ საჭიროებებს. ზედამხედველობაში სპეციალისტები მოიაზრებენ პრობაციონერთან და მის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას, თუმცა აღნიშნული ზედამხედველობის ნაწილში სპეციალისტები ნაკლებად გამოყოფენ კონტროლსა და კონტროლისათვის საჭირო ინსტრუმენტების/მექანიზმების არსებობის საჭიროებას. არსებული მტკიცებულებების მიხედვით, რისკისა და საჭიროებების შეფასება წარმოადგენს ეფექტური ცვლილების, სარეაბილიტაციო ინიციატივების „საგზაო რუქას“. როდესაც სწორად იქნება განსაზღვრული რისკები და საჭიროებები, ქვეყნის ცვლილებისკენ მიმართული პროგრამები ემპირიულად უნდა დაუკავშირდეს დანაშაულის განმეორების შემცირებას (Hanson & Bourgon, 2017).

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სარეაბილიტაციო მომსახურებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებულებს ნაკლებად აქვთ სპეციალისტებთან კომუნიკაციის სურვილი: „ძალით ადამიანს ვერ დასვა, თუნდაც ერთი საათი... სოციალურ მუშაკს სხვა პროფესიული ურთიერთობები გჭირდება, რომ ეს ადამიანები წამოვიდნენ თანამშრომლობაზე“. ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ჰქონია მსჯავრდებულთან თანამშრომლობის სირთულეები: „...ერთეული შემთხვევები... ძირითადად არ არიან ხოლმე წინააღმდეგები სარეაბილიტაციო მომსახურების წარმართვის“. რაც შეეხება, სარეაბილიტაციო მომსახურების განსაზღვრას, სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული მიმდინარეობს სოციალური მუშაკის აქტიური ჩართულობით.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რისკის სწორად შეფასებისა და მისი მართვისთვის მნიშვნელოვანია მულტი-უნაბრები სისტემატური თანამშრომლობა და ასევე, შემთხვევების პრიორიტეტულობის განსაზღვრა. კერძოდ, საჭიროებას წარმოადგენს გაფართოებული მონიტორინგი და მეთვალყურეობა იმ სამართალდამრღვევ პირებზე, რომლებიც საზოგადოებაში ზიანის მიყენების მაღალ საფრთხეს წარმოადგენენ ციხის დატოვების შემდეგ. აღნიშნული მოიცავს რეგისტრაციას, „სათვალთვალო სისტემების“ გამოყენებას, ინტენსიურ ჩარევას, შემზღუდავი პირობებისა და კონტროლის ზომების მიღებას (Ministry of Justice, 2009). ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, სისტემატური ხასიათი არა აქვს პენიტენციური და პრობაციის სისტემების ურთიერთთანამშრომლობას, რაც ერთგვარად ხელისშემშლელი ფაქტორია მსჯავრდებულთან მუშაობის განხორციელების პროცესში. ამასთანავე, ინტერვიუებზე დაყრდნობით, არსებული პრაქტიკიდან იკვეთება, რომ სპეციალისტთა ნაწილი ნაკლებად ფლობს/ზოგიერთ შემთხვევაში არ ფლობს ინფორმაციას კონტროლის მექანიზმების შესახებ.

კვლევის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც შემდეგ საკითხებად გადანაწილდა: შემთხვევების პრიორიტეტულობა, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, კონტროლის მექანიზმები და რისკის მართვა. კერძოდ, შემთხვევების პრიორიტეტულობის ნაწილში არსებული მიგნებებია: შემთხვევების პრიორიტეტულობის განსაზღვრის სირთულე და სპეციალისტების ერთმანე-

თისგან ნაწილობრივ განსხვავებული პრაქტიკა, სპეციალისტთა ცოდნისა და კვალიფიკაციის საკითხი, მათ მიერ ბენეფიციარის რისკებისა და საჭიროებების შეფასების შემდგომ ინსტრუმენტის მეშვეობით შემთხვევების გადასინჯვის სირთულე, უწყებათაშორისი მექანიზმების სიმწირე და სისტემებს შორის თანამშრომლობის პრობლემა. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ნაწილში გამოკვეთილი მიგნებებია: ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების სირთულე, სარეაბილიტაციო პროგრამების მოდიფიცირებისა და ხანგრძლივობის საკითხი, სპეციალისტთა ცოდნა და კვალიფიკაცია, რეაბილიტაციის წარმატების გაზომვის მექანიზმის საჭიროება, რეაბილიტაციის განხორციელებისთვის არსებული არასაკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი. კონტროლის მექანიზმების ნაწილში წარმოდგენილი მიგნებებია: სისტემებს შორის მომსახურების მიმღებებზე მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ერთიანი მექანიზმის არარსებობა, სპეციალისტთა მიერ კონტროლის განხორციელების სირთულე და სათანადო მექანიზმების არსებობის სიმწირე, სისტემის დატოვების შემდეგ ბენეფიციართა მონიტორინგის პრობლემა, სპეციალისტთა ცოდნა და კომპეტენცია კონტროლის განხორციელებისთვის პრობაციის სისტემაში, რისკებზე „მიყოლის“ სირთულე, რაც გულისხმობს სათანადო რესურსის გაღების აუცილებლობას შესაბამისი რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათ შორის ელექტრონული სამაჯურის მექანიზმის გამოყენებისას რელევანტური მუშაობის განევის საჭიროებას. რისკის მართვის მიმართულებით კვლევაში გამოკვეთილი მიგნებებია: მსჯავრდებულის პირადი და საზოგადოებისთვის არსებული რისკის მართვის, დანაშაულის პრევენციის განხორციელების სირთულე, სპეციალისტთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლების საჭიროება რისკის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით, სპეციალისტთა დატვირთვის შეუსაბამობა შემთხვევების რაოდენობასთან.

ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით იკვეთება, რომ პრობაციის სისტემაში არაპატიმარ მსჯავრდებულებთან მომუშავე სპეციალისტები დგანან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორც არის შემთხვევათა დიდი რაოდენობა და შეზღუდული დროითი რესურსი, რის გამოც, სავარაუდოა, რომ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ბენეფიციარებისათვის სისტემატური მომსახურების მიწოდება. სისტემაში

არსებული საკადრო სიმცირე, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალისტთა ცოდნისა და კომპეტენციის სიმწირე ართულებს რელევანტური მიმართულებებით მუშაობის წარმართვას. სრულწლოვან მსჯავრდებულთა შემთხვევაში შეფასება მიმდინარეობს RNA ინსტრუმენტით, რითაც შესაძლებელია ქულობრივი სისტემით შეფასდეს ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობა. არასრულწლოვნების შემთხვევაში აღნიშნული მექანიზმი ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში არ გამოიყენება, თუმცა აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. პირველადი შეფასების შემდეგ, სხვადასხვა ფაქტორის გამო, სირთულეს წარმოადგენს სპეციალისტის მიერ 6 თვეში ერთხელ შემთხვევის ინსტრუმენტით გადასინჯვა.

მკვლევრის მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და მეორეულ მონაცემთა გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილი რეკომენდაციები:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტში საჭიროებას წარმოადგენს სოციალური მუშაკების კადრების რაოდენობის ზრდა. სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოციალური მუშაკებს აქვთ დაახლოებით 100 ან მეტი შემთხვევა, რის გამოც ბენეფიციარებისთვის სრულყოფილად ვერ ხორციელდება სათანადო მომსახურების მიწოდება. საქართველოს კანონის, „სოციალური მუშაობის შესახებ“, 47-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით: „სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა. შემთხვევების რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას ამ ოდენობის ერთი მესამედით“ (საქართველოს პარლამენტი, 2018);
- საჭიროებას წარმოადგენს სარეაბილიტაციო მომსახურებების გადახედვა, მათი მოდიფიცირება და პროგრამების ხანგრძლივობის გაზრდა, მათ სრულ სტრუქტურულიზაციაზე მუშაობის განხორციელება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევრისთვის ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა, კერძოდ, სარეაბილიტაციო მომსახურებე-

ბის რაოდენობის შედარებით შემცირება, მათი მოდიფიცირება და ხანგრძლივობის გაზრდა;

- საჭიროებას წარმოადგენს რეაბილიტაციის წარმატების გაზომვა, რასთან დაკავშირებითაც, ამ ეტაპზე, პრობაციის სისტემაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ინსტრუმენტი და არ არის განსაზღვრული ინდიკატორები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი შეიძლება იყოს ცუდი საზომი რეაბილიტაციის წარმატების შეფასებისთვის და მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას ნიუანსური მაჩვენებლები (Huebner & Inzana, 2020) ;
- მნიშვნელოვანი საკითხია სპეციალისტთა კომპეტენციის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რათა მათ მიერ შესაძლებელი იყოს რისკის დონის გათვალისწინებით პრიორიტეტულ შემთხვევებზე ინტენსიური მუშაობა. დღეისათვის არსებული მწირი ადამიანური და დროითი რესურსით, სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენდეს შემთხვევათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ რისკის საშუალო მაჩვენებელი შესაძლოა ავიდეს მაღალ დონეზე, რასთან დაკავშირებითაც სპეციალისტების მხრიდან მნიშვნელოვანია დროული რეაგირების განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ მწირი დროითი რესურსის ფონზე, სპეციალისტების მიერ RNA ინსტრუმენტით ვერ ხორციელდება ნ თვეში ერთხელ ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის მაჩვენებლის ხელახალი შეფასება, შესაძლოა ეს დამაზიანებელი აღმოჩნდეს მთელი სამუშაო პროცესისათვის. ამ ეტაპზე, მკვლევრისთვის არსებული ინფორმაციით, ინტერვენციის განხორციელებისას სრულწლოვან მომსახურების მიმღებზე ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წყაროა მის ქცევაზე დაკვირვება და სპეციალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერები. სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს ესაჭიროება ბენეფიციარის თანხმობა ოჯახში ვიზიტის განხორციელების თაობაზე;
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია სარეაბილიტაციო მომსახურებების საკითხი. 2020 წლის კვლევის მიხედვით, პრობაციის ბიუროებში მომსახურების



ძირითადი მიმწოდებლები (70%) არიან უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020). იმის გათვალისწინებით, რომ პრობაციის ბიუროს ყველა ფილიალში (რეგიონებში) არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, სირთულეს წარმოადგენს ბენეფიციარებისთვის რელევანტური მომსახურების მიწოდება. 18 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან დაკავშირებით, „პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას პრობაციის ოფიცერი უზრუნველყოფს“ (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020, გვ. 55);

- კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენს ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურებების განხორციელება. სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბენეფიციართა ნაწილი მუშაობს, ზოგიერთს აქვს სხვა ტიპის სირთულეები, რის გამოც სრულად არ/ვერც ესწრებიან სარეაბილიტაციო მომსახურებას. პრაქტიკოსი სპეციალისტები და სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რესურსის დაზოგვის მიზნით მნიშვნელოვანია ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურება, რადგან, დღეისათვის, შემთხვევათა რაოდენობა არასათანადო ფარდობაშია სოციალურ მუშაკთა რიცხვთან. ამავდროულად, პრაქტიკოსი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის მიდგომა ეფექტურია მომსახურების მიმღებებთა ნაწილთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას ჯგუფური მუშაობის განხორციელებისთვის არსებული შემაფერხებელი ფაქტორები და დაისახოს გამონვევის გადაჭრისთვის საჭირო გზები;
- იუსტიციის სამინისტროს „სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღესაც არსებობს „ჩავარდნა“ პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის სისტემატური ინფორმაციის მიმოცვლისათვის. პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ჰქონიათ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია, მიუღიათ მათგან დო-

კუმენტაცია ბენეფიციარის შესახებ, თუმცა აღნიშნული, ამ ეტაპისათვის, არ არის ინტენსიური ხასიათის. შესაბამისად, საჭიროებას წარმოადგენს აღნიშნულ სისტემებს შორის ისეთი მექანიზმის/ბაზების არსებობა, რომლის მეშვეობითაც მუდმივად იქნება შესაძლებელი ოფიციალური ინფორმაციის გაცვლა სპეციალისტებს შორის;

- არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას განუვლი ზედამხედველობა მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციას, მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას. ზედამხედველობის განევას, ერთი მხრივ, აქვს კონტროლის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ-კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ნახალისების ფუნქცია, რათა არ განახორციელოს ხელახალი დანაშაული (არსოშვილი & მიქანაძე, 2015). დღეისათვის, არ არსებობს ერთიანი მექანიზმი/ბაზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა უწყებას შორის ოფიციალური ინფორმაციის მიმოცვლა ბენეფიციარების შესახებ. მათ შორის, მნიშვნელოვანია, სისტემის დატოვების შემდეგ ყოფილ მომსახურების მიმღებთა ზედამხედველობის ნაწილი. „... ზედამხედველობა გაგებულნი უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც კონტროლის, არამედ როგორც მსჯავრდებულისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება“ (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 10);
- დღეისათვის, ადგილობრივ პრაქტიკაში, ბენეფიციარის კონტროლის მიზნით არსებობს თითის ანაბეჭდისა და ელექტრონული სამაჯურის მექანიზმები. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მომსახურების მიმღებებისთვის ხშირად მასტიგმატიზირებულია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თითის ანაბეჭდისთვის მისვლა. მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, ხომ არ არსებობს სისტემაში კონტროლის მექანიზმის გამრავალფეროვნების/ცვლილების შეტანის საჭიროება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფიქსირდება მაღალი რისკის მაჩვენებელი. კონტროლის სხვა მექანიზმებთან დაკავშირებით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ნაწილი ნაკლებად ფლობს ინფორმაციას. საერთაშორისო გამოცდილებით, კონტროლის პროცედურები უმეტესად გამოიყენება პირობების დაცვის ზედამხედველობისთვის, დანაშაულზე დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის. ეს პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს ელექტრო-

ნულ/სატელიტურ თვალთვალს, პოლიციის დაკვირვებას. სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ რისკი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ პატიმრობაში რისკები იყოს გაკონტროლებული, თუმცა სწრაფად გაიზარდოს პატიმრის განთავისუფლებისთანავე (Ministry of Justice, 2009).

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბიუროებში მომუშავე შუა მენეჯერული რგოლის წარმომადგენელთა ნაწილისთვის, სავარაუდოა, რომ სირთულეს წარმოადგენდეს სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციის სიღრმისეულად გააზრება სასჯელალსრულების სისტემაში. ისინი უმეტესად აქცენტს აკეთებენ სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და რელევანტური ინტერვენციების განხორციელებაზე, თუმცა მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, რამდენად აქვთ სათანადო ცოდნა და კომპეტენცია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებთან, მათ ფუნქციებთან და როლთან დაკავშირებით. საერთაშორისო გამოცდილებით, ორგანიზაციამ „სოციალური მუშაკები განმარტოების წინააღმდეგ“ (Social Workers Against Solitary Confinement (SWASC), სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში პრიორიტეტად დააყენა ინსტრუქტორების, სტუდენტების, პრაქტიკოსი პროფესიონალებისა და ინდივიდუალური პირებისათვის სასწავლო მოდულების შემუშავება. აღნიშნული მოდულები შეეხება ადამიანის უფლებებს, საგანმანათლებლო პოლიტიკასა და აკრედიტაციის საკითხს (Social Workers Against Solitary Confinement, 2018).
- კვლევის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროებას წარმოადგენს სისტემატური მუშაობის განხორციელება ზიანის რისკის შემცირებაზე, განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის სპეციალისტთა კადრების დამატება და დამატებითი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების განვითარება რისკის მართვისათვის. მხოლოდ შეფასების განხორციელებით არ არის შესაძლებელი რისკის პრევენცია (Hope & Sparks, 2015). რისკის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სარეაბილიტაციო, ასევე სხვა ტიპის მომსახურებები ბენეფიციარის ინდივიდუ-

ალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ არსებული სარეაბილიტაციო მომსახურებებით შეუძლებელია ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სხვა უწყებებისა და გარე სერვისების პასუხისმგებლობა.

- მაღალი რისკის შემთხვევებში, საერთაშორისო გამოცდილებით, სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დაცვის უწყებათაშორისი მექანიზმი (MAPP) მექანიზმი, რომელიც რელევანტურ უწყებებს აკისრებს პასუხისმგებლობას შექმნან ერთობლივი ღონისძიებები მაღალი რისკის კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რისკის შეფასებისა და მართვისათვის. აღნიშნულზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: პოლიცია, პრობაციის სისტემა, პენიტენციური სისტემა (National MAPP Team, 2012). აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვანია სექსუალური და ძალადობრივი ხასიათის სამართალდარღვევების სამართავად. MAPP-ს მექანიზმის გამოყენებითა და დახმარებით უწყებებს შეუძლიათ უკეთ შეასრულონ თავიანთი სანესდებო პასუხისმგებლობა და კოორდინირებული მუშაობით დაიცვან საზოგადოება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Andersen , L., & Wildeman, C. (2014, დეკემბერი 18). <https://link.springer.com/article/10.1007/s10940-014-9243-4>
2. Bares, K. (2019, ოქტომბერი 21). <https://journals.sagepub.com/doi-abs/10.1177/0011128719881599>
3. Barry, M. (2007, ივლისი). <http://www.homestudycrredit.com/courses/contentRM/RM-Effective-Approaches-to-Risk-Assessment.pdf>
5. Barsky, A. (2015). <https://www.socialworker.com/feature-articles/ethics-articles/risks-of-risk-management/>
6. Canton, R. (2015). <https://www.cep-probation.org/knowledgebases/eurovista-volume-3-2/>. [https://www.canonsociaalwerk.eu/1981\\_CEP/Canton%20Eur%20Prob%20Rules%20EuroVista-vol3-no2-Canton.pdf](https://www.canonsociaalwerk.eu/1981_CEP/Canton%20Eur%20Prob%20Rules%20EuroVista-vol3-no2-Canton.pdf)

7. Council of Europe. (2010, ianvari 20). <https://www.cep-probation.org/wp-content/uploads/2018/10/CoE-probation-rules-recommendation.pdf>
8. Doekhie , J., & Ginneken, E. (2018, დეკემბერი 5). [link.springer.com. https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s40865-018-0097-6.pdf](https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s40865-018-0097-6.pdf)
9. Fenton, J. (2012, მაისი 17). <https://onlinelibrary.wiley.com. https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1468-2311.2012.00716.x>
10. Gumz, E. (2004, აგვისტო 1). <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0306624X03262516>
11. Hanson, K., & Bourgon, G. (2017, იანვარი). [https://saratso.org/pdf/A\\_Five\\_Level\\_Risk\\_and\\_Needs\\_System\\_Report .pdf](https://saratso.org/pdf/A_Five_Level_Risk_and_Needs_System_Report.pdf)
12. Harris, R. (1989, ივნისი 1). <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/026455058903600202. https://www.cusb.ac.in/images/cusb-files/2020/el/law/w2/Probation%20Officer%20as%20Social%20Worker.pdf>
13. Henning, K. (2017). [https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1021&context=ccj\\_fac](https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1021&context=ccj_fac)
14. Hope , T., & Sparks, R. (2015, ianvari 9). [https://www.researchgate.net/publication/270585477\\_For\\_a\\_sociological\\_theory\\_of\\_situations\\_or\\_how\\_useful\\_is\\_pragmatic\\_criminology](https://www.researchgate.net/publication/270585477_For_a_sociological_theory_of_situations_or_how_useful_is_pragmatic_criminology)
15. Hsieh , M.-L., & Hafoca, M. (2015, dekemberi). [https://www.researchgate.net/publication/299356807\\_Probation\\_officer\\_roles\\_A\\_statutory\\_analysis](https://www.researchgate.net/publication/299356807_Probation_officer_roles_A_statutory_analysis)
16. Huebner, B., & Inzana, V. (2020, agvisto 26). [www.oxfordbibliographies.com. https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195396607/obo-9780195396607-0046.xml](http://www.oxfordbibliographies.com. https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195396607/obo-9780195396607-0046.xml)
17. Jones, M., & Lurigio , A. (1997). <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/ethical-considerations-probation-practice>
18. Kelly, J., & Clark, E. (2010). [www.socialworkers.org. https://www.socialworkers.org/LinkClick.aspx?fileticket=n8L3HaALWb8%3D&portalid=0](http://www.socialworkers.org. https://www.socialworkers.org/LinkClick.aspx?fileticket=n8L3HaALWb8%3D&portalid=0)

19. Kemshall, H. (2017, agvisto 31). <https://oxfordre.com.https://oxfordre.com/criminology/view/10.1093/acrefore/9780190264079.001.0001/acrefore-9780190264079-e-243>
20. Kent Safeguarding Children Partnership . (2018). [https://www.proceduresonline.com/kentandmedway/chapters/p\\_mappa.html#structure](https://www.proceduresonline.com/kentandmedway/chapters/p_mappa.html#structure)
21. Klingele , C. (2019). <https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7658&context=jclc>
22. Latessa, E. (2021). <https://law.jrank.org/pages/1852/Probation-Parole-Supervision.html>
23. Luong, D., & Wormith, S. (2011, noemberi 14). <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0093854811421596>
24. Martin, K. (2020, dekemberi 14). <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0887403420980823>
25. Maschi, T., & Leibowitz, G. (2017, ivlisi 27). [https://connect.springerpub.com/content/book/978-0-8261-2067-0/part/part1/chapter/ch01.https://connect.springerpub.com/binary/sgrworks/3e7dd1c695505e83/da7f6bee76fb72edc75a3a065f4fada8c01ce960f63f04c2d8b9378d5adf771a/9780826120670\\_0001.pdf](https://connect.springerpub.com/content/book/978-0-8261-2067-0/part/part1/chapter/ch01.https://connect.springerpub.com/binary/sgrworks/3e7dd1c695505e83/da7f6bee76fb72edc75a3a065f4fada8c01ce960f63f04c2d8b9378d5adf771a/9780826120670_0001.pdf)
26. Miller, J. (2012, ivnisi 13). <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0011128712443186>
27. Ministry of Justice . (2009, ianvari). Public Protection Manual – Risk of Harm Guidance .
28. MSW Careers. (2019). <https://mswcareers.com/reducing-recidivism-how-social-work-helps-ex-offenders/>
29. National Association of Social Workers. (2018). <https://www.socialworkers.org/Advocacy/Social-Justice/Social-Justice-Priorities.https://www.socialworkers.org/Portals/0/PDF/Advocacy/Public/Social-Justice/Social-Justice-Priorities-2018-2019.pdf>
30. National Associations of Social Workers. (2008). <https://www.socialworkers.org/LinkClick.aspx?fileticket=KZmmbz15vc%3D&portalid=0>

31. National MAPPA Team. (2012).  
<https://www.justice.gov.uk/downloads/offenders/mappa/mappa-guidance-2012-part1.pdf>
32. National Probation Service . (2011).  
[http://nomsintranet.org.uk/roh/official-documents/PC36\\_2006.pdf](http://nomsintranet.org.uk/roh/official-documents/PC36_2006.pdf).  
[http://nomsintranet.org.uk/roh/roh/2-basic\\_riskassessment/02\\_06\\_04.htm](http://nomsintranet.org.uk/roh/roh/2-basic_riskassessment/02_06_04.htm)
33. Raynor, P. (2015, Tebervali 12).  
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4986092/>
34. Rich, R. (1977). <https://www.ojp.gov>.  
<https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/crime-control-theoretical-view-essays-theory-and-practice-criminal>
35. Royse, D., & Staton-Tindall, M. (2009).  
[www.oxford.universitypressscholarship.com](http://www.oxford.universitypressscholarship.com).  
<https://oxford.universitypressscholarship.com/view/10.1093/acprof:royes/9780195368789.001.0001/acprof-9780195368789-chapter-1>
36. Sanchez, S. (2019). <https://openoregon.pressbooks.pub/ccj230/>.  
<https://openoregon.pressbooks.pub/ccj230/chapter/1-8-due-process-and-crime-control-model/>
37. Schubert, J. (2015). <https://study.com/academy/lesson/crime-control-model-definition-examples.html>
38. Seden. (2016). [https://www.open.edu/openlearn/ocw/plugin-file.php/854430/mod\\_resource/content/1/k216\\_activity3\\_seden\\_readin g.pdf](https://www.open.edu/openlearn/ocw/plugin-file.php/854430/mod_resource/content/1/k216_activity3_seden_readin g.pdf)
39. Smith, D. (1998). [https://link.springer.com/chapter/10.1007/978-1-349-14400-6\\_24](https://link.springer.com/chapter/10.1007/978-1-349-14400-6_24)
40. Social Work Degree Guide. (2020, სექტემბერი 25). [www.SocialWorkDegreeGuide.com](http://www.SocialWorkDegreeGuide.com). <https://www.socialworkdegreeguide.com/corrections-social-worker/>
41. Social Work Degree Guide. (2021). [www.SocialWorkDegreeGuide.com](http://www.SocialWorkDegreeGuide.com). <https://www.socialworkdegreeguide.com/faq/will-a-degree-in-social-work-prepare-me-for-a-job-as-a-probation-officer/>
42. Social Workers Against Solitary Confinement. (2018).  
<https://socialworkersasc.org/swasc-recommendations-for-nasw-criminal-justice-priorities-2018-2019>
43. Sota, M. (2013, მარტი).  
[https://www.researchgate.net/publication/291040458\\_Different\\_Perspe](https://www.researchgate.net/publication/291040458_Different_Perspe)

- citives\_to\_Analyze\_the\_Penal\_Justice\_System\_in\_Function\_of\_Crime\_Control\_from\_Professionals\_of\_Social\_Sciences
44. Taxman, F., & Thanner, M. (2006, იანვარი 1). <https://www.ncbi.nlm.nih.gov>.  
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2423325/>
  45. The Scottish Government. (2010, აგვისტო). [https://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:u\\_7c\\_BnrD\\_kJ:https://www.eastlothian.gov.uk/download/downloads/id/23182/national\\_outcomes\\_and\\_standards\\_guidance.pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge&client=opera](https://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:u_7c_BnrD_kJ:https://www.eastlothian.gov.uk/download/downloads/id/23182/national_outcomes_and_standards_guidance.pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge&client=opera), pdf.  
[https://www.eastlothian.gov.uk/download/downloads/id/23182/national\\_outcomes\\_and\\_standards\\_guidance.pdf](https://www.eastlothian.gov.uk/download/downloads/id/23182/national_outcomes_and_standards_guidance.pdf).
  46. U.S. Department of Justice. (2007). [https://www.justice.gov/archive/fbci/progmenu\\_reentry.html](https://www.justice.gov/archive/fbci/progmenu_reentry.html)  
U.S. Department of Justice. (2018). [https://nij.ojp.gov/sites/g/files/xyckuh171/files/media/document/the-first-step-act-of-2018-risk-and-needs-assessment-system\\_1.pdf](https://nij.ojp.gov/sites/g/files/xyckuh171/files/media/document/the-first-step-act-of-2018-risk-and-needs-assessment-system_1.pdf)
  47. Viglione, J. (2018, ოქტომბერი 17). <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/0093854818807505>
  48. Whittaker, A., & Taylor, B. (2017, დეკემბერი 5). <https://www.tandfonline.com>.  
<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/02650533.2017.1397612#>
  49. Zinyemba, L., & Maushe, F. (2020, აგვისტო 21). <https://www.ajol.info>.  
<https://www.ajol.info/index.php/ajsw/article/view/198919>
  50. აბულაშვილი, ს. (2019). <http://sjss.tsu.ge/wp-content/uploads/2020/07/salome-abulashvili1.pdf>
  51. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. (2020, ივლისი 13). <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/257854>
  52. არსოშვილი, გ., მიქანაძე, გ. (2015). [www.cdn.penalreform.org](http://www.cdn.penalreform.org).  
<https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Probation-Law-Manual-WEB.pdf>
  53. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2017, ივნისი). <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf>



54. ზურაბიშვილი, თ. (2006). [www.ucss.ge.  
http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf](http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf)
55. კილაძე, ს., & ფირცხალაშვილი, ა. (2018). <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14999.pdf>
56. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის. (2020). [https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2020/04/PHR-kvleva\\_web\\_01\\_preview.pdf](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2020/04/PHR-kvleva_web_01_preview.pdf)
57. პრობაციის ეროვნული სააგენტო. (2021). <http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/7>
58. პრობაციის ეროვნული სააგენტო. (2021). <http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/20>
59. საქართველოს პარლამენტი. (2007, 2 ივლისი). [www.matsne.gov.ge.](http://www.matsne.gov.ge)  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>
60. საქართველოს პარლამენტი. (2018, ივნისი 29). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=6>
61. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი. (2015, ივნისი 5). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2820641?publication=0>
62. სპეციალური პენიტენციური სამსახური. (2021). <http://www.sps.gov.ge/ka/saqmianoba/resocializacia-reabilitacia.html>
63. ფრანკფორტ-ნაჩმიასი, ჩ. (2009). [library.iliauni.edu.ge.](http://library.iliauni.edu.ge)  
<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/kvlevismetodebisociologurmecnierebebshi.pdf>
64. ქელბაქიანი, ა., & ცაგარელი, ნ. (2020). [www.rivg.g.](http://www.rivg.ge)  
<https://www.rivg.ge/media/1001537/2020/04/28/cd314b6abb997fee097633e2c7a44d83.pdf>
65. წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი. (2011). [http://gcrt.ge/uploads/publications\\_doc/86.pdf](http://gcrt.ge/uploads/publications_doc/86.pdf)

---

---

**Salome Abulashvili** – Drunk the Tbilisi State University, at the Faculty of Social and Political Sciences, in the direction of Social Work. She was awarded a Bachelor's degree of Social Work degree. Also, the author of the article has been awarded a Master's degree in the field of social work at the same university. Since 2016, Salome has been actively working on scientific articles and studies in the direction of human rights protection. The professional practical activity of the author of the article is related to work in support services for minors and adults. In particular, with persons with disabilities, persons in conflict with the law, juveniles with delinquent behavior and their families/support persons.

---

---

### **Social Work in the Probation System – The Role of the Social Worker in the Prevention of Recidivism and in Reducing the Risk of Harm – Analysis of the Georgian Example and International Experience**

#### **Abstract**

Today one of the most important and topical issues is the role and function of the social worker in criminal justice, including the role of this specialist in the probation system in reducing the risk of harm and preventing recidivism in the world. Given the international and local historical past, the development of social work in probation systems and its role in making changes for service recipients is still a subject of study for researchers. It is a matter of concern the theoretical foundations and practical approaches in criminal justice, the perspectives that emerge for the improvement of social work services in the probation system.

I consider it is important to review these issues, taking into account both local and international experience. It is noteworthy how much local practice shares the theoretical foundations and practical approaches, which exist in the world, at what stage of development is the role of the social worker in the probation system in relation to convicts. Therefore, the aim of the research is to analyze the approaches and methods of social work in the prevention of recidivism and risk reduction, in particular, to analyze local and international practices in terms of assessing the risk and needs of the convict, their control and rehabilitation mechanisms. The objectives of the study are to analyze the international practice of the probation system in terms of mechanisms for assessing the risks and needs of service recipients and to control and rehabilitate mechanisms, also, to study the role of social workers in preventing recidivism and reducing the risk of harm, which is based on international experience; Analyze local practices of the probation system in terms of mechanisms for assessing the risks and needs of service

recipients and mechanisms for control and rehabilitation; To study the peculiarities of social work methods and interventions in the prevention of repeated crime in the probation system and in reducing the risk of harm.

The results of the study show that specialists working with non-custodial convicts in the probation system face challenges such as a large number of cases and limited time resources, due to which it is likely that systematic services for beneficiaries are not fully delivered. The lack of staff in the system, in some cases, the lack of knowledge and competence of specialists make it difficult to work in relevant directions. In the case of adult convicts, the assessment is performed using an RNA instrument, thus making it possible to assess the risk of harm to the beneficiary and the likelihood of recurrence of the crime on a point-by-point basis. In the case of juveniles, this mechanism has not yet been used in practice, although work is underway on this issue. After the initial assessment, due to various factors, it is difficult for the specialist to review the case tool every 6 months. The study identified challenges in the probation system in terms of risk management, supervision and control, which will be discussed in detail in the paper.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.*

---

**ლია მეტრეველი** – განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. არის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს ფსიქოლოგიისა და განათლების პრობლემებზე.

**სალომე საბაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ევროპაში აკრედიტირებული (EAGT) გეშტალტ თერაპევტი. გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომი.

---

## **ქრონიკული თავის ტკივილის (შაკიკი) გამომწვევი ფიზიოლოგიურ-ემოციური ფაქტორები**

ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველას გამოგვიცდია ისეთი სახის ტკივილი, როგორც თავის ტკივილია. თუმცა ქრონიკული თავის ტკივილით მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იტანჯება. მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს ეპიზოდური ან ქრონიკული თავის ტკივილები აწუხებს. ის წამყვანი, ზოგჯერ კი ერთადერთი სიმპტომია 40-ზე მეტი დაავადების (ნევროზი, დეპრესია, ჰიპერტონიული დაავადება, თირკმლის და ენდოკრინული პათოლოგიები, ნერვული სნეულებები და სხვა). ქრონიკული თავის ტკივილების ქრონოლოგიაში მოწინავე ადგილს შაკიკი (25%) იკავებს. სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ჩვენ კვლევაში ყურადღებას.

როგორია თავის ტკივილების დიაგნოსტიკა? მრავალი დიაგნოსტიკური საშუალების მიუხედავად, თავის ტკივილის სახეობების ზუსტი დიაგნოსტიკა გართულებულია, შესაბამისად მკურნალობის მეთოდებიც ბუნდოვანი და ძირითადად მხოლოდ მედიკამენტოზურია.

შაკიკი ტრადიციულად ნევროლოგიური წრის დარღვევად განიხილება. თუმცა უცხოელი მკვლევარები თავის ტკივილით დაავადებულ პაციენტების 90%-ში სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებს გამოყოფენ, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ თავის ტკივილი ერთ-ერთ ფსიქოსომატურ დაავადებად მივიჩნიოთ.

შაკიკი 2000 წელს გლობალური მნიშვნელობის დაავადებათა სიაში იქნა შეყვანილი, რაც მისმა ფართო გავრცელებამ და პაციენტებში ცხოვრების ხარისხის ცვლილებების გამოწვევამ განაპირობა. შაკიკი, ისევე ხშირად გვხვდება მსოფლიო მოსახლეობაში, როგორც ისეთი ცნობილი ფსიქოსომატური დაავადებები, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი ან ბრონქიალური ასთმა.

**როგორ მოქმედებს თავის ტკივილი, კერძოდ კი შაკიკი ადამიანის ცხოვრების ხარისხზე?** მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების მონაცემებით, შაკიკი იმ 20 მიზეზთაშორისაა, რომელიც ადამიანის დეზადაპტაციის გამოწვევი ხდება. შაკიკით დაავადებულ პაციენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ შაკიკი მათი ცხოვრების ხარისხს დაბლა სწევს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის ტკივილი, როგორც ფსიქოსომატური დაავადება თავისებურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასაც წარმოადგენს. ცნობილია, რომ სხვადასხვა ფსიქოსომატური დარღვევების, მათ შორის თავის ტკივილის (შაკიკის), მქონე პაციენტების (20-25 %) მომსახურება ჯანდაცვის ორგანოებს საკმაო თანხა უჯდებათ. თავის ტკივილის მწვავე ფორმებითი როგორც წესი დასაქმებული, განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანები ავადდებიან. თავის ტკივილის განვითარებასთან ერთად შეინიშნება მათი შრომისუნარიანობის დაქვეითება დაცხოვრების ხალისის დაკარგვა, შედეგად ხდება სამსახურეობრივი გრაფიკის დარღვევა, გაცდენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზარალი გამოწვეულია, როგორც პაციენტების მხრიდან (ტკივილის დროს) სამსახურის გაცდენით და შრომისუნარიანობის დაქვეითებით, ასევე მათი მისამართით გატარებულ დიაგნოსტიკურ პროცედურებსა და მკურნალობაზე განეული ხარჯებით.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინა საკმარისად ფლობს თავის ტკივილის მკურნალობის მეთოდებს, ექიმებს მაინც უჭირთ ტვინის შინაგანი მუშაობის ყველა საიდუმლოების გაგება. ერთადერთი დარწმუნებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ – თავის ტკივილის მქონე ადამიანები თავიანთ პრობლემასთან მარტონი არ რჩებიან – იშვიათად თუ შევხვდებით ადამიანს, რომელსაც არ განუცდია თავის ტკივილი. უმეტესობისთვის ეს უკანასკნელი მხოლოდ დროებითი უსიამოვნებაა. ზოგისთვის კი თავის ტკივილი ძლიერ, ქრონიკულ ხასიათს ატარებს.

## ეტოლოგია

თავის ტკივილი – ეს ტკივილის შეგრძნებაა თავის, სახის ან კისრის მიდამოებში. მას შეუძლია გამოიწვიოს პულსირებადი, მტვრევადი, მჩხვლეტავი ან მწველი შეგრძნებები. თავის ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე არაერთგვაროვანი შეხედულებაა. სულ რაღაც 50 წლის წინ შაკიკი ეჭვგარეშედ მიიჩნეოდა ფსიქოსომატურ დაავადებად, თუმცა მოგვიანებით მეცნიერებმა აღმოაჩინეს თავის ტკივილის სხვა ობიექტური მიზეზი კერძოდ, ტკივილი კუნთების დაჭიმულობიდან, თავის სისხლძარღვთა პათოლოგიებიდან (სისხლძარღვების გაგანიერება ან შევიწროება) წარმოიქმნება.

დღესდღეისობით, მეცნიერებიც და ექიმებიც თვლიან, რომ თავის ტკივილის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. სისხლძარღვების გაგანიერებით ან შევიწროვებით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებები შეიძლება საფუძველს ტვინის ბიოლოგიური ანომალიის სიმპტომებიდან იღებდეს.

ქრონიკული თავის ტკივილების, განსაკუთრებით კი შაკიკის მქონე ადამიანები შესაძლოა მიდრეკილნი იყვნენ ტვინის ქიმიური ნივთიერების მემკვიდრული დარღვევისკენ. სეროტონინი – ნივთიერება, რომელიც პირდაპირ კავშირშია თავის ტკივილთან, მოქმედებს, როგორც ქიმიური შუამავალი და გავლენას ახდენს ძილზე, განწყობასა და სისხლძარღვების გაფართოებაზე. თუკი მისი რეზერვი ამოიწურება, შესაძლოა განვითარდეს შაკიკი.

თავის ტკივილების კვლევები სწორედ ამ ნივთიერების შესწავლას უკავშირდება. თუმცა რეალური ფიზიოლოგიური მიზეზი ჯერ სრულიად ნათელი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კუნთოვან და პათოლოგიურ სისხლძარღვოვან ცვლილებებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ამ ყველაფერზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის ტკივილის მაპროვოცირებელი გარეგანი ფაქტორები უფრო მეტადაა გამოკვლეული, ვიდრე ფიზიოლოგიური.

მართალია, შაკიკი მოსახლეობის არც თუ დიდ ნაწილს აწუხებს, მაგრამ მასზე დაკვირვებას და აღწერას უკვე კაცობრიობის ისტორიის შექმნის მიჯნაზე ვხვდებით. შაკიკის ძირითადი კლინიკური გამოვლინებები – მისი პერიოდულობა, დამოკიდებულება ხასიათსა და ცხოვრების პირობებზე, მისი სხეულებრივი და ემოციური სიმპტომები - გამოვლენილი და ნათლად აღწერილი ჯერ კიდევ მეორე საუკუ-

ნეში იყო. ძველი რომის ცნობილიეჟიმი და ფილოსოფოსი არეტაიოსი მას ჰეტეროკრანიას უწინდებდა. (1)

შაკიკი – ნევროლოგიური დაავადება, რომლის ხასიათობრივ სიმპტომად ითვლება ეპიზოდურიან რეგულარულად ძლიერი თავის ტკივილის შეტევები ძირითადად თავის ერთ ნაწილში. დიფერენცირებული დიაგნოსტიკისას დგინდება, რომ სახეზე არ არის სერიოზული თავის ტრავმები, ინსულტი, ტვინის კიბო, ხოლო პულსირებადი ინტენსიური ხასიათის ტკივილები გვაფიქრებინებს სისხლძარღვების თავის ტკივილზე და არა დაძაბულობის თავის ტკივილზე.

შაკიკით ავადდება პოპულაციის დაახლოებით 15%; (10 % -დი-აგნოსტირებული პაციენტები; 5% არადიაგნოსტირებული ან არასწორად დიაგნოსტირებული პაციენტები). ავადმყოფობის სიმძიმე იყოფა იშვიათ (რამდენიმეჯერ წელიწადში), შედარებით მსუბუქ და შედარებით მძიმე შეტევებად.

შაკიკის შეტევის ტიპური კლინიკური გამოვლინებები, – პერიოდულობა, ავადმყოფობის მომასწავლებელი სინდრომები (მხედველობითი დარღვევები, დროდადრო პარესთეზიისა და მეტყველებითი დარღვევები. ის, რომ ტკივილი ყოველთვის ერთმხრივია, შეინიშნება ფოტოფობია, ლებინების შეგრძნება, (ლებინება აადვილებს დიაგნოზის დასმას). შაკიკის სხვა ხასიათობრივი თავისებურებაა ის, რომ შეტევის შემდეგ ავადმყოფი თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად გრძნობს.

ყველა ეს ტიპური თავისებურება ამარტივებს შედარებით კლინიკურ კვლევებს ავადმყოფებთან.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ამ დაავადებას ფსიქოსომატური კვლევებისთვის ხელსაყრელს ხდის არის ის ფაქტი, რომ შეტევები ხშირად ვითარდება და უცაბედად სრულდება. ეს საშუალებას იძლევა საფუძვლიანად გამოკვლეულ იქნას, როგორც შაკიკის შეტევის გამომწვევი, ისე შეწყვეტის ფაქტორები.

### **ფიზიოლოგიური მექანიზმები**

შაკიკის დროს ტკივილის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სისხლძარღვების დაჭიმულობა ითვლება. ეს მოსაზრება დამტკიცებულია გრეჰემისა და ჰ. ვულფის ექსპერიმენტული კვლევებით, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ ტკივილის შეგრძნების საფუძველი თავისი ქალის არ-

ტერიების დაჭიმულობაა. ამით აიხსნება ერგოტამინის ტარტრატის სპეციფიური სამკურნალო მოქმედება (თერაპიული ეფექტი), რომელიც სისხლძარღვების შევიწროვებას იწვევს. მკვლევარების უმეტესობა თვლის, რომ ჰისტამინური (ჰისტამინი – ნივთიერების დასახელება რომელიც არის ალერგიული რეაქციების ხელშემწყობი, წარმოქმნილი), ალერგიული წარმოშობის თავის ტკივილების მექანიზმიც ასეთივეა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მექანიზმიერთმანეთს ჰგავს, ამ ორ თავის ტკივილის ტიპს შორის მანც არის შესამჩნევი განსხვავებები. ტკივილის ბუნება და გავრცელება განსხვავებულია; ჰისტამინური თავის ტკივილი ყოველთვის ორმხრივია და სუბიექტურად აღიქმება, როგორც უფრო ღრმა ტკივილი. შაკიკის შეტევის დროს ერგოტამინის ტარტრატის მოქმედება ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ალერგიის დროს. ვულფიამას იმით ხსნის, რომ ჰისტამინი მოქმედებს ინტრაცერებრალურ არტერიებზე მაშინ, როცა ერგოტამინის ტარტრატი უმთავრესად საძილე არტერიების გარეგან შტოზე ზემოქმედებს.

ითვლება, რომ დაავადების გამომწვევი სიმპტომები, მხედველობის დარღვევა და პარესთეზია განისაზღვრება სისხლძარღვთა პირველადი სპაზმით; სპაზმით, რომელიც ტკივილის შეტევას იწვევს. ვულფის აზრით, სისხლძარღვების გაფართოვება ზეკომპენსირებადი რეაქციაა მათ პირველად შეკუმშვაზე. ფ. ალექსანდერის აზრით კი, სისხლძარღვების გაფართოვება შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებზე სულაც არ იყოს დამოკიდებული.

### **ემოციური ფაქტორები**

ბევრი ავტორი, მათ შორის თანამედროვე ავტორთა უმრავლესობა, ამტკიცებს, რომ შაკიკის ეტიოლოგიაში უმნიშვნელოვანეს როლს ემოციური ფაქტორები ასრულებენ. ეს კვლევები ნაწილობრივ შაკიკის გამომწვევ ფაქტორებს ეხება, ნაწილობრივ კი შაკიკის კენ მიდრეკილი პაციენტების პიროვნულობის ტიპურ თავისებურებებს.

ტიუნერმა და დრეიპერმა შაკიკით დაავადებულ ავადმყოფებში “კონსტიტუციური” პიროვნების ტიპი გამოყვეს. ფიზიკურად მათ თანდაყოლილი აქვთ აკრომეგალოიდური (აკრომეგალია -სხეულის ნაწილებისა და ორგანოების არაპროპორციული ზრდა) ნიშან-თვისებები. რაც შეეხება პიროვნულობას, მათთვის დამახასიათებელია ემო-



ციური განვითარების შეფერხება, მაგრამ ამასთან ერთად მაღალი ინტელექტი. ხშირად შეინიშნება არსებითი სირთულეები სექსუალურ ადაპტაციაში. ტიუნერის და დრეიპერის თანახმად, შაკიკის თავის ტკივილები პირველად მაშინ ჩნდება, როცა ასეთი ადამიანები კარგავენ ოჯახზე დამოკიდებულების განცდას და ეჯახებიან დამოუკიდებელი ცხოვრების პასუხისმგებლობას. აღინიშნება უკიდურესი მიჯაჭვულობა დედასთან, რომლისგანგათავისუფლებაც მათ უბრალოდ არ შეუძლიათ.

შაკიკით დაავადებულ ავადმყოფებში შემდეგი პიროვნების ტიპი – “ფარისევლური” – ოლგაკნოფმა გამოყო. მან 30 პაციენტი აქედან (22 ქალი) გამოიკვლია. პიროვნების ამ ტიპშიერთიანდებიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ: პატივმოყვარეობა, ჩაკეტილობა, სიმშვიდე, სიამაყე, მგრძნობიარობა, დესპოტურობა და იუმორის გრძნობის არქონა. კვლევაში მონაწილე ყველა ქალი ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ნაკლებად იყო ადაპტირებული.

უფრო დიდ ინტერესს იწვევს ფრომ-რაიჰმანის საფუძვლიანი კვლევა, რომელიც ინტენსიური ფსიქოთერაპიის მეთოდით შაკიკით დაავადებულ 8 პაციენტს მკურნალობდა. ავტორი საუბრობს შაკიკით დაავადებულ პაციენტთა შემდეგ თავისებურებაზე: ავადმყოფებს თავდაპირველად მტრულიდა შურის შემცველი იმპულსები უჩნდებათ ინტელექტით გამორჩეული ადამიანების მიმართ, რაც შემდეგ გადანიშნდება საკუთარი თავისკენ მიმართულ დანაშაულის განცდაში.

ჰაროლდ ვულფს შაკიკის შეტევების ფიზიოლოგიის კუთხით ძალიან ბევრი ნაშრომი აქვს წარმოდგენილი. მან შაკიკით დაავადებულ პაციენტების პიროვნული ნიშნების გამოსაკვლევად საფუძვლიანი კვლევები ჩაატარა. ვულფმა გამოყო კომპულსური პიროვნების ტიპი. ამ ტიპის ნიშნებია: პერფექციონიზმი, პატივმოყვარეობა, შეჯიბრების გადაჭარბებული ტენდენცია, რიგიდულობა, პასუხისმგებლობის გადანაწილების უუნარობა. ვულფის თანახმად, ასეთი ავადმყოფებისთვის დამახასიათებელია გულისწყრომა, რომელიც საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის ვერგამკლავების და საკუთარი პერფექციონისტული ამბიციების შესაბამისად ცხოვრების ვერქონის შედეგია. ფრუსტრაციის ეს მდგომარეობა იწვევს დაძაბულობას და დაღლილობას ვიდრე რომელიღაც გარეგანი მოვლენა არ გააძლიერებს ყოველთვის უკვე მზადმყოფ გულისწყრომას და შაკიკის შეტევას არ გამოიწვევს.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა გ. სელინსკი. იგი ასევე ხაზს უსვამდა „ბრძოლას, წყენასა დაშფოთვის“. შეტევა იწყება მაშინ, როცა ადამიანი ეჯახება ამოცანას, რომლის ამოხსნაც მის ძალებს აღემატება.

უფრო მეტად შთამბეჭდავია ის ფაქტი, თუ რამდენად ერთგვაროვანია შაკიკის გამომწვევი ემოციური ფაქტორები.

შაკიკის თავის ტკივილის შესახებ პუბლიკაციების უმეტესობაში საუბარია ჩახშობილ ან შევინროვებულ მტრულ იმპულსებზე. შაკიკით დაავადებულ პაციენტებთან მომუშავე ფსიქონალიტიკოსებს ფსიქოლოგიური სენსების დროს საშუალება აქვთ დააკვირდნენ შაკიკისშეტევის დაწყებასა და დასრულებას. შაკიკის შეტევის პროვოცირებას როგორც წესი, შეკავებული, გამოუხატავი მრისხანება იწვევს. გასაოცარია ის ფაქტი, რომ შაკიკის შეტევა წყდება მაშინვე, როგორც კი პაციენტი აცნობიერებს თავის გამოუხატავ მრისხანებას და აძლევს მას გამოხატვის საშუალებას.

ასეთი დაკვირვებები მცირე ეჭვს თულა ბადებს იმაში, რომ გამოუხატავი მრისხანების იმპულსებს პირდაპირი და სპეციფიური კორელაცია აქვთ შაკიკის შეტევებთან. შაკიკით დაავადებული ადამიანების კიდევ ერთი მიდრეკილებაა შეიკავონ მტრული იმპულსები. ამით აიხსნება, მაგალითად ის რომ შაკიკით დაავადებული ადამიანები კონოფის მიერ აღწერილი “ფარისევლური” ტიპის ან ვულფის მიერ ხსენებული კომპულსური პროვოცირების ტიპის მსგავსად ჩვეულებრივ დაძაბული, ემოციურად შეკავებულები არიან.

შაკიკის თერაპევტულ პრობლემას ორი ასპექტი აქვს – შეტევების აღმოფხვრა და მათი ხელახალი განმეორების თავიდან აცილება.

რაც შეეხება შეტევის შეწყვეტას, აქ ეჭვგარეშეა ერგოტამინის ტარტრატის თერაპევტიული ეფექტურობა, რომელიც განპირობებულია სისხლძარღვების შემავინროვებელი მოქმედებით.

ყველაზე სერიოზული პრობლემა შეტევის პრევენციისას დაკავშირებულია ტვინის სისხლის მიმოქცევის ლოკალური დარღვევების მიზეზების გაბათილებასთან.

მარკუსენი და ვულფი აღწერენ კარგ შედეგებს თავიანთ პაციენტებთან, რომლებმაც კონსულტირების გზით შეძლეს გარემოსთან ადაპტაცია. ისინი პაციენტებს დაეხმარნენ იმ პირობების გაცნობიერებაში, რომლებმაც საბოლოოდ, მათ უბიძგეს ცხოვრების წე-

სის, პროფესიული საქმიანობის, დასვენების და პიროვნული ურთიერთობების ცვლილებებისაკენ.

ყველაზე ღრმა თერაპევტიული მიდგომა, როგორც ფ. ალექსანდერი ამბობს, ფსიქონალიზური მიდგომაა. აქ ცდილობენ გადამწყვიტონ ძირითადი კონფლიქტები და შეცვალონ პაციენტის უნარები ემოციურ კონფლიქტებთან (ნაწილობრივ არაცნობიერ მტრულ იმპულსებთან) მიმართებაში. ამ მიდგომით იმუშავებს ფრომმა და რაიხმანმა და მათი რვა პაციენტიდან უმეტესობას დამაკმაყოფილებელი შედეგი ჰქონდა. (2)

### **პიროვნების სურათი შაკიკის დროს შაკიკი და გენიალურობა**

პიროვნების სურათი შაკიკის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ საკითხის კვლევაში. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია შაკიკი გენიალურობასთან იყოს კავშირში. შაკიკით დაავადებული გამორჩეული პიროვნებების სია მართლაც რომ გაგვაოცებს: იულიუს ცეზარი, ალექსანდრე მაკედონელი, პონტოელი პილატი, პეტრე I, დარვინი, ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი; შოპენი, ვაგნერი, მარქსი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი, ნიცშე, ნაპოლეონი, დოსტოვესკი, გოგოლი, კალვინი, პასკალი, რალა თქმა უნდა, ფროიდი ... ქალებიდან – შარლოტა ბრონტი, ელიზაბეტ I ტიუდორი, ვირჯინია ვულფი. (3)

ეს ადამიანები პიროვნულად საქმიანი, წარმატებაზე ორიენტირებული არიან და შესაბამისად მიზანს აღწევენ; მათ ახასიათებთ არაორდინალურობა, ნათელი გონება, შორსმჭვრეტელობა და აქტიურობა.

თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ადამიანი, ვისაც შაკიკი აქვს, ერთნაირი პიროვნების ტიპისაა. სინამდვილეში, შაკიკი სავსებით ჩვეულებრივ ადამიანებსაც ემართებათ.

ამასთანავე, ითვლება, რომ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს უფრო აქვთ ეს დაავადება, ვიდრე მათ, ვინც მსუბუქად უყურებს ცხოვრებისეულ პრობლემებსა თუ უსიამოვნებებს. ასევე, ავადმყოფობის პიკი 40 წელი – შემოქმედებითად ყველაზე ნაყოფიერი ასაკია. შემდეგ ასაკობრივ ეტაპზე შეტევების სიხშირე და სიმძიმე თანდათან მცირდება და 50 წლის შემდეგ შაკიკი იშვიათად

გვხვდება. მაგრამ არსებობს კი პირდაპირი კავშირი ხასიათის ნიშნებსა და შაკიკს შორის?

ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე ჯერ-ჯერობით არ არის. შაკიკით დაავადებულ ადამიანებში გამოვლენილია ხასიათის რამდენიმე სანინალმდეგო ნიშანი. იმის მიუხედავად, რომ უმეტესობა მათგანი საქმიანი და აქტიური პიროვნებაა, რომელიც თვითდამკვიდრებისკენ ისწრაფვის, ამავდროულად ცდილობს პასუხისმგებლობისგან გაქცევას და ეშინია წარუმატებლობის. როგორც ნესი, ეს ადამიანები ძალიან მომთხოვნი არიან საკუთარი თავის მიმართ, თვითკრიტიკულები არიან და ძალიან მტკივნეულად განიცდიან მათი მისამართით გამოთქმულკრიტიკას. თუმცა, არასდროს აძლევენ საკუთარ თავს უფლებას სხვები აკრიტიკონ. ისინი ასევე, არასდროს ეუბნებიან სხვას დახმარებაზე უარს. მაშინაც კი, თუ მათ ეს პიროვნულ ზიანსმიყენებს. თავიანთ მოთხოვნილებებზე კი თითქმის ყოველთვის დუმან და ღიად არ საუბრობენ.

თავის ტკივილით დაავადებული ტიპიური პაციენტი, როგორც თავის ნაშრომებში ვულფი აღნიშნავდა (1948) – ეს არის პასუხისმგებლობის მქონე, პატიოსანი, აკურატული, მუდმივად წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც „ეცემა“ მაშინ, როცა თითქმის უკვე აღწევს მიზანს. თავის ტკივილით დაავადებული პაციენტების მალალ ინტელექტუალიზმს თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს, და ამასთანავე მიუთითებს სუსტად განვითარებულ ემოციურ სფეროზე. ლოჩი (1965) ამბობს, რომ ალბათ „საჭიროა აზროვნებდე შედარებით მალალ დონეზე, რათა გახდე თავის ტკივილით დაავადებული პაციენტი.“

ვულფმა გამოყო შაკიკით დაავადებული ადამიანების პიროვნული თვისებები, როგორიცაა მაგალითად, აკვიატებული იდეები, პერფექციონიზმი, სოციალური ამბიციის გამოხატულება. ალექსანდერმა, ფრომ-რეიჰმანმა და შაფერმა ჩამოაყალიბეს “შაკიკით დაავადებული პიროვნების ტიპაჟი.“ (8)

ამგვარად, შაკიკით დაავადებული ადამიანის განზოგადებული პიროვნული პორტრეტი დაახლოებით ასეთია: ეს არის აქტიური პიროვნება, დისციპლინირებული, პასუხისმგებლიანი, წარმატებისკენ მიმავალი. ამავდროულად, შინაგანად საკუთარ თავში დაურწმუნებელი ადამიანი, მორცხვიც კი, რომელსაც სირთულეების ეშინია და ცდი-

ლობს გაეცეს მათ. ფსიქოლოგების აზრით, სწორედ ეს ურთიერთსა-  
წინააღმდეგო თვისებები და მათ განსხვავებულ დონეებს შორის შეუ-  
თანხმებლობა წარმოადგენენ ამ დაავადების საფუძველს.

თანამედროვე მკვლევარები ასევე მისდევენ მოსაზრებას, რომ-  
ლის თანახმადაც ტკივილი შაკიკისას ფსიქიკური სიმპტომია, რადგან  
ორგანული ცვლილებები უმეტეს შემთხვევებში არ შეინიშნება. ამას-  
თანავე, სიმპტომის გაშიფვრა ხანდახან ნამდვილ სირთულესთანაა  
დაკავშირებული. როგორც მაკდუგალი ამბობს, ზოგიერთი ფსიქოსო-  
მატური პაციენტი ჯიუტად ვერ/არ ხედავს კავშირს ფსიქოსომატურ  
და ფსიქოლოგიურ მანიფესტაციებს (გამოვლინებებს) შორის. აქ თავ-  
დაცვით მექანიზმებთან (განდევნა, უარყოფა) გვაქვს საქმე.

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეხსიერება, ფანტაზიები –  
ყველაფერი, რაც ფსიქიკური ფუნქციების სახითაა წარმოდგენილი –  
აქვს დიდი მნიშვნელობა შაკიკის ფორმირებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრონიკული თავის  
ტკივილი, ამ შემთხვევაში კი შაკიკი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით,  
საინტერესო და მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს. მნიშ-  
ვნელოვანია, როგორც თვითონ პიროვნული ფაქტორების გამოყოფა  
და შესწავლა, ისე ცხოვრების ხარისხის კვლევა თავის ტკივილების  
დროს. ამ ორ მახასიათებელს შორის მიმართებების დადგენა კი ამ სა-  
კითხის ირგვლივ სამეცნიერო საქმეში მორიგი წინგადადგმული ნაბი-  
ჯი იქნება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საბიაშვილი ს. (2013). თავის ტკივილის (შაკიკი) ფსიქოსომატური ასპექტები, სამაგისტრო ნაშრომი..
2. Оливер С. (2012). Мигрень; Издание на русском языке AST Publishers, pp. 7-8.
3. Гаранян Н. (2003). Холмогорова А.Б. Концепция алекситимии (обзор зарубежных исследований), Социальная и клиническая психиатрия. № 1, стр.128-145.
4. Александер Ф. (2006). Психосоматическая медицина; Перевод с англ. А. М. Боковикова, В. В. Старовойтова под научн. ред. С. Л. Шишкина. М.: Институт Общегуманитарных Исследований.

5. <http://www.everydayhealth.com/headache-migraine/migraine-auras.aspx>; By Debra-Lynn B. HookMedically reviewed by Kevin O. Hwang, MD, MPH; 2012
6. <http://www.medn.ru/statyi/migren-simptomy.html>
7. [http://psyhosomatika.blogspot.com/2011\\_09\\_01\\_archive.html](http://psyhosomatika.blogspot.com/2011_09_01_archive.html)
8. [http://www.sbce.med.br/associados/index.php?option=com\\_mtree&task=viewlink&link\\_id=251&Itemid=496](http://www.sbce.med.br/associados/index.php?option=com_mtree&task=viewlink&link_id=251&Itemid=496)
9. [http://www.all-psy.com/ru/books\\_download.php?id=551](http://www.all-psy.com/ru/books_download.php?id=551)

---

---

**Lia Metreveli** – Academic Doctor of Education Sciences. Associate Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, Georgian Technical University. Is the author of few textbooks, has published scientific articles both in Georgia and abroad. Also she has participated in many international scientific conferences. The spheres of her research mainly are psychology and education problems.

**Salome Sabiashvili** – PhD student of Technical University of Georgia. Assistant Professor of Georgia International University GIU, Gestalt therapist accredited in Europe (EAGT). She has published various scientific works.

---

---

## **Physiological-Emotional Factors of Chronic Headache (Migraine)**

### **Abstract**

At present, we can say that a number of physiological processes are influenced by psychological factors. Modern psychosomatic medicine considers most of diseases to be psychosomatic disorders.

Role of variety of psychological factors is important to disease manifestations, especially in the case of diseases where the medicine is not able to speak about organic injuries. Migraine is one of the priority among the diseases of this type.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.*

**რელიგიის ფილოსოფია და  
რელიგიათმცოდნეობა**

**PHILOSOPHY OF RELIGION AND  
RELIGIOUS STUDIES**

---

**კახა ქეცბაია** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

---

## **ბუდიზმის სოციალური ჰაბიტუსი**

რელიგიის შემსწავლელ მეცნიერებათაგან რელიგიის სოციალური დოქტრინის შესახებ საკითხით ყველაზე მეტად რელიგიის სოციოლოგია ინტერესდება. რელიგიას, პირველ ყოვლისა, ადამიანისა და საზოგადოების სულიერი მხარე იზიდავს, რომლის გარსიც სოციალური რეალობაა, რომელიც გარკვეულწილად რელიგიაზე, სულიერებაზეა დამოკიდებული. ამდენად, აქტუალური ხდება საკითხი რელიგიის სოციალური სწავლებისა და პოზიციის შესახებ. ამ შემთხვევაში საინტერესოა ისეთ თემათა განხილვა, როგორებიცაა ამა თუ იმ რელიგიის დამოკიდებულება სოციალური და ყოფითი პრობლემებისადმი (მაგ., ხელისუფლებასთან, საკუთრების ფორმებთან, ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებთან, ოჯახთან, სქესთან, და ა.შ.). ზოგ რელიგიაში, რომლებიც სოციალურ რეალობაზე არიან ორიენტირებულნი, ეს საკითხი მეტ-ნაკლებად დამუშავებულია და სოციალურ კონცეფციად, დოქტრინად წარმოდგება. ზოგი რელიგია მსგავს საკითხებზე ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას და ა.შ. თუმცა ერთი რამ ცხადია: კერძოდ ის, რომ რელიგია სოციალური სინამდვილისადმი გულგრილი ვერ დარჩება. იგივე ითქმის ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის – ბუდიზმის შესახებ.

ბუდიზმის სოციალურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანია თვალსაზრისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მასში ადამიანის ადგილის, როლისა და ამოცანების შესახებ.

ბუდიზმი ყოველდღიური პროფანული სოციალური რეალობისაგან ერთობ განყენებული რელიგიაა. იგი გასხვივოსნების გამოცდილებაზეა ორიენტირებული და, შესაბამისად, ადამიანთა კოლექტიურ, სოციალურ ცხოვრებას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უთმობს. ბუდიზმი არ აკანონებს, მის მიმდევარს რამდენი ცოლი უნდა ჰყავდეს



ან პოლიტიკური მმართველობის რომელი ფორმა ხიბლავდეს. თუმცა ბუდისტურ სამონასტრო ცხოვრებაზე დაკვირვება იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ გარეგანი სოციალური პირობები, შეუძლებელია, გონების განვითარებასა და სრულყოფაზე არ აისახოს, რომლის გარეშეც ისეთი შინაგანი რელიგიური პრაქტიკა, როგორიც გასხივოსნებაა, წარმოუდგენელია. ამდენად, ბუდისტური რელიგიური ლიტერატურა სოციალური და პოლიტიკური საკითხებისადმი ბოლომდე გულგრილი არ არის, რადგანაც ტიპიტაკაში ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც განიხილება მსგავსი პრობლემები.<sup>1</sup>

ყოველდღიური ცხოვრებისეული საზოგადოებრივი ეთიკის გვერდის ავლით, ბუდისტური სოციალური მოძღვრება ორ მთავარ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას: კასტებსა და საარსებო საშუალებებზე. ბუდამ იმთავითვე უარყო ინდური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კასტური სოციალური დაყოფა, რასაც ზურგს ინდუისტური რელიგია უმაგრებდა, და, ამ მხრივ, თანასწორობის იდეა იქადაგა, რითაც ბევრი მომხრე გაიჩინა, ანუ ბუდიზმმა კასტური საზოგადოებრივი წყობის დანგრევას შეუწყო ხელი. ბუდა ამბობდა, რომ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობა განისაზღვრება არა მემკვიდრეობით მიღებული მდგომარეობით (ჯატი), არამედ – მისი ღირსებით, ქცევით (კარანა) და ხასიათით (კარიტრა).

**ცხოვრების სახსარი:** საარსებო საშუალება ორგვარი მაინც უნდა იყოს: მართებული (სამიაკი) და უმართებულო (მითხია). ბუდა უარს ამბობდა ადამიანის ცხოვრების იმგვარ დაყოფაზე, როცა პროფესიული ქცევა ერთი რიგის სტანდარტებს ექვემდებარება, პირადი ცხოვრება – მეორეს; საერთოდ, ბუდიზმი უზნეო საქმიანობას კრძალავს. მაგ., ისეთს, რომლითაც ხორცის გამყიდველი და ყასაბი, შხამით ან იარაღით მოვაჭრენი დაკავებულან, ამიტომ მართებული საქ-

---

<sup>1</sup> ტიპიტაკა ბუდისტური კანონიკური რელიგიური წიგნების, თხზულებების ერთობლიობაა, რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათასს აღწევს. სიტყვა „ტიპიტაკა“ პალიურ ენაზე „კანონთა სამ კალათას“ ნიშნავს, რადგანაც პალმის ფოთლებზე დანერილ წმინდა ტექსტებს საგანგებოდ დანულ კალათებში ინახავდნენ. ტიპიტაკა სამ ძირითად ნაწილად იყოფა. 1) ვინაია-პიტაკა – (წესდების კალათა), 2) სუტა-პიტაკა – (სწავლების კალათა), 3) აბჰჰიდამა-პიტაკა – (მოძღვრების, სწავლების განმარტებების კალათა).

მიანობა (სამიაკ-აჯივა) ქვემარტებისაკენ მიმავალი გზის მეხუთე პუნქტია.

**პოლიტიკა:** პოლიტიკის სფეროში ბუდიზმი მთავრობასა და ხელისუფლებას ყველა შესაძლო საშუალებებით ადამიანთა და ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვას აკისრებს და რელიგია ნაციონალური ცხოვრების ქვაკუთხედად წარმოუდგენია. ამ უბრალო და დახვეწილი ზნეობრივი იდეალის განსახორციელებად ბუდისტებს მეფე აშოკას (იმპერატორი ძველი ნელთალრიცხვის მესამე საუკუნეში) მაგალითი მოჰყავთ ხოლმე, რომელიც უარყოფდა ომს და, მის ნაცვლად, უპირატესობას ზნეობასა და სიმართლეს ანიჭებდა.

ბუდას მოძღვრება მრავალ რეკომენდაციას შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მმართველი. სოციალური თანამონაწილეობისა და ურთიერთდახმარების იდეა უცხო არ არის ბუდიზმისთვის. შეხედულებათა გაცვლა და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა, თვითმმართველობის აღიარება და ა. შ. ბუდისტური სოციალური დოქტრინის ნაწილია, თუმცა ყველაფერ ამას საფუძვლად ზნეობრიობა და საზოგადოებრივი გავლენისა და ავტორიტეტის პასუხისმგებლობით აღსავსე გამოყენება უდევს. პირველი, რასაც ბუდიზმი ეწინააღმდეგება, ნებისმიერი ფორმის ძალადობა და სიცოცხლის ძალადობრივი მოსპობაა. ბუდა ამბობდა, რომ „სამართლიანი ომი“ არ არსებობს, რომ გამარჯვებული სიძულვილს თესს, ხოლო დამარცხებულს სატანჯველი ეზრდება, ამიტომ ბედნიერია ის, ვინც ორივე მათგანზე უარს იტყვის. კაცობრიობის ისტორიაში ბუდა ერთ-ერთი პირველია, რომელიც ბრძოლის ველზე არა საომრად, არამედ სამშვიდობოდ, სისხლის ღვრის შესაჩერებლად გამოცხადდა. ერთხელ ბუდამ თქვა: „თუკი ქვეყნის მმართველი კეთილი და სამართლიანია, მაშინ მინისტრებიც კეთილები და სამართლიანები ხდებიან, ხოლო როდესაც მინისტრები კეთილები და სამართლიანები არიან, მაშინ უფროსი ჩინოვნიკებიც კეთილები და სამართლიანები ხდებიან, ხოლო როდესაც უფროსი ჩინოვნიკები კეთილები და სამართლიანები არიან, მაშინ რიგითი მსახურებიც კეთილები და სამართლიანები ხდებიან, ხოლო როდესაც რიგითი მსახურები კეთილები და სამართლიანები არიან, მაშინ ხალხიც კეთილი და სამართლიანი ხდება“ (ადჰარმა სუტა: 4.7.10).

ბუდიზმის მიხედვით, დევიაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა ქურდობა, სიცრუე, ძალადობა, სიძულვილი და სისასტიკე სილა-

რიბის შედეგი შეიძლება იყოს, ამიტომ ხელისუფლება მას სასჯელის შემოღებით კი არა, ეკონომიკური განვითარებით უნდა ებრძოდეს. კარგი მთავრობის 10 ბუდისტური წესი ასე გამოიყურება: 1) სულგრძელობა, ხელგაშლილობა, მატერიალურ კეთილდღეობასა და ქონებაზე უარის თქმა; 2) ზნეობრივი სიმაღლე; 3) ხელქვეითთა მწუხარების გაზიარება; 4) პატიოსნება და სამართლიანობა; 5) სიკეთე და სირბილე; 6) უბრალო ცხოვრება; 7) არა – სიძულვილს; 8) არა – ძალადობას; 9) მოთმინება; 10) საზოგადოებრივი აზრის პატივისცემა, რასაც მეფე ამოკა განასახიერებდა თურმე.

ზოგჯერ ბუდას საზოგადოების რეფორმატორადაც კი მოიხსენიებენ, თუმცა რეფორმატორობა მისი ძირითადი მიზანი არასოდეს ყოფილა. ბუდას რეფორმატორობაზე მსჯელობისას იგულისხმება სულიერი, რელიგიური რეფორმატორობა, როცა დაუშვებელია ძალადობა. მნიშვნელოვანია მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილების პრინციპის აღიარებაც.

ბუდიზმის მიმდევარმა აუცილებლად უნდა დაიცვას ხუთი ზნეობრივი პრინციპი, მოთხოვნა (პანჩა-შილა). ესენია: 1) არ მოკლას არც ერთი სულდგმული; 2) არ იქურდოს; 3) არ იცრუოს; 4) მკაცრად დაიცვას ცოლქმრული ერთგულება; 5) უარი თქვას ალკოჰოლზე. ზოგადად, ბუდისტური სოციალური დოქტრინა პანჩა-შილადან გამომდინარეობს. ამ მხრივ, საყურადღებოა შრომისადმი დამოკიდებულების საკითხი.

**შრომა:** მართალია, ადამიანის არსებობის ძირითადი საშუალება, ბუდიზმის მიხედვით, შრომაა, მაგრამ იგი, საბოლოოდ, ადამიანს მინიერ ცხოვრებას აჯაჭვავს, ამიტომ, სულიერი ხსნის თვალსაზრისით, შრომა დიდ როლს არ ასრულებს. წარმავალ მინიერ ცხოვრებას აჯაჭვავს ადამიანს შრომის შედეგად მოპოვებული საკუთრება, ქონება, ავლადიდება, ამიტომ ჯობია, ადამიანმა უარყოს ყველაფერი ეს: შრომა, ოჯახი, საკუთრება და ა.შ. ამ შემთხვევაში ბუდისტური იდეალი ბერია, რომელიც იმას სჯერდება, რაც გააჩნია, და მისაღები ფორმა საქმიანობისა სამონასტრო შრომა და ჯაფაა. შრომის სხვა ფორმებს ბუდიზმი უარყოფს.

**ქალები და ოჯახი:** განსაკუთრებულია ბუდიზმის დამოკიდებულება ქალისა და ოჯახისადმი. ქალთან ურთიერთობა, იქნება ეს ცოლი, დედა, და თუ ქალიშვილი, ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია, რომე-

ლიც ადამიანს მიწიერ რეალობასთან აკავშირებს. ყველაფერი ეს ხელს უშლის ხსნას. სანამ გონება ქალებზე ფიქრობს და ვნებით არის შეპყრობილი, ის ვერასოდეს მოიპოვებს სიმშვიდეს. ამიტომ ბუდიზმი მიესალმება უქორწინებლობას, ქალწულობას, მაგრამ დაქორწინებულთაგან ამ კავშირის ერთგულებას და ოჯახური სინმინდის დაცვას მოითხოვს. ადრეულ ბუდიზმში ქალი ნეგატიურად დაესახათ, როგორც მაცდური, ინტრიგანი და მატყუარა. ქალმა კიდევ ერთი მომდევნო ინკარნაცია (განსხეულება) უნდა განიცადოს და კაცად მოველინოს ქვეყნიერებას, ნირვანაში რომ შეაღწიოს. დღეს თანამედროვე ბუდიზმში ეს პოზიცია ანუ ქალისადმი ნეგატიური დამოკიდებულება რამდენადმე შერბილდა და ქალს მხოლოდ ბუდისტური თეოლოგიის პრინციპებით აღარ უყურებენ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ბუდიზმი ინტრავერტული რელიგიაა. ამას რელიგიის არაერთი მკვლევარი აღნიშნავდა და სწორედ ამან განსაზღვრა მისი სოციალური დოქტრინაც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი, ო. (2008). რელიგიათმცოდნეობა, თბ;
2. გიდენსი, ე. (2005). სოციოლოგია, თავი XVII. რელიგია, მ;
3. ელიადე, მ. (2001; 2002). რწმენისა და რელიგიური იდეების ისტორია, I ტ. მ, 2001, II ტ. მ;
4. ვებერი, მ. (2017). მსოფლიო რელიგიების შედარებითი ანალიზი, სანკტ-პეტერბურგი;
5. მენი, ალ. (2012). მსოფლიო სულიერი კულტურა, გამ. Carpe diem. (თარგმნა კ. ქეცბაიამ). თბ;
6. პაპუაშვილი, ნ. (1996). რელიგიის კარიბჭე, რელიგიის ისტორიის შესავალი, თბ;
7. სმელზერი, ნ. (1994). სოციოლოგია, ნაწილი III. თავი XV. რელიგია. მ;
8. ქეცბაია, კ. (2020). რელიგიის სოციოლოგია. თსუ;
9. ქეცბაია, კ. (2017). მაქს ვებერი – ცხოვრება და შემოქმედება (გზამკვლევი სტუდენტებისათვის), თბ.

---

**Kakha Ketsbaia** – doctor of of Philosophical Sciences, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta-sociology) and philosophy of religion and theology. He is the author of more than 150 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

---

**ბუდიზმის სოციალური ჰაბიტუსი**

**Social habitus of Buddhism**

**Social Habitus of Buddhism**

**Abstract**

Among the sciences studying religion, it is the sociology of religion that is more than others interested in discussing the social doctrine of religion. Religion first of all is attracted by the spiritual aspect of man and society embodied in social reality which in its turn depends to a certain degree on religion, and spirituality. Therefore the issue concerning social teaching and the position of religion becomes actual. In this case, consideration of such topics as the attitude of a certain religion to the problems of social and everyday life (e.g. attitude to the government, forms of property, human rights and duties, family, gender, etc.) acquires a special interest. In certain religions oriented to social reality, this issue is more or less elaborated and presented as a social conception, or doctrine. Some religions do not pay much attention to such problems etc. But one thing is evident: religion cannot stay indifferent to social reality. The same can be said regarding one of the world religions – Buddhism.

The article deals with the social conception of Buddhism. Special attention is paid to the attitude of Buddhism to social life and man's place, role and objectives in it, as well as to women and family, labour, politics and ordinary everyday life.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის განყოფილებამ.*

**სამართლის ფილოსოფია**

**PHILOSOPHY OF LAW**

---

**ბადრი ფორჩხიძე** – საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ავტორი მრავალი ნაშრომისა ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის წიგნებისა: „პიროვნებათა ამოცნობის ისტორიულ-ფილოსოფიური ჰოროსკოპი“ (2007); „სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“(თანაავტორი ო.მინდაძე, 2009); „არაისტორიული, ისტორიამდელი და ისტორიისშემდგომი ყოფიერების ფილოსოფია“ (2014); „ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები“ (2018). მისი ნაშრომები ხშირად იბეჭდება ჩვენს გამოცემაში.

---

## **უდანაშაულობის პრაქტიკის პრობლემა ქართულ სამართალში და მისი გადაწყვეტის ლოგიკურ- გნოსეოლოგიური ალგორითმი**

მოცემულ ეტაპზე, როგორც მთლიანად, საერთაშორისო სამართლებრივ საქმიანობაში, ასევე ქართული სამართალმცოდნეობის მიმართულებით, დასმულია არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის სრული ან ნაწილობრივი გადაუწყვეტელობის გამო, ვაწყდებით სერიოზული ხასიათის სირთულეებს, რაც თავს იჩენს პრაქტიკული სამართალწარმოების პროცესში. ამის მიუხედავად, წინა პერიოდებისგან განსხვავებით, თანამედროვე სამართლის დარგის სპეციალისტები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი, თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში ინტენსიურად მოუხმონ სამართლის ფილოსოფიის კლასიკური ავტორების შრომებში შემუშავებულ ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და საკვანძო დებულებებს. ერთერთი ასეთი მეტად საჭირობო პრობლემა უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაშიც დღემდე არაა ერთსულოვნება როგორც უცხოელ, ისე ქართველ სამართალმცოდნეთა შორის, არა თუ მისი ზოგადი არსისა და განმსაზღვრელი თავისებურების, კონკრეტული დასახელების თაობაზეც. ავტორთა უმრავლესობა (ა. ფალიაშვილი, რ. ჭოლოშვილი, შ. ფაფიაშვილი, მ. უგრეხელიძე და სხვები) მას უდანაშაულობის პრეზუმფციას უწოდებენ და ამ სახით შეაქვთ სამეცნიერო შრომებსა და ნორმატიულ აქტებში. ზოგიერთი მკვლევარი (გ.ნაჭყებია, ა. შუშანაშვილი) მის აღსანიშნავად იყენებენ „არაბრალეულობის პრეზუმფციას“, რაც გამოწვეულია განსახილველი პრინცი-

პის არსის განსხვავებული გაგებით. აღნიშნული დასახელების საკითხის დადგენა აუცილებლობითაა ნაკარნახევი. იურიდიული ტერმინოლოგიის ცნობარში განმარტებულია როგორც უდანაშაულობის, უბრალოების პრეზუმფცია, იქვე მითითებულია თუ რას ნიშნავს განსასჯელის უდანაშაულობა, რომელიც რუსული დასახელების ტერმინთან შესატყვისადაა წარმოდგენილი<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ქართულში „დამნაშავე და ბრალეული სინონიმებად გამოიყენებიან და ბრალეული – ბრალიანს, დამნაშავეს ნიშნავს, სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში, პირის ბრალეულობა (განაზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) დანაშაულის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია და მხოლოდ საზოგადოებრივ საშიშროებასთან, მართლწინააღმდეგობასთან და დასჯადობასთან ერთობლიობაში ქმნის დანაშაულს. ამასთან მიჩნეულია, რომ ბრალი ფსიქიური დამოკიდებულებაა ჩადენილი ქმედობისადმი, ამიტომაც სამართლებრივი მნიშვნელობით „ბრალეულობა“ – „ბრალი“ და „დამნაშავე“ – „დანაშაული“ განსხვავებულ ცნებებად უნდა მივიჩნიოთ.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დასახელება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რუსულიდან იქნა ზუსტი ანალოგიით გადმოღებული, რის შედეგადაც ცალკეული ხარვეზებით იყო იგი ასახული საქართველოს წინა კონსტიტუციასა და ზოგიერთ ნორმატიულ აქტებში. მაგალითად, კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლში მოცემული იყო ასეთი განმარტება: არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არა სასამართლოს განაჩენით (41;მუხ.2). ლოგიკური ტავტოლოგიის გრამატიკულად გაუმართავი დებულება არახელსაყრელი კონსტრუქციის შთაბეჭდილებას ქმნიდა, იმიტომ რომ დამნაშავე დანაშაულის ჩამდენს ნიშნავს, ხოლო ამის შედეგად ვლბებულობთ: „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულის ჩამდენად დანაშაულის ჩადენაში“. ამ ფორმულირებამ მოგვიანებით, რუსულისავე ტერმინოლოგიის გავლენით, ცვლილება განიცადა და დღემდე კანონებში უმეტესად შემდეგი სახით იხმარება: არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სას-

---

<sup>1</sup> Юридический словарь, т. 2, М., 1956 г.



ჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად (43;#12). ამის შემდეგ, მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, რომლის მე-15 მუხლში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი უკვე შემდეგი სახეცვლილი სახით იქნა მოცემული: ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და დადგინდება კანონიერ, ძალაში შესული განაჩენით<sup>1</sup>. აღნიშნული საკითხის დღემდე მოუგვარებლობაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი დებულებების მე-3 მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ, ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა საზოგადოებრივი საშიში ქმედობა. მომდევნო მუხლში კი ადრე ხმარებული ფორმულირებით მოცემულია უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი: „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნას ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით, კანონის შესაბამისად, ხოლო მუხლის დასათაურებაში რატომღაც მხოლოდ ბრალეულობაა ნახსენები, თუმცა აღნიშნული კონსტრუქცია ბრალეულობისა და სასჯელის დადების გაერთიანებით ნათელყოფს, რომ ფორმულირება დამნაშავეს ცნობის პირობებს განსაზღვრავს, მაგრამ ცალკე ბრალეულობის საკითხის გარკვევის საშუალებას არ იძლევა<sup>2</sup>.

გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი თავისი ამოცანების განსახორციელებლად პირველივე მუხლში განსაზღვრავს, თუ რომელი სახის საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და დანაშაულის გახსნის მოვალეობის განსაზღვრისას, მითი-

---

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". 1992 წ. 10 ნოემბერი).

<sup>2</sup> კახიაშვილი ავ. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე. გამომცემლობა „ნეკერი“ თბ., 1997 წ. გვ: 68.

თებულისა, რომ მიღებულ უნდა იქნას ზომები `დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად. (მუხლი 3). ზემოთმოყვანილ ფორმულირებაში არის რიგი საკამათო საკითხები, რომლებშიც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული წყაროებიდან პირდაპირ გადმოტანილი ტერმინების ცალკეულ უზუსტობას, კერძოდ დამნაშავისა და ბრალეულის გამიჯვნის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობას. მაგალითად ა. შუშანიშვილის როგორც ადრინდელ, ისე ბოლოდროინდელ ნაშრომებში, უნებურად ხაზი ესმება დანაშაულის ჩადენაში ბრალეულისა და დამნაშავის ცნებების იდენტურობას, რის გამოც თავს იჩენს გარკვეული წინააღმდეგობანი, ამიტომაც იგი ლოგიკურად ასკვნის, რომ `არც თუ იშვიათად თვით კანონიერ ძალაში შესული განაჩენიც უქმდება ან იცვლება, თვითონ განაჩენის პრეზუმფციული ბუნების გამო<sup>1</sup>. ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმფცია სამართლებრივი პრეზუმფციების საერთო რიგში ვერ მოთავსდება, რადგან ობიექტური დებულებაა და ყოველგვარ გამონაკლისებს გამორიცხავს, რადგან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ბრალდებული ყველა შემთხვევაში, ცალსახად, უდანაშაულოდ ითვლება.

ან განსვენებული გ. ნაჭყებია, რომელიც ყველაზე აქტიურად იყო დაინტერესებული სამართლებრივი პრობლემების ფილოსოფიურ ასპექტში დასმისა და განხილვის მართებული მიზანშეწონილებით, თავის ერთ-ერთ ნაშრომში, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას საფუძვლად უდებდა სადაო დებულებას: „არაბრალეულობის პრეზუმფციის თანახმად, სსრკ კონსტიტუციის (მე\_60 მუხლი) დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებულია პასუხი აგოს არა დანაშაულის ჩადენის, არამედ ამ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. უფრო მეტიც, დანაშაულის სუბიექტს, სრული უფლება აქვს თავი მიაჩნდეს არაბრალეულად იქამდე, სანამ არ მტკიცდება წინააღმდეგო, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქის ეს კონსტიტუციური უფლება.<sup>2</sup> საკამათო დებულებების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალდებული არაა დაიცვას არაბრალეულობა და არც აკეთებს ამას, თუნდაც მაშინ, როდესაც პირს აძ-

<sup>1</sup> შუშანიშვილი ა. უდანაშაულობის პრეზუმფცია. საიუბილეო კრებული, გივი ინჟირველი 70. თბ., 1996 წ. გვ: 151.

<sup>2</sup> ნაჭყებია გ., გაგების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, საბჭოთა სამართალი. 1989 წ. გვ: 74.

ლევენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, ამასთან სახელმწიფო კონსტიტუციით აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებს და პირს უდანაშაულოდ თვლის მის მიერ გამოტანილი სა-სამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის არაბრალეულობის პრეზუმფციის სახით მოხსენიება გაუმართლებელია შემდეგი გარემოებითაც: აღიარებული დებულებიდან, რომ ბრალეულობა დანაშაულის შემადგენელი ნიშანია, რომ ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული და ბრალეულობაც საბოლოოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თითქოს უნდა გამომდინარეობდეს, რომ უდანაშაულობის პრინციპი უდანაშაულობასთან ერთად პირის ბრალეულობაზეც ვრცელდება და პირი კანონის მიერ არა მარტო უდანაშაულოდ, არამედ არაბრალეულადაც უნდა ჩაითვალოს, რაც შეეხება არაბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში ეს ასეც არის, მაგრამ მხოლოდ ბრალეულობასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საკითხი სრულიად განსხვავებულად წყდება. მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირები (მომკვლევნი ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამარლე), სუბიექტურად, შინაგანი რწმენის საფუძველზე, თვლიან რა კონკრეტულ პირს ბრალეულად, აძლევენ მას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ექვემდებარების, ბრალდებულის ან განსასჯელის სახით, ამდენად გაუმართლებელია უდანაშაულობის პრეზუმფციის ძალით, პირის ჩათვლა არაბრალეულად, ასევე არ შეიძლება მოქმედებდეს არაბრალეულობის პრეზუმფცია, როგორც სამოქალაქო სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპი, რადგან მოქმედი კანონმდებლობით, რიგ შემთხვევებში, მაგ. ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებებში ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის (42:მუხ.457). ე. ი. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს სამართლებრივი გაგებით ბრალეულობის პრეზუმფცია, ამრიგად არაბრალეულობის პრეზუმფცია არ შეიძლება იყოს არც სისხლის სამართლის პროცესში და არც სამოქალაქო სამართლის პროცესში მოქმედი ზოგადი პრინციპი, როგორადაც მას დასახელებული ავტორები მიიჩნევენ.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად ერთადერთ მართებულ ფორმად შეიძლება გამო-

ყენებულ იქნას ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფიცია“. ამასთან აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არგუმენტები იმის თაობაზე, რომ პრეზუმფიციის ხმარება მისი სამართლებრივი მნიშვნელობით, რაიმე ფაქტის ნამდვილობის დაშვება (ვარაუდი), სანამ არ დამტკიცდება სანინაალმდეგო. თანაბარი უფლებით შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგებში, როგორც ბრალეულობასა და არაბრალეულობასთან, ასევე სხვა ცნებებთან მიმართებაში, მაგ., კერძო სამართალში სამენარმეო ურთიერთობათა რეგულირებისას გამოიყენება `მოგების მიღების, რეგისტრაციის სისწორის და რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფიციები<sup>1</sup>.

რაც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმფიციის პრინციპს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად რიგი მეცნიერების პოზიციებისა, მას სამართლებრივ პრეზუმფიციად მიჩნევენ და მის ფორმულირებაში `ვარაუდის ხმარებას ამჯობინებენ, ამ საკითხში სავსებით მართებულია გავიზიაროთ მეცნიერთა უმრავლესობაში ფართოდ დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ უდანაშაულობის პრეზუმფიცია არ წარმოადგენს სამართლებრივ პრეზუმფიციას, ის ვარაუდი კი არა სამართლებრივი დებულებაა. იგი საყოველთაოდ აღიარებული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობად ქცეული, მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი პრინციპია და სიტყვა პრეზუმფიცია მასში ვარაუდის მნიშვნელობით კი არ იხმარება, არამედ, როგორც კვალიფიკაციის კონკრეტულ ფორმად (კანონი კი არ ვარაუდობს, არამედ თვლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოცემულ პირს უდანაშაულოდ). ამასთან, ყოველი პირი, მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სახელმწიფოს მიერ ცალსახად და უპირობოდ უდანაშაულოდ ითვლება, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ტერმინი უდანაშაულობის პრეზუმფიცია განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად დამკვიდრდა, როგორც რომის სამართლიდან ინკვიზიტორულ და სხვა არადემოკრატიულ პროცესებში დანერგილი დანაშაულის (ბრალეულობის) პრეზუმფიციის საპირისპირო პრინციპის დასახელება და სწორედ დანაშაული\_დამნაშავე. დანაშაულის პრეზუმფიცია იყო პირველადი, რასაც შემდგომ უდანაშაულობის

---

<sup>1</sup> ჭანტურიძე ლ.ნინიძე თ. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ., 1996 წ. 59-60 გვ.

პრეზუმფციის ცნების შემოღება მოჰყვა და არა პირიქით, როგორც ამას გ. ნაჭყებია თვლის, რომ დანაშაულიდან ლოგიკურად გამოჰყავთ ხოლმე დამნაშავე, რომელიც თითქოს პირის სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს. ტერმინი `უდანაშაულობის პრეზუმფცია ლოგიკურად მოითხოვს ტერმინ დამნაშავეს, რაც სავსებით ლოგიკურად ჩანს.<sup>1</sup> ამდენად, ა. ფალიაშვილის, შ. ფაფიაშვილის, ა. შუშანაშვილისა და გ. ნაჭყებიას მიერ მოცემული პრინციპის სხვადასხვაგვარი განმარტებები, რომლებიც გვხვდება როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე სამეცნიერო პუბლიკაციებში და ნორმატიულ აქტებში, გვაფიქრებინებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე არაა მიღწეული თანხმობა.

სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში, მთელი რიგი ნაკლოვანებების არსებობასთან ერთად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა დარღვევების უამრავი ფაქტი საფუძველს იძლევა ჩავთვალოთ, რომ მოქმედი კანონების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია და მათი მექანიზმის არაეფექტურობა კი არაა ამის მიზეზი, არამედ სამართლის ნორმების არასრულყოფილება და მათ ახსნა-განმარტებაში დაშვებული მნიშვნელოვანი ხარვეზები. საინტერესო შედეგები დაადასტურა ანონიმურმა გამოკითხვამ, რომელიც მიზნად ისახავდა სამართალმცოდნეთა შორის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული შეხედულებების გამოვლენას და აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, რიგი პროცესუალური მოთხოვნების სამართალწარმოების პროცესში გამოყენების საკითხის შესწავლას. მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ იურისტებს მოცემულ საკითხზე არ გააჩნიათ ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული მიდგომა.

ზემოთმოყვანილი ანალიზიდან კეთდება დასკვნა, რაკი როგორც უმაღლესდამთავრებულ, ასევე პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე იურისტების გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია ერთიანი თვალსაზრისი და არც თუ იშვიათად, არასწორად ესმით უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მისგან გამომდინარე მოთხოვნები, ეს ყველაფერი გარკვეულწილად განაპირობებს სამართალწარმოების პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპის დარღვევებსაც. დღის წესრიგიდან ჯერ კიდევ არაა მოხსნილი საკითხი სისხლისსამართალწარმოების ერთ-ერთი

---

<sup>1</sup> ნაჭყებია გ., დანაშაულობის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი, სამართალი, 1992 წ., № 8-9. გვ: 40.

უმნიშვნელოვანესი საფუძვლის – უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების განმტკიცებისა. პირიქით, შეიძლება ითქვას გაცილებით მწვავედ იგრძნობა მისი დამკვიდრების აუცილებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირობო პირობების განხორციელებაში, ვფიქრობთ, თავისი განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს ფილოსოფიურმა, ლოგიკურ-გნოსეოლოგიურმა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა გამოყენებამ, რაც პირველ რიგში უნდა განხორციელდეს დანაშაულისა და ბრალის ცნებათა შინაარსის ფილოსოფიური განსაზღვრებით. შემდეგში ამ განსაზღვრებების ლოგიკურ-მეთოდოლოგიური წესებისა და მათი უფლებამოსილების ფარგლების დადგენით და ბოლოს მისი სოციოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით. ფილოსოფიური ცნების შინაარსის განსაზღვრება დანაშაულს ახასიათებს, როგორც კონკრეტული მოვლენისა და ფაქტის მდგომარეობას, რომელიც მოხდა გარკვეული დროისა და სივრცის მონაკვეთში და რომელიც ხასიათდება როგორც პირდაპირი გამომწვევი მიზეზებით, ისე მისი ხელშემწყობი პირობებისა და გარემოებების თანხლებით. ხოლო რაც შეეხება ბრალს იგი მოიცავს როგორც კონკრეტულ დანაშაულის მიზეზს, ისე მის თანხმლებ ხელშემწყობ პირობებსა და გარემოებებს, ამდენად ბრალი შეიცავს დანაშაულსაც, მთლიანად განსაზღვრავს მას, თუმცა პირიქით არა: დანაშაული აუცილებლობით არ მოიცავს ბრალს. ამიტომ არ არსებობს ბრალი დანაშაულის გარეშე, მაგრამ შეიძლება არსებობდეს დანაშაული ბრალის გარეშე. თუ აღნიშნულ ცნებებს ფართო ლოგიკური განსაზღვრების მოცულობით მოვიხმართ, რასაც ლოგიკაში ეწოდება ფართო განსაზღვრების წესი, მაშინ დანაშაული წარმოადგენს რეალურ შედეგს, ხოლო ბრალი კი რეალურ მიზეზს, თავის ყველაფრიანად, მაგრამ წინააღმდეგობა მათ შორის თავს იჩენს იქ, სადაც დანაშაული ყოველთვის კონკრეტული მოვლენაა, ხოლო ბრალი კი არა. დანაშაული ერთმნიშვნელოვნად დგინდება შედეგის მიხედვით, ბრალი კი მიზეზთა მრავალგვარობაში არაერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების ობიექტი გახლავთ. მაგალითად, შეიძლება ესა თუ ის პიროვნება მისდაუნებურად გახდეს რაღაც გაურკვეველი სიტუაციის პირდაპირი და გამიზნული მსხვერპლი. ვთქვათ კონკრეტული პირები, რომლებიც დაილუპნენ

ფეხბურთის მატჩის გამო ატეხილი ვნებათაღელვის პროცესში, როდესაც მოხდა კონფლიქტი გულშემატკივართა ორ სხვადასხვა ბანაკს შორის, სახეზეა ფაქტობრივი დანაშაული-მკვლევლობა, მაგრამ ბრალი არ ედება არც ერთ კონკრეტულ გულშემატკივარს, ვინაიდან საერთო აურზაურის ფონზე, ვინ რა ჩაიდინა, სრულიად გაურკვეველია. იმ დროს, როცა შეიძლება გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიმე ბანაკის სასარგებლოდ, მონაწილეობდა ინციდენტში და ამ მხრივ, ზოგადად ყველას რალაც ბრალი მიუძღვის. მათ შორის მატჩის არბიტრსაც, რომლის არაკვალიფიცირებულმა და არაობიექტურმა მსაჯობამაც, ვინ იცის, კიდევ ძირითადად განსაზღვრა საშინელი ინციდენტის არსი. ამდენად, ეს ისეთი ვითარებაა, რომ ან არავის არ შეიძლება დაეკისროს კონკრეტული ბრალი, განისაზღვროს როგორც მიზეზი, ან ვისაც შეიძლება ეს დაეკისროს, იგი ამაზე იურიდიულად პასუხს არ აგებს და ბრალეულობა არ წაეყენება. რომ დაგვეშვა ისეთნაირად, რომ დებოში დაფიქსირებული რომელიმე პირი დააკავონ და პასუხი აგებინონ, მთელი ბრალეულობის სიმძიმე მას მაინც არ დაეკისრება, რადგან ასეთ შემთხვევაში, დაირღვევა ლოგიკური განსაზღვრების წესი, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: წესი 1. განსაზღვრებაში მოცემული მნიშვნელობები უნდა იყოს განსაზღვრ ცნებაში მოაზრებული საგნების არსებითი ნიშნები. – აქ ეს ნიშნები არ შეიძლება მოცემული იყოს, ვინაიდან არც ერთი შემჩნეული პირის და არც თუნდაც მთელი გულშემატკივართა არმიის ბრალეულობის საკითხი არ განსაზღვრავს საერთო ბრალის შესაბამისობას კონკრეტულ დანაშაულთან. წესი 2. განსაზღვრება უნდა იყოს ნათელი – ამ შემთხვევაში ბრალის განსაზღვრება იმდენად არანათელი შეიძლება იყოს, რომ მან შეიძლება საერთოდ ფეხბურთის იდეის ავტორებამდეც მიგვიყვანოს. წესი 3. განმსაზღვრელი ცნება განსასაზღვრი ცნების ტოლფასი უნდა იყოს – რაც ამ შემთხვევაში მიგვითითებს იმაზე, რომ ბრალეულობა არც უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ დანაშაულს და დანაშაულს და არც უნდა აკლდებოდეს: ანუ არ უნდა იყოს ისეთი ფართო, რომ გადიოდეს კონკრეტული დანაშაულის ფარგლებს მიღმა, მაგ. ყველასი და ყველაფრის ბრალეულობა კონკრეტული შედეგების მიმართ; ან არ უნდა იყოს ისეთი ვიწრო. მაგ. კონკრეტული ან შემჩნეული რამდენიმე პირის ბრალეულობა, რომელიც ვერ განვდება მთელი დანაშაულის არსს. წესი 4. უნდა მოვერიდოთ უარ-

ყოფით განსაზღვრებებს – რაც იმას ნიშნავს, რომ როცა ვეძებთ დამნაშავეს, არ უნდა ვუთითებდეთ არადამნაშავეზე, რადგანაც განსაზღვრება მოითხოვს: ობიექტი დავახასიათოთ არა ისეთად, როგორც ის არაა, არამედ ისეთად, როგორიცაა, ამიტომაც არაბრალეულობის პრეზუმფციით უდანაშაულობის პრეზუმფციის განსაზღვრა ლოგიკურად არასწორია. წესი 5. ერთეული ცნების განსაზღვრების განმსაზღვრელში ჩამოყალიბებული ნიშან-თვისებები ერთობლივად უნდა ახასიათებდეს ერთადერთ საგანს – რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ დანაშაულს უნდა შეეფარდოს კონკრეტული ბრალი, ანუ რომელიმე დამნაშავეს რომელიმე სიმრავლის მქონე დანაშაულს უნდა შეესაბამებოდეს იმავე ბრალეულის რომელიმე სიმრავლის რომელიმე ბრალი, რაც ალბათ ყველაზე იდეალური შემთხვევა იქნებოდა, მაგრამ ლოგიკურად ეს სწორედ ასეა.

მოცემული ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა ბრალეული არ შეიძლება იყოს დამნაშავე, რადგან ბრალი უფრო ზოგადია და ფართო მოცულობისაა ვიდრე კონკრეტული დანაშაული. დამნაშავე შეიძლება იყოს ბრალეულის ის კატეგორია, რომელიც ტოლმნიშვნელოვანი განსაზღვრების წესით შეესაბამება მას. ამრიგად, ბრალეულობის საზღვარი უნდა დადგინდეს იმ ფარგლებში, ქმედების იმ დიაპაზონში, რომელზეც ვრცელდება დანაშაულის ველი. თუკი, ესა თუ ის პირი ახლოსაა ამ ფარგლებთან, ბრალეულად უნდა ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან ერთად მანამ, სანამ არ დადგინდება საწინააღმდეგო. ბრალეულობა წინასწარ შეიძლება ვივარაუდოთ, ხოლო დანაშაული უნდა ვამტკიცოთ. ამიტომ უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა მიესადაგოს იმ პიროვნებას, ვისზეც შეიძლება გავრცელდეს ბრალეულობის პრეზუმფცია ვარაუდის გაგებით, რაც არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს, მაშინაც კი როცა დამტკიცდება საწინააღმდეგო და ბრალეული უდანაშაულო აღმოჩნდება, რადგან მთარეული თვალსაზრისით, არ არსებობს არც ერთი ნორმალური პიროვნება, რომელიც ნებისმიერი სახის დანაშაულის საქმესთან ნებსით თუ უნებლიედ, მეტ-ნაკლები აქტივობით თუ პასივობით დაკავშირებული არ იყოს. დიდი ფილოსოფოსი ექსისტენციალისტი ნიკოლაი ბერდიაევი ამბობდა: სინდისი ეს არის ზნეობრივი სუბიექტის განცდა, რომელიც ნიშნავს პასუხისმგებლობას იმ დანაშა-



ულზე, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება.<sup>1</sup> რაც შეეხება დანაშაულისა და ბრალის სოციოლოგიურ გათვითცნობიერებას, შეიძლება ყურადღება შევაჩეროთ კოენისა და მერტონის თვალსაზრისზე, რადგან თვით ამერიკელი კრიმინოლოგების აღიარებით, ეს ორი მოაზროვნე დანაშაულის განხილვის საქმეში ერთმანეთთან ახლოს დგანან და ამ საქმეში მათი განაცხადი ერთობ მნიშვნელოვანია. მარშალი კლაინარდი აღნიშნავს, კონკრეტული სახით კოენის თეორია საჭიროებს ფართო გამოყენებას და პრაქტიკულ შემონიშნებას, ისევე როგორც მერტონის თეორია. ორივე მათგანი საფუძვლიანი სოციოლოგიური კონცეფცია სამართალდარღვევათა და დანაშაულთა ასხასნელად, საჭიროა მათი მნიშვნელოვანი გამოყენება.<sup>2</sup> ისინი სოციალური დეზორგანიზაციის პრობლემას პირდაპირ კავშირში წარმოადგენენ დანაშაულთა სხვადასხვა კატეგორიებთან და ამ გაგებით, ბრალეულობის დადგენის სოციოლოგიური კრიტერიუმი მთელ საზოგადოებასთან მიმართებაში განისაზღვრება.<sup>3</sup> რაც თავისებურ გამართლებას აძლევს „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ პარალელურად ბრალეულობის პრეზუმფციის შესაბამისი დიაპაზონის დადგენის შესაძლებლობას სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წარმოების პროცესში, რაც აუცილებლად ასახული უნდა იყოს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ცალკეულ სახელმწიფოთა კონსტიტუციურ დებულებებში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ დეკლარირება და მისი ასახვა კონსტიტუციებსა და ნორმატიულ აქტებში, ამ საკითხის ფილოსოფიური, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური ასპექტების სიღრმისეული ანალიზის გარეშე, თუ არ იქნა მთელი სიგრძე-სიგანით გათვალისწინებული დასამუშაო პრობლემის ყველა ასპექტი, იგი მხოლოდ ფიქციად დარჩება და მისი მოთხოვნები პრაქტიკაში ვერ განხორციელდება. სწორედ ამიტომაცაა აუცილებელი სრულყოფილი, მეცნიერულად გამართლებული და დასაბუთებული სამართლებრივი ბაზის შექმნა და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბება.

---

<sup>1</sup> Бердяев Н. Смысл творчества. М., Изд. Иг. М. Неверова, 1915 г. ст: 129.

<sup>2</sup> Брумм Л. Социология сегодня, М., 1965 г.ст: 590.

<sup>3</sup> Мертон Р. Мид Дж., Парсонс Т., Шюц А. Американская социологическая мысль, М., 1994 г. Ст: 238.

### ლიტერატურა:

1. კახნიაშვილი ავ. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე., გამომცემლობა "ნეკერი" თბ., 1997 წ.
2. ნაჭყებია გ., გაგების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, საბჭოთა სამართალი. 1989 წ.
3. ნაჭყებია გ., დანაშაულობის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი, სამართალი, 1992 წ., № 8-9.
4. შუშანიშვილი ა. უდანაშაულობის პრეზუმფცია. საიუბილეო კრებული, გივი ინკირველი 70. თბ., 1996 წ.
5. ჭანტურიძე ლ.ნინიძე თ. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ., 1996 წ.
6. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992 წ. 10 ნოემბერი).
7. Бердяев Н. Смысл творчества. М., Изд. Иг. М. Неверова, 1915 г.
8. Брумм Л. Социология сегодня, М., 1965 г.
9. Мертон Р. Мид Дж., Парсонс Т., Шюц А. Американская социологическая мысль, М., 1994 г.
10. Юридический словарь, т. 2, М., 1956 г.

---

---

**Badri porchkhidze** – Academician of the Academy of Philosophical Sciences of Georgia, Doctor of Philosophy, Assoc. Professor of Kutaisi AK. Tsereteli State University, author of many labour, about topical problems of Philosophy, including books: "Historical-philosophical horoscope of personality recognition" (2007); "Actual Problems of Law Philosophy" (Coauthor O. Mindadze 2009); "The philosophy of non-hisictoric, prehistoric, and post-historic being" (2014); "The Social-Philosophical and Logical-Gnosiological Basis of Oratory Art and General Rhetoric"(2018). His works are oegten printed in our publications.

---

---

## **The problem of presumption of innocence in Georgian law and the logical-epistemological algorithm for its solution**

### **Abstract**

At this stage, both in international legal activity as a whole, as well as in the direction of Georgian jurisprudence, a number of important problems have been raised, due to the complete or partial undecidability of which, we face difficulties of a serious nature, which manifest themselves in the process of practical proceedings. Despite this, in contrast to previous periods, specialists in the field of modern law are less interested in intensively calling upon the basic concepts, categories, methodological principles and key provisions developed in the works of classical authors of legal philosophy in their professional activities. One of these very pressing problems is related to the presumption of innocence, in which there is still no unanimity among both foreign and Georgian jurists, not only regarding its general essence and defining features, but also regarding its specific naming. In the practice of criminal proceedings, along with the existence of a number of shortcomings, numerous facts of violations of the requirements of the principle of presumption of innocence give reason to assume that the non-uniform interpretation of the applicable laws and the ineffectiveness of their mechanism are not the reason for this, but the imperfection of the legal norms and the significant flaws in their explanation.

Finally, it can be said that the declaration of the "presumption of innocence" and its reflection in the constitutions and normative acts, without an in-depth analysis of the philosophical, logical-epistemological and sociological aspects of this issue, if all aspects of the problem are not taken into account, it will remain only a fiction and its requirements cannot

be implemented in practice. That is why it is necessary to create a perfect, scientifically justified and substantiated legal base and to establish a truly independent court.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.*

**ესთეტიკა**

**AE AESTHETICS**

---

**ნანა გულიაშვილი** – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; მუშაობს ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის პრობლემებზე; გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია და წიგნი: „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევი“ (თბ. 2012 წ.). თანაავტორია მონოგრაფიის: „რომანტიზმის ესთეტიკა“ (2023). ავტორია სახელმძღვანელოსი: „ხელოვნების ფილოსოფია“ (2023).

---

## **რომანტიზმის ესთეტიკის ფილოსოფიური საფუძვლები (კანტი, ფიხტე)**

**ი. კანტი:** ფილოსოფიის ისტორიაში ხელოვნებისა და შემოქმედების შესახებ გამოთქმული მრავალი ანგარიშგასაწევი მოსაზრებების მიუხედავად, რთულია მოიძებნოს ეპოქა სადაც შემოქმედებით და ხელოვნებით ისე დაინტერესებულყვნენ და ისეთი მნიშვნელობა მიენიჭებინათ, ზოგადად ადამიანურ ყოფიერებაში, როგორც ეს რომანტიკოსებმა გააკეთეს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, მიუხედავად მათი მოსაზრებების აშკარად გამოხატული ანთროპოლოგიური ხასიათისა, შემოქმედება და ხელოვნება მათთან ონტოლოგიურ მნიშვნელობას იძენს და ადამიანური ყოფიერების უმთავრეს გამოხატულებად იქცევა.

რომანტიკულმა ცნობიერებამ საფუძველი დაუდო არა მარტო მხატვრულ ესთეტიკურ სტილს, არამედ ჩამოაყალიბა ფილოსოფოსობის განსაკუთრებული მიდგომა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კვლევის ცენტრში ადამიანური ცნობიერების აქტივობის პრობლემა დგება. თუმცა ადამიანის ცნობიერების აქტივობა კანტის ფილოსოფიისთვისაც იყო დამახასიათებელი, მაგრამ განსხვავებით კანტისაგან, რომლის აზროვნების ვექტორიც მიმართული იყო შემეცნების სუბიექტზე, რომანტიკოსები თავისი ინტერესის საგნად ადამიანის გრძნობად მხარეს, სამყაროსადმი ემოციონალურ რეაქციას, სულიერ-შემოქმედებითი პროცესის გააზრებას აქცევენ. ამდენად რომანტიკოსების ფილოსოფია, აშკარად გამოხატულ სუბიექტივისტურ საფუძველზე დგას, რასაც ლოგიკურად მიყვავართ ადამიანის სულიერი თავისუფლების პრიმატის აბსოლუტიზაციისკენ, ხოლო ამას თავის მხრივ შემოქმედების, კერძოდ კი მხატვრული შემოქმედების უმაღლესი ღირებულების აღიარებამდე.

რომანტიზმის ესთეტიკის ჩამოყალიბებაზე შეიძლება კანტის ფილოსოფიას პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა რომანტიზმის ესთეტიკის ყველაზე გავლენიანი მოაზროვნე შელინგი განიცდის კანტის მსჯელობის უნარის კრიტიკის და ფიხტეს ნააზრევის გავლენას. ამდენად რომანტიზმის მსოფლმხედველობის უკეთ გაგებისთვის საჭიროა კანტის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევის მოკლე მიმოხილვა.

კანტის ფილოსოფიის შესწავლა, მისი აღქმა და ათვისება დიდ მოთმინებას მოითხოვს, რადგან ძნელია მშვიდად, ყურადღებით ვადევნოთ გონების თვალი მსჯელობას, რომელიც ჩვენს ჩვეულებრივ წარმოდგენებს უპირისპირდება. ჩვენ ვამბობთ, რომ საგნები და საგანთა შორის კავშირები, ბუნებაში არსებობენ უჩვენოდ, თავისთავად. ასეთი შეხედულება უდევს საფუძვლად როცა ვამბობთ „წვიმამ მომისწრო“, „სეტყვა წამომენია“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საგანს, ახლა რომ ვუმზერ, ჩემს წინაა, აქაა. ზოგ საგანს ახლა ვერ ვხედავთ, მაგრამ ვიცით, რომ იქაა, მეორე ოთახში, კარადის უკან... ეს საგნები არსებობდნენ გუშინ, დღეს, ხვალაც... გამოცდილება კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით ამტკიცებს ჩვენს ამგვარ წარმოდგენებს. ჩვენ ისეთი წარმოდგენებით ვცხოვრობთ, რომ საგნები არსებობენ უჩვენოდ, ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. ასევე ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს დროცა და სივრცეც. ჩვენ ამგვარი წარმოდგენებით ვცხოვრობთ. კანტის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, სწორედ ამ ჩვენი წარმოდგენების საწინააღმდეგოა.

დრო და სივრცე ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობა კი არ არის, არამედ საგნების ხედვის, ჭვრეტის აპრიორული ფორმებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენებური ადამიანური უნარებია. სივრცეში ერთიმეორის გვერდით და დროში ერთიმეორის შემდეგ საგნები ჩვენგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, ჩვენი ჭვრეტის უნარებითაა განპირობებული. (დრო და სივრცე) განალაგებს მათ ერთიმეორის გვერდით.

რატომ ამბობენ, ანუ რას ემყარებიან, როცა ამბობენ დრო და სივრცე ობიექტური რეალობა არ არისო.

კანტი ამბობს: „რომ ადამიანის გონებას განსაკუთრებული ბედი დაჰყვა: მას ანუხებს ისეთი საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუძს.“

რაც ძირითადი კითხვის სახით წარმოგვიდგა:

1. რა არის სამყარო, ანუ რა შეიძლება იცოდეს ადამიანმა სამყაროს შესახებ.
2. რა მიმართებაშია ადამიანი სამყაროსთან, ანუ როგორ უნდა მოიქცეს, რა უნდა აკეთოს მან.
3. რა შეიძლება მოსწონდეს ადამიანს, ან რისი იმედი უნდა ჰქონდეს მას.

თვით ამ კითხვების დასმა, მაუწყებელია იმის, რომ იწყება ადამიანისა და სამყაროს სხვაგვარი ურთიერთობა. ყველა ამ კითხვაზე ადამიანს პასუხი შეეძლო მოეპოვებინა ბიბლიიდან. ხოლო რაციოს საფუძველზე დასმული ეს კითხვები სრულიად ახლებურ პასუხებს განაპირობებს. რაც კარგად ჩანს კანტის სამივე კრიტიკაში. შეიძლება ვიცოდეთ მოვლენათა სამყაროს შესახებ და ვერაფერს ვიტყვი „ნივთი თავისთავადის“ (Ding an sich) შესახებ. კანტის მიხედვით ბუნებაში მეფობს აუცილებლობა. კითხვაზე რა უნდა ვაკეთო, კანტი „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“ აკეთებს დასკვნას, რომ ადამიანი არის თავისუფალი არსება, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია მოვალეობის ან პასუხისმგებლობის ეთიკა, რის საფუძველზეც შემუშავებული აქვს კატეგორიული იმპერატივი.

„მოიქეცი ისე, რომ შენი ქცევა იქცეს საყოველთაო ფორმად, რომ ადამიანი შენთვის იყოს არა მხოლოდ საშუალება, არამედ მიზანი.“

კითხვაზე რისი იმედი შეიძლება გვექონდეს, კანტს აქვს პასუხი თავის „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“. საქმე ისაა, რომ ადამიანის არსებობა ერთის მხრივ აუცილებლობის სამყაროში მიმდინარეობს, მეორეს მხრივ ადამიანი თავად თავისუფალი არსებაა. ამ შეუსაბამობის გამო ისმება სწორედ ეს შეკითხვა იმედის შესახებ. კანტს მიაჩნია, რომ ამ ორი შეუთავსებელი პირობის, თავისუფლების და აუცილებლობის მორიგება შესაძლებელია ესთეტიკურ სფეროში სადაც შემოქმედი თავისუფლად ირჩევს თავის თამაშის წესებს და მას შემდეგ ანხორციელებს აუცილებლობით. მოკლედ, შემოქმედების სფეროში ბატონობს არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, არამედ მიზანშეწონილო-



ბა. კანტის ეს შეხედულებები წარმატებით გამოიყენეს რომანტიკოსებმა.

კანტის კოპერნიკისეული გადატრიალება აზროვნებაში, მოასწავებდა იმას, რომ მანამდე მიაჩნდათ, რომ არსებობს ობიექტური რეალობა და ცნობიერებას მხოლოდ მისი ასახვა ძალუძდა. ამ მიდგომას კანტი დოგმატურს უწოდებს და ამბობს, რომ ისიც კარგა ხანს იყო დოგმატურ თვლელაში გახვეული. მისი აზროვნების რევოლუციური სიახლე მდგომარეობდა დოგმატიზმის დაძლევაში და კრიტიკული, ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის აზრით ცნობიერება კი არ ასახავს, არამედ ქმნის სინამდვილეს. კანტის ფილოსოფიის ენაზე ამ პრობლემას გონების ერთიანობის პრობლემა ჰქვია, ხოლო ისე ეს ადამიანისა და სამყაროს დამოკიდებულების საერთო ფილოსოფიური საკითხია. თუ სამყაროსა და ადამიანის დამოკიდებულებას უფრო გავაშინაარსიანებთ ეს ბუნების და გონების დამოკიდებულებაა. კიდევ უფრო კონკრეტულად, აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთ დამოკიდებულება. კანტის ფილოსოფია კრიტიკული ფილოსოფიაა. დოგმატიზმის პრინციპული უარყოფა კანტის ფილოსოფიის ერთ-ერთი თავისებურებაა. კვლევის კრიტიკულ მეთოდს, ასე ვთქვათ ორი გზა აქვს. ჯერ უნდა გაირკვეს, რა არის ობიექტი. ეს ობიექტის დანაწევრებით, ანალიზით მიიღწევა.

კანტის ტერმინების შესახებ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს; ტერმინი, როგორც ცნობილია, ცნების სახელი – აზრის აღმნიშვნელია.

კანტის ფილოსოფიაში არის ასეთი აზრი, ცნება – ის, რაც ყოველგვარი გამოცდილების გარეთაა. ამ ცნებას კანტი გამოთქვამს ტერმინით – **ტრანსცენდენტური**. მაგრამ არის მეორე ცნებაც – ის, რაც წინ უსწრებს ყოველგვარ გამოცდილებას, ე.ი. გამოცდილების გარეთაა, მაგრამ გამოცდილების პირობას წარმოადგენს. ამ ცნების ტერმინია **ტრანსცენდენტალური**.

ამრიგად, ტერმინი ტრანსცენდენტური და ტრანსცენდენტალური, აზრებს, ცნებებს გამოთქვამენ. ცნება რადგან აზრია იგი მხოლოდ აზრით შეიძლება „დავინახოთ“, იგი უნდა გავიაზროთ. რაიმე გრძნობადი ხატი მისი წარმოდგენა შეუძლებელია.

ცნებას არა აქვს გრძნობადი ხატი, ანუ იგი არ არის გრძნობის ორგანოების ობიექტი. ცნებას რომ გრძნობადი ხატი ჰქონდეს, მაშინ

იგი ერთეულის წარმოდგენა იქნება და არა აზრი, ზოგადი. ცნებები ტრანსცენდენტური და ტრანსცენდენტალური, მათში ნაგულისხმევი ნიშანთა საფუძველზე, გარკვეულ მიმართებებად უნდა გავიაზროთ. რა მიმართებებია ესენი? როგორც უკვე ვთქვით, ტრანსცენდენტური არის გამოცდილების მიღმური, ხოლო ტრანსცენდენტალური – გამოცდილების ისეთი მიღმური, რომელიც, გამოცდილების პირობას წარმოადგენს.

ის მოსაზრებები, რაც „წმინდა გონების კრიტიკაში“ გაურკვეველად იყო დატოვებული, რის შესახებაც იქ ნათქვამი იყო, რომ ისინი შეუმეცნებელი არიან, „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“ გაგებული, თავისებურად შემეცნებული ხდება. აქ დგება ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა, რომელსაც კანტი ასე წყვეტს: ადამიანი არის ბუნების ნაწილი; როგორც ბუნების ნაწილს, როგორც გრძნობად არსებას, მას ნებისყოფა არა აქვს თავისუფალი, მაგრამ ადამიანს თუ ნებისყოფა არა აქვს თავისუფალი, მაშინ შეუძლებელია კატეგორიული იმპერატივის გამართლება, რომელიც როგორც ზნეობრივი კანონი, გულისხმობს, რომ ადამიანის ნებისყოფა თავისუფალია. საბოლოოდ, ირკვევა, რომ თავისუფლება გამორიცხულია ბუნების სფეროდან და იგი გვხვდება განსჯის საფეხურზე.

მივიღეთ ორი სამყარო: სამყარო – რომელშიც თავისუფლება, მიზნობრიობა ბატონობს და სამყარო – რომელშიც აუცილებლობა, ე.ი. მიზეზობრიობა ბატონობს. ეს არის მოვლენების სამყარო და ნივთების თავისთავადი სამყარო. ისინი გათიშულნი არიან. გამოდის, რომ სამყარო ორად გაიხლიჩა, ეს გახლეჩა კანტისათვის დიდი პრობლემაა. კანტმა ყველაფერი სუბიექტით უნდა ახსნას. ამიტომ მას გამოუვიდა ორი სუბიექტი: გნოსეოლოგიური სუბიექტი – როცა ადამიანი სინამდვილეს ხედავს როგორც აუცილებლობას, როგორც მიზეზობრიობას, და ზნეობრივი სუბიექტი – როცა ადამიანი სინამდვილეში ხედავს თავისუფლებას, როგორც მიზნობრიობას. ეს არის დუალიზმი, რომელსაც კანტი ხედავს. ამიტომ მის ფილოსოფიაში მესამე „კრიტიკის“ ამოცანა არის ამ ორი სამყაროს გაერთიანება. მისი ამოცანაა ხიდი გადოს თავისუფლებისა და აუცილებლობის სამყაროს შორის. ეს რომ გაკეთდეს, საჭიროა მოიძებნოს ისეთი რამ, რაც გააერთიანებს ამ ორ სუბიექტს, ამ ორ გონებას.

როგორ უნდა მოწესრიგდეს ამ ორი სამყაროს ურთიერთობა?

როგორ უნდა გაიდოს მათ შორის ხიდი? ტოლძალოვანი იქნება ეს ორი სამყარო, თუ ერთი მეორეს დაემორჩილება? თავისუფლების სამყარო მეტი ძალისაა, ვიდრე აუცილებლობის სამყარო. ამიტომ, პრაქტიკული გონება მეტი ძალის მქონეა, ვიდრე თეორიული გონება. თეორიული გონება ანტინომიებში გაიხლართა, პრაქტიკულმა გონებამ კი გადაჭრა ეს ანტინომიები. ამიტომ პრაქტიკულ გონებას პრიმატი აქვს თეორიულ გონებასთან შედარებით.

რადგან პრაქტიკული გონება უფრო ძლიერია ვიდრე თეორიული, ამიტომ მან უნდა დაიმორჩილოს ბუნების სფერო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება უნდა დაემორჩილოს მიზნობრიობის პრინციპს. ამიტომ ჩვენ ბუნებაში მიზნობრიობა უნდა აღმოვაჩინოთ. თუ აღმოჩნდება ისეთი სფერო, რომელიც გააერთიანებს ამ ორ სამყაროს, მასში უნდა იყოს ორივეს მომენტები. მასში უნდა არსებობდეს თავისუფლებაც და აუცილებლობაც. მაგრამ რადგან თავისუფლება უფრო მაღალია, ვიდრე აუცილებლობა, ამიტომ ამ ახალ სამყაროშიც ორივე უნდა იყოს: ბუნება უნდა დაემორჩილოს მიზნობრიობას, რომ არის ბუნებრივი მოვლენა და ამავე დროს ემორჩილება მიზნობრიობას, ამის მაგალითი ცოცხალი ორგანიზმია. ცოცხალი ორგანიზმი ბუნებრივი მოვლენა და ამავე დროს მიზანშეწონილიცაა. ორგანიზმი ისეთი არსებაა, თითქოსდა რაღაც მიზნის მიხედვით არის აგებული. ორგანიზმი არის ისეთი რამ, რაც განსხვავდება აგრეგატისგან, მანქანისგან, რომელიც აიხსნება მისი ნაწილებიდან. ორგანიზმს ჩვენ ვერ ავხსნით მისი ნაწილებიდან. ორგანიზმში ნაწილები გამართლებას იღებენ მთელიდან. ამიტომ იგი არის მიზანშეწონილი, ე.ი. ორგანიზმი ემორჩილება მიზნობრიობას.

განსჯის კატეგორიებზე მიზნობრიობა არ არის, მაგრამ შეიძლება მათი მიზნობრივი თვალსაზრისით განხილვა. როცა ვთქვით, რომ ორგანიზმი არის მიზანშეწონილი, ამით ჩვენ იგი მიზნობრიობას კი არ დავუმორჩილეთ, არამედ მიზნობრიობით ავხსენით. ე.ი. მსჯელობა, რომელშიც მიზნობრიობა არის გამოთქმული, არ იქნება შემეცნებითი მსჯელობა. რატომ? შემეცნებითი მსჯელობისათვის დამახასიათებელია შემდეგი: მსჯელობა არის კავშირი სუბიექტსა და ობიექტს შორის. შემეცნებით მსჯელობაში, როგორც წესი, სუბიექტი არის კერძო და პრედიკატი კი – ზოგადი, ამ დროს ჩვენ კერძოს ვაქცევთ ზოგადში; ზოგადი ჩვენ გვიხსნის კერძოს. მაგ. ადამიანი არის მოკვდავი. აქ ჩვენ ვიცით რას ნიშნავს მოკვდავობა და მოკვდავობით განვსაზღვრავთ

ადამიანს. ე.ი. შემეცნებითი მსჯელობა არის განსაზღვრული. ხოლო მიზნობრივი მსჯელობა იქნება შემფასებელი, მარეფლექტირებელი.

„მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ განხილულია მარეფლექტირებელი მსჯელობები. როგორია ეს მსჯელობა? ჩვენ ერთი ნიშანი უკვე ვთქვით: – შეფასება მიზნობრიობის თვალსაზრისით – ეს მსჯელობა თავის მხრივ ორი ტიპისაა. ტიპები განსხვავდებიან იმ მიზნობრიობით, როგორც მათშია წარმოდგენილი: ობიექტური მიზნობრიობა და სუბიექტური მიზნობრიობა. ობიექტურ მიზნობრიობას ობიექტური მიზანშეწონილობა გააჩნია, სუბიექტური მიზნობრიობა, ჩვენი შემეცნებითი უნარებისთვის არის მიზანშეწონილი, პირველ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ტელეოლოგიური მსჯელობა; ტელეოლოგიური მსჯელობა ისეთი მსჯელობაა, რომელიც მიზნობრიობის თვალსაზრისით განიხილავს ობიექტს, საგნებს. მეორე შემთხვევაში კი ჩვენ გვექნება ესთეტიკური მსჯელობა. ჩვენ სწორედ ეს მეორე მსჯელობა გვანტერესებს.

1. ესთეტიკური მსჯელობა არ არის ლოგიკური მსჯელობა; მასში არ ხდება რაღაცის განსაზღვრა რაღაც ზოგადით.
2. ესთეტიკურ მსჯელობაში ლაპარაკი იქნება სუბიექტურ მიზანშეწონილობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცა არის ისეთი აგებულების, რომ იგი თითქოსდა იმისთვის არის ისეთი აგებულების, რომ უფრო ადვილად აღვიქვათ.

ესთეტიკური მსჯელობა გემოვნების მსჯელობაა: თუ ესთეტიკურ მსჯელობაში უნდა იქნეს გამოხატული სუბიექტური მიზანშეწონილობა, აქ სუბიექტი გამოთქვამს, რომ ეს საგანი ჩემთვის მიზანშეწონილია. ე.ი. აქ გემოვნებაზეა ლაპარაკი. მას რაც მე ვთქვი, ობიექტურობის პრეტენზია არა აქვს. იგი მხოლოდ მე მომწონს, იგი ჩემი გემოვნებისთვის არის მიზანშეწონილი, ჩემს გემოვნებას პასუხობს.

ესთეტიკური მსჯელობა არ არის შემეცნებითი მსჯელობა. კანტი ახდენს ესთეტიკური მსჯელობის ანალიტიკას, მის ანალიზს. რა არის ესთეტიკური? რით განსხვავდება ესთეტიკური მსჯელობა სხვა სფეროებისგან? რა აქვს მას საერთო სხვა სფეროებთან? ამის გაგებით გავიგებთ, რა არის მშვენიერი. ესთეტიკური მსჯელობა არ არის ჩვეულებრივი მსჯელობა, ის ისეთი მსჯელობაა, რომელშიც სიამოვნება არის გამოთქმული; მასში გამოხატული არის მოწონება. ე.ი. თვისობრიობის თვალსაზრისით ესთეტიკური მსჯელობა არის დადებითი

მსჯელობა (კმაყოფილების გამომწვევი). როგორ სიამოვნებას გამოთქვამს ესთეტიკური მსჯელობა? როგორია ესთეტიკურ მსჯელობაში იმ სიამოვნების სპეციფიკა, რომელსაც მშვენიერი საგანი იწვევს?

ესთეტიკურ მსჯელობას ახასიათებს ცნების გარეშე საყოველთაობა. მას საფუძველი აქვს აპრიორულ გრძნობებში, რომელიც ზოგადია და ამიტომ იგი საყოველთაო ხასიათის მატარებელია. ეს არის ცნების გარეშე საყოველთაობა. ყოველი ესთეტიკური მსჯელობა თავისი ბუნებით არის ერთეული. იმიტომ, რომ სუბიექტი არის ერთეული, მისი პრედიკატი კი არის ჩემი გრძნობა, ერთეულის გრძნობა და არა ზოგადის. ჩვენ დავახასიათეთ ესთეტიკური მსჯელობის სამი ნიშანი: სილამაზე არის ის რაც მოგვწონს ყოველგვარი ინტერესის გარეშე; სილამაზე არის ის, რაც მოგვწონს ყველას, ამ ნიშნებს თუ შევაერთებთ გვექნება: სილამაზე არის საყოველთაო რამ, რაც მოგვწონს ცნების გარეშე და ინტერესის გარეშე.

კანტის აზრით, მშვენიერება თვალთ კი არ დაინახება, არამედ სულით განიცდება. ჩვენ მისი დანახვა შეგვიძლია მხოლოდ სულით. ჩვეულებრივი ჭვრეტის გარდა, არსებობს მაღალი რანგის ჭვრეტა (სულის ჭვრეტა).

**ი. ფიხტე:** კიდევ ერთი ფილოსოფოსი, რომლის მოძღვრებამაც აშკარა გავლენა მოახდინა რომანტიზმის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე არის იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814). ფიხტე შემთხვევით გაეცნო კანტის შრომებს, მოიხიბლა მათი შინაარსით. 1794 წლიდან იგი იენაში კითხულობს ლექციებს, მისი მოძღვრების პატივისცემა დასტურდება შემდგომში რომანტიკოსების, შელინგის, ძმები შლეგელების, ნოვალისის და სხვათა მხრიდან. რასაკვირველია, ეს გარემოება აღძრავს ინტერესს ფიხტეს ფილოსოფიური მოძღვრებისადმი და სამართლიანად მიგვანჩნია ამ მოძღვრების მოკლე მიმოხილვის შედეგად ვაჩვენოთ ის ნაწილი რომელმაც გავლენა იქონია რომანტიზმის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ფიხტე სუბიექტური იდეალისტია, იგი აზროვნებიდან გამოდის და ყოველგვარი არსებობის საფუძველს მასში ხედავს. ამტკიცებდა, რომ თუკი აზროვნებაში მოიძებნება ერთი, ყოველივეს გამაერთიანებელი, მაშინ გარანტირებული იქნება საერთოდ ადამიანური ცოდნის სისტემა. ცნობიერებაში ისეთი საერთოს მოძებნის იდეა, რომლისგანაც ყველაფერი გამოიყვანება, ჯერ კიდევ რენე დეკარტმა წამოაყენა, მანვე აღნიშნა,

რომ ასეთი რამ მხოლოდ თვითცნობიერება – „მე ვარ“ – შეიძლება იყოს. მაგრამ დეკარტმა ასევე დაინახა, რომ თვითცნობიერებიდან აუცილებლობით მხოლოდ თვითცნობიერებისავე არსებობა გამოიყვანება და მეტი არაფერი. ამიტომ დეკარტმა ღმერთის ცნება მოიშველია.

ფიხტეს სურს ერთმანეთისაგან განასხვავოს „მე“, როგორც მეცნიერება საერთოდ და „მე“, როგორც ემპირიული ფაქტი, რომელიც ცდის სფეროს ემორჩილება და მესამე „მე“, როგორც ადამიანური ინდივიდის ცნობიერების შინაგანი, აუცილებელი აქტივობის საწყისი, გნოსეოლოგიური „მე“. ამ წამოწყების დასაბუთება რომ შეუძლებელი იყო ეს ფიხტეს ფილოსოფიურმა განვითარებამ დაამტკიცა. იგი თანდათან ობიექტური იდეალიზმისაკენ გადაიხარა. ფიხტე თავისი ფილოსოფიური სისტემის აგებისათვის ეძებს უშუალო, ცხადად ამოსავალ პრინციპს, რომელსაც იგი ეყრდნობა შემდგომში თავისი ყველა დებულებების დასამტკიცებლად. ფიხტე ემიჯნება კანტს და „თავისთავად ნივთს“ უარყოფს, რადგანაც მისი აზრით ეს ფილოსოფიის ობიექტით და არა სუბიექტით დაწყებას ნიშნავს. რაც თავისუფლების გაუქმების წინაპირობას ქმნის. იმ თავისუფლების, რომელიც ფიხტეს ფილოსოფიის მთავარ შემოქმედებით იმპულსებს წარმოადგენს.

აბსოლუტური „მე“, მართალია, ჩემი ინდივიდუალური „მე“ არაა, მაგრამ საფუძველია მისი. რადგან ეს განსხვავება არსებობს, ამდენად დაშვებულია სხვა ინდივიდებიც და კატეგორიალური კანონები ერთმანეთის თავისუფლების გათვალისწინებით იზღუდავენ საკუთარ შესაძლებლობებს. მის საფუძველზე წარმოიშვება სამართლებრივი მიმართება. ადამიანთა ურთიერთშეთანხმებას გრძნობად სამყაროში ურთიერთობის შესახებ ენოდება სახელმწიფო ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, ფიხტეს აზრით, ადამიანის სინდისის საქმეა, რომ თავისი სახელმწიფოს კანონებს უსიტყვოდ დაემორჩილოს. თუმცა მეორეს მხრივ, უნდა მოითმინონ აზრთა აბსოლუტური თავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქალაქეები აჯანყების უფლებას იღებენ. ფიხტე პირველი იყო გერმანიაში ვინც საზოგადოებაში თავისუფალი პიროვნების არსებობის პირობათა ძიების პროცესში წამოაყენა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა. ამ საზოგადოებამ ყოველ მოქალაქეს უნდა მისცეს შრომის უნარის და მისი სხვა შესაძლებლობების რეალიზაციის უფლება და ზნეობრივი საფუძველი. სახელმწიფო არა მარტო მეურნეობას აწარმოებს, წერს ფიხტე შრომაში „ჩაკეტილი სავაჭრო სახელმწი-

ფო,“ – არამედ უნდა განაგოს კულტურისა და აღზრდის საქმეც. სახელმწიფოს მორალური მიზანია ყველა ადამიანზე იზრუნოს.

ნაშრომში „ლექციები მეცნიერთა დანიშნულების შესახებ,“ ფიხტე ისე, როგორც პლატონი, იმ აზრისა იყო, რომ სახელმწიფო თავის ფუნქციას უკეთ მაშინ შეასრულებს, როცა მას მეცნიერები ხელმძღვანელობენ. მეცნიერის უმაღლესი დანიშნულება ერის აღზრდაა, ხოლო სახელმწიფოს დანიშნულება, ამ მიზნის განხორციელების იარაღი იყოს. მოგვიანებით ფიხტე ადამიანის ზნეობრივ აღზრდას სულ უფრო უკავშირებდა რელიგიურ აღზრდას, იგი თავის ლექციებში წინასწარმეტყველებდა დედამიწაზე ყველა ხალხის გაერთიანებას ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოში, სადაც ადამიანი გონების მიხედვით იცხოვრებდა. ფიხტეს მოძღვრების ეს მხარე მოგვიანებით „ეთიკური სოციალიზმის“ ერთ-ერთი წყარო გახდა. ფიხტეს რელიგიური შეხედულებები მჭიდროდაა დაკავშირებული კანტის მიერ ღმერთის არსებობის თეორიული დასაბუთების შესაძლებლობის უარყოფასთან. რელიგია მთელი თავისი შინაარსით მორალს უნდა დაემყაროს, იმქვეყნიური ცხოვრების დაშვების აზრი, წერს ფიხტე, ისაა, რომ იგი ადამიანს ამქვეყნად მორალურად ამოქმედებს. იგი ძალას აძლევს პატიოსან ადამიანს. ფიხტეს მოძღვრება კანტის ფილოსოფიის შინაგან წინააღმდეგობათაგან განთავისუფლების ცდას წარმოადგენს. მან რთული სისტემა შექმნა ცნობიერების მთელი შინაარსის თვითცნობიერებიდან გამოსაყვანად. იგი კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპციის გააბსოლუტურებას წარმოადგენს. მთავარი სიძნელე ფიხტესათვის, „მე“-სა და არა – „მე“-ს ურთიერთობის დაფუძნება იყო. რაც უფრო ამუშავებდა ფიხტე თავის ფილოსოფიას, მით უფრო უახლოვდებოდა იგი ობიექტურ იდეალიზმს, იმას რასაც შემდეგ ჰეგელის ფილოსოფია ეწოდა. ფიხტე აცხადებდა, რომ მის ფილოსოფიაში არაფერია, რაც კანტთან არ იყოს ნაგულისხმევი. შემდგომში შელინგი იტყვის, რომ ფიხტეს აზრებს ვავითარებო. ფიხტე კიდევ ერთხელ სოკრატესა და დეკარტის შემდეგ, მოუწოდებდა ფილოსოფიას კვლევა-ძიების ძირითად საგნად გარემო კი არა, საკუთარი მეობა, საკუთარი ცნობიერება გაეხადა. მისი ბუნების გარკვევით გაერკვია ყველაფერი, რაც კი ადამიანისათვის არსებობს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფიხტე ცდილობდა შემოებრუნებინა მზერა გარემოდან საკუთარი მესაკენ, რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ.

მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკული მსოფლმხედველობა ფიხტეს ფილოსოფიასთან ახლოსაა, მათ შორის განსხვავება მაინც არსებობს. ფიხტესთან აბსოლუტური „მე“, რომელიც საგანთა სამყაროს ქმნის, მკვეთრად განსხვავდება რომანტიკოსების ინდივიდუალური „მე“ – სგან. ეს „მე“, რომელიც პოეტური გენიის სახით არსებობს, აბსოლუტის რანგში აყვანილი ინდივიდუალობაა. ფიხტეს „მე“-ს ონტოლოგიური არსებობის მნიშვნელობა გააჩნია. ის, გარდა თუ ფიხტეს აბსოლუტი აპრიორულ-ტრანსცენდენტური არსია, რომანტიკოსებთან სუბიექტი თავდაპირველად მოცემულია როგორც პრობლემა. რომანტიკული სუბიექტი სანყის ეტაპზე დაშვებულია მხოლოდ ინტუიტიურად, რომელიც შემდეგში უნდა განხორციელდეს „უსასრულობაში“ თვითქამორკვევის გზით, ეს იმიტომ, რომ ადამიანი შლეგელისათვის „გონიერია, ხოლო გონიერებაა თავად თავისუფლება.“ ინტელექტუალური ჭვრეტა ფიხტესთან არის ის ძირითადი იარაღი, რომლითაც ფილოსოფოსს შემოქმედებითი რაობის გაგება შეუძლია სინამდვილის შემეცნების გზაზე. რომანტიკოსებისთვის შემეცნების პრობლემა ყოველთვის ესთეტიკურ-მხატვრულ-პოეტურ კონტექსტშია განხილული. მათთვის მხოლოდ ხელოვანია ის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია სინამდვილის კანონზომიერების მოხელთება და გააზრება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე, ნ. (2002). ი. კანტი მშვენიერების შესახებ (ლექციის ჩანაწერი). ესთეტიკისა და კულტუროლოგიის საკითხები. თბ.
2. კანტი, ი. (1979). წმინდა გონების კრიტიკა. თსუ.
3. ყულიჯანიშვილი, ა. (2006). ესთეტიკა. თბ.
4. იოჰან გოტლიბ ფიხტე, (1993). ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. თბ.
5. Immanuel Kant. Kritik der Urteilkraft. E-Text Uni Wien ([wikisource.org](http://wikisource.org))
6. Johann Gottlieb Fichte. (1794). Über den Begriff der Wissenschaftslehre oder der sogenannten Philosophie. Weimar. Deutsches Textarchiv ([wikisource.org](http://wikisource.org)).



---

---

**Nana Guliashvili** – Doctor of Philosophy; Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Works on problems of aesthetics, philosophy of culture, history of Georgian aesthetics. He is the author of the monograph: "Philosophical-aesthetic thought of Archil Jorjadze" (2012). Co-author of the monograph "Aesthetics of Romanticism" (Vol. 2023). Author of the textbook "Philosophy of Art" (lecture course), (tb. 2023). He has also published scientific articles on the mentioned problems.

---

---

## **Philosophical foundations of the aesthetics of romanticism (Kant, Fichte)**

### **Abstract**

Despite the many telling points about art and creativity in the history of philosophy, it is difficult to find an era where creativity and art were so interested and given such importance in human existence in general, as the Romantics did. It should be noted at the outset that, despite the clearly anthropological nature of their views, Creativity and art acquire ontological significance with them and become the main expression of human existence.

Romantic consciousness laid the foundation not only for artistic aesthetic style, but also formed a special approach to philosophy, which is manifested in the fact that the problem of the activity of human consciousness arises in the center of philosophical-aesthetic research. However, the activity of human consciousness was also characteristic of Kant's philosophy, but unlike Kant, whose vector of thought was directed at the subject of cognition, the romantics make the subject of their interest the emotional side of man, the emotional reaction to the world, the understanding of the spiritual-creative process. Thus, the philosophy of the romantics stands on a clearly expressed subjectivist basis, which logically leads to the absolutization of the primacy of human spiritual freedom, and this in turn leads to the recognition of the highest value of creativity, in particular artistic creativity.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის  
ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილებამ.*

**ქართული და უცხოური  
ფილოსოფია**

**GEORGIAN AND FOREIGN  
PHILOSOPHY**

---

**მაია კიკნაძე** – ფილოსოფიის დოქტორი. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის („სეუ“-ს) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. მუშაობს რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროში. მათ შორის მონოგრაფია „რწმენის ადგილი ყოფიერებაში“.

---

## **ნიცხესაული მეტაფიზიკური სამყარო და მისი გამოვლენის ფორმა**

ნიცმე არის კლასიკური მაგალითი მსოფლმხედველობრივი გადატრიალების განხორციელებისა. მან შეაჯამა ევროპული გონითი ისტორია დაწყებული პლატონიდან და გამოუტანა განაჩენი. მისი აზრით, სინამდვილის მეტაფიზიკურმა გათიშულობამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პლატონთან და განსაზღვრა ევროპული კაცობრიობის ისტორია.

ნიცმეს მიზანია ბერძნულ მსოფლგანცდასთან უკუდაბრუნებით საფუძველი მოამზადოს ახალი რენესანსისათვის. მას აინტერესებს ევროპული კულტურის ორი საფუძველი, ქრისტიანობის და ბერძნული ანტიკურობის ურთიერთობა ევროპული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში. ამისათვის ბიძგი იყო რენესანსი, როდესაც ქრისტიანული დოგმატიკის ბატონობა გაარღვია ანტიკურმა ტრადიციამ. ამან უზარმაზარი კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური შედეგები მოიტანა. მაგრამ იგი ჩაქრა. რა იყო ამის საფუძველი და რა შედეგები მოიტანა? როგორ შეიძლება ანტიკურობის ქრისტიანობის უფრო ჰარმონიული შეთავსება ვიდრე არეოპაგელმა, აგუსტინემ და სხვა მოაზროვნეებმა განახორციელეს? ნიცმეს აზრით, ეს ურთიერთობა დაირღვა ქრისტიანობის სასარგებლოდ, რაც უარყოფითი მოვლენა აღმოჩნდა. მაგრამ განა ანტიკურობამ ამონურა თავისი თავი? იგი ანტიკური კულტურის კრიზისს ხედავს მისი მსოფლმხედველობის მეტაფიზიკურ ხასიათში. ეს ნაკლი შემდეგ ქრისტიანობისათვის გახდა დამახასიათებელი. მან ვერ შეძლო სამყაროს ერთიანობის განხორციელება. მისი მეორე პრინციპული ნაკლოვანება იყო მცდელობა ადამიანის ამქვეყნიური ყოფიერება წარმართოს მიღმური, მეტაფიზიკური პრინციპებით. ადამიანი ამქვეყნად ცხოვრობს მიღმური სამყაროს ონტოლოგიური პრინციპით, რომელიც უცხოა ადამიანისათვის, რასაც შედეგად მოაქვს ადამიანისა და მისი

კულტურის დაცემა. ამ ონტოლოგიის ნიშანია მორალის ონტოლოგიზირება, ანუ მიაჩნია, რომ სამყარო მორალური პრინციპების მიხედვით არის აგებული. რაც მორალურია, ნამდვილია და რაც ნამდვილია, მორალურია. ასევე არასწორია ანტიკურობიდან მომდინარე გონების პრინციპის პრიმატი. მათი საერთო ნიშანია ადამიანის ცალმხრივი ხედვა და მეტაფიზიკური დუალიზმი. მოხდება გონებისა და ზნეობის გაიგივება. გონება მიჩნეული იქნა ზნეობის საფუძვლად. ზნეობრივ და გონით სამყაროდ მიიჩნიეს მეტაფიზიკური სამყარო, ხოლო ამქვეყნიურობა გონით და ზნეობრივ ხასიათს მოკლებულად.

თავდაპირველად ანტიკურობა არ ითხოვდა გონების ბატონობას სიცოცხლეზე. ეს პირველად სოკრატემ მოითხოვა და ამით თავდაყირა დააყენა ანტიკურ ღირებულებათა სისტემა.

ადამიანური ყოფიერების პარადოქსი იმაშია, რომ ადამიანი მეტაფიზიკური სამყაროს ონტოლოგიური პრინციპით ცხოვრობს ამქვეყნად. ასეთი მსოფლმხედველობა იყო სიცოცხლისათვის ცილის დანამება და უარყოფა. ეს იყო ნიცშეს აზრით ნიჰილიზმი სიცოცხლისადმი.

კაცობრიობის ორი უდიდესი შეცდომა იყო „ჭემმარიტი სამყაროს აღიარება და მორალის, როგორც სამყაროს ყოფიერების პრინციპის მიღება. მორალი იქცა ონტოლოგიად. ადამიანის ყოფიერება გაორებულია. ეს ინვეეს ადამიანური არსებობის კრიზისს. ეს არ ნიშნავს ადამიანის ფიზიოლოგიურ გადაგვარებას ანდა უზნეობას. პირიქით, ნიცშეს აზრით, ჩვენი ეპოქა არის ყველაზე უპატიოსნესი და თანამგრძნობი ეპოქა. ქრისტიანობის მცდელობის მიუხედავად სამყარო ორად გახლეჩილი დარჩა.

პლატონსა და დეკარტეს, მეტაფიზიკური, ადამიანის ცნობიერებისათვის თანშობილად მიაჩნდათ. ნიცშე ცდილობს აჩვენოს მეტაფიზიკური ცნობიერების ამქვეყნიური საფუძვლები. ნიცშეს აზრით, მეტაფიზიკური ცნობიერების საფუძველია ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ყოფიერების წესი. მას სურს თვით ყოფიერების სიღრმეში მომხდარი ცვლილებები დააფიქსიროს, რომელიც ადამიანისა და ყოფიერების მიმართებაში აისახება. მეტაფიზიკურის დაშვების ძირითადი მოტივია „ძალაუფლების ნება“. ნიცშემ მეტა-

ფიზიკურის საფუძველი ნახა ადამიანის ძალაუფლებისადმი მისწრაფებაში.

ნიცშემ სამყაროს მეტაფიზიკური გათიშულობის პრობლემა გადაჭრა მეტაფიზიკური სამყაროს უბრალო უკუგდებით. მას სურს ნათელყოს რეალური ვითარება და გამოაფხიზლოს ადამიანი მეტაფიზიკური ილუზიებიდან. მისი მეთოდოლოგიური პრინციპია საპირისპიროდან ამოსვლა. როგორც დეკარტის აქეს მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი. ნიცშესთან ასეთია ნიჰილიზმი. აბსოლუტური ნიჰილიზმით, ყველაფრის უარყოფით, სურს დაადგინოს ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია. თუ სიცოცხლისათვის არ არის აუცილებელი ღმერთი და სარწმუნოება, რა არის ის, რაც შესაძლებელს ხდის ცხოვრებას?

ნიჰილიზმი, როგორც ონტოლოგიური პოზიცია, ნიშნავდა იმას, რომ ნიცშემ უარყო მეტაფიზიკური არსებობის წესის შესაძლებლობა ამქვეყნად. მარადიული არ შეიძლება არსებობდეს ამქვეყნიურობის განზონილებაში (ქრისტე). მან უარყო ტრანსცენდირება, მეტაფიზიკურის ზიარების შესაძლებლობა, როგორც რწმენის ნახტომი. თუ მეტაფიზიკური ყოფიერების სიმბოლოა ღმერთკაცი ანუ მეტაფიზიკური ყოფიერება მოგვეცემა ჩვენ, აქ და ახლა, ამქვეყნიურ ყოფიერებაში. ზეკაცი არის ამქვეყნიურობის სიმბოლო. ნიცშემ უარყო ამქვეყნიური და მეტაფიზიკური ყოფიერების ერთიანობა. მათი ონტოლოგიური პრინციპები გამორიცხავენ ერთმანეთს. ნიცშემ ეს მეტაფიზიკური დაპირისპირება კი არ დაძლია, არამედ უბრალოდ მოხსნა. რაც გამოითქვა დებულებაში „ღმერთი მოკვდა“!. რას ნიშნავს ეს? როგორ გახდა შესაძლებელი ღმერთის სიკვდილი? როგორ გაიგებს ქრისტიანობა ქრისტეს ბუნებას და როგორი უნდა იყოს ღმერთი ნიცშეს აზრით. ნიცშე კირკეგორივით ახორციელებს ქრისტეს პიროვნების ექსისტენციალურ ანალიზს. ქრისტიანობამ დაივიწყა ქრისტეს პიროვნება, ღმერთ-კაცი, როგორც ადამიანური ყოფიერების პროტოტიპი. ჩვენამდე მოვიდა ღმერთის დამახინჯებული ცნება. ამიტომ იგი იბრძვის არა ქრისტეს, არამედ ქრისტიანობის წინააღმდეგ.

ქრისტიანობამ ადამიანი გახადა ცალმხრივი. მათ დაივიწყეს ქრისტე როგორც ცოცხალი გონი. კირკეგორსა და ნიცშეს ქრისტეს პიროვნება აინტერესებს, როგორც მარადიულისა და სასრულის შე-

საძლო გაერთიანება ცოცხალ ადამიანში, მისი ცხოვრების წესი და მისი ხვედრი. ნიცშე და კირკეგორი სხვებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქრისტეს იკვლევინ როგორც სიმბოლოს, ყურადღებას აქცევენ ქრისტეს მის ყოფიერებაში, მისი როგორც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას.

ქრისტიანობამ ძლიერების, სიამაყის, სიქველის ნიშნები განდევნა ღმერთის ცნებიდან. იგი თანდათან გარდაიქმნა ნუგეშისმცემელ თანამგრძობ ღმერთად. ანტიკური ღმერთისაგან განსხვავებით, რომლებიც არიან მოწყალენი, მფარველები, მსაჯულები, ქრისტე არის ადამიანთა მხსნელი, მათი ბრალის გამომსყიდველი ღმერთი.

ღმერთის ცნების ქრისტიანული გაგების ძირითადი ნაკლი ისაა, რომ „ეს ღმერთი თვით იქცა მეტაფიზიკად, იქცა წმინდა გონითად, აბსოლუტად, იქცა ნივთად თავის თავად. ღმერთი, როგორც გონი, ღმერთის ყველაზე ცუდი ცნებაა“ (1.გვ.34).

ნიცშეს მეტაფიზიკის უძირითადესი დებულება, საიდანაც ყველაფერი გამომდინარეობს შემდეგია – „ღმერთი მოკვდა“. ეს საკითხი იყოფა ორ ქვესაკითხად: როგორ გახდა შესაძლებელი ღმერთის სიკვდილი და რა მეტაფიზიკური შედეგები ჰქონდა მას ადამიანისათვის? როგორია სამყაროს ყოფიერების პრინციპი?

ზარატუსტრა ათი წლის განმავლობაში განმარტოებით ცხოვრების შედეგად ჩასწვდა, რომ „ღმერთი მკვდარია“. ამ მოვლენას იგი დაინახავს არა მარტო და უპირველესად სხვა ადამიანში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ მას დაინახავს საკუთარი სულის სიღრმეში. იგი მიხვდა, რომ მისი სული, რომელიც არის ხატი ღმერთისა და ხიდი ღმერთისაკენ, აღარ არის უშუალო მიმართებაში ღმერთთან და მისი ყოფიერება ამ მიმართების მიხედვით აღარ წარმართება. დასრულდა ეპოქა და მას სურს ეს აცნობოს კაცობრიობას. ღმერთთან ერთად მოკვდა უსათნოესი ადამიანიც, განდევნილი, რომელსაც ღმერთის სწამდა. „მკვდარია უსათნოესი ადამიანი, ის წმინდანი ტყეში, რომელიც თავის ღმერთს მარად და ჩურჩულით აღიდებდა. ამის შემდეგ გადავწყვიტე სხვა მოვებნო უსათნოესი ადამიანთა შორის, რომელთა ღმერთი არა სწამთ“ (1.გვ.289). ღმერთთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა იყო ბედის ფენომენი. ბედის ფენომენში ადამიანი გრძნობდა ღვთაებრივი ძალების განსაზღვრულ მონაწილეობას მის ყოფიერებაში. მას ჰქონდა გარკვეული

ნარმოდგენა ღმერთის მის ყოფიერებაში მონაწილეობაზე საერთოდ, ღმერთის, მეტაფიზიკურის ბუნებაზე, არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა სწორი. „ღმერთის სიკვდილი“ გაგებულ იქნა, როგორც მისი აბსოლუტური მიღმურობა. ეს არ ახასიათებდა ანტიკურობას. ქრისტიანობამ ღმერთი მიღმურად და გაუგებრად აქცია. ღმერთი, როგორც წმინდა გონი, მოკლებულია სიცოცხლეს, თავისუფალ ნებას და შემოქმედებას. ამიტომ „ღმერთი გადაგვარდა სიცოცხლის დაპირისპირებად (1.გვ.35) თუკი ღმერთი არის ჭეშმარიტი სიცოცხლე და მან შექმნა სიცოცხლე, როგორ შეიძლებოდა იგი გადაქცეულიყო სიცოცხლის წყევლად. ღმერთი გახდა ფორმულა ამ სამყაროზე ცილისწამებისა და სიცრუისა იმქვეყნიურობაზე.

ღმერთი აბსოლუტურად მიღმურ ძალად იქცა. იგი ეგზისტენციალურად, რელიგიურად, არაა აქტიური. არავითარ როლს აღარ ასრულებს ადამიანის ამქვეყნიურ ყოფიერებაში. „ღმერთის დავიწყება, როგორც მისი სრული მიღმურობა, ტრანსცენდენტურობა, არის პლასტიკური გამოხატულება მისი რელიგიური არარსებობის, რელიგიური არააქტუალურობის, ანუ, რაც იგივეა, მისი სიკვდილის“ (4.გვ.201), ღმერთის სასიკვდილო ავადმყოფობა აღმოჩნდა სიბრალული ადამიანისა და ამქვეყნიურობისადმი.

„ღმერთის სიკვდილი“ არ არის ადამიანის აქტიური მოქმედების შედეგი, არამედ ეს თვით ღმერთის შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. შემოქმედი ღმერთისაგან იგი იქცა ცნობისმოყვარე, სიბრალულით სავსე ღმერთად. ღმერთი, როგორც იმედი, რომელსაც შეეძლო ადამიანის ამქვეყნიური ყოფიერების გარდაქმნა გარკვეული ცოდნის საფუძველზე და რასაც კირკეგორი მოითხოვდა, არ არსებობდა. „ღმერთი, როგორც იმედი, დაიღუპა, ზარატუსტრა იძლევა ახალ იმედს (1.გვ.403).

ღმერთი, როგორც შემოქმედი, რომლის შემოქმედების შინაგანი მოტივი იყო სიყვარული ადამიანისადმი, გადაიქცა სიბრალულად. ეს კი არ შეიძლება ყოფილიყო ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის ბუნება. ამან თვით ადამიანის გადაგვარება გამოიწვია. კოსმოსური ჰარმონია და წესრიგი დაირღვა. ღმერთი, როგორც სიყვარული, შეიძლება სასტიკიც იყოს. „ყოველი დიდი სიყვარული კი მათ სიბრალულზე მაღლაა“ (1. გვ.198). ადამიანის შებრალება არ ნიშნავს მის სიყვარულს, არამედ თანაგრძნობას, რომლის ფარული მახინჯი

ბუნება ნიცშემ გამოავლინა. ადამიანისათვის სასონარკვეთილება არის სასიკვდილო ავადმყოფობა. ღმერთისათვის ასეთი ავადმყოფობა აღმოჩნდა სიბრალული და სინანული თავისი შემოქმედებისადმი, ადამიანისა და ამქვეყნიურობისადმი. რადგან ღმერთი იქცა ადამიანის ყოფიერების ინერტულ დამკვირვებლად, მაქსიმუმი რაც შეიძლება განიცადოს ღმერთმა – ეს არის სიბრალული. ადამიანს არ სჭირდება ამგვარი ღმერთი, მონმედ ყოფნა არ არის შემოქმედი ღმერთის საქმე. „ღმერთი, რომელიც ყოველს ხედავდა ადამიანისას და არ ერეოდა არაფერში, ეს ღმერთი უნდა მომკვდარიყო. ვერ აიტანდა ამგვარი მონმის სიცოცხლეს (1. გვ.94).

მიღმური და უძღური ღმერთი საჭიროც არ არის ადამიანისათვის. ამიტომ იგი იძულებულია საკუთარ გონებაზე და ნებაზე დაყრდნობით ააგოს სამართლიანობის სამეფო ამქვეყნად. ნიცშე შეეცადა ეჩვენებინა, რომ სიყვარულმა, როგორც სამყაროს არსებობის პრინციპმა ვერ გაამართლა, იგი არც ადამიანი-ღმერთის ურთიერთობის ამსახველი გამოდგა და არც ადამიანთა შორის ურთიერთობისა. ქრისტიანობა ქადაგებდა – გიყვარდეს მოყვასი შენი – ეს იყო უნივერსალური მოთხოვნა, რომლის დარღვევისათვის ადამიანი ვერ აცდებოდა ღმერთის განაჩენს – ბედის დარტყმას. ნიცშემ მას სიყვარულის ახალი პრინციპი დაუპირისპირა, ნუ დაინდობ მოყვასსა შენსა, გიყვარდეს თავი შენი, ეს არის სიყვარულის ჭეშმარიტი ბუნების გამოხატულება „ეს სადღეისო და სახვალის მცნება – საკუთარი თავის სიყვარულის სწავლა ყველა ხელოვნებათა შორის უსათუთესია“ (1.გვ.147), როგორ გეყვარებათ ერთმანეთი, როცა ჯერ საკუთარი თავის ჭეშმარიტი სიყვარული არ იცით. ქრისტიანს სძულს ამქვეყნიურობა, მისი სულიერი ძალების მთელი ენერჯია მიმართულია მიღმური სამყაროსადმი. ნიცშეს სიყვარულის საგანია ამქვეყნიურობა. თუმცა კი ამ სიყვარულს უცნაური ხასიათი აქვს. არსებობს მხოლოდ ეს ცხოვრება და მიუხედავად მისი ნაკლისა, ის უნდა გიყვარდეს როგორც ერთადერთი.

ნიცშემ „უარყო სამართლიანობა, როგორც ორი სამყაროს ურთიერთობის წესი“, ღვთაებრივი სამართლიანობა და აღიარა მხოლოდ ამქვეყნიური სამართლიანობის არსებობის შესაძლებლობა. ღვთაებრივი სამართლიანობა იყო მეტაფიზიკური პრინციპი, რომელიც წარმართებოდა ღმერთის განგებით, მისი მიზანი იყო სიკეთის



გამარჯვება. სამართლიანობა იდგა საკუთარ სამსახურში. მან უნდა დასაჯოს ბოროტება, ამ ცხოვრებას სხვა სამართლიანობა აქვს – ეს არის ძლიერის გამარჯვების და არა სიკეთის გამარჯვების სამართლიანობა. არა უსამართლო არ იქნება ძლიერი, დიადი დაამარცხოვს სუსტმა, ავადმყოფმა. ადამიანური ყოფიერების პრინციპული უთანასწორობა, სამართლიანობის, როგორც მხოლოდ ამქვეყნიურობის პრინციპის აღიარება, სამართლიანობის შინაარსის გაგებას ცვლის. იგი აღიარებს სამართლიანობას, რომელიც წარმართული იქნება არა სიკეთისა და ბოროტების, არამედ ნების ძლიერების ნიშნით. სამართლიანი იყო ის, რაც აუცილებელი იყო, ის რაც ღონიერი იყო, ის რაც სიკეთე იყო, ღმერთი იდგა სამართლიანობის პრინციპის ზემოთ. ნიციშეს კი სურს სამართლიანობა დააყენოს ღმერთზე ზემოთ, სამართლიანია ის, რაც ძლიერია. ადამიანიც და ღმერთიც უნდა ემორჩილებოდეს სამართლიანობის ამგვარ გაგებას. სამართლიანობა მოითხოვს თანასწორობის პრინციპის განხორციელებას. ყველა თანასწორია სამართლიანობის წინაშე. ნიციშე სამართლიანობის ძველი გაგების ნაკლს სწორედ ამაში ხედავს „არა მსურს გამრიოთ და შემრიოთ თანასწორობის ამ მქადაგებლებთან, რადგან ასე მიუზნება მე სამართლიანობა: ადამიანები თანასწორნი არ არიან (1. გვ.79). ადამიანები არ არიან თანასწორნი არც ღმერთის, არც სიცოცხლის წინაშე. ადამიანები თანასწორნი შეიძლება იყვნენ კანონის, როგორც ფორმალური პრინციპის წინაშე, სადაც ადამიანი ასევე ფორმალური სახით წარსდგება. ადამიანებს განსხვავებული საზომით უნდა მიეზღოს. ღმერთმა უნდა მიუგოს არა თითოეულს თავისი, არამედ უნდა გასცეს მისი საკუთარი. „როგორ შევძლებ სამართლიანობას გულით, როგორ შევძლებ თითოეულს თავისი მიუგო, საკმარისია ჩემთვის რომ ყოველს ჩემსას ვაძლევ (1. გვ.58). ღმერთმა თითოეულს თავისი უნდა მისცეს და არა მარტო ის, რაც თვითონ დაიმსახურა. სამართლიანობის ფორმალური პრინციპებისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში ღმერთი ზედმეტი ხდება.

სამართლიანობის არსებული გაგების ნაკლოვანებას ნიციშე ასევე ხედავს შემდგომში, „არა მსურს თქვენი ცივი სამართალი, თქვენი მსაჯულის თვალებით მარად ჯალათი გამოკრთის“ (1. გვ.56). სამართლიანობა ფაქტობრივად იყო შურისძიება. სამართლიანობის საფუძველი კი სიყვარულია და არა – შურისძიება. მოყვა-

რული ღმერთი კი არ შეიძლება იყოს შურისმაძიებელი. განაჩენის მიღების საფუძველი სიყვარულია. ნიცშე უარყოფს მართლმსაჯულებას, როგორც შურისძიებას, რაც გამოიხატება ბედში. ეს შურისძიება არის სასჯელის გამოსწორების შეუძლებლობა. მარადიული განაჩენი, ბედის დაუძლეველობა არ იძლევა გამოსწორების შესაძლებლობას, არამედ ჩასაფრებულია და მარადიული განაჩენი გამოაქვს. ადამიანი უნდა ვიხსნათ შურისგების გრძნობისაგან. ეს არის იმედი ადამიანისა.

ადამიანის ყოფიერების შეფასება უნდა ხდებოდეს სიყვარულის და არა შურისძიების საფუძველზე განხორციელებული სამართლიანობით, სადაც შურისძიების გამართლება ხდება სიკეთის დაცვის მიზნით, „მიპოვეთ სიყვარული, რომელიც იტვირთავს არა მხოლოდ ყოველ სასჯელს, არამედ ყოველ დანაშაულსაც“ (1. გვ. 56). მაგრამ სიყვარულიც დამახინჯდა. იგი იქცა სიბრაღულად. ამიტომ არც ის გამოდგა სამართლიანობის საფუძველად. სიყვარული ნიშნავს შენი საკუთარის გაცემას. ღმერთმა კი ეს ვერ შეძლო. სამართლიანობა არ არის თანაგრძნობა. სამართლიანობა აქტიურობაა. იგი შეიძლება მკაცრიც იყოს. თანაგრძნობა უძლური, უმოქმედო პასიურობაა, სამართლიანი განაჩენის გამოტანის უნარის არქონაა. შენ თანაუგრძნობ მაგრამ არ ერევი მის ყოფიერებაში.

ნიცშე მიზნად ისახავს ახალი, ამქვეყნიური სამართლიანობის, მოძებნას: „მიპოვეთ სამართალი, რომელიც ამართლებს ყოველს, გარდა გამსამართლებელისა“ (1. გვ. 56); სამართლიანობა, რომელიც ემყარება არა სიკეთეს, არამედ ზეკაცის შექმნის პირობების მომზადების სამართლიანობას.

„ყველაფერი ნებადართულია“ – ეს არის სამართლიანობის მეტაფიზიკური პრინციპის სრული უარყოფა. ბედის როგორც გარეგანი განმსაზღვრელის უარყოფა. ადამიანის მიერ საკუთარი თავის განმსაზღვრელად ყოფნის შესაძლებლობა. არ არსებობს საყოველთაო ღირებულებები, რასაც ყველა ემორჩილება, ყველაფერი შეფარდებითია.

სამყარო არის თამაში და არა რაციონალური ნესრიგი. თამაშში კი ყველაფერი შესაძლებელი და შემთხვევითია. ღმერთის ყოველისშემძლეობა და სამართლიანობა, როგორც საყოველთაო პრინციპი, წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ადამიანური და ღვთაებ-

რივი სამართლიანობის დაპირისპირებაში გაიმარჯვა ადამიანურმა სამართლიანობამ, რომელსაც კანონის სახე აქვს. კანონის სამართლიანობა იყო გამოხატულება ადამიანის სურვილისა გასაგები და წინასწარხედვადი გაეხადა თავისი ყოფიერება, საყოველთაო ნორმებით დაემყარებინა სამართლიანობა და აქედან გამომდინარე, თანასწორობა ღმერთის წინაშე. ამიტომ ასეთი სამართლიანობა იყო ამბოხების ფორმა ბედის იდუმალების, ღმერთის განგების თავისებური, გაუგებარი ხასიაის წინააღმდეგ.

ნიცუმე უარყო სამართლიანობა, როგორც იდეალური და ამქვეყნიური. მისი აზრით გაურკვეველია რა მართავს ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას – სამართლიანობა თუ მადლი? რა არის ადამიანური ყოფიერების თავისებურების ბედის საფუძველი – სამართლიანობა, ღვთიური მადლი თუ ღმერთის განგება, როგორც ღვთაებრივი აუცილებლობა.

პოზიციას – „ყველაფერი ღმერთის ხელშია“ – ნიცუმე უპირისპირებს ადამიანს, „რომელიც თვითონ ქმნის თავის თავს“, კირკეგორისა და ნიცუმეს ეპოქის ევროპულ საზოგადოებას აქვს პრეტენზია, რომ – „ეკლესიამ, პაპმა უფრო მეტი იცის, ვიდრე თვით ბატონმა“(1. გვ.194). ამიტომ ეკლესიას აღარ სჭირდება ღმერთი. მის პასუხად მოითხოვდა კირკეგორი, რომ ადამიანს ეგრძნო ღმერთის არსებობა აქ და ახლა. ნიცუმე ამ მიღმურობის ვერ შეუმჩნევლობას, თითქოს ეს მიღმური ღმერთი მაინც განსაზღვრავს ადამიანის ყოფიერებას, ადამიანის გადაგვარება და ავადმყოფობა უწოდა.

შეუძლია თუ არა გონებას იკისროს ნიჰილიზმისა და მეტაფიზიკური გათიშულობის დაძლევის ამოცანა? არა, პასუხობს ნიცუმე, რადგან გონება თვით არის უბედური ცნობიერება ე.ი. მეტაფიზიკური გათიშულობის აღიარება. გონება არის მეტაფიზიკურის ამქვეყნიურობაზე, სიცოცხლეზე ბატონობის საშუალება. გონება არის ის, რამაც სამყარო გათიშა ორად. ნიცუმეს თავისი აზრის გასაგებად მოჰყავს სოკრატეს ეპოქა და ასკენის, რომ გონება არ შეიძლება იყოს ხსნის საშუალება და ადამიანის ყოფიერების წარმმართველი. იგი სიცოცხლის, ყოფიერების საპირისპირო პრინციპია. მხოლოდ ნება, „რომლის არსებობის წესია „ძალაუფლებისადმი ნება“, რაც გამოხატავს თვითონ სიცოცხლის არსებობის წესს და შინაგან ბუნებას, ნებას და მის სამსახურში ჩამდგარ გონებას, შეუძლია იხსნას ადამი-

ანი. ნიცშე მოითხოვს და ასაბუთებს ნების პრიმატს გონებასთან მიმართებაში. ამით ის უპირისპირდება სოკრატედან მომდინარე ტრადიციას, რომელიც ახალ დროში დეკარტემ კიდევ ერთხელ დაასაბუთა.

სოკრატე ამბობდა: არსებობის ღირსია ის, რაც გონიერია. ნიცშეს აზრით კი, სამყაროს ქაოსში არსებობის ღირსია ის, რაშიც არის უფრო მძლავრი ნება ძლიერებისაკენ, ზრდისაკენ, ძალაუფლებისაკენ.

გონება სოკრატესთან, სოკრატემდელებთან, იყო მეტაფიზიკურთან ზიარების, სამყაროს ერთიანობის საშუალება. გონება შემდეგ თვით შეენაცვლა იდეალურ სამყაროს, როცა თავის თავზე აიღო ადამიანის ყოფიერების წარმართვა ამქვეყნად. ამით მეტაფიზიკური სამყარო, როგორც იდეალური, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართოს ამქვეყნიურობა, ზედმეტი გახდა. გონება ადრე იყო მეტაფიზიკურთან ზიარების საშუალება, სამყაროს ერთიანობის პირობა. ახლა გონება იქცა ამ მეტაფიზიკური, იდეალური სამყაროს უარყოფის საშუალებად. გონებამ დაიკავა მეტაფიზიკურის ადგილი და ამით ზედმეტი გახდა იგი. ნიცშეს აზრით, გონებამ დაკარგა თავისი მეტაფიზიკური საზრისი, როგორც სამყაროს ერთიანობის, ადამიანურისა და ღვთაებრივის მეტაფიზიკური ერთიანობის საფუძვლისა და განხორციელებისა.

იგი აღარ არის ხიდი ამქვეყნიურსა და მეტაფიზიკურს შორის. ნიცშეს აზრით, სოკრატემ მოახდინა გონების შინაარსის, მისი მეტაფიზიკური საზრისის ცვლილება. მისი საზრისია ამქვეყნიური ყოფიერების სიცხადისა და გაურკვევლობის უზრუნველყოფა. გონების ძირითადი მოქმედება არის დასაბუთება და არა მეტაფიზიკური ერთიანობის განხორციელება. როგორ და რატომ მოხდა გონების ამგვარი გარდაქმნა სოკრატეს დროს? რატომ დაკარგა გონებამ ტრანსცენდირების, სამყაროს ერთიანობის განხორციელების უნარი? თეორიული გონების გაბატონება მეტაფიზიკურ გონებაზე იყო ის, რამაც ასევე კრიზისთან მიიყვანა ადამიანი, ყოფიერება კი ანაორთქლად აქცია. თეორიულმა, დასაბუთებულმა გონებამ თვით მის მიერვე შექმნილი მეტაფიზიკური სამყარო უარყო, რომლის დასაბუთებაც თეორიულად მან ვერ შეძლო.

გონების გაბატონებამ, როგორც გადარჩენის საშუალებამ, ადამიანი კვლავ კრიზისთან მიიყვანა. ამიტომ საჭიროა გონების ბუნების და მისი ადგილის ახლებურად გააზრება ადამიანურ ყოფიერებაში. ადამიანის ბუნების არსება დანახული იქნა მეტაფიზიკურობაში ანუ გონებამ სამყარო გაყო ორად და შემდგომ თვითონ იკისრა ამ ორი სამყაროს გამაერთიანებელი როლი. ადამიანის ამქვეყნიური ყოფიერების ონტოლოგიად იქცა მორალი, რომელიც გონების პრინციპებით არის აგებული. გონების არსებობის წესად მიჩნეული იქნა დიალექტიკა (ჰეგელი). გონიერება იქცა არსებობის ნიშნად. მიღმურობა იქცა ადამიანის მიზნად. ადამიანი კი ხდება საშუალება. ადამიანის მისწრაფება ამქვეყნიურობის სრულყოფისაკენ ქრება. იდეალები, რომლებიც წარმართავდნენ ადამიანის ცხოვრებას კარგავენ ძალას, რადგან მათში არ არის ძალის პრინციპი გათვალისწინებული. მარადისობა იყო სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, მაგრამ არ იყო ნება სიკეთისკენ, ჭეშმარიტებისკენ, მშვენიერებისკენ. ამიტომ ის არ ხორციელდებოდა ამქვეყნიურობაში, რომელიც ნების სფეროა. ნიცშეს აზრით არსისა და აზრის დაპირისპირება იღებს აზრისა და ნების დაპირისპირების სახეს. გონებისა და სიცოცხლის დაპირისპირება არის ერთ-ერთი სახე არსისა და აზრის დაპირისპირებისა.

სამყაროში ყველაფერი უნდა მიდიოდეს სრულყოფისაკენ. ამიტომ ის, რაც ხელს უშლის ადამიანის სრულყოფილების ზრდას, უნდა უკუგდებული იქნეს. ქრისტიანობამ ამქვეყნიურობა ტანჯვის ასპარეზად გამოაცხადა. სამყარო გაორდა მორალური თვალსაზრისით. ამიტომ მორალი, როგორც ონტოლოგიური პრინციპი, სამყაროს განიხილავს სიკეთე-ბოროტების ასპექტით. იგი მოითხოვს ასპექტიზმს.

ნიცშემ უარყო ქრისტიანული ონტოლოგია, მორალის ონტოლოგიზება. ყოფიერება არ არის მორალური პრინციპებით აგებული. მან ასევე უარყო გონების ონტოლოგიზაცია ანუ ის, რომ ამქვეყნიურობა არ არის არც გონების პრინციპებით აგებული. სამყარო არ არის გონების მიერ გამოთვლილი და ახსნადი. გონიერება იყო არსებულის ნიშანი და არა ნება. ნიცშემ უკუაგლო ჰეგელთან შეჯამებული ევროპული მეტაფიზიკის დებულება – რაც გონიერია, ნამდვილია. ნიცშეს აზრით, ყოფიერება, არსებულის არსებობა, განიმარტება, როგორც ნება ძალაუფლებისაკენ.

ნიცშეს მიაჩნია, რომ ადამიანმა უნდა აღიაროს თავისი არასრულყოფილება და ნებაყოფლობით და სრული შეგნებით აქციოს საკუთარი თავი საშუალებად ზეკაცის მოვლინების გზაზე. ეს არის მისი კულტურისა და შეგნების გამოხატულება. არც კაცს, არც სახელმწიფოს, არც ბელადს არ შეუძლია მოსთხოვოს ადამიანს იყოს საშუალება ზეკაცის მოვლინებისა. ეს თვით ადამიანმა უნდა გადამწყვიტოს თავისუფალი თვითცნობიერებით. ეს არ არის ადვილი, რადგან ეს მისი მეტაფიზიკური დანიშნულების გაცნობიერებასა და განხორციელებას ნიშნავს, როგორც ზეკაცისაკენ მიმავალი გზისა.

ზეკაცი ადამიანური ყოფიერების ისტორიის და კულტურის მიზანია, რადგან ზეკაცში შეიმეცნება ბუნება და ადამიანი თავის თავს. კულტურული ადამიანის მიზანია ადამიანში აღიზარდოს ზეკაცისაკენ სწრაფვა, მაშინ როცა ჩვეულებრივი აღზრდის მიზანია სპეციალისტის, საზოგადოების რიგითი წევრის აღზრდა.

მიუხედავად მეტაფიზიკის უარყოფისა, ნიცშე მანც მეტაფიზიკური დაპირისპირების ჩარჩოში აზროვნებს. მან ვერ შეძლო ყოფიერების წმინდა პრობლემატიკის მოპოვება, მორალის ონტოლოგიზების უარყოფის მიუხედავად. ამრიგად, ნიცშეს მეტაფიზიკის უკუგდება მეტაფიზიკურია ანუ მოძრაობის მეტაფიზიკურ განზომილებაში არ ცდილობს მათ გაერთიანებას. საჭიროა მეტაფიზიკურის არა უბრალოდ უკუგდება, არამედ მათი ერთიანი საფუძვლის ჩვენება, რაც იქნებოდა მართლაც ახალი ორიენტაცია. ამის განხორციელებას შეეცადა მეოცე საუკუნის აზროვნება.

ნიცშე დარჩა მის მიერ მოხაზულ გზაჯვარედინთან. მის მიერ მითითებული გზა მცდარი აღმოჩნდა. ჩვენი საუკუნის ადამიანი თვალნათლივ დაინახავს, რომ ადამიანს არ შეუძლია იყოს თავისი ყოფიერების სრული წარმმართველი. ამიტომ ადამიანი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო ამ გზაჯვარედინთან და კიდევ ერთხელ ჩაფიქრებოდა მის წინ არსებულ დილემას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნიცშე ფრ. (1993). ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბილისი.
2. რამიშვილი ვ. (2002). ადამიანი და ხვედრი (დროის მეტაფიზიკა). თსუ.

3. რამიშვილი ვ. (2016). XX საუკუნის ფილოსოფია. თბილისი.
4. Элиаде М. (1995). Аспекты мифа. М.

---

---

*Maia Kiknadze* – Doctor of Philosophy. Works on issues of philosophy of philosophy and sociology. He has published numerous scientific papers in these fields of science. Including the monograph – the place of faith in existence.

---

---

## **Nietzsche's metaphysical world and the forms of its manifestation**

### **Abstract**

The article discusses Fr. Nietzsche's view on the metaphysical world and the form so fits manifestation. Heover came the metaphysical disconnection not by uniting them, but simply reversed the metaphysical, so he still remains with in the framework of metaphysical thought. Kierkegaard and especially Nietzsche is the first against ratio centrism.

*წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებამ.*

---

**თემურ ბასილაია** – დამოუკიდებლად მუშაობს ფილოსოფიის, ბუნებისმეცნიერების ისტორიის, ფიზიკის და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ჰუმანიზაციის საკითხებზე. ავტორია რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაციის და სამეცნიერო პოპულარული წიგნის „ჰუმანური ატომი“, რომელიც ეძღვნება სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპის დადგენას ისტორიული ცოდნის პრიორიტეტის საფუძველზე. მეორე წიგნია „ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი“ (2021), რომელიც ეხება დიალექტიკური მეთოდის პრაქტიკულად რეალიზაციის საკითხებს.

---

### **ჰეგელი და სამყაროს სანყისის პრობლემა**

თანამედროვე ფილოსოფია წარმოიშვა ძველ საბერძნეთში როგორც მეცნიერება სამყაროს უზოგადესი კანონზომიერების შესახებ. პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამყაროს სანყისის („არხე“) ანუ იმ ერთის პოვნას რომლიდანაც მიიღებოდა სხვა კანონზომიერებები. აღნიშნული პრობლემა, დაწყებული ანტიკური დროიდან, დღესაც დღის წესრიგშია როგორც ფილოსოფიისათვის. ისე ფუნდამენტური მეცნიერებისათვის. ფიზიკოსები უკვე რამდენიმე ათეული წელია მუშაობენ ერთიანი თეორიის შექმნაზე რომელიც გააერთიანებს (საერთო ძირს მოუხაზავს) ბუნებაში არსებულ ძალებს (ურთიერთქმედებებს).

გავაკეთოთ მცირე ექსკურსი პირველი ფილოსოფოსების მონაწილეობით. პირველი ბერძენ ფილოსოფოსად ითვლება **თალესი** (ძვ.წ. 642- 547) მილეტიდან. თალესი სამყაროს სანყისად აღიარებდა **წყალს**, როგორც თვითმოდრავ, თვითგარდაქმნად არსს (სუბსტანციას). თალესი ჰილოძოისტია (ჰიულე-მატერია, ძოე- სიცოცხლე).

თალესის მონაფე **ანაქსიმანდრე** (ძვ.წ. 610-546) სამყაროს სუბსტანციად თვლის **აპეირონს** როგორც განუსაზღვრელს რაოდენობრივად, თვისობრივად, ქმედების მიხედვით და ა. შ. აპეირონი სულიერი, ცოცხალი სუბსტანციაა. მილეთის სკოლას ამთავრებს **ანაქსიმენე** (ძვ.წ. 585-528), რომელიც უბრუნდება თალესის მატერიალურ არსს და სანყისად მიიჩნევს **ჰაერს**, რომლის შეკუმშვა- გაფართოებით მიიღება სხვა დანარჩენი... **დიოგენე აპოლონიელმა** (ძვ.წ. V ს.) ჰაერის სუბსტანციურობას დაამატა **გონება** („ნუსი“) როგორც გამაერთიანებელი და მომწესრიგებელი პრინციპი... ამ მცირე შესავალში ჩანს სამყაროს



საწყისის კვლევის სულისკვეთება, რომელიც შემდეგ გააგრძელეს სხვა გამოჩენილმა ფილოსოფოსებმა. გადავიდეთ ჰეგელზე.

**გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი** (1770-1831) ყველა დროის უდიდესი ფილოსოფოსია გამომდინარე მისი ნაშრომების როგორც მოცულობიდან და სისტემურობიდან, ისე მათი მეცნიერული მნიშვნელობიდანაც. ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი (თეორია) აგებულია რაციონალიზმის ნიადაგზე, უნივერსალურია და გვეხმარება ბუნებაში თუ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების უკეთ გააზრებაში და შესაბამისად გააჩნია სხვადასხვა მეცნიერულ კვლევებში პრაქტიკულად (მეთოდოლოგიური) გამოყენების შესაძლებლობა.

ჰეგელის პირველი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ნაშრომია **„სულის ფენომენოლოგია“** (1807). ჰეგელი არსებული „ფენომენოლოგიური ცოდნის“ საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ სამყაროს საფუძველს წარმოადგენს აბსოლუტური იდეა რომელიც ვითარდება ტრიალული პრინციპით: თეზისი – ანტითეზისი – სინთეზი. თავდაპირველად აბსტრაქტული კატეგორია გამოდის წმინდა ლოგიკური ფორმით, იერთებს საპირისპირო კატეგორიას და მასთან სინთეზის შემდეგ ხდება იდეაში გადასვლა. შემდეგი ეტაპია „სხვადყოფნის“ ფორმაში გადასვლა ანუ მატერიალიზაცია. ბოლოს ადამიანისა და საზოგადოების საშუალებით საწყის იდეას უბრუნდება კონკრეტული სულის სხვადასხვა ფორმით. შესაბამისად გვაქვს სისტემის სამი ნაწილი: **ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია და სულის (გონის) ფილოსოფია.**

1812 წელს ჰეგელმა დაწერა თავისი ძირითადი სისტემური ნაშრომი **„ლოგიკის მეცნიერება“** („Science of Logic“). პირველ ნაწილში „სწავლება ყოფიერებაზე“ ჰეგელი იწყებს ყოფიერების ყველაზე აბსტრაქტული, მწირი კატეგორიების დახასიათებას. ესენია ე.წ. „წმინდა ყოფიერება“ (being) და „არყოფნა“, „არარსებობა“ (nothing). ამ ორი კატეგორიის ურთიერთგადასვლით ანუ სინთეზით იქმნება მესამე კატეგორია „ქმნადობა“ (becoming) რომელსაც მიენერება იდენტობა იდეასთან და შესაბამისად რეალობასთან. თუ ამ ჭეშმარიტად ელემენტარულ იდეას გადავიყვანთ „სხვადყოფნის“ ფორმაში ანუ „გავაცოცხლებთ“, მივიღებთ სწორედ სამყაროს პირველსაწყისს (the Beginning). ფიზიკის ენაზე „being“ ნიშნავს მატერიალურ სუბსტანციას ანუ ნივთიერებას, ხოლო „nothing“-ნიუტონის ცარიელ სივრცეს. ფიზიკაში არსებობს მსოფლიო ეთერის ანუ ფიზიკური ვაკუუმის სტრუქტურის პრობლემა. შესაძლებელია სივრცეს გააჩნია თავისი ფიზიკური წერ-

ტილები ანუ უჯრედები. სივრცის უჯრედი იმდენად მცირე იქნება, რომ მას თანამედროვე მიკროსკოპითაც ვერ აღმოაჩენ. ის წარმოსახვით უნდა აიგოს, განისაზღვროს მისი შესაძლო თვისებები და შემდეგ მეორადი ეფექტებით უნდა დადასტურდეს მისი არსებობა...ამას ითხოვს ჰეგელიც, მხოლოდ აზროვნებით და ლოგიკით დასაბუთებულ ცნებას აქვს რეალურად არსებობის უფლება („ყველაფერი აზროვნებით არის რეზულტირებული“). ასეთია ჰეგელის ფილოსოფიის გაგების სპეციფიკა.

ახლა დავუბრუნდეთ **დემოკრიტეს** (ძვ. წ.460- 370), რომელიც სამყაროს საწყისად აღიარებდა ატომებს და სიცარიელეს (დემოკრიტესეული დაპირისპირებანი). არსებობენ სხვადასხვა სახის ატომები, რომლებიც გარე ძალების საშუალებით (შეჯახებები) მოძრაობენ ცარიელ სივრცეში და ქმნიან ჩვენთვის ხილულ სამყაროს. თუ სივრცის რომელიმე ნაწილიდან ამოვიღებთ ატომებს დარჩება ცარიელი სივრცე. ჩვენ ვხედავთ განსხვავებას დემოკრიტესა და ჰეგელის მოსაზრებებს შორის.ჰეგელთან ელემენტარული მატერიალური სუბსტანცია მიბმულია სივრცესთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა ჰეგელი ფართოდ იყენებს თვითმოძრაობის (შინაგანი ძალებით) ცნებას. ბოლოს აღვნიშნოთ, რომ მოწინავე ფილოსოფიას გააჩნია უდიდესი მეთოდოლოგიური ღირებულება სპეციალური მეცნიერებებისათვის, რომელიც ჯეროვნად არ არის შეფასებული. ფილოსოფია განსაზღვრავს მსოფლმხედველობის მეცნიერულობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანისათვის.

### **ლიტერატურა:**

1. ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, (1962). ნაწ. 1, ლოგიკის მეცნიერება, თბ..
2. ბაქრაძე კ. (1936). სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში, თბ.
3. ბუაჩიძე თ. (1976). ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, თბ.
4. გორდუზიანი რ. თევზაძე გ. ნემსაზე მ. ჭელიძე მ. (1993). ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, გამ. „განათლება“.
5. Овсяников М. (1971). Гегель, мыслители прошлого, М.

---

---

**Temur Basilaia** – Works independently on philosophy, natural science history, physics, and humanization of scientific-technological revolution. Is author of several newspaper publications and scientific popular book “Humane Atom“, which considers establishing methodological principle of scientific research based on prioritization of historical knowledge. His last book is “Hegel’s Dialectic Method“ (2021), which examines practical implementations of dialectic method.

---

---

## **Hegel and the problem of the beginning of the Universe**

### **Abstract**

Searching for most general regularities of the universe and the problem of universal beginnings was active during centuries-long history of philosophy. Hegel, as the greatest dialectician, looked more critically to this problem than his predecessor philosophers did. Hegel begins his “Science of Logic“ with “The Doctrine of Being“, where he analyzes the most abstract categories of “being“ and “nothing“. In result, we have *being* (Thesis) → *nothing* (Anti-thesis) → *becoming* (Synthesis). With synthesis we get elemental specific idea, which has the right to exist independently. This idea can be The Beginning. If we translate everything into the parlance of physics, we get the following picture: „being“ is material or elemental substance, „nothing“ is empty Newtonian Space. The idea may describe some physical object, for example, the cell of space. The latter is the best hint for the physicists, who work on the issue of vacuum structure. Using Hegel’s dialectic theory in practice is the innovative idea discussed in the article.

*ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებამ.*

**ᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁ**

**REVIEWS**

**რეცენზია**  
**ლია წულაძის სახელმძღვანელოზე**  
**„კულტურის სოციოლოგია“**  
(165 გვ. თუს-ს გამომცემლობა)

ლია წულაძის სახელმძღვანელო „კულტურის სოციოლოგია“ ქართულენოვანი სოციოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ სფეროში კულტურის სოციოლოგიის შესახებ არათუ სახელმძღვანელო, არამედ თეორიული კვლევებიც კი იშვიათია, გარდა ედუარდ კოდუას ავტორობით ოცი წლის წინ გამოსული მონოგრაფიისა „კულტურის სოციოლოგია“, რომელიც კულტურის ფილოსოფია უფროა, ვიდრე კულტურის სოციოლოგია. ამ მხრივ ლია წულაძის სახელმძღვანელო ქართული სოციოლოგიური ლიტერატურის ისეთი შენაძენია, რომელიც ტოლს არ უდებს მის ევროპულ თუ ამერიკულ ანალოგებს. ნაშრომი ცხრა თავისაგან შედგება. მასში კარგადაა გადმოცემული „კულტურის სოციოლოგის“ განვითარების ეტაპები, ეტაპებად დაყოფის საუძველს „კულტურული ბრუნის“ კატეგორია გვაძლევს. მეორე თავში „კულტურის სოციოლოგიური შესწავლა „კულტურული ბრუნის“ ეპოქამდე“, ავტორს გაანალიზებული აქვს სოციოლოგიური მეცნიერების ისეთი ტიტანების, თუ გნებავთ, კლასიკოსების წვლილი „კულტურის სოციოლოგიის“ განვითარებაში, როგორცაა ემილ დიურკემი, მაქს ვებერი, გეორგ ზიმელი, ტალკოტ პარსონსი, პიერ ბურდიე, ირვინ გოფმანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეთოდოლოგიური მიღწევები კულტურის ემპირიულ კვლევებში, რომელიც „ჩიკაგოს სკოლის“ და ბირმინგემის „თანამედროვე კულტურის კვლევების ცენტრის“ მიერ იქნა გაკეთებული.

„კულტურული ბრუნის“ მთავარი მიღწევა კულტურის მიმართ განახლებული ინტერესის გაჩენა სოციოლოგიაში და ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდებისაკენ მისი „შემობრუნებაც.“ თუ 1970-იანი წლების ბოლოს, განვითარების პროცესში მყოფი კულტურის სოციოლოგია რაოდენობრივ მეთოდებს უფრო იყენებდა კულტურული არტეფაქტების წარმოებისა და მოხმარების საკვლევადად, 1980-იან წლებში, ის კულტურის მწარმოებელი ინსტიტუტებიდან, ავტორის სწორი

შენიშვნით, სოციალურ ცხოვრებაში საზრისის კვლევაზე გადაერთო, რამაც თვისებრივი კვლევის მეთოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა (გვ. 47). სწორედ ამ „კულტურული ბრუნის“ პრიზმაში ანალიზებს ავტორი ისეთ საკვანძო მნიშვნელობის თემებს, როგორცაა „კროსკულტურული კვლევები: კულტურის განზომილებების შესწავლა“, „კულტურა როგორც პრაქტიკა: როგორ იყენებენ ადამიანები კულტურას“ და „კულტურა როგორც პერფორმანსი: სოციალური ცხოვრების დრამა.“ არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, როდესაც წერს: „კულტურა იმდენად მსჭვალავს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს, რომ, რა საკითხსაც არ უნდა იკვლევდეს სოციოლოგი, კულტურის სოციოლოგია სოციოლოგიის ყველა მიმართულების განუყოფელი ნაწილია; რა სახის ანალიზსაც არ უნდა გვთავაზობდეს სოციოლოგი, მონაცემების სიღრმისეული ინტერპრეტაცია აუცილებლად გაითვალისწინებს კულტურული კონტექსტის თვალსაჩინო თუ ლატენტურ გავლენას“ (გვ.6). ნაშრომს წითელ ხაზად გასდევს კულტურის სოციოლოგიაში ახალ პარადიგმის ფუძემდებლის, ჯეფრი ალექსანდერის ხედვა, არათუ სოციალური რეალობის ახსნის თვალსაზრისით კულტურის სოციოლოგიის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, არამედ თავად სოციოლოგიის, როგორც დისციპლინის, „კულტურალურად“ გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ.

სახელმძღვანელო კარგადაა სტრუქტურირებული. კარგად ჩანს, თუ რა დიდი შრომა და ძალისხმევა ჩაუდია მასში ავტორს. კარგი ქართულითაა დაწერილი და პრობლემების სირთულის მიუხედავად, მათი ადეკვატური გაგება სტუდენტებს არ გაუჭირდებათ. სახელმძღვანელოს გამოცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციოლოგიის, არამედ სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგის სტუდენტებისთვისაც.

ნაშრომთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე სურვილი. კარგი იქნებოდა, ავტორს გაეანალიზებინა ისეთ სოციოლოგთა მოსაზრებები კულტურის სოციოლოგიის შესახებ, როგორებიც იყვნენ ალფრედ ვებერი და მისი მოსწავლე კარლ მანჰაიმი, ასევე პიტირიმ სოროკინი, რომლებსაც კულტურის სოციოლოგიის საინტერესო და ორიგინალური გაგება აქვთ მოცემული. თუმცა, როგორც ავტორი თავადვე აღნიშნავს, წარმოდგენილი სოციოლოგების სელექცია მის სამეცნიერო ინტერესებსა და მეთოდოლოგიურ ხედვას ეფუძნება. ამასთან, სახელ-

მძღვანელოს სტრუქტურიდან გამომდინარე, ავტორის მიზანს კულტურის სოციოლოგიის აქტუალური თემატიკის განხილვა წარმოადგენდა და არა კონკრეტული სოციოლოგების თეორიული მიდგომების ანალიზი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღია წულაძის სახელმძღვანელო „კულტურის სოციოლოგია“ ქართული სოციოლოგიური ლიტერატურის ერთობ მნიშვნელოვანი შენაძენია.

**იუბილარები**

**JUBILARENS**





## თეიმურაზ მთიბელაშვილი

– 80 –

2023 წლის 15 ივლისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებაში ეროვნული პრემიის ლაურეატს, კულტურის ფილოსოფიის, აქსიოლოგიისა და ადამიანის ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარს, ქართული ფილოსოფიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს თეიმურაზ მთიბელაშვილს.

თეიმურაზ მთიბელაშვილი დაიბადა 1943 წლის 15 ივლისს თელავის რაიონის სოფელ ართანაში (სოფელ ლაფანყურში). 1961 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ტოპოგრაფიით და რამოდენიმე წელი მუშაობდა ტოპოგრაფიულ ექსპედიციებში.

1968 წლიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს.

1974-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც სხვადასხვა დროს იყო: უფროსი ლაბორანტი, მეცნიერ-მუშაკი, უფროსი მეცნიერ მუშაკი,

ნამყვანი მეცნიერ მუშაკი, კულტურის ფილოსოფიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი მუშაკი.

მთელი უნივერსიტეტის შემდგომი პერიოდი (2020 წლამდე) ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში: თბილისის სახელწიფო (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის) უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში, სულხას-საბას პედაგოგიურ ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტში), გორის სასწავლო უნივერსიტეტში და სხვა. იყო გამორჩეული პედაგოგი, მისი ლექციები სტუდენტი ახალგაზრდობის უდიდეს მონებას იმსახურებდა.

თეიმურაზ მთიბელაშვილი წლების განმავლობაში სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში კულტურის ფილოსოფიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მთელი თავისი შეგნებული საქმიანობა მან ამ ინსტიტუტს მიუძღვნა, ვიდრე ქვეყნის მტრები ფილოსოფიის ინსტიტუტს დახურავდნენ (2011 წ.). დღემდე საინტერესოდ იკითხება 1988 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ეგიდით გამომცემული მისი მონოგრაფია: „კულტურა და სოციალისტური ჰუმანიზმი“.

მის კალამს ეკუთვნის ოთხი მონოგრაფია და შვიდ ათეულზე მეტი სამეცნიერო სტატია (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), რეცენზია და საინტერესო კრიტიკული წერილები, რომლებიც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ადამიანის ცხოვრების საზრისისა, ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის და გამორჩეული ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობის აქტუალურ პრობლემებს შეეხება.

თეიმურაზ მთიბელაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩანს სიღრმისეული აზროვნება და გამორჩეული ფილოსოფიური ხელწერა. ქართველ ფილოსოფოსთა შორის თეიმურაზ მთიბელაშვილი ცნობილია თავისი უანგარობით, კაცთმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით. სინტერესო პედაგოგი და მეცნიერუ კიდევ უფრო საინტერესო და მომხიბლველი ხდება მეგობრებისა და სათაყვანებელი კოლეგების წრეში ქართულ სუფრასთან, სადაც ნათლად ჩანს მისი პიროვნული, უაღრესად ადამიანური, ჰუმანური ნიშან-თვისებები.

თეიმურაზ მთიბელაშვილი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შემოქმედებითი საქმიანობითა და პატრიოტიზმით ადასტურებს, რომ

ფილოსოფოსობა ცხოვრების განსაკუთრებული წესია და ამ წესით მცხოვრები ადამიანები უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ.

ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან იუბილარს, უფროს კოლეგასა და მეგობარს ჯანმრთელობასა და დიდახნს სიცოცხლეს ძვირფას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმი**

**მონათხრობი**  
**MEMORIES**

## ბასული საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან\*

### წინასწარი შენიშვნები

უწინარეს ყოვლისა, მკითხველის საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ სტატიაში ლაპარაკია არა ფილოსოფიურ, თუნდაც ძალიან მწვავე კამათებზე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეგობართა შორისაც, არამედ ისეთ კამათებზე (თუ შეიძლება მათ „კამათი“ ვუნოდოთ), რომლის მიზანს ჭეშმარიტების დადგენა კი არ წარმოადგენს, არამედ მოპირისპირე მხარის დამარცხება, თვით მის ფიზიკურ განადგურებამდეც კი. ასეთი იყო ის იდეოლოგიური ბრძოლები გასული საუკუნის ფილოსოფოსთა შორის, რომელსაც ორთოდოქსი მარქსისტები აწარმოებდნენ ორიგინალურად მოაზროვნე მეცნიერთა წინააღმდეგ, რაც ხშირად სამწუხარო შედეგით მთავრდებოდა.

ამ სამარცხვინო და საზარელ ბატალიებს, როგორც წესი, ორი – არსებითად იგივეობრივი – საფუძველი ჰქონდა; ერთი მხრივ მარქსისტულ -ფუნდამენტალისტური, რომელიც მარქსისტული იდეებიდან თუნდაც ოდნავ გადახვევას მომაკვდინებელ ცოდვად თვლიდა, ხოლო, მეორე მხრივ, წმინდა სუბიექტური მოტივები: შური, პირადი სიძულვილი ან სხვა მსგავსი ქვენა გრძნობები. პირველ შემთხვევაში ორთოდოქს მარქსისტს შეეძლო საკუთარი ძმა, მეგობარი ან სხვა საყვარელი ადამიანი გაეწირა, თუ იგი მარქსისტულ იდეებს უპირისპირდებოდა. მეორე შემთხვევაში კი შურიანსა და გაბოროტებულ კაცს მარქსიზმის ბედი სრულიადაც არ ადარდებდა; მაგრამ

---

\* წინამდებარე წერილი ბატონმა სერგიმ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაწერა მისი თაობის ერთ-ერთი ფილოსოფოსის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულისათვის, რომელიც ერთობლივად უნდა გამოგვეცა, მაგრამ კრებულის გამოცემა ვერ მოხერხდა და წერილი ჩემს არქივში დარჩა. რამდენადაც „ფილოსოფიური ძიებანი“ წინამდებარე XXVIII ტომი ბატონი სერგი ავალიანის ხსოვნას ეძღვნება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი დაბეჭდვა. ტექსტი უცვლელად, იმ სახით იბეჭდება, როგორადაც იგი მისმა ავტორმა წარმოადგინა (კ. ქეცბაია).

მისთვის არასასურველი პიროვნების განადგურების ყველაზე ეფექტურ საშუალებას სწორედ მარქსისტული იდეოლოგიური ბრალდებები წარმოადგენდა. საბოლოოდ კი ბრძოლის ეს ორი მოტივი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა. ამ მეთოდოლოგიური პოზიციებიდან იქნება ჩვენს სტატიაში განხილული გასული საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა შორის არსებული ბატალიები.

მკითხველს ისიც მინდა შევპირდე, რომ სტატიის წერისას მკაცრად იქნება დაცული ობიექტურობის პრინციპი. მოგონებებს ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი ობიექტურ ვითარებას აღწერს. ობიექტურობის პრინციპი იმასაც მიკარნახებს, რომ მკითხველს არ დავუშალო მათი გვარები, ვინც ამ ბატალიების სუბიექტები ან ობიექტები იყვნენ. ახლა ეს ყველაფერი ისტორიას ეკუთვნის და რაიმეს შენიღბვა-შელამაზებას არავითარი აზრი არა აქვს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ამ ბატალიების რამდენიმე ეპიზოდი გარკვეული კუთხით გადმოცემულია ჩემს წიგნში „სავლე წერეთელი“ {თბ., 1973} აგრეთვე ფილოსოფიის ინსტიტუტის საიუბილეო კრებულში „ფილოსოფიის ინსტიტუტი“ {ბათუმი, 2007}.

\*\*\*

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განსაკუთრებული აღმავლობა გასული საუკუნის პირველი ათეული წლებიდან დაიწყო. მისი ბაირახტარი იყო შალვა ნუცუბიძე, რომელმაც ჩეხი ფილოსოფოსის ბ. ბოლცანოს ფილოსოფიის საფუძველზე შეიმუშავა ე.წ. „ალეთოლოგიის თეორია“, რომლის ჩამოყალიბება კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას დაემთხვა. დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა ამ „იდეალისტური“ თეორიის წინააღმდეგ. ალეთოლოგიის თეორიის ავტორი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ ბატონმა შალვამ ფორმალურად უარი თქვა ამ თეორიაზე და თავისი მეცნიერული მუშაობა ქართული ფილოსოფიის ისტორიის სფეროში განაგრძო, თუმცა ალეთოლოგიაზე ფიქრი არასოდეს არ მიუტოვებია.

შალვა ნუცუბიძის გადასვლა ქართული ფილოსოფიის ისტორიის სფეროში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, თუმცა ლიტერატურული მტრები არც აქ აკლდა. ასეთია ბედი ყველა ორიგინალური მოაზროვნისა, რომლის ბოლომდე ამოშლას ისტორიიდან მისი მტრები ვერ ახერხებენ.

\*\*\*

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური იდეოლოგია უზომოდ აღზევდა. მოიცვა რა მან ადამიანის ცნობიერების ყველა სფერო, იგი მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, კულტურის ჟანდარმი გახდა. სასტიკად იკრძალებოდა დაშტამპული მარქსისტული იდეოლოგიიდან თუნდაც ოდნავ გადახრა, შემოქმედებითი აზროვნება. მარქსისტულმა ფუნდამენტალიზმმა მოაზროვნე ადამიანებისათვის სულის შემხუთავი გარემო შექმნა. ჭეშმარიტების ერთადერთ საზომად მარქსიზმის კლასიკოსების გამონათქვამები ითვლებოდა, რომელთა ციტირება აზროვნების ნესად იქცა. ამის საილუსტრაციოდ ერთ კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ: ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფილოსოფიის ცოდნით არ გამოირჩეოდა; სამაგიეროდ მარქსისტული ციტატები ზედმინეწით იცოდა. კამათი უყვარდა, მაგრამ კამათობდა თავისებურად. ორ ერთმანეთისაგან დაშორებულ სკამზე დაფს გააბამდა, რომელზეც სარეცხებივით ჩამოკიდებდა პატარ-პატარა ფურცლებს. თითოეულ მათგანზე ეწერა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ფილოსოფიური გამონათქვამები. თუ შეეკამათებოდი, იგი პასუხს კი არ გაგცემდა, არამედ დაფიდან ჩამოსწნიდა ციტატებიან ფურცელს, მოგანოდებდა და გამარჯვებულის ღიმილით შეგეკითხებოდა: „ამას რას ეტყვი?“ მეტი გზა არ იყო, ან უნდა დათანხმებულყავი და ან ხმა არ უნდა ამოგელო. ციტატის კრიტიკა ხომ შეუძლებელი იყო! ასეთ ვითარებაში გახშირდა იმათი დევნა, დაპატიმრებები, ვინც ციტატებით აზროვნებას ვერ ეგუებოდა.

მთავრობა ძველ მეცნიერულ კადრებს აღარ ენდობოდა, ამიტომ მათ შესაცვლელად შეიქმნა ე.წ. „წითელი პროფესურა“, რომელიც სახელდახელოდ ამზადებდა მარქსისტულ კადრებს. მათ მთავარ მიზანს მეცნიერების, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის სფეროში მარქსისტული მსოფლმხედველობის „სადარაჯოზე“ ყოფნა წარმოადგენდა. ისინი ამ ამოცანას „წარმატებით“ ასრულებდნენ.

\*\*\*

1936 წელს კოტე ბაქრაძემ გამოაქვეყნა წიგნი „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, რომელშიც მან ჩამოაყალიბა ჰეგელის ფილოსოფიის სისტემისა და მეთოდის ურთიერთობის ისეთი

გაგება, რომელიც მარქსისტული გაგებისაგან განსხვავდებოდა. ნიგნი წარდგენილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. პროფესორი პეტრე შარია ამ ნიგნის რედაქტორიც იყო და დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტიც. მან თავის რეცენზიაში იდეოლოგიური ხასიათის შენიშვნები წარმოადგინა, რის გამოც დისერტანტმა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ვერ მიიღო.

\*\*\*

გასული საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული დისკუსიის საგანი იყო შალვა ნუცუბიძის ახალი ნიგნი «Руставели и Восточный ренессанс» {თბ. 1947}. ნიგნის განხილვა შედგა 1948 წელს „იმელის“ საკონფერენციო დარბაზში. სხდომას, როგორც მოსალოდნელი იყო, პეტრე შარია თავმჯდომარეობდა. პ. შარიამ და მისმა თანამოაზრეებმა {ა. ქუთელია, ა. თავაძე, ვ. ტალახაძე, რომელსაც შალვა ნუცუბიძე „გრიანოვს“ უწოდებდა და სხვ.} ნიგნზე იდეოლოგიური ხასიათის ბრალდებები გამოთქვეს. როდესაც შალვა ნუცუბიძე ამ ბრალდებებისაგან თავს იცავდა, მეცნიერთა უმრავლესობა შალვა ნუცუბიძის მხარეზე იყო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. განხილვის შედეგად ნიგნი უარყოფითად შეაფასა პარტიულმა ჟურნალმა „ბოლშევიკი“, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ქართული კულტურის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ“. გაზეთში კი დაიბეჭდა სარედაქციო წერილი: „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“. შალვა ნუცუბიძეს კი ის იფარავდა, რომ იგი სტალინმა შეაქო „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის გამო, ციხიდან გაათავისუფლა და, როგორც შალვა ნუცუბიძე ამბობდა, სტალინმა მას შუბლზე აკოცა.

ამის ამბის შემდეგ პეტრე შარიას ცხოვრება უკან წავიდა; იგი თანამდებობიდან მოხსნეს იმის გამო, რომ შვილის სიკვდილით გულდამწვარმა მამამ მისტიკური ხასიათის პოემა დაწერა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, პეტრე შარიაზე განაწყენებული მოსკოველი პროფესორის ილია ფანცხავას გზით ეს პოემა ჯერ ჟდანოვს, ხოლო შემდეგ სტალინს გადასცეს. სტალინმა საქართველოს კომპარტიის



ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს დაურეკა და გაბრაზებულმა ჰკითხა: „თქვენს ცკ-ში მდივნად მღვდელი გყავთო?“. ეს საკმარისი აღმოჩნდა პეტრე შარიას მოსახსნელად.

\*\*\*

ამრიგად, გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს პეტრე შარია უკვე ჩამოცილებული იყო პარტიულ საქმიანობას {ერთხანს კიდევ დააპატიმრეს „მეგრელთა საქმის“ გამო}, მაგრამ ამჯერად გამოჩნდა დოც. ალექსანდრე ქუთელია, რომელიც სავლე წერეთლის თაობისა და მისი პირადი მტერი იყო.

ალექსანდრე ქუთელია, როგორც ორთოდოქსი მარქსისტი, მარქსისტულ -ლენინური მსოფლმხედველობის „სადარაჯოზე“ იდგა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მას პატივს სცემდნენ, როგორც მარქსისტული იდეების ერთგულ დამცველს. საერთოდ, იგი ნიჭიერი კაცი იყო და, პეტრე შარიას მსგავსად, ბევრი რაიმეს გაკეთება შეეძლო, რომ მისი გონება მარქსისტული იდეებით არ ყოფილიყო დაბნელებული. მან ფილოსოფია მხოლოდ იმდენად იცოდა, რამდენადაც მარქსიზმის დამცველს ესაჭიროებოდა სხვა მეცნიერთა სათვალთვალოდ და შესაფასებლად. იმ პერიოდში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე იყო. ალ. ქუთელია იყო დაბალი, ჩქარა მოძრავი და ასევე ჩქარა მოლაპარაკე, თუმცა დიქცია არ უვარგოდა, ყველა სიტყვას სრულად ვერ წარმოსთქვამდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართული აზროვნების ისტორიის პატრიოტი იყო. სტუდენტებს ხშირად დიდი გატაცებით გველაპარაკებოდა სულხან-საბა ორბელიანზე, ვაჟა-ფშაველაზე. ვაჟა-ფშაველას შესახებ მან ნიგინც კი დაწერა, მაგრამ მას ეს ხელს არ უშლიდა, რომ სასტიკი და დაუნდობელი ყოფილიყო ორიგინალური და შემოქმედებითი აზროვნების წინააღმდეგ.

\*\*\*

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მარქსისტული რისხვის საგანი გახდა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. ამ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა ფიზიოლოგმა დ. გედევანიშვილმა დაიწყო, რომელიც აგრეთვე „იდეოლოგიურ შეცდომებზე“ ლაპარაკობდა. ამ დროს დიმიტრი უზნაძე გარდაცვლილი იყო. დ. გედევანიშვილის იდეოლოგიურ ბრალდებებს

მხარი დაუჭირა ალ. ქუთელიამ, რომელმაც დ. უზნაძის განწყობის თეორიას მარქსისტული იდეები დაუპირისპირა. წიგნის განხილვა შედგა ფურცელაძის ქუჩაზე მასწავლებელთა სახლში. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის დასაცავად გამოვიდნენ კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ანგია ბოჭორიშვილი და სხვები. როცა ალ. ქუთელიამ შეატყო, რომ „ბრძოლა წააგო“, დ. უზნაძის წიგნი სკამზე დადო და ზედ დააჯდა.

\*\*\*

კიდევ უფრო ფართომასშტაბიან იდეოლოგიურ ბრძოლას ჰქონდა ადგილი გასული საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ლოგიკოსის სავლე წერეთლის წინააღმდეგ. სავლე წერეთელმა 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც ნათლად ჩანდა ახალგაზრდა დისერტანტის ორიგინალური კვლევა-ძიების უნარი. იგი აკრიტიკებდა ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას და მოითხოვდა „ახალი ლოგიკის“ შექმნას, რომელიც დიალექტიკურ წინააღმდეგობაზე იქნებოდა აგებული.

1941-1945 წლებში სავლე წერეთელი არმიაში იმყოფებოდა; 1946 წლის თებერვალში იგი თბილისში დაბრუნდა და მაშინვე დანიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად, ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგედ, ხოლო 1948 წელს, როდესაც პეტრე შარია ზემოაღნიშნული ბრალდების გამო ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ამ თანამდებობაზე სავლე წერეთელი დანიშნეს. მაშინ ფილოსოფიის ინსტიტუტი სულ რაღაც ორი წლის წინ {1946} იყო დაარსებული და სათანადოდ ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული.

სავლე წერეთელი იყო არა მარტო დიდი ერუდიტი, ფილოსოფიის ისტორიის და, საერთოდ, ფილოსოფიური პრობლემების ღრმა მცოდნე, არამედ აგრეთვე არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანი. მან ფილოსოფიის ინსტიტუტი ჩამოაყალიბა, ახალი კადრებით შეავსო და ფილოსოფიური კვლევა-ძიების ცენტრად აქცია. დაიწყო ინტენსიური ფილოსოფიური მუშაობა; სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, ტომებად ქვეყნდებოდა ფილოსოფიის

ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომები {პირველი ტომი დაიბეჭდა 1949 წელს}.

თავის მხრივ სავლენერეთელმა ინტენსიურად განაგრძო საკანდიდატო დისერტაციაში დაწყებული ახალი ლოგიკური თეორიის ძიება. 1947 წელს ჯარიდან ახლადდაბრუნებულს უკვე შემუშავებული ჰქონდა ახალი დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის ძირითადი პრინციპები, თეორიისა, რომელიც ამჟამად ცნობილია „უსასრულო დასკვნის თეორიის“ სახელწოდებით.

სავლენერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიის პირველი ვარიანტი დაიბეჭდა 1952 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ მეოთხე ტომში. მაშინ სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც თავის მოვალეობას „პირნათლად“ ასრულებდა. მარქსისტული იდეებიდან თუნდაც ოდნავ გადახვევასაც კი ცენზურა არავის პატიობდა. მხედველობაში ჰქონდა რა ეს გარემოება, სავლენერეთელმა თავის წიგნს {მისი მეგობრის პარმენ გუჯაბიძის რჩევით} უწოდა „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“. წიგნი აჭრელებული იყო მარქსის, ენგელსის, ლენინისა და, განსაკუთრებით, სტალინის ციტატებით, თუმცა არც ერთი მათგანი მას არ ესაჭიროებოდა. მაშინ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო შმაგი და დაუნდობელი ადამიანი აკაკი მგელაძე; კიდევ უფრო უარესი იყო თბილისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ ბალავაძე. ერთიც და მეორეც თავიანთ თავს დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად და მარქსისტული იდეოლოგიის ერთგულ დამცველებად თვლიდნენ.

სავლენერეთლის მიერ დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის შემუშავების პარალელურად ლოგიკის ახალ ვარიანტს ამუშავებდა გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ლევან გოკიელი, რომლის ლოგიკური თეორია ცნობილია „ძირეული დასკვნის თეორიის“ სახელწოდებით. ლოგიკის ახალ ვარიანტებზე მუშაობამ მათი ავტორები დაამეგობრა. პროფ. ლევან გოკიელის ლოგიკური თეორია გადმოცემულია წიგნში: «О природе логического» {თბ.1958}. სავლენერეთლისა და ლევან გოკიელის თეორიების თუნდაც ზოგადი მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მათ შორის ბევრი საერთოა და ასევე ბევრი განსხვავება. ეს საკითხი ვრცლად გაანალიზე-

ბულია ჩვენს წიგნში: „სავლე წერეთელი“. სავლე წერეთელი თავის წიგნში ხშირად ლევან გოკიელის აზრების ციტირებასაც ეწეოდა.

\*\*\*

1952 წლის შემოდგომაზე სავლე წერეთელმა თავისი წიგნი „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოში წარადგინა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოპონენტებად დანიშნეს შალვა ნუცუბიძე, ლევან გოკიელი, კოტე ბაქრაძე და გიორგი შუშანაშვილი. პირველი ორი ოპონენტი მალალ შეფასებას აძლევდა სადისერტაციო ნაშრომს, მეორე ორი კი თუმცა დისერტანტს მწვავედ ეკამათებოდნენ, მაგრამ კამათი მეცნიერული იყო და, საბოლოოდ, მხარს უჭერდნენ დისერტანტისათვის საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოპოვებას.

დისერტაციის დაცვა დანიშნული იყო 25 ნოემბრისათვის. დისერტანტი ენერგიულად ემზადებოდა როგორც საჯარო პექრობისათვის, ასევე საბანკეტოდ, ვინაიდან ოპონენტების მიერ წარმოდგენილი რეცენზიები საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოპოვების გარანტიას იძლეოდა; საბანკეტოდ იყიდა კახური ღვინოც და სურსათიც. მაგრამ დაცვამდე სამი დღით ადრე ალ.ქუთელიას თაოსნობით დაიწყო აღვირახსნილი კამპანია სავლე წერეთლის წინააღმდეგ. დისერტანტს აბრალებდნენ მარქსიზმის ლალატს, მარქსიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით სტალინის იდეების განზრახ დამახინჯებას. მაშინ სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ასეთი ბრალდებანი უკიდურესად საშიშს წარმოადგენდა. პირველ ხანებში მეზობლთა რიგებში ალ. ქუთელია არ ჩანდა; სამაგიეროდ ბობოქრობდა თბილისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბალავაძე, რომელსაც ფილოსოფიაში საერთოდ არაფერი არ გაეგებოდა, არც კი იცოდა ვის ან რას აკრიტიკებდა. მაგრამ მისი კონსულტანტი ალ.ქუთელია იყო. გაზეთები გაივსო ს. წერეთლის კრიტიკით; იქვე ახსენებდნენ ლევან გოკიელსაც, როგორც სავლე წერეთლის მეგობარსა და თანამოაზრეს. დისერტაციის დაცვა, ცხადია, ჩაიშალა. სავლე წერეთელი მოხსნეს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან და გარიცხეს პარტიიდან, რაც დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურების წინაპირობა იყო. ამ ბრძოლაში ალ. ქუთე-

ლია, ცხადია, მარტო არ იყო; მის გუნდში“ შედიოდნენ დოც.კირილე აქბარდია, დოც. ამბროსი თავაძე და ნანილობრივ დოც. დიმიტრი კალანდაძეც.

ბუნებრივია, რომ სავლე წერეთელი უზომოდ დათრგუნვილი იყო. სხდომებზე, სადაც მას აკრიტიკებდნენ, თავჩაქინდრული იჯდა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ზედიზედ ცვლიდნენ მარქსისტი „ორატორები“. სავლე წერეთელი კი თავდაცვას ვერ ბედავდა; აუცილებლობის შემთხვევაში კი იგი იძულებული იყო თავის „შეცდომებზე“ ელაპარაკა. იგი დღე და დღე დაპატიმრებას ელოდა; ფიქრობდა არა იმდენად თავის თავზე, რამდენადაც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი შვილების ბედზე. მის დასაცავად ხმას ვერ იღებდნენ თვით მისი უახლოესი მონაფეხბიცი. პირიქით, სავლე წერეთელი დაჟინებით გვთხოვდა, რომ იგი გაგვეკრიტიკებია; იქნებ თქვენ მაინც გადარჩეთო. სამწუხაროდ, ჩვენ მას ვერც ვიცავდით და არც ვაკრიტიკებდით. თუმცა იყო ერთი გამონაკლისი; ერთმა ახალგაზრდამ სავლე წერეთლის ასპირანტობაზე უარი თქვა და აღ. ქუთელიას ასპირანტობა არჩია. მე არ ვერიდებოდი ჩემს დიდ მასწავლებელთან არც შეხვედრას და არც საუბარს. კიდევ მეტიც, სისტემატურად დავდიოდი მის ბინაში ფალიაშვილის ქ. 17-ში, სადაც მას და მის ოჯახს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. ვიდრე სავლე წერეთლის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდნენ, მის სამუშაო მაგიდასთან კედელზე ორი სურათი ეკიდა: მარცხნივ პლატონი, მარჯვნივ კი არისტოტელე; ხოლო როდესაც სამსახურიდან მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს, სალამოს სანუგეშებლად ბინაში ვენვიე და ვნახე, რომ მაგიდის მარცხნივ მარქსის სურათია, მარჯვნივ კი ლენინისა. შუაში რომელიღაც ყურნალიდან ამოჭრილი სურათი იყო კედელზე გაკრული; კრემლის კიბეებზე ჩამოდიან სტალინი, ბერია, მოლოტოვი და სხვ.

სავლე წერეთელმა მოახერხა პარტიის ცკ-ს პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან შეხვედრა, მაგრამ რესპუბლიკის თავკაცი მას მართლაც „მგლურად“ შეხვდა. როგორც უფრო გვიან სავლე წერეთელმა გვიამბო, აკ. მგელაძემ მას საერთოდ არ მოუსმინა, მაჯაში ხელი ჩაავლო და უთხრა: „ინტელიგენცია უნდა გაგანადგუროთ“. როცა მან სავლე წერეთელს ფაშისტი უწოდა, სავლემ უთხრა: „მე ხუთი წელი ფაშიზმს ვებრძოდიო“. ხოლო როდესაც მგელაძემ ბრძოლა შემიგინა, იგონებდა სავლე წერეთელი, სახეში მუშტის

გარტყმა დავაპირე, მაგრამ მომაგონდა, რომ მე დამხვრეტდნენ, ხოლო ჩემს ცოლ-შვილს აანოკებდნენ; ამიტომ თავი შევიკავეო.

\*\*\*

საბედნიეროდ ვითარება მალე განიმუხტა; 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა. ამის შემდეგ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით იდეოლოგიური ბრძოლები შენელდა. მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს მგელაძეც და ბალავაძეც. სავლე წერეთელი ქირქილებდა. იმ დროს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი იყო წყნარი, ფუნჩულა კაცი სეით ლარცულიანი. მართალია, მან ფილოსოფია არ იცოდა, მაგრამ დადებითი პიროვნება იყო. მან პირველმა, როგორც პარტიის ცკ-ს წევრმა, ხმა აღიმალა სავლე წერეთლის დასაცავად. სავლე წერეთელი შეხვდა პარტიის ცკ-ას ახალ პირველ მდივანს ვასილ მუჟავანაძეს. მართალია, ამ შეხვედრას ერთბაშად შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ სავლე წერეთლის სარეაბილიტაციოდ ნიადაგი თანდათან მზადდებოდა.

\*\*\*

სავლე წერეთელმა ხელახლა გადაამუშავა თავისი წიგნი, კიდევ უფრო დაასაბუთა უსასრულო დაკვნის თეორია და დისერტაცია მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში გაგზავნა {დისერტაცია მოსკოვში მე ჩავიტანე}. დაცვა შედგა 1957 წლის 6 მარტს. დისერტანტს მიანიჭეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ცოტა ხნის შემდეგ სავლე წერეთელს მიენიჭა პროფესორისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. სავლე წერეთელი კვლავ დაუბრუნდა ფილოსოფიის ინსტიტუტს, როგორც დირექტორი. მისი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც სრულყოფილად წარმოდგენილია უსასრულო დასკვნის თეორია, არის „დიალექტიკური ლოგიკა“, რომელიც 1965 წელს ჩემი რედაქციით დაიბეჭდა. სავლე წერეთელი გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

\*\*\*

გასული საუკუნის სამოციან წლებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს თაოსნობით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ფილოსოფიის ფაკულტეტის შემონმება. მართალია, ამ შემთხვევაში იდეოლოგიურ შეცდომებზე არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ სადღაც ქვეტექსტში ესეც იგულისხმებოდა. შემონმება ფილოსოფიის ინსტიტუტს, კერძოდ, მის დირექტორს სავლე წერეთელს მიანდევს, თუმცა კომისიის თავმჯდომარე იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეცნიერების განყოფილების გამგე, მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება როსტომ შადური. კომისიის წევრთა შემადგენლობაში ახალგაზრდა თაობიდან ვიყავით მე და ოთარ ბაკურაძე. ჩვენი კომისია ორი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა და სათითოოდ ინვევდა ფილოსოფიის ფაკულტეტის თანამშრომლებს, უსმენდა მათ აზრს ფაკულტეტის მუშაობის შესახებ. კომისიას კონსპირაციული ხასიათი ჰქონდა; ამიტომ დაკითხვაზე მოსული ფაკულტეტის თანამშრომლები გულწრფელად, დაუფარავად ლაპარაკობდნენ. გამოკითხვები მეგობრულ, მაგრამ საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. იდეოლოგიური ბრალდებები არ ყოფილა; თუმცა ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა: გურამ თევზაძე ახალგაზრდობის წლებში ოქროს ბეჭედს ატარებდა, რაც იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. დაკითხვაზე მოსულმა დოცენტმა {შემდეგ პროფესორმა} შალვა ბინაძემ გვითხრა: „გურამ თევზაძე ლექციებზე ბეჭედით შედისო“. მაშინ ბატონმა როსტომმა უთხრა: „რა მოხდა, ბატონო შალვა, თუ ახალგაზრდა ბეჭედს ატარებს, თუ იგი მას ცოლქმრულ ერთგულებას მოაგონებსო“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის შემსწავლელი კომისია დადებითი შედეგებით დამთავრდა; თუმცა იყო საქმიანი, მაგრამ უწყინარი შენიშვნებიც.

\*\*\*

სავლე წერეთლის გარდაცვალების {1966} შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტი ვაკანტური გახდა. წესისამებრ ეს ადგილი დირექტორის მოადგილეს ნიკო ჭავჭავაძეს უნდა დაეჭირა. მაგრამ ინსტიტუტში ზოგიერთი თანამშრომელი, მათ შორის პირველ რიგში ანგია ბოჭორიშვილი, წინააღმდეგი იყვნენ. ნიკო ჭავჭავაძე ნიჭიერი ფილოსოფოსი და დადებითი პიროვნება იყო. ჩვენ ერთად დავამთავრეთ ფილოსოფიის ფაკულტეტი და ერთად დავიწყეთ ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობა. მე და ნიკოს ერთმა-

ნეთთან ისიც გვაახლოებდა, რომ ორივე სავლე წერეთლის უახლოესი მოწაფეები ვიყავით. როცა ჩემი პირველი შვილი დაიბადა, ნიკო ჩემთან მოვიდა მის პატარა გოგონასთან – ტატასთან {ამჟამად ნინო ჭავჭავაძე}; ერთად, მომილოცა და საჩუქრად თოჯინა მოიტანა.

როდესაც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე საკითხი დაისვა, განაწყენებულმა ნიკომ დირექტორობაზე უარი თქვა. ეს უარი გულწრფელი არ იყო. ვიცოდით რა ეს, მისი მეგობრები, მათ შორის მეც, თანხმობას ვთხოვდით. ისარგებლა რა ამ შემთხვევით, ბატონი ანგია ბოჭორიშვილი მოგველაპარაკა რამდენიმე თანამშრომელს, ვისაც ინსტიტუტის საქმე ეკითხებოდა, და ჯგუფი – შალვა ხიდაშელი, ოთარ ბაკურაძე, მე და გენო ცინცაძე {ინსტიტუტის პარტკომის მდივანი} პარტიის ცკ-ში წავიყვანა. მიგვიღო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში დევი სტურუამ. ბატონმა ანგიამ უკიდურესად უარყოფითად დაახასიათა ნიკო ჭავჭავაძე. სტურუამ უპასუხოდ გამოგვისტუმრა. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს მოეთათბირა და საკითხის გადაწყვეტა მას მიანდო. ცოტა გვიან იმავე შემადგენლობით პრეზიდენტს შევხვდით. ამ პერიოდში ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი გვყავდა ნავარაუდევი, მათ შორის ახალგაზრდებიც {ო.ბაკურაძე}. ჩემი კანდიდატი ოთარ ბაკურაძე იყო. ჩვენ ერთად დავამთავრეთ უნივერსიტეტი და თითქმის ერთდროულად დავიცავით სადოქტორო დისერტაცია. ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა თავაზიანად მიგვიღო, თუმცა ვიცოდით, რომ მას ანგია ბოჭორიშვილი არ უყვარდა {ამბობდნენ, რომ იგი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან სწორედ ამიტომ გაათავისუფლესო}. ბატონმა ანგიამ პრეზიდენტს მოახსენა, რომ მას არ სურს ინსტიტუტის დირექტორობა, მაგრამ ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები აიძულებენ, რომ დათანხმდეს. მძიმე სიტუაცია შეიქმნა; პრეზიდენტს ეტყობოდა, რომ საგონებელში ჩავარდა; მას არასგზით არ აწყობდა ანგია ბოჭორიშვილის დირექტორობა, მაგრამ არც ინსტიტუტის თანამშრომელთა მოთხოვნის უგულვებელყოფა იყო იოლი. პრეზიდენტი ერთხანს ჩაფიქრდა. მაშინ მე სიტყვა ვითხოვე და მოვახსენე, რომ თუ პრეზიდენტს ეს კანდიდატი ასაკის გამო არ აწყობს, მაშინ ჩვენ სხვა – ახალგაზრდა კანდიდატებიც გვყავსთქო. ბ-ნმა პრეზიდენტმა ამოი-



სუნთქა; იგი მიხვდა, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი ერთხმად როდი უჭერდა მხარს ანგია ბოჭორიშვილის კანდიდატურას. აშკარა გახდა, რომ ეს კანდიდატურა მოიხსნა. ბ-ნ ანგიას მაშინ ჩემთვის საყვედურიც კი არ უთქვამს, თუმცა ვიცოდი, რომ სასტიკად ნაწყენი დარჩა, ხოლო იგი წყენას ასე იოლად არაეის აპატიებდა. ასე გაჩნდა “უფსკრული“ ჩემსა და ბატონ ანგიას შორის.

ბ-ნ ანგიას კანდიდატურის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვასო ფრანგიშვილი. ბ-ნი ანგიას კანდიდატურა გამოირიცხა, რითაც ნ.ჭავჭავაძეს გზა გაეხსნა. მიუხედავად ამისა, არა მარტო ბ-ნი ანგია, არამედ ნიკო ჭავჭავაძეც ჩემზე უალრესად ნაწყენი, შეიძლება ითქვას, რომ გაბრაზებულნიც კი დარჩნენ. ერთხელ ნიკომ ასეთი საყვედური მითხრა: “ოჯახი მე არა მაქვს, სახლი არა მაქვს და არც ინსტიტუტის დირექტორი არ უნდა ვიყო?” მართალია, მე ნიკოს დირექტორობის წინააღმდეგ არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ვინაიდან ბატონ ანგიას ცკ-სა და აკდემიის პრეზიდენტთან ვახლდი, მისი მტრების ბანაკში ჩამრიცხა და ბოლომდე ამრეზით მიყურებდა.

ზემოთ ვთქვი, რომ ნიკო ჭავჭავაძე ნიჭიერი და დადებითი პიროვნება იყო. თავის მეგობრებს იგი ყოველთვის წყალობდა, მაგრამ ვინც არ მოსწონდა, მათ მიმართ ზიზღს ვერ ფარავდა. ერთი სიტყვით, იგი ბივალენტური პიროვნება იყო.

რაც შეეხება ანგია ბოჭორიშვილს, იგი წლების მანძილზე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის {ამჟამად უნივერსიტეტის} პრორექტორი, მაგრამ ფაქტობრივად რექტორი იყო. ამბობენ, რომ იგი იმდენად მკაცრი იყო, რომ მისი ყველას ეშინოდა. როცა იგი თბილისში გადმოვიდა, მაშინ მას ერთპიროვნული მმართველობის ასპარეზი აღარ ჰქონდა, მაგრამ ხისტი და პატივმოყვარე ხასიათი მაინც შერჩა. იგი ვერ ფარავდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებას. ერთმა უნივერსიტეტელმა ფსიქოლოგის პროფესორმა აკაკი ბაინდურაშვილმა მითხრა: „ანგია ბოჭორიშვილი ფსიქოლოგების სიძულვილმა ფსიქოლოგიის სიძულვილამდე მიიყვანა“. იგი უთუოდ სწავლული და ღრმად მოაზროვნე მეცნიერი იყო, თუმცა მარქსისტული მსოფლმხედველობის დაძლევა მან ვერ მოახერხა.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის დირექტორად სავლე ნერეთლის შემდეგ ნიკო ჭავჭავაძე დაინიშნა. მე კი ორივე მათგანი-სათვის *persona non grata* გავხდი.

\*\*\*

სავლე ნერეთელი გარდაცვლილი იყო, როდესაც დაინყო კამათი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სახელწოდების შესახებ. საბჭოთა კავშირში სახელწოდებას „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ ტაბუ ჰქონდა დადებული, ვინაიდან დასავლეთში ამ სახელწოდებით არსებობდა ფილოსოფიური მოძღვრება {შელერი, პლესნერი}, ადამიანის შესახებ, რომელიც, ცხადია, მარქსისტული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ ის, რაც ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმებოდა, კერძოდ, ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის რაობის შესახებ, დასაშვებად იყო მიჩნეული. მაგალითად, არსებობდა მოსკოველი ავტორის ო.დროზნიცკის წიგნი, რომელიც ადამიანის არსს იკვლევდა, მაგრამ მას ფილოსოფიური ანთროპოლოგია არ ერქვა. ჩვენშიც ზურაბ კაკაბაძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „Человек, как предмет философии», რომელიც შინაარსის მიხედვით ფილოსოფიური ანთროპოლოგია იყო. ქართველი ფილოსოფოსები {ანგია ბოჭორიშვილი მისი მოწაფეებითურთ და ნ. ჭავჭავაძე} მტკიცედ იცავდნენ ამ სახელწოდებას, ხოლო მოსკოველი ფილოსოფოსები ბრაზობდნენ; ქართველ ფილოსოფოსებს მარქსისტული ფილოსოფიიდან გადახრას აბრალებდნენ. ბოლოს და ბოლოს ქართველმა ფილოსოფოსებმა თავისი გაიტანეს და ტერმინი „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ შეინარჩუნეს. ამ სახელწოდების დაცვა რუსი მარქსისტების შემოტევებისაგან, ცხადია, იოლი არ იყო, მაგრამ ამ დისკუსიის დრამატიზირება მაინც არ შეიძლება, ვინაიდან საქმე ეხებოდა ადამიანის რაობის შემსწავლელი ფილოსოფიური მეცნიერების სახელწოდებას და არა მის შინაარსს.

\*\*\*

დაახლოებით ამავე სიმძიმის იყო მეორე შემოტევა ონტოლოგიასთან დაკავშირებით. 1973 წელს ჩემი თაოსნობით და რედაქციით რუსულ ენაზე დაიბეჭდა კრებული: »О предмете философии», რომელშიც გამოქვეყნდა ჩემი სტატია: „Предмет марксистской онтологии». კრებულის ყველა ავტორი {ო.ჯუღელი, თ. ბუაჩიძე, გ.

ცინცაძე, გ. მაჩიტაძე, გ. ბაჩულაშვილი, ა. ბეგიაშვილი} სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ ფილოსოფიის საგანს, მაგრამ ყველა აღიარებდა ონტოლოგიური კვლევის აუცილებლობას. მარქსისტი ფილოსოფოსები კი ონტოლოგიის სახელწოდებას უარყოფდნენ, რადგან მასში იდეალიზმს ხედავდნენ; ამიტომ მას ცვლიდნენ ფილოსოფიის საგნის შესახებ მოძღვრებით {იხ. თუნდაც ნ. მოტროშილოვას სტატია რუსული ფილოსოფიური ენციკლოპედიის {მოსკოვი, 1967} მეოთხე ტომში "ონტოლოგია"}. ცენტრალურმა ფილოსოფიურმა ჟურნალმა „Вопросы философии“ ჩვენს კრებულზე რეცენზია გამოაქვეყნა, რომელიც, მართალია, დადებითი იყო, მაგრამ გამოდნენ ტერმინს "ონტოლოგია" და გვსაყვედურობდნენ „ონტოლოგიურ ხეტი-ალს“ {Онтологическое нлуждание}, რომელიც, ცხადია, ჩვენ – ავტორებს – გვეხებოდა, განსაკუთრებით კი მე, რაკი მონინავე სტატიამი მარქსისტულ ონტოლოგიაზე ვლაპარაკობდი.

მიუხედავად ამისა, ონტოლოგიური პრობლემების კვლევა არა მარტო არ შეგვიწყვეტია, არამედ ჩემი შემდგომი ორი წიგნი: „Абсолютное и относительное“ {თბ. 1980} და მონოგრაფია „მეცნიერული ონტოლოგია“ {თბ. 1994} სწორედ ონტოლოგიის პრობლემებზეა დაწერილი. ერთ-ერთმა რუსმა ავტორმა მ. ვ. ჟელნოვმა თავის სქელტანიან წიგნში: «Предмет философии в истории философии» {მოსკოვი, 1981} ჩემს ონტოლოგიურ თვალსაზრისს „ონტოლოგიურ-ატრიბუტული კონცეფცია“ უწოდა.

\*\*\*

მწვავე იდეოლოგიური ბატალიები გაიმართა ჩემს წიგნზე: „ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია“ {თბ. 1974}, რომელიც სამ წელზე მეტხანს გაგრძელდა. წიგნში მოცემული იყო ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის მთელი რიგი პრობლემების ორიგინალური გააზრების ცდა. ეს წიგნი დაბეჭვდამდე გამოჩენილმა ქართველმა ფიზიკოსმა აკადემიკოსმა მათე მირიანაშვილმა ასე შეაფასა: „უნდა გარკვევით ითქვას, რომ წიგნი წარმოადგენს ფუნდამენტალურ ნაშრომს, რომელშიც დეტალურად და ღრმა ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე განხილულია თანამედროვე ფიზიკის ყველა პრინციპული საკითხი. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, ვინაიდან პროფესორი სერგი ავალიანი ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარ-

რია; იგი კარგად არის დაუფლებული თანამედროვე ფიზიკის ორ ძირითად თეორიას: ფარდობითობისა და კვანტურ თეორიებს და ეს აძლევს მას საშუალებას თავისი ღრმა ფილოსოფიური ერუდიციის დახმარებით სრულად წარმოგვიდგინოს ამ თეორიების ფილოსოფიური მხარე“. მაგრამ ამ მაღალმა შეფასებამ პირიქით გააღვიძანა ჩემი მოწინააღმდეგეები, რომელთაც ძირითადად შური ან პირადი წყენა ამოძრავებდათ. ერთხელ პროფ. გელა ბანძელაძემ მითხრა: „მარქსის „კაპიტალის“ ტოლი წიგნი რომ დაწერე, ნუთუ არ იცოდი, რომ არ გაპატივდნენო?“ დიდ როლს თამაშობდა პირადი წყენაც, რის გამოც ამ ბრძოლას რევანშისტული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, შალვა კაკულიამ, რომელსაც ინტრიგების კარგი გამოცდილება ჰქონდა, თავისი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობა მთხოვა და თან დაუმატა: „ცხადია, ამ წიგნს 25 მანეთად (ოპონენტს ოფიციალურად 25 მანეთს აძლევდნენ) არავინ წაიკითხავს, მაგრამ დანარჩენი ჩემზე იყოსო“. ეს უკვე ქრთამს ნიშნავდა; მე გავბრაზდი, უარი ვუთხარი და ქრთამის შემოთავაზება ვამხილე. განწყენებულმა შ. კაკულიამ ჩემს წიგნზე თექვსმეტგვერდიანი „რეცენზია“ დაწერა; როგორც მითხრეს, ამ „რეცენზიის“ ორი გვერდი იუგოსლავიელ რევიზიონისტებს ეხებოდა, ხოლო თოთხმეტ გვერდზე მე ვიყავი დახასიათებული, როგორც მარქსიზმის რევიზიონისტი და მისი მტერი, თუმცა ჩემს წიგნში რევიზიონიზმის ხსენებაც კი არ იყო. როცა ამ საჩივართან დაკავშირებულ პარტიის ცკ-ში მეცნიერების განყოფილების გამგემ ე.სეხნიაშვილმა გამომიძახა, მითხრა: “ჩვენს რესპუბლიკაში ამხელა რევიზიონისტის არსებობა არც ჩვენ გვანაყობსო“.

ჩემი მეორე „ბრალმდებელი“ იყო დოც. ნ. მილორავა, რომლის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტად მე ვიყავი დანიშნული. დაცვის პროცესში მან ვერც ერთ ჩემს შენიშვნას დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცა, რის გამოც უარი ვთქვი მისთვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე. დისერტაცია ჩავარდა. მან კი მეორე დღესვე თერთმეტგვერდიანი საჩივარი დაწერა ჩემს წინააღმდეგ, რომელშიც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები იყო გამოთქმული. მაგალითად, იგი მაბრალებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასთა ბრძოლის უარყოფას, მარქსიზმის დამახინჯებას, იდეალიზმს და ა.შ. ეს ე.წ. „რეცენზია“ ჩემს წიგნზე საკავშირო კომპარტიის მიმდინარე ყრილობას გაუგზავნა. იქიდან კი საჩი-

ვარი ჩვენი რესპუბლიკის პარტიის ცკ-ის მდივანს ვ. სირაძეს გამოუგზავნეს კონტროლზე ასაყვანად. მე ვ. სირაძესთან მივედი, ჩემი სქელტანიანი წიგნი საჩუქრად გადავეცი. მან მითხრა, რომ წიგნს წაიკითხავს და პასუხს მეტყვის. მე გამიკვირდა; ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაზე დაწერილი და თანაც ასე სქელტანიანი წიგნი არასპეციალისტი როგორ წაიკითხავს და ან როგორ გაიგებსთქო; ცხადია, მას წიგნი, ალბათ, არც გადაუთვალთვალა. სამაგიეროდ მან თავის მოხსენებაში გაახმაურა ნ.მილორავას საჩივრის შინაარსი და იქვე დასძინა, რომ ს. ავალიანმა ნ. მილორავას დისერტაცია ჩააგდო, რასაც დისერტანტის გაბრაზება მოჰყვაო. ვ. სირაძეს არავითარი იდეოლოგიური ბრალდება არ გამოუთქვამს. ეტყობა, მიხვდა, რომ ამ იდეოლოგიურ ბრალდებებს წიგნში არავითარი საფუძველი არ ჰქონდა.

მესამე „კრიტიკოსი“ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დოცენტი ბ. კარტოზია, რომელსაც სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობაზე უარი ვუთხარი. მან კი ბოლმა გულში ჩაიღო და ჩემი წიგნის განხილვაზე, რომელიც უნივერსიტეტის დიდ და ხალხმრავალ აუდიტორიაში ჩატარდა, სხვა „კრიტიკოსებს“ ისიც მიემატა და ტრიბუნიდან ასე მომმართა: „სერგი ავალიანო, თქვენ ლენინის ეპოქაში გაიზარდეთ და რატომ ებრძვით ლენინსო“. ამ სიტყვების გაგონებაზე თამაზ ბუაჩიძე სკამიდან წამოხტა და მიამხა: „თქვენ მხვრეტელები ხართ“ და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. დარბაზი დატოვეს აგრეთვე პროფ. ედუარდ კოდუამ და მიხეილ ბეჟანიშვილმა. ეს ბრალდება იმ დროს მართლაც მძიმე იყო. სტალინის დროს ამ ბრალდებით შეიძლებოდა ადამიანი დაეხვრიტათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ლ.ბრეჟნევის ეპოქა იყო და პოლიტიკური დევნაც ძველებურად აღარ წარმოებდა.

იყვნენ სხვა ბრალმდებლებიც, რომელთაგან ზოგი პარტიის ცკ-ში მიჩიოდა, ზოგი კი უშიშროების კომიტეტში. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ ვიღაც უცნობმა ქუჩაში მიმავალი მანქანაში მიმიპატიჟა, ჩამსვა და სადღაც წამიყვანა. მანქანა ქალაქის მყუდრო ადგილზე გაჩერა და მითხრა; „თქვენზე ამბობენ, რომ უარყოფთ დიალექტიკურ მატერიალიზმს, რუსებს აუგად იხსენიებთ და ინსტიტუტის თანამშრომლებს აფრთხილებთ, რომ ინსტიტუტში უშიშროების კომიტეტის ჯაშუში იქნებაო. ვიდრე მე პასუხს გავცემ-

დე, ჩემს „მასპინძელს“ ხელი მანქანის უკან ჰქონდა განვდილი და რაღაც წკარუნი გავიგონე; შემდეგ მივხვდი, რომ მაგნიტოფონი ჩართეს. მე ვუთხარი, რომ ვარ დიალექტიკური მატერიალიზმის განყოფილების გამგე; ცხადია, არ შეიძლება იმას უარყოფდე, რისი გამგეც ვარ; მე მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში ბევრი პროფესორი-მეგობარი მყავს, რომელთაც ხშირად თბილისში ვეპატიუები ან ისინი მიწვევენ მასპინძლობას, როცა მოსკოვსა და ლენინგრადში ჩავდივართქო. ამიტომ იმის თქმა, რომ მე თითქოს რუს ფილოსოფოსებს აუგად ვახსენებ, ცილისწამებაათქო. რაც შეეხება ჯაშუშების არსებობას, მე ბავშვი არა ვარ, რომ ასეთი რაიმე საჯაროდ განვაცხადოთქო. ჩემი „მასპინძელი“, როგორც ჩანს, დავარწმუნე და იმ ადგილზე დამაბრუნა საიდანაც წამომიყვანა.

ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა ამ სამარცხვინო ბრძოლაში ანგია ბოჭორიშვილი ჩაერთო. მას კარგად ახსოვდა თუ რა გავლენა მოახდინა ჩემმა რეპლიკამ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტზე, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის დანიშვნის საკითხი წყდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ როდესაც გამოსაცემად ვამზადებდი კრებულს «О предмете философии», მან დასაბეჭდად მომიტანა სტატია ფილოსოფიის საგნის შესახებ. მე, როგორც რედაქტორმა, სტატია წავიკითხე და ვნახე, რომ ლუსტი იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. ეს მე არც გამკვირვებია, ვინაიდან მისი ავტორი ფსიქოლოგი იყო და არა ფილოსოფოსი. მაგრამ, ვიცოდი რა მისი ფიცხი ხასიათი, ერთბაშად უარის თქმას მოვერიდე, თუმცა მისი ამ სახით დაბეჭდვა შეუძლებლად მიმაჩნდა. საკითხის გადასაწყვეტად სტატია ინსტიტუტის დირექტორს ნიკო ჭავჭავაძეს გადავეცი. ნიკომ წაიკითხა და უკან დამიბრუნა: სტატია იმდენად სუსტია, რომ მისი დაბეჭდვა შეუძლებელიაო. სტატია არ დაბეჭდილა. მართალია, მაშინ ბატონ ანგიას საყვედური არ უთქვამს, მაგრამ ვიცოდი, რომ სასტიკად ნაწყენი დარჩა. იგი ხომ მიჩვეული არ იყო მის წინადადებაზე უარის თქმას!

ბატონი ანგიას ჩართვას ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში რევანშის ხასიათი ჰქონდა. მანაც, ისევე როგორც სხვებმა, კარგად იცოდა, რომ არასასურველი ადამიანისათვის ანგარიშსწორების საუკეთესო საშუალება იდეოლოგიური ბრალდებები იყო. პირველ ხანებში იგი იდეოლოგიური ბრალდებებისაგან თავს იკავებდა და რაღაც

«შეცდომების» გამო მაკრიტიკებდა; ასე იყო, მაგალითად, ფილოსოფიური საზოგადოების სხდომაზე მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. ბატონი ანგია საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი იყო, მაგრამ რამდენადაც მასსოვს, ერთხელაც არ ჩაუტარებია ქართველ ფილოსოფოსთა სხდომა ფილოსოფიური პრობლემების განხილვის მიზნით; არა და ფილოსოფიურ საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა, ეს ევალებოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემი წიგნის შესახებ აღვირახსნილი იდეოლოგიური კამპანია მიმდინარეობდა, მან მოიწვია მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ფილოსოფიური საზოგადოების სხდომა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. აქ მან გააკეთა საკმაოდ გრძელი მოხსენება მთლიანად ჩემს წინააღმდეგ. ბრალდებები კი უხვად იყო გამოთქმული, თუმცა აშკარა იყო, რომ მას წიგნი წაკითხული არ ჰქონდა. მომხსენებელი მის თანამოაზრეებთან ერთად მოითხოვდნენ ჩემთვის ხარისხებისა და ნოდებების ჩამორთმევას. მან ისიც კი მოითხოვა, რომ ჰონორარი, რომელიც გამომცემლობამ მომცა, უკან დამებრუნებინა. მე მყავდა «წონიანი» მხარდამჭერებიც: პროფ. გენო ცინცაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კარტოგრაფი პროფ. ალ. ასლანიკაშვილი, დოც. ა. გონაშვილი და სხვ. ხმები იყოფოდა; მაშინ კომისიის თავმჯდომარეს ბიძინა ლუტიძეს შემოწმების შედეგების გამოცხადება სთხოვეს. მან მისთვის ჩვეული ორჭოფული და გაურკვეველი აზრი გამოთქვა. მე არაფერი მითქვამს, მით უმეტეს მაშინ, როცა იმავე დღეს გაზეთმა «თბილისი» პროფ. ვ. ქვაჩახიას დაჟინებული მოთხოვნით ჩემს წინააღმდეგ უარყოფითი სარედაქციო სტატია გამოაქვეყნა.

პროფ. ვ. ქვაჩახია – ჩემი უნივერსიტეტელი თანაკურსელი – უთუოდ ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ეს ნიჭი სათანადოდ ვერ გამოიყენა; იგი კონფლიქტური პიროვნება იყო. ცხარე კამათი უყვარდა, რომლის დროს ჭეშმარიტებას არ დაგიდევდა. იგი ებრძოდა კ. ბაქრაძეს, ს. წერეთელს, ნ. ჭავჭავაძეს და თვით შევარდნაძესაც კი. მებრძოდა მეც. მან გაზეთ „თბილისში“ უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა ჩემი წიგნის შესახებ, რომელიც სავსე იყო ფაქტობრივი შეცდომებით. ეტყობოდა, რომ მას ეს წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. ერთი თვის შემდეგ იმავე გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პასუხი, რომელშიც მხილებული იყო რეცენზიაში არსებული შეცდომები და ის,

რომ ჩემი წიგნი მას წაკითხული არ ჰქონდა. მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი იდეოლოგიურ ბრალდებებს არასოდეს არ მიმართავდა. მან „თბილისის“ რედაქცია აიძულა, რომ სარედაქციო წერილი დაებეჭდა ჩემს წინააღმდეგ, რომელიც იმ დღეს გამოქვეყნდა, როდესაც მეცნიერებთა აკადემიაში სხდომა მიმდინარეობდა.

მაგრამ ბატონმა ანგიამ ეს არ იკმარა. მან შეკრიბა თანამოაზრენი: ცნობილი კონფლიქტური პიროვნება, დოც. ნიკა პოლიევქტოვნიკოლადე, რომელიც მე ადრეც მებრძოდა (იგი ებრძოდა თვით მისი კათედრის გამგეს, ცნობილ ფიზიკოსს აკად. მათე მირიანაშვილს) და ბიოლოგი დ. ჯოხაძე. მათ ჩემს წიგნზე დაწერეს რეცენზიები და დასაბეჭდად მიიტანეს პარტიულ ორგანოში „საქართველოს კომუნისტი“, რომელშიც გამოქვეყნებული სტატიები პარტიის ცკ-ს აზრად ითვლებოდა და მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო. სტატიების დაბეჭდვამდე რამდენიმეჯერ შევხვდი პარტიის ცკ-ს მდივანს ვ.სირაძეს, მეცნიერების განყოფილების გამგეს ე.სეხნიაშვილს (შევარდნაძესთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, წიგნი კი გავუგზავნე). მე მოვითხოვდი, რომ გაეცნოთ ჩემთვის რეცენზია, მოესმინათ ჩემი პასუხი და შემდეგ გადაენწყვიტათ მისი გამოქვეყნების საკითხი. ე. სეხნიაშვილისათვის ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა, მაგრამ ანგია ბოჭორიშვილმა უარი თქვა ამ ვარიანტზე. შემდეგ იმავე ე.სეხნიაშვილს შევთავაზე ახალი ვარიანტი: რეცენზიები დაებეჭდათ არა პარტიულ ორგანოში, არამედ ფილოსოფიურ ჟურნალში „მაცნე“, რაც მე შესაძლებლობას მომცემდა, რომ პასუხი გამეცა. ე. სეხნიაშვილს ეს აზრიც მოეწონა, მაგრამ ანგია ბოჭორიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა. რეცენზიები დაიბეჭდა „საქართველოს კომუნისტში“, რომელთაც წინ უძღოდა სარედაქციო წერილი, რომელიც შედარებით რბილი ტონით იყო დაწერილი და არც იდეოლოგიურ ბრალდებებს შეიცავდა. პირიქით, სარედაქციო წერილში ლაპარაკი იყო ჩემი ორიგინალური აზროვნების შესახებ და თითქოს კიდევ მაქებდა. მაგრამ სულ სხვაგვარი იყო ანგია ბოჭორიშვილის რეცენზია; იგი სავესე იყო იდეოლოგიური ბრალდებებით: „სერგი ავალიანის მიზანია შეირყეს, დაიშალოს ერთიანი, მთლიანი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია“. „სერგი ავალიანმა დაიწუნა დიალექტიკური მატერიალიზმის სახელწოდება“. ს. ავალიანი იყენებს ტერმინს „ონტოლოგია“, მაშინ, როცა „მარქსსა და ენგელსს ტერმინი



ონტოლოგია არ გამოუყენებიათ. ს. ავალიანი „ძარცვავს დიალექტიკურ მატერიალიზმს“ და აშენებს ახალ ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიას. ს. ავალიანმა „დიალექტიკურ მატერიალიზმს შინაარსი გამოაცალა“. ასეთი შენიშვნებით იყო სავსე ბატონი ანგიას რეცენზია.

ნ. პოლივექტოვ-ნიკოლაძე ლაპარაკობდა ჩემს იდეალიზმზე, არამარქსისტულ პოზიციებზე და ა.შ., რაც შეეხება დ.ჯოხაძის რეცენზიას, როგორც თვითონ მითხრა, შინაარსი და მიმართულება შეუცვალეს და ის დაწერეს, რაც მათ სურდათ. მიუხედავად ამისა, იდეოლოგიურ ბრალდებებზე მის რეცენზიაში არაფერი იყო ნათქვამი.

იყვნენ აგრეთვე სხვა კრიტიკოსებიც: დოც. გილდა სიხარულიძე, დოც. ბენო ბაშალიეშვილი და სხვ. ბ. ბაშალიეშვილი, რომელსაც აგრეთვე პირადი წყენა ამოძრავებდა, რაიხენბახიდან პლაგიატობაში მდებდა ბრალს, თუმცა მას რაიხენბახი წაკითხული არ ჰქონდა გერმანული ენის უცოდინარობის გამო. კრიტიკისას იგი სარგებლობდა ჩემი წიგნით „ჰანს რაიხენბახის ფილოსოფია“, რომელიც 1961 წელს დაიბეჭდა. მისი „არგუმენტები“ ჩემს წინააღმდეგ იმდენად უსუსური იყო, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს.

დოც. გ. სიხარულიძე იმის გამო იყო ნაწყენი, რომ მრავალი წლის მანძილზე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მე ვკითხულობდი ლექციებს ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიაში, რისი პრეტენზიაც მას ჰქონდა, ვინაიდან ფიზიკის ფაკულტეტიდან იყო მოსული.

რამდენიმე წლის შემდეგ ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბჭომ მისი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობა დამავალა. ფაქტობრივად სადოქტორო დისერტაცია არ ყოფილა წარმოდგენილი. ეს იყო ორი თხელი წიგნი ასპირანტების სახელმძღვანელოდ; სხდომა შედგა ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, რომელიც სავსე იყო ფილოსოფოსებითა და ფიზიკოსებით. აქ იყვნენ აკადემიკოსები: თეიმურაზ კოპალეიშვილი, თენგიზ სანაძე, პროფ. ანზორ ხელაშვილი და სხვ. ჩემს რეცენზიაში გამოვლენილი იყო მრავალი ფაქტობრივი და აზრობრივი შეცდომა; არავითარი სიახლე, არავითარი კვლევა. ერთი სიტყვით, ჩემი რეცენზია უარყოფითი იყო და დისერტაცია ჩავარდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა; მაგრამ ვფიცავ ჩემს სინდისსა და ადამიანობას, რომ ჩემი უარყოფითი დას-

კვნა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის ერთობ დაბალი დონით და არავითარ შემთხვევაში სხვა – პირადი – დამოკიდებულებით. პირიქით, იგი მე ძალიან შემეცოდა, როცა დისერტაცია ჩავარდა. თავს მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი.

მთელ ამ ბატალიებში ნეიტრალური პოზიცია ეჭირა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს ნიკო ჭავჭავაძეს. მას საჯაროდ არავითარი აზრი არ გამოუთქვამს ჩემს არც წინააღმდეგ და არც დასაცავად. მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ იზიარებდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიურ მეთოდებს. იგი ხომ არა მარტო სწავლული და ჭკვიანი კაცი იყო, არამედ აგრეთვე ბევრთათვის კეთილი და დემოკრატი ადამიანი. ნიკო ჭავჭავაძე, ისევე როგორც ბევრი ჩვენთაგანი, კომუნისტური პარტიის ბილეთს ატარებდა და პარტიის ცკ-შიც ხშირად იჯდა, მაგრამ სულის სიღრმეში მისთვის კომუნისტური იდეოლოგია მიუღებელი იყო. მან ისიც კარგად იცოდა, რომ იდეოლოგიური ბრალდებების მთელ ამ კორიანტელს არავითარი მეცნიერული მიზანი არ ჰქონდა, საქმის ინტერესებს არ ემსახურებოდა. ერთხელ მან თავის კაბინეტში მითხრა: „აბა, გაბედონ და ცკ-დან დამირეკონ სამსახურიდან შენი განთავისუფლების შესახებ და ნახავენ, რა პასუხს გავცემო“. ბ-ნი ნიკო ვაჟკაცი იყო, რასაც ბევრზე ვერ ვიტყვით. მაგრამ, მეორე მხრივ ნიკოს კარგად ახსოვდა ძველი წყენა, რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნვანასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ჩემს მიმართ არა მარტო კეთილგანწყობილი არ იყო, არამედ ჩვენს შორის დაძაბულ ურთიერთობასაც ვერ ფარავდა. ერთი სიტყვით, მე არ ვიყავი „მისი გუნდის“ წევრი. ამით იყო განპირობებული მისი თავშეკავება, ნეიტრალური პოზიცია ჩემს წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ვითარება ძირითადად ჩაცხრა, მე მოვინდომე პასუხი გამეცა პარტიულ ჟურნალში ჩამოყალიბებულ ბრალდებებზე. საკმაოდ ვრცელი პასუხი დავენერე და ბატონ ნიკოს გადავეცი სამეცნიერო ჟურნალში „მაცნე“ დასაბეჭდად, რომლის რედაქტორი თვითონ იყო. მან სტატია წაიკითხა და თითქოს კიდევ მოენონა და მითხრა: “ნადი ცკ-ში და სთხოვე, რომ ეს წერილი იმავე პარტიულ ჟურნალში დაგიბეჭდონ“. ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მე მაინც მივედი პარტიის ცკ-ს მეცნიერების განყოფილების გამგესთან ბ-ნ ემილ სეხნიაშვილთან და სტატიის დაბეჭდვა ვთხოვე იმავე პარტიულ

ყურნალში. როგორც მოსალოდნელი იყო, უარი მითხრა და დაუმატა: „ნიკომ დაგიბეჭდოს „მაცნეში“, რომლის რედაქტორიც თვითონ არისო“. გამომშვიდობებისას კი მითხრა: “როცა ა. ბოჭორიშვილის, პოლიევქტოვ -ნიკოლაძისა და ჯოხაძის სტატიის დაბეჭდვის საკითხი წყდებოდა, მაშინ ნიკო აქ იჯდა და თუნდაც ერთი სიტყვა რომ ეთქვა ჩვენი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაშინ იგი არ დაიბეჭდებოდაო“. ჩვენს შეხვედრას ესწრებოდა ე. სეხნიაშვილის მოადგილე ბ-ნი ვაჟა კეშელავა. აშკარა იყო, რომ ამ ბატალიებში ბ-ნ ნიკოს ორჭოფული პოზიცია ეჭირა და ამით იყო განპირობებული მისი ნეიტრალურობა. ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ დამთრგუნველი გავლენა შეეძლო მოეხდინა ჩემზე ამ უსაფუძვლო ბრალდებებს, რომელიც სამ წელზე მეტხანს გაგრძელდა და რომლისათვის პასუხის გაცემა ახლა უკვე აღარ ღირს. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მამხნევებდნენ, მხარში მიდგნენ, მაგრამ საჯაროდ ჩემს დაცვას ვერავინ ბედავდა. ერთმა კაცმა {დოც. ვ. კერძევაძე} მითხრა: „ბატონო სერგი, ნუ ლელავთ, ნათქვამია: ქარი მაღალ ხეებს არხევს, ბურქებს კი არაო“.

სტატიის მკითხველს პატიებას ვთხოვ, თუ თავი მოვაბეზრე ჩემი თავგადასავლის თხრობით. ეს ბატალიები გაცილებით მძიმე და აღმაშფოთებელი იყო, ვიდრე ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. მაგრამ ეს სამარცხვინო ფაქტები ისტორიას ჩაბარდა; ვისურვებდი, რომ ჩვენს სინამდვილეში მსგავსი რამ აღარ განმეორებულყო.

**სსოვნა კეთილი**  
**GOOD MEMORY**



### სარგი ავალიანის ჟენოზი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია მისი წელიწადეული ბეჭდვითი ორგანოს „ფილოსოფიური ძიებანის“ მორიგ XXVIII ტომს უძღვნის გამოჩენილი და სახელოვანი ქართველი მეცნიერის, პედაგოგის და ჰუმანიისტი ფილოსოფოსის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტისა და ამავე აკადემიის დამფუძნებლის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელისა და მეცნიერებაში საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, **სერგი ავალიანის** დაბადებიდან **95** წლის იუბილეს.

ბატონმა სერგიმ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოში ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების უკვდავ საქმეს მიუძღვნა.

XX საუკუნის გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსთა გვერდით, რომელთაც თავიანთი მიმართულებები შექმნეს ფილოსოფიაში, ქართულ მეცნიერებაში მან ჩამოაყალიბა ნატურფილოსოფიისა და მეცნიერების ფილოსოფიის საფუძვლები; მის სახელთან არის დაკავშირე-

ბული „ფსევდობსოლუტურისა“ და მეცნიერული ონტოლოგიის თეორიები; მისი ფუნდამენტური გამოკვლევები, მონოგრაფიები, ასევე ეხება გნოსეოლოგიურ, აქსიოლოგიურ, რელიგიის ფილოსოფიისა და სხვა თანამედროვე აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემებს.

აუნონელია ის ღვანლი, რომელიც მან დასდო ქართველი ახალგაზრდების ფილოსოფიური და ეთიკური განათლების საქმეს;

ქართველ ფილოსოფოსთა შორის პროფ. ს. ავალიანს გამოარჩევს ფილოსოფიური აზროვნების ფართო დიაპაზონი, შესაშური შრომისუნარიანობა და პროდუქტიულობა. ამას მონიშნავს მის მიერ გამოქვეყნებული სამასამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 35 წიგნი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ს. ავალიანის ეს ნაშრომები ეხება ფილოსოფიის არა ერთ რომელიმე დარგს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, არამედ მოიცავს თეორიულ ფილოსოფიას (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიას და ქართული ფილოსოფიის ისტორიას, გასაგებია თუ რა იშვიათ ფენომენთან გვაქვს საქმე. ოღონდ, ყველაფერი ეს, თუმცა ყურადსაღები, მაგრამ მაინც გარეგანი, რაოდენობრივი მხარეა და სრულად ვერ ასახავს პროფ. ს. ავალიანის დამსახურებას ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საქმეში.

ორიგინალურია პროფ. ს. ავალიანის „ფსევდობსოლუტურის ფილოსოფია“, რომელიც (აშშ-ში გამოიცა) ქართული ფილოსოფიური აზროვნების ოქროს ფონდის კუთვნილებაა.

**კახა ქეცბაია**

**გამოსათხოვარი**  
**FAREWELL**





მის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე (1975–1980 წწ.). 1976 წლიდან იყო ქართული ენციკლოპედიის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი. 1971 წლიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორი. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (2000 წ.).

ძირითადად იკვლევდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარებას, ეთიკურისა და პოლიტიკურის სინთეზის კანონზომიერებებს, თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიას. მისი მონოგრაფიებია: დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია, თბ. 2003; თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია: ძირითად მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი, თბილისის უნ-ტის გამ-ბა, 1987; საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, საბჭ. საქართველო, 1969; თანამედროვე დასავლეთ-გერმანული პოლიტიკური ფილოსოფია: კრიტიკული ანალიზი. საქართველო, 1966.

გური ასათიანი საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოამაგე იყო. მას შემდეგ რაც ავადსახსენებელი ლომიას რეფორმების შედეგად მისი მშობლიური უნივერსიტეტიდან უსამართლოდ გამოუშვეს, აქტიურად ჩაერთო აკადემიის მუშაობაში. თითქმის არასოდეს გაუცდენია აკადემიის სხდომები. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიისა და მთლიანად ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმი**



**მიხეილ მახარაია**  
**(1946-2023)**

2023 წლის 4 ოქტომბერს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი მიხეილ მახარაიძე.

მიხეილ მახარაიძე დაიბადა ხულოს რაიონში, სოფელ ფაჩხაში 1946 წლის 13 ნოემბერს. 1970 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი 1989 წლიდან, ხოლო პროფესორი 2002 წლიდან.

სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1970-2011წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად. სხვადსხვა დროს იყო ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1994 წლიდან); ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2005-2011 წწ.).

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 2004 წლის თებერვალ-აპრილში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით; 2004-2012 წწ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; 2012-2016 წწ. საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – „მეტი სარგებელი ხალხს“, საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით; 2013 წლიდან იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორი.

მიხეილ მახარაძე მუშაობდა შუა საუკუნეების ფილოსოფიის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის, კულტურის ფილოსოფიისა და რენესანსის პრობლემებზე.

მიხეილ მახარაძე ნაყოფიერად მუშაობდა პუბლიცისტიკაში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1993 წ.) და საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995-2012 წწ.).

მ. მახარაძის უმთავრესი სამეცნიერო და პუბლიცისტური შრომებია: არეოპაგტიკა: ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები, გავლენა, თბილისი, ინტელექტი, 2011; გზა ძნელად სავალი: ქართველი კაცის განვლილი გზა ქრისტიანობის მიღებიდან დღემდე, თბილისი, ნობათი, 2000; ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში, მეცნიერება, 1999; სხალთის ზარები: წერილები აჭარაზე, მეცნიერება, 1996; არეოპაგტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხები, მეცნიერება, 1991; წერილები ქართულ ფილოსოფიაზე, საბჭ. საქართველო, 1988; გამხელოლი ფიქრები: ლიტერატურული წერილები, ბათუმი, საბჭ. აჭარა, 1988; არეოპაგტიკის ფილოსოფიური პრობლემები, მეცნიერება, 1986 და სხვ.

მიხელ მახარაძე დაჯილდოებული იყო: 2012 წ. ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით; 2011 წ. საქართველოს ეროვნული პრემიით; 2007 წ. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით; 2005 წ. შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემიით; 2004 წ. ღირსების ორდენით.

მიხეილ მახარაძის უაღრესად მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მონაცემების ეს არასრული ჩამონათვალიც კი საკმაოდ რელიეფურად ნათელიყოფს არა მხოლოდ მის ნიჭიერებას, არამედ და შეიძლება უფრო მნიშვნელოვნადაც (რადგანაც საქართველოში ვერც ნიჭით გააკვირვებ ვერავის და ნიჭიერთა ფუჭად და უშედეგოდ „გაფლანგული“ ცხოვრების მაგალითებიც საკმაოდ მრავალადაა), მისი, როგორც უაღრესად მტკიცე, და პოზიტიური ღირებულებითი შინაგანი სამყაროს მქონე პიროვნების ისეთ სულიერ თვისებებს, რაც დიახაც რომ სრულიად აუცილებელია ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთი გზის გასაველელად, როგორც მან გაიარა.

ამ თვისებებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სრულიად მიზანმიმართული შრომის დიდი უნარი და ნიჭი; მისი სულის ის გამორჩეული თვისება, რაც შინაარსეულად უაღრესად მდიდარი და მრავლისმეტყველი ქართული სიტყვა **შრომისმოყვარეობით** აღინიშნება. ამაზე, პირველ რიგში, ცხადია, მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ნათლად მეტყველებს. მაგრამ, აქ უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მასთან ეს უნარი შეწყვილებული იყო ფილოსოფიის ურთულეს „ლაბირინთებში“ მისი უფროსი გზამკვლევი-მასწავლებლისა და ასევე მისი თანატოლი მეგობარ-კოლეგების (შალვა ხიდაშელის, ნიკო ჭავჭავაძის, ზურაბ კაკაბაძის, თამაზ ბუაჩიძის, ოთარ ჯიოევის, ლვითსავარ გოგოჭურის, ავთანდილ პოპიაშვილის და სხვ.) ნაშრომ-ნაღვანთან უაღრესად ფაქიზ, გულისხმიერ დამოკიდებულებასა და მათი დაფასება-პოპულარიზაციისთვის განეულ იმ მუდმივ ზრუნვასთან, რაც ასევე შთამბეჭდავად აისახა მის მოღვაწეობაში და შემოქმედებით მემკვიდრეობაში. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიხეილ მახარაძის ღვაწლი საქართველოს ეროვნული პრემიით პრემირებული **ქართული ფილოსოფიის ისტორიის** ოთხტომეულის მომზადება-გამოცემაში. უდავო ფაქტია, რომ ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეში თავისი შთამბეჭდავი ნვლილი უკლებლივ ყველა მისმა ავტორმა შეიტანა; მაგრამ, ვფიქრობ, ასევე უდავო ფაქტია ისიც, რომ ამ პოექტის ხელმძღვანელისა და მთავარი სულისჩამდგმელის – მიხეილ მახარაძის მრავალწლიანი და შეუწყვეტელი შრომისა და დიდი ძალისხმევის გარეშე ეს პროექტი ალბათ ვერ განხორციელდაბოდა.

შრომისმოყვარეობა ადამიანის **კაცთმოყვარეობასთან** წილნაყარი რამაა, რაც, როგორც ცნობილია, თავის მხრივ, ქმედითი სიკეთის, როგორც ასეთის, უპირველესი ონტოლოგიური ძირი და საფუძველია. ჩვენი თითქმის 60 წლიანი მეგობრობის მანძილზე ყოველთვის მოცუბდა საერთოდ სხვათა, არცთუ იშვიათად კი თვით მისივე (რბილად რომ ვთქვათ) არაკეთილმოსურნეთა „ცოდვების“ მიტევების მისეული უნარი და ადამიანური სითბოს, ყურადღებისა და მზრუნველობის გამოვლენა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩვეულებრივი „ცხოვრების კაცის“ თვალთახედვით ამას ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

ვფიქრობ, სწორედ მისი ხასიათის ეს თავისებურება იყო იმის საფუძველი, რომ მას კარგად ხელენიფებოდა ამ არაკეთილმოსურნეთაგან მომდინარე შსაძლო ნეგატივის განეიტრალება და ზოგ შემთხვევაში კი (ცოტა მხატვრულად რომ ვთქვათ) „გუშინდელი მტრების დღევანდელ მოყვრებად ქცევა“. სხვათა შორის, ეს კარგად გამოჩნდა მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაშიც. აქ მისი ოპონენტები და მოწინააღმდეგეები ცხადია მრავლად იყვნენ (რაც ადამიანთა ცხოვრების ამ სფეროში არა მხოლოდ სრულიად ჩვეულებრივი, არამედ სასურველი მოვლენაც კია), მაგრამ მოძულებები და მით უმეტეს მტრები, ვფიქრობ, საერთოდ არ ჰყავდა.

ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მიხეილ მახარაძის აქსიოლოგიურად პოზიტიური ცნობიერებისა და მისი შესატყვისი ცხოვრების მთელი შინაარსის უმთავრესი საფუძველი – მისი (თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით სრულიად ჩვეულებრივი ადამიანის) დიდი სულიერი სიმამაცე. საქმე ისაა, რომ ადამიანის ღირებულებითი ცნობიერების, ანუ ჯერარსის შესატყვისი ცხოვრება, სულაც არაა იოლი საქმე. ის არამხოლოდ რაღაც ბუნდოვანი და გაურკვეველი ეგზისტენციალური ძრწოლის უგულვებელყოფისთვის საჭირო სიმამაცეს, არამედ სრულიად რაეალურ და კონკრეტული იერსახის მქონე სამიშროებებთან დაპირისპირებასა და მათით ნასაზრდოები, ასევე კონკრეტული შიშების ძლევისთვის საჭირო სულიერ სიმამაცესაც მოითხოვს; და იმის უტყუარი საბუთი, რომ მიხეილ მახარაძეს სიმამაცის ეს ორივე ფორმა ღვთისაგან უხვად ჰქონდა მომადლებული, ერთის მხრივ მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა (და მისი შედეგი), ანუ კულტურაში „თვითგასაგნებით“ მარადიულ ანმყოში თვითდამკვიდრების მის მიერ უაღრესად ნაყოფიერად გავლილი გზაა. მეორე მხრივ

კი, მისი მართლაც რომ შესაშური სიმამაცე, ვფიქრობ, სრულიად უდავოა ყველა იმათთვის, ვისაც ახსოვს თუ როგორ სოციალ-პოლიტიკურ გარემოში იქმნებოდა და ქვეყნდებოდა თუნდაც მისი პუბლიცისტური ნაშრომები და რა სრულიად კონკრეტულ საფრთხეებთან იყო ეს დაკავშირებული; ვისაც ახსოვს და იცის, როგორ რეალურ ეგზისტენციალურ რისკებთან იყო დაკავშირებული აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელების მიერ, სპეციალურად მიხეილ მახარაძისთვის, მთიან აჭარაში „თემიდან მოკვეთის“ არქაული წეს-ჩვეულების გაცოცხლების მცდელობა.

ახლა, როდესაც მიხეილ მახარაძე ჩვენს შორის აღარაა, მისი გახსენებისას, იმაზე ფიქრიც ცოცხლდება ჩემში, რომ მამაცთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაპოვარი თავისუფლება და მასთან ონტოლოგიურ ბმულობაში მყოფი ადამიანთა ზნეობრივი ნებაა. ადამიანის ორივე ეს სათნოება კი ერთიანობაში ქმნიან ყოველი ხალხის, როგორც ერის შინაგანი მთლიანობისა და ერთიანობის იმ მყარ საფუძველს, რაც სრულიად აუცილებელია ნებისმიერი ერის არსებობისა და ისტორიული მუდმივობისთვის. ფიზიკურად უკვდავი არავინაა. ასეთი დადამიანებიც ადრე თუ გვიან ტოვებენ ამ ქვეყანას. მაგრამ, საბედნიეროდ, რჩება მათი ნაღვანი და ხსოვნა, როგორც ადამიანის ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოვრების ნიმუში და როგორც მისაბაძი მაგალითი მომავალი თაობებისთვის.

**თეიმურაზ მთიბელაშვილი**  
**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა**  
**აკადემიის სახელით**

## ქვეყანას დააკლდა კიდევ ერთი მოაზაბა

2023 წლის 4 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე, როცა 77 წლის შესრულებას აკლდა სულ რაღაც ერთი თვე და ცხრა დღე, შეწყდა პროფესორ მიხეილ მახარაძის გულისცემა და ამით დასრულდა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. გარდაცვალებასთან დაკავშირებით თვითონ ნათქვამი აქვს: ნებისმიერი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლა, ეს იქნება მოხუცებული თუ ახალგაზრდა, გულსატკენია, მაგრამ გაცილებით სამწუხაროა ახალგაზრდის წასვლა, რადგან მოხუცებულს თავისი წილი მისია უკვე შესრულებული აქვს, თავისი შესაძლებლობები გამოავლინა, რაც შეეძლო თავის ქვეყანას და ერს უკვე მისცა, ამით თავისი ვალი მოიხადა და შესაბამისი კვალი დატოვა. ხოლო ამას ვერ ვიტყვით მოზარდზე, მას უამრავი შესაძლებლობები გამოუვლენელი და გაუმჟღავნებელი რჩება, ამასთან ერთად, თითოეულის სახით ხომ შეიძლება დიდი მოღვაწე და მამულიშვილი იკარგებოდეს. ამიტომაც მოზარდის გარდაცვალება, როგორც პიროვნულად ისე საქვეყნო თვალსაზრისით, სამწუხაროა ორმაგად. არ შეიძლება არ დაეთანხმო მის ნათქვამს. ყოველი ჩვენგან წასული მოზარდი ხომ შეიძლება ის ყრმა, ქვეყნის გადამრჩენელი, მომავალი ის გმირი იყოს, რომელსაც ნატრობდა და ეძებდა დიდი ილია ბაზალეთის ტბის ძირში?! ამასთან დაკავშირებით აქვს რუსთაველს ნათქვამი, რომ „რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულიაო“. ადამიანის მოვალეობაა იღვანოს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში შექმნას და მისცეს ქვეყანას, ამით გამოაჩინოს და დაიმკვიდროს საკუთარი თავი, მისი ნაღვანი მისეულია, თავად იგია და მისი წარმომჩენია, რითაც ამ ქვეყნად ტოვებს კვალს, სხვა მხრივ არაფრისმქმნელი და დაკარგულია თავის არაფრისმქმნიანად.

ნათქვამიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა მიხეილმა გარკვეულ ასაკს მიაღწია და თავისი ღვაწლით მრავალმხრივი დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ მისი ამქვეყნიდან წასვლა მაინც ორმაგად გულსატკენია, ჯერ ერთი, პიროვნული თვალსაზრისით და მეორეც, რადგან მას უნარი შესწევდა, მუშაობდა და ჩაფიქრებული ჰქონდა სხვადასხვა შრომების გამოცემა და თავისი ნაღვანის კიდევ უფრო გამრავალფეროვნება. ის ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დახარჯული, არ ჰქონდა ბოლომდე ამონაწერი თავის შესაძლებლობები და ქვეყნისა და ერისათვის კვლავ ბევრის გაკეთება და

ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ადამიანები ხომ თავს ამით ინუგეშებენ: „რას ვიზამთ, ყოველივე ეს უფლის ნებაა“. ეს გამოთქმა ჩვენს შემთხვევაშიც ძალაში რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ მიხეილის შესახებ ბევრია თქმული და დანერვილი მის საიუბილეო სამოცი და სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულებში, ასევე სხვა პერიოდულ გამოცემებში და მომავალში კიდევ ბევრი ითქმება. ამ ნაწერში შევეხები ბატონ მიხეილის მხოლოდ პიროვნებას და მის პიროვნულ თვისებებს და არა მის მრავალმხრივ, მრავალფეროვან, მდიდარ მემკვიდრეობას და ღვანლს ფილოსოფიაში, პუბლიცისტიკაში, მწერლობაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ესენი ცალკე თემებია და თავის მხრივ ცალკე განხილვას და გააზრებას მოითხოვს. მისი თითოეული ეს მხარე ცალკე განსჯის საგანია, რითაც მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული აზროვნების ისტორიაში. ამასთანავე ამ ნაწერის მიზანია არა მხოლოდ მისი პიროვნების წარმოჩენა და მისი სახელის უკვდავყოფა, არამედ თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისათვის მაგალითად იმის ჩვენება, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი მამულიშვილი.

პედაგოგის – ქაზიმ მახარაძის (1925-1949) ოჯახში დაბადებულ 3 წლის მიხეილს. მამა 24 წლის ასაკში გარდაეცვალა და ობოლი ბიჭი ბაბუამ იწუს მახარაძემ გაზარდა. იგი სწავლობდა ჯერ ფაჩხის რვანლიან სკოლაში, ხოლო ამის შემდეგ 1964 წელს დაამთავრა ყინჩაურის საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, ფილოსოფიის სპეციალობით, ხოლო მისმა შემდგომმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ განაპირობა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრება 1979 წელს გერმანული ენის განხრით.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აკადემიკოს შალვა ხიდაშელის ლექციებიდან, მ. მახარაძე თავიდანვე დაინტერესდა ქართული ფილოსოფიით. ამ სფეროში ბატონ შალვას ხელმძღვანელობით ჯერ მოამზადა საკურსო, ხოლო შემდგომ სადოქტორო შრომაც ქართულ ფილოსოფიაში მისივე ხელმძღვანელობით დაიცვა. ბატონ შალვას მხედველობიდან არ გამოპარვია, მონდომებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, ამიტომ, რომ იტყვიან ხელიდან არ გაუშვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში თავისივე



განყოფილებაში წაიყვანა სამუშაოდ. ბოლომდე მიიყვანა მისი წრთვნა და დაკვალიანება, რის შემდეგაც მისივე ხელმძღვანელობით ღირსეული მასწავლებლის ღირსეულმა შეგირდმა წარმატებით დაიცვა 1978 წელს ჯერ საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პირველ მიზეზის პრობლემა ნეოპლატონიზმსა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში“, ხოლო შემდეგ 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია „არეოპაგატიკის ფილოსოფიური შინაარსი“ და ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი ნიჭიერი, კვალიფიციური ფილოსოფოსი.

სავლე წერეთლის სახელობის (ინსტიტუტს ეს სახელი შემდგომ 1977 წელს მიენიჭა) ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში ბატონ მიხეილმა განვლო უმცროსი, შესაბამისად უფროსი მეცნიერმუშაკის საფეხურები და აკადემიკოს შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ 1994-2006 წლებში ამ განყოფილებას თავადვე ხელმძღვანელობდა. 2007-2011 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ჟურნალ „მაცნეს“, ფილოსოფიის სერიის მთავარი რედაქტორი, ამასთანავე იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1992-2006 წლებში მ. მახარაძე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს წევრი და 2000-2006 წლებში ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. ათეული წლების განმავლობაში მ. მახარაძე ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრარულ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. ხოლო 2013 წლიდან გარდაცვალებამდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის პროგრამულ მიმართულებას. იყო არაერთი ასპირანტისა და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ფილოსოფიის დარგში მისი ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები იყო: ქართული ფილოსოფიის ისტორია, ქართული რენესანსის პრობლემები, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები, შუა საუკუნეების ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია. შედეგად დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს მისი დაულალავი ნაღვანის 11 მონოგრაფია, 6 ფი-

ლოსოფიური კრებული და სახელმძღვანელო, ასევე 107 სამეცნიერო შრომა და სტატია. ეს მხოლოდ სამეცნიერო მიმართულებით ფილოსოფიის დარგში, ხოლო სხვა მიმართულებით ის კიდევ სხვაა, რაც სულ 34 წიგნს ითვლის,

ცნობილია, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ჩაუყარა და დაამკვიდრა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ, ეს საქმე გააგრძელა, განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა აკადემიკოსმა შალვა ხიდაშელმა, ხოლო თავისი შრომებითა და მისივე ორგანიზებით გამოცემულ „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულით პროფესორმა მ. მახარაძემ დიდი მასწავლებლების ნაღვანს საბოლოო, დასრულებული სახე მისცა, რაც არის ქართული სულიერი კულტურის დიდი შენაძენი და მამულისწილური საქმე. აღნიშნული ოთხტომეული არის ქართული ფილოსოფიური აზრის კვლევის გვირგვინი, სადაც საფუძვლიანად და პროფესიონალურადაა გააზრებული ჩვენი ეროვნული ფილოსოფიური აზროვნების 15 საუკუნოვანი დღემდე განვლილი გზა, რაზედაც წერილობითი საბუთებით ხელი მიგვიწვდება, ხოლო მის წინ, თუ რა გვექონდა, ამაზე საყრდენი მასალა არ გაგვაჩნია.

აღნიშნული ქმედებით და შესაბამისად, თავისი სამეცნიერო ღვაწლით პროფ. მ. მახარაძემ დამსახურებულად დაიკავა ადგილი თავისი ღირსეული დიდი მასწავლებლების და მამულისწილების გვერდით, როგორც მათმა, ასევე ღირსეულმა მოსწავლემ და მათი დიდი საქმის უზადო გამგრძელებელმა. ამასთან დაკავშირებით აქვე არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აღნიშნული ოთხტომეულის მომზადების ინიციატორი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე. ეს მამულისწილური საქმე, რაც თავად ბატონ მიხეილს ჩემთან აქვს ნათქვამი, ასე დაიწყო: ერთხელ აკადემიაში ბატონ ანდროსთან სხვა საქმეზე ვიყავიო, კერძო საუბარში მან წყენა და სამდურავი გამოხატა ფილოსოფიის ინსტიტუტის მისამართით და აღნიშნაო: ფილოსოფიის ინსტიტუტი არაფერს არ აკეთებს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და ტომების სახით ერთ მთლიან სისტემად წარმოდგენისათვის, ანუ მისი აკადემიურად მეცნიერული ჩამოყალიბებისთვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭიროა. ამ დროს ბატონ მიხეილს თავდაჯერებით და თამამად უთქვამს „ის კაცი რომელსაც ამ საქმის ორგანიზება შეუძლიაო ამჟამად თქვენს წინაშე ზისო“. ასე და-

ივალა და აქედან დაიწყო ამ ოთხტომეულის მომზადება ბატონ მიხეილის ორგანიზებით. როგორც სჩვეოდა მან მიცემული სიტყვა საქმედ აქცია. მისი დაუღალავი შრომის და დაუზოგავი ენერჯის წყალობით დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისა და სიამაყის უტყუარი საბუთი.

პროფესორ მიხეილ მახარაძის შრომები გარდა ქართულისა, გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და უკრაინულ ენებზე. მათ შორის ისეთ პრესტიჟულ გამოცემაში, როგორიცაა სამსაუკუნოვანი „ბრილი“/აშშ/ (2002 და 2004), აგრეთვე ნიუ-ორკის ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოცემაში. მისი შრომები ინახება აშშ-ის კონგრესის, კოლუმბიისა და ჰიუსტონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში.

ამასთანავე მ. მახარაძე თავად ბუნებით მწერალი იყო. იგი თავისი მოთხრობების, ნოველების და მხატვრული ჩანახატების საფუძველზე 1993 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია, ხოლო ამ მხრივ მას გამოცემული აქვს ათი წიგნი, რომლებიდანაც განსაკუთრებით ორი გამოიკვეთა, კერძოდ, წიგნმა „ავანტიურა აჭარის სახელით“. 2004 წელს მიიღო ლიტერატურის დარგში სახელმწიფო პრემია, ხოლო წიგნი „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა“, 2009 წელს აღინიშნა შალვა ნუცუბიძის პრემიით. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობის და შინაარსის მქონეა მხატვრული ფორმით (რაც მანამდე არავის გაუკეთებია) მის მიერ დაწერილი წიგნი „ფილოსოფია მოზარდთათვის“, რომელიც ოთხჯერ გამოიცა (2001, 2002, 2003, 2020), და მიზნად ისახავს ფილოსოფიის პოპულარიზაციასთან ერთად, აზროვნების ამ უმაღლესი ფორმის დარგით, მოზარდი თაობის დაინტერესებას, რაც ქართული ეროვნული გონის განვითარებაზე ზრუნვას წარმოადგენს. ასევე მახსოვს ათეული წლის წინ მან სცადა და დაიწყო ვრცელი რომანის წერა, მისი ნაწილი წამიკითხა და ისეთ მაღალ მხატვრულ და მიმზიდველ დონეზე იყო მოთხრობილი, რომ ის მეხსიერებაში დამრჩა. ერთხელ იმ მონათხრობიდან ერთი ამბავი, როგორც ნამდვილი, მეხსიერებაში უნებლიედ ამომიტივიტივდა და დავფიქრდი, თუ სად და როდის მოხდა იგი, და ფიქრებმა გამახსენა, რომ იგი ნამდვილი კი არა მ. მახარაძის ნაწერიდან მომდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რომანის ძირითადი ნაწილი დაწერილი ჰქონდა და მის დასრულებას ბევრი არ აკლდა, მას ეს რომანი აღარ გაუგრძელებია, თუმცა კარგა ხანის გასვლის შემდეგ თქვა, რომ უნდა ვცადო დასრუ-

ლებო, მაგრამ აღარ უცდია. რადგან ჯერ ერთი ამისთვის მას დრო აღარ ჰქონდა და მეორეც ის ძალიან თავშეკავებული იყო, ფრთხილობდა, არ რისკავდა და ამიტომაც რომანთან შეჭიდება ვეღარ გაბედა, თუმცა უნდა ითქვას, ნაბიჯი ამ მხრივაც რომ გადაედგა, როგორც ყველა მის ნამუშევარში, აქაც უსათუოდ წარმატება ექნებოდა და ქართულ რომანტიზმს შეემატებოდა, ჩვენი დროის კიდევ ერთი კარგი რომანი.

მწერლობასთან ერთად მ. მახარაძე იყო შესანიშნავი მთარგმნელი. მის კალამს ეკუთვნის ლოსევის, სოლოვიოვის, მ. მამარდაშვილის ა. მენის და სხვათა ნააზრევის უზადო თარგმანები, რომლებიც კარგი შენაძენია ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისა და მან ამით გაამდიდრა მშობლიურ ენაზე ფილოსოფიური სააზროვნო არეალი.

მ. მახარაძის სულიერ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ლიტერატურას და ხელოვნებას. ამ მხრივ გარდა ფილოსოფიური ლიტერატურისა არ არსებობს შემთხვევა, რომ გამოსულიყოს რაიმე ღირსშესანიშნავი წიგნი, საეტაპო კინოფილმი, ან ყოფილიყო თეატრალური წარმოდგენა და სხვა რამ, რომ ის არ გამოხმაურებოდა, ასეთ წარმატებებს და წერილობით პრესაში არ აღენიშნა. მის მემკვიდრეობაში ამ მიმართულებით წერილები უხვადაა, ამ მხრივ მის ნაწერებში ასევე შევხვდებით წერილებს უცხოელ მწერლებზე და მათ ნაწარმოებებზე. ესენია: თომას მანი, ჰალდუნ თანერი, მაქს ფრიში და სხვანი. აქვე უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული და სახარბიელო უნარი ნაწერის კორექტურასთან და რედაქტირებასთან დაკავშირებით. იგი უცხო ნაწერს კითხულობდა და კითხვის პროცესში უმაღლ, შეუჩერებლად, თითქოს დაფიქრების გარეშე აკეთებდა ტექსტში ჩასწორებებს, თანაც ეს ჩასწორებები იყო ზუსტი, უნაკლო და ამომწურავი. შედეგად ვლტულობდით სრულყოფილ ტექსტს, რომელსაც აღარც რაიმე ჰქონდა მოსაკლებელი და აღარც მისამატებელი და თუ მაინც იყო ეს საჭირო, იქვე კითხვის მსვლელობაში მიუთითებდა. მისი ეს საოცარი უნარი მნახველში უსიტყვოდ გაკვირვებას იწვევდა. თავის მხრივ ამ უნარმაც განაპირობა მისი მრავალმხრივი ნააზრევის და ასევე მის ხელში გავლილი სხვათა ნაწერის ხელხვაიანობა. ამ მხრივ მისი რედაქტირებით გამოცემულია არა ერთი ღირებული წიგნი, რაც შემატა ქართული ფილოსოფიური აზროვნების საგანძურს. ამას მივუმატოთ რედაქტირებულ წიგნებზე დაწერილი მისივე შესავალი წერილები,

ასევე სხვათა წიგნებზე დაწერილი უამრავი რეცენზიები, რაც მის ამ განსაკუთრებულ უნარს უფრო მეტყველს ხდის.

ყოველივე ამასთან ერთად მ. მახარაძე იყო ქართული სპორტის დიდი გულშემატკივარი. კარგად იცოდა თითოეული წარმატებული სპორტსმენის განვლილი გზა და ძალიან ამაყობდა მათი მიღწევებით. თუმცა ისიც უნდ ითქვას, რომ მისი სპორტისადმი ინტერესის არეალი საქართველოთი არ იფარგლებოდა და მოიცავდა მსოფლიო სპორტულ მიღწევებს, თავად თვითონ კი კარგად თამაშობდა ჭადრაკს და მოხდენილად კალათბურთს.

მ. მახარაძე მრავალმხრივი მოაზროვნე და მოღვაწე პიროვნება იყო. ამ მხრივ პუბლიცისტიკაშიც გამოირჩეოდა. მას ყოველთვის ქვეყნის მაჯისცემაზე ედო ხელი და მიმდინარე მოვლენებს თავისი პოზიციებიდან ეხმაურებოდა და თავის აზრს გამოთქვამდა. მახსოვს როგორ მწვავედ განიცდიდა და გამოხატავდა თავის აზრს უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ბიბლიოთეკის გადატანას. მისთვის და არა მარტო მისთვის, არამედ საზოგადოდ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისათვის და საზოგადოების სხვა წევრებისთვის, ის ბიბლიოთეკა მხოლოდ განათლების კერა კი არ იყო, არამედ ის იყო ქალაქის ცენტრში, თავდაპირველი უნივერსიტეტის შენობის არეალში შეხვედრების, თავმჯყრის, აზრთა ურთიერთ გაზიარების, სტუდენტობის პერიოდის გახსენების ჩვეული ადგილი. ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორებულია და მართალია, ბიბლიოთეკა მაღლივი შენობის ტერიტორიაზეა გადატანილი, მაგრამ ამჟამად უნივერსიტეტის რემონტის შემდეგ, პირველ კორპუსში კვლავ აღდგენილია თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით ფართო სამკითხველო დარბაზი, უნდა ვიფიქროთ რომ ამ საქმეში თავისდროზე მ. მახარაძის მიერ გამოთქმულ აზრსაც მიუძღვის გარკვეული როლი.

მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურა და გაამძაფრა მშობლიურ კუთხეში – აჭარაში მიმდინარე მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო რელიგიის საკითხებთან, პროვინციული აზროვნების და სეპარატიზმის ცალკეულ გამოვლინებებთან, რასაც მიუძღვნა უამრავი სტატია და წერილი, რომლებიც პერიოდულად გამოიცა მის პუბლიცისტურ კრებულებში.

ქვეყნის სიყვარულმა და თავის კუთხეზე ზრუნვამ მოურიდებლად აალებინა კალამი და მწარედ დაუპირისპირდა იმ პერიოდის ად-

გილობრივ ხელისუფლებას. იმჟამინდელ თავგადადებულ ბრძოლებში მან ჯამრთელობა დაკარგა და დიაბეტი შეიძინა, რაც თავის მხრივ ბატონი მიხეილის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის ერთ-ერთ ფაქტორად იქცა. ამავე დროს აღნიშნული ბრძოლის უარყოფითმა შედეგმა მისი დაკრძალვის დროსაც იჩინა თავი. უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ ჯამში მისი პუბლიცისტური ნამოღვაწარი პუბლიცისტური კრებულების გარდა 500-მდე წერილს ითვლის.

სიტყვა „ხუთასი“ სათქმელად თითქოს ადვილია, მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ მათ დაწერაზე დახარჯული დრო, ენერგია და შედეგად წარმოქმნილი უკურეაქციის ტალღა და ამასთან გამკლავება, რაც ადვილი არ არის, ძალზედ ძნელია, რამაც, როგორც უკვე აღინიშნა მისი ჯამრთელობა შეიწირა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მ. მახარაძე მაღალი დონის პუბლიცისტია. მისი ნიშანდობლივი თვისება იყო ის, რომ პოლემიკაში მასთან პიროვნული ღიზება ხელშეუხებელი რჩებოდა. ამ მხრივ მის მრავალ კრიტიკულ წერილში, თუ გამოსვლაში არ მოიძებნება თუნდაც ერთი სიტყვა, რომელიც მოწინააღმდეგის ღიზებას ლახავს, რაც მოკამათის მაღალი კულტურის გამოვლენაა და მის კაცთმოყვარეობაზე მეტყველებს. ხოლო პუბლიცისტური მოღვაწეობა იქცა პოლიტიკაში მისი წასვლის საფუძვლად. მ. მახარაძე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე, 2004-2008 წლებში (პირველი მოწვევა) და 2008-2012 წლებში (მეორე მოწვევა). ამ თანამდებობაზე მისი მიზანი იყო ისეთი კანონების მიღება, რომელიც იურიდიულ საფუძველს გამოაცლიდა სეპარატიზმის ყოველგვარ მცდელობას. ასევე იგი იყო V და VIII მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრიც.

მ. მახარაძის პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდიდან აღსანიშნავია მისი მონაწილეობა 2007 წლის 13-15 სექტემბერს ქალაქ სტრასბურგში გამართულ ევროპის რეგიონალური ასამბლეის სესიაში, სადაც 13 სექტემბერს გამოვიდა მოხსენებით – „რეგიონალური დემოკრატია აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე“. მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა პოლონეთის დელეგაციის წევრმა.

2008 წელს მ. მახარაძის ხელმძღვანელობით აჭარის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქ. ვარნაში შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონფერენციაში. კონფერენციაზე ოფიციალურად დაფუძ-

ნდა „შავი ზღვის ევრო რეგიონი“ და 28 სექტემბერს ხელი მოეწერა ორგანიზაციის დეკლარაციას. მ. მახარაძე კი აირჩიეს ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად, მას ეს პოსტი ეკავა 4 წლის განმავლობაში. ყველგან სადაც კი იმყოფებოდა ყოველთვის თან დაჰყვებოდა ქვეყანაზე ზრუნვის ფიქრი.

მისი კეთილსინდისიერი და მაღალი ეროვნული პასუხისმგებლობით განსაზღვრული სახელმწიფო მოღვაწეობა აღინიშნა დამსახურებული ჯილდოებით:

1. 2004 წლის 16 ივნისს – ღირსების ორდენით;
2. 2007 წლის 20 ივლისს – ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით;
3. 2012 წლის 3 დეკემბერს – ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით;

ამასთან ერთად პატრიარქისგან საჩუქრად მიღებული აქვს ძონით შემკული ჯვარი.

ეს რაც შეეხება მის სახელმწიფო მოღვაწეობით მიღებულ ჯილდოებს, ხოლო ასევე მისი ინტელექტუალური მოღვაწეობის საფუძველზე მიღებული და დამსახურებული ლიტერატურული და სამეცნიერო პრემიები, საპატიო წოდება და ჯილდოები შემდეგია:

1. 2004 წ. 30 დეკემბერი – სახელმწიფო პრემია ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში. (პუბლიცისტიკა);
2. 2006 წ. – თავდაცვის აკადემიის საპატიო დოქტორი;
3. 2009 წ. – აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია ფილოსოფიის დარგში;
4. 2011 წ. – ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში;
5. 2019 წ. – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის, მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით იუნესკოს მიერ დაწესებული საპატიო სიგელი;

ქვეყნისა და ერის წინაშე პროფესორ მიხეილ მახარაძის ღვაწლი მარტო ინტელექტუალური მოღვაწეობით არ ამოიწურება. ჩვენი ერის ეთნიკურად შეჭირვების უამსაც იგი შეეხიდა ქვეყანას და მისცა ოთხი შვილი და ცხრა შვილიშვილი. იგი ამ მიმართებითაც მოგვევლინა და წარმოჩინა განსაკუთრებულ და სანიმუშო პიროვნებად.

ბატონი მიხეილის ამ ქვეყნიდან წასვლით, იგი დააკლდა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას, როგორც მისი დაუცხრომელი მკვლევარი, წარმომჩენი და პირუთვნელი შემფასებელი, როგორც უკ-

ვე ითქვა, იგი იყო მრავალმხრივი მოაზროვნე და მოღვაწე, გამორჩეული, წარმატებული და ხელუხვი ფილოსოფოსი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ქართული მრავალმხრივი კულტურის მოტრფიალე, მისი წარმომადგენლების დამფასებელი და სიამაყის გრძნობით მათი შემფასებელი. ამასთანავე იგი იყო ახალგაზრდების მხრიდან სიყვარულით და პატივისცემით გარემოსილი, გამორჩეული ლექტორი და მათი აღმზრდელი-პედაგოგი. ასევე გამორჩეული იყო პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც. ეს აჩვენა საერთოდ მისმა პოლიტიკაში ყოფნამ, კერძოდ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარედ მისმა რვა წლიანმა მუშაობამ. როგორც ყოველთვის ამ პერიოდშიც იყო უბრალო, თავმდაბალი, ყველას მიმართ გულისხმიერი და ყურადღებიანი. აღნიშნულ თანამდებობაზე, როგორც მშვიდად და უქონლად მივიდა, ასევე მშვიდად, უხმოდ და უქონლად წამოვიდა იქიდან. მასთან მატერიალური ფასეულობები ყოველთვის უკანა რიგში იდგა. მ. მახარაძე თავისი მშვიდი ბუნებიდან და კეთილგანწყობილი ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის ნყნარ, მშვიდ გარემოს ქმნიდა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც ეს მხარე აშკარად ნათლად წარმოჩინდა. იგი თავისი ქმედებებით პოლიტიკაშიც მაღალ კულტურას, ზნეობას და ინტელექტს ამკვიდრებდა. ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია დაძაბულობას, მით უმეტეს აგრესიას და ურთიერთობებს მშვიდ ვითარებაში წარმართავდა, რაც მისი შინაგანი უებარი თვისება იყო. როგორც სტუდენტობის პერიოდში ურთიერთობაში საფერებელი „მიშიკო“ იყო, ასეთივედ დარჩა დიდი მიღწევების პერიოდშიც: მომლიმარი, უბრალო და უშუალო.

ამასთანავე ამ ქვეყნიდან მიხეილ მახარაძის წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა არა მარტო ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, არამედ ამ დარგში მომუშავე ყველა მოაზროვნემ, რადგან იგი იყო ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდების გვერდში მდგომი, ერთგული, საიმედო მრჩეველი და დამაკვალიანებელი. გარდა ამისა, განურჩევლად ასაკისა და დამოკიდებულებისა, მანამდე უკვე გარდაცვლილმა კოლეგებმა და საქართველოს ღირსეულმა შვილებმა მ. მახარაძის სახით დაკარგეს მათზე მზრუნველი, მათი ნააზრვეის და ღვანლის ღირსეულად წარმომჩენი, დამფასებელი, შეუდარებელი პიროვნება. ამ მხრივაცაა მ. მახარაძე გამორჩეული. იგი იყო თითოეული მათგანის ჭირისუფალი. მათი ღვანლის წარმოჩენისათვის მას არ დაუ-



შურებია არც დრო და არც ენერგია, დაწყებული ძველი პერიოდიდან, დამთავრებული საკუთარი პედაგოგებით, კოლეგებით და თანამედროვენიტ. იგი იყო ყველას მიმართ პირუთენელი მზრუნველი და მოჭირნახულე, რათა შთამომავლობას შეუმღვრევლად გადასცემოდა მათი ღვაწლი და ამაგი.

გარდასულ პირებზე მ. მახარაძის ნაშრომებში არა მარტო მათი ღვაწლის წარმოჩენაა, არამედ მათი გულთბილი, გულითადი მოფერებაცაა, რასაც მკითხველი აშკარად გრძნობს და ხედავს, რაც მისი კაცთმოყვარე ბუნებიდან მომდინარეობს. მისი ეს თვისება ვლინდებოდა როგორც მის ურთიერთობაში, ისე მის ნაწერებში.

ამ მხრივ გამოკვლევები და წერილები დაწერილი აქვს: პეტრე იბერზე, იოანე პეტრინზე, აბუსერისძე ტბელზე, ჟამთა აღმწერელზე, ს. დოდაშვილზე, გ. ქიქოძეზე, ი. გოგებაშვილზე, ნ. მარზე, ივ. ჯავახიშვილზე, შ. ნუცუბიძეზე, მ. გოგიბერიძეზე, კ. ბაქრაძეზე, ს. წერეთელზე, შ. ხიდაშელზე, ზ. კაკაბაძეზე, მ. მამარდაშვილზე, ა. ვაჩიშვილზე, ო. ჯიოითზე, გ. თევზაძეზე და სხვა. მთლიანობაში ეს შეადგენს 40-მდე მოღვაწეზე გამოქვეყნებულ 60-ზე მეტ სამეცნიერო სტატიას თუ წერილს. ამ მიმართებით ბატონ მ. მახარაძის მსგავსი ჩვენ სინამდვილეში არ არსებობს, რაც მის კეთილბუნებოვნებიდან მომდინარეობს და საქვეყნო საქმეს ემსახურება.

ამასთანავე მას ეკუთვნის წერილები შოთა რუსთაველზე, დავით კლდიაშვილზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, ფრიდონ ხალვაშზე, ზურაბ გორგილაძეზე, ჯემალ ქათამაძეზე, ელენე კავლელაშვილზე და სხვა.

მასში სხვა სანიმუშო და მისაბაძ თვისებებთან ერთად გამორჩეული ადგილი ეკავა მადლიერების გრძნობას. ეს გრძნობა დღე-ნიადაგ ყოველთვის თან დაყვებოდა და გამოხატავდა წერილობით თუ სიტყვიერ საუბარში. ამ კუთხით, სტუდენტობის პირველივე დღეებიდან ცხოვრების ბოლომდე, სხვებზე, მის მასწავლებლებზე, მეგობრებზე და ახლობლებზე, რომ არაფერი ვთქვათ, გამორჩეული ადგილი უკავია მის ბიძაშვილს, ამჟამად გადამდგარ პოლიციის პოლკოვნიკ რეზო მახარაძეს, რომელიც მასზე სულ რაღაც ექვსი წლით უფროსია, მისი რჩევით და დაჟინებული მოთხოვნით მოხდა მ. მახარაძის, თავისთავთან მარტოდ დარჩენილი, ამ ობოლი, ეკონომიურად გაჭირვებული ბიჭის, სკოლის დამთავრების შემდეგ, სოფლიდან სასწავლებლად თბი-

ლისში წამოსვლა, მისი კატეგორიული მოთხოვნა იყო: „შენ აუცილებლად სწავლა უნდა გააგრძელო თბილისში“. მან უცილობლად დაინახა ახალგაზრდა ბიძაშვილში ის შესაძლებლობა, ნიჭი და უნარი, რაც შემდეგ გამოვლინდა და მისი რეალიზებისაკენ მოუწოდა. თუ არა ბატონი რეზო, მ. მახარაძე ჩვეულებრივ რიგით ადამიანად დარჩებოდა. ასე, რომ ამ თავალსაზრისით თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. მ. მახარაძე, როგორც მოაზროვნე და მოღვაწე მამულიშვილი ბატონმა რეზომ აჩუქა ქვეყანას. სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე და შემდგომ პერიოდშიც თავად ხელმოკლე სოფლის სკოლის დამწყები პედაგოგი, ბატონი რეზო ეკონომიკურად და ფინანსურად მუდამ მხარში ედგა მას. იგი იყო მ. მახარაძის იმედი და სტიმულის მიმცემი, რის გამოც ბუნებით ლალ მიშას უცხო თვალი გაჭირვებას ვერ შეატყობდა. ამასთანავე თავისი ლალი, იუმორით აღსავსე და მხიარული ბუნებიდან გამომდინარე მიშას თავი ისე ეჭირა, რომ სხვის თვალისთვის მისი ობლობა და გაჭირვება შეუმჩნეველი რჩებოდა. მასსოვს დაუფინყარი ასეთი ფაქტი: 1965 წელია, პირველი სემესტრი, უნივერსიტეტის სტუდენტობის დასაწყისი. ერთ დღეს უნივერსიტეტში მოვიდა თავის ასაკთან შედარებით მეტად სერიოზული ახალგაზრდა, ეს აღმოჩნდა რეზო. მოკლე საუბრისას და მოკითხვის შემდეგ, რადგან ლექციების შუალედის გამო მეტი დრო არ იყო, რეზომ ჯიბიდან ამოიღო ფაქიზად შენახული გატაკინებული სამი ბილეთი და გვითხრა, დღეს საღამოს ოპერაში გეპატიჟებით და იცოდეთო. მაშინ რეზოს მეშვეობით პირველად ვნახეთ ოპერის შენობის ინტერიერი და პირველად მოვისმინეთ ოპერა, რამაც ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და რეზოს ყურადღება და პატივისცემა განსაკუთრებულ და დაუფინყარ შემთხვევად დარჩა მთელი ცხოვრების მანძილზე. ბატონმა რეზომ არამარტო ოპერა გვაჩვენა და გვაზიარა ოპერის მოსმენას, არამედ ამასთანავე ამით მიგვითითა იმაზე, თუ რა ღირებულებებზე უნდა გვეფიქრა და ნაგვემართა ჩვენი ყურადღება.

ბატონი რეზო, მ. მახარაძის ცხოვრებაში მშობლის როლს ასრულებდა და ღირსეულ მშობლობას უწევდა. შესაბამისად, მიშას შინაგან სამყაროში ბატონ რეზოს მშობლის ადგილი ეკავა და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი და პატივისმცემელი დარჩა. ამის გამოვლენა იყო ის, რომ სტუდენტობიდან დაწყებული ყოველ სუფრაზე მიშას, როგორც ცოცხალი მშობლის, რეზოს სადღეგრძელო ისმეოდა.

ბატონმა რეზომ შვილივით გაზრდილ, ანუ იგივე უმცროსი ძმის, მიმას ორმოცზე, რომელიც ჩვენდა გასაკვირად მისივე დაბადების დღეს დაემთხვა, მწუხარება და გულისტკივილი თვალცრემლიანმა ამ სიტყვებით გამოხატა: „ მე ძალიან ნაწყენი ვარ მიხაზეო (ასე უწოდებდნენ შინაურობაში) მთელი ცხოვრება მიჯერებდა, ხოლო ახლა ვეუბნებოდი გულის ოპერაცია არ გაიკეთოო, მაგრამ არ დამიჯერა. მას მე უნდა გავეცილებინე და არა მე გამეცილებინა“. ვერაფერს იტყვი. ეს არის რეალობიდან გამომდინარე შინაგანი მწვავე განცდებით გამოწვეული ნაღვლიანი სიტყვები, რომელ რეალობის წინაშეც ადამიანი უძლურია.

თავად ბუნებით ისედაც კეთილ ახალგაზრდაში მისდამი განეულ ყოველ კეთილ ქმედებას უკვალოდ და უყურადღებოდ არ ჩაუვლია. მათ დიდი როლი შეასრულეს, როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ისე სულიერად და ზნეობრივად მ. მახარაძის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ეს კეთილი ქმედებები კიდევ უფრო აღვივებდა და აძლიერებდა მასში კეთილისმყოფელობის გრძნობას და ქმედებას. მასში მისდამი ყოველ კეთილ ქმედებას, თუნდაც უმნიშვნელოს, ყოველთვის თავისი ადგილი ჰქონდა და დავიწყებას არასოდეს მისცემია. შესაბამისად იგი კეთილისმყოფელ პიროვნებად ჩამოყალიბდა და თავის მხრივ ყოველთვის მზად იყო დაუზარებლად და უშურველად, სტუდენტობიდან დანებებული, თავისი ცხოვრების ყველა დონეზე და საფეხურზე შესაძლებლობის ფარგლებში, სიკეთის კეთებისათვის, განურჩევლად ადამიანებისა, იქნებოდნენ ესენი ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობები. მისმა განვლილმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ, სრულიად განსხვავებულად, ამაღლევენლად, სხვა კუთხით და სხვა მნიშვნელობით აგრძნობინა, განაცდევინა და დაანახა სიკეთის ქმედების არსი, როლი და დანიშნულება ადამიანთა თანაცხოვრებაში ანუ საზოგადოებაში, რომელსაც ვერცერთ ეთიკის სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავ, ეს იყო მხოლოდ მისი, მისეული განცდა და წარმოდგენა სიკეთეზე და სიკეთის ქმედებაზე. აქვე არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ თვით სტუდენტობის პერიოდიდან დანებებული, არ იტყოდა იმას რაც არ შეეძლო და თუ იტყოდა და დაგპირდებოდა იგი იმას აუცილებლად გააკეთებდა. ამასთანავე ამორიცხული იყო დანაპირების დავიწყება. მისთვის ყალბი სიტყვა, გულისმოგება და ტყუილი უცხო რამ იყო. სიკეთის კეთება საკუთარი

არც თუ დიდი ფართის ბინიდან იწყებოდა და გრძელდებოდა მის გარეთ, საზოგადოებრივ ასპარეზზე. კერძოდ ერთი შეხედვით მისი ბინა უფასო სასტუმრო გეგონებოდათ. ოთხშვილიან ოჯახს, ხშირად სტუმრობდნენ რაიონიდან ჩამოსული ნათესავები, ნაცნობები და თვით ნაცნობებს მოყოლილი უცნობებიც კი. ყოფილა შემთხვევა, რომ სტუმართა სიჭარბის გამო, თავად მას სამუშაო მაგიდასთან სკამზე ჩაძინებულს გაუთენებია. მიუხედავად ამისა ამის გამო მას არასდროს დაუჩივლია და ვერც რაიმე უკმაყოფილებას შეატყობდით. ამასთან ერთად მისი ბინა სტუდენტთა საცხოვრებელსაც მოგაგონებოდათ, რადგან აქ წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროის მონაცვლეობით ყოველთვის იყვნენ ნათესავი სტუდენტი ახალგაზრდები, რომლებიც აქ აღიზარდნენ, დაფრთიანდნენ, დაკვალიანდნენ და გავიდნენ ცხოვრების ასპარეზზე, როგორც წარმატებული ადამიანები.

მისი მხრიდან სიკეთის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა ისიც იყო, რომ ჩვენი ქვეყნისათვის უცხო და უჩვეულო სამწუხაროდ მომრავლებულ მათხოვრობას მწარედ განიცდიდა და ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა ყოფილიყო მათთადამი ყურადღებას იჩენდა, არ შეეძლო გულგრილად ჩავლა, თუნდაც ავტომანქანაში მჯდომი, როდესაც შუქნიშნის ნითელზე მანქანა გაჩერდებოდა, წესად ქონდა უკან მჯდომი, ჩამოწედა ფანჯრის მინას და იქ მოტრიალე მთხოვნელებს უკლებლივ ასაჩუქრებდა.

მ. მახარაძის კეთილ ბუნებას ზედმიწევნით ესადაგება კოლეგის ანზორ ბრეგაძის სიტყვები, იგი მის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში აღნიშნავს: „გონითი ადამიანი სანთლითაა საძებნი, მე ჩემს კოლეგებში ასეთად მიშა მახარაძე მეგულება. მის ყოფიერებას უმაღლესი გონითი აქტი – სინდისი ანათებს, ქმედებას უანგარობა, სიკეთეს დასთეს და ჩაივლის, მადლობასაც არ მოითხოვს დავალებულისაგან.“

ამასთან დაკავშირებით მიშას სასიხარულოდ და საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ მის შინაგან კეთილ ბუნებას აბსოლუტურად პასუხობდა მეუღლის, ციალა დავითაძის, ამ განონასწორებული, მშვიდი, წყნარი, მომღიმარი სახის ღვთისსიერი ქალბატონის შინაგანი ხასიათი და მრწამსი, რამაც დიდად განსაზღვრა მიშას წარმატებები, რასაც თავად აღნიშნავს ერთ-ერთ წიგნში- „სხალთური ჩანახატები.“ ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ოჯახის შექმნამდე მოკრძალებული მიზნები

მქონდა, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატი თუ გავხდებოდი ეს ჩემთვის უმაღლეს მიღწევად მიმაჩნდა, ოჯახის შექმნის შემდეგ, რასაც მივალწიე და მივალწიე საკმაოდ ბევრს, ამაში უდაოდ არის მეუღლის დიდი წვლილი. მის გარეშე დარწმუნებული ვარ, ამის ნახევარი წარმატებაც არ მექნებოდა.“ მიშამ თავის მხრივ ყველაფერი იღონა მისი ჯამრთელობისა და სიცოცხლისათვის, მაგრამ (უძლური აღმოჩნდა) უფალმა ასე ინება და მას 2019 წელს ჩამოაცილა, მაშინ როცა მისი გვერდში დგომა მანამდე უკვე ჯამრთელობა შერყეულს არანაკლებად სჭირდებოდა. მაშინვე ითქვა, რომ მიშას ახლა უმისობა ძალიან გაუჭირდებო, და მართლაც გაუჭირდა, რაც არ დაუმაღლავს და თავის თავშეკავებულობის მიუხედავად თავად ჩემთან არა ერთხელ გამოუხატავს და შევბას საფლავეზე მისვლაში პოულობდა. უნდა ვიფიქროთ და ვივარაუდოთ, რომ მიშას ციალა კვლავ გვერდით რომ ჰყოლოდა მისი ცხოვრების გზა ასე არ შემოკლდებოდა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს არაჩვეულებრივი, უფრო სწორედ მიშას მხრიდან უჩვეულო ქმედება, რასაც არავინ არსად, არასდროს არ შეხვედრია და რაც არის არა მხოლოდ მეუღლისადმი პატივისცემის, დაფასების და დამოკიდებულების ნიშანი, არამედ საზოგადოდ ქალის აღმატებულობის, ამაღლებულობის შესახებ მიშას ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამოხატულება, კერძოდ მეუღლის, მომღიმარი სახის ქალბატონის საფლავის ქვას აწერია მხოლოდ სახელი „ციალა“, ხოლო ქვემოთ მცირე ჯვარია აღნიშნული და წერია 2019 წელი – გარდაცვალების თარიღი. მნახველი ერთი შეხედვით იფიქრებს, რომ აქ უსათუოდ დაბადების წლის აღნიშვნაა გამოჩენილი. მაგრამ სინამდვილეში ეს შეგნებულადაა გაკეთებული, მიზანმიმართულად, წინასწარ დაფარულია მეუღლის ასაკი და ამით მიგვანიშნებს, რომ ქალის ასაკი არაფერს გვეუბნება და სჭირო არ არის, რადგან იგი თავისი არსით მარად ახალგაზრდაა, ლამაზი, მიმზიდველი, ფაქიზი და სიცოცხლის სათუთი წყაროა. ამ გზით მიშამ თავისი მეუღლის სახით ქალის ზოგად იდეალზე მიგვითითა და მისი დაფასებაზე და პატივისცემაზე მიგვანიშნა, ამაშიც ვლინდება მისი ორიგინალობა და ცალკეულში ზოგადის დანახვის უნარი.

აქვე აუცილებელია ხაზი გაესვას ბატონ მიხეილის პიროვნების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიშანდობლივ მხარეს. კერძოდ არსებობენ მაღალი ინტელექტის მქონე მოაზროვნე ადამიანები, ხოლო ზოგჯერ

ზოგიერთთან მათი მაღალი დონის აზროვნებას და ნაღვანს არ შეესაბამება, ჩამორჩება მათი პიროვნულობა და ხასიათებიან პიროვნული სიმდაბლით. კერძოდ მათთან მაღალ ინტელექტუალურ ნაწერს და ნაღვანს არ პასუხობს მათი პიროვნული ქმედებანი. ისინი ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. სხვებს ერთს მოუწოდებენ, ხოლო თუ დაჭირდათ თვითონ ამის საწინააღმდეგოდ იქცევიან, რუსთაველის პერიფრაზა რომ ვიხმაროთ: მათთან სიტყვა სხვაა საქმე სხვაა შუა უზის დიდი ზღვარი. ასეთ შემთხვევაში ინტელექტუალურ და პიროვნულ დისონანსთან გვაქვს საქმე და მეტად საჩოთირო ვითარებასთან. პირველ მხარეს თუ გონება განსაზღვრავს, მეორე მხარს ზნეობა და ნებელობა. ასეთ შემთხვევაში მაღალი დონის ინტელექტს არ ახლავს შესაბამისი მაღალი დონის ზნეობა და პიროვნების გაორებულიობასთან, გახლეჩასთან გვაქვს საქმე. თუ პირველი მხარის გამო პიროვნება საამაყო და სადიდებელია, მეორე მხარის გამო პირიქით სამარცხვინო და საუხერხულოა. სამწუხაროდ ასეთი ადამიანები არსებობდნენ, როგორც ისტორიულად, ასევე არსებობენ დღესაც. ჩვენდა საამაყოდ და მიშას სადიდებლად უნდა ითქვას, რომ მასთან მისი ინტელექტუალური ნაღვანი სრულ თანხვედრაშია მის პიროვნულობასთან. იგი როგორც მოაზროვნე და მოქმედი ადამიანი ერთი მთლიანი, შეკრული პიროვნებაა. რაც როგორც ითქვა საამაყო, სანაქებო და სადიდებელია. მის ცხოვრებაში სიტყვასა და საქმეს შორის დაცილებულობას, გადახვევას და განსხვავებას ადგილი არ ჰქონია. ამ მხრივაც არის იგი მომავალი თაობისთვის სანიმუშო- მისაბაძი მაგალითი.

მ. მახარაძე ბუნებით იყო დიდი ნებისყოფის, პრობლემის თუ გაჭირვების წინაშე სიმშვიდის, წონასწორობის შენარჩუნების და საჭიროებისამებრ ყურადღების მობილიზაციის მქონე, რასაც ამჟღავნებდა ყველგან და ყოველთვის. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებ ერთ ასეთ შემთხვევას, მისი უფროსი ვაჟი ბექა მცირე წლოვანი იყო, ჯერ სკოლაშიც არ იყო მისული, რომელმაც ეზოში თამაშის დროს მკლავი მოიტეხა. მცირეწლოვანი შვილის ამ მოულოდნელმა მარცხმა ბუნებრივია იგი სამუშაო მაგიდას მოწყვიტა, ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანა, იქ ბავშვს მკლავი თაბაშირში ჩაუსვეს და ერთი დღით დატოვეს, ხოლო თვითონ იქიდან მობრუნებული კვლავ სამუშაო მაგიდას მიუჯდა და ჩვეული სიდინჯით წერა განაგრძო,

რაც ბევრს არ შეუძლია და ასეთი ქმედება იშვიათობას წარმოადგენს.

მიშას პიროვნული სრულყოფილება და სრულფასოვნება მის უშუალოდ ბუნებრივ თანდაყოლილობასთან ერთად, დიდად განსაზღვრა მისმა აღზრდამ. იგი აღიზარდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში და ეს არ გაუკვირდება ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მამით ობოლი, უდედოდ დარჩენილი ბიჭის აღმზრდელი ბაბუა ( მამის მამა) ინუს მახარაძე, ეს საშუალოზე მაღალი სანთელივით ჩამოქნილი, თმა-წვერით მოსილი, ხმადაბლა, მშვიდად მოსაუბრე ბრძენი კაცი. მახსოვს და ის დღეები დაუვინწყრად დარჩა ჩემს პირად ცხოვრებაში. მიშასთან ოჯახში სოფელ ფაჩხაში ჯგუფელების სტუმრად ყოფნის დროს, 1968 წელს მესამე კურსზე ყოფნისას, მაშინ როცა ფილოსოფიური აზროვნების ასპარეზზე უკვე ვფრთიანდებოდით, ჩვენმა ჯგუფელმა, შემდგომ პროფესორმა ან განსვენებულმა ავთანდილ პოპიაშვილმა, მიშას ბაბუას საუბარი გაუმართა რელიგიისა და ეროვნულ საკითხებზე. რწმენით ამ მუსლიმან კაცისაგან მუსლიმანობასა და მართლმადიდებლობის მიმართებასთან და ურთიერთობასთან დაკავშირებით ისეთ საუბარს და პასუხებს ვისმენდით, რომ ამ მხრივ ყოველგვარი უხერხულობის, მითუმეტეს წინააღმდეგობის ზღვარი იშლებოდა, რომ იტყვიან ოქროს შუალედური პოზიცია ეკავა და ამ გადასახედიდან ჭვრეტდა ეროვნულ საკითხებსაც, მიუხედავად მოსაუბრის მცდელობისა, მის საუბარში ვერანაირი აზრობრივი წინააღმდეგობა ვერ დაიჭირა. ჩვენს წინაშე იმყოფებოდა რწმენით მუსლიმანი, ხოლო სისხლით-ხორციით ტრადიციული ქართველი, ოჯახის ბურჯი და წარმართველი ჭარმაგი პიროვნება, რომელიც ჩვენში კრძალვას და პატივისცემას ინვევდა.

აქვე ისიც უნდა ითქვას რომ მიშას აღარ ჰყავდა ღვიძლი ბებია და ზრდიდა ბებიანაცვალი, თუმცა მას ნაცვლობასთან არაფერი არ აკავშირებდა. ის იყო ღვთისნიერი, კეთილი ადამიანი. თავის მხრივ მიშას არანაირ ყურადღებას არ აკლებდა და ღვიძლი შვილიშვილებისგან არ არჩევდა.. ამ მხრივ კი ნამდვილად ბედმა არ უმტყუნა მიშას და იგი ბოლომდე მისი მადლიერი დარჩა. ამ ოჯახურმა გარემომ კი თავის მხრივ დადებითი დალი დაასვა მიშას პიროვნებას. რადგან რელიგია ვახსენე, ისიც უნდა გავიხსენო, რომ მიშა ბაბუის სარწმუნოებრივ გზას არ გაყვა და მან ოთხივე შვილი სიონის ეკლესიაში მონათლა. გარკვეული ხნის შემდეგ თვითონაც მონათლა ანჩისხატის ეკლესიაში .ხოლო ვერცხლის ქორწილში ჯვარი დაინერა, რომლის დროსაც მეჯ-

ვარეობა, მანამდე კი ხელისმომკიდეობა, მასთან ერთად უფროსი ვაჟის-ბექას ნათლობა ბედმა საამაყოდ ამ სტრიქონების ავტორს არგუნა.

აღსანიშნავია, რომ ბატონი მიხეილი იყო თავისი დიდი წინაპრის დიდი ბაბუის ანუ ბაბუის მამის დურალ მახარაძის შთამომავალი, რომელმაც 1915 წელს სოფელ ფაჩხაში მისივე ინიციატივით და სახსრებით გახსნილ ქართულ დაწყებით სკოლას უსასყიდლოდ დაუთმო საკუთარი სახლის ნაწილი. ამით საფუძველი დაუდო და დიდად დაეხმარა სოფლის ახალგაზრდობის განათლებას, რაც იმ დროისათვის ეროვნულ საქმეს წარმოადგენდა და მისი მხრიდან დიდი ინტელექტუალური კეთილშობილების გამოვლენა იყო. ხოლო თავის მხრივ კი მიშამ თავისი მოღვაწეობით გაამართლა ის ბრძნული ნათქვამი, რომელიც გვეუბნება: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“. თავისი წინაპრის სადიდებლად მიშა იყო ამ ინტელექტუალური კეთილშობილების ღირსეული და საამაყო გამგრძელებელი, რაც იმაზე მეტყველებს რომ საქვეყნო საქმის კეთება და სიკეთის ქმნადობა მასში, რომ იტყვიან გენეტიკურად იყო ჩადებული, ანუ მის გენეტიკურ კოდს წარმოადგენდა.

ამავე დროს მიშა იყო თავისი სოფლის, რაიონის და კუთხის ღვიძლი შვილი. მასზე მზრუნველი და მოამაგე, მის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე მაფიქრალი მამულიშვილი. მისმა ასეთმა შინაგანმა პოზიციამ და მოტივაციამ, განაპირობა უამრავი კრიტიკული პუბლიცისტური წერილების დაწერა და გამოქვეყნება, რამაც თავის დროზე მიძიმე და მწვავე დაპირისპირებაში მოაქცია აჭარის არსებულ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ვისგანაც უამრავი წყენა და უსიამოვნებები ერგო, ესეც არ აკმარეს და მის წინააღმდეგ დასჯისა და გაჩუმების მიზნით გაიხსენეს და გამოიყენეს უხსოვარი დროის წესი-სოფლიდან მოკვეთა. აჭარის ხელისუფლების დავალებით სხალთის თემში მოწყობილმა კრებამ დაუსწრებლად განაჩენად გამოუტანა, როგორც სოფლისა და კუთხისათვის მიუღებელი შვილის – მოკვეთა. დიახ ასეთ უმსგავსოებასაც ჰქონდა ადგილი მის ცხოვრებაში. მსგავს ნიადაგზე არსებულმა დაძაბულობამ და ნერვიულობამ, მიუხედავად მტკიცე ნებისყოფისა, შეურყია ჯამრთელობა, როგორც უკვე ითქვა, დაემართა მწვავე შაქრიანი დიაბეტი, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.



მიშას პიროვნულ თვისებებიდან ასევე ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ იგი იყო ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების და განსაკუთრებით სტუდენტი ახალგაზრდობის ბრძენი მრჩეველი და დამკვალიანებელი, თავისი გამჭრიახი გონებიდან და მშვიდი ბუნებიდან გამომდინარე მას შეეძლო ყოველთვის სწორი, საჭირო და სასარგებლო რჩევების მოცემა. მისი ეს თვისება განსაკუთრებით მკვეთრად და ნათლად ვლინდებოდა სასწავლო და სამეცნიერო ასპარეზზე. მისი საფუძვლიანი რჩევებით ბევრმა ახალგაზრდამ გაიკვლია ცხოვრების გზა და ქვეყანას მოევლინენ მოამაგე ადამიანებად. ასევე მისი მხარში დგომით და ხელმძღვანელობით მოპოვებულია სამეცნიერო საკვალიფიკაციო ხარისხები, ამ მხრივ მაღლიერი ადამიანების რიცხვი არც თუ ცოტაა, რომლებმაც სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში დამსახურებულად დაიმკვიდრეს კუთვნილი ადგილი.

ცალკე აღსანიშნავია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. ამ მხრივ მავანი საყვედურის ტონით ფილოსოფიური აზროვნების გზიდან გადახვევად და არათანმიმდევრულობად უთვლიან, ხოლო ნაწილს მიშას ბუნებიდან გამომდინარე გაკვირვებულებს კითხვები გაუჩნდათ: როგორ და რატომ დგას იგი იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც სხვა ყველაფერს თავი, რომ დავანებოთ, გამოირჩევიან აგრესიულობით, შეუბრალებლობით და დაუნდობლობით, მაშინ როცა თავად მშვიდი, სხვას ერთ ნაკანრსაც არ მიაყენებს. მე ვფიქრობ ფაქტებს, როცა ეს პირადად მისთვის უკითხავთ.

აქ მე არ შევეცდები მიშას პოზიციის დაცვას და გამართლებას. მას ეს არ ჭირდება, არც სხვისგან და არც, მათ შორის ჩემგან, რადგან საკუთარი პოზიცია მან თავად დაიცვა და გაამართლა თავისი ქმედებით, ღვაწლით და განვლილი ცხოვრებით და მაინც უნდა ითქვას:

პირველი, მიშასთვის პოლიტიკა თვით მიზანი არასდროს არ ყოფილა. (თუმცა ვისთვისაც პოლიტიკა თვითმიზანია, ამაში დასაძრახი არაფერია). იგი პოლიტიკამდე და შემდეგ პოლიტიკაში მიიყვანა ქვეყნის, კერძოდ თავისი კუთხის საჭირობოროტო პრობლემებზე ფიქრმა, ზრუნვამ და ამ პრობლემის მოგვარებისათვის მისმა პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ, თუ არა ეს, მაშინ მისი და პოლიტიკის გზები არ გადაიკვეთებოდნენ და ისინი ერთმანეთისათვის უცხონი დარჩებოდნენ.

მეორე, მიშა თავისი ბუნებით ლოიალური, კომუნიკაბელური, ყველასადმი კეთილგანწყობილი პიროვნება იყო. ეს გარკვეული ნი-

ჭია, რაც საშუალებას აძლევდა ყველასთან ჰქონოდა ურთიერთობა. თავისი მშვიდი, თბილი და სხვა კეთილშობილური თვისებებით ყველგან და ყოველთვის, ეს იქნებოდა პარლამენტი თუ აჭარის უმაღლესი საბჭო, სიბო და სიმშვიდე შეჰქონდა და ქმნიდა ნორმალურ, მშვიდ გარემოს, რაც ცხადია აუცილებლობას წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოების მუშაობისათვის. შეიძლება ითქვას იგი გამაჯანსაღებლის ფუნქციას ასრულებდა ყველგან. პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნის პერიოდში არ გამოიძებნება ისეთი, ფაქტი ან შემთხვევა, როდესაც მასთან მიმართებაში, მით უმეტეს მისგან მომდინარე აგრესია ყოფილიყო, როდესაც ისეთი ვითარება შექმნილიყო, რომლის დროსაც კაცი ვერ გაიგებდა საკანონმდებლო ორგანოს წევრები არიან, თუ ქუჩის უკანასკნელი დონის ხულიგანთა ბრბო, რაც მისგან დამოუკიდებლად ხდებოდა და სამწუხაროდ ახლაც ხდება. პოლიტიკაში, ისე როგორც ყველგან, რომ იტყვიან მას თავისი ნიშა ჰქონდა და ამ ნიშას მისი მაღალი დონის ინტელექტი და მისი შინაგანი დიდი კულტურა განსაზღვრავდა და წარმართავდა. თავისი ქმედებებით იგი პოლიტიკაში ჯანსაღ ურთიერთობებს ამკვიდრებდა და ამ გზით, თავის შესაძლებლობებით და წვდომის არეალით აკეთილშობილებდა, ჩვენი ეროვნული ღირსების შესაბამისად წარმოაჩენდა პარლამენტს, უმაღლეს საბჭოს და საერთოდ ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ ურთიერთობას.

ნათქვამის დადასტურებაა ერთი ასეთი ფაქტი, ამასწინათ ერთ-ერთ ტელეარხზე გამოსვლისას ბატონმა კობა კურტანიძემ მიშას გარდაცვალების გამო გულისტკენით სამძიმარი გამოთქვა და გაიხსენა ასეთი შემთხვევა, პარლამენტში ერთად ყოფნის დროს (ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტიის წევრები იყვნენ.) პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე მე გამოვედი მკაცრი ტონით, უხეშად, რომლის შემდეგაც ჩემთან მოვიდა ბატონი მიხეილი და მამა-შვილურად, კეთილგანწყობილი მშვიდი ტონით მითხრა: კობა, შენ ამხელა პიროვნება, მსოფლიო ჩემპიონი ხარ და ასეთი გამოსვლა არ გეკადრებაო, ნათქვამმა ღრმად ჩამაფიქრა და შინაგანად ვინანეო. ადამიანებთან საქმიანი, კეთილგანწყობილი, მშვიდი ურთიერთობა მისი თვისება იყო და სხვებსაც ამას ურჩევდა.

მესამე, ახლა წარმოვიდგინოთ მიშა ჩამოცილებოდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც იმ ხელისუფლებაში ჰქონდა ურთიერთობა, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მის ადგილზე აღმოჩნდებოდა პირველი

კაცის ფეხის მტვრის მწმენდავი, აგრესიული, ორიენტირ დაკარგული ვინმე უგუნური და იმ სფეროში სადაც მიშას გავლენები წვედებოდა დაინწყებოდა იგივე უმსგავსობები, რაც ხდებოდა სხვაგან, გამოდის რომ მიშა იქ და იმათ გვერდით ყოფნით კვლავ საქვეყნო, სასიკეთო საქმეს აკეთებდა. კერძოდ იგი თავისი იქ ყოფნით გარკვეულ არეალს სინმინდეს და ნორმალურ სახეს უნარჩუნებდა. აქედან გამომდინარე უხმაუროდ, დაპირისპირების გარეშე ქვეყნის დასანგრევად აგორებულ ტალღას, ის ჯგებირად ხვდებოდა და ასუსტებდა მის დარტყმის ძალას. ამ თვალსაზრისითაც მიშას იქ ყოფნა დადებითი შემთხვევა იყო და არა სასაყვედურო, თუმცა მსგავსი საყვედურები მისდამი კეთილგანწყობით გამონვეული გულისტკივილითაა ნათქვამი. ასე რომ მიშას მათ გვერდით დგომა მათნაირობას არ ნიშნავდა. მისი იქ ყოფნა ქვეყნისათვის სასიკეთო იყო და არა საზიანო. ამასთან ერთად იქიდან წამოსვლა მიშას ზნეობისათვის შეუთავსებელი იყო, მისთვის მიუღებელი იყო ვინმეს შუაგზაში მიტოვება, გვერდზე გადგომა და რალაცა ფორმით ლალატი, ამიტომ რადგან მათ გვერდით მოხვდა და შემდეგ გამჟღავნდა მათი ქეშმარიტი სახე, არ მიატოვა ბოლომდე გაჰყვა, მაგრამ იარა თავისი გზით და არა მათი მრწამსით და ქმედებით. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნის დროსაც კალამი ხელიდან არ გაუგდია და პარალელურად ერთგულად მეცნიერებას და მწერლობას ემსახურებოდა. ნათქვამის დასტურია იმ პერიოდში მის მიერ გამოცემული შრომები და ნოველები. თუნდაც იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ მისი ორგანიზებით მომზადდა და გამოიცა „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ფუნდამენტალური ოთხტომეული (1986-2010წწ), რომელსაც შემდგომ უმაღლესი შეფასება ხვდა წილად და 2011 წელს დაიმსახურა ეროვნული პრემია, მეცნიერების დარგში, ხოლო იგივე ოთხტომეული მისივე იდეითა და რედაქტორობით აკადემიურად მომზადდა და მეორედ გამოიცა 2013 წელს, რაც ქართული სააზროვნო კულტურის დიდი შენაძენია. ამით მან დადო ქართული ფილოსოფიური აზროვნების უტყუარი საბუთი და მავან უცხო ტომელს მოუსპო მისი განქიქებისა და მითვისების საშუალება. ხოლო მომავალ თაობებს მისცა მყარი სააზროვნო საფუძველი. ასევე მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში მისივე ინიციატივით ოთხტომეულის გამოცემა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა.“, რომლის სათაურიც მისგან მოდის და აქტიური მონაწილეობა მიიღო მეოთხე ტომის რედაქტირებაში. თუ არა ბატონი

მიზა, ქართველი მეცნიერების ამ შრომის ნაყოფს, რომელიც მანამდე 12 წელი იყო უყურადღებოდ თაროზე შემოდებული, რა მომავალი ელოდა ძნელი სათქმელია. ასეთი და სხვა ფაქტების მოტანა ბევრი სხვაც შეიძლება, თუნდაც თვით პირადი ნააზრევის გამოცემები და ა. შ. ყოველივე ამ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეში თავის შესაძლებლობების ფარგლებში პოლიტიკურ ბერკეტებს იყენებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ არა იქ ყოფნა, მაშინ ეს და სხვა მამულიშვილური საქმეები არ გაკეთდებოდა. იგი პოლიტიკურ ასპარეზს მეცნიერებისათვის იყენებდა და არა მეცნიერებას პოლიტიკური ასპარეზისათვის. ამასთან ერთად, იგი როგორც ეკონომიურად ხელცარიელი შევიდა პოლიტიკაში, 14 წლის შემდეგაც (აქედან 8 წელი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე, ხოლო დანარჩენი წლები საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრია) ისევე ხელცარიელი გამოვიდა, მაგრამ გამოვიდა საკუთარ სინდისთან სუფთა და ხალხთან მართალი, დადიოდა ამაყად და თავისუფლად. იგი იქ ყოფნის დროს კმაყოფილდებოდა კანონით მინიჭებული უფლებებით და ანაზღაურებით. მას არ ქონდა რაიმე ე. წ. წილები და არ მიუთვისებია სახელმწიფოს, თუ ხალხის ქონება. მისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენდა ზნეობა და არა ფული. მასში გასხეულებული და განივთებული იყო დიდი ფილოსოფოსების ეთიკურ იდეალებზე დამყნობილი აღმზრდელი ტრადიციული ოჯახის ზნეობრივი ღირებულებები. თავის შემოსავლით, როგორც განვდებოდა ისე უძღვებოდა ოჯახს. მიმდინარე წლის (2023წ) მაისში თბილისში ბარძაყის ძვლის მეორე ოპერაციაზე ხუთასი ლარით ჩამოსულმა (მგონი აქედან ნაწილი მეზობლის შემწეობა იყო) სამასი ლარი შვილიშვილებისთვის თავის ოთხშვილიან რძალს დაუტოვა და ორასი ლარით შევიდა საავადმყოფოში, საიდანაც დაფინანსების დაგვიანების გამო 150 ლარი გარკვეულ ხარჯებს დასჭირდა და 50 ლარი დარჩა. აქ შეგნებულად გვერდს ვუვლი მისი მისამართით სიტყვა პატიოსნის თქმას. თავად მას აღარ მოსწონდა ვინმეს მიმართ ამ სიტყვის გამოთქმა. რადგან ეს სიტყვა „პატიოსანი“ იქცა ტრაფარეტად, გაცვდა, აზრი, შინაარსი და მნიშვნელობა დაკარგა. ყოველ პირწავარდნილ ყაჩაღზე ამბობენ პატიოსანიაო. ის თავად ერიდებოდა ამ ეპითეტს, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ცნება აღარ ასახავდა რეალობას.

ყოველივე ამასთან ერთად მიღწევათა ყოველ საფეხურზე მასთან დაყვებოდა თავმდაბლობა, უბრალოება, გულისხმიერება, ყურად-

ლება, იუმორი და სილაღე. კურსელებს ,მეგობრებს, კოლეგებს, ნაცნობებს სიამაყეს და სიხარულს გვრის, რომელსაც მწუხარების ცრემლს თან ახლავს, ის გარემოება, რომ მასთან ჰქონიათ ურთიერთობა. კურსელების მეხსიერებაში ისევ იმ სტუდენტობის პერიოდის თბილ და კეთილგანწყობილ მიშვიკოდ დარჩა და გვეამაყება რომ მის გვერდით განვლეთ წლები. ო! რა ტკივილის მომგვრელია დღეს მიშას მისამართით ნათქვამი სიტყვა „იყო“. პირდაპირ გულს გიდაღავს. დიდ ბუნებოვანი უნდა იყო, რომ ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგაც შენი გახსენება, ტკივილთან ერთად სიამაყეს და სიხარულს გვრიდეს ადამიანებს და ესაა ღირსეული ცხოვრების არსი და საზრისი. მიშა ნამდვილად დიდბუნებოვანი იყო, ამიტომ იგი არ მომკვდარა და მხოლოდ გარდაიცვალა, სამყოფელი იცვალა, იმ ქვეყნად მარადიულ სამყოფელში გადავიდა, ხოლო ამ ქვეყნადაც კვლავ მარადიულობაში დარჩა, არსებობს ადამიანების გულებში, არსებობს თავისი განხორციელებული საქმით, არსებობს მისი კალმის წვერიდან გადმოსული წერილობითი ნაღვანის საშუალებით და მისი ეს ნაღვანი იმის გარანტიაა, რომ იგი იარსებებს ვიდრე არსებობს მისი მშობელი ერი, ერი კი თავისი არსით თვითგანახლებადი, მარადიული ფენომენია. თუ იგი ძალით არ გაანადგურე და არ მოსპე.

მ. მახარაძის შინაგანმა ბუნებრივმა თვისებებმა თავისი ელფერი დაატყო მის პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მის ღრმა და მარტივად გადმოცემულ შინაარსიან ლექციებს, რომელსაც, მსმენელი არ აკლდა, თან ახლდა თავისებური სტუდენტებთან მისეული მიდგომა და მათთან დამოკიდებულება, რაც ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება და არა ცოდნის და რაზეც ხელენიფებათ მხოლოდ ერთეულებს და რაც სხვებისთვის მიუწვდომელი და სახარბიელოა. კერძოდ თავის უბრალოებით, უშუალოებით და თავმდაბლობით მოპოვებული ჰქონდა სტუდენტების აბსოლუტური კეთილგანწყობა და პატივისცემა. მასსა და სტუდენტებს შორის მყარდებოდა ორმხრივი კონტაქტი, ხოლო ზღვარი არასდროს იშლებოდა . უნდა ითქვას, რომ მას შეფასების ანუ ნიშნის ან სხვა რაიმეს გამო ნაწყენი სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა ცოდნას სათანადოდ ითხოვდა. ამ გადასახედიდან, რომ ვუყურებ მიშა, ჩვენი დიდი მასწავლებლის ბატონ ოთარ გაბიძაშვილის ანალოგად წარმომიდგება, რომელიც თავის უშუალო თავმდაბალ ურთიერთობებთან ერთად, ისეთ ვითარებას ქმნიდა, რომ გამოცდაზე მასთან

უცოდინარი არა და ვერ მიხვიდოდი, თუმცა იცოდი რომ რა ნიშანიც გინდოდა იმას დაგინერდა, მიუხედავად ამისა სტუდენტი აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ სასურველ ნიშნის დონეზე მომზადებულიყო. რალაცნაირად სინდისზე მოქმედებდა და საკუთარ თავის წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის წინაშე გაყენებდა. თუ როგორ აღწევდა ამას ეს იმდენად შინაგანად პიროვნულია, რომ დღემდე მიუწვდომელი, გაუგებარი და აუხსნელია. ამ თილისმას ნაზიარები იყო მიშაც და როგორც ბატონი ოთარი, ისე მიშაც სტუდენტებისათვის დარჩენ პატივისცემით და სიყვარულით მარად მოსაგონებელ ლექტორებად და მასწავლებლად. ეს კი პედაგოგისათვის უმაღლესი ჯილდოა.

პროფ. მიხეილ მახარაძე გავიდა ამ სოფლიდან, მაგრამ დატოვებული შრომებით და ღვანლით ყოველთვის დარჩება ახალი თაობების აღმზრდელად და როგორც სიცოცხლეში, კვლავ ერთგულად იდგება ქვეყნისა და ერის სამსახურში.

ამასთან ერთად, ისევ გავიმეორებ, ბატონმა მიხეილმა, გარდა ინტელექტუალური მემკვიდრეობისა, ცალკეულ უამრავ ადამიანის გულში იმდენი სითბო, სიყვარული და პატივისცემა დატოვა, რომ მიუხედავად მისი ამ ქვეყნიდან გასვლისა, ის კვლავაც ცოცხლობს და იცოცხლებს დიდხანს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, მან ორი მიმართებით დატოვა კვალი, ერთი ინტელექტის, ხოლო მეორე გრძნობის. გრძნობის მიმართებით ის დიდხანს იცოცხლებს, ხოლო ინტელექტის მხრივ სამუდამოდ. სამუდამოდ იმიტომ, რომ ის ეროვნული სულიერი ფესვების ძიებაში იყო და ერის თვითმყოფადობას და მის ინტერესებს ემსახურებოდა, ერი კი თავის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, მარადიული ფენომენია და იგი თავის ღირსეულ შვილებს არასდროს არ ივინყებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რაც ძალზედ გულსატკეპნია, რომ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი დიდბუნებოვანი დიდი კაცი, ნალვანი, ამაგდარი პროფესორი მიხეილ (მიშა) მახარაძე, მაგრამ რესპუბლიკურ, თუ ადგილობრივ ოფიციალისათვის ამ ფაქტმა ისე ჩაიარა თითქოსდა აქ არაფერიც არ მომხდარიყოს, თვით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან, სადაც ბოლო ათეულ წელზე მეტია პროფესორად მუშაობდა, სათანადო და შესაფერისი ყურადღება და გამომხაურება არ ყოფილა. ამ ფონზე გულისტკენა უფრო მძაფრდება, ეს უმაღურობის

ძალზე ცუდი სინდრომია, მიუღებელი პრეცედენტი და უარსაყოფი მაგალითია. ეროვნულ ცნობიერებაში უმადურობის თესლის დათესვა ნაყოფად სიკეთეს არ მოგვიტანს. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და არ დაგვაინწყდეს.

მ. მახარაძისადმი ასეთი გულგრილი და არასათანადო დამოკიდებულება დამსწრე საზოგადოებისაგან აიხსნა, როგორც ძირითადად მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის პერიოდის ანარეკლი და კლანური დამოკიდებულების გამოვლენა. ქვეყნის ფეხზე დადგომისათვის და ერის გადარჩენისათვის უკვე ძალიან დიდი ხანია დროა ბოლო მოელოს კლანურ მმართველობას და კლანურ ურთიერთობას, როგორც პოლიტიკაში, ისე ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებაში. ეს მავნე დამლუპველი სენი, დაფარული აღარ არის, ზედაპირზეა და უნდა მოისპოს. ამას მოითხოვს დღევანდელი მდგომარეობა, მომავლის შენარჩუნებისათვის. 2023 წლის 7 ოქტომბერს, ადგილობრივი ოფიციალის უყურადღებობიდან გამომდინარე ღირსეული მამულშვილი გულში ჩაიკრა ბათუმის რიგითი სასაფლაოს მშობლიურმა მიწამ. ხოლო რადგან წესადაა დამსახურების მიხედვით შესაბამისად სასაფლაოთა განსხვავებულობა, აქედან გამომდინარე, სრულიად სამართლიანად, ზოგიერთ გულშემატკივარში გამოიხატა წყენა და გამოითქვა აზრი, რომ გავა დრო და გადასვენებენ იქ სადაც იგი იმსახურებს და დაიმკვიდრებს საბოლოო განსასვენებელსო. ამ ნათქვამში გულისხმობდნენ ბათუმის საკათედრო ტაძრის ეზოს, რომლის პანთეონად დაარსებაშიც თავად განსვენებულს, იდეური ნიადაგის მომზადების კუთხით, გარკვეული წვლილი მიუძღვის, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტაძრიდან მოხდა გამოსვენება, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოების წარმონაღვენლრების მიერ წამოითქვა მწუხარებით აღსავსე გულთბილი გამოსამშვიდობელი სიტყვები. ამასთან ერთად დღეს იმის თქმა, რომ მეუღლის გვერდით დაკრძალვა მისი სურვილი იყო, ეს არაფერს ცვლის და არ ამართლებს ოფიციალის უყურადღებობას და უმოქმედობას, რადგან ჯერ ერთი, მათ არაფერი იცოდნენ განსვენებულის სურვილის შესახებ და მეორეც, მათგან არცერთს არც კი უფიქრია აღნიშნულის თაობაზე. რასაც ადასტურებს მათი მხრიდან გამოჩენილი გულგრილობა. შეიძლება გულშემატკივრების ეს ნათქვამი და სურვილი აღსრულდეს და ასეც მოხდეს, და იგი გადასვენონ აღნიშნულ პანთეონში, მაგრამ თუ არ მოხდა ასე, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არა მარტო სასაფლაოს სახელი ამშვენებს და პატივს მატებს პიროვნებას და გამოხატავს მისი ღვაწლის დაფასებას, არამედ პირიქითაც ხდება, პიროვნების სახე-

ლი და ღვანლი, თავის მხრივ ფასსა დებს, სახელს მატებს და ცნობილს ხდის სასაფლაოს. მ. მახარაძეს თავისი ინტელექტუალური მემკვიდრეობით და ღვანლით იმხელა კვალი აქვს დატოვებული, რომ როგორც სიცოცხლეში, სადაც არ უნდა ყოფილიყო ყველგან ამშვენებდა გარემოს, ასევე არის მისი გარდაცვალების შემდეგაც, იგი დაამშვენებს ნებისმიერ სასაფლაოს, მითუმეტეს დღეს უბრალოს, ჩვეულებრივს და თუ საბოლოოდ ის იქ იმ სასაფლაოზე დარჩა, მისი იქ ყოფნით დღეს ის უცნობი სასაფლაო, მომავალში ცნობილად იქცევა. (ისიც უნდა აღინიშნოს რომ ამ სასაფლაოზე განისვენებენ ყოფილი პარლამენტარებიც.) როგორც სიცოცხლეში ამ ობოლმა, მიუსაფარმა ბიჭმა თავისი ნიჭით, უნარით და შრომით გაიკვლია ცხოვრების ლაბირინთები და მიაღწია ცხოვრებისეულ მწვერვალებს, ასევე გარდაცვალების შემდეგაც თავისი მემკვიდრეობით ღირსეულად დაიმკვიდრებს მისთვის კუთვნილ, მამულიშვილისათვის შესაფერის ადგილს და ეს ვინმეს სურვილზე არ იქნება დამოკიდებული, ამას გააკეთებენ თავად მისი საქმენი. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური აჭარის მიწა. ამინ!

#### **ამბროსი კავლელაშვილი**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აგრარული უნივერსიტეტის

ფილოსოფიის კათედრის გამგე 1993-2006 წწ.





### **აკაკი ჯულიანიშვილი (1959-2023)**

ქართველ ფილოსოფოსთა რიგებს მოულოდნელად დააკლდა ბრწყინვალე ფილოსოფოსი და დიდებული პიროვნება აკაკი ყულიჯანიშვილი.

აკაკი ეროსის ძე ყულიჯანიშვილი 1959 წლის 19 აგვისტოს, ხაშურის რაიონში, სოფელ ალში დაიბადა. 1982-1987 წწ. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ფილოსოფიის სპეციალობით. 1987-1990 წწ. იყო თსუ-ს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი. 1990 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1990 წლიდან იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ – თანამშრომელი, 1994 წლიდან დოცენტი, 1997-2000 წლებში თსუ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 2000-2006 წლებში ესთეტიკისა და კულტუროლოგიის კათედრის გამგე, 2006 წ. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. 2009 წ. თსუ აკადემიური საბჭოს წევრი. 2011 წ. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი – ესთეტიკის და კულტურის ფილოსოფიის კათედრის გამგე. 2016 წ. თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი.

აკაკი ყულიჯანიშვილი იყო ფილოსოფიაში ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს მდივანი. საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და მსოფლიო ფენომენოლოგიური საზოგადოების წევრი. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის თავმჯდომარე. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი. ჟურნალ „ენა და კულტურის“ გამომცემელ-რედაქტორი; ჟურნალ „მაცნეს“ მრჩეველი საბჭოს წევრი; ჟურნალ „კულტურას“ რედაქციის წევრი; ჟურნალ „სრატეგიული კვლევების“ რედაქციის წევრი; კრებულ „კულტურილოგიის და ესთეტიკის საკითხების“ რედაქტორი. არაერთი სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების სამეცნიერო ხელმძღვანელი. 8 მონოგრაფიისა და ქართულ და უცხოურ ენაზე შესრულებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ავტორი.

ძნელია აკაკი ყულიჯანიშვილზე წარსულ დროში საუბარი. იგი უკეთილშობილესი, უანგარო და კაცთმოყვარე, უაღრესად ჰუმანური პიროვნება იყო. ერთგული მეგობარი მუდამ მზად იყო ახლობლებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის დახმარებისათვის. მისი მთავარი საზრუნავი ადამიანები, მათდამი თანადგომა და სიყვარული იყო. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ფილოსოფიური მეცნიერებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ყულიჯანიშვილი ქართული ესთეტიკური და კულტუროლოგიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. იმ წიგნებს, რომლებიც მან კულტუროლოგიისა და კულტურის ფილოსოფიის სფეროში დაწერა, ყოველ ეპოქაში ეყოლება თავისი მკითხველი.

ის სისტემატიურად იღებდა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ საუნივერსიტეტო, საერთაშორისო და უცხოეთში გამართულ სამეცნიერო-საკონფერენციო ფორუმებში, სადაც მისი მოხსენებები დაუეინყარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელ აუდიტორიაზე, თავისი სიღრმისეული და თანმიმდევრული კვლევის მიზანდასახულობით, დასმული პრობლემებისადმი არაორდინარული მიდგომის კუთხით, შემოქმედებითი თვალსაწიერის მრავალფეროვნებით, თანამედროვე საჭირობოროტო თემატური საკითხების კომპეტენტური ცოდნით და

კვალიფიციურად შემუშავებული მეთოდოლოგიის ეფექტური გამოყენებით.

აკაკი ყულიჯანიშვილი ძირითადად მოღვაწეობდა ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის სფეროში, თუმცა ეს მას არ ზღუდავდა აქტიური მონაწილეობა მიეღო, როგორც სოციალური ფილოსოფიის, ასევე პოლიტიკური თეორიების კრიტიკული ანალიზის მრავალი მიმართულებით, სადაც ის ავლენდა მაღალი ერუდიციის, ლოგიკური არგუმენტაციისა და გაბედული შემოქმედებითი ინიციატივების ცხოველმყოფელ უნარს. ის უკან არ იხევდა არც ერთი სახის ავტორიტეტთა მიმართ ჯანსაღი კრიტიკული პოზიციებისგან, ხშირად არ ეთანხმებოდა ამა თუ იმ გავრცელებულ შეხედულებებსა და ფილოსოფიური აზროვნების კულტურაში ფესვგადგმულ სტერეოტიპებს. ცალკეულ შემთხვევაში, ჰქონდა განსხვავებული მოსაზრებები ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთა მემკვიდრეობის მიმართ, ასევე განსხვავებული იყო მისი დამოკიდებულება ქართული კულტურისა და ცნობიერების ორიგინალურ ფენომენთან დაკავშირებით, მიუღებელი იყო ეროვნული ხელისუფლების სტრატეგიული კურსიც, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში, მასაც ჰყავდა შერჩეული ისეთი ავტორიტეტული მოაზროვნენი, რომელთა მიმართ არამარტო თვითონ არ ამყლავნებდა კრიტიკულ განწყობას, არამედ სხვებისგანაც ვერ იტანდა ასეთ რალაცას; აი, სწორედ ასეთი იშვიათი გამონაკლისთაგანი იყო ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, რომელსაც ის არა მარტო განსაკუთრებულად აფასებდა და პატივს სცემდა, არამედ მთელი არსებით ცდილობდა სულ-ხორციელად განმსჭვალულიყო მისი თვისებებით, ხასიათით, ინტელექტით და მსოფლგაგებით, რაც არც თუ ისე ურიგოდ გამოსდოდა.

სტუდენტობის პერიოდში მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ბატონი აკაკი ყულიჯანიშვილის თანაკურსელი; არ შეიძლება კეთილად არ გავისხენო მისი დინჯი, განონასწორებული, ჰუმანური და იმავდროულად მტკიცე, შეუპოვარი, ვაჟკაცური ბუნება, მაღალი მორალური პასუხისმგებლობა, გულისხმიერებისა და თანადგომის გამორჩეული უნარი, რაც ყოველთვის უჩვეულო აღტაცებას იწვევდა გარშემომყოფთაგან. მის მიმართ ხმამაღალ სიმპათიებს ავლენდნენ არა მარტო თანატოლები და მეგობრები, არამედ ასაკში მყოფი ლექტორ-მასწავლებლებიც, რომლებიც თავიანთი მაღალი რეპუტაციის

მიუხედავად, ბევრჯერ არ ერიდებოდნენ მისგან ბრძნულად აწონ-დაწონილი რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარებას. სწორედ ბატონი აკაკისნაირი ადამიანების მიმართ ამბობენ, „დიდთან დიდია და პატარასთან კიდევ უფრო დიდი და ბუმბერაზიო.“ მას ჰქონდა მრავალმხრივი ნიჭი, შეიძლება თამამად ითქვას, ტალანტთან მიახლოებული უნარიც, რისი საჯარო დემონსტრირებისაგან ყოველთვის განსაკუთრებულად იკავებდა თავს, თუმცა ყველანი ამას მაინც ვამჩნევდით და გაცუბასაც ვერ ვმაღავდით. იყო ძლიერი ნებისყოფის, მიზანსწრაფული და შემართებული კაცი, შეეძლო განსაკუთრებული ჭაპანწყვეტისა და ძალისხმევის გარეშე მიეღწია მაღალი მიზნების განხორციელებისთვის, იყო მეგობრების დიდი მოთმინებით ამტანი და ოდნავ ნაკლებ გამტანი, თუმცამაინც, მისი იმედი და მხარდაჭერა არაერთი მისი ნაბორძიკებული ნაცნობისა და კოლეგისთვის ერთადერთ ალტერნატივასა და გამოსავალს წარმოადგენდა.

რამდენი რამ არის უთქმელი და გაუმყლავნებელი, რაც ცხოვრებისეულად გვაკავშირებდა ამ გამორჩეულ პიროვნებასთან? - ვინ იფიქრებდა და წარმოიდგენდა, რომ მის ძლიერ, დაუდგრომელ მეომრულ სულსა და ხასიათს სიკვდილი ასე უდროოდ შეაჩერებდა, მაგრამ ასეთია მუხთალი წუთისოფელი და წარმავალია ყოველივე მოკვდავი და ხორციელი მთელი დედამიწის ზურგზე.

მართალია, იგი არ იყო საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მაგრამ მეუღლესთან – ნანასთან (იმედია ქალბატონი ნანა ტრადიციას არ უღალატებს და კვლავაც განაგრძობს ჩვენთან თანამშრომლობას) ერთად ხშირად ბეჭდავდა სამეცნიერო სტატიებს, რეცენზიებს, გამოხმაურებებს და სხვ. „ფილოსოფიურ ძიებანში“ და გულმხურვალედ გულშემატკივრობდა საქართველოში ფილოსოფიის სფეროში ერთადერთ რეგულარულ ბეჭდვით ორგანოს. ამ ქვეყნიდან მისმა მოულოდნელმა წასვლამ ყველა გულდანწყვეტილი დაგტოვა.

დაგვრჩა ხსოვნა, მოგონება და სინანული იმ ნათელი დღეებისა და ღირსსახსოვარი ადგილ-სანახებისა, სადაც ჩვენ ოდესღაც ერთად ვიყავით და ჩვენი მუყაითი, კეთილსინდისიერი სწავლა-განათლებით, ერთიმეორის მხარდამხარ ვიკაფავდით გზას, სასურველი, ნათელი მომავლისაკენ.

მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც გულზე ადევს ან გარდაცვლილ მეგობარსა და კოლეგას, ასეულობით სტუდენტის საამაყო მასწავლებელსა და გამორჩეულ მოაზროვნეს, რომელმაც დაგვიტოვა თავისი წილი ტკივილი და დარდი ამქვეყნიურობისა, ხოლო იდუმალი გულთამხილავი ფიქრით, რწმენით და გონებით იმქვეყნიურ მარადისობას შეუერთდა.

**ბადრი ფორჩხიძე, კახა ქეცბაია**  
*საქართველოს ფილოსოფიურ  
მეცნიერებათა აკადემიის სახელით*



## სუტა პაჭკორია

ქართველ სამედიცინო და სამეცნიერო საზოგადოებას დააკლდა მისი ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი ექიმი – გატსროენტეროლოგი, დიდი ინტელექტუალი და ერუდიტი სუტა პაჭკორია.

სუტა პაჭკორია ქ. ზუგდიდში დაიბადა. 1964-1971 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1972-1975 წწ. მუშაობდა ნალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას ამბულატორიის მთავარ ექიმად. 1978 წლიდან 2000-წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტი. 2000 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფოს) შინაგან სნეულებათა დეპარტამენტში გასტროენტეროლოგად.

სუტა პაჭკორია არის 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის, აქედან – 9 მონოგრაფიის, ავტორი გასტროენტეროლოგიასა და შინაგან მედიცინაში. იგი არის მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (1997 წ.) და ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. დაჯილდოებულია გრ. მუხაძის საიუბილეო მედლით (1992წ.).

ბატონი სუტა გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და განსწავლულობით, ეროვნული პრინციპებისადმი ერთგულებით. გა-

მოარჩევდა პაციენტის მიმართ თანაგრძნობა და მისთვის უანგაროდ დახმარება. როგორც ინტელექტუალს, უსაზღვროდ უყვარდა ფილოსოფია და ამიტომაც მეგობრობდა ქართველ ფილოსოფოსებთან, გულშემატკივრობდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიას. ამავე აკადემიის სხდომებზე არაერთხელ წაუკითხავს საიტერერსო მოხსენებები. საინტერესო და ანგარიშგასანეცია მისი თვალსზრისი მსოფლიოში ცნობილ ფილოსოფოსთა (ნიცშე, შოპენჰაუერი და სხვ.) დაავდებების განმაპირობებელი მიზეზების შესახებ.

მიგვაჩანია, რომ მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის.

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმი**

**ინფორმაცია (2023)**  
**INFORMATIONS (2023)**



1. 2023 წელს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტს, ცნობილ ფილოსოფოსსა და მეცნიერს **სერგი ავალიანს** დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა.
2. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური საგამოცემლო ორგანო ფილოსოფიური ძიებანი ინდექსირებულია **Google Scholar**-ში.
3. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ირაკლი კალანდიას** საიუბილეო კრებული: „ფილოსოფია, როგორც კულტურის თვითცნობიერება“ (გამ. „უნივერსალი“).
4. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ზურაბ ხასაიას** პოეტური კრებული: „შუაგულ ზღვაზე მოსული თოვლი“ (გამ. Carpe diem).
5. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **თეიმურაზ მთიბელაშვილს** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.
6. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე** თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.
7. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე** საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად აირჩიეს.
8. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბადრი ფორჩხიძე** არჩეულ იქნა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილების აკადემოკოს მდივნად.
9. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების **ამირან ბერძენიშვილისა** და **კახა ქეცბაიას** სქელტანიანი სახელმძღვანელო „პროტოსოციოლოგია“ (თსუ-ს გამომცემლობა).
10. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების **ამირან ბერძენიშვილისა** და **კახა ქეცბაიას** წიგნი: „სოციოლოგია დამწყებთათვის“ (გამომცემლობა Carpe diem).

## შინაარსი

მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობა ..... 3

### ნაწილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
აკადემიის ცნობარი ..... 5

### ნაწილი მეორე ფილოსოფიური ძიებანი

#### ონტოლოგია, გნოსოლოგია, ლოგიკა

არსენ ბურჯალიანი – მატერიალურისა და იდეალურის  
მიმართება ტრანსცენდენტალურ იდეალიზმში  
(გაგრძელება) ..... 13

ირაკლი გოგიჩაძე – არსი და ცნობიერება ..... 32

მანანა ჩიტეიშვილი – ტაძრული ცნობიერების ლოგიკა და  
არისტოტელეს ტოპიკა ..... 88

#### მეცნიერების ფილოსოფია

ეთერი ორმოცაძე – ალბათური აუცილებლობა და  
თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერება  
(ქვანტური თეორია და ბიოლოგია) ..... 97

#### პოლიტიკის ფილოსოფია

თეიმურაზ ფაჩულია – ლიბერალური ტოტალიტარიზმი ..... 105

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე – სოციალიზაცია და  
პოლიტიკური ერის ფორმირება საქართველოში ..... 115

ტატიანა გვილავა – საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული  
პარტნიორობა – გამოწვევები და პერსპექტივები ..... 124

#### სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია

ამირან ბერძენიშვილი – მასობრივი კომუნიკაციის გაგება  
კრიტიკული თეორიის შუქზე ..... 132

<b>ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია</b> – სოციოლოგიის მეცნიერული სტატუსი (ენტონი გიდენსისა და ნეილ სმელზერისეული სოციოლოგიის დეფინიციის კრიტიკული რეცეფცია) .....	147
<b>მეჩი ლობჯანიძე, კახა ქეცბაია</b> – განათლება მაქს ვებერის სოციოლოგიაში .....	162
<b>დავით ზაქარაია</b> – სოციალური გაცვლა და სოციალური კონტრაქტი .....	172
<b>ნატალია ბინაძე, მანანა გაგოშიძე</b> – გლობალიზაცია და განათლების საკითხები .....	178
<b>მერაბ ონიანი, მიხეილ ხალვაში</b> – დეპრესიის დაძლევის მეთოდები .....	186
<b>ლია მეტრეველი, დავით ქათამაძე</b> – სექსუალობა, გენდერული როლები და გენდერული დისფორია .....	214
<b>ვაჟა გურგენიძე, თინათინ დეკანოიძე</b> – ახალგაზრდების სოციალიზაციის ფაქტორები სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ .....	222
<b>ელგუჯა ქავთარაძე</b> – საგანმანათლებლო მიგრაცია: პრობლემები, მიდგომები, ხედვები .....	233
<b>მედეა სალია</b> – მასწავლებელი, როგორც სოციალიზაციის აგენტი ..	248
<b>ლია ანთაძე</b> – დიფერენცირებული სწავლება და სტუდენტების ჩართულობა .....	259
<b>ნინო კიკნაველიძე</b> – მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და ფსიქოლოგიის როლი სასკოლო განათლების სისტემაში .....	264
<b>ქეთევან აბესაძე</b> – ემოციური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა სასკოლო ასაკის ბავშვებში .....	269
<b>სოფიო ყველაშვილი</b> – ფსიქოლოგიური ტრავმა ზრდასრულებთან და ბავშვებთან .....	276
<b>ირინა მელქაძე</b> – სოციალური ინსტიტუტი, როგორც საზოგადოების მართვის იარაღი .....	283
<b>სალომე აბულაშვილი</b> – სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში – სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირებაში – საქართველოს მაგალითის ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილება .....	290
<b>ლია მეტრეველი, სალომე საბიაშვილი</b> – ქრონიკული თავის ტკივილის (შაკიკი) გამომწვევი ფიზიოლოგიურ – ემოციური ფაქტორები .....	316

## **რელიგიის ფილოსოფია და რელიგიათმცოდნეობა**

**კახა ქეცბაია** – ბუდიზმის სოციალური ჰაბიტუსი..... 328

## **სამართლის ფილოსოფია**

**ბადრი ფორჩხიძე** – უდანაშაულობის პრეზუმფციის პრობლემა  
ქართულ სამართალში და მისი გადაწყვეტის  
ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ალგორითმი .....335

## **ესთეტიკა**

**ნანა გულიაშვილი** – რომანტიზმის ესთეტიკის  
ფილოსოფიური საფუძვლები (კანტი, ფიხტე) .....350

## **ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორია**

**მაია კიკნაძე** – ნიცშესეული მეტაფიზიკური სამყარო და  
მისი გამოვლენის ფორმები ..... 363  
**თემურ ბასილაია** – შვეგელი და სამყაროს საწყისის  
პრობლემა ..... 376

## **რეცენზიები**

**ამირან ბერძენიშვილი** – რეცენზია ლია წულაძის  
სახელმძღვანელოზე „კულტურის სოციოლოგია“ .....381

## **იუბილარები**

**თეიმურაზ მთიბულაშვილი** – 80 ..... 385

## **მომონებები**

**სერგი ავალიანი** – გასული საუკუნის ქართველ  
ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან ..... 389

## სსოვნა კათილი

კახა ქეცბაია – სერგი ავალიანის ფენომენი ..... 413

## გამოსათსოვარი

გურამ (გური) ასათიანი..... 416

მიხეილ მახარაძე..... 418

ამბროსი კავლელაშვილი – ქვეყანას დააკლდა კიდევ ერთი  
მომაგე ..... 423

აკაკი ყულიჯანიშვილი ..... 449

ხუტა პაჭკორია ..... 454

ინფორმაციები – 2023 ..... 457

## CONTENTS

Preface – <b>Irakli Kalandia</b> .....	3
--	---

### FIRST PART

Reference Book of the Academy of Philosophical Sciences of Georgia .....	5
--	---

### SECOND PART

#### Philosophical Investigations

#### ONTOLOGY, GNOSEOLOGY, LOGIC

<b>Arsen Burdjaliani</b> – Interrelation of the Material and the Ideal in Transcendental Idealism (Part II) .....	13
<b>Irakli Gogichadze</b> – Entity and Consciousness .....	32
<b>Manana Chiteishvili</b> – The Logic of the Temple Consciousness and Aristotle's Topic .....	88

#### PHILOSOPHY OF SCIENCE

<b>Eter Ormocadze</b> – Probabilistic causation and modern natural science (quantum theory and biology) .....	97
--	----

#### PHILOSOPHY OF POLITICS

<b>Teimuraz Pachulia</b> – Liberal totalitarianism .....	105
<b>Guram Abesadze, Nodar Abesadze</b> – Socialization and formation of a political nation in Georgia .....	115
<b>Tatiana Gvilava</b> – Strategic partnership between Georgia and China – perspectives and challenges .....	124

#### SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY

<b>Amiran Berdzenishvili</b> -Understanding mass communication in the light of critical theory .....	132
<b>Amiran Berdzenishvili, Kakha Ketsbaia</b> – Scientific status of sociology (critical reception of definition of sociology given by Anthony Giddens and Neil Smelzer) .....	147
<b>Meki Lobzhamidze, Kakha Ketsbaya</b> – Education in Max Weber's sociology .....	162

<b>David Zakaraya</b> – Social exchange and the social contract.....	172
<b>Natalia Bitsadze, Manana Gagashidze</b> – Globalization and education issues .....	178
<b>Merab Oniani, Mikheil Khalvashi</b> – The Methodos of Overcoming Unhapiness and Depression .....	186
<b>lia metreveli, Davit Katamadze</b> – sexuality, gender roles and gender dysphoria .....	214
<b>Vazha Gurgenidze, Tinatin Dekanoidze</b> – Socialization factors of young people after leaving the state care system .....	222
<b>Elguja Kavtaradze</b> – Educational migration: problems, approaches, visions.....	233
<b>Medea Salia</b> – Teacher as a socialization agent .....	248
<b>Lia Antadze</b> – Differentiated learning and student engagemen .....	259
<b>Nino Kiknavelidze</b> – Adolescent antisocial behavior and the role of the psychologist in the school education system.....	264
<b>Ketevan Abesadze</b> – Promoting the development of emotional intelligence in school-aged children .....	269
<b>Sopio kvelashvili</b> – Psychological trauma with adults and children .....	276
<b>Irina Melkadze</b> – Social institution as a tool of society management .....	283
<b>Salome Abulashvili</b> – Social Work in the Probation System – The Role of the Social Worker in the Prevention of Recidivism and in Reducing the Risk of Harm – Analysis of the Georgian Example and International Experience.....	290
<b>Lia Metreveli, Salome Sabiashvili</b> – Physiological-Emotional Factors of Chronic Headache (Migraine).....	316

## **PHILOSOPHY of RELIGION AND RELIGIOUS STUDIES**

<b>Kakha Ketsbaia</b> – Social habitus of Buddhism.....	328
---	-----

## **PHILOSOPHY OF LAW**

<b>Badri porchkhidze</b> – The problem of presumption of innocence in Georgian law and the logical-epistemological algorithm for its solution .....	335
---	-----

## AESTHETICS

<b>Nana Guliashvili</b> – Philosophical foundations of the aesthetics of romanticism (Kant, Fichte).....	350
--	-----

## GEORGIAN AND FOREIGN HISTORY OF PHILOSOPHY

<b>Maia Kiknadze</b> – Nietzsche's metaphysical world and the forms of its manifestation.....	363
<b>Temur Basilaia</b> – Hegel and the problem of the beginning of the Universe .....	456

## REVIEWS

<b>Amiran Berdzenishvili</b> – review – On Lia Tsuladze's textbook 'Sociology of Culture" .....	381
---	-----

## JUBILARENS

Teimuraz Mtibelachvili – 80 .....	385
-----------------------------------	-----

## MEMORIES

<b>SERGI AVALIANI</b> – FROM THE HISTORICAL HISTORY OF GEORGIAN PHILOSOPHERS OF THE LAST CENTURY .....	389
--	-----

## GOOD MEMORY

<b>Sergi Avalian phenomenon</b> – Kakha Ketsbaia .....	413
--	-----

## FAREWELL

GURAM (GURI) ASATIANI .....	416
MIKHAEL MAKHARADZE.....	418
AMBROSI KAVLELASHVILI _The he Country has Lost Another Winner.....	423
AKAKI KULDIJANISHVILI .....	449
KHUTA PACHKORIA .....	454
INFORMATIONS – 2023.....	457



## ავტორთა საყურადღებოდ!

1. „ფილოსოფიურ ძიებანში“ იბეჭდება მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევის შედეგები, ორიგინალური შინაარსის მქონე სტატიები, რომლებიც წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ სიახლეს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. პოპულარული, განმანათლებლური ხასიათის სტატიები დასაბეჭდად არ მიიღება.
2. აუცილებელია სტატიის წარმოდგენა ელექტრონულ ფორმატში და მითითებულ ელ.ფოსტაზე გამოგზავნა.
3. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ თაბახს {80 000 სასტამბო ნიშანი}.
4. „ფილოსოფიური ძიებანი“ სამეურნეო ანგარიშზე იბეჭდება; სტატიის ავტორი იხდის დაბეჭდვის ღირებულებას. თუ სარედაქციო კოლეგია სტატიას არ მიიღებს, მაშინ თანხა ავტორს დაუბრუნდება სტატიასთან ერთად.
5. სტამბური წესით აწყობილ სტატიაში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა მიუღებელია.
6. სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები არაუმეტეს ნახევარი გვერდისა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
7. სტატიას აგრეთვე თან უნდა ახლდეს რეზიუმე უცხო {სასურველია ინგლისურ} ენაზე დაახლოებით 1600 სასტამბო ნიშნის {კრებულის ერთი გვერდი} მოცულობით, რომელშიც ნაჩვენებია იქნება გამოკვლევის შედეგები.
8. ლიტერატურა ერთვის ბოლოს, ტექსტში მითითებული ციფრების მიხედვით.
9. სტატიის წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 დეკემბერი. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატია არ მიიღება.
10. სტატია გამოგზავნილი უნდა იყოს აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან აკადემიკოსი-მდივნის სახელზე.

„ფილოსოფიური ძიებანის“ სარედაქციო კოლეგია

ტელ: 595-79-56-56,  
599-39-31-07

ელ/ფოსტა: [ketsbaiaik@gmail.com](mailto:ketsbaiaik@gmail.com)

[ketsbaiaik@mail.ru](mailto:ketsbaiaik@mail.ru)

[kalandiai@mail.ru](mailto:kalandiai@mail.ru)



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversal@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversal@gmail.com)